საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2021 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში

შესავალი **8**

1. სიცოცხლის უფლება **23**

1.1. შესავალი 23

1.2. სახელმწიფოს სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება პანდემიის დროს 23

1.3. სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში 24

1.4. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტთა გარდაცვალების შემთხვევები 29

1.5. საქართველოს პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ შეწყალების საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება 31

1.6. ე.წ. ხორავას საქმეზე მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება 31

1.7. სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე 32

2. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება **35**

2.1. შესავალი 35

2.2. პრაქტიკა, რომელიც უტოლდება არასათანადო მოპყრობას 37

2.3. არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები/არასათანადო მოპყრობის გამომწვევი ფაქტორები 48

2.4. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება 58

3. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება **81**

3.1. შესავალი 81

3.2. დაკავება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით 82

3.3. თავისუფალი გადაადგილების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვა 82

3.4. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების ან შეცვლის თაობაზე განჩინების გასაჩივრების პრაქტიკა 83

3.5. ივანე მერაბიშვილის საქმე 84

3.6. საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები 85

3.7. პატიმრების გათავისუფლების მექანიზმები 86

3.8. ყოფილი მსჯავრდებულების პოლიციაში დაბარების პრაქტიკა 90

4. სამართლიანი სასამართლოს უფლება **93**

4.1. შესავალი 93

4.2. სასამართლო სისტემაში არსებული ინსტიტუციური პრობლემები 95

4.3. საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება 103
4.4. ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება 108
4.5. ადვოკატთან კომუნიკაციის შეზღუდვა პენიტენციურ დაწესებულებაში....109
4.6. მართლმსაჯულების არსებითი ხარვეზების მქონე საქმეები 110
4.7. კანონიერების პრინციპის დარღვევა.... 115
4.8. არასრულწლოვანი მოწმის კანონიერი წარმომადგენლის დაკითხვა.... 115
4.9. შეჯიბრებითობის პრინციპი 116
5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა 120
5.1. შესავალი....120
5.2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება.... 121
5.3. სავარაუდო უკონტროლო მიყურადება....123
5.4. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის შემთხვევები.... 124
5.5. გარე სამყაროსთან კონტაქტი პენიტენციურ დაწესებულებებში....127
5.6. გარე სამყაროსთან კონტაქტი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში....130
6. თანასწორობის უფლება.... 135
6.1. შესავალი....135
6.2. ახალ კორონავისურთან დაკავშირებული რეგულაციების შესაბამისობა თანასწორობის პრინციპთან....136
6.3. ქალთა თანასწორუფლებიანობა 136
6.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორუფლებიანობა 137
6.5. არადომინანტური რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების უფლებები 138
6.6. ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობა....138
6.7. უთანასწორობა სოციალური დაცვის სისტემაში.... 140
6.8. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებსა და საქმიანობის შესრულებისას 140
6.9. დისკრიმინაციის წახალისება.... 141
6.10. გამოწვევები სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისას.... 141
7. გენდერული თანასწორობა 143
7.1. შესავალი.... 143
7.2. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და გენდერული მეინსტრიმინგი.... 143
7.3. ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა და შრომითი უფლებები.... 144
7.4. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება.... 146

7.5. ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები..... 148
7.6. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)..... 149
7.7. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა 150
7.8. გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობები (ფემიციდი).....153
7.9. ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინება.....155
7.10. ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა.....156
8. რწმენისა და რელიგიის თავისუფლება..... 160
8.1. შესავალი.....160
8.2. სავარაუდოდ, სუს-ის მიერ უკანონოდ მოპოვებული ფარული მასალების გავრცელება 161
8.3. საქართველოს კანონმდებლობა 162
8.4. არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მქონე მსჯავრდებულთა რელიგიური საჭიროებები..... 164
8.5. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები.....166
8.6. რელიგიური დღესასწაულები.....169
9. გამოხატვის თავისუფლება..... 172
9.1. შესავალი.....172
9.2. მედიის წარმომადგენელთა დაცულობა და მათი მხრიდან გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა.....172
9.3. მაუწყებლის პროგრამების შინაარსობრივი კონტროლი 177
9.4. გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო ინიციატივები 180
10. შეკრების თავისუფლება 182
10.1. შესავალი.....182
10.2. 5 ივლისს განვითარებული მოვლენები.....183
10.3. შეკრების გამართვის ადგილზე დაწესებული შეზღუდვები 185
10.4. კარვის განთავსების შეზღუდვა შეკრების მიმდინარეობისას.....188
10.5. შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული დაკავების პრაქტიკა.....188
11. ინფორმაციის თავისუფლება.....191
12. უფლებადამცველები..... 194
13. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება 197
13.1. შესავალი.....197
13.2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა - პოლიტიკის, კანონმდებლობისა და აღსრულების გამოწვევები 198

13.3. ნამახვანჰესის პროექტი 201
13.4. საავტომობილო გზების პროექტები 203
13.5. სივრცითი მოწყობა და გარემოს დაცვა 204
13.6. უფლება სუფთა ჰაერზე 205
14. შრომის უფლება 209
14.1. შესავალი 209
14.2. სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობა 210
15. ჯანმრთელობის დაცვის უფლება 213
15.1. შესავალი 213
15.2. პანდემიის მართვა 213
15.3. ახალი კორონავირუსის ვაქცინაციის ეროვნული გეგმა 214
15.4. პირველადი ჯანდაცვის გამოწვევები პანდემიის პირობებში 215
15.5. მაღალკვალიფიციური დამხმარე სამედიცინო კადრები 216
15.6. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა 217
15.7. პაციენტის უფლებები 218
15.8. ონკოლოგიურ პაციენტთა უფლებები 219
15.9. ნარკოპოლიტიკა 220
16. სოციალური უზრუნველყოფის უფლება 225
16.1. შესავალი 225
16.2. მიზნობრივი სოციალური დახმარება 225
16.3. სათანადო კვების უფლება/უფასო სასადილოებზე ხელმისაწვდომობა 226
17. სათანადო საცხოვრებლის უფლება 229
17.1. შესავალი 229
17.2. უსახლკარო პირთა უფლებრივი მდგომარეობა რეგიონებში 230
18. საკუთრების უფლება 234
18.1. შესავალი 234
18.2. საკუთრების უფლებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთასთან დაკავშირებული პრობლემები 234
18.3. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების შეფერხების საკითხი 236
18.4. საკუთრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებში 237
19. საარჩევნო უფლება 240
19.1. შესავალი 240

19.2. წინასაარჩევნო პერიოდი 241
19.3. კენჭისყრის დღეები (I და II ტური) 242
19.4. დასაქმებულთა შრომითი უფლებების დარღვევა პოლიტიკური მოტივით 244
19.5. ზეწოლა-მუქარის/მოსყიდვის სავარაუდო ფაქტები და ძალადობრივი და სხვა ინციდენტები 245
20. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება 248
20.1. შესავალი 248
20.2. კონსერვაცია-რეაბილიტაცია და პროცესების საჯაროობა 249
21. ადამიანის უფლებათა სწავლება 254
21.1. შესავალი 254
21.2. ადამიანის უფლებათა ფორმალური განათლების სახელმწიფო პოლიტიკა 255
21.3. ადამიანის უფლებათა სწავლების ხელშეწყობა ფორმალური განათლების სფეროში 256
21.4. ადამიანის უფლებათა სწავლება უმაღლესი განათლების სფეროში 262
22. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა 264
22.1. შესავალი 264
22.2. განათლების უფლების უზრუნველყოფა 264
22.3. ბავშვთა დაცვა ძალადობისგან 268
22.4. სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონე 272
22.5. სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა 273
22.6. ბავშვთა შრომა 277
22.7. ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები 278
22.8. თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვისა და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა 279
23. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა 283
23.1. შესავალი 283
23.2. ინკლუზიური განათლება 284
23.3. მისაწვდომობა 287
23.4. შშმ პირთა დასაქმება 288
23.5. ფსიქიკური ჯანმრთელობა 288
23.6. შშმ პირები სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში 290
23.7. შშმ პირების მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა 291

23.8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში 293

24. ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა 298

24.1. შესავალი 298

24.2. სოციალური დაცვა 299

24.3. ხანგრძლივი მოვლა 299

24.4. ძალადობა 301

25. ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია 303

25.1. შესავალი 303

25.2. „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის" შეფასება 303

25.3. ინტეგრაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა 304

25.4. წვდომა საჯარო სერვისებზე 306

25.5. განათლების უფლება 307

25.6. მედიის ხელმისაწვდომობა 309

25.7. დმანისის კონფლიქტი 310

25.8. მესხების თემის წინაშე არსებული გამოწვევები 311

25.9. ისტორიული გვარების დაბრუნება 311

26. ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში 315

26.1. შესავალი 315

26.2. არასათანადო მოპყრობისგან დაცვა 316

26.3. საცხოვრებელი და სამუშაო პირობები 319

26.4. ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა 321

26.5. ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები 322

27. კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა 327

27.1. შესავალი 327

27.2. პანდემიით გამოწვეული მდგომარეობა და ჯანმრთელობის უფლების დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე 327

27.3. უსაფრთხოების საკითხები 329

27.4. გადაადგილების თავისუფლების საკითხი და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები 331

27.5. განათლების უფლება 332

27.6. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისა და გოგოების უფლებრივი მდგომარეობა 337

28. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა ..340

28.1. შესავალი 340

28.2. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები 340

28.3. დევნილთა გრძელვადიანი განსახლება 341

28.4. სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა განსახლება 342

29. ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა 344

29.1. შესავალი 344

29.2. ეკომიგრანტთა განსახლება 344

29.3. ეკომიგრაციის პრევენცია 345

30. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში 347

30.1. შესავალი 347

30.2. თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა 347

30.3. სახელმწიფო უსაფრთხოების არგუმენტით ბინადრობის ნებართვით სარგებლობის შეზღუდვა 355

31. მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა 358

32. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა 360

დანართი #1 - სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული ვიზიტები 374

დანართი #2 - სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სამართალწარმოება 376

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის შესაბამისად.

ანგარიშში წარმოდგენილია 2021 წელს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევები და პროგრესი, ასევე, მიმოხილულია სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების/წინადადებების შესრულების მდგომარეობა. საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2021 წელს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მასში გაანალიზებულია ის პრობლემებიც, რომლებიც მანამდე წარმოიშვა და საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ 4666 განცხადება შემოვიდა. მათ შორის მხოლოდ 3805 განცხადება ექცეოდა სახალხო დამცველის საქმიანობის მანდატის ფარგლებში, ხოლო 861 განცხადება დაუშვებლად იქნა ცნობილი. სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ 24 საათის განმავლობაში მიიღონ ინფორმაცია, ან განაცხადონ უფლებადარღვევის შესახებ. 2021 წლის განმავლობაში ცხელ ხაზზე 11126 ზარი შემოვიდა.

ინდივიდუალური განცხადებების განხილვის შედეგად, სახალხო დამცველმა 2021 წელს მოამზადა და სახელმწიფო უწყებებს მიმართა 67 რეკომენდაცია/წინადადებით. უწყებებიდან ყველაზე მეტი რეკომენდაცია გაიგზავნა იუსტიციის სამინისტროში (9), საქართველოს გენერალურ პროკურატურაში (8), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (7), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (6). 2021 წლის განმავლობაში მომზადდა 20 სპეციალური ანგარიში, 17 კონსტიტუციური სარჩელი და 4 კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის. მომზადდა და გაიგზავნა 13 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება: თბილისის საქალაქო სასამართლოში (3), მინსკის საქალაქო სასამართლოში (1), ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (2), გორის რაიონულ სასამართლოში (1), თბილისის სააპელაციო სასამართლოში (4), უზენაეს სასამართლოში (2). საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 3 საქმეში მესამე მხარედ ჩართვის თხოვნით მიმართა.

ანგარიში აერთიანებს შემდეგ თემატიკას:

საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშის პირველი თავი შეეხება სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით სახელმწიფოს წინაშე არსებულ გამოწვევებს.

საანგარიშო პერიოდში სამწუხარო იყო №17 პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრის შედეგად ორი მსჯავრდებულის გარდაცვალების ფაქტი. ფაქტზე გამოძიება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაიწყო, რომელმაც კომპეტენციის ფარგლებში

სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება განახორციელა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, №17 პენიტენციურ დაწესებულებაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება შეუძლებელი აღმოჩნდა. საანგარიშო პერიოდში ასევე გამოვლინდა პატიმართა შორის დაპირისპირების საფუძველზე ორი მსჯავრდებულის დაჭრისა და ერთი მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევა, პატიმრის მიერ თანამესაკნის მკვლელობის მცდელობა. სახალხო დამცველის აპარატმა ასევე შეისწავლა ერთ-ერთი საქმე, სადაც, შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის მხრიდან სამოხელეო დანაშაულის ჩადენას, რასაც შედეგად პატიმრის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა. კერძოდ, პატიმრისთვის განსაზღვრული დაჩქარებული წესით (2-5 დღეში) ჩასატარებელი ოპერაციული მკურნალობა დაახლოებით 7 თვით დაგვიანდა. მიმდინარე გამოძიების ფარგლებში აუცილებელია დადგინდეს, რამდენად მოახდინა გავლენა სასჯელის მოხდის პერიოდში პატიმრისთვის არასათანადო და დაგვიანებულმა მკურნალობამ მის გარდაცვალებაზე და რა იყო მკურნალობის ხარვეზების მიზეზი. სამწუხაროდ, სომატური ჯანდაცვის სერვისების ხელმიუწვდომლობა ან მათზე შეზღუდული წვდომა, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობასაც მნიშვნელოვნად აუარესებს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში პაციენტის გარდაცვალების მიზეზიც შეიძლება გახდეს.

არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის თვალსაზრისით, სახელმწიფოს არ გაუტარებია ეფექტიანი ღონისძიებები დახურულ დაწესებულებებში გამოვლენილი არასათანადო მოპყრობის შემთხვევების თავიდან ასარიდებლად. კერძოდ, კვლავ უცვლელია გარემოპირობები და პრაქტიკები, რომლებიც ქმნიან არასათანადო მოპყრობის საფრთხეს ან, ხშირ შემთხვევაში, იწვევენ ასეთ მოპყრობას.

პენიტენციური სისტემის ფარგლებში, წინა წლების მსგავსად, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს არსებული არაფორმალური მმართველობა, რომელიც, თავის მხრივ, დაწესებულებებში ძალადობრივ გარემოს ქმნის და პატიმართა დიდ რაოდენობაზე ახდენს გავლენას. გასული წლების მსგავსად, 2021 წელსაც შენარჩუნებული იყო პატიმართა დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო საკნებში ხანგრძლივი პერიოდით, ხშირად და დაუსაბუთებლად მოთავსების პრაქტიკა, რომელსაც სახალხო დამცველი არასათანადო მოპყრობად აფასებს. გრძელდება პატიმრების სრული შემოწმების პრაქტიკაც, რომლის დროსაც პატიმარს სხეულის ყველა ნაწილს ერთდროულად აშიშვლებინებენ და არა ნაწილ-ნაწილ. პრობლემური იყო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, სარეაბილიტაციო აქტივობების სიმცირე, პატიმართა ადეკვატური სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირების უფლებრივი მდგომარეობა და პატიმრობის პირობები.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას, 2021 წელს დაკავებული პირები კვლავ საუბრობდნენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ძალის

გადამეტებისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე. საანგარიშო პერიოდში პრობლემად რჩება საპროტესტო აქციებზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მიმართ პოლიციელების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესაძლო შემთხვევები.

ფიზიკური ძალადობის მეთოდებიდან, რომლებსაც პოლიციის თანამშრომლები 2021 წელს მიმართავდნენ, 2019 და 2020 წლის მსგავსად, ძირითადად იკვეთება ხელბორკილების მჭიდროდ დადება, ხელ-ფეხით ცემა. გასული წლებისგან განსხვავებით, 2021 წელს სპეციალური პრევენციული ჯგუფისთვის ცნობილი გახდა 2 შემთხვევის შესახებ, როცა დაკავებული პირები მიუთითებდნენ, რომ პოლიციელებმა არ მისცეს საპირფარეშოთი სარგებლობის შესაძლებლობა, რის გამოც იძულებულები გახდნენ შარვალში მოეშარდათ, მათ შორის, პოლიციის შენობის ეზოში, დაახლოებით 20 ადამიანის თვალწინ, რამაც დაკავებულების დამცირება და ღირსების შელახვა გამოიწვია.

სახალხო დამცველის განსაკუთრებული ყურადღების საგანია ფსიქიატრიული დაწესებულებები და იქ განთავსებული პაციენტების უფლებრივი მდგომარეობა. პაციენტები კვლავ ხდებიან ძალადობის მსხვერპლები, უგულებელყოფილია პაციენტთა სამართლებრივი დაცვის გარანტიებიც. კვლავ პრობლემურია პაციენტების მიმართ ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვების გამოყენების ხშირი და მანკიერი პრაქტიკა. არასათანადო მოპყრობას უტოლდება ის საცხოვრებელი პირობები, რომლებშიც პაციენტებს უწევთ ცხოვრება და უტარდებათ მკურნალობა. ფსიქიატრიული დაწესებულებები, ქვეყანაში მოქმედ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მინიმალურ სტანდარტებსაც კი ვერ აკმაყოფილებენ. ამ დრომდე არ შექმნილა მათი დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია. წინა წლების მსგავსად, 2021 წელს პაციენტთა ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. პაციენტები, რომლებიც აქტიურ მკურნალობას არ საჭიროებენ, სათემო სერვისების სიმწირის და იმის გამო, რომ წასასვლელი არსად აქვთ, ვერ ტოვებენ დაწესებულებას.

რაც შეეხება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობას, უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოძიებული 52 სისხლის სამართლის საქმე. საქმეთა შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებები აკმაყოფილებდა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს. ამის გათვალისწინებით, განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, 2022 წლის პირველი მარტიდან, სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობა გაუქმდა. ეუთო/ოდირი 2022 წლის 18 თებერვალს გამოქვეყნებულ დასკვნაში აღნიშნავდა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებმა და პროცესმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხზე, არასათანადო მოპყრობის და დაკავებულ პირთა გარდაცვალების საქმეთა გამოძიებაზე, რადგან საფრთხე ექმნება დამოუკიდებელი ინსტიტუტის ეფექტიანობას.

ასევე, ქვეყანაში კვლავ არ არის შემუშავებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა. არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთათვის დარღვეული უფლების აღდგენის პროცესში გამოწვევად რჩება საერთო სასამართლოებში წლების განმავლობაში გაჭიანურებული კომპენსაციის საქმეები.

წინამდებარე ანგარიში ასევე მიმოიხილავს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების კუთხით არსებულ მდგომარეობას. 2021 წელს გამოიკვეთა პირთა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით დაკავების შემთხვევები, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე, პატიმრების პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის განსაკუთრებულად ხარვეზიანობა. საანგარიშო პერიოდში ახალი გამოწვევის სახით გამოვლინდა უცხოელთა მიმართ საექსტრადიციო ვადების ხარვეზიანი გამოყენება და ყოფილ მსჯავრდებულთა პოლიციაში დაბარების პრაქტიკა. საგულისხმოა, რომ შენარჩუნებულია პირობით ვადამდე გათავისუფლების მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია. 2019 წელს პირობით ვადამდე 1 279 მსჯავრდებული გათავისუფლდა, ხოლო 2020 წელს - 830. ეს უარყოფითი ტენდენცია შენარჩუნდა 2021 წელსაც - პირობით ვადამდე მხოლოდ 829 პატიმარი გათავისუფლდა. წინა წლების მსგავსად, გადაუჭრელია ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობის და იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღების პრობლემა.

სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების შეუსრულებლობამ არსებითი გავლენა მოახდინა მათლმსაჯულების სისტემის განვითარებაზე. სამწუხაროდ, შეთანხმებიდან გასვლით ხელისუფლებამ უარი თქვა სასამართლო სისტემაში ფუნდამენტური რეფორმის განხორციელებაზე და უზენაესი სასამართლოს სრულად დაკომპლექტების პროცესიც გაგრძელდა სახალხო დამცველის, ეუთო/ოდირის და სხვა საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებების მიუხედავად.

წინამდებარე ანგარიშში ყურადღება ეთმობა სასამართლოს სისტემაში არსებულ ისეთ ინსტიტუციურ გამოწვევებს, როგორიცაა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილების მიღების ფორმები; ასევე გადაუჭრელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების საკითხი - საბჭოში 2022 წლის 30 მარტის მდგომარეობით, არ არიან წარმოდგენილნი პარლამენტის მიერ ასარჩევი არამოსამართლე წევრები. ანგარიშში საუბარია საქმეთა განაწილების ელექტრონულ წესზეც, რომელიც, პროცესში არაკეთილსინდისიერი ინტერვენციის საფრთხეებიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.

სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულება გასული წლების მსგავსად კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში გადაწყვეტილების მიღების ვადები არ აკმაყოფილებს სამართლიანი სასამართლოს უფლებით დადგენილ სტანდარტებს. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ უზენაესი

სასამართლოს სრულად დაკომპლექტების მიუხედავად, საქმეთა განხილვის საკასაციო ეტაპზე კვლავ პრობლემურია სწრაფი და ეფექტიანი მათლმსაჯულების პრინციპების დაცვა. სახალხო დამცველმა ასევე შეაფასა მოსამართლეთა ინდივიდუალურ დატვირთულობასთან დაკავშირებული საკითხები და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა რეკომენდაციით, რათა მმართველ თანამდებობაზე მყოფი მოსამართლეებისთვის განსაზღვრულიყო იგივე დატვირთულობა, რაც ჩვეულებრივ მოსამართლეებს აქვთ.

წინამდებარე ანგარიშში შეფასებულია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სისხლის სამართლის საქმეები, რომლებშიც სახალხო დამცველმა მართლმსაჯულების არაერთი არსებითი ხარვეზი გამოკვეთა. მათ შორის, ანგარიშში განხილულია ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას ბრალდება („კარტოგრაფების საქმე"), მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის საქმე, დავით კეზერაშვილის საქმე და სხვა საქმეები.

2021 წელს, გასული წლების მსგავსად, პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის სხვადასხვა შემთხვევა გამოვლინდა. წლის განმავლობაში რამდენჯერმე გავრცელდა ინფორმაცია სავარაუდო უკანონო მიყურადებისა და თვალთვალის შესახებ. საანგარიშო პერიოდში, ფარული მიყურადების ამსახველი მასალების აქამდე უპრეცედენტო გაჟონვას ჰქონდა ადგილი. გავრცელებული მასალების მოცულობის, მასში მითითებული მონაცემებისა და არაერთი პირის მხრიდან მისი დადასტურების გათვალისწინებით, სახალხო დამცველის შეფასებით, აშკარაა, რომ ეს მასალა, სახელმწიფო ორგანოების მიერ სავარაუდოდ უკანონო, ფარული თვალთვალის შედეგადაა მიღებული. გავრცელებული მასალები პირადი ცხოვრების ამსახველ სხვადასხვა ტიპის მონაცემებთან ერთად, სავარაუდოდ, შეიცავს ინფორმაციას არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის, დანაშაულის სავარაუდო შეუტყობინებლობისა და სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტების შესახებ. სავარაუდოდ უკანონო და ფართომასშტაბიანი მიყურადება-თვალთვალი ქვეყანაში ტოტალური კონტროლის საფრთხეებს აჩენს. მას მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესის თითოეულ ეტაპზე, რაზეც, სამწუხაროდ, ინსტიტუციური ზედამხედველობა და კონტროლი არ ხორციელდება.

2021 წელს განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო წლის ბოლოს, 4 დღეში საქართველოს პარლამენტის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველი და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიებაზე პასუხიმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტის - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის - არაკონსტიტუციური და დაჩქარებული პროცედურით გაუქმება, რის შედეგადაც 6 წლის ვადით არჩეული დამოუკიდებელი ორგანოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილეები გათავისუფლდნენ თანამდებობიდან. დაჩქარებული წესით კანონპროექტის განხილვამ შეუძლებელი გახადა საზოგადოების არსებითი ჩართულობა კანონპროექტის განხილვის პროცესში. კანონპროექტი ასევე უარყოფითად შეაფასა ეუთო/ოდირმაც და

აღნიშნა, რომ ასეთი გაუმჭვირვალე ფორმით კანონის მიღება ძირს უთხრის სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტების სტატუსს. სახალხო დამცველის შეფასებით, მიღებული ცვლილებები არ/ვერ უზრუნველყოფს ორი ახლად შექმნილი სამსახურის და მათი ხელმძღვანელების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკმარის გარანტიებს და სამომავლოდ ქმნის რისკებს, რომ მათი სამსახურიც გაუქმდეს, თუკი მათი საქმიანობა მიუღებელი იქნება კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისთვის.

თანასწორობის უფლების დაცვის მიმართულებით მდგომარეობა ქვეყანაში მკვეთრად გაუარესებულია. ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მატარებელი პირები თავიანთი მოქმედებებითა და განცხადებებით, ხელს უწყობენ ჰომოფობიური განწყობების გავრცელებას, დისკრიმინაციის წახალისებას და ამავე დროს, ახორციელებენ ქმედებებს, რომლებიც, ხშირად, კანონდარღვევაში გამოიხატება. თავის მხრივ, ხელისუფლება არ ატარებს საჭირო პრევენციულ ღონისძიებებს და არც კონკრეტულ შემთხვევებზე რეაგირებს ეფექტიანად.

ამის დასტურია 2021 წლის 5 ივლისს განვითარებული მოვლენები, რომელთა დროსაც საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ლგბტ+ თემის, მათი აქტივისტებისა და ჟურნალისტების დაცვა და მათ მიმართ ძალადობის პრევენცია. მეტიც, სწორედ მაღალი თანამდებობის პირების განცხადებები იყო ჩადენილი ძალადობის წამახალისებელი. ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, ლგბტ+ თემისა და მათი მხარდამჭერების მიმართ ძალადობის მაღალი რისკის არსებობა, ვინაიდან 5 ივლისის მოვლენებს კონკრეტული პირების მხრიდან ძალადობისკენ და ამ მიზნით საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მობილიზებისკენ საჯარო მოწოდებები უძღოდა წინ. მიუხედავად ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ მიიღო ეფექტიანი ზომები ძალადობის თავიდან ასარიდებლად და სამწუხაროდ, არც ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან უფლებადარღვევის ფაქტებზე რეაგირება იყო სათანადო.

სამწუხაროდ, 5 ივლისს მომხდარ ძალადობრივ ფაქტებთან მიმართებით საქართველოს პროკურატურას ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და წახალისების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა არცერთი პირის მიმართ არ დაუწყია, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის შეფასებით, საჯაროდ გავრცელებული მტკიცებულებები, სულ მცირე, 2 პირის მიმართ შესაბამისი ბრალის წარდგენის სტანდარტს აღწევს.

2021 წელს სახალხო დამცველმა სავარაუდო დისკრიმინაციის 161 ახალი შემთხვევა განიხილა, საიდანაც ყველაზე მეტი - 17% პოლიტიკური შეხედულების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებს შეეხებოდა. სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული ინფორმაციით, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობების წინასაარჩევნო პერიოდში სავარაუდოდ დისკრიმინაციულად, პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს ან სამსახურებრივად შეავიწროეს 69 პირი; სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა 4 შემთხვევა, როდესაც საჯარო

სკოლების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებს შრომითი ხელშეკრულება შესაძლო პოლიტიკური მოტივით არ გაუგრძელეს.

გენდერული თანასწორობის კუთხით, სამწუხაროა, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და კაცის თანაბარი მონაწილეობის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანი ღონისძიებები არ გატარებულა.

საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა კვლავ გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობებია (ფემიციდი). სტატისტიკის თანახმად, წინა წლების მსგავსად, ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის შემთხვევების კლების ტენდენცია არ შეინიშნება. წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია ქალთა თვითმკვლელობამდე და თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის შემთხვევების რაოდენობა. საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, 2021 წელს 22 ქალის მკვლელობის ფაქტი გამოვლინდა, საიდანაც 11 შემთხვევაში ოჯახური დანაშაულის ნიშანი გამოიკვეთა, ქალის მკვლელობის მცდელობის 31 ფაქტიდან კი ოჯახური დანაშაულის ნიშანი 16 შემთხვევაში იკვეთება.

ადრეულ ასაკში ქორწინების და ნიშნობის პრაქტიკა კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება, როგორც მათი თავიდან არიდების, ისე კონკრეტული შემთხვევების ეფექტიანად მართვის კუთხით. პრობლემურია სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობა, რეფერირების პროცედურის გამართულად ფუნქციონირება. დადებითად უნდა აღინიშნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტიური საინფორმაციო კამპანია ქორწინების იძულების თავიდან ასარიდებლად.

2021 წელს ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა. ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში კვლავ კრიტიკულია და არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ლგბტ+ პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე დადებითად აისახება.

არ გადადგმულა ნაბიჯები რწმენისა და რელიგიის თავისუფლების კუთხით გასულ წლებში გამოვლენილი პრობლემების დასაძლევად. კვლავ უცვლელი ფორმით მოქმედებენ საქართველოს საგადასახადო, სახელმწიფო ქონების შესახებ და შრომის კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ნორმები. გარდა ამისა, უცვლელია რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების პრობლემური პრაქტიკა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობასა და მანდატთან დაკავშირებული ხარვეზები. გამოწვევად რჩება საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დაბრუნების საკითხიც. საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მქონე მსჯავრდებულთა რელიგიური საჭიროებები, ასევე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ ხელისუფლების პოლიტიკა ნაკლებად არის ორიენტირებული ძალადობის შემთხვევების სისტემურ

პრევენციაზე და ძირითადად ინდივიდუალური შემთხვევების მოგვარებისკენ მიმართული ერთჯერადი მიდგომებით შემოიფარგლება.

სამწუხაროდ, წლიდან წლამდე იზღუდება ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების სივრცე. მედიის თავისუფლების მდგომარეობის შეფასების თვალსაზრისით, შემაშფოთებელია ის საფრთხის შემცველი და მტრული გარემო, რაც ჟურნალისტების მიმართ ქვეყანაში ბოლო პერიოდის განმავლობაში შეინიშნება და განსაკუთრებით 2021 წელს ჰქონდა ადგილი. 2021 წელს გაიზარდა ჟურნალისტებზე ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები. ჩვეულ პრაქტიკად ჩამოყალიბდა პოლიტიკური თანამდებობის პირთა მხრიდან ჟურნალისტების, განსაკუთრებით კი, კრიტიკული მედიის წარმომადგენელთა მიმართ ცინიკური/აგდებული დამოკიდებულება და მათი დისკრედიტაციისკენ მიმართული განცხადებები.

ზემოაღნიშნულის მსგავსია ადამიანის უფლებათა დამცველებთან მიმართებით არსებული გარემოც. 2021 წელსაც შენარჩუნებული იყო უფლებადამცველთა მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმების, დაშინების სამწუხარო ტენდენცია. გამოწვევას წარმოადგენდა მათი დისკრედიტაციისკენ მიმართული განცხადებების მიუღებელი პრაქტიკა, რომლებიც, მათ შორის, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებისგან ვრცელდებოდა.

შეკრების თავისუფლების რეალიზებასთან დაკავშირებული საკითხები, ისევე როგორც გასულ წლებში, საანგარიშო პერიოდშიც განსაკუთრებით აქტუალური იყო. საანგარიშო პერიოდში, ქვეყანაში, ძირითადად, პოლიტიკური შინაარსის, სხვადასხვა მასშტაბის მრავალი შეკრება გაიმართა. მათი ნაწილის მიმდინარეობამ სამართალდამცავებისთვის დაკისრებული ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების პრობლემა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა. კვლავ შენარჩუნებული იყო სამართალდამცავი პირების მიერ შეკრების მონაწილეთა წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის გამო დაკავების მავნე პრაქტიკა, რაც უმეტესად ვერ პასუხობს აუცილებლობის მოთხოვნას და შეკრების თავისუფლებაში დაუსაბუთებელ ჩარევას წარმოადგენს.

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველი ცალკე თავს უთმობს ინფორმაციის თავისუფლებას. საქართველოში მოქმედი ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა ხარვეზიანია და საჭიროებს ძირეულ რეფორმას.

2021 წელს, გარემოს დაცვის უფლების მიმართულებით, საქართველო არაერთი გამოწვევის წინაშე იდგა. გასული წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც გამოწვევას წარმოადგენდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის ნაკლოვანებები და მისი აღსრულების პრობლემები, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში ადამიანის უფლებების მიდგომების, სივრცითი მოწყობისას გარემოს დაცვის ინტერესების უგულებელყოფა, ჰაერის დაბინძურების პრობლემები. კვლავ ხარვეზიანია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით დაბინძურების

სრულფასოვან სურათს არ იძლევა. გასული წლის მსგავსად, 2021 წელსაც განსაკუთრებული სიმწვავით გამოიკვეთა ენერგეტიკულ პოლიტიკასთან დაკავშირებული გამოწვევები. გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სფეროებში პოლიტიკის, საკანონმდებლო რეგულაციებისა და აღსრულების თვალსაზრისით არსებული სისტემური პრობლემების ნათელი მაგალითი იყო ნამახვანჰესის პროექტის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. მათ ფონზე კიდევ ერთხელ ნათლად გამოვლინდა ინფორმაციის საჯაროობასა და საზოგადოების ინფორმირებულობასთან დაკავშირებული გამოწვევები.

შრომის უფლებასთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ 2020 წელს განხორციელებული შრომის კანონმდებლობის რეფორმის შედეგად 2021 წლის 1 იანვრიდან მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა 249 ობიექტზე 327 ინსპექტირება/რეინსპექტირება ჩაატარა. გაწეული ზედამხედველობის შედეგად, ჯამში გაიცა 1766 მითითება, რომელთაგან დიდი ნაწილი სამუშაო დროის ხანგრძლივობისა და შრომითი ხელშეკრულების ვადასა და არსებით პირობებთან დაკავშირებულ დარღვევებს ეხება. ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს როგორც დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მუშაობის აუცილებლობაზე, ისე ინსპექტირებების აქტიურად და ინტენსიურად ჩატარების მნიშვნელობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სამუშაო ადგილებზე იკლო გარდაცვალების შემთხვევებმა, სამუშაო ადგილებზე დაღუპულთა და დაშავებულთა რიცხვი კვლავ მაღალია. 2021 წელს დაღუპულთა და დაშავებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, 2020 წლის მსგავსად, სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერის დამუშავების და საცხოვრებელი/არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობის სფეროზე მოდის.

ძლიერი, მდგრადი პირველადი ჯანდაცვის სისტემა მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლების დასაცავად მთავარი ფაქტორია. საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის გამოწვევად მიჩნეულია ექთნების დეფიციტი, ძველი ინფრასტრუქტურა, სუსტი კავშირები სოფლის ექიმებსა და სხვა სპეციალისტებს შორის, ასევე, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების დაფინასების გართულებული და ფრაგმენტული სისტემა. ჯანდაცვის პროფესიონალები, მნიშვნელოვანი პერსონალური რისკის ქვეშ, ხშირად მუშაობენ მძიმე სამუშაო პირობებში, სათანადო ანაზღაურების გარეშე. საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოწვევად რჩებოდა მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა. ასევე, კვლავ არ შემუშავებულა ერთიანი სახელმწიფო პროგრამა ონკოლოგიური პაციენტების სამკურნალოდ.

საანგარიშო პერიოდში პრობლემური იყო კოვიდ 19-ის პანდემიის მართვის მიდგომები, რამაც სახელმწიფოს მხრიდან ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვას რეალური საფრთხე შეუქმნა. COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის ერთ-ერთ მიზნად დასახელდა 2021 წლის ბოლომდე 18 წელს ზემოთ მოსახლეობის 60%-ის აცრა. თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ არაეფექტიანი საინფორმაციო კამპანიის, დაგვიანებული ფინანსური, წამახალისებელი თუ სხვა ტიპის ღონისძიებების შედეგად, 2022 წლის იანვრის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი 47%-ს არ აღემატებოდა.

კორონავირუსთან საბრძოლველად რეგულაციების შემოღებისა და მოხსნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები უმეტესწილად მეცნიერული მტკიცებულებებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის უგულებელყოფით მიიღებოდა. 2021 წლის შემოდგომიდან შეზღუდვების მოხსნის და დარჩენილი პრევენციული ღონისძიებების აღსრულებაზე კონტროლის მოშლის შედეგად, შემთხვევების რაოდენობა რეკორდულად სწრაფად გაიზარდა.

2021 წელს სახალხო დამცველის აპარატი, გასული წლების მსგავსად, აქტიურ ზედამხედველობას უწევდა სოციალური უზრუნველყოფის უფლების დაცვას. საანგარიშო პერიოდში არსებულ სოციალურ პროგრამათა უმრავლესობა გათვლილი იყო მხოლოდ მინიმალური საჭიროებების მყისიერ დაკმაყოფილებაზე და არა არსებული პრობლემების გრძელვადიან გადაჭრაზე. 2022 წელს „მიზნობრივი სოციალური დახმარების" პროგრამაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა, რასაც სახალხო დამცველი შემდეგ საანგარიშო პერიოდში შეაფასებს.

2021 წლის დეკემბრის მონაცემებით, მიზნობრივი სოციალური დახმარების მონაცემთა ბაზაში 1.7 მილიონამდე პირია დარეგისტრირებული (მოსახლეობის დაახლოებით 27.4%), მათგან 532 242 პირი (52%) იღებს საარსებო შემწეობას. მიზნობრივი სოციალური დახმარების დაფარვა მოსახლეობის დაახლოებით 14.3%-ზე ვრცელდება. ბოლო სამი წელია, სისტემაში მოხვედრის მსურველ პირთა რაოდენობა მზარდია, თუმცა პროგრამა სრულად ვერ ფარავს მოთხოვნას და მოსახლეობის უზრუნველყოფა დამოკიდებულია ბიუჯეტიდან პროგრამისთვის გამოყოფილ რესურსებზე.

ქვეყნის მასშტაბით მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების მხრიდან უფასო სასადილოებით მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია, თუმცა მუნიციპალიტეტების ნაწილი, საკვებით ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ბენეფიციარს.

ანგარიშის სათანადო საცხოვრებლის უფლების თავში სახალხო დამცველი, გასული წლის მსგავსად, უარყოფითად აფასებს ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში ქვეყანაში უსახლკარობის პრობლემის დასაძლევად საჭირო პოლიტიკის დოკუმენტისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობას. სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, არ არსებობს უსახლკარო პირის სრულფასოვანი საკანონმდებლო განმარტება და სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი ჩარჩო კანონმდებლობა. სახელმწიფო დღემდე არ ამუშავებს ინფორმაციას ქვეყანაში უსახლკარობის გამომწვევი ფაქტორების და უსახლკარობის მასშტაბების შესასწავლად, შედეგად, ხელისუფლებას არ გააჩნია კვლევის შედეგებზე დაფუძნებული უსახლკარობის პრევენციისთვის საჭირო პოლიტიკა.

2021 წლის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სამართლიან და თანასწორ გარემოში ჩატარება. 2021 წლის 2 ოქტომბრის

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისი უძღოდა წინ. წინასაარჩევნო პერიოდმა და კენჭისყრის დღეებმა (I და II ტურმა) დაძაბულ გარემოში ჩაიარა. ამ პერიოდში გამოიკვეთა უკანონოდ, დისკრიმინაციულად სამსახურებიდან გათავისუფლების ფაქტები, ასევე, ოპოზიციური პარტიების კანდიდატების მიმართ სავარაუდო ზეწოლის, საბავშვო ბაღებში/საჯარო სკოლებში დასაქმებულ პირთა მიმართ პოლიტიკური ზეწოლისა და პერსონალური მონაცემების, სავარაუდოდ, უკანონო დამუშავების ფაქტები. სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული ინფორმაციით, 59 ოპოზიციური კანდიდატის მიმართ განხორციელდა სავარაუდო ზეწოლა და დაშინება მათი მხრიდან კანდიდატობაზე უარის თქმის მიზნით, რის შედეგადაც, მათ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დაწერეს განცხადება კანდიდატურის მოხსნის თაობაზე. გამოიკვეთა მედიისა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის მტრული გარემოს შექმნის ტენდენციაც. სახალხო დამცველი იზიარებს ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასებებს, რომ ამომრჩეველთა სავარაუდო ზეწოლისა და დაშინების ფაქტები, შექმნილი დამაშინებელი გარემო გავლენას მოახდენდა ამომრჩეველთა ნაწილის თავისუფალი ნების გამოვლენაზე.

კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით საანგარიშო წელს აქტუალური იყო მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის, გელათის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პროცესები. 2021 წელს განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ასევე, შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის შენობასა და მასში დაცულ კოლექციებთან დაკავშირებული საკითხები. პრობლემურია, ერთი მხრივ, ძეგლების დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა-წარმართვა, მეორე მხრივ კი, ამ პროცესების საჯაროობა.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში ასევე მიმოხილულია ქვეყანაში ადამიანის უფლებების სწავლების საკითხი. საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ადამიანის უფლებათა სწავლების უწყვეტობისკენ გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, მისასალმებელია, რომ ადამიანის უფლებების სწავლების კომპონენტი ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე, თითოეულ კლასში სავალდებულიდ იქნება წარმოდგენილი. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა პროგრესი სკოლებში პროზელიტიზმის/რელიგიური ინდოქტრინაციის შემთხვევათა პროაქტიული გამოვლენის კუთხით.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით, 2021 წელს, ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის ირგვლივ განვითარებული მოვლენების ფონზე, ყველაზე მძაფრად წარმოჩინდა დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის სწრაფად დასრულების საჭიროება. სამწუხაროდ, სახელმწიფოს ჯერაც არ დაუმტკიცებია დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების მინდობით აღზრდისა და ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვის სერვისებით ჩანაცვლების კონკრეტული გეგმა. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ნინოწმინდის პანსიონში ბავშვის უფლებათა სისტემური დარღვევები, არასრულწლოვანთა მიმართ წლების განმავლობაში დამამცირებელი, არაადამიანური და წამებასთან გათანაბრებულ მოპყრობა. ეს საქმეები დღემდე არ არის გამოძიებული.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა, მათი საჭიროებების დასაკმაყოფლებლად, არასაკმარისი მიზნობრივი სახელმწიფო სერვისები და ამ სერვისების არაეფექტიანობა. აღსანიშნავია ისიც, რომ პანდემიამ მკვეთრად უარყოფითი გავლენა იქონია ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შედეგად, საქართველოში 2021 წლის იანვრიდან დეკემბრამდე პერიოდში საარსებო შემწეობის მიმღები ბავშვების რიცხვი გაიზარდა. კერძოდ, 2021 წელს საარსებო შემწეობის მიმღები ბავშვების რაოდენობრივი მაჩვენებელი იყო 235252, როცა 2020 წელს აღნიშნული რიცხვი 186131-ს შეადგენდა.

კვლავ პრობლემურია ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის აღკვეთა, მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, რისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების კადრების დროულ გაზრდას. მათი ამჟამინდელი რაოდენობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ 257 სოციალური მუშაკითა და 17 ფსიქოლოგით შემოიფარგლება.

საანგარიშო პერიოდში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ეფექტიანი დაცვა კვლავ არაერთი გამოწვევის წინაშე იდგა. მისასალმებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა მოახდინა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხია შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების სამართლიან სისტემაზე გადასვლა, რომელიც გარდა სამედიცინო ჩვენებისა, ყურადღებას გაამახვილებს პირის ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე. მოქმედი მოდელის მიხედვით განსაზღვრული სოციალური პაკეტის ოდენობა, გარდა იმისა, რომ არ არის მორგებული შშმ პირების ინდივიდუალურ საჭიროებებზე, მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს მათ დაკმაყოფილებას.

არსებითად არ შეცვლილა სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები. პრობლემურია სერვისების გეოგრაფიული დაფარვა, მეტწილად ვერ ხერხდება ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა შშმ ბავშვის/პირის მოცვა, რადგან ქვეპროგრამები კვლავ არ ეფუძნება სტატისტიკურ და კვლევით მონაცემებს.

სახალხო დამცველი წინამდებარე ანგარიშის ერთ-ერთ თავში ხანდაზმულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას აფასებს და აღნიშნავს, რომ საქართველოში ხანდაზმულები

ერთ-ერთი ყველაზე მარგინალიზებული და დაუცველი ჯგუფია. სამწუხაროდ, კვლავ არ არსებობს ხანდაზმულ პირთა მიმართ ძირითადი პოლიტიკის დოკუმენტის - „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის" შესრულების მექანიზმი, ვინაიდან 2018 წლის შემდეგ არ გაწერილა კონცეფციის შესრულების სამოქმედო გეგმა.

სახალხო დამცველის შეფასებით, სამწუხაროდ, არც საანგარიშო წელს აღმოფხვრილა ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არსებული გამოწვევები. კერძოდ, კვლავ პრობლემურია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკური ინტეგრაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული პრობლემები, საკონსულტაციო მექანიზმების არაეფექტიანობა, სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების სიმწირე, ასევე, მედიის ხელმისაწვდომობა.

თავდაცვის სფეროში საანგარიშო პერიოდში, გასული წლების მსგავსად, კვლავ სისტემური პრობლემა იყო სამხედრო მოსამსახურეების არაფორმალური და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა. თავდაცვის ძალებში ჩარიცხული სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურება კვლავ 50 ლარს შეადგენს, რაც თვის განმავლობაში მათი საცხოვრებელი სახლიდან სამხედრო ნაწილამდე ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარადაც კი არ არის საკმარისი. კვლავ შეუსრულებელია საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა ვეტერანებისთვის საშემოსავლო შეღავათის გაზრდას. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო წელს შესრულდა სახალხო დამცველის მიერ არაერთგზის გაცემული რეკომენდაცია საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში ქართული ენის არმცოდნე სამხედრო მოსამსახურეთა თარჯიმნით მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, თარჯიმნის შტატის დაშვების შესახებ.

წინამდებარე ანგარიშში ასევე შეფასებულია კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაუმართავი სამედიცინო სერვისები და ინფრასტრუქტურა, მედპერსონალის კვალიფიკაციის არასახარბიელო დონე და მომსახურების მაღალი ფასები, ასევე, პაციენტთა გართულებული გადაადგილება გამყოფ ხაზზე, მძიმე გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის უფლებაზე. სამწუხაროდ, გრძელდება მოქალაქეთა უკანონო დაკავებებისა და არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა. ამ თავში ასევე განხილულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისა და გოგოების უფლებრივი მდგომარეობა და განათლების უფლების კუთხით არსებული გამოწვევები.

საანგარიშო პერიოდში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯარიაშენში, მეჯვრისხევში, ხურვალეთში, ასევე, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცში, ტახტისძირსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრემისხევში განახლდა საოკუპაციო ძალების მიერ

უკანონო „ბორდერიზაციის“ პროცესი, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს ადგილზე არსებულ უსაფრთხოების გარემოს და ართულებს მკვიდრი მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფას.

სახალხო დამცველმა, წინა წლების მსგავსად, აქტიურად შეისწავლა დევნილთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები. 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან ბევრად ნაკლები დევნილი ოჯახი განსახლდა. ამ დრომდე არ შემუშავებულა ე.წ. ნგრევად შენობებში მცხოვრებ დევნილთა განსახლების სპეციალური წესები, სახელმწიფო პროაქტიულად არ ამოწმებს მძიმე მდგომარეობაში მყოფი შენობების მდგრადობას.

გასული წლების მსგავსად, არც 2021 წელს გაუმჯობესებულა ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა, რადგან ძირითად გამოწვევად კვლავ რჩება განსახლებისთვის გამოყოფილი თანხების სიმცირე და ეკომიგრაციის გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარების ნაკლებობა

2021 წელს, წინა წლების მსგავსად, სახალხო დამცველმა შეისწავლა უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა გასული წლების მსგავსად, მთავარი გამოწვევაა ინტეგრაციის პროგრამებში ბენეფიციართა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი. ამ მხრივ ძირითადი პრობლემა კვლავ ქართული ენის არცოდნაა, რაც ხელს უშლის განათლების, დასაქმებისა და ჯანდაცვის პროგრამებში ბენეფიციართა ჩართულობას. ამ დრომდე არ არის შემუშავებული იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ „ერთიანი მიდგომის დოკუმენტი“, რომლის შემუშავებაც 2021 წელს იყო გათვალისწინებული. სახალხო დამცველმა ასევე 2021 წელს შეაფასა საზღვრის უკანონო კვეთის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების, ასევე, თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრირებული პირებისათვის საქართველოს ტერიტორიის დატოვების აკრძალვისა და სხვა საკითხები.

2021 წელს მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, პრობლემური იყო მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის კომპლექსური და მიზნობრივი საინტეგრაციო პროგრამების არარსებობა. მისასალმებელია, რომ 2021 წლის მაისიდან მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის საფასური განახევრდა. ასევე დადებითი ცვლილება იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გადაუდებელ სტაციონალურ და ამბულატორიულ მომსახურებებში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებლების ჩართვა.

წინამდებარე ანგარიშში ასევე განხილულია საკუთრების უფლების დაცვის პრობლემები. საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაჭიანურების ფაქტები, რაც სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ რეესტრისთვის ინფორმაციის დადგენილ ვადებში წარუდგენლობით იყო გამოწვეული.

სასამართლოები უმეტესად ვერ ახერხებენ გამოსახლების თაობაზე საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი მცირე ვადების დაცვას. შესაბამისად, მოქალაქეებს, საკუთრების

უფლების ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნისთვის, საკმაოდ ხანგრძლივი დავა უწევთ საერთო სასამართლოებში.

და ბოლოს, სახალხო დამცველი აფასებს წინა წელს მის მიერ სახელმწიფო უწყებებისადმი გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას. საქართველოს სახალხო დამცველმა 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სახელმწიფო უწყებებს და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს 360 რეკომენდაციით, ხოლო საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს 51 წინადადებით მიმართა. სახალხო დამცველის მიერ გაცემული წინადადებებიდან 50 არ შესრულდა. რაც შეეხება რეკომენდაციებს, მათი შესრულების მდგომარეობა გასული წლის მსგავსად კვლავ არადამაკმაყოფილებელია, სახელმწიფო უწყებებმა რეკომენდაციების მხოლოდ 14% სრულად და 17% ნაწილობრივ შეასრულეს, ხოლო 63% კი შეუსრულებელი დარჩა.

სახალხო დამცველის აპარატისთვის, კანონით დადგენილ ვადაში, გამოთხოვილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 2 დეკემბრის დადგენილებით[1] ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობილ იქნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი. სამწუხაროდ, მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა არ შეასრულა სახალხო დამცველის/სახალხო დამცველის აპარატის კანონიერი მოთხოვნა და აპარატში მიმდინარე საქმისწარმოების ფარგლებში, კონკრეტულ პატიმართა უფლებების შესაძლო დარღვევის შესწავლის მიზნით გამოთხოვილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია აპარატს არ წარუდგინა.

[1] საქმე №4/7130-21.

1. სიცოცხლის უფლება

1.1. შესავალი

საანგარიშო პერიოდში სიცოცხლის ხელყოფის არაერთმა საქმემ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, თუმცა ამ საქმეებზე სახელმწიფო ორგანოების რეაგირება მხოლოდ კრიტიკას თუ იმსახურებდა.

წინამდებარე თავში მიმოხილულია სახელმწიფოს მხრიდან ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო გატარებული ღონისძიებები მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცავად, ფსიქიატრიულ და პენიტენციურ დაწესებულებებში პაციენტთა და პატიმართა გარდაცვალების შემთხვევები, ხორავას ქუჩაზე მომხდარი 2 არასრულწლოვნის მკვლელობის საქმეზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმებისა და 2019 წელს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ, შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე დაწყებული გამოძიების მიმდინარეობა. ამავე თავში, შეფასებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა.

წლებია, სახალხო დამცველის აპარატი წინადადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს და ითხოვს. სახალხო დამცველს, გამოძიების დასრულებამდე, არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის გამოძიების მასალების გაცნობის უფლებამოსილება მიენიჭოს.[2] სამწუხაროდ, პარლამენტმა არც გასულ წელს გაიზიარა სახალხო დამცველისთვის მანდატის გაზრდის საჭიროება. 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა სახელმწიფო უწყებების მიმართ 1 წინადადება და 8 რეკომენდაცია გასცა. სახელმწიფო უწყებების საქმიანობის გათვალისწინებით, მხოლოდ ერთი რეკომენდაცია შეფასდა პოზიტიურად. კერძოდ, ნაწილობრივ შესრულებულად ვაფასებთ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატისთვის საგამოძიებო-საპროცესო მოქმედებათა შესახებ გამოთხოვილი ინფორმაციის მოწოდებას.

1.2. სახელმწიფოს სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება პანდემიის დროს

კოვიდ-19-ის ვირუსით ინფიცირების გამო, მრავალი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დადგა. საქართველოში პანდემიის დაწყებიდან დღემდე, გარდაცვლილ პაციენტთა დღიური რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2021 წელს გამოვლინდა.[3] საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა არაერთგზის გააკრიტიკა ხელისუფლება კოვიდ-19-ის პანდემიის მართვის იმ მიდგომების გამო, რამაც სახელმწიფოს მხრიდან ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვას რეალური საფრთხე შეუქმნა.

---

[2] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 84. საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 48; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 43.

[3] 2022 წლის 17 მარტის მონაცემებით, კოვიდ-19-ით საქართველოში, ჯამურად 16 612 ადამიანი გარდაიცვალა. გარდაცვალების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 30 ნოემბერს გამოვლინდა - 80 გარდაცვლილი.

სახალხო დამცველის შეფასებით, არაეფექტიანი იყო სახელმწიფოს მიერ ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანია. 2021 წლის განმავლობაში, კორონავირუსთან საბრძოლველად რეგულაციების შემოღებისა და მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილებები, უმეტესწილად, მეცნიერული მტკიცებულებებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის უგულებელყოფით მიიღებოდა. ამის სადემონსტრაციოდ საუკეთესო მაგალითია მუდმივი ე.წ. „მწვანე პასპორტის" შემოღება და შემდეგ მისი გაუქმება, ასევე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში პირბადის ტარების ვალდებულების გაუქმება და პირთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება.

ამავე კონტექსტში, მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც ცალსახად აზიანებს როგორც ვაქცინაციის, ისე პანდემიის მართვის პროცესს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება იმის შესახებ, თითქოს ვაქცინაცია არ მუშაობს, არ შეესაბამება სიმართლეს და კონტრპროდუქტიულია სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვის პროცესში.[4]

შედეგად, საქართველოში ძალიან დაბალია ვაქცინაციის მაჩვენებელი. 2022 წლის 3 მარტის მდგომარეობით,[5] 16 წლის ზემოთ მოსახლეობის მხოლოდ 42%-ია სრულად ვაქცინირებული, ასევე ძალიან დაბალია 80 წელს გადაცილებული სრულად ვაქცინირებული მოსახლეობის რაოდენობა. ამ ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ 29%-ია აცრილი. ხანდაზმულთა ვაქცინაციის დაბალი მაჩვენებელი განსაკუთრებით საგანგაშოა, რადგან ეს ჯგუფი მთელ მსოფლიოში ახალი კორონავირუსისადმი მაღალი მოწყვლადობით გამოირჩევა. საქართველოში ლეტალობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 60 წელს გადაცილებულ არავაქცინირებულ პირებშია. სამწუხაროდ, სახელმწიფომ ამ შემთხვევაშიც ვერ უზრუნველყო მოსახლეობის ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის ვაქცინაციის პროცესის გამარტივება და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვაქცინაციის მსურველთა რეგისტრაცია მხოლოდ ონლაინ, ვებგვერდის მეშვეობით იყო შესაძლებელი, რაც ხანდაზმულებისთვის, ხშირ შემთხვევაში, დაუძლეველ წინაღობას ქმნიდა ვაქცინაციის ჩასატარებლად. ამავე დროს, პოზიტიურად უნდა აღინიშნოს, 2021 წლის შემოდგომაზე სახელმწიფოს მიერ წამოწყებული 60 წელს ზემოთ ასაკის პირთა წახალისების კამპანია,[6] რამაც ვაქცინაციის ტემპი მნიშვნელოვნად გაზარდა. პროგრამის ამოქმედებიდან დაახლოებით სამ კვირაში ვაქცინაცია დამატებით 52 000-მდე ხანდაზმულს ჰქონდა ჩატარებული.[7]

1.3. სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში

1.3.1. ხანძარი №17 პენიტენციურ დაწესებულებაში

2021 წლის 14 ოქტომბერს, №17 პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილმა ხანძარმა ორი მსჯავრდებული იმსხვერპლა.[8] ფაქტზე გამოძიება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა

[4] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://bit.ly/3hZtRar > [ბოლოს ნანახია 11.03.2022].
[5] ხელმისაწვდომია: <https://datacov.moh.gov.ge> [ბოლოს ნანახია 17.03.2022].
[6] ვაქცინაციის ჩატარების შემთხვევაში, ვაქცინის მიმღები 60 წელს გადაცილებული პირი სახელმწიფოსგან 200 ლარს იღებდა.
[7] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3KPPki9 > [ბოლოს ნანახია: 17.03.2022].
[8] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Jn0BXf > [ბოლოს ნანახია 10.03.2022].

დაიწყო, და კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები განახორციელა.[9]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების შემოწმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ევალება. პენიტენციურ დაწესებულებებში დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ ტარდება, ხოლო საკონტროლო შემოწმება – არანაკლებ წელიწადში ერთხელ. ის ობიექტები, რომლებშიც ღამის საათებში იმყოფებიან ადამიანები, ექვემდებარებიან მიზნობრივ (ოპერატიულ) შემოწმებებს ღამის საათებში, არანაკლებ ნახევარ წელიწადში ერთხელ. [10]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციის თანახმად, №17 პენიტენციურ დაწესებულებაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება შეუძლებელი აღმოჩნდა.[11] საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე, განაგრძობს ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოძიებას იმასთან დაკავშირებით, შემოწმებულა თუ არა წარსულში თუნდაც სხვა რომელიმე პენიტენციური დაწესებულება, და როდის და რა შედეგებით დასრულდა.[12]

მოცემული საქმის შესწავლის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსაც მიმართა.[13] სამწუხაროდ, აპარატს, სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დღემდე არ მიუღია საბოლოო ინფორმაცია[14] იმის შესახებ, შემოწმდა თუ არა წარსულში №17 პენიტენციური დაწესებულება ან სხვა პენიტენციური დაწესებულებები კანონმდებლობის შესაბამისად.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ №17 დაწესებულებაში მომხდარი ხანძრის შემდგომ პერიოდში, 2021 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, პენიტენციური სამსახურის მიმართვის

---

[9] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 ოქტომბრის SIS 7 21 00026809 და 2021 წლის 31 დეკემბრის SIS 9 21 00033687 წერილები.

[10] „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილება.

[11] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 4 ნოემბრის №15-3/10550 წერილი.

[12] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 28 იანვრის MIA 0 22 00227299 წერილი.

[13] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 19 ოქტომბრის №15-3/9909 და 2022 წლის 18 იანვრის №15-3/605 წერილები.

[14] მიღებულია ე.წ. შუალედური პასუხები, კერძოდ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 31 იანვრის №27498/01 და №27919/01 წერილები.

საფუძველზე, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად შეამოწმა ყველა პენიტენციური დაწესებულება.[15] სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების გატარება - ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმის მომზადება/განახლება.[16]

1.3.2. პატიმართა შორის დაპირისპირება

2021 წლის ივლისში, მედიამ, №17 დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შორის მომხდარი დაპირისპირების შესახებ, ინფორმაცია გაავრცელა.[17] დაპირისპირების შედეგად ორი მსჯავრდებული დაიჭრა, ხოლო მსჯავრდებული შ. ა. გარდაიცვალა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული მასალებისა და არსებული ვიდეოჩანაწერების შესწავლის საფუძველზე, იკვეთება დაწესებულების ადმინისტრაციის შესაძლო დაგვიანებული რეაგირება. დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, შესაბამისი კითხვები გაეგზავნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინფორმაციის[18] თანახმად, გამოძიება მიმდინარეობს როგორც განზრახ მკვლელობის,[19] ისე №17 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან სამსახურში დადგენილი წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც მსჯავრდებულის გარდაცვალება გამოიწვია.[20] გამოძიება მიმდინარეობს ორი მსჯავრდებულის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების[21] ფაქტზეც.

საქმეზე, 2022 წლის 28 იანვრის მდგომარეობით,[22] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს არ ჰქონდა მიღებული მიკრონაწილაკური, ტრასოლოგიური და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და დადგენილი და შეფასებული არ ყოფილა კონკრეტული პირების, მათ შორის, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის გარემოებები. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ დაწყებული არ ყოფილა. სახალხო დამცველმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისგან დაწყებული გამოძიების მასალების საგამონაკლისო წესით გაცნობა მოითხოვა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, მოცემულ ეტაპზე, საქმეზე ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობის გამო, ვერ შეძლო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მასალების წარმოდგენა.[23]

---

[15] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 4 თებერვლის №32360/01 წერილი.
[16] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 4 თებერვლის №32360/01 წერილი.
[17]ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3t4eyDu > [ბოლოს ნანახია 10.03.2022].
[18] 2021 წლის 12 აგვისტოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის №SIS 2 21 00019730 წერილი, 2021 წლის 24 სექტემბრის სახელმწიფო ინსპექტორის №SIS 4 21 00023430 წერილი, 2021 წლის 15 ნოემბრის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის №SIS 1 21 00028531 წერილი.
[19] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 108.
[20] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 342[1], ნაწ. 2.
[21] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 117, ნაწ. 1.
[22] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 28 იანვრის SIS 0 22 00001952 წერილი.
[23] 2021 წლის 27 დეკემბრის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის NSIS 2 21 00033220 წერილი.

სახალხო დამცველის აპარატი ასევე შეისწავლის №3 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მიერ თანამესაკნის მკვლელობის მცდელობის საქმეს. 2021 წლის 4 მარტს, დილის საათებში, პატიმარმა მარილით სავსე ბოთლისა და ბასრი იარაღის გამოყენებით, მძინარე მდგომარეობაში მყოფ თანამესაკნე პატიმარს მრავლობითი დაზიანება მიაყენა თავის, კისრის, სახისა და ყურის არეში. ფიზიკური ძალადობა ჩადენილია ვიდეომეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილ საკანში და მთელი ინციდენტი 3 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.

სახალხო დამცველის აპარატმა, ვიდეოჩანაწერების დათვალიერების საფუძველზე, რამდენიმე საყურადღებო გარემოება გამოკვეთა: 1. მსჯავრდებულ ვ. ა.-ს მიერ მსჯავრდებულ ნ. ქ.-ს მიმართ ფიზიკური ძალადობის ჩადენის პროცესში დაწესებულების თანამშრომლები ორჯერ იხედებიან საკანში კარის პატარა სარკმლიდან (საკვებურიდან). მათ სავარაუდოდ უნდა დაენახათ სარკმლის წინ მიმდინარე ფიზიკური ძალადობის აქტი, თუმცა, საკანში მხოლოდ 47 წამის შემდეგ შედიან; 2. ამის შემდეგ საკანში შედის 3 თანამშრომელი, რომლებიც ხედავენ როგორ განაგრძობს პატიმარი მეორე პატიმრისთვის დაზიანებების მიყენებას. თანამშრომლები საკანში ყოვნდებიან 24 წამი, არ ცდილობენ ვ. ა.-ს შეჩერებას და გადიან საკნიდან; 3. საკანში დაწესებულების თანამშრომლები სამედიცინო პერსონალის თანხლებით, მხოლოდ 53 წამის შემდეგ ბრუნდებიან.

დამატებით, სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული მასალებით დგინდება, რომ №3 პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობას ჰქონდა ინფორმაცია შემთხვევის მონაწილე პატიმრებს შორის მანამდე არსებული დაძაბული ურთიერთობების შესახებ. კერძოდ, ნ. ქ.-ს მკვლელობის მცდელობამდე, მის მიმართ ადგილი ჰქონდა სიტყვიერი შეურაცხყოფის და აგრესიის ფაქტებს, რაშიც ასევე მონაწილეობდა ვ. ა. მეტიც, ხელმძღვანელობას ჰქონდა ერთ-ერთი პატიმრის მიმართვა, სადაც პატიმარი ითხოვდა, რომ ნ. ქ. და ვ. ა., პოტენციური კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, ცალ-ცალკე საკნებში განეთავსებინათ.[24]

ზემოხსენებულმა პატიმარმა განცხადებით მიმართა საგამოძიებო უწყებასაც და აცნობა, რომ მზად იყო საგამოძიებო ორგანოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია დაპირისპირების გამომწვევ გარემოებებთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულს გამომძიებელი მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის[25] შემდეგ შეხვდა და გამოკითხა.[26]

ამ საქმესთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატს რჩება კითხვები №3 პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების ქმედებებთან დაკავშირებით. უცნობია, დაადგინა თუ არა გამოძიებამ, რა პრევენციული ღონისძიებები იყო გატარებული დაწესებულების მხრიდან

[24] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში.
[25] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 22 ივნისის №15-15/5997 მიმართვის წერილი.
[26] იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2021 წლის 30 ივნისის №8737 საპასუხო წერილი.

3. ა-სა და ნ.ქ.-ს ერთად განთავსებამდე, შესწავლილი და გამორიცხული იყო თუ არა უსაფრთხოების რისკები, შესწავლილი და შეფასებული იყო თუ არა დაწესებულების ხელმძღვანელების ქმედებები (ქმედებით ან შესაძლო უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის თვალსაზრისით). შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატმა საგამონაკლისო წესით მოითხოვა გამოძიების მასალების გაცნობა,[27] რაზეც გენერალური პროკურატურიდან უარი გვეთქვა.[28]

1.3.3. ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ერთ-ერთი საქმე, სადაც, შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის მხრიდან სამოხელეო დანაშაულის ჩადენას, რასაც შედეგად პატიმრის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა. კერძოდ, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე შ. მ., რომელიც 2018 წლის 25 აგვისტოს დააკავეს, სასჯელს №5 პენიტენციურ დაწესებულებაში იხდიდა. სასჯელის მოხდის პერიოდში მას აღენიშნებოდა ჯანმრთელობის პრობლემები, რის გამოც 2019 წლის 26 ნოემბერს სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც 2020 წლის 17 იანვარს გარდაიცვალა. შ. მ.-ს გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი რაიონული სამმართველოს განყოფილებამ[29], სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე.[30]

მსჯავრდებულის სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებმა ცხადყო, რომ პატიმრისთვის განსაზღვრული დაჩქარებული წესით (2-5 დღეში) ჩასატარებელი ოპერაციული მკურნალობა დაახლოებით 7 თვით დაგვიანდა. ამ პერიოდში მისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურება მხოლოდ სიმპტომური პრეპარატების გამოყენებით შემოიფარგლებოდა.

საქმის შესწავლის შემდეგ, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს და საქმის კვალიფიკაციის შეცვლა და გამოძიების სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის დაქვემდებარება მოითხოვა.[31] საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება, შ. მ.-ს გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების კვალიფიკაცია შეიცვალა სამოხელეო დანაშაულის შესაბამისი მუხლით[32] და საქმე შემდგომი გამოძიების მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს გადაეცა.[33]

გამოძიებამ პასუხი უნდა გასცეს პენიტენციურ სისტემაში პატიმრისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების დროულობასა და ადეკვატურობასთან, ოპერაციული მკურნალობის დაყოვნებასთან დაკავშირებულ კითხვებს. ამასთანავე, გამოძიებამ უნდა

[27] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 11 მაისის №15-15/4516 წერილი.
[28] გენერალური პროკურატურის 2021 წლის 18 მაისის №13/28390 წერილი.
[29] 2020 წლის 6 ივლისის საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/36825 წერილი.
[30] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 116, ნაწ. 1.
[31] საქართველოს სახალხო დამცველის № 15-2/3379 წინადადება.
[32] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 342. ნაწ. 2.
[33] 2021 წლის 30 აპრილის საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/26148 წერილი.

დაადგინოს, რამდენად მოახდინა გავლენა სასჯელის მოხდის პერიოდში პატიმრისთვის არასათანადო და დაგვიანებულმა მკურნალობამ მის გარდაცვალებაზე და რა იყო მკურნალობის ხარვეზების მიზეზი. სამწუხაროდ, 2022 წლის 28 იანვრის მდგომარეობით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაგზავნილი სახელმწიფო ინსპექტორისთვის ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად საჭირო სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დასკვნა.[34]

სახალხო დამცველის აპარატმა საგამონაკლისო წესით მოითხოვა გამოძიების მასალების გაცნობა,[35] თუმცა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, საქმეზე ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობის გამო, მოცემულ ეტაპზე ვერ შეძლო მასალების საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის წარმოდგენა.[36] სახალხო დამცველის აპარატი განაგრძობს საქმეზე დაკვირვებას.

1.4. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტთა გარდაცვალების შემთხვევები

სომატური ჯანდაცვის სერვისების ხელმიუწვდომლობა ან მათზე შეზღუდული წვდომა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუარესებს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში პაციენტის გარდაცვალების მიზეზიც შეიძლება გახდეს. [37]

შიზოფრენიის მართვის ეროვნულ გაიდლაინში[38] საგანგებოდ არის მითითებული ანტიფსიქოზური მედიკამენტების მონიტორინგის მნიშვნელობაზე, სომატური პრობლემების ადრეული გამოვლენის, სიმძიმის შეფასების და ანტიფსიქოზური მკურნალობის სტრატეგიის სწორი შერჩევისთვის.

ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტები სარგებლობენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით. თუმცა ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა არ ითვალისწინებს პაციენტთა სომატური ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსებას. შესაბამისად, პაციენტებს დამატებითი გამოკვლევებისა და ხანგრძლივი მკურნალობისთვის თავად უწევთ ხარჯების გაღება. იმ პირობებში კი, როდესაც პაციენტთა ნაწილი ხანგრძლივად იმყოფება დაწესებულებაში, ხოლო ზოგიერთ მათგანს ოჯახიც არ ჰყავს, ფინანსური რესურსის არქონის გამო ხელი არ მიუწვდებათ ასეთ მკურნალობაზე (ამას ემატება ტრანსპორტირების პრობლემაც, რაც დამატებით ხარჯებთან და ადამიანურ

[34] 2022 წლის 28 იანვრის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის SIS 1 22 00001953 წერილი.
[35] 2021 წლის 17 დეკემბრის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის №15-4/12060 წერილი.
[36] 2021 წლის 27 დეკემბრის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის №SIS 2 21 00033220 წერილი.
[37] სახალხო დამცველის აპარატის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში.
[38] ამავე პრობლემაზე მიუთითებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი 2018 წლის 10-21 სექტემბერს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში. კომიტეტისთვის მიუღებელია, სტაციონარში მოთავსებულმა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტებმა, რომელთაც არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა, იზრუნონ თავიანთ სომატურ ჯანმრთელობაზე, და სახელმწიფოს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 128, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი.

რესურსთან არის დაკავშირებული) და ამგვარად, საფრთხე ექმნება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

შედეგად, სომატური ჯანმრთელობის პრობლემების არასათანადო მკურნალობამ, ჯანმრთელობის მდგომარეობის არასრულფასოვანმა მონიტორინგმა და შესაბამისი რისკფაქტორების გაუთვალისწინებლობამ, შესაძლოა, ბენეფიციართა გარდაცვალება გამოიწვიოს. სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოს ეკისრება სიცოცხლის უფლების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა, თუკი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პირებისთვის სათანადო მზრუნველობისა და მკურნალობის აღმოუჩენლობა მათი გარდაცვალების მიზეზი გახდება.[39]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არ აწარმოებს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარდაცვლილი პირების შესახებ სრულყოფილ სტატისტიკას. ამას ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესრულებული სამუშაოც. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ადგილზე სტაციონარში 2020 და 2021 წლებში გარდაიცვალა 12 პაციენტი, ხოლო პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების მიერ მოძიებული ინფორმაციით, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ადგილზე სტაციონარში და სხვა სტაციონარში გადაყვანის შემდეგ, ჯამში, მხოლოდ 2021 წლის 1 იანვრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით, გარდაიცვალა 14 პაციენტი.[40]

სახალხო დამცველი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოუწოდებს, გადადგას დროული ნაბიჯები ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ყოფნის დროს და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სხვა სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შემდგომ გარდაცვლილი პაციენტების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატიზებისთვის რეესტრის შესაქმნელად. გარდაცვლილი პაციენტების ზუსტი აღრიცხვა აუცილებელია ამ შემთხვევებზე სამინისტროს რეაგირებისა და ასეთი შემთხვევების მომავალში თავიდან ასაცილებლად.

თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ პაციენტთა გარდაცვალების შემთხვევებზე სრულყოფილი სტატისტიკა აწარმოონ უშუალოდ ფსიქიატრიულმა დაწესებულებებმაც. შესაბამისად, სამინისტრომ ფსიქიატრიული დაწესებულებები უნდა დაავალდებულოს, რომ პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია. აქვე,

[39] Inter alia, „სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ კამპეანუს სახელით რუმინეთის წინააღმდეგ" (Centre for Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu v. Romania), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება, საჩივარი №47848/08, 143-144.

[40] ინფორმაცია პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა მოიძია როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გაყვანისა და გაწერის ჟურნალების შესწავლით, ისე ხონის რაიონულ სამმართველოში შეტყობინებების შესწავლის შედეგად. ჟურნალის შემოწმებით ცნობილი გახდა გარდაცვალების 10 შემთხვევა, ხოლო ხონის რაიონულ სამმართველოში დამატებით - 4 შემთხვევა.

მნიშვნელოვანია, რომ სომატური პროფილის საავადმყოფოებსაც ჰქონდეთ ვალდებულება, ჯანდაცვის სამინისტროს შეატყობინონ იმ პაციენტების გარდაცვალების შესახებ, რომლებიც მათთან ფსიქიატრიული დაწესებულებიდან გადმოიყვანეს.

გარდაცვალების შემთხვევებზე სტატისტიკის წარმოების გარდა, მნიშვნელოვანია გარდაცვალების თითოეული შემთხვევის შესწავლა და დადგენა, თუ რამდენად დროულად მიიღო პაციენტმა სამედიცინო დახმარება და რა გახდა გარდაცვალების მიზეზი. ამ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე კი, გაატაროს ღონისძიებები, პაციენტთა გარდაცვალების მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად.

1.5. საქართველოს პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ შეწყალების საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება

2019 წელს სახალხო დამცველმა სიცოცხლის უფლების დარღვევად შეაფასა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის მიერ იმ მსჯავრდებულთა შეწყალება, რომლებიც სასჯელს განზრახ მკვლელობებისთვის იხდიდნენ და მსჯავრის მნიშვნელოვანი ნაწილის მოუხდელად დატოვეს პენიტენციური დაწესებულებები. ამ საკითხს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშშიც დაეთმო ყურადღება.[41] თუმცა, სამწუხაროდ, შეწყალების საკითხებთან დაკავშირებით 2019 წლის 20 სექტემბერს დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიება ისევ ხელშესახები შედეგის გარეშე მიმდინარეობს.[42]

იმ გარემოების ფონზე, რომ გენერალურმა პროკურატურამ არ მისცა სახალხო დამცველის აპარატს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გაცნობის საგამონაკლისო შესაძლებლობა,[43] უცნობია, თუ როგორ მიმდინარეობს გამოძიება, რამდენად ეფექტიანად, დროულად და ზედმიწევნით ტარდება შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები. საგამოძიებო უწყებამ აპარატს მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია მოაწოდა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და ასევე, გვაცნობა, რომ გამოძიების ფარგლებში გამოიკითხა საქართველოს პრეზიდენტი.[44]

1.6. ე.წ. ხორავას საქმეზე მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ წლებია, სახალხო დამცველის აპარატი საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმების შედეგებს ელის და სისტემატურად ითხოვს ინფორმაციას მოკვლევის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.[45]

---

[41] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 და 2020 წლების საპარლამენტო ანგარიშები.
[42] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 28 დეკემბრის №13/78621 წერილი. გამოძიება შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.
[43] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 14 სექტემბრის №13/53054 წერილი.
[44] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 28 დეკემბრის №13/78621 წერილი.
[45] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 6 იანვრის №13/555 წერილი; ასევე, 2019 წლის 9 დეკემბრის №13/86091 და 2020 წლის 17 ივლისის №13/39978 წერილები.

სამწუხაროდ, გენერალურ პროკურატურას არც 2021 წლის განმავლობაში მიუღია გადაწყვეტილება. უფრო მეტიც, გენერალური პროკურატურა არ განმარტავს მიზეზს, თუ რა უშლის ხელს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას და სამართალდამცავების ქმედებების სამართლებრივ შეფასებას. პროკურატურა ოთხი წელია შემოიფარგლება იდენტური აბსტრაქტული და ფორმალური პასუხებით, რომ გენერალურ ინსპექციაში კვლავ მიმდინარეობს შემოწმება.[46]

1.7. სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სიცოცხლის უფლების კუთხით არსებული მდგომარეობა, სამწუხაროდ, არც საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესებულა. სამწუხაროდ, ამ დრომდე არ დასჯილან 2014 წელს დავით ბაშარულის, 2016 წელს - გიგა ოთხოზორიას, 2018 წელს -არჩილ ტატუნაშვილის და 2019 წელს - ოკუპირებული აფხაზეთის, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის რუსულ სამხედრო ბაზაზე, საქართველოს მოქალაქის, ირაკლი კვარაცხელიას სიცოცხლის უფლების ხელმყოფი პირები.

2022 წლის თებერვალში გარდაიცვალა საოკუპაციო რეჟიმის მიერ 2019 წლის 21 ნოემბერს ე.წ. საზღვრის გადაკვეთისა და სხვა დანაშაულის ბრალდებით უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქე გენადი ბესტაევი, რომელსაც ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო სასამართლომ 3 წლით უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გენადი ბესტაევს დე ფაქტო ცხინვალის ციხეში ინსულტი განუვითარდა, რამაც გამოიწვია მისი ჯანმრთელობის გაუარესება.

საანგარიშო პერიოდში ასევე გავრცელდა ინფორმაცია, 24 წლის ანრი ატეიბას შესახებ, რომელიც გაგრის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში ცემის შედეგად მიღებული ტრავმებით გარდაიცვალა. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის აპარატმა ვერ შეძლო ამ საქმის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება.

დამატებით, სიცოცხლის უფლების ხელყოფის კონტექსტში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საოკუპაციო რეჟიმის მიერ ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვა, რის გამოც პაციენტები კვალიფიციური, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამედიცინო სერვისის მისაღებად საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ვერ გადმოდიან.

წინადადება

საქართველოს პარლამენტს:

- „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანულ კანონში შეიტანოს ცვლილებები და სახალხო დამცველს მიენიჭოს გამოძიების დასრულებამდე

[46] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 6 იანვრის №13/555, 2021 წლის 6 ოქტომბრის №13/60918 და 2022 წლის 11 იანვრის №13/771 წერილები.

არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის გამოძიების მასალების გაცნობის უფლებამოსილება.

რეკომენდაციები

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანთა მკვლელობის გამოძიებაში დადგენილი ხარვეზების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგები პერიოდულად მიაწოდოს საზოგადოებას, შემოწმების მასალები კი, გააცნოს სახალხო დამცველის აპარატს; სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საფუძველზე, იმსჯელოს სამსახურებრივი გულგრილობის ან უფლებამოსილების გადამეტების მუხლებით გამოძიების დაწყების მიზანშეწონილობაზე;
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ანგარიშში, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა წარმოადგინოს ინფორმაცია სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების ეფექტიანობის თაობაზე;
- სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების ფარგლებში, მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესახებ, შესაბამისი თარიღების მითითებით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სამინისტროს შესაბამის ერთეულს დაავალოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ან/და ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან სხვა სამოქალაქო სექტორის კლინიკებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადაყვანილი და გარდაცვლილი პაციენტების შესახებ სტატისტიკის წარმოება, მათ შორის, გარდაცვალების მიზეზებისა და გარდაცვალების ადგილის მითითებით;
- უზრუნველყოს სომატური ჯანმრთელობის მომსახურების დაფინანსების არსებული მოდელის ცვლილება, რათა სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების გამო ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტები სრულად და დროულად იყვნენ უზრუნველყოფილნი საჭირო სამედიცინო მომსახურებით, რაც გულისხმობს: ა) პაციენტთა ტრანსპორტირების ხარჯებს; ბ) საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებებში ექიმი თერაპევტის ან ოჯახის ექიმის დაქირავების ხარჯებს; გ) გეგმური სამედიცინო მომსახურების სრულად ანაზღაურებისთვის საჭირო ხარჯებს;
- შევიდეს ცვლილება ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამაში და ქვეყანაში არსებული გაიდლაინების შესაბამისად გათვალისწინებულ იქნას მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვა შესაბამისი გამოკვლევებისა და კონსულტაციების გზით;

- დაავალოს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და თანმდევი გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკა.

2. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება

2.1. შესავალი

გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს პრევენციის ეროვნულ მექანიზმს საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველი ასევე განიხილავს საჩივრებს დახურულ დაწესებულებებში მოთავსებული პირებისგან.

2021 წელს, როგორც მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე, ისე - პროაქტიულად - საჯარო სივრცეში გავრცელებულ ინფორმაციაზე რეაგირების მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა 1493 შეხვედრა გამართეს თავისუფლებააღკვეთილ პირებთან. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციის ფარგლებში კი, 69 დახურულ დაწესებულებაში 107 რეგულარული და არაგეგმიური ვიზიტი განხორციელდა.

წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ პენიტენციურ დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გამოვლენილ არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს, შესაბამის რისკფაქტორებსა და საკანონმდებლო ხარვეზებს.[47] მოცემული თავი სამი ქვეთავისგან შედგება: 1) პრაქტიკა, რომელიც უტოლდება ან შესაძლოა გაუტოლდეს არასათანადო მოპყრობას, 2) არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები/არასათანადო მოპყრობის გამომწვევი რისკფაქტორები და 3) სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ეფექტიანად საბრძოლველად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებელი მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოს ჰქონდეს საქმიანობის თავისუფლად წარმართვის შესაძლებლობა. სამწუხაროდ, ამ მიმართებით, სახალხო დამცველის წარმომადგენლები, 2020 წლის მსგავსად[48], 2021 წლის დასაწყისშიც გახდნენ არაერთი სიტყვიერი თავდასხმის ობიექტები სხვადასხვა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე, რაც პირდაპირ ან ირიბად, ციხის ადმინისტრაციის მხრიდან იყო ორგანიზებული. ამგვარი ქმედების მიზანი იყო, მათ არ მისცემოდათ პატიმრებთან კონფიდენციალური გასაუბრების შესაძლებლობა, ასევე, მონიტორინგის პროცესის ხელშეშლა. საგანგაშოა, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულების მიმართ ჩადენილმა უკანონო ქმედებებმა, რასაც ციხის ადმინისტრაციასა

[47] არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის კუთხით სახალხო დამცველის მიერ 2020 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე, წინამდებარე თავში განხილულ საკითხებთან მიმართებით დეტალური ანალიზი, ხელმისაწვდომია სპეციალური პრევენციული მექანიზმის 2021 წლის ანგარიშში. იხილეთ ასევე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, დეტალურად არის განხილული წინამდებარე თავში მითითებული საქმეები.

[48] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 50.

და პატიმრების მცირე ჯგუფს შორის კოორდინირებული ხასიათი ჰქონდა, უკიდურესად საფრთხის შემცველი სახე მიიღო.[49]

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის იანვრის შემდეგ, მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობის მონიტორინგის პროცესში შეექმნა სახალხო დამცველის აპარატს დაბრკოლება. კერძოდ, დაწესებულებაში შესვლისას ხანგრძლივი დაყოვნების (დაახლოებით 1.5 საათი) შემთხვევას ადგილი ჰქონდა გორის სამხედრო ჰოსპიტალსა (23.11.2021) და №12 დაწესებულებაში (11.01.2022), ხოლო ერთ შემთხვევაში (28.12.2021), სახალხო დამცველის რწმუნებულსა და სპეციალური რწმუნებით დროებით მოსარგებლე სამედიცინო ექსპერტს საერთოდ არ მიეცათ გორის სამხედრო ჰოსპიტალში შესვლის შესაძლებლობა. საგულისხმოა, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე სახალხო დამცველის მიერ შექმნილი კონსილიუმის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ, მპგ „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ სახალხო დამცველის და მის მიერ მოწვეული ექიმების შესაძლო პასუხისმგებლობაზე მუქარის შემცველი განცხადება გააკეთა.[50]

გასული წლების მსგავსად, პენიტენციური სისტემის მიმართულებით, 2021 წელსაც სერიოზულ გამოწვევად რჩება დაწესებულებების გადატვირთულობა და არაფორმალური მეთოდებით მმართველობა, რაც პატიმართა გაჩუმებას, პრობლემებზე საუბრის აკრძალვასა და დაწესებულებაში მოჩვენებითი წესრიგის შენარჩუნებას ისახავს მიზნად. წლის განმავლობაში შენარჩენუნებული იყო დახურულ დაწესებულებებში პატიმართა დეესკალაციის ოთახებში გადაყვანის პრაქტიკა, რომელსაც სახალხო დამცველი არასათანადო მოპყრობად აფასებს. პრობლემური იყო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, სარეაბილიტაციო აქტივობების სიმცირე,[51] პატიმართა ადეკვატური სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირების უფლებრივი მდგომარეობა და პატიმრობის პირობები. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პატიმრებისთვის სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია დაიწყოს მუშაობა ისეთი მექანიზმის შემოღებაზე, რომელიც უშუალოდ აისახება დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სისტემაში დაკავებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას, 2021 წელს დაკავებული პირები კვლავ საუბრობდნენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ძალის გადამეტებისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე. ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემური იყო ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების შემთხვევაში. პრობლემურია დაკავებულებისთვის უფლებების განმარტება, ადვოკატის დროული ხელმისაწვდობა,

[49] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3HawzVy > [ბოლოს ნანახია 26.01.2022].

[50] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, 18.11.2021, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3JuhnU3 > [ბოლოს ნანახია 21.03.2022].

[51] სარეაბილიტაციო აქტივობების კუთხით გამოწვევას, მათ შორის, წარმოადგენს ყველა მსჯავრდებულისთვის აკადემიური უმაღლესი განათლების უფლების მინიჭება.

ოჯახის ინფორმირება და დაკავებულის შესახებ სრულყოფილი რეესტრების წარმოება, რაც არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილების ეფექტიანი საშუალებებია. გამოწვევად რჩება სამხრე კამერების გამოყენების ვალდებულების არარსებობა, აუდიო და ვიდეოჩანაწერების წარმოება, მათ შორის, დაკავებულ პირთა დაკითხვის პროცესის ჩაწერა. პოლიციის სივრცეები, სადაც დაკავებულს უწევს ყოფნა, ვიდეომეთვაყურეობის სისტემებით სრულად არ არის დაფარული.

წლიდან წლამდე არ შეინიშნება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ფსიქიტრიულ დაწესებულებებში, სადაც პაციენტები კვლავ ხდებიან ძალადობის მსხვერპლები და უგულებელყოფილია პაციენტთა სამართლებრივი დაცვის გარანტიები. მიუხედავად კანონმდებლობით მკაფიოდ განსაზღვრული უფლებისა, ნებაყოფლობითი სტატუსის მქონე პაციენტები საკუთარი ნებით სტაციონარს ვერ ტოვებენ. ფსიქიატრიული დაწესებულებები, ქვეყანაში მოქმედი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მინიმალურ სტანდარტებსაც კი ვერ აკმაყოფილებენ, ხოლო იქ არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, საერთაშორისო და ეროვნულ მოთხოვნებს არ შეესაბამება.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი კომპონენტია არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირება, თუმცა ამ კუთხით კვლავ არაერთი ხარვეზია. გარდა ამისა, ქვეყანაში კვლავ არ არის შემუშავებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა. არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთათვის დარღვეული უფლების აღდგენის პროცესში გამოწვევად რჩება საერთო სასამართლოებში წლების განმავლობაში გაჭიანურებული კომპენსაციის საქმეები.

2.2. პრაქტიკა, რომელიც უტოლდება არასათანადო მოპყრობას

წინამდებარე ქვეთავში მიმოვიხილავთ დახურულ დაწესებულებებში გამოვლენილ არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს. ასევე, მიმოვიხილავთ ამ სისტემებში არსებულ გარემოპირობებს და პრაქტიკებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, იწვევენ ასეთ მოპყრობას.

დაწესებულებების თანამშრომლების/სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილი ძალადობა

2021 წელს სახალხო დამცველის აპარატში 36 განცხადება/საჩივარი შემოვიდა, სადაც განმცხადებლები პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფასა და მუქარასთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში, ფიზიკური ძალადობის სავარაუდო ფაქტებზეც მიუთითებდნენ. განცხადებებში/საჩივრებში პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ საჩივრების დაწერის და, მათ შორის, სახალხო დამცველისთვის მიმართვის გამო, №2, №3, №6, №10 და №12 პენიტენციურ დაწესებულებებში მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ანგარიშსწორების ფაქტებს. პატიმართა განცხადებით, ძალადობა ჩადენილია სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა წყლის ბოთლით თავის არეში ცემა, სახის და ტანის არეში ხელებითა და ფეხებით ცემა. მათივე გადმოცემით, ადგილი ჰქონდა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ სხვა პატიმრების წაქეზებას, და შედეგად, პატიმრების მიერ, საკნიდან გადაძახილებით, სხვა პატიმრების სისტემატურ

სიტყვიერ შეურაცხყოფას. პატიმრების განცხადებით, ასევე ჰქონდა ადგილი პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების და, ზოგ შემთხვევაში, ხელმძღვანელი პირების მხრიდან, უხეშ და ცინიკურ საუბარს, სიტყვიერ შეურაცხყოფას, პირობების გაუარესების და სასჯელის დამატების მუქარას.

სამწუხაროდ, პატიმრების მსგავსად, არც ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტები არიან დაცულნი ძალადობის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან. პაციენტები აღნიშნავდნენ, რომ ფსიქიატრიული დაწესებულების პერსონალი მათ უყვირის, აგრესიულად ესაუბრება და ფიზიკური შეზღუდვით ან იზოლაციით ემუქრება. პაციენტები ასევე საუბრობდნენ ცემაზე, სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, მედიკამენტების დაფხვნილი სახით ძალით პირში ჩაყრაზე და ინექციების იძულებით გაკეთების პრაქტიკაზე.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას, სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი ინფორმაცია მიიღო პოლიციელების მიერ <u>დაკავებისას</u> არაპროპორციული, აშკარად გადამეტებული ძალის გამოყენების და <u>დაკავების შემდეგ</u> არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ. საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება საპროტესტო აქციებზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მიმართ პოლიციელების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესაძლო შემთხვევები.[52]

2021 წელს პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩადენილი ფიზიკური ძალადობის მეთოდებიდან, 2019 და 2020 წლის მსგავსად, ძირითადად იკვეთება ხელბორკილების მჭიდროდ დადება, ხელ-ფეხით ცემა. გასული წლებისგან განსხვავებით, 2021 წელს, 2 შემთხვევაში, დაკავებული მიუთითებდა საპირფარეშოთი სარგებლობის შეზღუდვაზე, რის გამოც იძულებული იყო, შარვალში მოეშარდა. გარდა ამისა, 1 შემთხვევაში პირი მიუთითებდა, რომ დაკავების შემდეგ პოლიციის თანამშრომლები მას სახეში აფურთხებდნენ, ხოლო 1 შემთხვევაში პირი აცხადებდა, რომ მას გაუპატიურებით დაემუქრნენ. ასევე იკვეთება, პოლიციის სამმართველოში დაკავებული პირის არაერთხელ თხოვნის მიუხედავად, სამედიცინო დახმარების ბრიგადის 1 საათით დაგვიანებული გამოძახების და დაკავებულისათვის სასმელი წყლის მიუწოდებლობის ფაქტები. ასევე საგულისხმოა, რომ ერთ შემთხვევაში, ნახევრად შიშველ მდგომარეობაში მყოფ პირს, ტანსაცმლის ჩაცმის შესაძლებლობა არ მისცეს, პოლიციის სამმართველოში შეყვანამდე კი, გარკვეული პერიოდით გააჩერეს შენობის გარეთ, სადაც დაკავებულს სციოდა. ასევე გამოვლინდა პოლიციის განყოფილებებში დაკავებულ პირებზე ზეწოლა მათგან აღიარებითი და სხვისი მამხილებელი ჩვენებების მისაღებად.

საანგარიშო პერიოდში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებული დაკავებულების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველის პრევენციის

[52] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში.

ეროვნულმა მექანიზმმა 495 საეჭვო შემთხვევა გამოავლინა.[53] ეს შემთხვევები მოიცავს როგორც ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა, ისე სისხლის სამართლის საქმეებს. მონაცემების თანახმად, 495 შემთხვევიდან 129 (26%) შემთხვევაში, ადმინისტრაციული წესით დაკავებულმა პირებმა დაზიანება დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ მიიღეს.[54] რაც შეეხება დინამიკას წლების მიხედვით, 2016 წელს ადმინისტრაციული წესით დაკავებულმა პირებმა სხეულის დაზიანება დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ მიიღეს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილი საეჭვო შემთხვევების 12,8%-ში, 2017 წელს იგივე მაჩვენებელი - 26,4%, 2018 წელს - 26.8%, 2019 წელს - 31.8% და 2020 წელს - 34.4% იყო, ხოლო 2021 წელს, სტატისტიკურმა მაჩვენებელმა (26%), 2019 და 2020 წლებთან შედარებით, იკლო და 2017 - 2018 წლის მაჩვენებელს (26,4% - 26.8%) მიუახლოვდა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პოლიციის მხრიდან დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის კუთხით, წინა წლებთან შედარებით, 2021 წელს, მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა და 2017 წლიდან შენარჩუნებულია ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის გაუარესების ტენდენცია. თუმცა, 2019 და 2020 წლებთან შედარებით, 2021 წელს შემცირებულია ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მიერ დაკავებისას და დაკავების შემდეგ სხეულის დაზიანების მიღების შემთხვევათა რაოდენობა.

პატიმრებს/პაციენტებს შორის ძალადობა

2021 წელს კვლავ პრობლემური იყო პატიმართა და პაციენტთა შორის ძალადობის შემთხვევებიც. ვითარების ერთიანი ანალიზიდან იკვეთება, რომ პენიტენციური დაწესებულებები, ისევე, როგორც ფსიქიატრიული დაწესებულებები, სათანადოდ ვერ უმკლავდებიან ამ კუთხით არსებულ პრობლემებს.

პატიმრებს შორის კონფლიქტის მიზეზი, ძირითადად საყოფაცხოვრებო საკითხები ხდება, მაგალითად, ერთი პატიმრის მიერ, მეორე პატიმრის სატელეფონო ბარათის უნებართვოდ გამოყენება, სიგარეტის მოთხოვნა/წართმევა და თანხის გამოძალვა. ენობრივი ბარიერი კონფლიქტის დამატებითი მიზეზია უცხოელი პატიმრების შემთხვევაში. საანგარიშო პერიოდში სამწუხარო იყო №17 დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შორის მომხდარი

[53] პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები ამოწმებენ ვიზიტის დღემდე შესახლებული ყველა დაკავებულის პირად საქმეს. მითითებული დაკავების გარემოებებმა, დაზიანების ლოკალიზაციამ, რაოდენობამ და ხასიათმა, მონიტორინგის ჯგუფს, ეჭვი გაუჩინა პირების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე. შემოწმება ჩატარდა თბილისის, კახეთის, იმერეთის, აჭარის, გურიის და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებულ პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

[54] თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორებში ეს მონაცემი იყო 33.8% (133 შემთხვევიდან 45 შემთხვევაში ადმინისტრაციულად დაკავებულ პირს დაზიანება მიღებული ჰქონდა დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ). რაც შეეხება დანარჩენ იზოლატორებს, 362 შემთხვევიდან 84 შემთხვევაში, ადმინისტრაციულად დაკავებულ პირს დაზიანება მიღებული ჰქონდა დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ, რამაც 23.2% შეადგინა.

დაპირისპირების შედეგად ორი მსჯავრდებულის დაჭრა და ერთი მსჯავრდებულის გარდაცვალება.

აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ხშირად დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობით და არაფორმალური მმართველობით არის განპირობებული. არაფორმალური მმართველობა პატიმართა შორის ფიზიკური და მძიმე ფსიქოლოგიური ძალადობით ხასიათდება. ძალადობის მსხვერპლი პატიმრები, ხშირად, მოსალოდნელი ანგარიშსწორების თავიდან არიდების მიზნით, გაურბიან დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სამედიცინო პერსონალთან დაზიანების წარმოშობის რეალურ მიზეზებზე საუბარს.

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, პაციენტებს შორის კონფლიქტები, ძირითადად, ერთი პაციენტის მიერ მეორესთვის პირადი ნივთების მოპარვას ან წართმევას უკავშირდება. პაციენტთა შორის ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევაში, პერსონალი ვერ ახერხებს დროულ რეაგირებას და პაციენტების გაშველებას, რის გამოც პაციენტები ზოგჯერ დაზიანებებს იღებენ. ყველა მონახულებულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, პაციენტთა შორის კონფლიქტისას, პერსონალი ხშირად იყენებს ინექციებს, როგორც ნებაყოფლობით, ისე არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების შემთხვევაში.

ფიზიკური გარემო

ფიზიკური გარემოს თვალსაზრისით, მწვავე პრობლემები გამოიკვეთა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. არასათანადო მოპყრობას უტოლდება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული საცხოვრებელი პირობები, რომლებშიც პაციენტებს უწევთ ცხოვრება და უტარდებათ მკურნალობა. ამ მხრივ, 2021 წელს განხორციელებული ვიზიტებისას, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა აღმოჩნდა თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში, „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" მე-9; მე-10; მე-11 და მე-12 განყოფილებებში, ბათუმის სამედიცინო ცენტრის ფსიქიატრიული დაწესებულების მამაკაცთა განყოფილებაში. მწვავე პრობლემებია სურამის ფსიქიატრიულ კლინიკაშიც. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ არცერთ ამ დაწესებულებაში პაციენტები სრულად არ არიან უზრუნველყოფილნი სტანდარტით დადგენილი[55] 8 კვ.მ საცხოვრებელი სივრცით. პაციენტებს ცხოვრება უწევთ საშუალოდ 4-5 კვადრატული მეტრის სივრცეში.[56]

[55] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილება.

[56] მაგ., „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში"; ბათუმის სამედიცინო ცენტრში; სურამის ფსიქიატრიულ კლინიკაში.

პენიტენციურ დაწესებულებებსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული შეზღუდვები

პენიტენციურ დაწესებულებებში, ისევე როგორც ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებულ პირებს, რიგი შეზღუდვები უწესდებათ. მათგან, გარკვეული შეზღუდვების გამოყენება, ამ უკანასკნელთა შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლოა, არასათანადო მოპყრობას გაუტოლდეს. კერძოდ, განსაკუთრებული რისკის და დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმართა უფლებების შეზღუდვის არსებული პრაქტიკა და მათ საჭიროებებზე მორგებული აქტივობების არარსებობა, უარყოფით გავლენას ახდენს პატიმართა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც, თავის მხრივ, ზრდის პატიმრების მიმართ ძალადობის რისკებს,[57] პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს[58] და შეიძლება გაუტოლდეს სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. ამ დაწესებულებებში მყოფი პატიმრები, მათთვის საინტერესო აქტივობის გარეშე, 23 საათის განმავლობაში იმყოფებიან საკანში და მხოლოდ 1 საათის განმავლობაში - სასეირნო ეზოებში, რომელთა მწირი ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პატიმართა განტვირთვასა და რეკრეაციას.[59]

ზემოაღნიშნულის გარდა, სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში ადგილი აქვს პატიმრების ხანგრძლივი დროით იზოლირების პრაქტიკას. მაგალითისთვის, №6 დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ 2020 წლის მსგავსად, პატიმრების ნახევარზე მეტი მოთავსებული იყო განცალკევებით.[60] პატიმრების თვეებისა და წლების განმავლობაში იზოლაციის პირობებში ყოფნა პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და სახალხო დამცველის შეფასებით, წარმოადგენს არასათანადო მოპყრობას.[61] განსაკუთრებული რისკის პენიტენციური დაწესებულების დებულებები დაწესებულებების დირექტორებს კვლავ აძლევს შესაძლებლობას, პატიმარი დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, ხანგრძლივი დროით მოათავსონ ერთადგილიან საკანში და შეუზღუდონ მას სხვა პატიმართან კონტაქტის შესაძლებლობა.

პენიტენციურ დაწესებულებებში დამკვიდრებულ შეზღუდვებთან მიმართებით, ასევე აღსანიშნავია დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში პატიმრების მოთავსების პრაქტიკა. სამწუხაროდ, 2021 წელსაც მიმართავდნენ პატიმრების

---

[57] იხილეთ სახალხო დამცველის ანგარიში „პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე", 2018 წელი, 118-124, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < https://bit.ly/3qYPlcz>, [ბოლოს ნანახია: 16.03.2022].

[58] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 21-ე ზოგადი ანგარიში, CPT/info(2011) 28, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2011, პუნქტი 52, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3icl98K > [ბოლოს ნანახია: 16.03.2022].

[59] ეს ეზოები საკნის ტიპის ოთახებია, რომლებიც ოთხივე მხრიდან დახურულია კედლით, ხოლო ღია ჭერში დამონტაჟებულია მეტალის გისოსები. ეზოებში მინიმალურად არის წარმოდგენილი სავარჯიშო ინვენტარი.

[60] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 55.

[61] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, ჰარაკჩიევი და ტოლუმოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (HARAKCHIEV AND TOLUMOV v. BULGARIA) App. nos. 15018/11 and 61199/12, პარა. 204.

დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში ხანგრძლივ, არამიზნობრივ და დასჯის მიზნით მოთავსებას, რაც უტოლდება სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას. აღსანიშნავია, რომ პატიმრები დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში, უმეტეს შემთხვევაში, მაქსიმალური ვადით გადაჰყავთ, სადაც, ფაქტობრივად, უწყვეტ რეჟიმში, რამდენიმე დღისა და კვირის განმავლობაში არიან მოთავსებულები ერთეული წუთების ინტერვალებით.[62] ასევე საგულისხმოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზიანების რისკის არარსებობის მიუხედავად, პატიმარი, ნორმატიული საფუძვლის გარეშე, მაინც მოათავსეს დეესკალაციის ოთახში ან სამარტოო (უსაფრთხო) საკანში.

სახალხო დამცველი, წლებია, მოითხოვს დეესკალაციის ოთახში მოთავსების ვადის 24 საათამდე შემცირებას. მიუხედავად ამისა, პენიტენციური დაწესებულებების დებულებების შესაბამისად, დეესკალაციის ოთახში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაყვანის ვადად კვლავ 72 საათია განსაზღვრული. ამასთანავე, არ არის შეზღუდული დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში უსაფრთხოების მიზნით პატიმრის განმეორებით მოთავსების რაოდენობა.

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, გასული წლების მსგავსად, აგზნებული ან აგრესიული პაციენტის ქცევის სამართავად აქტიურად გამოიყენება პაციენტის მექანიკური შეზღუდვა და სწრაფი ტრანკვილიზაცია, რომელიც თავისი არსით ქიმიურ შეზღუდვას წარმოადგენს.[63] საგულისხმოა, რომ მექანიკურ ან/და მანუალურ შეზღუდვასთან კომბინირებულად გამოიყენება პაციენტის ქიმიური შეზღუდვა. სახალხო დამცველის შეფასებით, შეზღუდვის მეთოდების ზემოაღნიშნული პრაქტიკა იმით აიხსნება, რომ დაწესებულებებს არ აქვთ კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და არაძალისმიერი (დეესკალაციის)[64] მეთოდებით მართვის პოლიტიკა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, უნდა აღმოფხვრას შეზღუდვის მეთოდების გამოყენების პრაქტიკა. სამწუხაროდ, დაწესებულებების მართვის პოლიტიკა სიტუაციის ესკალაციის რისკების მინიმუმამდე დაყვანისკენ არ არის მიმართული. სახალხო დამცველის შეფასებით, შეზღუდვის მეთოდების გამოყენების ამგვარი პრაქტიკა არასათანადო მოპყრობას უტოლდება.

[62] მაგალითად, №8 პენიტენციურ დაწესებულებაში, ერთ შემთხვევაში, პატიმრის მიმართ დეესკალაციის ოთახში მოთავსების ღონისძიება ზედიზედ 16-ჯერ გამოიყენეს, და პატიმარი დეესკალაციის ოთახში, ფაქტობრივად, უწყვეტად 48 დღის განმავლობაში იმყოფებოდა. №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებაში, ზოგჯერ იკვეთება პატიმრების დეესკალაციის ოთახში 35 დღემდე ვადით მოთავსების შემთხვევები და ხშირია 15 დღეზე მეტი ხნით მოთავსების შემთხვევები. რაც შეეხება განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებს, №3 და №6 პენიტენციურ დაწესებულებებში, ზოგჯერ იკვეთება დეესკალაციის ოთახებში პატიმრების 10 დღემდე ვადით მოთავსების შემთხვევები.

[63] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები „ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ზრდასრულთა შეზღუდვის მეთოდების თაობაზე", ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3texFLj > [ბოლოს ნანახია: 16.03.2022].

[64] დეესკალაციის ტექნიკის შემადგენელი ელემენტებია: პოტენციური კრიზისის დაუყოვნებელი შეფასება და სწრაფი ჩარევა; პრობლემის გადაჭრაზე ორიენტაცია; ემპათიურობა და დამარწმუნებლობა; სტრესის მართვის ან რელაქსაციის ტექნიკების ფლობა, როგორიცაა სუნთქვითი ვარჯიშები; პირისთვის სივრცის გამოყოფა; არჩევანის შეთავაზება; ფიქრისთვის დროის მიცემა.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სტაციონარში მოთავსებული პაციენტის მიმართ ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის საშუალებების გამოყენების შემცირებასა და საბოლოოდ აღმოფხვრას.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და ბათუმის სამედიცინო ცენტრში გამოიყენება ისეთი სტატიკური უსაფრთხოების ზომა, როგორიც არის პაციენტთა ხანგრძლივი დროით სხვა პაციენტებისგან განცალკევება. „ფსიქიკური მდგომარეობის" საფუძველზე პაციენტის ხანგრძლივად განცალკევებით მოთავსება იმაზე მიუთითებს, რომ დაწესებულებების განყოფილებებში არ არის უზრუნველყოფილი დინამიკური უსაფრთხოება და პაციენტის სათანადო მეთვალყურეობა.

პატიმრების სრული შემოწმების პრაქტიკა

საანგარიშო პერიოდში, №2, №3, №5, №6 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების დროს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ამ დაწესებულებებში პატიმრების პირველადი შესახლების, ასევე, დაწესებულებიდან გაყვანის და დაწესებულებაში დაბრუნების დროს, გასული წლების მსგავსად, 2021 წელსაც შენარჩუნებული იყო მათი სრული გაშიშვლების და ბუქნების გაკეთების პრაქტიკა.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ სრული შემოწმების დროს, პირს არ უნდა მოეთხოვებოდეს სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლება.[65] ამ სტანდარტის საპირისპიროდ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებები[66] მთლიანად გაშიშვლების შესაძლებლობას იძლევა. რაც შეეხება ბუქნების გაკეთების მოთხოვნის პრაქტიკას, პენიტენციური დაწესებულებების დებულებები მას არ ითვალისწინებს. ამგვარი პრაქტიკა, სახალხო დამცველის შეფასებით, პატიმრების მიმართ დამამცირებელი და ღირსების შემლახავი მოპყრობაა.

2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, სრული შემოწმების დროს, რისკის ინდივიდუალური შეფასების და თანაზომიერების პრინციპების დაცვის ვალდებულების ნორმატიულად განსაზღვრის, ასევე, სრული გაშიშვლებისას პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნის აკრძალვის რეკომენდაციით მიმართა. სამწუხაროდ, რეკომენდაცია არ შესრულებულა.

---

[65] ევროპის საბჭო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ (2014 წლის 1-10 აპრილი, პარა. 85), ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/35cCmvq> [ბოლოს ნანახია: 10.12.2021].

[66] პენიტენციური დაწესებულებების დებულებების თანახმად, პირადი სრული შემოწმებისას ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია უფლებამოსილი პირის მითითების შემდეგ, მთლიანად გაიხადოს ან გაიშიშვლოს სხეულის შესაბამისი ნაწილები.

სამედიცინო მომსახურება პენიტენციურ დაწესებულებებში

სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს პენიტენციურ დაწესებულებებში დროული და ხარისხიანი სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის დაცვის სერვისების უზრუნველყოფის და პატიმრების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებზე, რაც, რიგ შემთხვევებში, არასათანადო მოპყრობას უტოლდება. 2021 წელს კვლავ პრობლემად რჩება წვდომა სამედიცინო მომსახურებაზე, სამედიცინო პერსონალის რაოდენობა[67] და კვალიფიკაცია, სამედიცინო დოკუმენტაციის სათანადო წარმოება, სამედიცინო კონფიდენციალურობის დაცვა,[68] სამედიცინო რეფერალის დროული განხორციელება, ფსიქიატრიული ჯანდაცვის და პრევენციული ჯანდაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა.

პენიტენციური ჯანდაცვის კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემუშავდეს პენიტენციური ჯანდაცვის სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში სრული ინტეგრაციის გეგმა.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი საქმე შეისწავლა, სადაც კონკრეტული პატიმრებისთვის არადროული ან არასათანადო სამედიცინო მომსახურების მიწოდების ფაქტი დასტურდება.[69]

დროული სამედიცინო მომსახურებისთვის მნიშვნელოვანია დაწესებულებებში პირველადი ჯანდაცვის რგოლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სამწუხაროდ, არ შესრულებულა სახალხო დამცველის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ამ მიმართულებით და არ გაზრდილა პენიტენციური დაწესებულებების საშუალო სამედიცინო რგოლი, მათ შორის, მორიგე ექთნების რაოდენობა; დაწესებულებებში არ არის უზრუნველყოფილი ექიმ-სპეციალისტების ვიზიტების სათანადო სიხშირე, ხოლო პაციენტის მოლოდინის დრო 2 კვირას აღემატება.

დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მისაღებად მნიშვნელოვანია ექიმ-სპეციალისტებთან დროული რეფერირებაც. 2021 წლის მარტიდან განახლდა გეგმური ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო რეფერალის განხორციელება სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ელექტრონული ბაზის სამედიცინო რეფერალის შეჩერებით გამოწვეული გადატვირთვის გამო, სამედიცინო რეფერალის ვადები დარღვეული იყო. ასევე საყურადღებოა სასწრაფო დაყოვნებული წესით გადაყვანის შემთხვევები, რასაც, რიგ შემთხვევებში, 1 თვე ან მეტი დასჭირდა. გარდა ამისა, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც

---

[67] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) 2007 წელს საბერძნეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში უთითებს, რომ ერთ ექიმზე - 300, ხოლო ერთ ექთანზე 50 პატიმარზე მეტი არ უნდა მოდიოდეს. საქართველოში, დიდ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებისა და ექთნების რაოდენობის თანაფარდობა მაღალია და შესაბამისად, საჭიროა საშუალო სამედიცინო პერსონალის დამატება.

[68] ვიზიტების დროს, პატიმრები კვლავ მიუთითებდნენ ექიმთან შეხვედრის დროს დაწესებულების არასამედიცინო თანამშრომლის დასწრების პრობლემაზე.

[69] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში.

პაციენტები სამედიცინო რეფერალს რამდენიმე თვე კი არა, წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ელოდნენ.

პენიტენციურ დაწესებულებებში არ ხდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგი. პრობლემაა დროული რეფერირება ფსიქიატრთან. ასევე კვლავ პრობლემურია ფსიქიატრიულ სტაციონარში დროულად გადაყვანის საკითხიც, რაც დაკავშირებულია ექსპერტიზის დროულად ჩატარებასთან.

დაწესებულებებში ფსიქიატრიული დახმარება არ შეესაბამება თანამედროვე ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომის და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ჯანდაცვის პრინციპებს, მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციით შემოიფარგლება და არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა. მნიშვნელოვანია, რომ ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი ჩართულები იყვნენ ფსიქიატრიული შეფასების პროცესსა და მართვაში, ამისთვის კი, უნდა გაიზარდოს ფსიქიატრსა და დაწესებულების სოციალურ სამსახურს შორის კომუნიკაცია.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებულ პაციენტთა არანებაყოფლობითი მკურნალობა

აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს, რომ სტაციონარში პირი თანხმობის გარეშე მოათავსონ მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ, უკიდურეს შემთხვევებში, სასამართლო კონტროლისა და სამართლებრივი დაცვის სათანადო გარანტიების პირობებში.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და საპატრულო ეკიპაჟების ჩართულობით პირის სტაციონარში ნების საწინააღმდეგოდ გადაყვანა პირის თავისუფლების შეზღუდვა და არანებაყოფლობითი სტაციონირების საწყისი ეტაპია[70] და მას, ამ ეტაპიდანვე, მისთვის გასაგები ფორმით უნდა განემარტოს თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი და მისი უფლებები. სამწუხაროდ, პირის სტაციონარში ნების საწინააღმდეგოდ გადაყვანის შემდეგ, არ ხდება არანებაყოფლობითი სტაციონარული დახმარებისთვის აუცილებელი სამართლებრივი პროცედურების ამოქმედება. იმისთვის, რათა დაწესებულებებმა თავი აარიდონ არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარებისთვის საჭირო პროცედურებს,[71] პაციენტებს ხელს აწერინებენ ინფორმირებული თანხმობის ფორმაზე

[70] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

[71] პაციენტის სტაციონარში არანებაყოფლობითი წინასწარი მოთავსება ხდება სტაციონარის მორიგე ექიმის გადაწყვეტილებით. სტაციონარში მოთავსებიდან 48 საათში ექიმ-ფსიქიატრთა კომისიამ უნდა შეისწავლოს პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობა და გადაწყვიტოს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიზანშეწონილობის საკითხი. თუ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია დაასკვნის, რომ არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება არ არის მიზანშეწონილი, პაციენტი დაუყოვნებლივ უნდა გაეწეროს სტაციონარიდან. თუ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია დაასკვნის, რომ არ კმაყოფილდება არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარებისთვის კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმები, თუმცა არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება აუცილებელია, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია მიმართავს სასამართლოს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პაციენტის სტაციონარში მოთავსების შესახებ

ისეთი ხერხებით, რაც გამორიცხავს ან ეჭქვეშ აყენებს თავისუფალი ნების გამოვლენის ნამდვილობას. პაციენტების უმეტესობა დაწესებულებაში შემოსვლისას ინფორმირებული თანხმობის ფორმას გაუცნობიერებლად ან იძულებით აწერს ხელს. აღსანიშნავია, რომ თანხმობის გარეშე პაციენტის მკურნალობამ, შესაძლოა, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ზღვარსაც კი მიაღწიოს.[72]

სახალხო დამცველი მიესალმა „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონში შესულ ცვლილებას, ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდის გამოყენებისას, პაციენტის სამართლებრივი სტატუსის გადახედვის თაობაზე,[73] თუმცა, სამწუხაროდ, კანონში შესულმა ცვლილებამ დაწესებულებებში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე ზეგავლენა ვერ იქონია. ზემოაღნიშნული მუხლი სრულიად უგულებელყოფილია. დაწესებულებებმა ვერ წარმოადგინეს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ იმსჯელეს ნებაყოფლობითობის სტატუსის გადასინჯვის თაობაზე და მიიღეს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომ სასამართლოსთვის მიმართვის აუცილებლობა არ არსებობდა.

დანანებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნორმატიულ დონეზე კვლავ არ არის განსაზღვრული სტაციონარში მოთავსებისა და მკურნალობისთვის ცალ-ცალკე ინფორმირებული თანხმობების მიღების ვალდებულება. შესაბამისად, ისევე როგორც სტაციონირებაზე თანხმობის შემთხვევებში, მკურნალობის მეთოდების შერჩევისას პაციენტების ნება კვლავ უგულებელყოფილია. პაციენტისგან ინფორმირებული წერილობითი თანხმობის მიღება მნიშვნელოვანია მკურნალობის როგორც დაწყების, ისე გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ეტაპებზე.[74]

2021 წელს მონახულებულ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, გასული წლების მსგავსად, პაციენტების უმრავლესობამ არ იცოდა, რა მედიკამენტებს/ინექციებს იღებდა, არ იცოდა, რა იყო ამ მედიკამენტების გვერდითი ეფექტები და რატომ იყო მნიშვნელოვანი კონკრეტული მედიკამენტების მიღება. სამწუხაროდ, პაციენტები აღნიშნავდნენ, რომ ინექციების იძულებით გაკეთება ჩვეული პრაქტიკაა და წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ აქვს. ამ პროცესში სამედიცინო პერსონალი იყენებს დაცვის თანამშრომლებს, სანიტრებს ან სხვა პაციენტებს. სამწუხაროდ, არ მიმდინარეობს პაციენტის ნების საწინააღმდეგოდ სწრაფი ტრანკვილიზების შემთხვევების და ამ პროცესში პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის დოკუმენტირება. დაწესებულებებში დამკვიდრებული

შესაბამისი ბრძანების გამოცემის მოთხოვნით პირის სტაციონარში მოთავსებიდან 48 საათში („ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლი).

[72] წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში გენერალური ასამბლეის წინაშე, A/63/175, 2008 წლის 28 ივლისი, პარა. 63, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3uecqqF >[ბოლოს ნანახია: 30.12.2020].

[73] ეს, სახალხო დამცველის რეკომენდაციასთან ერთად, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციაც იყო (წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის, 2018 წლის 10-21 სექტემბერს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიში, პარა. 136).

[74] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-8 ზოგადი ანგარიში „არანებაყოფლობით მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში", პარა. 41.

პრაქტიკა, არ დაასაბუთონ დანიშნულების მიღმა გამოყენებული ინექციების აუცილებლობა, ზრდის პერსონალის თვითნებობის რისკებს.

წინა წლების მსგავსად, 2021 წელს პაციენტთა ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. სახალხო დამცველის რეკომენდაცია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტების საჭიროებების შეფასების, მათი დაწესებულებებიდან გაწერისა და სათემო სერვისებზე გადამისამართებასთან დაკავშირებით, კვლავ შეუსრულებელია. პაციენტები, რომლებიც აქტიურ მკურნალობას არ საჭიროებენ, სათემო სერვისების სიმწირის, ასევე, იმის გამო, რომ წასასვლელი არსად აქვთ, დაწესებულებას ვერ ტოვებენ.[75]

ექსტრადიცია

სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, არ მოახდინოს პირის გაძევება, დაბრუნება ან ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში, როდესაც არსებობს სერიოზული საფუძველი, რომ იქ პირი წამებას დაექვემდებარება.[76] სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ამ პრინციპთან შეუსაბამო შემთხვევები. მაგალითისთვის, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის საქმე. მსჯავრდებულის განცხადებით, ექსტრადიცია, წარსულში მისი პოლიტიკური საქმიანობისა და ლგბტქ+ თემისადმი კუთვნილების გამო, მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა მისი წამებისა და არაადამიანური მოპყრობისგან დაცვის უფლებას.[77]

საქმის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს მსჯავრდებულის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის მიზანშეუწონლობის თაობაზე.[78] წინადადებაში მითითებულია, რომ 2000 წელს ჰომოსექსუალობის ლეგალიზაციის მიუხედავად, აზერბაიჯანი ლგბტქ+ ადამიანებისთვის ევროპაში ყველაზე საფრთხის შემცველ ქვეყანად რჩება.[79] შესაბამისი არგუმენტებით დასაბუთებული სახალხო დამცველის პოზიციის მიუხედავად, სამწუხაროდ, საქართველოს

---

[75] შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში", 2020 წლის 12 ივნისისთვის 6 თვეზე მეტი ხნის განმალობაში იმყოფებოდა 12 პაციენტი, რომელთაგან 5 პაციენტი 1 წელზე მეტი ხნით იყო მოთავსებული. მათ შორის არიან ისეთი პაციენტები, რომლებიც 2011 წლიდან იმყოფებიან ფსიქიატრიულ სტაციონარში. შპს „თბილისი ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში", 2020 წლის 16 სექტემბრისთვის, 6 თვეზე მეტი ხნის განმალობაში იმყოფებოდა 71 პაციენტი (24 კაცი და 47 ქალი), რომელთაგან 5 პაციენტი 1 წელზე მეტი ხნით იყო მოთავსებული. დაწესებულებაში არიან ისეთი პაციენტები, რომლებიც 2008, 2014, 2015, 2016, 2017 წლებიდან არიან მოთავსებულები ფსიქიატრიულ სტაციონარში.

[76] კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[77] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში.

[78] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ოქტომბრის №15-3/10221 წინადადება.

[79] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Awkwh7 > [ბოლოს ნანახია 16.03.2022].

გენერალურმა პროკურატურამ არ გაიზიარა[80] საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა ასევე განაგრძო 2019 წელს საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებული ი. ს.-ს საქმის მონიტორინგი. ამ საქმეზე, რუსეთის ფედერაციამ საქართველოს სახელმწიფოს მისცა სამართლებრივი გარანტიები, რომ არ დაირღვეოდა პირის უფლებები და ის არ დაექვემდებარებოდა არასათანადო მოპყრობას რუსეთის ფედერაციის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ამის საწინააღმდეგოდ, 2021 წელს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ ამ პატიმრის მიმართ ადგილი ჰქონდა უფლებების განგრძობად დარღვევას,[81] რასაც ადასტურებს რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებების კომისრის წერილიც.[82] მნიშვნელოვანია, საქართველოს უფლებამოსილმა ორგანოებმა, ეს კონკრეტული შემთხვევა მხედველობაში მიიღონ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პირის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის საკითხი დადგება.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ საქმეზე რუსეთის ფედერაციამ დამატებით მოითხოვა ექსტრადირებული პირის მიმართ ბრალის დამძიმება, რასაც სახალხო დამცველი ეწინააღმდეგება, რადგან წარდგენილი ბრალი სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. 2022 წლის იანვრის მდგომარეობით, ამ საკითხზე გენერალურ პროკურატურაში გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იყო მიღებული.

საანგარიშო პერიოდში ასევე საგულისხმო იყო ბელარუსის რესპუბლიკაში დაკავებული საქართველოს მოქალაქის საქმე. სახალხო დამცველმა, მინსკის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა, რომ ბრალდებულის მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, აგრეთვე, სიკვდილით დასჯის მაღალი რისკის გამო, ბელარუსის რესპუბლიკას არ დაეშვა მისი ლიბანის რესპუბლიკაში ექსტრადიცია. სასამართლო მეგობრის მოსაზრების გაგზავნის შემდეგ, ბელარუსის რესპუბლიკამ უარი თქვა პირის ლიბანში ექსტრადირებაზე.

2.3. არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები/არასათანადო მოპყრობის გამომწვევი ფაქტორები

არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობის დონეზეც და პრაქტიკაშიც თავისუფლებააღკვეთილი/შეზღუდული პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ სამართლებრივი დაცვის მინიმალური გარანტიებით. ამ გარანტიების ნორმატიულ დონეზე არსებობა და მათი ეფექტიანი აღსრულება ამცირებს არასათანადო მოპყრობის რისკებს, რადგან შესაძლებელი ხდება უკანონო ქმედების

[80] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 26 ნოემბრის №13/71783 წერილი.

[81] ი. ს.-ს ადვოკატი მიუთითებდა პენიტენციურ დაწესებულებაში მძიმე პირობებზე, რეგულარულ, გეგმურ პირად შემოწმებებზე, რომლებსაც თან ახლდა გაშიშვლება კონკრეტული საფუძვლის გარეშე, პატიმრობის უვადო გახანგრძლივების პრობლემურობაზე, ადვოკატთა კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევასა და ოჯახის წევრებთან შეხვედრისა და დარეკვის შეზღუდვაზე.

[82] რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისრის 2021 წლის 17 დეკემბრის წერილი.

გამოვლენა და მასზე რეაგირება. დამატებით, წინამდებარე თავში წარმოვადგენთ არსებულ გარემოპირობებს, რომლებიც ქმნიან არასათანადო მოპყრობის საფრთხეს ან, ხშირ შემთხვევაში, იწვევენ ასეთ მოპყრობას.

არასათანადო მოპყრობის გამოვლენისა და დოკუმენტირების ხარვეზები

არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ ხარვეზების გარეშე მიმდინარეობდეს როგორც ამგვარი მოპყრობის გამოვლენის, ისე დოკუმენტირების პროცესი. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში, ეს საკითხი პრობლემური იყო როგორც პენიტენციური და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემების, ისე ფსიქიატიული დაწესებულებების შემთხვევაშიც.

პენიტენციური დაწესებულებების კონტექსტში, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების მიუხედავად[83], პრობლემად რჩება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმარი უარს აცხადებს სამედიცინო შემოწმებაზე. კერძოდ, არსებული რეგულაციის პირობებში, თუ ექიმი ვერ მოიპოვებს პატიმრის ინფორმირებულ თანხმობას, მას არ აქვს უფლება შეავსოს დაზიანების აღრიცხვის სპეციალური ფორმა. ამგვარი რეგულაციის პირობებში, შესაძლოა, გამოვლენის, დოკუმენტირებისა და შეტყობინების მიღმა დარჩეს ისეთი შემთხვევები, როდესაც დაწესებულებაში პატიმრების მიღებისას ან დაწესებულებიდან მისი გაყვანისა და დაბრუნების დროს, ის თანხმობას არ აცხადებს სამედიცინო შემოწმებაზე, თუმცა, შესაძლოა, მის მიმართ ადგილი ჰქონოდა არასათანადო მოპყრობას.

ასევე საგულისხმოა, რომ ბოლო პერიოდში დამკვიდრებული პრაქტიკით, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებაში მყოფი პატიმარი მიუთითებს, რომ მიიღო საყოფაცხოვრებო ტრავმა, პენიტენციური დაწესებულებები შეტყობინებებს არ უგზავნიან იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში წარმოებულ დოკუმენტაციაში, პატიმრების სხეულის დაზიანების მიზეზად, მითითებულია საყოფაცხოვრებო ტრავმები, თუმცა ამ დაზიანებების ხასიათი, მდებარეობა და მათი წარმოშობის წყაროს შესახებ მითითებული ინფორმაციის ანალიზი წარმოშობს გონივრულ ეჭვს, რომ დაზიანება სავარაუდოდ მიყენებულია ძალადობის შედეგად.

საგულისხმოა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წელს, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფმა 2172 პატიმარმა მიიღო სხეულის დაზიანება, რომელთაგან 310 იყო სხვა პირის მიერ მიყენებული დაზიანება, ხოლო 93 შემთხვევაში პატიმარმა არ მიუთითა დაზიანების

[83] 2020 წელს განხორციელებული ცვლილება ექიმს შესაძლებლობას აძლევს, სამედიცინო შემოწმებაზე ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, შეტყობინება გაუგზავნოს სახელმწიფო ინსპექტორს ისეთ შემთხვევებზეც კი, როდესაც პატიმარი არ საუბრობს ძალადობაზე და ექიმს ეჭვი მაინც წარმოეშობა.

წარმოშობის წყაროს შესახებ.[84] შესაბამისად, ამ მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ 1769 პატიმრის სხეულზე არსებული დაზიანებები თვითდაზიანებად და საყოფაცხოვრებო ტრავმებად დარეგისტრირდა.

პენიტენციურ დაწესებულებებში ძალადობის შემთხვევების დოკუმენტირების მექანიზმის ეფექტიანობას ხელს უშლის არაკონფიდენციალურ გარემოში პატიმრის და ექიმის შეხვედრის დამკვიდრებული პრაქტიკა. სათანადო კვალიფიკაციის და ინფორმაციის არქონის პირობებში, ექიმები ვერ ახერხებენ დაზიანებების დოკუმენტირების მნიშვნელობის და მიზნის ახსნას და პატიმრის ნდობის მოპოვებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემასთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ, სამწუხაროდ, პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებში კვლავ ხარვეზებით იწარმოება დაკავებულ პირთა შესახებ დოკუმენტაცია. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონახულებული 35 დაწესებულებიდან 11 დაწესებულებაში ჟურნალების შევსების არსებითი ხარვეზები გამოვლინდა.

გასული წლების მსგავსად, შენარჩუნებულია ტენდენცია, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების მიერ შესწავლილი და დამუშავებული შემთხვევების დაახლოებით ერთ მესამედში (2021 წელი - 29.1%, 2020 წელი - 26.3%, 2019 წელი - 30.7%, 2018 წელი - 27.6 %, 2017 წელი - 30.1%, 2016 წელი - 31.3%), დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია იზოლატორებში არსებულ სამედიცინო ჩანაწერებში. 2020 წელს დამუშავებული 495 შემთხვევიდან 145 შემთხვევაში იზოლატორში აღწერილი დაზიანებები არ იყო მითითებული პირის დაკავების ოქმში. ცხადია, ამ შემთხვევებში ჩნდება მყარი პრეზუმფცია, რომ დაკავებული პირი, შესაძლოა, პოლიციის კონტროლის ქვეშ დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას.[85]

ასევე პრობლემურია, რომ ადმინისტრაციული დაკავების ოქმი საერთოდ არ შეიცავს გრაფას, სადაც პოლიციის თანამშრომელმა უნდა მიუთითოს დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანებები, რაც არაერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს - პოლიციის ზოგიერთი თანამშრომელი, ადმინისტრაციული დაკავების ოქმში, შენიშვნის გრაფაში აღწერს დაზიანებებს, ხოლო ზოგიერთი - არა.

აღსანიშნავია, რომ მცირედით გაუმჯობესებულია დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმების მიერ დაკავებულ პირთა დაზიანებების დოკუმენტირება. მიუხედავად ამისა, 2021 წელსაც, ნახევარზე მეტია იმ შემთხვევების ხვედრითი წილი, სადაც დაზიანების მიღების გარემოებები არასრულყოფილად ან საერთოდ არ არის აღწერილი.

ზემოთქმულის გარდა, მნიშვნელოვანია დაზიანებების ფოტოგრაფირებასთან დაკავშირებული სტატისტიკა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული

[84] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2021 წლის 21 დეკემბრის №309509/01 და 2022 წლის 18 იანვრის №15421/01 წერილები.
[85] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, სალმანი თურქეთის წინააღმდეგ (Salman v. Turkey, N21986/93), პარა. 100.

სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით, დოკუმენტირებული 421 შემთხვევიდან ფოტო გადაღებული იყო 35 (8,3%) შემთხვევაში. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების მიერ ნანახი არცერთი ფოტოს ხარისხი არ იყო დამაკმაყოფილებელი, ფოტოები იყო ბუნდოვანი, არასაკმარისი ან ზედმეტად მკვეთრი განათების პირობებში გადაღებული. დროებითი მოთავსების იზოლატორებში კვლავ არ არის დადგენილი სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად გადაღებული ფოტოების შენახვის ერთიანი წესი.

ასევე საგულისხმოა, რომ წინა წლების მსგავსად, კვლავ არის შემთხვევები, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულს აღენიშნებოდა დაზიანებები, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შეტყობინება არ გაგზავნილა. 2021 წელს დამუშავებული 495 შემთხვევიდან სახელმწიფო ინსპექტორთან შეტყობინება გაგზავნილია 441 (89%) შემთხვევაში, 54 (11%) შემთხვევაში კი არ არის გაგზავნილი. გაუგზავნელ შეტყობინებებს შორის არის შემთხვევები, როდესაც დაკავებულს დაზიანება აღენიშნება სახესა და თვალბუდეზე და დაზიანებების ხარისხი და ფერი მიანიშნებს, რომ ეს სავარაუდო ძალადობის შედეგად ახლად მიღებული დაზიანებებია.

პენიტენციური სისტემის მსგავსად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებშიც, ძალადობის შემთხვევების დოკუმენტირების მექანიზმის ეფექტიანობას ხელს უშლის არაკონფიდენციალურ გარემოში დაკავებულისა და ექიმის შეხვედრის დამკვიდრებული პრაქტიკა. გარდა ამისა, საგულისხმოა სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ სასწრაფო დახმარების ექიმების მიერ შედგენილი სამედიცინო ბარათები მხოლოდ იზოლატორების ექიმებთან უნდა ინახებოდეს. მართალია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2021 წლის 19 ივლისიდან უზრუნველყო სასწრაფო დახმარების ექიმების მიერ შედგენილი დოკუმენტაციის დედნის იზოლატორის ექიმისთვის გადაცემა, თუმცა, ასლი კვლავ იზოლატორის თანამშრომელთან რჩება.[86]

ასევე პრობლემურია დაკავებული პირის თანხმობის გარეშე, სასამართლო განჩინების საფუძველზე, სამედიცინო დოკუმენტაციის იმ საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემა, რომელიც კონკრეტული დაკავებულის სისხლის სამართლის საქმეს იძიებს, ვინაიდან დაზიანებების დოკუმენტირების მიზანია წამების და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და არა მტკიცებულებების შექმნა თავად დაკავებული პირის წინააღმდეგ. გარდა ამისა, პრობლემურია დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმების მიერ დაკავებულის სხეულიდან ნიმუშის აღება.[87] ექიმის მონაწილეობა დაკავებული პირის თანხმობის გარეშე სისხლის ნიმუშის აღებაში აზარალებს პაციენტსა და ექიმს შორის

[86] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი. პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 28.
[87] გაეროს გენერალური ასამბლეის 1982 წლის 18 დეკემბრის 37/194 რეზოლუცია „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დასჯის დასაცავად სამედიცინო პერსონალის ეთიკური პრინციპები". მუხ. 3. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3w5dVLY >, [ბოლოს ნანახია: 16.03.2022].

ურთიერთობას,[88] ამცირებს ნდობას და საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების გამოვლენაზე.

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, პაციენტთა შორის კონფლიქტისა და ძალადობის შემთხვევების ერთ-ერთი რისკ ფაქტორია ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის პრობლემების და სხვადასხვა საჭიროების მქონე პაციენტთა ერთად, სათანადო ზრუნვისა და მეთვალყურეების გარეშე, ქაოტურ გარემოში მოთავსება. სამწუხაროდ, არცერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არ არის მიღებული საკმარისი ზომები პაციენტთა არასათანადო მოპყრობისგან დასაცავად. ძალადობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია დაწესებულებებში პაციენტებს შორის კონფლიქტების პრევენციის სტრატეგიის არარსებობა. შესაბამისად, პაციენტებისგან მომდინარე რისკების შეფასებისა და შემცირების ეფექტიანი სისტემის არარსებობის გამო, პერსონალი პაციენტთაგან მომდინარე საფრთხეების გამოვლენას ვერ ახერხებს.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არ არის დანერგილი პაციენტის მიმართ ჩადენილი შესაძლო ძალადობის დოკუმენტირებისა და საგამოძიებო უწყებაში შეტყობინების გაგზავნის სამართლებრივი მექანიზმი. ფსიქიატრიული დაწესებულებები პრაქტიკულად რეაგირების გარეშე ტოვებენ უკვე მომხდარ კონფლიქტებს, რადგან დაწესებულებებს არ აქვთ ვალდებულება სპეციალურ ჟურნალში აღნუსხონ ძალადობის შემთხვევები და მიიღონ შესაბამისი ზომები. დამატებით, ფსიქიატრიული დაწესებულებები არ აღრიცხავენ გამოყენებული შეზღუდვების მეთოდებს, არ გააჩნიათ დოკუმენტაციის წარმოების ერთიანი მიდგომა. გასული წლების მსგავსად, ფსიქიატრიული დაწესებულებები მხოლოდ მექანიკური შეზღუდვის დოკუმენტირებას აწარმოებენ, თუმცა, ხარვეზებით.

სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაცია და რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში, როგორც პენიტენციურ სისტემაში, ისე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გამოწვევას წარმოადგენდა პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაცია და რაოდენობა, რაც ამ დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის რისკებს ქმნის.

საანგარიშო პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე პრევენციული ვიზიტების შედეგად გაირკვა, რომ პატიმრების დიდი რაოდენობით და დაწესებულების თანამშრომლების[89] მცირე რაოდენობის თანაფარდობით გამოწვეული დისბალანსი ვერ უზრუნველყოფს დაწესებულებებში უსაფრთხო, დაცულ და მოწესრიგებულ გარემოს. გადატვირთულობის პრობლემა დგას როგორც ნახევრად ღია, ასევე, დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების მიერ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის ვიზიტებისას მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა

[88] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში 2006 წელს სლოვენიაში ვიზიტის შემდგომ, პარა. 99, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tZxker > [ბოლოს ნანახია: 16.03.2022].
[89] სამართლებრივი რეჟიმის და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლები.

პროფესიული და დამხმარე კადრების აშკარა დეფიციტი, რაც ფსიქიატრიული დახმარების ხარისხზე[90] უარყოფითად აისახება. ასევე, გამოწვევაა პერსონალის კვალიფიკაცია, განსაკუთრებით, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კუთხით; უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულება, მოტივაციის ნაკლებობა, დაბალი ანაზღაურება და არახელსაყრელი სამუშაო პირობები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ მიიღოს ყველა ზომა, რათა სისტემური მონიტორინგის გზით გაკონტროლდეს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების შესაბამისობა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის შესახებ დებულებით დადგენილ სტანდარტებთან. ფსიქიატრიული დაწესებულებების კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია გადაიხედოს სომატური ჯანმრთელობის მომსახურების დაფინანსების არსებული მოდელი, რათა ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტები სრულად და დროულად იყვნენ უზრუნველყოფილნი სომატური დაავადებების მკურნალობით, თერაპევტის მომსახურებით პაციენტის დაწესებულებაში მოთავსებისთანავე, სტომატოლოგიური მომსახურებით და სხვ.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას, მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის პერიოდში, დაკავებულებს სამედიცინო მომსახურება დროულად მიეწოდებოდათ. თუმცა, საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, 2021 წელს შემცირდა იმ იზოლატორების რაოდენობა, სადაც არის სამედიცინო პუნქტი და რეგულარულად მორიგეობს ექიმი. კერძოდ, სამედიცინო პუნქტი 2021 წლის მდგომარეობით, ფუნქციონირებდა 21 იზოლატორში, მაშინ როდესაც ეს რიცხვი გასულ წელს 23 იყო და წინა წლებთან შედარებით იზრდებოდა. ასევე საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, სამედიცინო პერსონალი მუდმივად მხოლოდ 10 იზოლატორში მორიგეობს და სამედიცინო პერსონალის მოზიდვის და დასაქმების კუთხით წინსვლა არ შეინიშნება.

მოთხოვნა/საჩივარი - გასაჩივრების მექანიზმის ხარვეზები

არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმის არსებობა. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში, წინა წლების მსგავსად, გამოწვევას წარმოადგენდა პენიტენციურ დაწესებულებებსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული გასაჩივრების მექანიზმის ეფექტიანობა. ორივე სისტემაში გამოიკვეთა, რომ პატიმრები და ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტები არ ფლობენ სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციას.

მისასალმებელია 2021 წლის 5 ივლისის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ დააკმაყოფილა სახალხო დამცველის სარჩელი და დაადგინა პატიმრობის კოდექსის იმ დებულებების კონსტიტუციასთან შეუსაბამობა, რომელიც ბრალდებულს/მსჯავრდებულს, დისციპლინური სახდელის და

[90] ფსიქიატრიულ დახმარებასთან დაკავშირებით, მათ შორის, ანტიფსიქოზური მედიკამენტებით მკურნალობასთან დაკავშირებით, დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიშში.

სამარტოო საკანში ყოფნის პერიოდში, ბლანკეტურად უზღუდავდა სახალხო დამცველის ცხელ ხაზთან დაკავშირების უფლებას.[91]

2021 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგისას კვლავ გამოვლინდა, რომ პატიმრებისთვის გასაჩივრების უფლების რეალიზებას, კრიმინალურ სუბკულტურასთან ერთად, აბრკოლებს პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციაც. სახალხო დამცველის აპარატში ყველაზე მეტი მომართვა კვლავ დახურული დაწესებულებებიდან შემოვიდა, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებიდან შემოსული განცხადებების რიცხვი ისევ მცირეა. კრიმინალური სუბკულტურის გავლენით, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში, მსჯავრდებულები თავს იკავებენ საჩივრების გაგზავნისაგან. კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების მიღება დამოკიდებულია დაწესებულების თანამშრომელზე. მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის შინაარსი დაწესებულებისთვის უცნობი დარჩება, თავად საჩივრის დაწერის ფაქტმაც კი შეიძლება პრობლემა შეუქმნას პატიმარს და ამის გამო მან თავი შეიკავოს კონფიდენციალური საჩივრის კონვერტის მოთხოვნისა და გაგზავნისაგან. საჩივრის გაგზავნისგან თავის შეკავების თვალსაზრისით, პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ დახურულ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში საჩივრები და წერილები იკარგება, პატიმრების ნაწილს არ აქვს საჩივრის დასაწერად საჭირო საშუალებები.

პენიტენციური დაწესებულებების მსგავსად, ხარვეზიანი იყო ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული გასაჩივრების მექანიზმიც. მართალია, კანონმდებლობა ითვალისწინებს პაციენტის უფლებას, შეიტანოს საჩივარი და განცხადება სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში,[92] თუმცა პაციენტის მიერ ამ მექანიზმების გამოყენების პროცედურა ნორმატიულ დონეზე არ არის გაწერილი.

პაციენტები ძირითადად სატელეფონო ზარის საშუალებით უკავშირდებიან სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის, სახალხო დამცველს. დაწესებულებებში გამოკრულია სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი, თუმცა ტელეფონთან დაკავშირებული პრობლემების,[93] არაკონფიდენციალური გარემოს და ინფორმირებულობის ნაკლებობიდან გამომდინარე, ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან შემოსული ზარები და განცხადებები ძალზე მწირია როგორც სახალხო დამცველის აპარატში, ისე პაციენტის უფლებებზე მომუშავე არასამათავრობო ორგანიზაციებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პაციენტებს ხელი არ მიუწვდებათ იურიდიულ კონსულტაციაზე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა დაწესებულებაში იურისტი.

---

[91] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/3/1441 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fVTxUd> [ბოლოს ნანახია: 03.11.2021].

[92] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1 „ზ" პუნქტი.

[93] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თავი.

პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა. 2021 წელს მდგომარეობა არ შეცვლილა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც ისევ ერთად არიან განთავსებულები ბრალდებულები და მსჯავრდებულები. კვლავ დარღვეულია საერთაშორისო სტანდარტები[94] და პატიმრობის კოდექსის დადგენილი მოთხოვნა ბრალდებულების მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით განთავსების შესახებ.[95] ამ დაწესებულებებში, გადატვირთულობის გამო, პატიმრების საკნებში განაწილების დროს, კვლავ ყურადღების მიღმა რჩება პატიმრის პიროვნული თვისებები, ჩვევები, ქცევა, რისკები. შედეგად, განსხვავებული კატეგორიისა და მსოფლმხედველობის პატიმრებს ერთ საკანში უწევთ თანაცხოვრება, რაც დახურული სივრცის პირობებში ხშირად ხდება პატიმართა შორის უთანხმოების მიზეზი.

ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტთა უფლებების თვითნებური შეზღუდვა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,[96] ექიმი უფლებამოსილია უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით შეზღუდოს პაციენტის რიგი უფლებები საკუთარი გადაწყვეტილებით, რომელზეც უნდა მიეთითოს სამედიცინო დოკუმენტაციაში.[97] ბუნდოვანია, რას გულისხმობს უსაფრთხოების მიზნით უფლების შეზღუდვა, გაურკვეველია, რა სახის უსაფრთხოების საფუძვლით აქვს ექიმს პაციენტის უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა. როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკის დონეზეც, მკაცრად უნდა დარეგულირდეს პაციენტებისათვის კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების შეზღუდვის პროცედურა, მათ შორის, თვითნებობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს თითოეული უფლების შეზღუდვის მაქსიმალური დრო, კრიტერიუმები და გასაჩივრების პროცედურები.[98]

---

[94] გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით, 70/175 (ნელსონ მანდელას წესები), ბრალდებულები და მსჯავრდებულები განცალკევებით უნდა იყვნენ განთავსებულნი (წესი N11(ბ)).

[95] პატიმრობის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი.

[96] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი.

[97] კერძოდ, ექიმს აქვს უფლება პაციენტს შეუზღუდოს ტელეფონით სარგებლობის უფლება; სტაციონარის ხანმოკლე დროით დატოვების უფლება; წერილების, ამანათების და მნახველების მიღების უფლება; პირადი ნივთის ქონის უფლება; აუდიო-ვიზუალური ინფორმაციის მიღების უფლება, ასევე, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე გასაგები ინფორმაციისა და სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობის უფლება.

[98] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, 166-170.

დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პენიტენციური დაწესებულებების ფიზიკური გარემო

სამწუხაროდ, კვლავ პრობლემურია დროებითი მოთავსების იზოლატორების[99] ორ ან მეტ ადგილიან საკნებში ნახევრად იზოლირებული სანიტარიული კვანძების არსებობა, სადაც ორი და მეტი დაკავებულის მოთავსების შემთხვევაში, დაკავებულებს ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სხვა დაკავებულის/დაკავებულების თვალწინ უწევთ. გარდა ამისა, იზოლატორების საკნების საპირფარეშოებში არ არის ჩამრეცხი მოწყობილობა და მის ნაცვლად გამოიყენება საკნების საპირფარეშოებში არსებული საკანალიზაციო ღია ხვრელის ზემოთ რამდენიმე სანტიმეტრში განთავსებული წყლის მილი. ამგვარ პირობებში დაკავებულის ხანგრძლივი დროით მოთავსება,[100] შესაძლოა, გაუტოლდეს დაკავებული პირების მიმართ დამამცირებელ მოპყრობას.[101]

ფიზიკური გარემოს თვალსაზრისით, კვლავ პრობლემურია პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. 2021 წელს კვლავ გადატვირთულობის პრობლემა იდგა როგორც ნახევრად ღია, ისე დახურული ტიპის დიდი ზომის პენიტენციურ დაწესებულებებში. სამწუხაროდ, №17 პენიტენციურ დაწესებულებაში დღემდე არ გაუქმებულა ე.წ. „ბარაკული" ტიპის საერთო საცხოვრებლები, სადაც შეუძლებელია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, ხოლო მსჯავრდებულთა უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი 4 კვ.მ. პირადი საცხოვრებელი ფართით.

დაკავებული პირის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები

დაკავებულის ინფორირება - პოლიციის მიერ პირის ინფორმირება მისი უფლებების შესახებ, წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემური იყო. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებულ პირებს, უმეტეს შემთხვევებში, არც დაკავებისას და არც გამოკითხვის წინ, ან საერთოდ არ უმარტავენ უფლებებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ აწვდიან ინფორმაციას.

ადვოკატის ხელმისაწვდომობა - სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით დამუშავებული მონაცემების მიხედვით, 2021 წელს, პირველი 24 საათის განმავლობაში ადვოკატის საქმეში ჩართვის მაჩვენებელი საგრძნობლად გაუარესდა. კერძოდ, 2021 წელს, პირველ 24 საათში ეს მაჩვენებელი 17.4%-ია, მაშინ როდესაც 2020 წელს 45% იყო. ხოლო პირველ 48 საათში ადვოკატის ჩართვის მაჩვენებელი

---

[99] ნახევრად იზოლირებული სანიტარიული კვანძები კვლავ ფუნქციონირებს მარნეულის, ქუთაისის, ზესტაფონის, სამტრედიის, ჭიათურის, ბათუმის, ქობულეთის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

[100] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული პატიმრობა შესაძლოა დადგინდეს 15 დღემდე ვადით.

[101] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე მსჯელობისას, ხელმძღვანელობს მის მიერვე დადგენილი სტანდარტით და აღნიშნავს, რომ დაკავების/პატიმრობის მატერიალური პირობები არ უნდა ლახავდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას და არ უნდა იყოს იმაზე მძიმე, ვიდრე ეს გარდაუვლად არის დაკავშირებული პატიმრობასთან. მაგალითისთვის, იხილეთ VASILESCU c. BELGIQUE (App. no. 64682/12), პარა. 105.

29%-იდან 37.6%-მდე გაიზარდა.[102] 2021 წელს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოკითხულ დაკავებულთაგან არცერთი დაკავებული არ შეხვედრია ადვოკატს პოლიციის დაწესებულებაში. საყურადღებოა, რომ სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირები პირდაპირ მიუთითებდნენ ადვოკატთან დაკავშირების ხელშეშლის და ადვოკატის მოთხოვნის უგულებელყოფის პრობლემაზე.[103] დაკავებული პირის მიერ ადვოკატის მოთხოვნის ან დაკავშირების დრო კვლავ არ აღირიცხება. კვლავ გამოწვევად რჩება პოლიციის დაწესებულებებში დაკავებულ პირთან კონფიდენციალურ გარემოში შეხვედრის უზრუნველყოფა. არაკონფიდენციალურ პირობებში ადვოკატი ვერ შეძლებს დაკავებულთან კონფიდენციალურად გასაუბრებას, რაც საპროცესო ნორმების დარღვევა[104] და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიის უხეში უგულებელყოფაა.[105]

ოჯახის ინფორმირება - სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული მონაცემების მიხედვით, 2021 წელს, კანონმდებლობით დადგენილ 3-საათიან ვადაში[106] ოჯახებს დაუკავშირდნენ დამუშავებული სისხლის სამართლის საქმეების 94%-ში. წინა წელთან შედარებით, ამ კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესებულია.[107] სახალხო დამცველი, წინა წლის მსგავსად,[108] მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს კონკრეტული მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის იმის შემოწმებას, პრაქტიკაში რამდენად ხორციელდება ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან ან ადვოკატთან დაკავშირების და დაკავების შესახებ ინფორმაციის შეტყობინების უფლება.

აუდიო-ვიდეო ჩანაწერების წარმოება - სახალხო დამცველი ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით, წლებია, გასცემს რეკომენდაციებს როგორც ნორმატიული აქტით დასარეგულერებელ საკითხებზე, როგორიცაა სამხრე კამერებით და პოლიციის ავტომანქანაში ვიდეოგადაღების ვალდებულება და გონივრული ვადით მასალის შენახვა, ასევე, გასცემს რეკომენდაციებს პოლიციის დაწესებულებების ვიდეო ინფრასტურქტურით სრული აღჭურვის და დაკავებული პირის გადაადგილების არეალის სრული დაფარვის შესახებ.[109] სამწუხაროდ, 2021 წელს, ნორმატიულ დონეზე, ამ მხრივ ცვლილებები არ განხორცილებულა. კერძოდ, პატრულ ინსპექტორებს/ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებს,

---

[102] სტატისტიკა წლების მიხედვით, პირველი 24 საათის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატის ჩართვასთან დაკავშირებით: 2017 წელი - 15%, 2018 წელი - 11,9%; 2019 წელი - 24,6%; 2020 წელი - 45%.

[103] ზემოხსენებული საპროცესო და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით, სახალხო დამცველი, წლებია, გასცემს რეკომენდაციას, აღინუსხოს ადვოკატთან დაკავშირების მოთხოვნა.

[104] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 38, ნაწ. 5.

[105] დადებითად უნდა აღინიშნოს დროებითი მოთავსების იზოლატორები, სადაც ადვოკატთან შესახვედრად გამოყოფილია საგამოძიებო ოთახები და, ამ მხრივ, 2021 წელს პრეტენზია არ გამოთქმულა.

[106] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[107] წლების მიხედვით დინამიკა შემდეგია: 2017 წელს - 71%, 2018 წელს - 86,8%. 2019 წელს - 94.4%, 2020 - 84%.

[108] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 89; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 61.

[109] დეტალურად ვიდეოკამერების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი შეგიძლიათ იხილოთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიშში, 131-136.

მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიდეოგადაღების ვალდებულება არ აქვთ. პატრულ ინსპექტორების გარდა, არცერთ შემთხვევაში არ არის გაწერილი ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები.[110] პოლიციის დაწესებულებებში კვლავ არ მიმდინარეობს დაკავებულ პირთა გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა.[111] პოლიციის დაწესებულებებში ვიდეომეთვალყურეობით არ არის დაფარული ყველა ის სივრცე, სადაც დაკავებულს შესაძლოა უწევდეს ყოფნა.

მოსამართლის როლი - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია, რომ, თუ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე მოსამართლეს ეჭვი გაუჩნდება, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ჩადენილია წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისთვის მიმართავს შესაბამის გამოძიების ორგანოს.[112] თუმცა, მნიშვნელოვანია, ცვლილებები შევიდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და ამის შესაძლებლობა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირებსაც მიეცეთ. ამის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაკავებული პირების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევები კვლავ ხშირია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2021 წელს, სასამართლოების მოსამართლეებმა 93 შემთხვევაში მიმართეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ვინაიდან გაუჩნდათ ეჭვი, რომ დაკავებულის მიმართ ადგილი ჰქონდა წამებას, არაადამიანურ ან/და დამამცირებელ მოპყრობას ან ამის შესახებ თავად განაცხადა დაკავებულმა.[113]

2.4. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება

არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა ამ დანაშაულის თავიდან ასარიდებლად. სამწუხაროდ, 2021 წლის განმავლობაში, არაერთი გამოწვევა გამოვლინდა ამ მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის საფუძველზეც, 2022 წლის პირველი მარტიდან გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობა - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და შეიქმნა ორი დამოუკიდებელი ინსტიტუტი - სპეციალური საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურები. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ეფექტიანი საქმიანობის ფონზე, საქართველოს სახალხო დამცველისთვის უკიდურესად შემაშფოთებელია საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაჩქარებული

---

[110] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანება, მუხ. 121.

[111] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედების დროს დასაშვებია ვიდეო და აუდიო ჩაწერა.

[112] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191^1 მუხლი.

[113] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 4 თებერვლის წერილი №3-81-22.

წესით გაუქმება და ამას კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მიიჩნევს. დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოს გაუქმების პროცესი გაუმჭვირვალედ და დაინტერესებულ მხარეებთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე წარიმართა.[114]

2019 წლის პირველი ნოემბრიდან მოქმედი სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტის შექმნა მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურებოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო არასათანადო მოპყრობის სათანადო გამოძიება, რაც წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის მოთხოვნიდან გამომდინარე, სახელმწიფოს კონსტიტუციური შინაარსის პოზიტიური ვალდებულების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. საგულისხმოა, რომ ცვლილებები არ/ვერ უზრუნველყოფს ორი ახლად შექმნილი სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკმარის გარანტიებს და სამომავლოდ ქმნის რისკებს, რომ მათი სამსახურიც გაუქმდეს, თუკი სამსახურების საქმიანობა კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისთვის მიუღებელი იქნება.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური (ყოფილი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური) არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის და გამოძიების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, რომლისთვისაც შეტყობინებების მიღების ერთ-ერთ მთავარ წყაროს დროებითი მოთავსების იზოლატორები წარმოადგენს. სახალხო დამცველმა, 2021 წელს, დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული მონაცემების დამუშავებით შეისწავლა, როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის დროებითი მოთავსების იზოლატორში დროულად გამოცხადების მაჩვენებელი, ისე დაკავებულთან გასაუბრების ხანგრძლივობა და პირობები. პრევენციის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული 495 შემთხვევის[115] ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გაგზავნილი 441 შემთხვევიდან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელი დაკავებულს დროებითი მოთავსების იზოლატორში 350 შემთხვევაში შეხვდა.[116] აქედან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელი, დაკავებულს, დროებითი მოთავსების იზოლატორიდან შეტყობინების გაგზავნიდან, საშუალოდ 7 საათში ხვდებოდა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ინსპეტორის რესურსებიდან და წარმომადგენლობიდან გამომდინარე, საშუალოდ 7 საათში იზოლატორში დაკავებულის მონახულება - კარგი მაჩვენებელია.[117]

---

[114] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის შეფასება იხილეთ სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თავში.

[115] პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები ვიზიტის დღემდე შესახლებული ყველა დაკავებულის პირად საქმეს ამოწმებენ. მითითებული დაკავების გარემოებებმა, დაზიანების ლოკალიზაციამ, რაოდენობამ და ხასიათმა მონიტორინგის ჯგუფს ეჭვი გაუჩინა პირის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე. შემოწმება ჩატარდა თბილისის, კახეთის, იმერეთის, აჭარის, გურიის და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებულ პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

[116] სპეციალური პრევენციული ჯგუფის ინფორმაციით, სახელმწიფო ინსპექტორის მიერ დაკავებული პირების იზოლატორში მოუნახულებლობის მიზეზი ძირითადად უკავშირდება დაკავებული პირის იზოლატორში გვიან ღამით შემოყვანას და მეორე დღეს დილის საათებში სასამართლოში გადაყვანას.

[117] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 30 დეკემბრის SIS 4 21 00033583 წერილის თანახმად, 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ჩადენილი

სამწუხაროდ, დროებითი მოთავსების იზოლატორებში, პანდემიიდან გამომდინარე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებთან შეხვედრა, 2021 წელსაც, უმეტესად დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. რადგანაც დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულს დისტანციური შეხვედრების ოთახში მარტო არ ტოვებენ, დისტანციური ჩართვის დროს არ არის უზრუნველყოფილი კონფიდენციალური გარემო, რაც გავლენას ახდენს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელთან გულახდილად საუბარზე.

დამატებით, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოძიებული 52 სისხლის სამართლის საქმე.[118] საქმეთა სრულყოფილად შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებები ძირითადად აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს. გამომძიებლები, როგორც წესი, დროულად და ზედმიწევნით ატარებენ ყველა საჭირო და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შემთხვევის გარდა, სავარაუდო მსხვერპლის დაზარალებულად ცნობა ხსენებულ საქმეებში არ მომხდარა,[119] ხშირ შემთხვევაში, გამოძიება მათ აწვდიდა ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობისა თუ შეწყვეტის შესახებ. შესწავლილ საქმეებში გამოვლინდა ერთეული შემთხვევა, როდესაც რიგი საგამოძიებო მოქმედებები უფრო დროულად უნდა ჩატარებულიყო. თუმცა, გარკვეულ დაგვიანებას გამოძიების შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია.

დამატებით, საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ 4 სისხლის სამართლის საქმეში[120] გამოვლინდა კონკრეტული სამართალდამცავების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, რის თაობაზეც ინსპექტორის სამსახურმა წერილობითაც (წინადადებით) მიმართა პროკურატურას. პროკურატურას არცერთ შემთხვევაზე არ დაუწყია სისხლისსამართლებრივი დევნა და დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება მოითხოვა, რასაც სახალხო დამცველი უკიდურესად უარყოფითად აფასებს. პროკურატურას არ დაუწყია დევნა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ოთხივე საქმეში, მტკიცებულებათა ერთობლიობით, გამოვლენილი ჰყავდა კონკრეტული სამართალდამცველები, რომელთა მიმართ ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა ქმნიდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველს. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნამდე, ეს

სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის თაობაზე, შემოვიდა 1012 შეტყობინება 1062 პირთან დაკავშირებით.

[118] სახალხო დამცველის აპარატის მიზანი იყო შეესწავლა ის საქმეები, რომლებიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა აწარმოა და გამოძიება შეწყვიტა კონკრეტული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიუცემლად, 2019 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში.

[119] პირის დაზარალებულად ცნობის უფლებამოსილება გამომძიებლებს არ აქვთ, ეს პროკურორების უფლებამოსილებაა.

[120] ზემოაღნიშნული 52 საქმის გარდა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა სახალხო დამცველის აპარატს საგამონაკლისო წესით 8 მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე გააცნო. მათგან 4 საქმეში მითითებული პრობლემური საკითხი გამოვლინდა.

საქართველოს პროკურატურის ფუნქცია იყო და მათ მიერ საქმიანობის არაეფექტიანად და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგოდ შესრულება არაერთი კვლევით დასტურდება. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებულ საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება და ამგვარი ქცევის დასასაბუთებლად გაუგებარი მიზეზების მოშველიება, პროკურატურის მიერ სამართალდამცველთა დანაშაულების დაფარვის ეჭვს ბადებს.

საქართველოს სახალხო დამცველი, გასული წლების მსგავსად,[121] პროკურატურის ინსტიტუციური მოწყობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გასაუმჯობესებლად, პარლამენტს გენერალური პროკურატურის რეფორმის დაწყებისკენ მოუწოდებს, რაც, დარღვეული უფლებების აღდგენისა და პრევენციის კუთხით საქართველოს გენერალური პროკურატურის არსებითი როლის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.[122]

გენერალური ინსპექციები

სამართალდამცავი სტრუქტურების ფარგლებში ისეთი სამსახურის არსებობა, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილებათა ჯეროვანი განხორციელების მონიტორინგი, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ამავე უწყებებს პროაქტიული მონიტორინგის გარდა, ასევე ევალებათ საკუთარი თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება. სახალხო დამცველის აპარატმა, საანგარიშო პერიოდში, შეისწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ცალკეული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.[123] შედეგად, 2021 წელს, სახალხო დამცველმა 4 წინადადებით მიმართა იუსტიციის მინისტრს მონიტორინგის დეპარტამენტის მოსამსახურის მიერ არასრულფასოვნად ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების საფუძვლით დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრს - 2 შემთხვევაში.

პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მხრიდან შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტზე სწრაფი, ობიექტური და ჯეროვანი რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება. დღემდე პრობლემური საკითხია სამსახურებრივი შემოწმების დაგვიანებით დაწყება, რომელიც, თავის მხრივ, დამატებით აბრკოლებს სამსახურებრივი შემოწმების სრულფასოვნად ჩატარებას. მაშინ, როდესაც ორივე სამსახურის ვალდებულებაა განმცხადებელთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება და უფლების შესაძლო დარღვევის არსებითად

[121] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 79.
[122] სახალხო დამცველმა გენერალური პროკურატურის რეფორმის დაწყების თაობაზე წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს. თუმცა, 2019-2020 წლების მსგავსად, ეს წინადადება არც საანგარიშო პერიოდში გაუთვალისწინებიათ.
[123] სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში.

გამოკვლევა ყველა ხელმისაწვდომი კანონისმიერი ხერხით, სამსახურის ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, სამსახურებრივი შემოწმების დაუსაბუთებლად დასრულება და მოქალაქეთა ინფორმირებისგან თავშეკავება, ამცირებს უწყებათა მიმართ საზოგადოების ნდობას და აზიანებს მათ რეპუტაციას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ საქმიანობის არაჯეროვანი შესრულების კუთხით, აღსანიშნავია ინსპექციის მიერ ჩატარებულ სამსახურებრივ შემოწმებაში აღმოჩენილი არსებითი ხარვეზები. მაგალითისთვის, ერთ-ერთ საქმეში, სადაც განმცხადებელი პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობასა და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე მიუთითებდა, თანამშრომლების გამოკითხვის გარდა არცერთი სხვა მოქმედება არ ჩატარებულა. საბოლოოდ კი, განმცხადებლის უფლების დარღვევა არ დადგინდა. აღნიშნულის მსგავსად, ერთ-ერთ საქმეში, რომელიც სამი არასრულწლოვნის მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან შესაძლო სიტყვიერი შეურაცხყოფის საკითხს ეხებოდა, გენერალური ინსპექცია მხოლოდ სამი თანამშრომლის გამოკითხვით შემოიფარგლა და გადაწყვეტილების მიღების დროს, მათგან მიღებული ინფორმაციით იხელმძღვანელა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის არაჯეროვანი მუშაობა ასევე დასტურდება იაღლუჯის ბაზის სამხედროების საქმის მაგალითზე., რომელიც ზემდგომი პირების მიერ ჯარისკაცების დასჯის მიზნით მათთვის კბილის ან ფეხსაცმლის ჯაგრისით, მუხლებზე დაჩოქილ მდგომარეობაში ყაზარმის ტერიტორიის მოხეხვის იძულებას შეეხება. ამ დანაშაულებრივ ფაქტებზე ინფორმაციას გარკვეული პერიოდით ადრე უკვე ფლობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია, თუმცა, სახალხო დამცველის აპარატის მიერ ოფიციალურ წერილობით მიმართვამდე,[124] გენერალურ ინსპექციას საქმე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის არ გადაუგზავნია.[125] დღეის მდგომარეობით, ამ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის[126] მიმართ, რომლებიც თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში.

რაც შეეხება სახალხო დამცველის აპარატის მიერ, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიების კუთხით, საანგარიშო პერიოდში შესწავლილ იმ საქმეებს, რომელთა მიმართაც განსაკუთრებით დიდი იყო საზოგადოებრივი ინტერესი, წარმოგიდგენთ მათ მოკლე მიმოხილვას:

მიხეილ სააკაშვილის საქმე[127] - პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებისთანავე მიხეილ სააკაშვილმა პროტესტის კანონით გათვალისწინებული ფორმა - შიმშილობა -

[124] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 27 ივლისის №14/7360 წერილი.

[125] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 30 ივლისის MIA 9 20 01750649 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქმე 29 ივლისს გადააგზავნეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში.

[126] ერთ-ერთი პირის მიმართ, მისი გარდაცვალების გამო, გამოიცა დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ.

[127] საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში.

გამოიყენა. პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და იუსტიციის სამინისტრომ/სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა არაერთხელ გააკეთეს განცხადებები და გაატარეს ქმედებები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდა პატიმრის შიმშილობას.[128] სახალხო დამცველის აპარატის მიერ დოკუმენტების ადგილზე გაცნობით დადასტურდა, რომ მ. სააკაშვილის მიერ სამედიცინო დანიშნულების დანამატების მიღების მიუხედავად, შიმშილობის ფორმა არ შეცვლილა და პატიმარი განაგრძობდა შიმშილობას. აპარატმა ცალსახად უარყოფითად და პატიმრის ჯანმრთელობისთვის დამატებითი რისკების შექმნის მცდელობად შეაფასა თანამდებობის პირთა მიერ მსგავსი განცხადებების გავრცელება.[129] სახალხო დამცველის აპარატის მრავალწლიანი გამოცდილება ცხადყოფს, რომ პატიმრის პროტესტის ეჭვქვეშ დაყენება მათ პროტესტის ფორმის დამძიმებისკენ ან/და სამედიცინო მომსახურების მიღების შეწყვეტისკენ უბიძგებს, რაც ამძიმებს პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ 8 ნოემბერს, იუსტიციის სამინისტრომ/პენიტენციურმა სამსახურმა მოშიმშილე მიხეილ სააკაშვილი ძალის გამოყენებით გადაიყვანა სპეციალური პენიტენციური სამსახურის №18 დაწესებულებაში, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის დასკვნის თანახმად, №18 დაწესებულება სრულფასოვნად არ პასუხობდა ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის მიერ (რომელიც მოწვეულ იქნა სახელმწიფო უწყებების მიერვე) გაცემულ რეკომენდაციებს მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო საჭიროებებთან დაკავშირებით და ასევე, არსებობდა რისკები მიხეილ სააკაშვილის უსაფრთხოების თვალსაზრისით. სახალხო დამცველმა თავის განცხადებებში არაერთხელ აღნიშნა, რომ პატიმრის №18 დაწესებულებაში გადაყვანა, ვერბალური აგრესიის, ხმაურისა და შეურაცხყოფის მნიშვნელოვანი საფრთხის გამო, გამოიწვევდა №8 და №18 დაწესებულებების დეზორგანიზაციას. №18 დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში, მიხეილ სააკაშვილს პატიმართა მხრიდან შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი შეძახილების მოსმენა უწევდა, რაც ცალსახად ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო და ამით სახელმწიფომ ადამიანის ღირსების პატივისცემის ვალდებულება დაარღვია.[130] საგულისხმოა, რომ 2021 და წინა რამდენიმე წლის განმავლობაში, №12 პენიტენციური დაწესებულების არცერთი სხვა პატიმარი, გარდა მიხეილ სააკაშვილისა, №18 დაწესებულებაში არ გადაუყვანიათ.

იმის გათვალისწინებით, რომ №18 დაწესებულება არ იყო მზად მიხეილ სააკაშვილისთვის საჭირო სამედიცინო სერვისის მისაწოდებლად, ხოლო სახელმწიფოს მიერ შერჩეულ ექიმთა მულტიფუნქციურ ჯგუფს აღარ ეძლეოდა პაციენტის მონახულებისა და №18 დაწესებულებაში ვიზიტის შესაძლებლობა, მოშიმშილე მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვის ადეკვატურობასთან დაკავშირებით ინფორმაცია

[128] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, 12.10.2021, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3CMwaa7 > [ბოლოს ნანახია 28.03.2022].
[129] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, 12.10.2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CMwaa7 > [ბოლოს ნანახია 21.03.2022].
[130] დამატებით იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თავი.

უცნობი იყო საზოგადოებისთვის. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილის შიმშილობის 47-ე დღეს, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველმა მულტიპროფილურ ექსპერტთა/სპეციალისტთა ჯგუფი შექმნა. ჯგუფს ბრალდებულ/მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობა და დროულობა უნდა შეეფასებინა. სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფმა პაციენტის მდგომარეობის კრიტიკულობიდან გამომდინარე, არაერთხელ გასცა რეკომენდაცია, რომ პაციენტის მკურნალობა დაუყოვნებლივ გაგრძელებულიყო ფუნქციურად გამართულ და დიდი გამოცდილების მქონე პოლიპროფილურ ჰოსპიტალში, რის პირობებსაც №18 დაწესებულება არ აკმაყოფილებდა.

სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაზე დაყრდნობით, 2021 წლის 19 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოცემული დროებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, საბოლოოდ იუსტიციის სამინისტრომ/პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილი №18 დაწესებულებიდან სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს, გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანა.

გორის სამხედრო ჰოსპიტალში მოთავსებისას და ჰოსპიტალიდან №12 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფმა მიხეილ სააკაშვილი დამატებით სამჯერ მოინახულა. შიმშილობის შეწყვეტის შემდგომი კვების აღდგენის (რეფიდინგის) პროცესში მიღწეული დადებითი შედეგების (სასიცოცხლო რისკების მოხსნა) შემდეგ, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის (ნევროლოგიური სტატუსის მიმართულებით) არსებითი გაუმჯობესება დინამიკაში ვერ გამოვლინდა. პაციენტს აქვს პოსტტრავმული სტრესული აშლილობა და დეპრესია, რომელიც ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ რეაბილიტაციას საჭიროებს. მრავალჯერადად გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, სააკაშვილის ფსიქოთერაპიული და ფიზიკური რეაბილიტაციის საკითხი, სამწუხაროდ, კვლავ მოუგვარებელ პრობლემად დარჩა.[131]

გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ, მიხეილ სააკაშვილის განმარტებით, №18 დაწესებულებაში ის ძალის გამოყენებით შეასახლეს. მიხეილ სააკაშვილის №18 დაწესებულებაში შესახლების ამსახველი კადრები სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სოციალურ ქსელში გაავრცელა. სახალხო დამცველის შეფასებით, პატიმარ მიხეილ სააკაშვილის შეურაცხმყოფელი კადრების გავრცელებით დაირღვა მისი პატივისა და ღირსების უფლება. აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილის №18 დაწესებულებაში ძალის გამოყენებით შესახლების ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა დაუყოვნებლივ აცნობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, რომელმაც, თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილის მიმართ ჩადენილი შესაძლო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე

[131] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, 25.11.2021, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3KHJTli > [ბოლოს ნანახია 16.03.2022]; საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, 14.12.2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tdTNVU > [ბოლოს ნანახია 16.03.2022]; საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, 19.01.2022, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3MTg96W > [ბოლოს ნანახია 16.03.2022].

გამოძიება დაიწყო.[132] სახალხო დამცველის აპარატი დღემდე პერიოდულად ითხოვს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას.

ლუკა სირაძის საქმე[133] - საქართველოს სახალხო დამცველმა ლუკა სირაძის საქმის (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან არასრულწლოვან ლუკა სირაძის მიმართ ჩვენების მიცემის იძულებისა და მისი თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი) შესწავლის შედეგების საფუძველზე, საქართველოს გენერალურ პროკურორს, საქმეში გამოვლენილ სხვადასხვა საკითხზე რეაგირების თაობაზე, წინადადებით მიმართა. აღსანიშნავია, რომ წინადადების საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაზარალებულის უფლებამონაცვლის მონაწილეობით, რომელიც გამოკითხვისას დეტალურად აღწერდა ლუკა სირაძის მიმართ გამომძიებელ მ. ჩ.-ს გარდა, კიდევ ერთი გამომძიებლის მხრიდან მომდინარე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ჩაატარა წინადადებაში მითითებული საგამოძიებო მოქმედება - ამოცნობა.[134] გამოძიება გრძელდება. ლუკა სირაძის საქმის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში პრობლემური იყო არასრულწლოვანთან პოლიციის უფროსის მოადგილის კაბინეტში შეხვედრა. წლებია, ჩვენი რეკომენდაციაა, რომ აღმოიფხვრას დაკავებული პირის პოლიციის უფროსების და უფროსის მოადგილეების კაბინეტებში შეხვედრის პრაქტიკა და მათთან შეხვედრა გაიმართოს მხოლოდ ვიდეომეთვალყურეობით აღჭურვილ სივრცეში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, ასევე შეისწავლა ხსენებულ საქმეზე მსჯავრდებული პირის - მ. ჩ.-ს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი. ჩვენი შეფასებით, ამ საშეღავათო ღონისძიების გამოყენებით, სახელმწიფოს მხრიდან დაირღვა არასათანადო მოპყრობის აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპი, რადგან საბოლოოდ მსჯავრდებულს არ მოუხდია შეფარდებული სასჯელის მნიშვნელოვანი ნაწილი. კერძოდ, მ. ჩ.-ს განსაზღვრული 3-წლიანი თავისუფლების აღკვეთიდან მოუხდელი დარჩა სასჯელის ფაქტობრივად ნახევარი, კერძოდ - 1 წელი, 4 თვე და 13 დღე. საგულისხმოა, რომ მ. ჩ.-ს არ ჰქონდა დაზარალებული მხარის თანხმობა და თავს ბრალდებაში დამნაშავედ არ მიიჩნევდა. ადგილობრივი საბჭოები, როგორც წესი, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის აღიარებისა და მონანიების ფაქტებს, ასევე, დაზარალებული მხარის პოზიციას, თუ მას პრეტენზია მსჯავრდებულთან აღარ გააჩნია.[135] მოცემულ საქმეში კი, საბჭოს საერთოდ არ უმსჯელია

---

[132] სახალხო დამცველის აპარატმა მჭიდროდ ითანამშრომლა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან, გამოძიებას მიაწოდა სრული ინფორმაცია, სახალხო დამცველის აპარატში დაცული სრული რელევანტური დოკუმენტაცია და სახალხო დამცველის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, ინსპექტორის სამსახურში გამოიკითხნენ სახალხო დამცველის რწმუნებულები, მათ შორის, სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი სამედიცინო ექსპერტები.

[133] საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 81.

[134] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 5 მარტის №SIS 5 21 00004207 წერილი.

[135] მაგ., იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში“, 30-32, < https://bit.ly/3uHbLQ > [ბოლოს ნანახია 30.03.2022], ასევე, იხ. სისხლის

ამ გარემოებებზე, არ დაუსაბუთებია საკუთარი პოზიცია, ისე მიიღო მსჯავრდებულის გათავისუფლების გადაწყვეტილება.

ნინოწმინდის პანსიონის საქმე - მნიშვნელოვანი და არსებითი ხარვეზები გამოვლინდა ნინოწმინდის პანსიონში ბავშვების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების ფაქტების გამოძიების პროცესში. აპარატმა შეისწავლა 4 სისხლის სამართლის საქმე, რომელთა გამოძიება 2016 და 2019-2021 წწ. დაიწყო.[136] მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ, სამწუხაროდ, გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები, ხშირ შემთხვევაში, გულგრილად ეკიდებიან არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს, წლების განმავლობაში აჭიანურებენ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, არ ახდენენ გამოძიების სწორ კვალიფიკაციას, არ მოქმედებენ მსხვერპლი ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, მოქმედებენ სტერეოტიპულად, არ ანიჭებენ მსხვერპლებს დაზარალებულის სტატუსს,[137] არ ცდილობენ შეკრან დანაშაულებრივი სქემის ერთიანი სურათი და სრულფასოვნად გამოავლინონ ძალადობრივი დასჯის პრაქტიკა ნინოწმინდის პანსიონში. საგულისხმოა, რომ შესწავლილი მასალებიდან, იკვეთებოდა ბავშვების მიმართ სავარაუდო სექსუალური ხასიათის დანაშაულის ნიშნებიც, თუმცა ამ მიმართულებით გამოძიება არც საქმეების ფარგლებში წარმართულა და არც ცალკე წარმოებად გამოყოფილა საქმე. სამწუხაროდ, საგამოძიებო ორგანოს არ გაუტარებია ღონისძიება პანსიონში მყოფი ბავშვების უსაფრთხოების და სავარაუდო ძალადობრივი გარემოსგან დასაცავად.

სახალხო დამცველმა ეფექტიანი გამოძიების წარმოების თაობაზე წინადადებით[138] მიმართა გენერალურ პროკურორს და მოითხოვა: საქმეების ერთ წარმოებად გაერთიანება, საქმეთა კვალიფიკაციის, საგამოძიებო სტრუქტურული ერთეულისა და ზედამხედველი პროკურორის შეცვლა, საქმიდან მოქმედი სოციალური მუშაკის ჩამოშორება, ასევე, მთელი რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება, კონკრეტულ შემთხვევებში დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება და სხვ. საგულისხმოა, რომ გენერალურმა პროკურორმა სახალხო დამცველის წინადადებების მხოლოდ ნაწილი გაითვალისწინა.

პანსიონში მომხდარი სავარაუდო დანაშაულის სისტემური გამოძიება, მნიშვნელოვანია წარიმართოს სსკ-ის 144^3 მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა), რადგან ბავშვების ჩვენებებში იკვეთება არასათანადო მოპყრობისა და დასჯის ძალადობრივი

სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, 27-28, <https://bit.ly/3wKa1bl > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[136] კვალიფიკაცია 3 საქმეზე - სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა), ხოლო 1 საქმეზე სსკ-ის 137-ე მუხლით (გაუპატიურება).

[137] აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2022 წლის გადაწყვეტილებაში, ცინცაბაძე ჯგუფის საქმეებზე, სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელი ზოგადი ღონისძიებების ნაწილში აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ უნდა გადადგას კონკრეტული და ეფექტიანი ნაბიჯები დაზარალებულთათვის სტატუსის მისანიჭებლად, როგორც საკანონმდებლო ბაზის დახვეწის, ისე პრაქტიკაში აღნიშნულის გაუმჯობესების გზით (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება ცინცაბაძე ჯგუფის საქმეებზე, პარა. 7, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IfcwVz > [ბოლოს ნანახია 16.03.2022]).

[138] საქართველოს სახალხო დამცველის 07.12.2021 წ. №15-5/11525 წინადადება.

მეთოდები, რასაც პერმანენტული ხასიათი ჰქონდა და გამოიყენებოდა არა კონკრეტული, არამედ თითქმის ყველა ბავშვის მიმართ. ამ პირობებში სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) კვალიფიკაცია არასაკმარისია და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტების სიმძიმეს ვერ დაფარავს.

თემურ აბაზოვის ბრალდების საქმე[139] - 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა მიმოიხილა თემურ აბაზოვის საქმე.[140] მარნეულის ყოფილ მერს პირის არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებასა და ამ ქმედების ამსახველი კადრების საჯარო გავრცელების ორგანიზებაში ედებოდა ბრალი. პროკურატურამ სასამართლო პროცესის დასკვნით ეტაპზე წარდგენილი 2 მძიმე ბრალიდან ერთ-ერთი (კადრების გავრცელების ორგანიზება) დაუსაბუთებლად მოხსნა, რითაც სასამართლოს წაართვა ერთ-ერთ დანაშაულზე მსჯელობის შესაძლებლობა და, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდა არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენების ბრალდებისა და ძალადობის ნაწილში.[141] 2022 წლის 27 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის საჩივარი და ყველა პირი, მათ შორის, თემურ აბაზოვი, კვლავ სრულად გაამართლა. ხოლო პირადი ცხოვრების საიდუმლოს მოპოვებისა და გავრცელების ეპიზოდი, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოების ეტაპზე ბრალდების მოხსნის გამო, კვლავ სამართლებრივი შეფასებისა და შესაბამისი პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე დარჩა.

5 ივლისის ძალადობრივი ქმედებების გამოძიება[142] - საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ორგანიზებული ჯგუფების მიერ 5 ივლისს სხვადასხვა ლოკაციაზე ჩადენილი ჯგუფური ძალადობის ფაქტები. ძალადობის შედეგად მოქალაქეებმა და ჟურნალისტებმა სხვადასხვა სახისა და ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანებები მიიღეს. მედიაში გავრცელებულ სიუჟეტებსა და სხვადასხვა პირების მოწოდებებში ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ძალადობრივი ქმედებისკენ საჯარო მოწოდების შემადგენლობის ნიშნები იკვეთებოდა, თუმცა, 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების უმოქმედობა, რომელიც გამოიხატება, მათ შორის, სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტების გამოუძიებლობასა და ძალადობრივი მოვლენების თავიდან ასარიდებლად საჭირო ღონისძიებების განუხორციელებლობაში,

[139] საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში.
[140] საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 83.
[141] სხვა პირებს გამოძიება დაზარალებულზე ძალადობას ედავებოდა მას შემდეგ, რაც პირადი ცხოვრების საიდუმლოს მოპოვებისა და გავრცელების ეპიზოდში ბრალდება მათ მიმართაც მოიხსნა.
[142] საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში.

განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქვეყანაში სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან ჩადენილი ძალადობის მასშტაბებზე.[143]

ასევე საგულისხმოა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან[144] დაკავშირებული გამოძიების საკითხი. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ სახალხო დამცველის შეფასება უცვლელია. სამწუხაროდ, გამოძიებაში კვლავ იკვეთება რიგი ხარვეზები, მათ შორის, გამოძიებისთვის ექსპერტის დასკვნის გადაცემის დაგვიანების შემთხვევები. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ 2020-2021 წელს, სასამართლომ, რამდენიმე შემთხვევაში, ფორმალური საფუძვლით თავი აარიდა საჩივრის შინაარსობრივ განხილვას და ადვოკატს პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე განცხადება/საჩივარზე უარი ეთქვა.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- დაიწყოს საქართველოს გენერალური პროკურატურის რეფორმა, გაითვალისწინოს საპროკურორო საბჭოს მონაწილეობა პროკურატურაში ქვემდებარეობის განსაზღვრისა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომპეტენციების გამიჯვნის პროცესში; ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცებასა და იმ ნორმატიული აქტების მიღების პროცესში, რომლებიც პროკურატურის სისტემურ საკითხებს არეგულირებენ;
- 2022 წელს პატიმრობის კოდექსით განისაზღვროს ბრალდებულების 4 კვ.მ.-ის მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება;
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის შესაბამის მუხლებში და ყველა მსჯავრდებულს მიენიჭოს აკადემიური უმაღლესი განათლების უფლება;
- შევიდეს ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და განისაზღვროს, რომ თუ მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისათვის მიმართავს შესაბამის გამოძიების ორგანოს;

---

[143] ამავეზე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, რომელმაც 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", მიუთითა, რომ 2013 წლის 17 მაისს ჩადენილი ძალადობის მასშტაბზე ზეგავლენა მოახდინა ხელისუფლების უმოქმედობამ და რომ სახელმწიფომ ვერ ჩაატარა დროული და ობიექტური გამოძიება ლგბტ+ თემზე წარსულში განხორციელებული თავდასხმის ფაქტებთან მიმართებით. ამ ნაწილში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეზე, „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", რომელშიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის დარღვევა სასამართლომ 2015 წელს დაადგინა.

[144] საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში.

- შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და გამოირიცხოს დაკავებული პირის თანხმობის გარეშე, სასამართლო განჩინებით, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გარდა სხვა საგამოძიებო ორგანოების მიერ დროებითი მოთავსების იზოლატორების ექიმების მიერ წარმოებული სამედიცინო დოკუმენტაციის ამოღება;
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვროს, რომ პაციენტის მიმართ იძულებითი სწრაფი ტრანკვილიზებისას, უნდა გავრცელდეს „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლში (პაციენტის მიმართ შეზღუდვის გამოყენება) მოცემული მოთხოვნები და გარანტიები;
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განისაზღვროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ, ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების თავიდან არიდებისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავების და დამტკიცების ვალდებულება, რათა დაწესებულებებმა მინიმუმამდე დაიყვანონ სიტუაციის ესკალაციის რისკები და შესაბამისად, საჭირო აღარ გახდეს უკიდურესი ზომების მიღება;
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით მკაფიოდ განისაზღვროს, ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში დაწესებულებების მიერ სავალდებულოდ გასატარებელი ღონისძიებები და პაციენტის სამართლებრივი სტატუსის გადასინჯვის პროცედურები და მათი დაუცველობის შემთხვევაში - შესაბამისი სანქცია;
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებით უზრუნველყოს უსაფრთხოების მიზნით ექიმის მიერ პაციენტის უფლებების შეზღუდვის მკაფიო პროცედურა სამართლებრივი დაცვის გარანტიების არსებობის პირობებში (განისაზღვროს, თითოეული უფლების შეზღუდვა რა კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში დაიშვება, რა ვადით დაიშვება თითოეული უფლების შეზღუდვა და როგორ შეიძლება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება);
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანით, მკაფიოდ გაიმიჯნოს სტაციონარში მოთავსების თაობაზე ინფორმირებული თანხმობა და მკურნალობის თაობაზე ინფორმირებული თანხმობა.

რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თაობაზე ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის შესაბამისად, გაასაჯაროოს წამების

პრევენციის ევროპული კომიტეტის 2021 წლის მაისის საგანგებო ვიზიტის თაობაზე ანგარიში;

- 2022 წელს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვროს პატიმრების განცალკევების მაქსიმალური ვადა, ასევე, განცალკევების ღონისძიების გადასინჯვის ვალდებულება, ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით;
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსება შესაძლებელია გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენებისას დასაბუთდეს, თუ რატომ ჩაითვალა, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსება წარმოადგენს უალტერნატივო ღონისძიებას. ასევე, დებულებაში გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახის და სამარტოო (უსაფრთხო) საკნის გამოყენებამდე, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები, როგორიც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა;
- დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსებისას უზრუნველყოს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად;
- დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთებით;
- დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი და იმ შემთხვევაში, თუ 24 საათის შემდეგ არ აღმოიფხვრება დეესკალაციის ოთახში ან სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსების საფუძველი, პატიმარი დაუყოვნებლივ გადაიყვანონ №18 სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ან სხვა სამოქალაქო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების მისაღებად;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით:
    - უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში ხანგრძლივად მოთავსების, ხელბორკილების გამოყენების და ფსიქიატრიული დახმარების მიუწოდებლობის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის თავიდან ასარიდებლად;
    - უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე,

დასჯის მიზნით პატიმრების გადაყვანის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის თავიდან ასარიდებლად.

- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილების შეტანით აიკრძალოს სრული შემოწმებისას პატიმრის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარებით, გამოავლინოს და აღმოფხვრას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას ე.წ. „ბუქნების გაკეთების" მოთხოვნის პრაქტიკა;
- პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმაში გაითვალისწინონ პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ ერთი თანამშრომელი;
- პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის დასაძლევად, უზრუნველყოს კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგიის შემუშავება და მომზადებული დოკუმენტი მიაწოდოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საკუთარი მოსაზრებების წარმოსადგენად;
- შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს პენიტენციური დაწესებულების ექიმების ვალდებულება, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის სხეულის დაზიანების ყველა შემთხვევაში, შეაფასოს რამდენად შეესაბამება დაზიანება პატიმრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას მისი წარმოშობის შესახებ და შესაბამის დოკუმენტში წერილობით მიუთითოს, გაუჩნდა თუ არა ეჭვი შესაძლო ძალადობაზე; ასევე, განისაზღვროს, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ძალადობაზე ეჭვის გაჩენისას, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება;
- პენიტენციური დაწესებულებების ყველა იმ ექიმს, რომელიც ახდენს დაზიანების დოკუმენტირებას, საქართველოს იუსტიციის მინისტრის №633 ბრძანებით დამტკიცებული პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის შესაბამისად, ჩაუტარდეს დაზიანების დოკუმენტირებისა და ფოტოგადაღების ტრენინგი;
- შევიდეს ცვლილება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ წესში და განისაზღვროს ექიმის ვალდებულება, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას ან დაწესებულებიდან მისი გაყვანისა და დაბრუნების დროს, ბრალდებულის/მსჯავრდებული არ აცხადებს თანხმობას სამედიცინო შემოწმებაზე, თუმცა მის სხეულზე არსებული ხილული დაზიანებების ან/და მისი

ფსიქოემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, ექიმს გაუჩნდება ძალადობაზე ეჭვი, აღწეროს ხილული დაზიანებები და შეტყობინება გაუგზავნოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს;

- შევიდეს ცვლილება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ წესში და განისაზღვროს ექიმის ვალდებულება, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას ან დაწესებულებიდან მისი გაყვანისა და დაბრუნების დროს, ბრალდებულის/მსჯავრდებული არ აცხადებს თანხმობას სამედიცინო შემოწმებაზე და მას დაზიანება არ აღენიშნება, სამედიცინო შემოწმებაზე თანხმობის მისაღებად, არაუგვიანეს 24 საათისა, პატიმარს განმეორებით შესთავაზოს სამედიცინო შემოწმების ჩატარება;
- შევიდეს ცვლილება პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში და განისაზღვროს, რომ სამედიცინო პერსონალის პატიმრებთან შეხვედრისას მესამე პირის დასწრების შემთხვევაში, წერილობით დასაბუთდეს დასწრების მიზეზი;
- უმოკლეს ვადებში შეივსოს სამედიცინო ნაწილში არსებული ვაკანტური ადგილები;
- უზრუნველყოს დაწესებულებებში ექთნების რაოდენობის გაზრდა მინიმუმ ორჯერ;
- ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ინფექციის კონტროლის ყველა ზომის დაცვით, უზრუნველყოს გეგმური სამედიცინო რეფერალის დროული განხორციელება;
- დაწესებულებების სამედიცინო პერსონალისთვის უწყვეტი სამედიცინო განათლების ფარგლებში, უზრუნველყოს პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების ჩატარება;
- უზრუნველყოს პენიტენციურ სისტემაში ინფორმაციული ელექტრონული სისტემის დანერგვა და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის შეტანა ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის სისტემატიზებას;
- პენიტენციურ დაწესებულებებში შემუშავდეს და დაინერგოს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის ინსტრუმენტი;
- პენიტენციური დაწესებულებების პერსონალი გადამზადდეს ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის საკითხებში;
- პენიტენციური დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე ნორმატიულ დონეზე გაიწეროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურა;
- მუდტიდისციპლინურმა გუნდმა შეაფასოს იმ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტთა საჭიროებები, რომელთაც სტაციონარული მკურნალობა არ ესაჭიროებათ; გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე

შეიმუშაონ ბიო-ფსიქო-სოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიონ შესაბამისი დახმარება;

- პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები განათავსოს იმგვარად, რომ კონვერტის მიღება არ იყოს დაწესებულების თანამშრომელზე დამოკიდებული და შეუძლებელი იყოს კონვერტის მიმღები პატიმრის ვინაობის დადგენა. ამასთანავე, ყველა პატიმრისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იყოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალამი, კონვერტი) და მიეცეთ შესაძლებლობა საკანში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტი;
- საჩივრის ყუთები განთავსდეს იმგვარად, რომ არ მოექცეს ვიდეომეთვალყურეობის არეალში და დაცული იყოს საჩივრის გამგზავნის ანონიმურობა;
- იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სისტემური შემოწმებითა და შესაბამისი რეაგირებით გამოავლინოს და შეისწავლოს №2, №3, №6 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის წესის დარღვევის შემთხვევები, საჩივრების შეტანის გამო პატიმრების მიმართ განხორციელებული რეპრესიების სავარაუდო ფაქტები და უზრუნველყოს პასუხისმგებელ პირთა სათანადო დასჯა;
- სახალხო დამცველის აპარატს მიეცეს სამინისტროს მიერ მომზადებული მცირე ზომის დაწესებულებების კონცეფციის გაცნობისა და საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა;
- №17 დაწესებულებაში გაუქმდეს ე.წ. „ბარაკის" ტიპის საცხოვრებლები;
- პენიტენციურ დაწესებულებებში თითოეული პატიმრისთვის გამოყოფილი იყოს 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი;
- უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიშებში ფიზიკური გარემოს კუთხით არსებული ხარვეზების შემოწმება და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;
- ინფექციის კონტროლის წესების მაქსიმალური დაცვით, აქტივობების ჩატარების ალტერნატიული შესაძლებლობების გამოყენებით, უზრუნველყოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ახალი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობების დანერგვა. გაიზარდოს სარეაბილიტაციო აქტივობებში მსჯავრდებულთა ჩართვის შესაძლებლობები;
- დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს მიეცეთ 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა;
- №2 და №8 დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს მიეცეთ საშუალება, დღის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ისარგებლონ გასეირნების უფლებით;
- უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის დაბალანსება პატიმართა რაოდენობასთან, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის გაზრდით;

- გააგრძელოს იმ სოციალური მუშაკების გადამზადება, რომელთაც არ აქვთ სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული, ან დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- პატიმრებისთვის სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად, დაიწყოს მუშაობა ისეთი მექანიზმის შემოღებაზე, რაც უშუალოდ აისახება დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე;
- 2022 წელს უზრუნველყოს №2 და №8 დაწესებულებებში ბრალდებულთა მსჯავრდებულებისგან იზოლირება, სულ მცირე ერთმანეთისგან განცალკევებულ საკნებში;
- ყველა უცხოენოვანი პატიმარი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს თარჯიმნის მომსახურებით; მათ შორის, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოთ ინფორმაცია დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ;
- პატიმართა საკნებში განთავსების დროს გათვალისწინებული იყოს ლინგვისტური, რელიგიური და კულტურული თავისებურებები;
- მიიღოს ყველა ზომა ქალი პატიმრების უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, უზრუნველყოს კომპიუტერით სარგებლობა, სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობა და საცხოვრებელი კორპუსების ეზოს გარე კედლებზე დამონტაჟებული ტელეფონის აპარატების კაბინებში განთავსება, საჭირო სარემონტო სამუშაოების ჩატარება სამედიცინო ნაწილის საშხაპეების გვერდით არსებულ პალატებში და პოსტოპერაციული პალატის ადაპტირება პოსტოპერაციული პაციენტებისთვის, ასევე, დედათა და ბავშვთა განყოფილებაში მოთავსებული პირებისთვის მომვლელით სარგებლობის შესაძლებლობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში, უზრუნველყოს პოლიციელთა მიერ დაკავებული პირისათვის უფლებების განმარტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესის ტექნიკური საშუალებებით (აუდიო-ვიდეო ჩანაწერებით) დაფიქსირება;
- პოლიციის დაწესებულებებში განხორციელდეს დაკავებული პირის მხრიდან ოჯახის ან ადვოკატის შეტყობინების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირება შესაბამისი რეესტრების წარმოების გზით;
- უზრუნველყოს პოლიციის დაწესებულებაში დაკავებული პირისა და ადვოკატის კონფიდენციალური შეხვედრა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნით;
- 2022 წელს, გაიზარდოს იმ იზოლატორების რაოდენობა, რომლებშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი;
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებულ ექიმებს ჩაუტარდეთ ტრენინგები იზოლატორში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების

ფოტოგადაღების ინსტრუქციისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის წესის შესახებ;

- დროებითი მოთავსების იზოლატორებში, სადაც სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს, უზრუნველყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების მიერ შედგენილი ოქმების მხოლოდ დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმებთან შენახვა;
- 2022 წელს, ტერიტორიული ორგანოების და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ეტაპობრივად აღიჭურვონ სამხრე კამერებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, ასევე, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანებით განისაზღვროს პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება. ვიდეოგადაღების ვალდებულება დაწესდეს შემდეგ შემთხვევებში: პირის ვინაობის დადგენა; ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; სპეციალური შემოწმება და დათვალიერება, პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა, პირის დაკავება;
- პოლიციის ავტომანქანები ეტაპობრივად აღიჭურვოს ავტომანქანის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემით;
- ნორმატიული აქტით განისაზღვროს დაკავებული პირის პოლიციის ავტომანქანაში ყოფნის დროს უწყვეტი ვიდეოგადაღების ვალდებულება ავტომანქანის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეოკამერით ან მისი არარსებობის შემთხვევაში - სამხრე კამერით;
- პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში სათვალთვალო კამერები დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა;
- აღმოიფხვრას დაკავებული პირის პოლიციის უფროსების და უფროსის მოადგილეების კაბინეტებში შეხვედრის პრაქტიკა და მათთან შეხვედრა გაიმართოს მხოლოდ ვიდეომეთვალყურეობით აღჭურვილ სივრცეში;
- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება;
- შევიდეს ცვლილება 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №625-ე ბრძანებაში და №9 დანართით დამტკიცებული ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმაში ჩაემატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო; დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერა; რა ვითარებაში მოხდა დაკავება; ადგილი ჰქონდა

თუ არა წინააღმდეგობის გაწევას; გამოყენებულ იქნა თუ არა იძულების ზომა და რა ფორმით;

- რეესტრის წარმოების გზით, უზრუნველყოს პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვა, მათი სტატუსის, შენობაში შეყვანისა და გამოყვანის დროის მითითებით;
- პოლიციის დაწესებულებებში დაინერგოს ელექტრონული, სისტემატიზებული, სტანდარტიზებული და უნიფიცირებული მონაცემთა ბაზების წარმოება, რომელიც ჩაანაცვლებს დაწესებულებაში წარმოებულ ჟურნალებს;
- ელექტრონულ მონაცემთა ბაზის დანერგვამდე, უზრუნველყოს დაწესებულებაში წარმოებული ჟურნალების ჩანაცვლება სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან კონსულტაციით;
- უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირსა და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს გამომძიებელს შორის შეხვედრების (მათ შორის, დისტანციური შეხვედრების) კონფიდენციალურ გარემოში ჩატარება;
- უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დისტანციური სასამართლო სხდომის კონფიდენციალურ გარემოში ჩატარება, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების დაუსწრებლად;
- უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიშში აღწერილი, დაკავების პირობებისა და კვების კუთხით დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პრობლემების მოგვარება და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს სახალხო დამცველს;
- აღმოფხვრას ფსიქიატრიული სტაციონარებიდან გაქცეული ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების სტაციონარში დაბრუნების პრაქტიკა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-15 და მე-16 მუხლებში მითითებული ქმედებების (წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელის, ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის) ფაქტების გამოვლენის, დოკუმენტირებისა და საგამოძიებო და მონიტორინგის დამოუკიდებელი ორგანოებისთვის შეტყობინების გაგზავნის წესი;
- სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს პაციენტებს შორის კონფლიქტების თავიდან არიდებისა და მათზე რეაგირების სტრატეგია, სადაც ასევე იქნება გათვალისწინებული ძალადობის მსხვერპლი პაციენტებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება;
- სამინისტრომ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მონიტორინგის ჩატარებით გამოავლინოს და აღკვეთოს პერსონალის მხრიდან პაციენტებზე ძალადობის

ფაქტები, მათ შორის, ინექციებისა და მედიკამენტების, ძალით, ნების საწინააღმდეგოდ გაკეთება;

- სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პერსონალის პაციენტებთან ურთიერთობის დეტალური ინსტრუქცია, რომელიც უნდა მოიცავდეს პაციენტის უფლებების დაცვისა და ხარისხიანი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის სტანდარტებს;
- სამინისტრომ უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალისთვის სწავლების ჩატარება, სულ მცირე, შემდეგ საკითხებზე: მულტიდისციპლინური მუშაობა, დეესკალაციის ტექნიკა, პაციენტთა უფლებები და ეთიკის სტანდარტები, აღდგენაზე დაფუძნებული მიდგომა და თანამედროვე ფსიქიატრია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პერსონალის მიერ ფსიქიატრიული დახმარების ბიო-ფსიქო-სოციალური მოდელის მნიშვნელობის გააზრებას და პრაქტიკაში გასატარებლად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- შეისწავლოს და აღმოფხვრას აკად. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრში" პაციენტთა ხანგრძლივი დროით სხვა პაციენტებისგან განცალკევების პრაქტიკა;
- შემუშავდეს და დაინერგოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების თავიდან არიდებისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი იმისთვის, რათა დაწესებულებებმა მინიმუმამდე დაიყვანონ სიტუაციის ესკალაციის რისკები და შესაბამისად, საჭირო აღარ გახდეს უკიდურესი ზომების მიღება;
- სამინისტრომ მონიტორინგის გზით შეისწავლოს შეზღუდვის მეთოდების გამოყენების კანონიერება და დასაბუთებულობა, ასევე, ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემდგომ სტატუსის გადასინჯვის საკითხი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში;
- სახალხო დამცველის აპარატთან და შშმ პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაციის გზით განახლდეს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია;
- შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების რეალური ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სტაციონარიდან დაუყოვნებლივ გაეწერონ ის პაციენტები, რომელთა მიმართაც არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების პროცედურის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან (112) შემოსული ფსიქიატრიული შემთხვევების თაობაზე შეტყობინებებზე რეაგირებისთვის გაგზავნილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ეკიპაჟებისთვის, შეიმუშაოს დარწმუნების გზით პაციენტის

ფსიქიატრიულ დახმარებაზე დაყოლიების, ფსიქიატრიულ სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსების საჭიროების განსაზღვრისა და პაციენტის უფლებების განმარტების შესახებ დეტალური ინსტრუქცია;

- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებაზე ინფორმირებული თანხმობის ერთიანი ფორმა, სადაც გასაგები ფორმით იქნება მოცემული სრული, ზუსტი და დეტალური ინფორმაცია ფსიქიატრული დახმარების არსისა და პაციენტთა უფლებების შესახებ; ამასთანავე, ბრძანებით განისაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, გადასცეს პაციენტს ინფორმირებული თანხმობის ასლი, ისევე როგორც ინფორმაცია, ვის მიმართოს, თუ არ სურს სტაციონარში დარჩენა;
- ცვლილებები შევიდეს მინისტრის ბრძანებაში,[145] რათა პაციენტის მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული (№IV-300-12/ა) ფორმის შევსება;
- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, სტაციონარში მოთავსებისთანავე და შემდგომ, რეგულარულად უზრუნველყოს პაციენტის გასაგები ენით ზეპირი და წერილობითი ინფორმირება სტაციონარის შინაგანაწესის, პაციენტის უფლებების და სტაციონარის პოლიტიკის თაობაზე;
- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის ხელმისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური ჰოსპიტალშიდა და ჰოსპიტალგარე პროცედურები;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და ეპიდემიოლოგიური მოთხოვნების სრული დაცვით უზრუნველყოს პაციენტების მხრიდან სტაციონარის ხანმოკლე ვადით დატოვების შესაძლებლობა, სტაციონარიდან გაწერის გარეშე, პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- მიიღოს ყველა ზომა, რათა სისტემური მონიტორინგის გზით გაკონტროლდეს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების შესაბამისობა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის შესახებ დებულებით დადგენილ სტანდარტებთან;
- მიიღოს ყველა ზომა, მათ შორის, ფინანსური რესურსის გამოყოფით, რათა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში აღმოიფხვრას პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიშში უსაფრთხო და თერაპიული გარემოს კუთხით მითითებული პრობლემები;

[145] ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №87/ნ, 2007 წლის 20 მარტი.

- შეისწავლოს, მიეწოდება თუ არა პაციენტებს მკურნალობის შესახებ ინფორმაცია რეგულარულად, მათთვის გასაგებ ენაზე;
- დროულად აღმოიფხვრას მედიკამენტ „ციკლოდოლის“ მომარაგების პრობლემა, რათა ფსიქიატრიულმა დაწესებულებებმა შეძლონ გვერდითი ეფექტების სამართავად მისი გამოყენება;
- უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების თანამშრომელთა სწავლება, რათა მათ შეძლონ, ამოიცნონ „კლოზაპინის“ გვერდითი ეფექტები, რომელთაც შესაძლოა ლეტალური შედეგი გამოიწვიონ;
- დაავალოს შესაბამის სამსახურს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სამედიცინო ბარათების რეგულარული შემოწმება, რათა სტაციონარული სამედიცინო ბარათები ნაწარმოები იყოს ქვეყანაში არსებული მოთხოვნების[146] შესაბამისად;
- შევიდეს ცვლილება ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამაში, რათა მოკლევადიან მკურნალობაზე მყოფ პაციენტებსაც მიუწვდებოდეთ ხელი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კომპონენტზე;
- ფსიქიატრიულ დაწესებულებებთან ურთიერთანამშრომლობით უზრუნველყონ სერვისის მომხმარებლებისთვის ისეთი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა, რომლებიც ორიენტირებული იქნება აღდგენაზე და ხელს შეუწყობს პირის დამოუკიდებელ ცხოვრებას და ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში;
- უზრუნველყოს დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების როლის გაზრდა, რათა სოციალურ მუშაკებს ჰქონდეთ თემში არსებული პროგრამების მოძიებისა და პაციენტებისთვის გაცნობის ვალდებულება;
- გადაიხედოს სომატური ჯანმრთელობის მომსახურების დაფინანსების არსებული მოდელი, რათა ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტები სრულად და დროულად იყვნენ სტომატოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფილნი;
- უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში აგრანულოციტოზის, ნივთიერებათა ცვლის პროცესების და განსაკუთრებით, ჰიპერგლიკემიის განვითარების რისკის კლინიკურ-ლაბორატორიული დინამიკური შეფასება, ასევე, ლეიკოციტების კონტროლი მედიკამენტების გვერდითი მოვლენების მართვის მიზნით;
- უზრუნველყოს დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტებისთვის სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება;
- უზრუნველყოს თერაპევტის მიერ ყველა პაციენტის კონსულტირება დაწესებულებაში მოთავსებისთანავე;

[146] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი.

- შეისწავლოს დაწესებულებებში არსებული ფინანსური მდგომარეობა და დაწესებულებებთან თანამშრომლობისა და ხელშეწყობის გზით უზრუნველყოს:
    - დაწესებულებების სტაციონარულ განყოფილებებში დღისა და ღამის განმავლობაში მომუშავე პერსონალის რაოდენობის გაზრდა;
    - დაწესებულებების თანამშრომელთა ანაზღაურების გაზრდა და მათი უზრუნველყოფა დაზღვევით;
    - დაწესებულებებში ფსიქოსოციალური მიმართულებით მომუშავე სპეციალისტებისათვის შესაბამისად აღჭურვილი თერაპიული სივრცეების შექმნა;
    - დაწესებულებაში 24-საათიან გრაფიკზე მყოფი თანამშრომლებისთვის კვების უზრუნველყოფა.
- ხელი შეუწყოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავებას, მათ შორის, კვალიფიციური ტრენინგ პროგრამების დანერგვასა და მათზე წვდომას.

რეკომენდაცია იუსტიციის მინისტრს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ურთიერთთანამშრომლობის გზით შეიმუშაონ პენიტენციური ჯანდაცვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში სრული ინტეგრაციის გეგმა.

3. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

3.1. შესავალი

წინამდებარე თავი საანგარიშო პერიოდში თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევის კუთხით არსებულ შემდეგ გამოწვევებს მიმოიხილავს: პირთა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით დაკავების შემთხვევებს; აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს; ასევე, პატიმრების გათავისუფლების მექანიზმების განსაკუთრებულად ხარვეზიანობას.

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში, წლების განმავლობაში გადაუჭრელ პრობლემურ საკითხებთან ერთად, ტენდენციის სახით ახალი გამოწვევებიც გამოვლინდა, კერძოდ, უცხოელთა მიმართ საექსტრადიციო ვადების ხარვეზიანი გამოყენება და ყოფილ მსჯავრდებულთა პოლიციაში დაბარების პრაქტიკა.

ნიშანდობლივია, რომ კვლავ შეუსრულებელია სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციები. საქართველოს სახალხო დამცველმა 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშის თავისუფლებისა და უსაფრთხოების თავში 2 რეკომენდაცია და 4 საპარლამენტო წინადადება გასცა. სამწუხაროდ, არცერთი წინადადება და რეკომენდაცია არ შესრულებულა. ცვლილება არ შეხებია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს იმისათვის, რათა ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმება ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს ვალდებულებად განსაზღვრულიყო; კვლავ არ შემცირებულა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავდებულებისთვის, როგორც პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნით სასამართლოსთვის მიმართვის, ისე პრეზიდენტის შეწყალების უფლებით სარგებლობის მიზნით დაწესებული ვადები. სამწუხაროდ, კვლავ პრობლემურია ე.წ. გარიდების მექანიზმის[147] გამოყენება და მისი საკანონმდებლო მოწესრიგება. მექანიზმის გამოყენების შესახებ რეგულაციების[148] ნორმატიულ დონეზე განუსაზღვრელობა პოლიციელებს მოქმედების ფართო დისკრეციას ანიჭებს.[149]

ასევე შეუსრულებელია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ გაცემული ორი რეკომენდაცია. კერძოდ, ნორმატიულად არ განსაზღვრულა სპეციალურ ოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავთა მიერ სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების ვალდებულება და სპეციალური ოპერაციისას სამხრე კამერის გამოყენების წესი.

---

[147] ეს მექანიზმი პრაქტიკაში პოლიციელის მიერ პირისათვის გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვების მოთხოვნასა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვას გულისხმობს.

[148] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, „პოლიციელი უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვება და აუკრძალოს მას კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა, თუ ეს აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული შეზღუდვა შესაძლებელია გაგრძელდეს საფრთხის აღმოფხვრამდე". მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციით, ამ მუხლზე არ მიეთითება, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება არსებობდეს მისი გამოყენების საფუძვლები. მაგრამ ამ შემთხვევაშიც აუცილებელი და საჭირო იქნება ქვემდგომი ნორმატიული აქტით ამ საკითხის დეტალური დარეგულირება და საფუძვლების და პროცედურების მკაფიოდ გაწერა.

[149] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 104.

3.2. დაკავება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა, წინა წლის მსგავსად, კვლავ გამოავლინა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მოწმეების ფაქტობრივი დაკავების შემთხვევები. სამწუხაროდ, კვლავ გრძელდება პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, პირები, რომელთა მიმართ ბრალდების წარდგენაც იგეგმება, იძულებით გადაჰყავთ პოლიციის შენობაში, მათთან მოწმის სახით ატარებენ საგამოძიებო მოქმედებას და მხოლოდ ამის შემდეგ აფორმებენ ფორმალურად მათ დაკავებას. სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეებში იკვეთება, რომ მოწმის სახით პოლიციის განყოფილებაში გადაყვანისას მათ ართმევენ პირად ნივთებს და არ ეძლევათ თავისუფლად გადაადგილებისა და შენობის დატოვების უფლება. შესაბამისად, პირები ფაქტობრივი დაკავების პირობებში იმყოფებიან, თუმცა ვერ სარგებლობენ ბრალდებულის უფლებებით, რადგან ფორმალურად მათ ჯერ კიდევ არ აქვთ ბრალდება წარდგენილი.

კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით დაკავების შემთხვევების კონტექსტში, ასევე საგულისხმოა, ადმინისტრაციულ დაკავებებთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში შესწავლილი არაერთი საქმე. მაგალითისათვის, სახალხო დამცველის აპარატმა 2021 წლის 30 ოქტომბერს დაკავებული ოთხი პირის საქმეზე დაადგინა, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დაწყების მომენტისთვის ოთხივე დაკავებული პირის დაკავების მაქსიმალური, 48-საათიანი ვადა ამოწურული იყო.[150] მიუხედავად ამისა, დაკავებულები არ გაუთავისუფლებიათ და სასამართლოს დაკავების ვადა დარღვეულად არ მიუჩნევია.

3.3. თავისუფალი გადაადგილების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვა

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქმე, რომლის ფარგლებშიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის არასწორად გამოყენების - ჩხრეკის შედეგად პასპორტების ამოღების გამო, პირებს გადაადგილების თავისუფლებით სარგებლობის უფლება შეეზღუდათ. კერძოდ, გამოძიების ფარგლებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, სხვა ნივთებთან ერთად, ამოღებულ იქნა ისრაელის მოქალაქისა და მისი მეუღლის, ბელორუსის მოქალაქის პასპორტები. აღნიშნული განხორციელდა იმის მიუხედავად, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება პასპორტების შესაძლო გაყალბების ან რაიმე ამგვარ ფაქტზე არ მიმდინარეობდა.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული პირები ბრალდებულები არ ყოფილან, მათ მიმართ არ მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების თაობაზე დადგენილი წესი მათზე ვერ გავრცელდებოდა.[151] სახალხო დამცველის

[150] კერძოდ, პირები დააკავეს 2021 წლის 30 ოქტომბერს 10:25-11:25 საათების პერიოდში, სასამართლოში მასალები წარადგინეს 2021 წლის 1 ნოემბერს 10:15 საათზე. 2021 წლის 1 ნოემბრის 11:25 საათისთვის ამოწურული იყო მათი დაკავების მაქსიმალური, 48-საათიანი ვადა, თუმცა დაკავებულები არ გათავისუფლებულან. ისინი მოსამართლეს წარუდგინეს და სასამართლო სხდომები 2021 წლის 1 ნოემბრის 12:13, 14:13, 15:30 და 15:42 საათებზე დაიწყო.

[151] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 163-165.

აპარატის მიერ განხორციელებული კომუნიკაციის შემდეგ, პირებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული პასპორტები ორი თვის შემდეგ დაუბრუნდათ.

ასევე აღსანიშნავია, რომ, გასული წლების მსგავსად,[152] საქართველოს სახალხო დამცველისადმი პირთა ცალკეულ მომართვებში კვლავ გამოიკვეთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ გარკვეული მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსვლისა და გასვლის უსაფუძვლო აკრძალვის ფაქტები. მაგალითისათვის, 2021 წლის 20 დეკემბერს, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვის საფუძვლების არსებობის გარეშე, მოქალაქეს შესაძლებლობა არ მისცეს გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის მცდელობის დროს, 2021 წლის 20 დეკემბერს, განმცხადებლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ იყო და მას შეზღუდული არ ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის უფლება. ასევე, სხვა საქმეზე დადგინდა, რომ მოქალაქეს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითებით, 2021 წლის 24 მაისს არ მიეცა პოლონეთში გამგზავრების შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ დაწყებული არ ყოფილა სისხლისსამართლებრივი დევნა და მას არც პასპორტის მოქმედება ჰქონია შეჩერებული. საგულისხმოა, რომ ამ საქმეში სახალხო დამცველის აპარატის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მრავალჯერადი კომუნიკაციის[153] შედეგად, გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა შემოწმება, რომლის ფარგლებშიც დადგინდა მოქალაქის უფლების დარღვევა და გამომძიებელს შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა.[154]

3.4. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების ან შეცვლის თაობაზე განჩინების გასაჩივრების პრაქტიკა

სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეებში, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის განჩინების გასაჩივრებასთან დაკავშირებით, საერთო სასამართლოების ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო პრაქტიკა გამოიკვეთა. კერძოდ, შესწავლილი საქმეებიდან[155] დგინდება, რომ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის განჩინება სააპელაციო სასამართლოში საჩივრდება არა 48 საათში,[156] არამედ საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, განაჩენთან ერთად.

---

[152] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 131; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 88.

[153] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 14 სექტემბრის №15-8/8829; 2021 წლის 20 ოქტომბრის №15-8/9953; 2022 წლის 6 იანვრის №15-8/200 და 2022 წლის 2 თებერვლის №15-8/1330 წერილები.

[154] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 27 იანვრის MIA 8 22 00220393 და 2022 წლის 8 თებერვლის MIA 7 22 00330859 წერილი.

[155] ამ შინაარსის განჩინება მიიღეს ბრალდებულ ს. ქ.-ის მიმართ, ბრალდებულ ნ. მ-ის მიმართ, აგრეთვე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში განხილულ 9 საქმეში.

[156] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივროს პროკურორმა, ბრალდებულმა ან/და მისმა ადვოკატმა. საჩივარი შეიტანება განჩინების გამომტან

სახალხო დამცველის შეფასებით, ამგვარი პრაქტიკა აზრს უკარგავს აღკვეთის ღონისძიების განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას, ვინაიდან საქმის განხილვის დასრულების შემდეგ საქმეზე განაჩენის მიღების დროს პირის მიმართ გამოტანილი აღკვეთის ღონისძიება თავისთავად წყვეტს მოქმედებას. შესაბამისად, აზრს მოკლებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, სასამართლო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების კანონიერებას განიხილავს მას შემდეგ, რაც ამ ღონისძიების მოქმედება შეწყდება.

ზემოაღნიშნულის გარდა, საანგარიშო პერიოდში ასევე გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ, პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი ისე განიხილა, რომ სხდომის შესახებ ინფორმაცია მხარეებს არ მიაწოდა და, შესაბამისად, მხარეთა დაუსწრებლად დატოვა ძალაში გამოყენებული პატიმრობა. აღსანიშნავია, რომ მოსამართლის მიერ მხარეთა დაუსწრებლად პატიმრობის საკითხის გადაწყვეტა ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.[157] ამის გათვალისწინებით, დასახელებული საკითხის შესწავლის მოთხოვნით სახალხო დამცველმა დამოუკიდებელ ინსპექტორს მიმართა. ინსპექტორის სამსახურმა გაიზიარა სახალხო დამცველის აპარატის პოზიცია და დაადგინა „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახე, კერძოდ, მოსამართლის ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს. გამომდინარე იქიდან, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე 65 წლის ასაკის მიღწევის გამო გათავისუფლებულია მოსამართლის თანამდებობიდან, დისციპლინური საქმისწარმოება შეწყდა.[158]

3.5. ივანე მერაბიშვილის საქმე

სახალხო დამცველმა, გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებში, საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ივანე მერაბიშვილის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების[159] აღსრულების მდგომარეობის შესახებ. 2021 წელს, სახალხო დამცველის აპარატმა, ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანისას სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე განახლებული გამოძიების მასალების გაცნობა განაგრძო.

სახალხო დამცველის აპარატმა, საქმის მასალების უშუალოდ გაცნობისა და შესწავლის საფუძველზე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წინაშე მორიგი კომუნიკაციები წარადგინა, სადაც შეფასებულია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებების ეფექტიანობა. კომუნიკაციებში მითითებულია, რომ

სასამართლოში, რომელიც ამ საჩივარსა და მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. გასაჩივრება არ აჩერებს განჩინების აღსრულებას".

[157] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[158] დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2022 წლის 25 თებერვლის №125-69-03 წერილი.

[159] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ."

მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ფაქტზე გამოძიება წარიმართა მნიშვნელოვანი შეფერხებებით. გამოძიების განსაკუთრებულ ნაკლად სახალხო დამცველმა მთავარი მოწმეების დროულად არგამოკითხვა, ამოცნობის ჩაუტარებლობა და გამოძიების პროცესში მსხვერპლის არასათანადო ჩართულობა მიუთითა. სახალხო დამცველის შეფასებით, განახლებული გამოძიების არასრულყოფილი და დაგვიანებული ხასიათის გათვალისწინებით, საქართველოს მიერ მინისტრთა კომიტეტის წინაშე აღებული ვალდებულება შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

3.6. საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა შეისწავლა რამდენიმე საქმე საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების კანონიერებასთან დაკავშირებით.[160] საქმეთა შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ პირის ექსტრადიციის საკითხის არსებითად შესწავლა, უმეტეს შემთხვევაში, იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ექსტრადიციას დაქვემდებარებული მსჯავრდებული პირი თავისუფლდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან. ამრიგად, ამჟამად არსებული პრაქტიკით, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე იმყოფება საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში და საქართველოს პროკურატურა იღებს უცხო ქვეყნისგან მოთხოვნას ამ პირის ექსტრადიციასთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურა ელოდება, სანამ აღნიშნული პირი სრულად არ მოიხდის სასჯელს და მხოლოდ შემდგომ იწყებს საექსტრადიციო საქმისწარმოებას. საქმისწარმოების ფარგლებში პროკურატურა ითხოვს პირისთვის დამატებითი პატიმრობის შეფარდებას, რასაც საერთო სასამართლოები აკმაყოფილებენ. ეს პატიმრობის დამატებით შეფარდებას იწვევს, ვინაიდან, იმ შემთხვევაში, თუკი პროკურატურა დაუყოვნებლივ დაიწყებდა საექსტრადიციო საქმისწარმოებას, მაშინ პირის გათავისუფლების შემდგომ მისი ხელახალი დაპატიმრება საჭირო არ გახდებოდა, რადგან ექსტრადიციის საკითხი პირის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გათავისუფლებამდე იქნებოდა შესწავლილი.

ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, 2021 წლის 7 დეკემბერს სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს. საქართველოს პარლამენტის მიერ წინადადების გაზიარების შემთხვევაში, დაუშვებლად იქნება ცნობილი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება ან/და გაგრძელება, თუ პირის მიმართ საექსტრადიციო საქმისწარმოებისათვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.[161]

---

[160] 2020-2021 წლებში სახალხო დამცველმა შეისწავლა ადვოკატების, მ. ზ.-ს და ი. კ.-ს განცხადებები უცხო ქვეყნის მოქალაქეების, ი. ო-ს, ბ. ჩ.-ს, ა. ი.-ს და თ. ე.-ს მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების კანონიერებასთან დაკავშირებით.

[161] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 7 დეკემბრის №15-2/11520 წინადადება.

3.7. პატიმრების გათავისუფლების მექანიზმები

2021 წლის განმავლობაში, წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემური იყო მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა და ამ საკითხის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. მოქმედი პრაქტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო ვერ ადგენენ ერთიან, განჭვრეტად და მკაფიო საფუძვლებს იმისა, თუ ვის ეკუთვნის საკანონმდებლო შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობა. პატიმრებისთვის სრულიად გაუგებარია, ვის, რა შემთხვევაში, რა ფორმალური და მატერიალური საფუძვლით შეიძლება უთხრან უარი ან თანხმობა გათავისუფლებაზე. ჩვენი მრავალწლიანი დაკვირვებით, ნათელია, რომ საკანონმდებლო რეგულირებების პრაქტიკული აღსრულება ხდება თვითნებურად, რაც პატიმრების ყოველდღიურ გულისწყრომას და განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში იუსტიციის მინისტრმა გაიზიარა სახალხო დამცველის 2021 წლის 28 სექტემბრის №15-10/9226 რეკომენდაცია, რომელიც დამკვიდრებული კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად. არსებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი მსჯავრდებულს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული ჰქონდა სასამართლოში, პროცესის დასრულებამდე მისი განცხადება აღარ გადაიხედებოდა ადგილობრივი საბჭოების მიერ პერიოდულად. ამის მიზეზი კი ის გარემოება იყო, რომ საბჭოსთვის აღარ იყო ხელმისაწვდომი მსჯავრდებულთა პირადი საქმეები, რომლებიც სასამართლოში იყო გადაგზავნილი.[162] შესაბამისად, მსჯავრდებულებს უწევდათ არჩევანის გაკეთება კანონით გარანტირებულ ორ უფლებას შორის - პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის უფრო მსუბუქი სახით შეცვლის თაობაზე საბჭოს მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება გაესაჩივრებინათ სასამართლოში, ან უარი ეთქვათ გასაჩივრებაზე და ესარგებლათ პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის უფრო მსუბუქი სახით შეცვლის მექანიზმით ხელმეორედ კანონით დადგენილ ვადაში. იუსტიციის სამინისტრომ კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, გაატარა შესაბამისი ღონისძიებები და ყველა პენიტენციურ დაწესებულებას მიეცა კონკრეტული მითითებები.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატმა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმის ხარისხობრივი შეფასების მიზნით, 2021 წელს პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ საბჭოების მიერ გამოცემული 1777 გადაწყვეტილება შეისწავლა.

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოიკვეთა გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობის და იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში არაერთგვაროვანი

[162] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, 02.02.2022, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3sF0e47 > [ბოლოს ნანახია 04.03.2022].

გადაწყვეტილებების მიღების პრობლემა.[163] ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ პრაქტიკა არ შეცვლილა და ხშირ შემთხვევაში, საბჭოები საქმეთა განხილვის პროცესში კვლავ იჩენენ არათანმიმდევრულობას. გაუგებარი რჩება, რატომ იღებენ ადგილობრივი საბჭოები განსხვავებულ გადაწყვეტილებებს იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილი შაბლონური და ფორმალურია და არ იძლევა იმის განჭვრეტის შესაძლებლობას, თუ რატომ მიიღო ადგილობრივმა საბჭომ ერთ შემთხვევაში დადებითი, ხოლო ანალოგიური ხასიათის სხვა საქმეში - უარყოფითი გადაწყვეტილება. მაგალითისთვის მიმოვიხილავთ ლუკა სირაძის საქმეში[164] მსჯავრდებული პირის პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მსგავსიც არაერთი სხვა გადაწყვეტილებაა. ადგილობრივმა საბჭომ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როდესაც შეფარდებული სამწლიანი სასჯელიდან მსჯავრდებულს დარჩენილი ჰქონდა თითქმის ნახევარი - ერთი წელი და ოთხი თვე, არ ჰქონდა დაზარალებული მხარის თანხმობა და თავს ბრალდებაში დამნაშავედ არ მიიჩნევდა. აღნიშნულისგან განსხვავებით, სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილია არაერთი სხვა გადაწყვეტილება, სადაც პირს უარი პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე იმის გამო ეთქვა, რომ იგი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა.

საქმეების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში ადგილობრივი საბჭოები შაბლონურად მიუთითებენ კრიტერიუმებზე, განსაკუთრებით დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათზე. გადაწყვეტილების დასაბუთება არ შეიცავს მსჯელობას მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესზე და მის დინამიკაზე. ასევე საგულისხმოა, რომ უარყოფითი გადაწყვეტილების განმსაზღვრელ მთავარ კრიტერიუმად კვლავ რჩება ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე.

გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივი საბჭოების მიერ სოციალურ აქტივობებში ჩართულობაზე მითითებაც. როგორც წესი, უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებაში მითითებულია შაბლონური ჩანაწერი, რომ პატიმარს „არ მიუღია მონაწილეობა სოციალურ აქტივობაში" და ეს იმ ფონზე, როდესაც თავად პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქო-სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და კულტურულ-სპორტული ღონისძიებები მწირი რაოდენობით, ფრაგმენტულად ტარდება. ასევე საგულისხმოა, რომ აქტივობები მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული არ არის.[165]

სამწუხაროდ, დაუსაბუთებლობის პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ ჩანს დადებითი გადაწყვეტილებების შემთხვევაში. დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას, ადგილობრივი საბჭო არ წარმოადგენს დასაბუთებას და შესაბამისად, უცნობი რჩება, რა

[163] სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში.
[164] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 81-82.
[165] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, 61; პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 41.

კრიტერიუმებით იხელმძღვანელა მან კონკრეტულ საქმეში, რატომ არ მიაქცია ყურადღება არაერთ უარყოფით მახასიათებელს და რა გახდა დადებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

უარყოფითი და დადებითი გადაწყვეტილების ანალიზისას აშკარა და ცხადი ხდება, რომ ერთსა და იმავე, ან მსგავს ფაქტობრივ მოცემულობებში, განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღება.

ასევე საგულისხმოა, რომ ადგილობრივი საბჭოები, ხშირ შემთხვევაში, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მსჯავრდებულის წახალისებისა თუ დისციპლინური სახდელის დაკისრების ფაქტებს, არ მსჯელობენ მისი ქცევის ქრონოლოგიაზე, არ აფასებენ, თუ რამდენად შეიცვალა პატიმრის ქცევა დისციპლინური სახდელის დაკისრებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალ მსჯავრდებულთა და არასრულწლოვნების განმხილველი ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები გაცილებით ინფორმატიულია. კერძოდ, გადაწყვეტილებებში მოცემულია სოციალური მუშაკის დასკვნა მსჯავრდებულთა ოჯახისა და იმ გარემო-პირობების შესახებ, სადაც მსჯავრდებული შესაძლო გათავისუფლების შემთხვევაში უნდა დაბრუნდეს.

უარყოფითი და დადებითი გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობაზე მითითების პარალელურად არსებითად მნიშვნელოვანია, გამომწვევი მიზეზების კვლევა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების დაჯამებისა და გაანალიზების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოს თითოეულ წევრს საკმაოდ შრომატევადი სამუშაოს შესრულება უწევს. პრობლემას ასევე წარმოადგენს ის, რომ ადგილობრივი საბჭოების წევრების მიერ თითოეული მსჯავრდებულის დახასიათების სრულყოფილი გაცნობის, კანონით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით შეფასებისა და შემდგომ კოლექტიურად თითოეული დახასიათების განხილვა/გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაწეული სამუშაო არ არის ანაზღაურებადი და საბჭოს თითოეული წევრი სხვადასხვა სამუშაოს პარალელურად ახორციელებს ამ საპასუხისმგებლო მისიას.

რაც შეეხება პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გამოყენების სტატისტიკურ მონაცემებს წლების მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკა, სამწუხაროდ, გაუარესებულია. კერძოდ, 2019 წელს პირობით ვადამდე 1 279 მსჯავრდებული გათავისუფლდა, ხოლო 2020 წელს - 830.[166] აღნიშნული უარყოფითი ტენდენცია შენარჩუნდა 2021 წელსაც - პირობით ვადამდე მხოლოდ 829 პატიმარი გათავისუფლდა.
ასევე, 2020 წელთან შედარებით გაუარესებულია სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის სტატისტიკაც. კერძოდ, 2020 წელს სასჯელი შეეცვალა

[166] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ". 2020, 108.

545 მსჯავრდებულს,[167] ხოლო 2021 წელს - 440 მსჯავრდებულს.[168] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელთან შედარებით, 2020-2021 წლებში მონაცემები გაზრდილია - 2019 წელს ეს მექანიზმი 236 მსჯავრდებულის მიმართ იქნა გამოყენებული.[169]

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია დაიხვეწოს ნორმატიული ბაზა და პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესში უფრო მეტ კრიტერიუმს მიექცეს ყურადღება, მათ შორის, ისეთ ასპექტებს, რომლებიც მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებსა და სხვა საკითხებს მიემართება.[170] მნიშვნელოვანია პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილების მთავარი განმაპირობებელი კრიტერიუმი კვლავ დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე არ იყოს, მით უფრო ისეთ შემთხვევებში, როდესაც სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებული დადებითად ხასიათდება.

სასჯელის გადასინჯვის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის. თავისუფლების აღკვეთა, თავისუფლების ხელახლა მოპოვების იმედის გარეშე, შეუთავსებელია ადამიანურ ღირსებასთან და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს.[171] უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა სასჯელის გადასინჯვისთვის და პრეზიდენტის მიერ მათი შეწყალებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად დადგენილია პატიმრის მიერ თავისუფლების აღკვეთის მინიმუმ 20 წლის მოხდა.[172] სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულისთვის, მნიშვნელოვანია შემცირდეს როგორც პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნით სასამართლოსთვის მიმართვის, ასევე, პრეზიდენტის შეწყალების უფლებით სარგებლობის მიზნით დაწესებული ვადები. ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა 2020 წლის ანგარიშში წინადადებებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს, თუმცა მისი წინადადებები არ გაუზიარებიათ.[173]

აღსანიშნავია, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის საზოგადოებაში დაბრუნების იმედთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია

---

[167] იქვე.

[168] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2022 წლის 10 იანვრის №5083/01 წერილი.

[169] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2020, 108.

[170] საქართველოს სახალხო დამცველი, „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში", ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/37NBXy5 > [ბოლოს ნანახია 04.03.2022].

[171] ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Vinter and others v. The United Kingdom), ხელმისავწდომია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/3nTum91> [ბოლოს ნანახია: 12.11.21].

[172] სისხლის სამართლის კოდექსის 72[1] მუხლის 1-ლი ნაწილი და საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბერის №556 ბრძანებულება შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ.

[173] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 112.

გათავისუფლების გეგმის შემუშავება, რაც განაჩენის გამოტანისთანავე უნდა განისაზღვროს და შემდგომში რეგულარულად გადაიხედოს.[174] მისასალმებელია, რომ 2021 წლიდან სასამართლოს მხრიდან სასჯელის გადასინჯვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის წარმატებით გავლა და მის საფუძველზე მომზადებული შემაჯამებელი ანგარიში განისაზღვრა.[175] ასევე დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მომზადება-გათავისუფლებისთვის პროგრამის დანერგვა დაიწყო.[176] თუმცა, სამწუხაროდ, პროგრამაში ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული რეჟიმი დანერგილი არ არის, რამაც, შესაძლოა, მის ეფექტიანობაზე იქონიოს გავლენა.[177]

3.8. ყოფილი მსჯავრდებულების პოლიციაში დაბარების პრაქტიკა

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა კიდევ ერთი გამოწვევა, კერძოდ, ყოფილი მსჯავრდებულების პოლიციაში დაბარების ხარვეზიანი პრაქტიკა. ამ საკითხს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი საიდუმლო ბრძანება არეგულირებს.[178] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო დამცველისთვის არ უცნობებია, ნებაყოფლობითია თუ არა გათავისუფლებულ პატიმრებთან პოლიციის განყოფილებაში გასაუბრება, ან პოლიციის განყოფილებაში გამოცხადებასა ან/და გასაუბრებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ეკისრებათ თუ არა მათ რაიმე სახის პასუხისმგებლობა.

სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანია ამ ბრძანების განსაიდუმლოება, რათა მოქალაქისთვის ცნობილი იყოს მისი ვალდებულებები და შესაძლო პასუხისმგებლობის ზომა, პოლიციის განყოფილებაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში. ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ აკრძალულია იმ ინფორმაციის დასაიდუმლოება, რომლითაც შეიძლება შეიზღუდოს ადამიანის უფლებები და შეილახოს მისი კანონიერი ინტერესები.[179] ამ დოკუმენტის დასაიდუმლოებისა და პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების

---

[174] ციხის ევროპული წესები, წესი 103.8.

[175] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 72[1] -ე მუხლის პირველი ნაწილი; 73-ე მუხლის მეშვიდე ნაწილი.

[176] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინფორმაციის თანახმად, პროგრამაში, ჯამში - 43 მსჯავრდებულია - №5 პენიტენციური დაწესებულება – 2, №6 პენიტენციური დაწესებულება – 9, №8 პენიტენციური დაწესებულება – 27, №10 პენიტენციური დაწესებულება – 1, №15 პენიტენციური დაწესებულება – 4. რაც შეეხება ინდივიდუალურ გეგმებს, 2021 წლის იანვრიდან დღემდე უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების სასჯელის მოხდის 37 ინდივიდუალური გეგმა შემუშავდა (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 18 ნოემბრის წერილი №276853/01).

[177] დამატებით დეტალები იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიშში.

[178] კერძოდ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 1 ივლისის №02ს-N010 ერთობლივი საიდუმლო ბრძანება (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 5 მაისის NMIA 1 21 01125329 წერილი).

[179] „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

შეუტყობინებლობის გამო, კონკრეტული პირის სანქცირებამ, შესაძლოა, სამომავლოდ კანონიერების პრინციპთან წინააღმდეგობის პრობლემა წარმოშვას.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმება ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს ვალდებულებად განისაზღვრება;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა, რამდენიმე წლით შემცირდეს;
- „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლს დაემატოს მე-12[1] პუნქტი, რომლითაც დაუშვებლად იქნება ცნობილი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება ან/და გაგრძელება იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ საექსტრადიციო საქმისწარმოებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში;
- შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მკაფიო ვალდებულებად განისაზღვრება აღკვეთის ღონისძიების კანონიერებაზე დაუყონებლივ მსჯელობის ვალდებულება;
- შევიდეს ცვლილებები პატიმრობის კოდექსში და განისაზღვროს ადგილობრივი საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენების ჩატარების სავალდებულო კრიტერიუმები. ამავე დროს, ადგილობრივ საბჭოს შეუნარჩუნდეს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ჩაატაროს ზეპირი განხილვა.

საქართველოს პრეზიდენტს:

- შევიდეს ცვლილებები „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის №556 ბრძანებულებაში და უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების ვადად 15 წელი განისაზღვროს.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- 2022 წელს ნორმატიულად განისაზღვროს სპეციალურ ოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავთა მიერ სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების ვალდებულება და სპეციალური ოპერაციისას სამხრე კამერის გამოყენების წესი;
- 2022 წელს სამხრე კამერებით აღიჭურვონ სპეციალურ ოპერაციებში მონაწილე სამართალდამცავები;
- განსაიდუმლოვდეს და საჯარო გახდეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 1 ივლისის №02ს-N010 ერთობლივი საიდუმლო ბრძანება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- შევიდეს ცვლილება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებაში და დადგენილი შეფასების კრიტერიუმებს დაემატოს ისეთი ელემენტები, რომლებიც მიემართება მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებს და სხვა საკითხებს;
- განსაიდუმლოვდეს და საჯარო გახდეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 1 ივლისის №02ს-N010 ერთობლივი საიდუმლო ბრძანება.

4. სამართლიანი სასამართლოს უფლება

4.1. შესავალი

გასული წლების მსგავსად, სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების ხარისხი, ტრადიციულად, საანგარიშო პერიოდშიც გაუარესდა. მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრობლემები, რომლებიც როგორც ინსტიტუციურ, ისე საკანონმდებლო დონეზე ვლინდება, დღის წესრიგში აყენებს სიღრმისეული და ფუნდამენტური რეფორმის საჭიროებას. სამართლებრივ სახელმწიფოში, სამართლიანი სასამართლო, თავისი ინსტრუმენტული ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და უკვე დარღვეული უფლების აღდგენის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. სამწუხაროდ, საქართველოში, ინსტიტუციურად გამართული და დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნა, ამ დრომდე ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის მიზნით, ევროპული საბჭოს თავმჯდომარის მედიაციით, ხელი მოეწერა პოლიტიკურ შეთანხმებას - „სამომავლო გზა საქართველოსთვის" (შემდეგში, ასევე როგორც „19 აპრილის შეთანხმება").[180] შეთანხმება იძლეოდა ისტორიულ შანსს, ქვეყანაში შექმნილიყო სამართლიანი სასამართლოს ფორმირების ღრმა და ინსტიტუციურად გამართული გარანტიები. შეთანხმების ფარგლებში, მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ აიღო პასუხისმგებლობა სასამართლო სისტემაში განეხორციელებინა ფუნდამენტური რეფორმა, ხოლო მის სისრულეში მოყვანამდე სახელმწიფოს უნდა შეეჩერებინა უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების პროცესი, რაც, სამწუხაროდ, სახალხო დამცველისა[181] და ეუთო/ოდირის[182] მოწოდებების მიუხედავად, არ განხორციელებულა.

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფომ არ შეაჩერა უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტება, სახალხო დამცველის აპარატს მონაწილეობა არ მიუღია კანდიდატების საჯარო განხილვის პროცესში.[183] დანიშვნების პროცესი ნეგატიურად შეაფასეს საერთაშორისო პარტნიორებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახურმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დაკომპლექტების პროცესის გაგრძელება 19 აპრილის შეთანხმების დარღვევად და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და საზოგადოებრივი ნდობის მიმართ საფრთხის შემცველად შეაფასა.[184]

---

[180] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://bit.ly/34oNDc2 > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[181] სახალხო დამცველის 2021 წლის 19 მაისის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე< https://bit.ly/3sShmDy > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[182] ეუთო/ოდირის ანგარიში „საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეოთხე ანგარიში", ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://bit.ly/3CrHMzl, 2021 წელი, აგვისტო, 23. [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[183] სახალხო დამცველის 2021 წლის 30 ივნისის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://bit.ly/3tDtuaJ > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[184] ევროპის კავშირის საგარეო საქმეთა სამსახურის 2021 წლის 2 დეკემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე< https://bit.ly/373G6jM > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

მართლმსაჯულების სისტემაში, კიდევ ერთ უკან გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს, 2021 წლის ბოლოს, დაჩქარებული წესით, ოთხ დღეში ინიცირებული და მიღებული „საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში" შეტანილი ცვლილებები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეასუსტა მოსამართლის დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიები.

საქართველოს სახალხო დამცველმა, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სამართლიანი სასამართლოს უფლების მიმართულებით, 12 წინადადება და 7 რეკომენდაცია გასცა. გასული წლების მსგავსად, რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი არადამაკმაყოფილებელია. სახალხო დამცველის მიერ გაცემული 12 წინადადებიდან, საქართველოს პარლამენტს, სამწუხაროდ, არცერთი არ გაუთვალისწინებია, ხოლო რეკომენდაციებიდან მხოლოდ 3 ფასდება ნაწილობრივ შესრულებულად.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია/წინადადებებთან ერთად, საქართველოს პარლამენტმა, სამწუხაროდ, ასევე არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის მნიშვნელოვანი წინადადებები, რომლებიც ეხებოდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობდა დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევების თავიდან აცილებას. სამწუხაროდ, ქვეყანაში კვლავ მოქმედებს საბჭოთა პერიოდში მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც არ შეესაბამება კონსტიტუციურ სტანდარტებს. საანგარიშო პერიოდში ასევე არ განხორციელებულა ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მისაღებად ხელშესახები საქმიანობა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობაში, სამწუხაროდ, კვლავ შედიან სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეები.[185] სახალხო დამცველის შეფასებით, გაუგებარია მათი როლი უზენაესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობაში, განსაკუთრებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჩამოყალიბების შემდგომ პერიოდში.[186]

სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების ხარისხზე კოვიდ პანდემია კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, ისევ გამოვლინდა სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში მითითებული ხარვეზები, რომლებიც დისტანციურ სასამართლო პროცესებს შეეხებოდა.[187] პრობლემები განსაკუთრებით ეხებოდათ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირებს. მათი თქმით, ისინი ვერ ახერხებდნენ სასამართლო პროცესებში სრულყოფილ მონაწილეობას,

[185] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 18.

[186] ამ მოსაზრებას იზიარებს ვენეციის კომისიაც - სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში მომზადებული კანონპროექტის პირველად ვერსიაში, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეები პლენუმის შემადგენლობაში არ მოიაზრებოდნენ, რაც კომისიამ დადებითად შეაფასა, ვენეციის კომისიის 2014 წლის 14 ოქტომბრის მოსაზრება, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/38G9VUQ > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[187] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისტანციური წესით ჩატარებული სისხლის სამართლის სხდომების მონიტორინგის შესახებ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tANb4y > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

რადგან ტექნიკური პრობლემები, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელს ხდიდა როგორც პროცესის მიმდინარეობაზე თვალ-ყურის მიდევნებას, ისე მასში ჩართვას.

წინამდებარე თავში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სასამართლოს სისტემაში არსებულ ინსტიტუციურ გამოწვევებს - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების პროცესს, ანგარიშვალდებულების საკითხებს, საქმეთა განაწილების ელექტრონულ სისტემას, მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და სხვ. ცხადია, გასული წლების მსგავსად, 2021 წლის განმავლობაშიც პრობლემური იყო სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების მიუხედავად, საკასაციო ეტაპზე სწრაფ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული პრობლემები, სამწუხაროდ, არ აღმოფხვრილა.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო განაჩენზე ხელმისაწვდომობის საკითხი, ასევე, ადვოკატთან კომუნიკაციის შეზღუდვის შემთხვევები პენიტენციურ დაწესებულებებში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემაა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. სამწუხაროდ, კანონიერებისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით წარიმართა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ჩვენ შევისწავლიდით.

2021 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში, საქართველოს წინააღმდეგ, 3 გადაწყვეტილება მიიღო,[188] საიდანაც ორში[189] ევროკონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა.

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არსებული პრობლემების საფუძვლით, საქართველოს სახალხო დამცველს 2021 წლის განმავლობაში 259 განცხადებით მიმართეს, აქედან 100 - სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ხანგრძლივობას ეხებოდა.

4.2. სასამართლო სისტემაში არსებული ინსტიტუციური პრობლემები

სასამართლო ხელისუფლების ფორმირება და მისი ინსტიტუციურად გამართული მუშაობა სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. დამოუკიდებელი და ინსტიტუციურად გამართული სასამართლოს პირობებში, ფაქტობრივად, შეუქცევადი ხდება ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით შებოჭილი სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლება არა აბსტრაქტულად, არამედ, კონსტიტუციით დადგენილ ინსტიტუციურ

[188] (1) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 25 თებერვლის №894/12 გადაწყვეტილება საქმეზე, მჭედლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ; (2) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 18 მარტის №42371/08 გადაწყვეტილება საქმეზე, თორთლაძე საქართველოს წინააღმდეგ; (3) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის №57542/12 გადაწყვეტილება საქმეზე, კიკაბიძე საქართველოს წინააღმდეგ.

[189] (1) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 25 თებერვლის №894/12 გადაწყვეტილება საქმეზე, მჭედლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ; (2) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის №57542/12 გადაწყვეტილება საქმეზე, კიკაბიძე საქართველოს წინააღმდეგ.

ფარგლებში ვრცელდება[190] და იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან.[191]

მართლმსაჯულების სისტემაში სხვადასხვა მორიგი ტალღის სახელით ცნობილმა ცვლილებებმა, სამწუხაროდ, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი ვერ გაზარდა და პირიქით, სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობის პრობლემები კიდევ უფრო გააღრმავა. სასამართლოს შიგნით არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფი, მმართველ პოლიტიკურ პარტიასთან შეთანხმებით, სასამართლო ხელისუფლებას კორპორატიული გავლენების ფარგლებში მართავს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული კვლევის შესაბამისად, რეფორმირების „პირველი ტალღის" შემდეგ არცერთი ცვლილების მიზანი სასამართლოს შიგნით დემოკრატიული პროცესების გაძლიერება არ ყოფილა. საბოლოოდ კი, ცვლილებებმა სასამართლოს სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფი გააძლიერა.[192]

გასულ წლებში არაერთგზის დადასტურდა, რომ სასამართლო ხელისუფლება მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის მიერ იმართებოდა. მაგალითად, 2021 წლის 31 ოქტომბერს, მოსამართლეთა 30-ე კონფერენციაზე, საქართველოს იუსტიის უმაღლესი საბჭოს ორმა წევრმა,[193] თანამდებობა ისე დატოვა, რომ გადადგომის მიზეზებზე ამ დრომდე არ უსაუბრიათ. ისინი 4 წლის ვადით იყვნენ არჩეულები. მათი გადაწყვეტილება ბუნებრივად აჩენს ეჭვებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების დამოუკიდებლობის თაობაზე და იმაზე, რომ გადაწყვეტილებები საბჭოს წევრად განწესებაზე ან გათავისუფლებაზე, დახურულ კარს მიღმა, სხვა პირთა მიერ მიიღება. ასევე, ჩვენს მიერ გასულ წლებში მომზადებულმა მონიტორინგის ანგარიშმა კარგად გამოაჩინა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა გარკვეული ნაწილის წინასწარი შეთანხმება კენჭისყრის პროცესში.[194] ამის პარალელურად კი, წლების განმავლობაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში, სულ უფრო მცირდება გამჭირვალობის ხარისხი. საკითხების გადაწყვეტისას საბჭოს იზოლაციური და ჩაკეტილი მიდგომა ამყარებს ეჭვს, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილები გავლენიანი ჯგუფის მიერ არაფორმალურად მიიღება.

ამ პირობებში განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა პირდაპირ უჭერს მხარს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამ ტიპის საქმიანობას. როგორც უკვე

---

[190] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II პარა. 68.

[191] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, პარა. 1.

[192] „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში, 2013-2021 წლები", 1. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vRsqD5> [ბოლოს ნანახია 25.02.2022].

[193] თამარ ონიანი, თეა ლეონიძე.

[194] საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის მონიტორინგის ანგარიში, 7-40.

აღინიშნა, 2021 წლის დეკემბერში, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეასუსტა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები. სახალხო დამცველის შეფასებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური ვალდებულება სწორედ ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვაა,[195] შეუძლებელია სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელმყოფი კანონის პროექტი საბჭოს ინტერესის საგანი არ ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ერთი განცხადებაც კი არ გაავრცელა კანონპროექტთან დაკავშირებით, არც განხილვის პროცესში მიუღია მონაწილეობა. სწორედ ამიტომ, ჩნდება ლეგიტიმური ეჭვი, რომ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან კანონპროექტი წინასწარ იყო შეთანხმებული.[196]

წლების განმავლობაში მიმდინარე სასამართლო სისტემის მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო რიგით მოსამართლეებზე გავლენას სასამართლოს თავმჯდომარეების მეშვეობით ინარჩუნებს, რომელთა თანამდებობაზე განწესების უფლებამოსილება თავად აკისრია. სწორედ ამგვარი ვერტიკალური მმართველობის პირობებში უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეებზე გავლენის შენარჩუნებას. სახალხო დამცველი, 2017 წლიდან, აქტიურად მიუთითებს საკანონმდებლო ცვლილების აუცილებლობაზე, რომლითაც მიიღწევა თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზაცია.[197]

19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების შეუსრულებლობის, ასევე, სასამართლო სისტემაში არსებული კორპორატიული გავლენების პირობებში, რიგითი რეფორმის ფარგლებში, შეუძლებელი იქნება რაიმე ხელშესახები გაუმჯობესების მიღწევა. საანგარიშო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გამოკვეთა სახალხო დამცველის მიერ, გასული წლის საპარლამენტო ანგარიშში, სასამართლო სისტემის რადიკალური რეფორმის საჭიროების თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებაზე მსჯელობის აუცილებლობა.[198] განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვადასხვაგვარი გამოცდილების არსებობა, საკითხი დადებითად შეაფასეს ევროპულმა სასამართლომ[199] და ვენეციის კომისიამ.[200] [201]

---

[195] საქართველოს კონსტიტუცია. მუხ. 64.

[196] სახალხო დამცველის 2021 წლის 30 დეკემბრის განცხადება. ხელმისაწვდომია < https://bit.ly/3Jb3Kt7 > ბოლოს ნანახია 16.03.2022].

[197] სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, 103-104.

[198] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 123-124.

[199] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 9 თებერვლის №15227/19 გადაწყვეტილება საქმეზე, CASE OF XHOXHAJ v. ALBANIA. პ. 299.

[200] ვენეციის კომისიის 2016 წლის 12 დეკემბრის სასამართლო მეგობრის №868/2016 მოსაზრება ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vsxtab > [ბოლოს ნანახია 25.02.2022].

[201] მსგავს საკითხებზე საქართველოში უკვე საკმაოდ აქტიური დისკუსია მიმდინარეობს - (1) „მოსამართლეთა თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმება თეორიულ და შედარებით პერსპექტივაში", ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3h2xifY > [ბოლოს ნანახია 27.02.2022]. (2) „სასამართლო რეფორმები გარდამავალი დემოკრატიის პირობებში – ლუსტრაციისა და ვეტინგის ფორმები სასამართლო სისტემაში", ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://bit.ly/3KL2NIj > [ბოლოს ნანახია 27.02.2022].

4.2.1. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილების მიღება

იუსტიციის უმაღლესი საბჭო 15 წევრისგან შედგება. საბჭოს რვა წევრს მოსამართლეთა კონფერენცია ირჩევს, ხუთს - საქართველოს პარლამენტი, ერთს საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს თანამდებობაზე, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ავტომატურად შედის საბჭოს შემადგენლობაში.[202] იუსტიციის უმაღლესი საბჭო მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა ნაწილს ხმათა 2/3-ის უმრავლესობით იღებს. სხვა საკითხები დამსწრე წევრთა ან სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღება.

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე.[203] ამ ანგარიშვალდებულების ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას წარუდგენს საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს, რომელსაც, თავის მხრივ, საბჭო ამტკიცებს სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, სასამართლო ხელისუფლების მმართველობის პირობებში იკვეთება კორპორატივიზმის ნიშნები, ე.წ. გავლენიანი ჯგუფის გადაწყვეტილებით ხდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დანიშვნა, გათავისუფლება და მათი გადაწყვეტილებების მხარდაჭერა. ამ პირობებში, სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების გაზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პოლიტიკური პარტიების 19 აპრილის შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი და საკვანძო საკითხი სწორედ ეს იყო. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ძალთა ბალანსის შეცვლის აუცილებლობაზე სახალხო დამცველის აპარატთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ეუთო/ოდირმაც.[204]

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ხელისუფლების წყაროა ხალხი, ხოლო თავად ხელისუფლება საკუთარი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შეზღუდულია ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრივი ლეგიტიმაციის მქონე პირები იმგვარად იყვნენ წარმოდგენილნი, რომ შეუძლებელი იყოს მათი პროცესიდან გათიშვა, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას კი, მათი მხარდაჭერა იყოს აუცილებელი.

ამგვარი რეალობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესის შეცვლით მიიღწევა. სახალხო ლეგიტიმაციის უწყვეტი ჯაჭვის კონსტიტუციური კონცეფციის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საბჭო იმ ფორმით იღებდეს გადაწყვეტილებას, რომ თეორიულ დონეზეც კი გამორიცხავდეს საკანონმდებლო ორგანოს

---

[202] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 47, პუნ. 2.

[203] საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხ. 47, პუნ. 1[1].

[204] ეუთო/ოდირის ანგარიში „საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეოთხე ანგარიში", ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://bit.ly/3CrHMzl, >2021 წელი, აგვისტო, 23. [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

მიერ არჩეული საბჭოს წევრების პოზიციის გაუთვალისწინებლობას. ამდენად, მნიშნველოვანია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღებოდეს 2/3 უმრავლესობით იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ორმაგი უმრავლესობა.

4.2.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტება

არამოსამართლე წევრების არჩევა

2021 წლის ივნისიდან, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 5 არამოსამართლე წევრის თანამდებობა ვაკანტურია.[205] ამ დროისთვის[206] საბჭო არ არის სრულად დაკომპლექტებული, მასში საერთოდ არ არიან წარმოდგენილნი პარლამენტის მიერ დასანიშნი არამოსამართლე წევრები. საკანონმდებლო ორგანოს ჯერაც არ აურჩევია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 წევრი, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელისუფლებო შტოები სრულად არ არიან წარმოდგენილნი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში ნებისმიერი კონსტიტუციური ორგანო სახალხო ლეგიტიმაციის ელემენტებს უნდა ატარებდეს. ამ დროისთვის საბჭოში პარლამენტის მიერ ასარჩევი წევრების არყოფნა, ფაქტობრივად, კონსტიტუციური ლეგიტიმაციის მიღმა ტოვებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, უმოკლეს ვადებში დაიწყოს არამოსამართლე წევრების არჩევის პროცედურები.

იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოს არამოსამართლე წევრები პარლამენტმა სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერით უნდა აირჩიოს, აუცილებელი იქნება, რომ გადაწყვეტილებები რეალურ პოლიტიკურ კონსესუსს დაეფუძნოს და პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალედ ჩატარდეს.

საქართველოს სახალხო დამცველი ჯერ კიდევ გასულ წელს გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის მიერ საბჭოს წევრების შერჩევის პროცედურისთვის აშკარა თავის არიდებას და მას, საბჭოს არამოსამართლე წევრებით დაკომპლექტების პროცესის ფართო საზოგადოებრივი კონსესუსის ფარგლებში დაწყებისკენ მოუწოდა.[207]

მოსამართლე წევრებით საბჭოს დაკომპლექტება

2021 წლის 31 ოქტომბერს, საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის დღეს, საქართველოს მოსამართლეთა XXX კონფერენცია გაიმართა. მოსამართლეებმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი ახალი წევრი აირჩიეს. მოსამართლეთა კონფერენციის ამ დღეს ჩატარების მიზანი საზოგადოების ყურადღების მიღმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება იყო, რომელმაც საბოლოოდ საბჭოში

[205] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილ წევრს, შოთა ქადაგიძეს უფლებამოსილების ვადა 2021 წლის 23 მარტს ამოეწურა, 2021 წლის ივნისში უფლებამოსილების ვადა ასევე ამოეწურათ: ნაზი ჯანეზაშვილს, ზაზა ხარებავას, ირმა გელაშვილს და ლევან გზირიშვილს.
[206] 2022 წლის 31 მარტი.
[207] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://bit.ly/365enyD > [ბოლოს ნანახია 28.02.2022].

არსებული კორპორატიული გარემო გააძლიერა. კონფერენციის ჩატარება დასავლელმა პარტნიორებმა უკან გადადგმულ ნაბიჯად შეაფასეს.[208]

27 ოქტომბერს გამოქვეყნებული დღის წესრიგიდან ცნობილი გახდა, რომ კონფერენცია, სხვა საკითხებთან ერთად, იუსტიციის საბჭოს ახალი მოსამართლე წევრის/წევრების არჩევას ითვალისწინებდა,[209] თუმცა საბჭოს არცერთ მოსამართლე წევრს უფლებამოსილების ვადა ამ დროისთვის არ ეწურებოდა. მხოლოდ კონფერენციის დღეს გახდა ცნობილი, რომ საბჭოს წევრებმა თამარ ონიანმა და თეა ლეონიძემ პირადი განცხადებით მიმართეს ადმინისტრაციულ კომიტეტს და ვადაზე ადრე მოითხოვეს საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა. თამარ ონიანს უფლებამოსილება 2022 წლის მარტში, ხოლო თეა ლეონიძეს 2024 წლის ოქტომბერში ეწურებოდა. კონფერენციაზე მოსამართლე წევრის ვაკანსიაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების - პაატა სილაგაძისა და გიორგი გოგინაშვილის კანდიდატურები დასახელდა. კონკურენცია არც ამჯერად ყოფილა, კანდიდატებს ასევე არ წარმოუდგენიათ თავიანთი ხედვები მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ მდგომარეობასთან, მიღწევებსა და გამოწვევებთან დაკავშირებით.

4.2.3. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

საქართველოს პარლამენტმა 2021 წლის 31 დეკემბერს დაჩქარებული წესით, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გარეშე, შეიტანა ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში. კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა. კანონში შესულ ცვლილებებამდე გადაწყვეტილება მიღებულად მიიჩნეოდა, თუ მას იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით დაუჭერდა მხარს.[210]

ამ ცვლილებით გამარტივდა მოსამართლეთა პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმი, რასაც უშუალო გავლენა აქვს კონსტიტუციის 25-ე მუხლზე და ასევე ქმნის საფრთხეს კონსტიტუციის 31-ე მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საწინააღმდეგოდ, შეუძლია გადაწყვეტილების მიღება სადისციპლინო საკითხზე (მხოლოდ მოსამართლე წევრებს, სხვა წევრთა გარეშე) კონფიდენციალური სამართალწარმოების გზით, რაც ამცირებს დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას და ზრდის თვითნებობის რისკებს. ამ ტიპის მოწესრიგება ნებისმიერი ძირითადი უფლებისთვის საფრთხის შემცველია, მაგრამ განსაკუთრებით, სამართლიანი

[208] (1) განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://bit.ly/35J8Cae > [ბოლოს ნანახია 28.02.2022]. (2) განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://bit.ly/3KvqCDA > [ბოლოს ნანახია 28.02.2022].
[209] საქართველოს მოსამართლეთა XXX კონფერენცია, 2021 წლის 27 ოქტომბერი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3u2GSFK > , განახლებულია: 01.11.2021.
[210] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი. მუხ. 50. პუნ. 3.

სასამართლოს უფლებისთვის, რომელიც ინსტრუმენტული გარანტიაა და ყველა ძირითადი უფლების რეალიზების საშუალებაა.

საქართველოს სახალხო დამცველი ამ ცვლილებებს საკანონმდებლო ორგანოში განხილვის ეტაპზევე გამოეხმაურა.[211] მისი შეფასებით, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობის შემცირება წინააღმდეგობაში მოდის ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან და კონსტიტუციის 25-ე მუხლით განსაზღვრულ საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებასთან.

კანონში შეტანილი ცვლილებებით ასევე განისაზღვრა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დამატებითი საფუძველი. მოსამართლე დისციპლინურ პასუხისმგებლობას დაექვემდებარება, თუ მის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით მოხდება.[212] სახალხო დამცველის შეფასებით, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად მსგავსი გაუმჭვირვალე დანაწესის განსაზღვრა ეწინააღმდეგება როგორც სამართლებრივი უსაფრთხოების კონსტიტუციურ გარანტიას, ისე გამოხატვის თავისუფლებას, რაც, განსაკუთრებით საფრთხის შემცველი, საბჭოს გადაწყვეტილების ლეგიტიმაციის კლებისა და პროცედურების გაუმჭვირვალეობის პირობებში ხდება.

გაუმჭვირვალე ნორმების საფუძველზე, რომლებიც სამომავლოდ მანიპულაციების სივრცესაც ტოვებს, უკიდურესად მარტივდება მოსამართლეების საქმიდან ჩამოცილება. განსახილველი საკანონმდებლო ცვლილებებით ასევე ოთხჯერ იზრდება მოსამართლეთა არანებაყოფლობითი მივლინების ვადები, უქმდება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ქვედა ინსტანციაში არანებაყოფლობითი მივლინების აკრძალვა. ზემოაღნიშნული ცვლილებებით, მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს, მათთვის მიუღებელი კოლეგების წინააღმდეგ, ფაქტობრივად, ახალი სადამსჯელო ბერკეტები ემატება.

სახალხო დამცველის შეფასებით, ეჭვს იწვევს კანონმდებლის მოტივაცია მსგავსი ცვლილებების განხორციელებისას. კანონის მიღებას წინ უძღოდა სასამართლოს ადმინისტრაციული კომიტეტის განცხადება, რომელმაც გააკრიტიკა საქართველოს დასავლელი პარტნიორები და მოუწოდა არ ჩარეულიყვნენ სუვერენული სახელმწიფოს შიდა საქმეებში.[213] ამ განცხადებას მალევე გაემიჯნა მოსამართლეთა ნაწილი.[214] სახალხო დამცველის შეფასებით, სწორედ ინდივიდუალური მოსამართლეების მიერ სასამართლოს გავლენიანი ჯგუფის გამოხატული პოზიციისგან გამიჯვნა გახდა მსგავსი ცვლილების

[211] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 30 დეკემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Jb3Kt7 > [ბოლოს ნანახია:14.03.2022].
[212] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი. მუხლი 75[1] პუნ. „ა“. ქვეპუნქტი: „ბ.ვ“.
[213] განცხადება ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Hb5qB1 > [ბოლოს ნანახია 28.02.2022].
[214] განცხადება ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/35mtP9y > [ბოლოს ნანახია 28.02.2022].

მოტივაცია, რათა შემდგომში გაცილებით გამარტივებულიყო ასეთი მოსამართლეების პოტენციური სანქციით დაშინება.

4.2.4. საქმეთა ელექტრონული განაწილება

გასული წლის მსგავსად, კვლავ პრობლემურია საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირება. ბუნებრივია, საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის დანერგვა[215] თავისთავად პოზიტიური მოვლენაა, თუმცა არსებული სამართლებრივი რეალობა გაუმჯობესებას საჭიროებს.

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საერთო სასამართლოებში საქმეთა შემთხვევითად, ელექტრონული პროგრამის საშუალებით განაწილების წესი შემოიღო.[216] იგი საქართველოს მასშტაბით, არსებულ საქალაქო/რაიონულ, სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში საქმეთა შემთხვევითად, ელექტრონული პროგრამის საშუალებით განაწილებას გულისხმობს. ცვლილება საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა დადებითად შეაფასეს.[217] თუმცა ამ ცალსახად პოზიტიური მოვლენის მიუხედავად, პრაქტიკაში განსახილველი წესის გამოყენებამ გამოავლინა ხარვეზები, რაც გულისხმობს ელექტრონული განაწილების სისტემის მიღმა, გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლო შემადგენლობებზე გავლენის მოხდენის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რაც პროცესის სანდოობის მიმართ ეჭვებს აჩენს. საქართველოს სახალხო დამცველი ამ ხარვეზების შესახებ გასული წლის საპარლამენტო ანგარიშშიც მიუთითებდა, თუმცა, სამწუხაროდ, მის მიერ გაცემულ წინადადებებს შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია.[218]

საბჭოს გადაწყვეტილებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებში კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრის უფლებამოსილება სასამართლოს თავმჯდომარეებს მიენიჭათ. საგულისხმოა, რომ საბჭოს გადაწყვეტილების თავდაპირველი რედაქციით, კოლეგიური შემადგენლობის დაკომპლექტება საქმეთა განაწილების ელექტრონულ სისტემას უნდა უზრუნველეყო. მსგავსი რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველმაც გასული წლის საპარლამენტო ანგარიშში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.[219] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პოზიციით, სახალხო დამცველის რეკომენდაციის გაზიარება საქმეთა გაჭიანურებას გამოიწვევს, რაც შეაფერხებს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.[220]

---

[215] საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა საქართველოში EMC- 2020.

[216] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3aBAuLc > [ბოლოს ნანახია 17.03.2021].

[217] ვენეციის კომისიის მოსაზრება საერთო „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში ცვლილებების შესახებ, ხელმისაწვდომია < https://bit.ly/37iVmo7 > [ბოლოს ნანახია 18.03.2021]. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის - მოსაზრებები სასამართლოს რეფორმის „მესამე ტალღასთან" დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2RgnR0f> [ბოლოს ნანახია 17.03.2021].

[218] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში., 129-130.

[219] იქვე, 148.

[220] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 19 აპრილის №245/33-01-5 წერილი.

სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში, კოლეგიური შემადგენლობის პირობებში საქმის განხილვისას, ელექტრონული პროგრამის საშუალებით, საქმე მხოლოდ სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე ნაწილდება. ბუნდოვანია კოლეგიური შემადგენლობის საქმის განმხილველი დანარჩენი მოსამართლეების შერჩევის საკითხი. ბუნდოვანებას ადასტურებენ თავად სააპელაციო და უზენაესი სასამართლოებიც.[221]

საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის გაზრდა და შიდა მანიპულაციების გამორიცხვაა, რომლითაც შესაძლებელი ხდება საქმის კონკრეტულ მოსამართლესთან მოხვედრა (ან პირიქით). შეუძლებელია საზოგადოების ნდობა სასამართლოსადმი გაიზარდოს, თუ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მხოლოდ ერთი მოსამართლე იქნება კოლეგიაში. შესაბამისად, სასამართლოს ხელისუფლების მიერ საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება ვერ უზრუნველყოფს ლეგიტიმური, საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას და ძალაში დარჩება რისკები, რომლითაც შესაძლებელი ხდება სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ საკითხით მანიპულირება.

4.3. საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება

4.3.1. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა

სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება საანგარიშო პერიოდშიც მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. სისხლის სამართლის საქმეთა არსებითი განხილვა ხშირად სცდება კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილ ვადებს და არაგონივრული დროით ჭიანურდება. ამის მიზეზად, შესაძლოა, ცალკეული საკითხების ნორმატიულ დონეზე არასათანადო მოწესრიგებაც მივიჩნიოთ, მაგრამ მთავარი გამოწვევა სასამართლოთა გადატვირთულობაა.

გასული წლების მსგავსად,[222] საანგარიშო პერიოდშიც გამოვლინდა მხარისთვის დასაბუთებული განაჩენის გადაცემის კანონით დადგენილი ვადის არაგონივრული გაჭიანურების შემთხვევები. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 9 ივნისის განაჩენი 4 თვეზე მეტი დროის დაგვიანებით გაეგზავნა, რაც, სიღნაღის სასამართლოს განმარტებით, მოსამართლის დატვირთულობით იყო გამოწვეული.[223] მოსამართლის საქმეთა სიმრავლე დაასახელა გორის რაიონულმა სასამართლომაც, მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის ორ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით გაგზავნის მიზეზად.[224]

შემაშფოთებელია განაჩენის მხარისთვის გაგზავნის გაჭიანურება უზენაესი სასამართლოს მიერ. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა პირი ერთ-ერთ საქმეში

---

[221] ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) – „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლოში", თბილისი, 2020, 34. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, 131.

[222] გორის რაიონულ სასამართლოში გამოვლენილი სისტემური პრობლემის თაობაზე იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, 381-383, 405; 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, 445-449, 469-470.

[223] სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 4 ოქტომბრის №2812 წერილი.

[224] გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის №4407/21 წერილი.

უდანაშაულოდ ცნეს, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იგი გაამტყუნა და განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. განაჩენის დასაბუთებული ასლი კი, მხარეს მხოლოდ 8 თვეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ გაეგზავნა. მთელი ამ დროის განმავლობაში მსჯავრდებულისთვის უცნობი იყო ის სამართლებრივი არგუმენტაცია, რომელსაც უზენაესი სასამართლო დაეყრდნო. ასეთ შემთხვევაში მხარისთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენება.

უცხოენოვანი მსჯავრდებულებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი განაჩენის ხელმისაწვდომობის პრობლემა კვლავ აქტუალურია. მსჯავრდებულთათვის განაჩენის გადაცემა ხშირად ჭიანურდება, რის გამოც მათ არ იციან, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამტყუვდნენ და არ შეუძლიათ გასაჩივრების უფლებით ეფექტიანი სარგებლობა.

გონივრულ ვადაში განხილვის კუთხით, პრობლემები გამოიკვეთა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებშიც. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის განსახილველი 2077 საქმიდან, 664 საქმის განხილვა გაჭიანურდა,[225] ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შემთხვევაში, 922 საჩივრიდან - 172 საჩივრის.[226] საქართველოს უზენაესი სასამართლოს[227] სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში 2021 წელს დასრულებული 1452 საქმიდან კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით დასრულდა 330 საქმის განხილვა.

4.3.2. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა

გასული წლის მსგავსად, კვლავ პრობლემად რჩება სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების კანონით განსაზღვრულ ვადაში განხილვის საკითხი.

თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებიდან მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი საპროცესო ვადების დარღვევით მიმდინარეობს. სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმის განხილვისთვის საქართველოს სააპელაციო სასამართლოებს კანონით განსაზღვრული 2-თვიანი ვადა აქვთ, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება 5 თვემდე გახანგრძლივდეს.[228]

იმის გათვალისწინებით, რომ სახალხო დამცველის აპარატს 2021 წლის პირველი იანვრიდან 2022 წლის თებერვლამდე არსებული მონაცემები მიეწოდა, თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების ხანგრძლივობის შესახებ, ანგარიშში მხოლოდ 2021 წლის პირველი ცხრა თვის მონაცემები შეფასდება, რადგან უკვე

[225] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 11 მარტის №3/1635 წერილი.
[226] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 16 მარტის წერილი.
[227] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 15 მარტის №3-162-22 წერილი.
[228] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ოქტომბერში დარეგისტრირებულ სააპელაციო საჩივარზე, განხილვის ვადა ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად,[229] 2021 წლის პირველ ცხრა თვეში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დარეგისტრირებული 1257 საჩივრიდან 2 თვის ვადაში დასრულდა მხოლოდ 213 (16.9%) საქმის განხილვა, ხოლო 5 თვის ვადაში - 272 (21.6%) საქმისა. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში 2021 წელს რეგისტრირებული საჩივრების მინიმუმ 61.5%-ის განხილვა არ დასრულებულა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში, 2021 წლის პირველ ცხრა თვეში დარეგისტრირდა 1202 საჩივარი, მათგან 2 თვის ვადაში წარმოება დასრულდა 253 (21%) საჩივარზე, ხოლო 5 თვის ვადაში სასამართლომ 345 (28.7%) სააპელაციო საჩივარი განიხილა. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში 2021 წელს რეგისტრირებული საჩივრების დაახლოებით 50.3%-ის განხილვა არ დასრულებულა.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო პალატებში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საჩივართა დაახლოებით 65%-ია განხილული.[230]

საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობების შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო პალატებს, საკასაციო საჩივრის დასაშვებად მიღების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, 3-თვიანი ვადა[231] აქვთ, 6-თვიანი ვადა კი, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.[232]

საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, საანგარიშო პერიოდში 1135 საჩივარი დარეგისტრირდა.[233] დაუშვებლად ცნობილი 300 საქმიდან, 3-თვიანი ვადის დარღვევით სასამართლომ 187 საჩივარი (62%) განიხილა, ხოლო დასაშვებად ცნობილი 835 საქმიდან, 6-თვიან ვადაში, სასამართლომ საქმის წარმოება მხოლოდ 25 (2.9%) შემთხვევაში დაასრულა.

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, 2021 წელს 1106 საჩივარი შევიდა, საიდანაც დაუშვებლად ცნობილი 384 საქმიდან, 3-თვიანი საკანონმდებლო

[229] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 11 მარტის №3/1635 წერილი.
[230] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 16 მარტის წერილი.
[231] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის მე-3^1 ნაწილი.
[232] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-6 ნაწილი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილი.
[233] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 10 მარტის №3-145-21 წერილი.

მოთხოვნის დარღვევით 297 (77%) საჩივარი იქნა დაუშვებლად ცნობილი. დასაშვებად ცნობილი 722 საქმიდან, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 6-თვიან ვადაში მხოლოდ 1 საქმე განიხილა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, საკასაციო ინსტანციაში სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიმართულებით არა თუ პროგრესი, არამედ, მნიშვნელოვანი რეგრესი შეინიშნება.

4.3.3. მოსამართლეთა დატვირთულობა

ბოლო წლების განმავლობაში სასამართლო სისტემაში არსებულ ერთ-ერთ პრობლემად მოსამართლეთა არათანაბარი დატვირთულობა სახელდება.[234] პრობლემის საფუძველს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქმნის, რომელიც სასამართლო სისტემაში თანამდებობის მქონე მოსამართლეებისათვის დატვირთულობის საგრძნობლად და არაპროპორციულად შემცირებას ითვალისწინებს.[235] მაგალითად, ამ გადაწყვეტილების მიხედვით:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისათვის დატვირთულობა 20%-ია, ხოლო თუ აღნიშნული წევრი, ამავე დროს, არის სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე - 10%[236]
- იმ სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარისათვის, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა არ აღემატება 7-ს, დატვირთულობა 50%-ია, ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარისათვის, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა აღემატება 7-ს - 20%[237]
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეზე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეზე, თავმჯდომარის მოადგილესა და კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესა და კოლეგიის თავმჯდომარეზე, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული განსჯადი საქმეებისა, ასევე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და მდივანზე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქმეები შესაძლებელია განაწილდეს, როგორც წესი, არაუმეტეს 5%-ისა.[238]

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარეს, შალვა თადუმაძეს, 2021 წელს, 11 თვის განმავლობაში, ჯამში მხოლოდ 24 საქმე დაეწერა, მაშინ

---

[234] „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში“, EMC, 2020 წელი, 39-41. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3w8JJiX > [ბოლოს ნანახია 12.03.2022].

[235] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/56; 01.05.2017. ხელმისაწვდომი: <https://bit.ly/35OzxS9 > [ბოლოს ნანახია 12.03.2022].

[236] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მუხ. 5, პუნ. 6, ქვეპუნქტი: „ა“.

[237] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მუხ. 5, პუნ. 6, ქვეპუნქტი: „ბ“.

[238] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მუხ. 5, პუნ. 7.

როდესაც იმავე პერიოდში პალატის დანარჩენ 4 მოსამართლეს ჯამში 1482 საქმე (თითოეულს საშუალოდ 370 საქმე) დაეწერა.[239] უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარეს, გიორგი მიქაუტაძეს, 2021 წელს, 11 თვის განმავლობაში, ჯამში სულ 15 საქმე დაეწერა, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში პალატის დანარჩენ 10 მოსამართლეს ჯამში 1429 საქმე (თითოეულს საშუალოდ 143 საქმე) დაეწერა.[240] უზენაესი სასამართლოსა და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარეს, ნინო ქადაგიძეს 2021 წელს, 11 თვის განმავლობაში, ჯამში სულ 2 საქმე დაეწერა, მაშინ როდესაც ამავე პალატის დანარჩენ 7 მოსამართლეს იმავე პერიოდში 1129 საქმე (თითოეულს საშუალოდ 161 საქმე) დაეწერა.[241] აქვე აღსანიშნავია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯომარისა და ამავე სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის, მიხეილ ჩინჩალაძის შემთხვევა. მას, 2021 წელს, 11 თვის განმავლობაში, ჯამში სულ 19 საქმე დაეწერა, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში ამავე კოლეგიის დანარჩენ 5 მოსამართლეს 1983 საქმე (თითოეულს საშუალოდ 297 საქმე) დაეწერა.[242]

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ მოსამართლის მიერ სასამართლო სისტემაში გარკვეული თანამდებობის დაკავება დატვირთულობის საგრძნობლად და არაპროპორციულად შემცირებას უკავშირდება, ის, ამავე დროს, იღებს გაზრდილ ჯამურ ხელფასს. მაგალითად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსავე გადაწყვეტილებით,[243] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლისათვის დანამატი 1200 ლარია, მაშინ როდესაც მისი დატვირთულობა მხოლოდ 20%-ს შეადგენს, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისათვის კი დანამატი 1950 ლარია, მაშინ როდესაც მისი დატვირთულობა არაუმეტეს 5%-ით განისაზღვრება.

4.3.4. საქმეთა განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოში

საერთო სასამართლოების მსგავსად, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულებიდან მომდინარე გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის ბუნდოვანი რეგულირებებიდან გამომდინარე, მხარეებს ვერ ექმნებათ გონივრული მოლოდინები საქმისწარმოების დასრულებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადების შესახებ.[244]

2021 წლის განმავლობაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 106 კონსტიტუციური სარჩელი და 5 კონსტიტუციური წარდგინება დარეგისტრირდა. საკონსტიტუციო სასამართლომ, არსებითად, მხოლოდ 6 მათგანი განიხილა. საანგარიშო

---

[239] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 23 დეკემბრის №3-880-21 წერილი.
[240] იქვე.
[241] იქვე.
[242] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 23 დეკემბრის №3/10827 და 2022 წლის 11 თებერვლის №3/791 წერილები.
[243] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის №1/6, განკარგულება, ხელმისაწვდომია < https://bit.ly/36jjqeU > [ბოლოს ნანახია 12.03.2022].
[244] კონსტიტუციის მე-2 თავის საფუძველზე შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული.

პერიოდში რეგისტრირებულ სარჩელებთან/წარდგინებებთან მიმართებით კი, სასამართლომ მხოლოდ 16 განჩინება და 19 საოქმო ჩანაწერი გამოსცა.[245]

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად მხოლოდ 28 საქმე განიხილა.[246] შემაშფოთებელია სასამართლოს მიერ 2021 წლის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობაც. საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ 10 გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლოს დატვირთულობის, შესაბამისად, გადაწყვეტილებების მომლოდინე პირთა რაოდენობის გათვალისწინებით, ეს მონაცემები ცალსახად არადამაკმაყოფილებელია.

განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ინფორმაცია იმ საქმეთა რაოდენობის შესახებ, რომლებთან დაკავშირებითაც საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად არღვევს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების პრინციპს. ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია იმ საქმეთა რაოდენობისა და რეგისტრაციის თარიღების შესახებ, რომლებზეც საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითი განხილვა დასრულებულია,[247] თუმცა გადაწყვეტილებები ამ დრომდე არ მიუღია.[248]

სარჩელის რეგისტრაციის დრო	საქმეთა რაოდენობა
2015 წელი	5 საქმე
2016 წელი	16 საქმე
2017 წელი	11 საქმე
2018 წელი	12 საქმე
2019 წელი	16 საქმე
2020 წელი	9 საქმე

4.4. ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, თავისი 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ცნო საპროცესო კოდექსის რიგი ნორმების ნორმატიული შინაარსი, რითიც გაუქმდა ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა, იმ შემთხვევისთვის, როდესაც ჩხრეკის ჩამტარებელ გამომძიებლებს შეეძლოთ, მაგრამ არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.[249]

---

[245] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 მარტის №01/150 წერილი.

[246] განხილული საქმეებიდან, 2021 წელს რეგისტრირებული მხოლოდ 6 სარჩელი/წარდგინება იყო.

[247] უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მონაცემები შეეხება მხოლოდ იმ საქმეთა რაოდენობას, რომელთა შესახებაც სასამართლოს არსებითი განხილვა აქვს დასრულებული და კიდევ მეტია იმ საქმეთა რაოდენობა, რომლებზეც არ დაწყებულა განხილვა ან რომლებმაც გაიარეს დასაშვებობა და არსებით განხილვას ელოდებიან.

[248] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 მარტის №01/150 წერილი.

[249] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-104.

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი სისხლის სამართლის საქმე შეისწავლა, სადაც გამოვლინდა, რომ პირადი ჩხრეკის ჩატარებისა და გამოძიების დროს აშკარად დარღვეული იყო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების სტანდარტი. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში,[250] პირადი ჩხრეკის ჩატარების შუამდგომლობებზე სასამართლომ განჩინებები ჩხრეკის ჩატარებამდე 4 დღით ადრე გამოსცა. შესაბამისად, პოლიციის თანამშრომლებს ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად (თუნდაც, ჩხრეკის ვიდეოკამერით გადასაღებად) საკმარისი დრო და შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ არ გაუკეთებიათ. მითითებული გარემოებების საფუძველზე, სახალხო დამცველმა, 2021 წლის 12 აპრილს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრებით მიმართა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველმა არაერთი სისხლის სამართლის საქმე შეისწავლა, სადაც, ჩხრეკის და ამოღების პროცესში, ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების ხარვეზები გამოიკვეთა. საქმეების შესწავლისას იკვეთება ტენდენცია, რომ არცერთ საქმეში არ სრულდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, არც იმ საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნები, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2021 წელს მიიღო.[251]

4.5. ადვოკატთან კომუნიკაციის შეზღუდვა პენიტენციურ დაწესებულებაში

პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, ბრალდებულს, გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით, შეიძლება შეეზღუდოს სატელეფონო კომუნიკაციის შესაძლებლობა.[252] მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, ეს შეზღუდვა ასევე ვრცელდება ადვოკატთან კომუნიკაციაზეც.[253]

სახალხო დამცველის აპარატს მიმართეს ბრალდებულებმა, რომლებსაც პროკურორის დადგენილებით შეზღუდული ჰქონდათ სატელეფონო საუბრის უფლება და ამის გამო ვერ უკავშირდებოდნენ ადვოკატებს. პენიტენციური დაწესებულებების ცნობით,[254] ამის

---

[250] კერძოდ, საქმის მასალების თანახმად, გამოძიებას არ აუღია ბიოლოგიური (დნმ) ნიმუში გ. მ.-ს პირადი ჩხრეკის დროს ამოღებულ ოქროს სამაჯურზე, არ შემოწმებულა ს. ჯ. ნარკოლოგიურ თრობაზე, არ განხორციელებულა რაიმე საგამოძიებო მოქმედება ნარკოტიკული ნივთიერების შეძენის და სხვა გზით დაუფლების ფაქტის შესასწავლად (გადაადგილების მარშრუტი, სატელეფონო ზარები, სატელეფონო ანძები და სხვ.). არ გამოკითხულა ს. ჯ.-ის პირადი ჩხრეკისა და დაკავების ადგილზე მყოფი არცერთი ნეიტრალური მოწმე.

[251] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 2021 წლის 28 ივნისის კანონი.

[252] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 78, ნაწ. 2.

[253] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 78. ნაწ. 2^1.

[254] 2021 წლის 9 დეკემბრის №12 პენიტენციური დაწესებულების №297077/27 წერილი, 2021 წლის 9 დეკემბრის №8 პენიტენციური დაწესებულების №296746/24 წერილი, 2021 წლის 9 დეკემბრის №5 პენიტენციური დაწესებულების №296736/22 წერილი, 2021 წლის 6 დეკემბრის №2 პენიტენციური დაწესებულების №293017/20 წერილი, 2021 წლის 6 დეკემბრის №6 პენიტენციური დაწესებულების №293525/23 წერილი.

მიზეზი პატიმრობის კოდექსია, რომლის საგამონაკლისო ჩამონათვალში ადვოკატი მითითებული არ არის.[255]

სახალხო დამცველის შეფასებით, სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში პროკურორისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომლითაც ბრალდებულს ადვოკატთან სატელეფონო კავშირი ეზღუდება, არღვევს შეჯიბრებითი პროცესისა და ეფექტიანი დაცვის პრინციპს, რომელიც მოითხოვს, რომ დაცვის მხარეს სრულყოფილად შეეძლოს დაცვის უფლების განხორციელება, რომლის მთავარი ელემენტიც ბრალდებულისა და ადვოკატის შეუფერხებელი და კონფიდენციალური კომუნიკაციაა. შესაბამისად, პროკურორის მიერ ბრალდებულისთვის დაწესებული შეზღუდვა გარესამყაროსთან სატელეფონო კომუნიკაციაზე, არ უნდა მოიცავდეს ადვოკატთან სატელეფონო საუბრის შეზღუდვას. აღსანიშნავია, რომ ამ მიდგომას იზიარებს საქართველოს გენერალური პროკურატურაც.[256]

ამ საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა.[257]

ადვოკატთან კომუნიკაციის უფლების შეზღუდვა, ასევე იკვეთება, როგორც ადმინისტრაციული სახდელი. მსჯავრდებულს, სახდელის ფარგლებში, 2 თვის ვადით შეეზღუდა სატელეფონო კომუნიკაციის შესაძლებლობა. პენიტენციური დაწესებულების პოზიციით, სახდელი და სატელეფონო საუბრის შეზღუდვა ასევე ვრცელდებოდა პატიმრის ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციაზე.[258] მსგავსი განმარტება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, რომელიც კრძალავს ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესებას, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას.[259] შესაბამისად, დისციპლინური სახდელის გავრცელება ადვოკატთან კომუნიკაციაზე, არაგონივრული და არაპროპორციული შეზღუდვაა.

4.6. მართლმსაჯულების არსებითი ხარვეზების მქონე საქმეები

4.6.1. ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას ბრალდება („კარტოგრაფების საქმე")

ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას ბრალდების საქმის მასალების შესწავლის შედეგად, 2021 წლის 25 თებერვალს, სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა.[260] დოკუმენტი მიმოიხილავს ორ ძირითად

---

[255] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 79, ნაწ. 2[1].

[256] გენერალური პროკურატურის პოზიციის თანახმად, შეზღუდვა (გამომძიებლის/პროკურორის დადგენილებით სატელეფონო საუბრის შეზღუდვა) არ მოიცავს ადვოკატთან სატელეფონო საუბარს და განმცხადებლებს, ამ შეზღუდვის ფარგლებში, არ აქვთ შეზღუდული ადვოკატთან სატელეფონო საუბრის უფლება. საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 10 ნოემბრის №13/68197 წერილი, გენერალური პროკურატურის 2022 წლის 12 იანვრის №13/1014 წერილი.

[257] საქართველოს სახალხო დამცველის, 2020 წლის 18 თებერვლის №15-2/2008 წინადადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.

[258] სპეციალური პენიტენციური სამსახურის №8 დაწესებულების 12.10.2021 წ. №241828/24 წერილი.

[259] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 38, ნაწ. 5.

[260] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 25 თებერვლის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

საკითხს: წარდგენილი ბრალდების შესაბამისობას კანონიერების კონსტიტუციურ პრინციპსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლთან.

დოკუმენტში წარდგენილი მოსაზრების ფარგლებში გაანალიზებულია კანონიერების პრინციპის ელემენტები. სასამართლო მეგობრის მოსაზრების თანახმად, ექპერტის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, მის მიერ წარდგენილ ექსპერტულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც არ დასტურდება ამ უკანასკნელის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული ქმედების ჩადენა, ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ინტერესებს და უხეშად არღვევს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს.

საქმის მასალების შესწავლის, ასევე, გამოძიების დაწყებისა და მიმდინარეობის აშკარა პოლიტიკური ელფერისა და საქმეში გამოკვეთილი მძიმე სამართლებრივი ხარვეზების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეს აშკარად გააჩნია პოლიტიკური ან სხვა უკანონო მოტივი, რომელიც საქმეში არსებული ხარვეზების ფონზე, კანონიერ მოტივს გადაწონის, რაც, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევად ფასდება.[261]

4.6.2. მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის საქმე

2022 წლის 12 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე უდანაშაულოდ ცნო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, თუმცა დამნაშავედ ცნო დიდი ოდენობით წინასწარი შეთანხმებით ჩადენილ ჯგუფურ თაღლითობაში. დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ქმედებისთვის ჩადენილი სასჯელი გაუქმდა.

საქართველოს სახალხო დამცველმა, 2020 წლის 9 იანვარს, განსახილველი საქმის ფარგლებში, სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა.[262] დოკუმენტში განხილული საკითხები სწორედ იმაზე მიუთითებდა, რომ ფულის გათეთრების ქმედების შემადგენლობა, ჩადენილი ქმედებებიდან, არცერთ შემთხვევაში არ დგინდებოდა.[263] სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში განხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) შინაარსობრივი, სტრუქტურული და მიზნობრივი ელემენტები. ასევე შეფასებულია, თუ რატომ არის ფულის გათეთრება კონვენციური წარმომავლობის დანაშაული და რა სპეციალური წინაპირობები, სქემა, მიზანი სჭირდება ამ დანაშაულის ჩადენას. დოკუმენტში განხილულია სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ნორმის ავტონომიური განმარტების მეთოდის საჭიროებაც.

ამ თეორიული საკითხების გაანალიზების შემდგომ, სასამართლო მეგობრის მოსაზრება მიმოიხილავს კონკრეტული ბრალდების საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რომლებიც

[261] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 139-141.
[262] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3H2dODx > [ბოლოს ნანახია 26.01.2022].
[263] სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 152-153.

მიუთითებდა ფულის გათეთრებისთვის საკვანძო ელემენტების - რეგულარული და არაერთგზისი პრედიკატული დანაშაულის, უკანონო ლეგალიზაციის მრავალჯერადი და დაწვრილმანებული სქემისა და უკანონო ლეგალიზაციის მიზნის - თანხის ბრალდებულთა ანგარიშზე დაბრუნების არარსებობაზე, რაც ცალსახად მიუთითებდა, რომ ბრალდებაში აღწერილი ქმედება ფულის გათეთრება ვერ იქნებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 იანვრის განაჩენიდან იკვეთება, რომ სასამართლომ აღნიშნული პოზიცია სრულად გაიზიარა, მიმოიხილა ფულის გათეთრების ხსენებული სქემა და წინაპირობები და დარწმუნდა, რომ განხილული ქმედება არ წარმოადგენდა სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებულ კონვენციურ დანაშაულს.[264] სახალხო დამცველის აპარატი საქმის მიმდინარეობას სააპელაციო სასამართლოშიც დააკვირდება.

4.6.3. დავით კეზერაშვილის საქმე

2017 წლის 30 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოსა და 2018 წლის 23 მაისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენებით, დავით კეზერაშვილი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ მისთვის წარდგენილ ბრალდებაში - გაფლანგვაში.

ბრალდების თანახმად, დავით კეზერაშვილის ბრძანებით, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით, გაფორმდა ფიქტიური ხელშეკრულება დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული პირის ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ კომპანიასთან. ხელშეკრულების საგანი იყო სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფების გეგმური საბრძოლო მომზადება. ბრალდების თანახმად კი, მსგავსი სწავლება საჯარისო დანაყოფებში უკვე მიმდინარეობდა.

გამამართლებელ განაჩენებში მითითებულია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით, სადავო ქმედების ჩადენის პერიოდში, სამინისტროს შესაბამის სამხედრო დანაყოფებში მიმდინარეობდა გარკვეული წვრთნები, თუმცა, მტკიცებულება იმის შესახებ, რომ უკვე მიმდინარე წვრთნები ის წვრთნები იყო, რაზეც სადავო ხელშეკრულებები გაფორმდა, არ წარმოუდგენიათ. შესაბამისად, სასამართლოებმა, ბრალდების მხარის მიერ მითითებული გარემოება ხელშეკრულებების ფიქტიურობის შესახებ, დაუსაბუთებლად მიიჩნიეს. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ პროკურატურამ ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სადავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული წვრთნები არ ჩატარებულა.

უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას, საკასაციო სასამართლოს არ უმსჯელია ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებაზე, რომ ბრალდების მხარეს არ წარუდგენია დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. კერძოდ, არ ჩატარებულა სადავო ხელშეკრულებების შედარებითი ანალიზი, არ მომხდარა სადავო ხელშეკრულებებით შესყიდული პროდუქტის იდენტიფიცირება და არ დადასტურებულა სადავო წვრთნების ჩაუტარებლობა. სწორედ აქედან გამომდინარე,

[264] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 იანვრის განაჩენი, 36-40.

საქალაქო და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა, უზენაესი სასამართლოსგან განსხვავებით, არ გაიზიარეს ბრალდების მხარის პოზიცია.

საკასაციო სასამართლომ, გაფლანგვის ჩადენის დადასტურებად, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტისა და სხვა წერილობითი დოკუმენტაციის არარსებობა მიიჩნია და განმარტა, რომ სხვა მტკიცებულებებთან შედარებით, უპირატესობა დოკუმენტურ მტკიცებულებებს ენიჭება. ამრიგად, სასამართლომ გაფლანგვის შემადგენლობა, ხელშეკრულებების ფიქტიურობა, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომსახურების არმიღება და სხვა საკვანძო საკითხები ბრალდებულისთვის საწინააღმდეგოდ მხოლოდ იმ ფაქტის საფუძველზე გადაწყვიტა, რომ შედგენილი არ იყო მიღება-ჩაბარების აქტი.

სახალხო დამცველის შეფასებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენში არ არის გამოვლენილი ქმედების გაფლანგვად კვალიფიცირებისთვის საჭირო გარემოებები. სამივე ინსტანციის სასამართლოს განაჩენები დადასტურებულად მიიჩნევდა, რომ სადავო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შესყიდვისა და გაწეული მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია სათანადოდ არ იყო შედგენილი. ეს შესაძლებელია შეიცავდეს სამოხელეო დანაშაულის ნიშნებს, თუმცა, მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებების არარსებობა, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ დაადასტურებს გაფლანგვის შემადგენლობის ჩადენას.

დავით კეზერაშვილის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ვერ აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა კონსტიტუციურ სტანდარტს და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს განაჩენის არასაკმარისი დასაბუთების გამო. განაჩენის დასაბუთებულობის ხარვეზი განსაკუთრებით დამაზიანებელია იმის გათვალისწინებით, რომ განაჩენის ავტორი საქართველოს უზენაესი სასამართლოა, რომლის გადაწყვეტილებაც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

4.6.4. მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ განხილვის უფლება

2021 წელს სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო სამ სისხლის სამართლის საქმეს,[265] სადაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, შალვა თადუმაძე საქმის საკასაციო განხილვაში მონაწილეობდა, ხოლო იმავე საქმეებზე პროკურატურაში სამართალწარმოების მიმდინარეობისას გენერალური/მთავარი პროკურორის თანამდებობა ეკავა. საქმეთა შესწავლისას სახალხო დამცველი დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებას და აღნიშნა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსამართლე წარსულში პროკურორის უფლებამოსილებას ახორციელებდა, არ არის საკმარისი მის მიუკერძოებლობაში ეჭვის შესატანად. თუმცა, დადგენილი სტანდარტით, მხედველობაში მისაღებია მისი სტატუსი პროკურატურის სისტემაში, იერარქიული წყობა

[265] 1) დავით კეზერაშვილის საქმე; 2) ს. გ.-ის საქმე; 3) ი. ფ.-ს და დ. ი.-ის საქმე.

და კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში მის მიერ გავლენის მოხდენის შესაძლებლობები.[266]

საქართველოს პროკურატურის ვერტიკალური იერარქიიდან გამომდინარე, გენერალური პროკურორი (მანამდე მთავარი პროკურორი) არის პირი, რომლის მითითების შესრულება სავალდებულოა ნებისმიერი პროკურორისათვის.

დავით კეზერაშვილის საკასაციო საჩივრის უზენაესი სასამართლოს ეტაპზე განხილვის პროცესში, სახალხო დამცველის შეფასებით, ხსენებული სტანდარტი არ დარღვეულა, რადგან საკასაციო საჩივრის შეტანისას შალვა თადუმაძე არ იკავებდა მთავარი/გენერალური პროკურორის პოზიციას, შესაბამისად, ქვემდგომ ინსტანციებში, საქმის მიმდინარეობაზე გავლენას ვერ მოახდენდა.

ერთ-ერთ საქმეში, რომელსაც საკასაციო ეტაპზე შალვა თადუმაძე განიხილავდა, საჩივარი ბრალდების მხარემ წარადგინა. აღსანიშნავია, რომ როგორც საჩივრის წარდგენის, ისე სრული სააპელაციო სამართალწარმოების განმავლობაში, შალვა თადუმაძე იკავებდა გენერალური პროკურატურის თანამდებობას. მაშინ, როდესაც მოსამართლის ობიექტური მიუკერძოებლობისა და შესაბამისად, აცილების პერსპექტივის საკითხი მრავალ ინდივიდუალურ გარემოებასა თუ ფაქტორზეა დამოკიდებული, მიგვაჩნია, რომ ეს შემთხვევა მკაფიოდ წარმოაჩენს პროკურატურის აქტიურ მოქმედებას, საქმეზე სამართლებრივი გავლენა მოეხდინა. სწორედ ამიტომ, მსგავს პირობებში, დაუშვებელია საქმეზე მოსამართლედ მონაწილეობა.

ანალოგიური გარემოებები გამოიკვეთა სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილულ მესამე საქმეშიც, სადაც მსჯავრდებულების საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მოსამართლე შალვა თადუმაძის მონაწილეობით გამოიტანა.[267] მოსამართლე თადუმაძე ამ საქმის ქვემდგომ ინსტანციებში განხილვისას, მთავარი/გენერალური პროკურორის თანამდებობას იკავებდა. შესაბამისად, არსებობდა მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი, რაც, მიუკერძოებლობის ობიექტური ტესტის დარღვევის გამო, მოსამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობას გამორიცხავდა.

4.6.5. მიხეილ სააკაშვილის საქმე

მიხეილ სააკაშვილს, 2021 წლის 10, 15 და 16 ნოემბერს, 3 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე არ მიეცა სასამართლოს წინაშე წარდგომის შესაძლებლობა. სამივე შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილის სასამართლოში მიყვანაზე უარი სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა განაცხადა. მიზეზად კი, მიხეილ სააკაშვილის მიერ მკურნალობის შეწყვეტა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე გამოძიება დასახელდა.

[266] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, 93.
[267]საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის განჩინება №229აპ-21.

საგულისხმოა, რომ სასამართლომ ამგვარი განმარტება დამატებითი მსჯელობის გარეშე მიიღო.

სახალხო დამცველმა საჯარო განცხადებით მიუთითა,[268] რომ ორივე საფუძველი დაუსაბუთებელი იყო - შიმშილობის გამო პატიმრის გადაყვანაზე უარი ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას. ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა რეგულირებები, არ იცნობდნენ, მიმდინარე გამოძიების გამო, პირის სასამართლოში მიყვანაზე უარის თქმის შესაძლებლობას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამოძიების ხანდაზმულობის მაქსიმალური ვადა 10 წელია.

4.7. კანონიერების პრინციპის დარღვევა

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა ერთ-ერთი სისხლისსამართლებრივი დევნის კანონიერების საკითხი. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, 2021 წლის 25 ივნისს, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, ჩხრეკის დროს, ჩანთიდან ამოიღეს დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერება „პრეგაბალინი". ბრალდებული აღნიშნავდა, რომ ექიმის დანიშნულებით, 2020 წლის სექტემბრის შემდეგ, სხვა მედიკამენტებთან ერთად სისტემატურად იღებდა ამ ნივთიერებას, როგორც ტკივილგამაყუჩებელ მედიკამენტს. ბრალდებულის ჩვენებას ადასტურებდა მის მიერ წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციაც. აღსანიშნავია, რომ არც პროკურატურამ და არც წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ მტკიცებულებები არ გაითვალისწინა, რის შემდეგაც სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა.

სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. სახალხო დამცველის შეფასებით, მსგავს გარემოებებში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს, რადგან ქმედებით, ერთი მხრივ, არ დასტურდება დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა, ხოლო, მეორე მხრივ, ვერც დანაშაულის სუბიექტური მხარის ნიშნები დგინდება.

4.8. არასრულწლოვანი მოწმის კანონიერი წარმომადგენლის დაკითხვა

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში, დაცვის მხარეს არ მიეცა არასრულწლოვნის დედის მოწმის სახით დაკითხვის შესაძლებლობა, რადგან იგი წინა სხდომაზე კანონიერი წარმომადგენლის სტატუსით ესწრებოდა არასრულწლოვნის დაკითხვას. დაცვის მხარეს წინასწარ ჰქონდა მოთხოვნილი, რომ არასრულწლოვნის დაკითხვას საპროცესო წარმომადგენლის სახით მისი დედა არ დასწრებოდა, თუმცა სასამართლომ მიუთითა, რომ კანონიერი წარმომადგენლის შეცვლის მსგავს საფუძველს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა.

[268] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 16 ნოემბრის საჯარო განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3If2R1t> [17.03.2022].

საქმის შესწავლის შედეგად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს. ცვლილების შედეგად, პროკურორს/მოსამართლეს მიეცემოდა არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის ჩანაცვლების უფლებამოსილება, თუკი: (1) მოქმედი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენელი რომელიმე მხარის მიერ მოწმის სახით დასაკითხი პირია; (2) მხარე ასაბუთებს, რომ მისი დაკითხვა მნიშვნელოვანია მისი პოზიციის გასამყარებლად; (3) კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის ჩანაცვლება არ დააზიანებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის წინადადება, მიიჩნია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ამჟამადაც ითვალისწინებს კანონიერი წარმომადგენლის შეცვლის შესაძლებლობას. სახალხო დამცველის აპარატი განიხილავს ამ საკითხზე პარლამენტთან სხვა სამუშაო ფორმატის ფარგლებში მუშაობას, რადგან ამჟამად არსებული საკანონმდებლო ჩანაწერი აშკარად არ იძლევა კანონიერი წარმომადგენლის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ჩანაცვლების შესაძლებლობას, რაც ხსენებულ საქმეზე მოსამართლის განმარტებითაც დადასტურდა.

4.9. შეჯიბრებითობის პრინციპი

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქმე, რომელშიც სასამართლომ არაფორმალური დაკითხვის ოქმი, გამამტყუნებელ განაჩენში გამოიყენა. პირველი ინსტანციის სასამართლოში 4 ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულს. სააპელაციო ინსტანციაში 2 ბრალდებულის პოზიცია შეიცვალა - მათ გააფორმეს საპროცესო შეთანხმება, აღიარეს ბრალდება, ითანამშრომლეს გამოძიებასთან და სასჯელი მნიშვნელოვნად შეუმცირდათ.[269] საპროცესო შეთანხმების გაფორმების სხდომაზე, ბრალდებულებმა, პროკურორის კითხვების საპასუხოდ, ისაუბრეს ამავე საქმეზე ორი სხვა მსჯავრდებულის დამნაშავეობის შესახებ.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ასეთი კითხვების დასმის შესაძლებლობას. საგულისხმოა, რომ პროკურორს მოსამართლემაც მიუთითა, რომ „დაკითხვის" წარმოებას პროცესი არ ითვალისწინებდა. მიუხედავად ამ განმარტებისა, ამავე მოსამართლემ, მაინც მისცა ბრალდების მხარეს კითხვების ბოლომდე დასმის და პასუხების მიღების საშუალება. შედეგად, პროკურორმა ისინი, ფაქტობრივად, პირდაპირი წესით დაკითხა, მიუხედავად იმისა, რომ არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის გაფრთხილებულან და არც ფიცი დაუდიათ. ამასთანავე, ბრალდებულებს, რომელთა წინააღმდეგაც ჩვენება იქნა მიცემული, არ მისცემიათ ინფორმაციის გამოკვლევის ან/და ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა.

[269] ერთი მსჯავრდებული განაჩენის გამოტანის დღეს გათავისუფლდა, მეორე - 2 თვის შემდეგ.

ამ საქმეზე სახალხო დამცველმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება წარუდგინა.[270] დოკუმენტში განხილულია კანონმდებლობისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ევროპული სასამართლოს თანახმად, განსახილველ შემთხვევაში ბრალდებულს უნდა ჰქონოდა საპროცესო შეთანხმების გამფორმებელი პირის ჯვარედინი დაკითხვის უფლება. შესაბამისად, მსგავსი შესაძლებლობის გარეშე ბრალდებულის დატოვება ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლების, როგორც კონვენციურ, ისე კონსტიტუციურ სტანდარტს. უზენაესმა სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ იზიარებს სახალხო დამცველის პოზიციას, თუმცა მაინც არ დაუშვა ი. ფ.-სა და დ. ი.-ს საჩივრები განსახილველად.[271] სასამართლომ მიუთითა, რომ მოწმეთა სადავო გამოკითხვის ოქმები არ არის ი. ფ.-სა და დ. ი.-ს მსჯავრდების ერთადერთი ან ძირითადი მამხილებელი მტკიცებულება.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- უმოკლეს ვადაში, ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩართულობით უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევისთვის საჭირო პროცედურის დაწყება;
- ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩართულობით უზრუნველყოს საჯარო განხილვის პროცედურის წარმართვა, რომლის მიზანი იქნება მათლმსაჯულების ფუნდამენტური რეფორმის განხორციელება;
- ცვლილებები შევიდეს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში, რომლითაც შეიცვლება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და ნებისმიერი გადაწყვეტილების მისღებად საჭირო გახდება საბჭოს წევრთა 2/3 უმრავლესობის მხარდაჭერა ორმაგი უმრავლესობის პრინციპით (მინიმუმ 5 მოსამართლე და 3 არამოსამართლე წევრის სავალდებულო მხარდაჭერა);
- შეიტანოს ცვლილება „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში და უზენაესი სასამართლოს პლენუმის წევრებად განსაზღვროს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგინდეს, რომ სასამართლოში საქმეთა კოლეგიური განხილვისას, კოლეგიის შემადგენლობა სასამართლოს თავმჯდომარის ნაცვლად, საქმეთა განაწილების ელექტრონულმა პროგრამამ განსაზღვროს;
- საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის ცვლილებით, განსაზღვროს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა

[270] 12.04.2021 წ. №15-5/3371.

განხილვასთან დაკავშირებული ვადები, რითაც დადგინდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა;

- საკანონმდებლო ცვლილების გზით, უზრუნველყოს მტკიცებულებების კანონიერების სასამართლო წესით ზედამხედველობის მექანიზმის შემუშავება იმ შემთხვევებისთვის, როდესაც არსებობს დანაშაულის პროვოკაციის რისკის საშიშროება;
- მიიღოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- შევიდეს ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და განისაზღვროს საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი უწყების ვალდებულება, ობიექტური შეუძლებლობის შემთხვევების გარდა, სასამართლოს წარუდგინოს ჩხრეკა-ამოღების პროცესის უწყვეტი ვიდეო კადრი ან/და ნეიტრალური მოწმის ჩვენება, რაც დაადასტურებს საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას;
- განხორციელდეს სასამართლოს (კოლეგიის, პალატის) თავმჯდომარეთა არჩევის წესის რეფორმირება და კონკრეტული სასამართლოს მოსამართლეებს მიენიჭოთ თავმჯდომარეთა არჩევის უფლებამოსილება;
- შევიდეს ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში და გაუქმდეს 75[1]-ე მუხლის „ა" პუქნტის „ბ.ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი;
- შევიდეს ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლში და მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი მივლინების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს ერთი წელი;
- შევიდეს ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლში და მოსამართლის საქმის განხილვიდან ჩამოცილების საფუძვლებად კვლავ განისაზღვროს მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, ან გათავისუფლების შესახებ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;
- შევიდეს ცლილებები საქართველოს პატიმრობის კოდექსში და გაუქმდეს ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციის შესაძლებლობის შეზღუდვა, როგორც პროკურორისა და გამომძიებლის გადაწყვეტილების, ისე სადისციპლინო სახდელის სახით;
- შევიდეს ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის წარმომადგენლის ჩანაცვლებას იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს აქვთ წარმომადგენლის სასამართლოში დაკითხვის ინტერესი.

რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებათა ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რათა დაწესებულებებში გაიზარდოს სპეციალური ოთახების რაოდენობა და კომპიუტერული ტექნიკა დისტანციური წესით გასამართ სხდომაზე ბრალდებულთა ჩართვის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნების გამოქვეყნება, პერსონალურ მონაცემთა სტანდარტების დაცვით;
- საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში ცვლილებების გზით, უზრუნველყოს სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში კოლეგიის სამივე წევრის შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე არჩევა;
- დისტანციური სასამართლო პროცესების დროს კლიენტისა და ადვოკატის კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, გააუმჯობესოს შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული ინფრასტრუქტურა;
- ცვლილებები შევიდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, 2017 წლის 1-ლი მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში და გაუქმდეს მე-6 , მე-7 და მე-8 პუნქტები.

5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

5.1. შესავალი

2021 წელს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფართომასშტაბიანი და სისტემური დარღვევები გამოვლინდა. წლის განმავლობაში რამდენჯერმე გავრცელდა ინფორმაცია სავარაუდო უკანონო მიყურადებისა და თვალთვალის შესახებ. საანგარიშო პერიოდში, ფარული მიყურადების ამსახველი მასალების აქამდე უპრეცედენტო გაჟონვას ჰქონდა ადგილი. გავრცელებული მასალების მოცულობისა და არაერთი პირის მხრიდან მისი დადასტურების გათვალისწინებით, სახალხო დამცველის შეფასებით, აშკარაა, რომ აღნიშნული მასალა, სახელმწიფო ორგანოების მიერ, სავარაუდოდ, უკანონო, ფარული თვალთვალის შედეგადაა მიღებული. ამ გარემოებებმა საზოგადოებაში განამტკიცა განცდა, რომ ადამიანები ტოტალური მიყურადებისა და თვალთვალის ობიექტები არიან.

2021 წელს განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო წლის ბოლოს, 4 დღეში პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველი სახელმწიფო ინსტიტუტის არაკონსტიტუციური და დაჩქარებული პროცედურით გაუქმება საქართველოს პარლამენტში, რის შედეგადაც 6 წლის ვადით არჩეული დამოუკიდებელი ორგანოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილეები გათავისუფლდნენ თანამდებობიდან.

წინამდებარე თავში მიმოხილულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემდეგი საკითხები: სავარაუდო უკონტროლო მიყურადება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის შემთხვევები და ამ საქმეებზე დაწყებული გამოძიებების მდგომარეობა; დახურულ დაწესებულებებში, გარე სამყაროსთან კონტაქტის თვალსაზრისით არსებული გამოწვევები.

უფლებადარღვევებზე რეაგირების ხარისხი, არც ამ საანგარიშო პერიოდში განსხვავდებოდა გასული წლებისგან. სამწუხაროდ, მსგავსი კატეგორიის დანაშაულებზე დაწყებული გამოძიება არაეფექტიანად მიმდინარეობს და მეტწილად უშედეგოდ გრძელდება. სამართალდამცავმა უწყებებმა კვლავ ვერ შეძლეს უფლებაში უკანონო ჩარევის თავიდან არიდება ან/და ეფექტიანი გამოძიებით შესაბამისი დამნაშავეების გამოვლენა.

მსოფლიოში შექმნილი პანდემიური კონტექსტი პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს. პანდემიის გამო, გარე სამყაროსთან კომუნიკაციაზე დაწესებულმა დამატებითმა შეზღუდვებმა, დიდი ზიანი მიაყენა პენიტენციურ და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებულ პირებს. ამავე დროს, დაწესებული შეზღუდვების კომპენსირების მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აქტივობები გარე სამყაროსთან სათანადო კომუნიკაციის შესაძლებლობას არ იძლევა.

სამწუხაროდ, შეუსრულებელია 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თავში სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი რეკომენდაციების უმრავლესობა. საქართველოს სახალხო დამცველმა 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებით 12 რეკომენდაცია და 8 საპარლამენტო წინადადება გასცა.[272] უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა არცერთი წინადადება არ გაითვალისწინა.

5.2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება

2021 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა, 4 დღის ვადაში, დაჩქარებული წესით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლითაც გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, უფლებამოსილება შეუწყდათ სახელმწიფო ინსპექტორსა და მის მოადგილეებს.[273] დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოს გაუქმება სრულიად უპრეცედენტო შემთხვევაა და ეს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან და ადამიანის უფლებათა სამართალთან.

მიღებული ცვლილებებით შეიქმნა ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყება: (1) სპეციალური საგამოძიებო სამსახური და (2) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.[274] კანონპროექტის ავტორთა პოზიციით, საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი იყო ორი ფუნქციის მატარებელი სახელმწიფო უწყების მანდატის იმგვარი მოწესრიგება, რომ ფუნქციებს შორის ინტერესთა კონფლიქტი გამოერიცხა. საყურადღებოა, რომ ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო საფრთხის შესახებ მოსაზრებები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა წლების წინ, 2018 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნის პროცესში წარუდგინეს საქართველოს პარლამენტს. მაშინ, იმავე მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ უარი განაცხადა ინსპექტორის სამსახურის ცალკე ჩამოყალიბებაზე და იგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბაზაზე შექმნა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერესთა კონფლიქტის არსებობა სახელმწიფო ინსპექტორის მიერ განხორციელებულ საქმიანობაში, კანონპროექტის ავტორებმა ვერ დაადასტურეს. ამასთანავე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობაზე დაკვირვების შედეგები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, არათუ დაყოფა, არამედ, პირიქით, გაძლიერება სჭირდებოდა როგორც საკანონმდებლო, ისე საბიუჯეტო მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ დაჩქარებული წესით კანონპროექტის განხილვამ შეუძლებელი გახადა საზოგადოების არსებითი ჩართულობა კანონპროექტის განხილვის პროცესში. მეტიც,

[272] სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020, 161-163.
[273] ცვლილებები ძალაში 2022 წლის 1-ლი მარტიდან შევიდა.
[274] საკანონმდებლო ცვლილებამდე, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველობა და დამოუკიდებელი საგამოძიებო უფლებამოსილებების განხორციელება ერთი მანდატის - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფარგლებში მიმდინარეობდა.

კანონპროექტის მომზადებაში, არათუ დაინტერესებული ორგანიზაციები, არამედ სახელმწიფო ინსპექტორიც კი არ ყოფილა ჩართული. სახალხო დამცველის შეფასებით, ასეთი ცვლილებები უნდა განხორციელდეს ღია და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, არსებითი, ფართო დებატებით, სამოქალაქო საზოგადოებისა და თავად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ჩართულობით. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, აშკარაა რომ საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი დამოუკიდებელ ორგანოს საქმიანობაში ჩარევა და მასზე ზეგავლენის მოხდენა იყო.[275]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ მიღებული ცვლილებები არ/ვერ უზრუნველყოფს ორი ახლად შექმნილი სამსახურის და მათი ხელმძღვანელების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკმარის გარანტიებს და სამომავლოდ ქმნის რისკებს, რომ მათი სამსახურიც გაუქმდება, თუკი მათი საქმიანობა მიუღებელი იქნება კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისთვის.

სახალხო დამცველის შეფასებით, სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა, გარდა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვისა, რომელიც კრძალავს საჯარო მოხელეთა თანამდებობიდან დაუსაბუთებელ გათავისუფლებას, გავლენას ახდენს კონსტიტუციის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ პირადი ცხოვრების უფლებაზეც. სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წლის 30 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა, ასევე, მოითხოვა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმების შეჩერება, მათგან მომდინარე გამოუსწორებელი ზიანის საფრთხის გამო.[276] სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა და არასარწმუნო და დაუსაბუთებელი არგუმენტაციით არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა სადავო ნორმების შეჩერების თაობაზე.[277]

უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის მოწვევით, საკანონმდებლო ცვლილებები ასევე შეაფასა ეუთო/ოდირმაც.[278] მისი შეფასებით, საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგოდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება პარლამენტში ნაჩქარევი იყო და არ სდევდა არანაირი წინასწარი კონსულტაციები. ასეთი გაუმჭვირვალე ფორმით კანონის მიღება ძირს უთხრის სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტების სტატუსს. ეუთო/ოდირის მიერ დოკუმენტში ასახული ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, აუცილებელი იყო მიღებული კანონის მოქმედების შეჩერება, ვინაიდან

[275] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების მცდელობასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3JivADs > [ბოლოს ნანახია 16.03.2022].
[276] სახალხო დამცველის განცხადება, ხელმისაწვდომია < https://bit.ly/3i1E7P9 > [ბოლოს ნანახია 13.03.2022].
[277] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 28 თებერვლის №1/1/1673 საოქმო ჩანაწერი, საქმეზე, ლონდა თოლორაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
[278] ხელმისაწვდომია < https://bit.ly/3q2dqOL > [ბოლოს ნანახია 13.03.2022].

საფრთხე ექმნება სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დამოუკიდებლობას, რაც, თავის მხრივ, აისახებოდა ამ უწყებების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხზე.[279]

5.3. სავარაუდო უკონტროლო მიყურადება

საანგარიშო პერიოდში, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, ადამიანების პირადი კომუნიკაციის მიყურადების შედეგად მოპოვებული მასალები რამდენჯერმე გამჟღავნდა.[280] სახალხო დამცველის შეფასებით, უკანონო მიყურადება-თვალთვალის მიზანი, სავარაუდოდ, მადისკრედიტირებელი ინფორმაციის შეგროვება და გავრცელებაა. ფარული მიყურადების ამსახველი მასალების მასშტაბურ გაჟონვას ჰქონდა ადგილი მიმდინარე წლის 13 სექტემბერს. შემაშფოთებელი იყო ამ მასალების დროებით საჯარო პლატფორმაზე განთავსებაც, რაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყველა დაინტერესებულ პირს აძლევდა მათი ნახვისა და ჩამოტვირთვის შესაძლებლობას. გავრცელებული ფაილები შეიცავს პირადი ცხოვრების ამსახველ, სავარაუდოდ, უკანონო მოსმენებისა და თვალთვალის შედეგად მოპოვებულ აქამდე უპრეცედენტო რაოდენობის მონაცემს. გარდა ამისა, მასალები სავარაუდოდ შეიცავს არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის, დანაშაულის სავარაუდო შეუტყობინებლობისა და სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს.

ზემოაღნიშნული ფაილები შეიცავს ინფორმაციას სასულიერო პირების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების, დიპლომატების, პოლიტიკოსებისა და სხვა პირთა კომუნიკაციის შესახებ. საგულისხმოა, რომ კომუნიკაციის მონაწილე არაერთმა მოქალაქემ საჯაროდ დაადასტურა გავრცელებულ მასალებში ასახული ინფორმაციის სინამდვილე, მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა. საქართველოს პროკურატურაში ამ ფაქტზე მალევე დაიწყო გამოძიება.[281] მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართა და დაწყებული გამოძიების მასალების საგამონაკლისო წესით გაცნობა მოითხოვა.[282] სახალხო დამცველის მოთხოვნას პროკურატურამ უარით უპასუხა.

ამის შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატმა მიმდინარე გამოძიების შესახებ გამოითხოვა ინფორმაცია,[283] მაგრამ გენერალურმა პროკურატურამ, მსგავსი კატეგორიის სხვა საქმეების მსგავსად, ამ გამოძიების შესახებაც მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია წარმოადგინა.

---

[279] ეუთო/ოდირის 2022 წლის 18 თებერვლის №GEN-GEO/436/2022 [NR] მოსაზრება, პარა. 55, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3pW9VcP > ბოლოს ნანახია [13.03.2022].

[280] სახალხო დამცველის 2021 წლის 3 აგვისტოს განცხადება, ხელმისაწვდომია < https://bit.ly/3trRNdx >, [ბოლოს ნანახია 31.12.2021].

[281] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 18 ოქტომბრის განცხადება, ხელმისაწვდომია < https://bit.ly/31K58SW > [ბოლოს ნანახია 31.12.2021].

[282] 2021 წლის 27 სექტემბრის და 4 ნოემბრის საქართველოს სახალხო დამცველის №15-2/9225 და №15-2/10536 წერილები.

[283] 2021 წლის 2 დეკემბრის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის №15-2/11390 წერილი.

მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გამოძიების ფარგლებში კონკრეტული პირი ბრალდებულად ან დაზარალებულად კვლავ არ არის ცნობილი.[284]

დამატებით, სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა პირადი ცხოვრების უფლების საკითხებში გაეროს სპეციალურ მომხსენებელს და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასების მიზნით, საქართველოში მოიწვია.[285]

სავარაუდოდ უკანონო და ფართომასშტაბიანი მიყურადება-თვალთვალი ქვეყანაში ტოტალური კონტროლის საფრთხეებს აჩენს. მას მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესის თითოეულ ეტაპზე, იქნება ეს არჩევნები, თუ სხვა მნიშვნელოვანი პროცესი. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლების მიყურადება, ამავე დროს, საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა.

სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს კანონმდებლობაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის არასაკმარისი გარანტიებისა და ხელისუფლების თვითნებობის შესაძლებლობის მაღალი რისკების შესახებ. უკონტროლო მიყურადების საფუძველს ქმნის მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც უსაფრთხოების ორგანოებს აძლევს მობილური ოპერატორების სერვერებზე უკონტროლო, პირდაპირი მიერთების შესაძლებლობას, რაც აიოლებს უკანონო მიყურადების შესაძლებლობას და ამცირებს მისი გამოვლენის რისკებს. საქართველოს სახალხო დამცველმა ეს ნორმები საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა,[286] რომელმაც საქმის არსებითი განხილვა 2018 წელს დაასრულა, მაგრამ გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია.

ასევე საყურადღებოა, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტს არ გამოუყენებია მის ხელთ არსებული საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელების პარლამენტში დაბარებას. პარლამენტს ასევე შეეძლო განეხილა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობაც.

5.4. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის შემთხვევები

2021 წელს, გასული წლების მსგავსად, პირადი ცხოვრების ხელყოფის სხვადასხვა შემთხვევა გამოვლინდა. წინამდებარე ქვეთავის ფარგლებში განვიხილავთ საქმეებს, რომლებიც აპარატმა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შეისწავლა.

---

[284] 2021 წლის 28 დეკემბრის საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/78738 წერილი.

[285] საქართველოს სახალხო დამცველის, 2021 წლის ოქტომბრის განცხადება, ხელმისაწვდომია < https://bit.ly/3td4Kb0 > [ბოლოს ნანახია 31.12.2021].

[286] სახალხო დამცველის, 2017 წლის, 31 მაისის განცხადება, ხელმისაწვდომია < https://bit.ly/3GbXdMZ > [ბოლოს ნანახია 03.01.2022].

5.4.1. ალექსანდე ლაშქარავას საქმე

2021 წლის 11 ივლისს, ტელეკომპანია „პირველის“ ოპერატორი ალექსანდრე ლაშქარავა გარდაიცვალა. ის ამავე წლის 5 ივლისს ულტრამემარჯვენე, ძალადობრივი ჯგუფების წევრებმა, ორგანიზაცია „სირცხვილიას“ ოფისში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

გარდაცვალების დღესვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ალექსანდრე ლაშქარავას გადაადგილების ამსახველი ვიდეოჩანაწერები გაავრცელა. ამავე დროს, შსს-ს წარმომადგენელმა საზოგადოებას მოუწოდა, გარდაცვალების მიზეზების შესახებ ნაადრევი დასკვნები არ გამოეტანა, თუმცა ჩანაწერის გავრცელების მიზანი სწორედ ეს იყო. სახალხო დამცველის შეფასებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ალექსანდრე ლაშქარავას შესახებ ჩანაწერების გავრცელების ფორმა დანაშაულის ობიექტურ გამოძიებას და საზოგადოების ინფორმირებას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ, შერჩევითად გავრცელებული ინფორმაციის მიზანი იყო ნაცემი და გარდაცვლილი ოპერატორის დისკრედიტაცია.[287]

ზემოაღნიშნული მოვლენები შეისწავლა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმაც.[288] ინსპექტორის შეფასებით, ჩანაწერების გავრცელებით დაირღვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპი.[289] ინსპექტორმა ასევე დაადგინა, რომ გავრცელებული ჩანაწერები შინაგან საქმეთა სამინისტრომ კანონის მოთხოვნათა დარღვევით მოიპოვა, კერძოდ, აუდიო-ვიდეოჩანაწერი სამედიცინო დაწესებულებიდან სამინისტროს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გაიცა. აუდიო-ვიდეოჩანაწერზე (2021 წლის 12 ივლისს, 00:21, 00:24, 00:28 და 00:52 საათებზე) წვდომისა და სამედიცინო დაწესებულების კომპიუტერული მოწყობილობიდან მისი გადმოწერის დროს, სამინისტროს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ამსახველი საპროცესო დოკუმენტი არ შეუდგენია.

5.4.2. მიხეილ სააკაშვილის საქმე

2021 წლის 11 ნოემბერს, იუსტიციის სამინისტრომ გაავრცელა №18 სამედიცინო დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილის, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით შესახლების ამსახველი კადრები. ვიდეოჩანაწერები სრულად და უწყვეტად არ ასახავდა საქმესთან დაკავშირებულ ეპიზოდს, ხოლო კომპილაციაში მოხვედრილ რამდენიმე ეპიზოდში პატიმარი ნახევრად შიშველ, დამამცირებელ მდგომარეობაში იყო აღბეჭდილი. იუსტიციის მინისტრის ცნობით, ვიდეოჩანაწერების გავრცელება მიზნად ისახავდა ადვოკატის განცხადებების უარყოფას მიხეილ სააკაშვილის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

---

[287] ხელმისაწვდომია < https://bit.ly/3CBkyHd > [ბოლოს ნანახია 11.03.2021].

[288] სახელმწიფო ინსპექტორის 2021 წლის 24 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3r746cp> [ბოლოს ნანახია 03.01.2022].

[289] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 4, პუნქტი „ბ“.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აბსტრაქტულ ლეგიტიმურ მიზანზე მითითებით და სრულიად არაპროპორციული და შეურაცხმყოფელი ფორმით პატიმარ მიხეილ სააკაშვილის კადრების გავრცელებით დაირღვა მიხეილ სააკაშვილის პატივის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ადვოკატის პოზიციის გასაბათილებლად, გამოძიებისთვის ამ ვიდეომასალების სრულად მიწოდებასთან ერთად, შესაძლებელი იყო უფლების ნაკლებად მზღუდავი სხვა საშუალება შეერჩიათ.[290] შემთხვევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევად შეაფასა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმაც.[291]

5.4.3. ანა დოლიძის საქმე

2021 წლის მარტში, ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში, ძალოვანი უწყების ყოფილმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ ანა დოლიძისა და სხვა პოლიტიკურად აქტიური პირების საცხოვრებელ ბინებში ხორციელდებოდა ფარული მიყურადება და ამ მიზნით მათ დამონტაჟებული ჰქონდათ სათვალთვალო მოწყობილობები.[292] აღსანიშნავია, რომ სიუჟეტში აღწერილი ფაქტების სისწორე თავად ანა დოლიძემაც დაადასტურა.

საქმეზე, სახალხო დამცველის აპარატმა, 2021 წლის მარტიდან წლის ბოლომდე, ოთხჯერ მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას.[293] უწყების საპასუხო წერილებით[294] დგინდება, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში გამოძიება მიმდინარეობს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების შესაძლო დარღვევისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე.[295] გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, რომელიც 2021 წლის გაზაფხულიდან მიმდინარეობს, გამოიკითხნენ მოწმეები, გამოთხოვილ იქნა საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თუმცა, დაზარალებულად და ბრალდებულად, ამ დრომდე არავინაა ცნობილი.

---

[290] სახალხო დამცველის 2021 წლის 11 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია < https://bit.ly/3JUtN8s > [ბოლოს ნანახია 04.01.2022].

[291] სახელმწიფო ინსპექტორის 2021 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/333Vmvw > [ბოლოს ნანახია 04.01.2022}. 2022 წლის 11 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გააუქმა სახელმწიფო ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების გასაჯაროების შესახებ. საგულისხმოა, რომ სასამართლო პროცესები ჩვეულებრივზე გაცილებით სწრაფი ტემპით წარიმართა, ხოლო თავად სასამართლო განხილვები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების პროცესს დაემთხვა.

[292] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://bit.ly/3hsO3Bb > [ბოლოს ნანახია 25.03.2021].

[293] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 26 მარტის №15-10/2933, 2021 წლის 14 მაისის №15-10/4608, 2021 წლის 13 სექტემბრის №15-10/8807, 2021 წლის 12 დეკემბრის №15-10/11438 წერილები.

[294] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 30 მარტის №3408/21, 2021 წლის 25 მაისის №5509/21, 2021 წლის 24 სექტემბრის №10255/21, 2021 წლის 16 დეკემბრის №13552/21 წერილები.

[295] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნებით.

5.4.4. პირადი ცხოვრების მასალებით სავარაუდო შანტაჟი

2021 წლის 2 ივნისს, სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა,[296] რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთში მიმდინარე საპროტესტო აქციის ერთ-ერთ მონაწილეს უცნობი პირი დაემუქრა. კერძოდ, 2021 წლის 24 მაისს, მას ტელეფონით დაუკავშირდა უცნობი მამაკაცი და საპროტესტო აქციის შეწყვეტა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მისი რძლის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების გამოქვეყნებით დაემუქრა. მოქალაქის განმარტებით, მან იმავე დღეს მიაწოდა ჭიათურის რაიონულ სამმართველოს საუბრის ამსახველი აუდიოჩანაწერი.

ფაქტზე მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, სახალხო დამცველის აპარატმა არაერთხელ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.[297] 2022 წლის 18 იანვრის მდგომარეობით, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა და გამოძიება კვლავ მიმდინარეობდა.

5.5. გარე სამყაროსთან კონტაქტი პენიტენციურ დაწესებულებებში

2021 წელს პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა პირადი ცხოვრების უფლების არაერთი დარღვევა გამოვლინდა.

მთელი წლის განმავლობაში, პანდემიის გამო, პენიტენციურ სისტემაში კვლავ მოქმედებდა განსაკუთრებული პირობები, თუმცა, ამავე დროს, ეტაპობრივად მიმდინარეობდა დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქებაც. კერძოდ, ხანმოკლე პაემნების შესაძლებლობა პატიმრებს 2021 წლის 1-ლი თებერვლიდან მიეცათ,[298] ხანგრძლივი პაემნები კი 2021 წლის 29 სექტემბრიდან აღდგა.[299] საოჯახო პაემნები დღემდე შეზღუდული რჩება. მიუხედავად ეტაპობრივი შემსუბუქებებისა, პატიმრების ცნობით, საერთო ჯამში, გარე სამყაროსთან მათი კონტაქტი პანდემიის გავლენით, 2021 წელსაც გაუარესებული იყო.

სხვადასხვა დაწესებულებაში მყოფი პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ 1 წელზე მეტია, ოჯახის წევრი მათთან პაემანზე არ მისულა და მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაცია აქვთ. მიზეზად პატიმრები სხვადასხვა ფაქტორს ასახელებენ, რომელთაგან ყველაზე ხშირია საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა. სამწუხაროდ, შეზღუდვების საკომპენსაციო

---

[296] ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე < https://bit.ly/3ItL1IT >[ბოლოს ნანახია 28.02.2022.]

[297] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 7 ივნისის №15-13/5352, 2021 წლის 5 აგვისტოს №15-13/7684 და 2021 წლის 31 დეკემბრის №15-13/12762 წერილები.

[298] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2021 წლის 27 იანვრის №760 ბრძანება პენიტენციურ დაწესებულებებში განსაკუთრებული პირობების შემოღების შესახებ; სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 5 მარტის №4109 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

[299] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2021 წლის 29 სექტემბრის №14581 ბრძანება პენიტენციურ დაწესებულებებში განსაკუთრებული პირობების შემოღების შესახებ; სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 5 მარტის №4109 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

ღონისძიებები 2021 წელს პრაქტიკულად არ განხორციელებულა. პატიმრების თქმით, 2021 წელს მხოლოდ ერთხელ, მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით მიიღეს 15-წუთიანი უფასო სატელეფონო სასაუბრო დრო. №8 და №6 დაწესებულებებში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ყველა პატიმარმა ვერ ისარგებლა გადაცემული უფასო დროით, ზოგიერთს კი, შესაბამისი თანხა სატელეფონო ბალანსზე საერთოდ არ დარიცხვია.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ბრალდებულებს სატელეფონო ბარათი დაწესებულებაში შესახლებიდან 10-15 დღის შემდეგ უმზადდებათ, რის გამოც მანამდე ვერ ახერხებენ ოჯახთან დაკავშირებას და ასევე არ აქვთ მაღაზიაში ნივთების შეძენის შესაძლებლობა.

განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს კვლავ არ შეუძლიათ ვიდეოპაემნით სარგებლობა. ასევე აღსანიშნავია, რომ ყველა დაწესებულებაში, სადაც კანონმდებლობით დასაშვებია ვიდეოპაემნით სარგებლობა, არ არის მოწყობილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა.[300] ასევე არ შეცვლილა თავად ვიდეოპაემნის განხორციელების წესი და პატიმართა ოჯახის წევრებს, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულში უწევთ გამოცხადება.[301] ასევე მნიშვნელოვანია, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს მიეცეთ მეტი ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემანი, რაც ხელს შეუწყობს ოჯახის წევრებთან მყარი კავშირის შენარჩუნებასა და რეაბილიტაციას.

კონფიდენციალურ გარემოში სატელეფონო საუბრის განხორციელება კვლავ მიუღწეველ მიზნად რჩება. პატიმრები აღნიშნავენ, რომ დაწესებულებებში კონფიდენციალურად სატელეფონო საუბრის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. მათი თქმით, საუბრის დროს თანამშრომლები უსმენენ, ხოლო ინფრასტრუქტურა, თავის მხრივ, იმგვარად არის მოწყობილი, რომ ტელეფონი ან სამორიგეოშია ან კაბინაში, რომელიც ხმის იზოლაციას ვერ უზრუნველყოფს.

პენიტენციურ დაწესებულებებში, გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის ერთ-ერთი საშუალება დისციპლინური სახდელის დაკისრებაა. საქართველოს პატიმრობის კოდექსის შესაბამისად,[302] დისციპლინური სახდელის სახეებად განსაზღვრულია გარე სამყაროსთან კონტაქტის ცალკეული ფორმების შეზღუდვა. სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს, რომ ეს ეწინააღმდეგება პატიმართა რესოციალიზაციის მიზანს და მისით მიღწეული შედეგი გარე სამყაროსთან კონტაქტის ინტერესს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება.[303] ამის შესახებ აგრეთვე მიუთითებს გაეროს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტიც.[304]

---

[300] №2, №10, №12 და №18 დაწესებულებები.

[301] პატიმრობის კოდექსის მე-17[1] მუხლის მე-3 ნაწილი და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 5 აპრილის №55 ბრძანება „მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე".

[302] საქართველოს პატიმრობის კოდექსი - 82-ე მუხლი, პირველი ნაწილის „თ" „მ" „ი" და „მ" პუნქტები.

[303] სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი, 156.

[304] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარა. 100, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://bit.ly/2J9IeHP> [ბოლოს ნანახია: 05.01.2022].

საანგარიშო პერიოდში, მსჯავრდებულთათვის კორესპონდენციის გაგზავნის უფლებისა და მიმოწერის კონფიდენციალობის დარღვევებიც გამოვლინდა. რამდენიმე შემთხვევაში, აპარატის მიმართვის საფუძველზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მხრიდანაც დადასტურდა დარღვევა. სახალხო დამცველის აპარატმა პირადი მიმოწერის უფლების დარღვევა დაადგინა ერთ-ერთ საქმეზე, სადაც №6 დაწესებულების სოციალურმა მუშაკმა მსჯავრდებულის მიერ გადაცემული ორი განცხადება არ დაარეგისტრირა, რომლებიც, შესაბამისად, ვერ გაიგზავნა ადრესატებთან. აპარატმა №8 დაწესებულებაშიც დაადგინა მსჯავრდებულის მიმოწერის უფლების დარღვევა.[305] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევა შესაბამისი პირების დისციპლინური პასუხისმგებლობით დასრულდა.[306]

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულისთვის პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე ხანმოკლე პაემნის შეზღუდვა უპირველესად ლეგიტიმურ საგამოძიებო და მართლმსაჯულების ინტერესებს უკავშირდება, იგი მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს. კერძოდ, არ არსებობს ამ უფლებაშემზღუდველი ღონისძიების სასამართლო კონტროლის მექანიზმი, რაც, თავისთავად ზრდის თვითნებობის რისკს. ხოლო იმ პირობებში, როდესაც ბრალდებული ფაქტობრივად ახალ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში იმყოფება, მისთვის გარე სამყაროსთან კონტაქტის დამყარების შესაძლებლობის თვითნებურმა შეზღუდვამ, შესაძლებელია, მნიშვნელოვნად დააზიანოს მისი უფლებრივი ინტერესები.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს განხორციელებული ვიზიტებისას, უცხოელი პატიმრები ნაკლებად მიუთითებდნენ საკანში განთავსების პრობლემებზე. უმეტესობა აღნიშნავდა, რომ საკანში მათი განთავსებისას გაითვალისწინეს მათი სურვილი და საკანში ძირითადად მათ ენაზე მოსაუბრე პატიმრები იმყოფებიან. სამწუხაროდ, მათთვის გადაუჭრელ პრობლემად რჩება საზღვარგარეთ მყოფ ოჯახებთან დაკავშირების სირთულე. საზღვარგარეთ დასარეკად კვლავ 2 დღეა გამოყოფილი კვირაში და იმ შემთხვევაში, თუ საკნისთვის დადგენილი სატელეფონო ზარის დღე არ ემთხვევა საერთაშორისო ზარის დღეს, პატიმარი საზღვარგარეთ მყოფ ოჯახის წევრებს საერთოდ ვერ უკავშირდება. პატიმართათვის, ხშირ შემთხვევაში, დაუძლეველ ბარიერს წარმოადგენს ზარის საფასური, რომლის დაფარვის საშუალება მათ მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს. პანდემიის გამო ერთჯერადად საჩუქრად გადაცემული უფასო სასაუბრო დრო კი, საერთაშორისო ზარებზე არ ვრცელდება. ზოგიერთ სახელმწიფოში წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნაც შეუსაბამოდ მაღალ ხარჯებს უკავშირდება, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ამ მიმართულებით შეიმუშაოს ისეთი ღონისძიება, რაც პატიმრებისთვის შესაძლებელს გახდის საზღვარგარეთ მყოფ ოჯახთან კავშირის შენარჩუნებას.

---

[305] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში.

[306] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2021 წლის 8 იანვრის №3465/01 წერილი. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2021 წლის 24 იანვრის №19656/01 წერილი.

აღსანიშნავია, რომ პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის გაუმჯობესების მიზნით, სახალხო დამცველმა 2021 წლის განმავლობაში არაერთი სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და გაასაჩივრა პატიმრობის კოდექსისა და დაწესებულებების დებულებების იმ ნორმათა საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობა, როგორიცაა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულთათვის ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლების ბლანკეტური აკრძალვა,[307] ბრალდებულისთვის ხანგრძლივი და ვიდეოპაემნის იმპერატიული შეზღუდვა,[308] ასევე, დისციპლინური სახდელის სახით პატიმრისთვის გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა[309] და პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე პატიმრობა შეფარდებული ბრალდებულისთვის ხანმოკლე პაემნის შეზღუდვა.[310]

5.6. გარე სამყაროსთან კონტაქტი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის ნაწილში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა, ფაქტობრივად არ განსხვავდება 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღწერილი კონტექსტისგან.[311]

„ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონი[312] ექიმს ანიჭებს უფლებამოსილებას, სტაციონარში მოთავსებულ პაციენტს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების საფუძველზე შეუზღუდოს შემოწმების გარეშე წერილის მიღებისა და გაგზავნის, საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობის, მესამე პირის დაუსწრებლად მნახველის მიღების და ხანმოკლე ვადით სტაციონარის დატოვების უფლება.[313] სახალხო დამცველის შეფასებით, თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის დარღვევით, პაციენტის უფლებების შეზღუდვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს.[314] ამ გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და სადავოდ გამხდარი აქტების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა.

---

[307] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 22 ივლისს საკონსტიტუციო სარჩელი №1602 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3JjMCkZ > [ბოლოს ნანახია: 13.02.2022].
[308] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 20 მაისის საკონსტიტუციო სარჩელი №1603 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hWBpdZ> [ბოლოს ნანახია: 13.02.2022].
[309] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 22 ივლისს საკონსტიტუციო სარჩელი №1633 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t1XhLI> [ბოლოს ნანახია: 13.02.2022].
[310] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 22 ივლისს საკონსტიტუციო სარჩელი №1632 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3MHKPIj> [ბოლოს ნანახია: 13.02.2022].
[311] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 159-160.
[312] ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონი. მუხ. 15. პუნ. 3.
[313] იქვე. მუხ. 15. პუნ. 2 ქვეპუნქტი: „ა" – „დ".
[314] საქართველოს კონსტიტუცია. მუხ. 15.

2021 წელს, 2020 წლის მსგავსად, ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში შეჩერებული იყო მნახველისა და პაციენტის შეხვედრები. შესაბამისად, პაციენტებს ოჯახის წევრებთან შეხვედრის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. სახალხო დამცველის აპარატის მიერ, საანგარიშო პერიოდში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად,[315] გამონაკლისი მხოლოდ „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი" იყო, სადაც 2021 წელს პაციენტებს ეძლეოდათ მნახველთან შეხვედრის შესაძლებლობა.

განსხვავებული რეჟიმით ფუნქციონირებდა სურამის ფსიქიატრიული კლინიკა, სადაც, სავარაუდოდ, კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, პაციენტებს მნახველებთან მხოლოდ დაწესებულების გარეთ, ისიც, ამანათის გამორთმევის მიზნით შეეძლოთ შეხვედრა.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტები ასევე მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ისარგებლონ ტელეფონებით. სტაციონარში მოთავსებული პაციენტების მიერ ტელეფონით სარგებლობის უფლება ექიმის ზეპირ ნებართვაზეა დამოკიდებული. დაწესებულებაში შესვლისთანავე პაციენტებს მობილურ ტელეფონებს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ართმევენ. დადებითად უნდა აღინიშნოს №5 კლინიკური საავადმყოფო, სადაც პაციენტების უმრავლესობას ჰქონდა კუთვნილი მობილური ტელეფონები და სმარტფონები, თუმცა, აქაც, ზოგიერთ პაციენტს თვითნებურად ჰქონდა შეზღუდული ტელეფონით სარგებლობის უფლება. ამ პაციენტებთან მიმართებით არ მოიპოვებოდა წერილობითი დოკუმენტაცია, ექიმის დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.

ასევე გართულებულია დაწესებულების ტელეფონებით სარგებლობაც. მონიტორინგის დროს გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პაციენტები პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს სთხოვდნენ ოჯახთან დარეკვის მიზნით, დახმარებას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა „თერჯოლამედის" ფსიქიატრიულ განყოფილებაში, სადაც ყოველი დარეკვის წინ პაციენტმა უშუალოდ ექიმისგან უნდა აიღოს ნებართვა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, პაციენტებს დაუბრუნდეთ მათი კუთვნილი ტელეფონები, ხოლო მათი არქონის შემთხვევაში, შეძლონ დღეში მინიმუმ 1 ზარის განხორციელება დაწესებულების ტელეფონით. პაციენტი არ უნდა იყოს დამოკიდებული პერსონალის კეთილ ნებაზე, დაუთმოს საკუთარი ტელეფონი, მით უფრო,

[315] მონიტორინგი ჩატარდა შემდეგ დაწესებულებებში: №5 კლინიკური საავადმყოფოს ფსიქიატრიული განყოფილება, შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" (შემდგომში „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"), შპს „იმერმედი - იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრის („თერჯოლამედი") ფსიქიატრიული განყოფილება (შემდგომში „თერჯოლამედი"), შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრის" ფსიქიატრიული განყოფილება, აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო (სურამის ფსიქიატრიული კლინიკა), ივ. ბოკერიას სახელობის რეფერალური საავადმყოფოს ფსიქიატრიული განყოფილება (შემდგომში, ასევე, „ევექსის ჰოსპიტლები"), თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი.

პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვის პირობებში, როდესაც პაციენტებს ოჯახის წევრებთან კონტაქტი კიდევ უფრო შეზღუდული აქვთ.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის 77-ე და 79-ე მუხლებში და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ბრალდებულს გარე სამყაროსთან კონტაქტი შეეზღუდოს მხოლოდ სასამართლო განჩინებით;
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-11 და მე-12 ნაწილებში და შესაძლებელი გახდეს ხანმოკლე პაემნის ვიდეოპაემნით ჩანაცვლება;
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის მე-17[2] მუხლის მე-9 ნაწილში და შესაძლებელი გახდეს ხანგრძლივი პაემნის სატელეფონო ზარით, ხანმოკლე პაემნით და ვიდეოპაემნით ჩანაცვლება;
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის მე-17[3] მუხლში და შესაძლებელი გახდეს საოჯახო პაემნის სატელეფონო ზარით, ხანმოკლე პაემნით და ვიდეოპაემნით ჩანაცვლება;
- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში" და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებსა და დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებს გაეზარდოთ პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა;
- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში" და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებს მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება;
- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში" და გაუქმდეს დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება;
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და მსჯავრდებულებს, რომელთა ოჯახის წევრებიც საზღვარგარეთ ცხოვრების გამო ვერ სარგებლობენ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნებით, მიეცეთ საშუალება ისარგებლონ ვიდეოპაემნით;
- პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის გაიზარდოს ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა.

რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს, რომ უცხოელმა პატიმრებმა, მოქალაქეობის არმქონე პირებმა, ასევე, საქართველოს იმ მოქალაქეებმა, რომელთა ოჯახი ქვეყნის ფარგლებს გარეთ

ცხოვრობს, შეძლონ საერთაშორისო ზარების განხორციელება შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად;

- უზრუნველყოს, რომ უცხოელ პატიმრებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს, ასევე, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, პანდემიის პერიოდში ყოველთვიურად გამოეყოთ უფასო სასაუბრო დრო საერთაშორისო ზარების განსახორციელებლად;
- ყველა უცხოენოვანი პატიმარი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნას თარჯიმნის მომსახურებით, მათ შორის, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოთ ინფორმაცია დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ;
- გაუქმდეს საერთაშორისო ზარისთვის გამოყოფილი დღეები და საერთაშორისო ზარის განხორციელება შესაძლებელი გახდეს ყოველდღე, კანონმდებლობით დადგენილი სიხშირით და ხანგრძლივობით;
- 2022 წელს უზრუნველყოს ვიდეოპაემნის მოქმედ წესში ცვლილებების შეტანა, იმგვარად, რომ პატიმრის ოჯახის წევრს აღარ უწევდეს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რომელიმე ტერიტორიულ ერთეულში გამოცხადება და დაიწყოს მუშაობა ისეთი უსაფრთხო აპლიკაციის შექმნაზე, რომლითაც გამარტივდება ვიდეოპაემნების განხორციელება;
- 2022 წელს, №2, №3, №6, №10, №12 და №18 პენიტენციური დაწესებულებები პრიორიტეტულად აღიჭურვოს ვიდეოპაემნისათვის აუცილებელი ინფრასტუქტურით;
- 2022 წელს, პანდემიასთან დაკავშირებული განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში, მიიღოს დამატებითი ზომები პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის საკომპენსაციოდ;
- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა შეისწავლოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სატელეფონო ზარის უფლების სრულყოფილად გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები და სახალხო დამცველს მიაწოდოს ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ;
- უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პერიოდში უზრუნველყოს პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნება და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები დაწესებულებების დებულებებში;
- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიიღოს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად მცირე ვადაში მზადდებოდეს ბრალდებულის სატელეფონო ბარათი;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების გზით გამოავლინოს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტები, აწარმოოს გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა და უზრუნველყოს დარღვევაზე პასუხისმგებელ პირთა სათანადო დასჯა;

- ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყოს ისეთი სატელეფონო კაბინები (ხმის იზოლაციით), სადაც შესაძლებელი იქნება სატელეფონო საუბარი კონფიდენციალურ გარემოში. ამ მიზნით, შემუშავდეს ინფრასტრუქტურული სამუშაოების დროში გაწერილი გეგმა, სადაც დეტალურად აღიწერება, თუ რომელ დაწესებულებაში რა კონკრეტული სამუშაო გატარდება 2022 წლის განმავლობაში;
- მიიღოს ყველა ზომა, რათა სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღება/ჩაბარების დროს ორ ეგზემპლარად შედგეს დოკუმენტი, რომელიც დადასტურებული იქნება ბეჭდით და რომელშიც პატიმრის თანდასწრებით შევა შემდეგი ინფორმაცია: ა) წერილის ავტორის სახელი და გვარი; ბ) წერილის მიმღები სოციალური მუშაკის სახელი და გვარი; გ) წერილის ჩაბარების თარიღი; დ) წერილის ადრესატი; ე) ფურცლების რაოდენობა. ორივე ფურცელზე ხელი უნდა მოაწერონ პატიმარმა და სოციალურმა მუშაკმა, შევსებული ერთი ფურცელი გადაეცეს პატიმარს, ხოლო მეორე დარჩეს სოციალურ მუშაკს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს პაციენტების მხრიდან ტელეფონებითა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით თავისუფლად სარგებლობის უფლების რეალიზება;
- ფსიქიატრიული ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის უფლების რეალიზება, ხანმოკლე დროით დატოვოს სტაციონარი, თუ არ არსებობს ექიმის გადაწყვეტილება ამ უფლების უკიდურესი აუცილებლობის გამო შეზღუდვის თაობაზე;
- ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, უზრუნველყოს პაციენტის და მნახველის შეხვედრა ეპიდემიური ნორმების დაცვით.

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, აცნობოს საზოგადოებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმეებზე დაწყებული გამოძიებების მიმდინარეობის შესახებ.

6. თანასწორობის უფლება

6.1. შესავალი

2021 წელს თანასწორობის უფლების დაცვის მხრივ მდგომარეობა კვლავ კრიტიკული იყო. სამწუხაროდ, ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ლგბტ+ თემის წარმომადგენლების თუ არადომინანტური რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობა არსებითად არც ამ წელს გაუმჯობესებულა.[316]

გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს თანასწორობის პოლიტიკის შექმნის თუ თანასწორობის მხარდამჭერი განცხადებების გავრცელების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია შესაბამის უწყებებს არც ამ საანგარიშო პერიოდში გაუზიარებიათ, გადაწყვეტილებების მიმღები პირები, დისკრიმინაციის წამახალისებელი კიდევ უფრო მწვავე გამონათქვამებით გამოირჩეოდნენ.

განსაკუთრებით საგანგაშო იყო „თბილისი პრაიდის" კვირეულის ფარგლებში განვითარებული მოვლენები, რომლის განმავლობაშიც, ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები და სხვა წევრები საზოგადოებას ლგბტ+ თემის წარმომადგენლებისა და მათი მხარდაჭერების მიმართ ძალადობისკენ პირდაპირ და საჯაროდ მოუწოდებდნენ. 5 ივლისს, ღირსების მარშის დღეს, ამ ძალადობრივი ჯგუფების მიერ ჟურნალისტებსა და უფლებადამცველებზე ფართომასშტაბიანი თავდასხმა სამართალდამცავებმა ვერ აღკვეთეს, რის შედეგადაც არაერთი ადამიანი ფიზიკურად მძიმედ დაშავდა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კონფლიქტური ვითარება შეიქმნა რეგიონებში, სავარაუდოდ, რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე. ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარში ადგილი ჰქონდა, სავარაუდოდ, რელიგიის საფუძველზე დაპირისპირებას ადგილობრივ ქრისტიან და მუსლიმ თემებს შორის. ხოლო სავარაუდო ეთნიკურ ნიადაგზე განვითარდა კონფლიქტი დმანისში მცხოვრებ ქართულენოვან და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას შორის. სამართალდამცავი უწყების რეაგირება ამ ინციდენტებზე არ იყო ეფექტიანი - კონფლიქტში მონაწილე პირები ფიზიკურად უსწორდებოდნენ ერთმანეთს პოლიციის თანდასწრებით, რომელიც დროულ რეაგირებას და სიტუაციის განმუხტვას ვერ ახერხებდა.

ამასთანავე, უკიდურესად პრობლემური იყო წინასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივ თვითმმართველობებში, საჯარო სკოლებსა და ბაღებში დასაქმებული პირების შრომითი უფლებების შეზღუდვის ათეულობით შემთხვევა, სავარაუდო პოლიტიკური შეხედულების გამო. ეს უფლებადარღვევები, უმეტესად, დისკრიმინაციული მოტივით ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარში, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტაში, საკუთარი სურვილით სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების წარდგენის მოთხოვნასა და სამსახურიდან გათავისუფლებაში გამოიხატებოდა.

ჯამში, 2021 წელს, სახალხო დამცველმა სავარაუდო დისკრიმინაციის 161 ფაქტი შეისწავლა, რომელთაგან ყველაზე მეტი - 17% პოლიტიკური შეხედულების ნიშნით სავარაუდო

[316] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tGtWoO > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

დისკრიმინაციის შემთხვევებს შეეხებოდა. სქესის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის, მათ შორის, სექსუალური შევიწროების ფაქტები წელსაც აქტუალური იყო და განცხადებების 16%-ს შეადგენდა. განსხვავებული მოსაზრება და შეზღუდული შესაძლებლობა საქმეების 11-11%-ში გვხვდებოდა. სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის ნიშნით განმცხადებელთა 7% დავობდა.[317]

6.2. ახალ კორონავისურთან დაკავშირებული რეგულაციების შესაბამისობა თანასწორობის პრინციპთან

ახალი კორონავირუსის პანდემიამ, თანასწორობის უფლების დაცვის მხრივ, 2020 წელს წარმოჩენილი პრობლემების პარალელურად, 2021 წელს დამატებითი გამოწვევები გამოავლინა. მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც გამოჩნდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის პოლიტიკა არ იყო სრულად თავსებადი თანასწორობის უფლებასთან. უფრო კონკრეტულად, საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირების ნაწილს ქვეყანაში შემოსვლა ეზღუდებოდა, რაც საქართველოს ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა.

საანგარიშო წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინაციის ადამიანის უფლებებზე გავლენის საკითხი. საზოგადოების ნაწილში გაჩნდა კითხვები, დისკრიმინაციული იყო თუ არა ვაქცინაციის საბუთის წარმოდგენის ვალდებულება შრომით ურთიერთობებში, მომსახურების, ჯანდაცვის, განათლების თუ სხვა სფეროებით სარგებლობისას. საპასუხოდ საქართველოს სახალხო დამცველმა განმარტა, რომ ვაქცინირებული და არავაქცინირებული პირებისათვის შემზღუდავი თუ წამახალისებელი ღონისძიებების დაწესება, შესაბამისი დასაბუთების არსებობის შემთხვევაში, დისკრიმინაციას არ წარმოადგენდა.[318]

6.3. ქალთა თანასწორუფლებიანობა

ქალთა თანასწორუფლებიანობის მდგომარეობის მხრივ, სექსუალური შევიწროების ფაქტები, განსაკუთრებით, სამუშაო ადგილზე მომხდარი შემთხვევები, წელსაც გამოწვევა იყო. როგორც სახალხო დამცველის პრაქტიკა ცხადყოფს, სექსუალური შევიწროების ამკრძალავი კანონმდებლობის და შესაბამისი მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობა გაზრდილია, რაც სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ქალების მხრიდან მომართვიანობაზე აისახება.

ამას გარდა, წელს სახალხო დამცველს პირველად მომართეს პროფესიონალმა ფეხბურთელმა ქალებმა, რამაც შესაძლებელი გახადა მათი უფლებრივი მდგომარეობის თანასწორობის პრინციპთან შესაბამისობაზე მსჯელობა.

საქმის შესწავლის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა დისკრიმინაციად მიიჩნია, რომ ფეხბურთის ფედერაციის რეგულაციებში არ არის გათვალისწინებული ქალების სპეციალური საჭიროებები რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით. კერძოდ, ლიცენზირებას დაქვემდებარებული გუნდების ექიმებისთვის დაგეგმილ

[317] იქვე.
[318] იქვე.

სავალდებულო ტრენინგებში არ არის ინტერგირებული ქალი ფეხბურთელების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები; არ არის შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტი/სტანდარტები ქალი ფეხბურთელების ორსულობისა და შემდგომი პერიოდისთვის ფიზიკური დატვირთვის თაობაზე; არასათანადოდაა უზრუნველყოფილი ქალი ფეხბურთელების, როგორც დასაქმებულების, დედობის დაცვის უფლებაც.

ამასთანავე, 2020 წელს შრომის კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანასწორობის უფლებაზე გავლენის შესასწავლად, ამ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა კაცების მიერ ე.წ. დეკრეტული შვებულებით სარგებლობის საკითხი გააანალიზა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, სახელმწიფო გასაცემლების ერთიანი სააღრიცხვო ბაზის თანახმად, 2021 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურებადი ნაწილით სულ 381 დასაქმებულმა ისარგებლა, მათ შორის 333 ქალმა და 48 მამაკაცმა. ამ 48 მამაკაციდან ბავშვის მოვლის გამო შვებულებით 46 შემთხვევაში ისარგებლეს 57 დღის ოდენობით (ერთ შემთხვევაში 30 დღით და ერთ შემთხვევაში 19 დღით) და მათთვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა (გარდა 7 შემთხვევისა) შეადგენდა 1000 ლარს, სულ, ჯამში 48 კაცზე 45310 ლარი გაიცა.[319]

რაც შეეხება დედის ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების გამოუყენებელი დღეებით მამის მიერ სარგებლობის ფაქტებს: 3 შემთხვევაში ისარგებლა (ორ შემთხვევაში 126 დღის და ერთ შემთხვევაში - 115 დღის ოდენობით) მამამ და მათთვის თითოეულზე ასანაზღაურებელი თანხის ოდენობამ 1000 ლარი შეადგინა.[320] გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია მიიღო რამდენიმე კერძო კომპანიისგან, რომელთა პასუხების მიხედვით, მიმდინარე წელს არცერთ კაცს არ უსარგებლია ბავშვის მოვლის გამო შვებულებით. ერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ შრომის კოდექსის ცვლილებების გათვალისწინებით, მათ წესდებაში ცალკე ჩამოყალიბდა მამის მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის უფლება.[321]

6.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორუფლებიანობა

სახალხო დამცველი არაერთი წელია აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელი, რომელიც პრაქტიკაში დაბრკოლებას უქმნის შეზღუდული შესაძლებლობის სხვადასხვა სტატუსის მქონე პირებს, მათი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი სარგებელი მიიღონ. ეს პრობლემა

[319] სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 22 ნოემბრის №04/11476 წერილი.

[320] სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 22 ნოემბრის №04/11476 წერილი.

[321] დეტალურად იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tGtWoO > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების სფეროში იჩენს თავს.

კვლავ გამოწვევაა ფიზიკური თუ სხვა სახის მისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, დამოუკიდებლად ცხოვრებაში, მნიშვნელოვან ბარიერს უქმნის. 2021 წელს ეს საკითხი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორსული ქალების უფლებების კონტექსტში გამოვლინდა. როგორც სახალხო დამცველის პრაქტიკამ ცხადყო, მათ დაბრკოლებები ექმნებათ ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მომსახურებების მიღებისას. კერძოდ, გამოიკვეთა როგორც ფიზიკური ადაპტირების პრობლემები ანტენატალური სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში, ისე - ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის კუთხით არსებული გამოწვევები.

კვლავ გამოწვევად რჩება საგანმანათლებლო გარემოს შეზღუდული შესაძლებობის მქონე ბავშვის საჭიროებებზე ადაპტირების საკითხი, რაც, წელს, პრობლემად არაფორმალური განათლების მიღების პროცესში გამოვლინდა.[322]

6.5. არადომინანტური რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების უფლებები

მუსლიმ პირთა თანასწორუფლებიანობის კუთხით, გამოიკვეთა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ, თავისუფლების აღკვეთის პირობებში, რელიგიის თავისუფლების სათანადო რეალიზების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. პრობლემები შეეხებოდა რელიგიურ დღესასწაულებზე შესაბამისი საკვების დაშვებისა და სალოცავი სივრცით სარგებობის საკითხებს.

რაც შეეხება პრობლემებს, რომლებიც ექმნებათ არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებს, აღსანიშნავია საჯარო სერვისებზე წვდომის პროცესში არსებული გამოწვევები და თანმხლები პრობლემები, რომელთა შორისაა: ენობრივი ბარიერი, მომსახურების გამწევ დაწესებულებებში ენის მცოდნე პირების არასაკმარისი რაოდენობა, ინფორმაციის ნაკლებობა, არასახელმწიფო ენებზე წარდგენილი განცხადებების განხილვისა და რესურსების თარგმნის კუთხით არსებული რეალობა, ფინანსური ბარიერი; ასევე საგულისხმოა ე.წ. 1+4 პროგრამის ბენეფიციარების წინაშე არსებული პრობლემები. ამასთანავე, აღსანიშნავია მესხების თემის წინაშე არსებული გამოწვევები, რომელთა საფუძველზეც, შესაბამისი სტაბილური სამართლებრივი გარანტიების აუცილებლობა იკვეთება.[323]

6.6. ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობა

ლგბტ+ თემის უფლებების დაცვის მხრივ, დრამატული იყო 5 ივლისს ღირსების მარშის მოწინააღმდეგე ძალადობრივი ჯგუფების ქმედებები, რომლის საპასუხოდ სამართლადამცავთა უმოქმედობა ვერ უძლებს კრიტიკას.

---

[322] იქვე.

[323] დეტალურად იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tGtWoO > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

თემის წევრებისათვის სოციალური, ეკონომიკური და ჯანმრთელობის დაცვის უფლებების სრულყოფილი რეალიზება წელსაც პრობლემური იყო. გამოწვევები უკავშირდებოდა შრომით უფლებებს, საბინაო სფეროში არსებულ თუ ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის ბარიერებს, განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებს, ეკონომიკურ რესურსებზე წვდომას და სხვ.

საყურადღებოა, ასევე, სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის საკითხი, მათ შორის ის, რომ გარკვეული მედიკამენტები თუ ჰორმონალური მკურნალობა არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, არც სხვა სპეციალური პროგრამა არსებობს, რომელიც მორგებული იქნებოდა ტრანსგენდერი ადამიანების სპეციფიკურ საჭიროებზე. გამოწვევებია განათლების მიღების უფლების თვალსაზრისითაც, როგორც პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, ისე უმაღლესი განათლების მიღების კუთხით.

2021 წლის 1 ივლისს თბილისში „პრაიდ კვირეული" კულტურული ღონისძიებებით გაიხსნა, კერძოდ, მოეწყო დოკუმენტური ფილმის ჩვენება და ქვიარ მუსიკალური ფესტივალი. ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან „პრაიდის კვირეულის" კულტურული ღონისძიებების ჩაშლის მცდელობის მიუხედავად, ამ დღეებში, სამართალდამცავებმა მოახერხეს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ლგბტ+ თემს მიეცა შესაძლებლობა, ესარგებლა შეკრების თავისუფლებით. კვირეული 5 ივლისს „ღირსების მარშით" უნდა დასრულებულიყო, თუმცა, ხელისუფლების მხრიდან უსაფრთხოების გარანტიების არარსებობისა და 5 ივლისს გამოვლენილ ძალადობრივ ქმედებებზე არასათანადო რეაგირების გამო, „ღირსების მარში" არ ჩატარდა.

2021 წლის 5 ივლისს, ძალადობრივი ჯგუფები „ღირსების მარშის" ჩასაშლელად რუსთაველის გამზირზე დილიდან შეიკრიბნენ. მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალადობრივ ქმედებებს, რაც, დღის განმავლობაში, საგამოძიებო უწყებების უმოქმედობამ მნიშვნელოვნად წაახალისა. 2021 წლის 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის" მოწინააღმდეგეების თავდასხმების შედეგად დაშავდნენ სხვადასხვა მედიასაშუალების თანამშრომლები, უფლებადამცველები და სხვა მოქალაქეები.

5 ივლისის მოვლენებს წინ უსწრებდა ძალადობრივი ჯგუფების ლიდერების და სხვა წევრების მხრიდან ძალადობისკენ და ამ მიზნით საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მობილიზებისკენ საჯარო მოწოდებები. ძალადობისკენ არაერთი მოწოდება გაისმა უშუალოდ 5 ივლისსაც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურას წარუდგინა დასაბუთებული პოზიცია,[324] რომ საჯაროდ გავრცელებული მტკიცებულებები, სულ მცირე, ორი პირის მიმართ, შესაბამისი ბრალის წარდგენის სტანდარტს აღწევდა, ძალადობრივი ქმედებებისკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტებზე გამოძიება არ დაწყებულა.

[324] სახალხო დამცველის 2021 წლის 3 სექტემბრის წინადადებები საქართველოს პროკურატურას, ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/d6pywf > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

6.7. უთანასწორობა სოციალური დაცვის სისტემაში

სოციალური დაცვის სისტემაში უთანასწორობა არაერთი მიმართულებით იჩენს თავს. ამ საანგარიშო პერიოდში პრობლემურად გამოიკვეთა ე.წ. სოციალური სესხით სარგებლობისას საპროცენტო განაკვეთის ოდენობა, რომლის შემცირების მოთხოვნით, სახალხო დამცველმა შესაბამის უწყებებს[325] მიმართა. როგორც საქმის შესწავლისას გამოვლინდა, საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისას არ ხდება სოციალური სესხების მომხმარებელთა განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება, რაც პირებს გაუმართლებლად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.

ამასთანავე, თანასწორობის პრინციპთან შეუსაბამოდ შეფასდა პრაქტიკა, რომლის თანახმად, აკრძალულია ერთზე მეტი სოციალური სარგებლის მიღება სახელმწიფოსგან (გარდა მცირე გამონაკლისი შემთხვევებისა), მათი დანიშნულების მიუხედავად.[326]

6.8. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებსა და საქმიანობის შესრულებისას

2021 წელს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები ჩატარდა, რამაც წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური შეხედულების გამო ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლების და შრომითი უფლებების სხვა სავარაუდო დარღვევების საგანგაშო ტენდენცია კიდევ ერთხელ გამოკვეთა. უთანასწორო მოპყრობის მიზეზად განმცხადებლები, ძირითადად, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას პარტიის წევრებთან მათი ან მათი ოჯახის წევრის ნათესაურ, მეგობრულ თუ კეთილგანწყობილ ურთიერთობებს ასახელებდნენ. მათ შორის, ნაწილი სოციალურ ქსელებში პარტიის ლიდერის მხარდამჭერი ან სიმპათიის გამომხატველი პოსტების თუ კომენტარების განთავსება/გაზიარებას/მოწონებას უკავშირებდა. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველმა პოლიტიკური ნიშნით შრომითი უფლებების სავარაუდო დარღვევის ათეულობით საქმეზე დაიწყო მოკვლევა.

ასევე აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა პირველად დაადგინა დისკრიმინაცია პლატფორმის მეშვეობით მომუშავე პირების (Platform Workers), კერძოდ „ბოლტის" კურიერების მიმართ, რომლებსაც კომპანიამ, საპროტესტო აქციის გამართვისა და პროფკავშირის შექმნის გამო, უვადოდ შეუზღუდა „ბოლტის" აპლიკაციაზე წვდომა და მათთან შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა. პრობლემური იყო ასევე სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტი, როდესაც დასაქმებული მაღაროელი შრომის უსაფრთხოების შესახებ წესების არასათანადო დაცვას აპროტესტებდა, განსაკუთრებით, შრომის

[325] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 27 დეკემბრის ზოგადი წინადადება საბანკო მომსახურების პირობების განსაზღვრის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს: ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3HxjGV8 > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[326] დეტალურად იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tGtWoO > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

ინსპექციის დასკვნის ფონზე, რომელიც განმცხადებლის მიერ დასახელებული პრობლემების არსებობას ადასტურებდა.

წელს სახალხო დამცველმა ყურადღება ასევე გაამახვილა კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენლების უფლებრივ მდგომარეობაზე, რომელთაც საქმიანობაში ხელი ეშლებოდათ.[327]

6.9. დისკრიმინაციის წახალისება

დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების მხრივ, სამწუხაროდ, არც ეს საანგარიშო პერიოდი იყო გამონაკლისი. სახალხო დამცველმა სახელმწიფო უწყებებს არაერთხელ მოუწოდა, თანასწორობის უფლების დაცვისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით, ერთიანი ხედვისა და პოლიტიკის შექმნის აუცილებლობისკენ, ასევე, თანასწორობის მხარდამჭერი საჯარო განცხადებების გავრცელებისკენ. თუმცა, პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან სხვადასხვა დაუცველი ჯგუფის მიმართ წლიდან წლამდე გამოთქმული დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების სიმრავლე მოწმობს, რომ სახელმწიფოს ამ დრომდე არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები სტერეოტიპული განწყობების შესამცირებლად და სხვადასხვა ჯგუფების თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად. დისკრიმინაციის წამახალისებელი გარემო უფრო მეტად შესამჩნევია ქალების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისა და ლგბტ+ თემის მიმართ.[328]

6.10. გამოწვევები სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისას

სახალხო დამცველის პრაქტიკის თანახმად, გასული წლის საანგარიშო პერიოდის მსგავსად, კვლავ გამოწვევად რჩება სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება. სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ მომართვიანობა, როგორც წესი, სტაბილურად მაღალია იეჰოვას მოწმეებისა და ლგბტ+ ადამიანების მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ ლგბტ+ ადამიანების მიმართ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ნაწილი, როგორც წესი, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, ცემის, თავდასხმისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტებს შეეხება. განმცხადებლები ასევე მიუთითებენ, რომ, რიგ შემთხვევებში, შემთხვევის ადგილზე გამოძახებული სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები, კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვის ნაცვლად, თავად იყენებდნენ შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას და მათ მიმართ გამოხატავდნენ აგრესიას, ჰომოფობიურ ნიადაგზე. სახალხო დამცველის

[327] დეტალურად იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tGtWoO > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[328] დეტალურად იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tGtWoO > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

წარმოებაში არსებული საქმეებიდან ასევე იკვეთება ტრანსფობიურ ნიადაგზე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტები.[329]

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- საკანონმდებლო ინიციატივის გზით შეიმუშაოს ორსულობისა და მშობიარობის გამო, ასევე ბავშვის მოვლის გამო შვებულებების ანაზღაურების ერთიანი სტანდარტი იმგვარად, რომ არ გააუარესოს რომელიმე სამიზნე ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელი სრულად ჩანაცვლდეს სოციალური მოდელით. ამ ცვლილებამდე კი, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაგეგმვისას გაითვალისწინოს სამედიცინო მოდელის მოქმედებით განპირობებული უთანასწორობა და მხედველობაში მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური საჭიროებები;
- შეცვალოს სოციალური პაკეტების გაცემის ზოგადი წესი, რომლის თანახმად, მცირე გამონაკლისების გარდა, იკრძალება სახელმწიფოსგან ერთზე მეტი სოციალური სარგებლის მიღება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უზრუნველყოს 5-6 ივლისს მომხდარი ყველა სავარაუდო დანაშაულის მყისიერი და ეფექტიანი გამოძიება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- 2022 წლის განმავლობაში, სისტემურად გააანალიზოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორსული ქალების საჭიროებები რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე წვდომობის კუთხით, და გამოვლენილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა.

[329] დეტალურად იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tGtWoO > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

7. გენდერული თანასწორობა

7.1. შესავალი

გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალთა უფლებების დაცვა კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად, განსაკუთრებით, პანდემიის პირობებში. კოვიდ პანდემიამ არაპროპორციული გავლენა იქონია ქალთა დასაქმების, განათლების შეუფერხებლად მიღებისა და ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობებზე. გარდა ამისა, შეაფერხა ოჯახში და ქალის მიმართ ძალადობის გამოვლენა და ეფექტიანი რეაგირება, რამაც უფრო გაამწვავა ფემიციდის რისკები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებული გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმი წლების განმავლობაში გაძლიერდა და უწყებების დონეზე არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, 2021 წელს ეროვნული სამოქმედო გეგმები არ შემუშავებულა და არც ის მიზნები და ამოცანები დასახულა, რაც საქართველოში მცხოვრები ქალების მდგომარეობაზე მოახდენდა დადებით გავლენას.

ქალის მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით გამოწვევად რჩება საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ძალადობრივი ქცევის შეცვლაზე მუშაობა. ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ნიშნობის მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა ისევ კავშირშია სახელწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობის დეფიციტთან. ასევე, ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა კვლავ კრიტიკულია და ვერ ქმნის თანასწორი უფლებებით სარგებლობის გარანტიებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

7.2. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და გენდერული მეინსტრიმინგი

გენდერული უთანასწორობა ქართულ პოლიტიკაში კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად. პოლიტიკური გარემო თანაბრად წინააღმდეგობრივია როგორც პოლიტიკაში ჩართული, ისე პოლიტიკაში მოსვლის სურვილის მქონე ქალებისთვის. ქალებს მრავალი ხილული თუ უხილავი ბარიერი ექმნებათ გენდერული სტერეოტიპების, რესურსებზე თანაბარი მისაწვდომობის, სექსუალური შევიწროების, სექსიზმის, მუქარის და დაშინების სახით.

2021 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის[330] მიხედვით, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებლით, 156 ქვეყნიდან საქართველო 94-ე ადგილიდან მე-60 ადგილზე დაწინაურდა, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია გენდერული კვოტირების მექანიზმის დანერგვით. პარლამენტთაშორისი კავშირის მონაცემების[331] მიხედვით, 186 ქვეყანას შორის, საქართველო 121-ე ადგილზეა.[332] აღსანიშნავია, რომ სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმის საბოლოო რედაქციაში, რომელიც ადგილობრივ

[330] მონაცემი ასახავს ქვეყანაში ქალთა მონაწილეობას მინისტრთა კაბინეტებში, პარლამენტსა და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე; მისაწვდომია: < https://cutt.ly/zIRs2E4 > [ბოლოს ნანახია 19.01.2022].
[331] მონაცემი ასახავს პარლამენტში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელს. 2020 წლის მონაცემებით, საქართველო იმყოფებოდა 188 ქვეყანას შორის 109-ე ადგილზე, 31 ქალით პარლამენტში. მისაწვდომია: < https://cutt.ly/zIRf21L > [ბოლოს ნანახია 14.03.2022].
[332] მონაცემები ასახულია 2021 წლის ნოემბრის მდგომარეობით.

თვითმმართველობებში კანდიდატის არჩევას ეხება,[333] მოულოდნელად შევიდა ცვლილება[334] და ყოველი მეორეს ნაცვლად, განსხვავებული სქესის ყოველი მესამე კანდიდატი ჩაიწერა. სახალხო დამცველი უკან გადადგმულ ნაბიჯად აფასებს ასეთ ცვლილებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ამ საკითხზე დისკუსია და მსჯელობა არ გამართულა საკითხით დაინტერესებულ პირებთან და ფართო საზოგადოებასთან.

ქვეყანაში არსებული გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების[335] როლი დიდწილად ადმინისტრაციულ მხარდაჭერასა და საკონსულტაციო ფუნქციებში ვლინდება და შესაბამისად, გავლენას ვერ ახდენს პოლიტიკის განსაზღვრასა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. გამოწვევად რჩება გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ სახელმწიფო ხედვის არარსებობა, მათ შორის, მზაობის და კოორდინაციის ნაკლებობა. რაც შეეხება უწყებებს, წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად,[336] გენდერული მეინსტრიმინგის ინსტრუმენტები ქაოტური და არასისტემურია.[337]

კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის მექანიზმების ეფექტიანი მუშაობა.[338] გარდა ამისა, მწირია მერიის წარმომადგენლების ცოდნა, მგრძნობელობა და კომპეტენცია ქვეყანაში არსებულ დაცვისა და დახმარების მექანიზმებზე, რაც დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივი და სოფლად მცხოვრები ქალების უფლებრივ მდგომარეობაზე. ასევე, გამოვლინდა თანამშრომლობისა და კომუნიკაციის ნაკლებობა სოციალურ მუშაკებს, პოლიციას, თვითმმართველ ორგანოებსა და სხვადასხვა თემატურ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის.[339]

7.3. ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა და შრომითი უფლებები

2021 წლის „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის" მიხედვით,[340] ქალთა ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების მაჩვენებლით, 156 ქვეყანას შორის საქართველომ 61-ე ადგილიდან 64-ზე გადაინაცვლა. მცირედით გაუმჯობესებულია

[333] თავდაპირველ რედაქციაში ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერული კვოტირების მექანიზმი ითვალისწინებდა სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის კანდიდატის არსებობას.
[334] საქართველოს ორგანულ კანონში, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი", შევიდა ცვლილება, 2021 წლის 28 ივნისის ორგანული კანონი №703; მისაწვდომია: < https://cutt.ly/ZO73Edd > [ბოლოს ნანახია 11.02.2022].
[335] მისაწვდომია: < https://cutt.ly/PO75wUO > [ბოლოს ნანახია 11.02.2022].
[336] საქართველოში სამთავრობო დონეზე არსებობს გენდერული თანასწორობის უზრუნველმყოფი მუდმივმოქმედი ეროვნული მექანიზმი, რომელიც პასუხისმგებელია გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაზე. ასევე, მისასალმებელია საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს გააქტიურება თემატური მოკვლევებისა და კოორდინაციის მექანიზმის გაძლიერების მხრივ.
[337] გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ სახელმწიფო ხედვა არ არის დაფუძნებული ერთიან მიდგომაზე, რაც იმის მანიშნებელიცაა, რომ გენდერული თანასწორობის საკითხები კვლავ არ მიეკუთვნება უწყებათა პრიორიტეტულ სფეროს.
[338] ამ დრომდე პრობლემურია გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე გენდერული თანასწორობის საბჭოების და საფინანსო სამსახურების ცოდნა და კომპეტენცია.
[339] სახალხო დამცველის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში გამართული თემატური შეხვედრები მოსახლეობასთან.
[340] მისაწვდომია: < https://cutt.ly/8lRgGbP > [ბოლოს ნანახია 19.01.2022].

სქესთა შორის შემოსავლის საშუალო მაჩვენებელი,[341] რომლის მიხედვითაც, საქართველო 115-ე ადგილს იკავებს.[342] იმავე წყაროს მონაცემებით, თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურების მაჩვენებლით, საქართველომ პროგრესი განიცადა და 73-ე ადგილიდან 30-ე ადგილზე დაწინაურდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობასა და ეროვნულ სამოქმედო გეგმებში ინტეგრირებულია თანასწორი ანაზღაურების საკითხი, თუმცა აღნიშნული ვალდებულება მხოლოდ საჯარო სამსახურს ფარავს და ვერ უზრუნველყოფს კერძო სფეროში დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვას.[343]

2021 წელს საქართველოს ორგანულ კანონში, „შრომის კოდექსი", მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა,[344] რომელიც გენდერული თანასწორობის მიღწევაში წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ გამოწვევას წარმოადგენს როგორც მამის მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღება საჯარო სექტორში, ისე კერძო სექტორში დასაქმებული ქალების მიერ ამ უფლებით სარგებლობა.[345]

უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიამ მნიშვნელოვნად გააუარესა ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული ქალების უფლებრივი მდგომარეობა. ქვეყანაში ექთნების დეფიციტია და მაშინ, როდესაც ევროპაში ერთ ექიმზე საშუალოდ 2-დან 5-მდე ექთანი მოდის, საქართველოში ეს ციფრი 0,6-ს უტოლდება. შესაბამისად, ზრუნვის ტვირთის არათანაბარი გენდერული გადანაწილების და გაზრდილი სამუშაო გრაფიკის პირობებში, ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული ქალების დატვირთვა გაორმაგდა, როგორც სახლში, ისე დასაქმების ადგილას.[346]

ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თავისუფალი გადაადგილება და მისი გენდერული ასპექტები.[347] საქართველოს ყველა რეგიონში, დედაქალაქის ჩათვლით, გამოწვევაა მუნიციპალური ტრანსპორტის გამართული მუშაობა და რიგ შემთხვევებში, მისი არარსებობაც კი. აღნიშნული პრობლემა ორმაგად ართულებს წვდომას განათლებაზე,[348] დასაქმებასა და სხვა ბაზისურ სერვისებზე, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ქალებისთვის. იგი აბრკოლებს ქალებისთვის შესაბამისი უნარებისა

---

[341] იმავე წყაროს ინფორმაციით, კაცის სავარაუდო წლიური შემოსავალი ორჯერ აღემატება ქალისას და შეადგენს 19.2 (ათასი) აშშ დოლარს, მაშინ როდესაც ქალები საშუალოდ 9.7 (ათასი) აშშ დოლარს გამოიმუშავებენ.

[342] 2020 წლის მონაცემებით, საქართველო სქესთა შორის შემოსავლის საშუალო მაჩვენებლით 118-ე ადგილს იკავებდა.

[343] გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020, 53; მისაწვდომია: < https://cutt.ly/NPu2xf7 > [ბოლოს ნანახია 14.02.2022].

[344] ახალი წესის მიხედვით, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება ორ ნაწილად გაიყო: ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება და ბავშვის მოვლის გამო შვებულება.

[345] საქართველოს ორგანულ კანონში, „საქართველოს შრომის კოდექსი", შევიდა ცვლილებები, რომლებიც კანონში ორსულობის და მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების სამართლებრივი რეგულირების საკითხს ეხება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №01/12197; 07.10.2020.

[346] ხელმისაწვდომია: < https://cutt.ly/SPdFCoY > [ბოლოს ნანახია 16.02.2022].

[347] კვლევა „ქალები და მობილობა - ქალთა ყოველდღიური გადაადგილების გენდერული ასპექტები"; მისაწვდომია: < https://cutt.ly/elVQXuY > [ბოლოს ნანახია 19.01.2022].

[348] კვლევის თანახმად, ქალების მობილობა განათლების მიღების მიზნით, ყველა რეგიონში საგანგაშოდ დაბალია.

და ჩვევების გამომუშავებას და შემდგომში მათ პროფესიულ განვითარებას, რაც პირდაპირ აისახება ქალთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და ზოგადად, ქვეყანაში ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე. გარდა ამისა, ქალების მობილობა უშუალოდ არის დამოკიდებული მათი შემოსავლის ოდენობაზე.[349]

მისასალმებელია, რომ 2021 წელს საგრანტო პროგრამის, „აწარმოე საქართველოში",[350] ფარგლებში დაფინანსებული 689 პროექტიდან[351] 341 (48,7%) ქალი ბენეფიციარია, რაც წინა წლებთან შედარებით, ზრდის ტენდენციით ხასიათდება.[352] რაც შეეხება ქალთა თანაბარ მონაწილეობას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროებში, აღნიშნულის მიღწევა კვლავ გამოწვევად რჩება.[353] ამას ადასტურებს გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მონაცემიც,[354] რომლის მიხედვითაც, STEM პროგრამებში გოგოების მონაწილეობის მაჩვენებელი ორჯერ დაბალია (გოგოები - 15.58%, ბიჭები - 29.47%).

2021 წელს, საქართველოში მარტოხელა მშობლის სტატუსი[355] მიენიჭა 696 პირს, საიდანაც ყველა მარტოხელა დედა იყო. რაც შეეხება მრავალშვილიან მშობლებს, სტატუსი დაუდგინდა 1286 დედას და 714 მამას. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს მშვილებელი მამის მხოლოდ ერთი შემთხვევა გვხვდება.

7.4. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების დღის წესრიგს საქართველოს მთავრობა 2011 წლიდან შეუერთდა. სამწუხაროდ, ქვეყანაში მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხი დღესაც აქტუალურია და გრძელდება ე.წ. „ბორდერიზაციის" სახით, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას, განსაკუთრებით, ქალებსა და გოგოებს. აღნიშნულს ემატება კოვიდ პანდემიის თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეგულაციები, რამაც კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების მდგომარეობა საგრძნობლად დაამძიმა.[356]

სამწუხაროდ, 2021 წელს დროულად არ შემუშავებულა და დამტკიცებულა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების მომდევნო (მეოთხე) ეროვნული სამოქმედო გეგმა, რაც კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების უფლებრივ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმების მონიტორინგი ცხადყოფს, რომ გეგმით ნაკისრი

---

[349] მცირე შემოსავლის მქონე ქალების 38.4% იშვიათად ან საერთოდ არ გადის სახლიდან. ასევე, ქალების მობილობას აქვს მნიშვნელოვანი ასაკობრივი განზომილება და 61 წელზე მეტი ასაკის ქალების ნახევარი იშვიათად ან საერთოდ არ გადის შინიდან.

[350] საჯარო სამართლის იურიდიული პირის, „აწარმოე საქართველოში", წერილი №EG-3.1/92; 27.01.2022.

[351] პროგრამის საკონსულტაციო კომპონენტის ფარგლებში, ტრენინგი სამეწარმეო საკითხებში და ბიზნეს გეგმის შედგენაში ჩაუტარდა 4124 აპლიკანტს, საიდანაც 2074 ქალი მეწარმეა.

[352] 2015 წელს დაფინანსებული პროექტებიდან 32% იყო ქალ მეწარმეთა წილი, 2018 წელს ამ მაჩვენებელმა 45%-ს მიაღწია. 2020 წლის ეტაპზე ეს მაჩვენებელი 48.5%-მდე გაიზარდა.

[353] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი №08/561; 04.02.2022; ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს გადამზადების პროგრამებში გოგოების ჩართულობა 35%-ს შეადგენს.

[354] მისაწვდომია: < https://cutt.ly/NPdDfEP > [ბოლოს ნანახია 16.02.2022].

[355] იუსტიციის სამინისტროს წერილი: №N 01/11734; [ბოლოს ნანახია 18.01.2022].

[356] კვლევა „COVID-19 პანდემიის გავლენა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგოებზე"; მისაწვდომია: < https://cutt.ly/nPiPwJG > [ბოლოს ნანახია 11.02.2022].

ვალდებულებების შესრულების ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად, ქალთა წარმომადგენლობა სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესებში კვლავ მინიმალურია, რაც გაეროს რეზოლუციების დღის წესრიგის პრინციპის გადამწყვეტი ასპექტია. ამასთანავე, უწყებების მიერ განხორციელებული ღონისძიებები მნიშვნელოვნად არ ასახულა დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროებებზე.

სამწუხაროდ, საქართველოში ქალები თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე კვლავ არაპროპორციულად არიან წარმოდგენილნი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებული ქალების რაოდენობა 6%-ს შეადგენს, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში[357] ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობა 20%-ია.[358] [359] ასევე გამოწვევად რჩება ქალთა თანაბარი მონაწილეობა მშვიდობისა და შერიგების მიმართულებით მიმდინარე პროცესებში.[360]

მისასალმებელია მოლაპარაკებების პროცესში ჩართული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების მონაწილეობით გამართული შეხვედრები, მათ შორის, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება.[361] მიუხედავად ამისა, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის კოორდინაციის მექანიზმი სუსტია, ამასთანავე, მუნიციპალიტეტები სათანადოდ არ შეისწავლიან და ითვალისწინებენ პოლიტიკის დაგეგმვის პროცესებში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროებებს.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინასების ზრდას, სოციალური პროგრამის ფარგლებში ფინანსურ მხარდაჭერასა და სტუდენტების ტრანსპორტირების თანხით უზრუნველყოფას.[362] აღსანიშნავია, რომ საკვალიფიკაციო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა დევნილის სტატუსის მქონე 1 527 პირი (761

---

[357] ეს მონაცემი 2020 წელს 33%-ს შეადგენდა.

[358] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი MOD 5 22 00078796; [25.01.2022]; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 1 22 00141682; [ბოლოს ნანახია 18.01.2022].

[359] შსს - 2021 წელს დასაქმებული იყო 15867 კაცი და 3456 ქალი. ეს ინფორმაცია არ მოიცავს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მოსამსახურეების მონაცემებს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში დასაქმებულთა 54% ქალია და 46% კაცი.

[360] 2021 წელს გაიმართა მოლაპარაკებების ოთხი რაუნდი, რომელშიც 32 კაცი და 10 ქალი მონაწილეობდა. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში საგარეო საქმეთა სამინისტროს 5 წარმომადგენელს შორის, 2 ქალი იყო.

[361] სახელმწიფო მინისტრის აპარატი ყველა ფორმატის შეხვედრაზე მწვავედ აყენებს ქალთა მიერ გაჟღერებულ საკითხებს და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების 70%-ზე მეტი გათვალისწინებულია. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი №84; 20.01.2022.

[362] გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში 1990 სტუდენტი (1054 ქალი) დაფინანსდა მეორე სემესტრში - 2198 სტუდენტი (1213 ქალი). 2018-2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დაფინანსდა 1608 სტუდენტი (865 ქალი), მეორე სემესტრში - 1626 სტუდენტი (883 ქალი).

ქალი). პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე - დევნილის სტატუსის მქონე 483 პირი (265 ქალი).[363]

7.5. ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება დედათა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში მშობიარობის შემდგომი სამედიცინო ზრუნვისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის კომპონენტის ინტეგრირება. აღნიშნული უარყოფითად აისახება ქალების სომატურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, როგორც ორსულობისა და მშობიარობის, ისე მშობიარობის შემდგომ ეტაპზე. გარდა ამისა, კვლავ გამოწვევად რჩება ოჯახის დაგეგმვის სერვისების სრულყოფილად ინტეგრირება ჯანდაცვის პირველად რგოლში, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ოჯახის დაგეგმვის სერვისებისა და კონტრაცეპტივების შესახებ ინფორმაციაზე წვდომას, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ქალებისთვის.

პრობლემად რჩება ადამიანის სექსუალობასთან დაკავშირებული განათლების კომპონენტის სრულყოფილად ინტეგრირება, რადგან[364] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო[365] ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების ვიწრო გაგებით ხელმძღვანელობს და მხოლოდ რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამედიცინო ასპექტებს შეეხება.[366] ამგვარი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვანი გოგოების ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ადრეულ ასაკში ორსულობის პრევენციას.[367] გარდა ამისა, გამოწვევად რჩება თავად მასწავლებლების ცოდნა და კომპეტენცია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.[368] საჯარო სკოლის მოსწავლეებს ასევე მწირი ინფორმაცია აქვთ ისეთ მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ პროცესზე, როგორიცაა მენსტრუაცია. აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის ნაკლებობა მენსტრუაციასთან დაკავშირებულ სტიგმას კიდევ უფრო აღრმავებს და უარყოფითად აისახება გოგოების ცხოვრების ბევრ ასპექტზე.

დადებითად უნდა შეფასდეს საშვილოსნოს კიბოს პრევენციის მიზნით პაპილომა ვირუსის (HPV) საწინააღმდეგო ვაქცინაციის ასაკობრივი ჯგუფის გაფართოება.[369] აღნიშნული

---

[363] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 4 22 0000038013; [18.01.2022].

[364] მათ შორის, შესაბამისი საგნის მასწავლებლების გადამზადება და სასკოლო კურიკულუმისა და სახელმძღვანელო წიგნების შექმნა.

[365] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი №MES 8 21 0001061859; [08.10.2021].

[366] ქალის რეპროდუქციული სისტემა, კაცის რეპროდუქციული სისტემა, ორსულობა, სასქესო ორგანოების ჰიგიენის სათანადოდ დაცვის მნიშვნელობა, განაყოფიერება და ნაყოფის განვითარება, უშვილობის დაძლევა, ინფორმაცია სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და მათგან დაცვის გზების შესახებ და ა.შ.

[367] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №01/530 [12.01.2022]. 2021 წელს არასრულწლოვანთა ორსულობის 518 შემთხვევა გვხვდება, რაც გასულ წლებთან შედარებით, კლების ტენდენციით ხასიათდება. 2020 წელს აღირიცხა 578 არასრულწოვანი ორსული, ხოლო 2019 წელს - 664.

[368] ხელმისაწვდომია : < https://bit.ly/3F06VRd > [04.01.2022].

[369] თავდაპირველად სამიზნე ჯგუფი 10-12 წლის გოგოებით შემოიფარგლებოდა. თუმცა ასაკობრივი ჯგუფი გაფართოვდა და „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №4 დადგენილების თანახმად, ამჟამად 13-18 წლის გოგოებსაც აერთიანებს. სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წერილი №06/695; 25.02.2022.

პაპილომავირუსით გამოწვეული საშვილოსნოს ყელის კიბოსგან დაცვის ეფექტიანი საშუალებაა. თუმცა ქვეყანაში საშვილოსნოს კიბოს პრევენციის მიზნით მისი პრაქტიკაში გამოყენების მაჩვენებელი დაბალია.[370]

2021 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ჩატარებულმა კვლევამ, ,,საქართველოში არადომინანტი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ქალებისა და გოგოების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა'', ცხადყო, რომ სამშობიარო სახლებში ჯერ კიდევ გავრცელებულია ქალებისთვის არასაჭირო და საზიანო პროცედურების ჩატარების პრაქტიკა,[371] რაც ქალის ღირსების შემლახავად და საზიანო პრაქტიკებად არის აღიარებული. სამწუხაროდ, საქართველოში არ არის შემუშავებული ე.წ. გინეკოლოგიური ძალადობის დეფინიცია, რაც შეუძლებელს ხდის მის გამოვლენას და, შესაბამისად, მის აღმოსაფხვრელად ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმას. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის თანახმად, ორსულობისა და მშობიარობის პერიოდში ხშირად უგულებელყოფილია ქალის ინდივიდუალური საჭიროებები.[372] ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალების ნაცვლად მათი პარტნიორები და ოჯახის სხვა წევრები მონაწილეობენ.[373]

7.6. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიშის თანახმად,[374] საქართველო, წინა წლის მსგავსად, აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს და კვლავ პირველ კალათაშია. მიუხედავად ამისა, ანგარიშში აღნიშნულია, რომ წინა წლისგან განსხვავებით, 2021 წელს გამოძიებისა და ბრალდებულთა დაკავების მაჩვენებელი შემცირდა.

---

[370] 2020 წელს პაპილომა ვირუსის (HPV) საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაუტარდა სამიზნე ჯგუფის 23%-ს. ხოლო 2021 წელს სამიზნე ჯგუფის 24%-ს. სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წერილი №06/750; 02.03.2022.

[371] ფუძეზე ზეწოლა, მშობიარობის წინა პერიოდში ნაწლავის გამწმენდი პროცედურები, ეპიზიოტომია, ბოქვენის გაპარსვა, ზოგჯერ - ფიზიკური ძალის გამოყენება და სხვ.

[372] მათ შორის, პროფესიონალი თარჯიმნების ნაკლებობა სამედიცინო დაწესებულებებში. რაც გამორიცხავს პაციენტის მხრიდან კონფიდენციალური სერვისის მიღების შესაძლებლობას.

[373] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ,,საქართველოში არადომინანტი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ქალებისა და გოგოების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა''

[374] ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ; მისაწვდომია: < https://cutt.ly/aIVUVSb > [ბოლოს ნანახია 19.01.2022].



სახელმწიფოს ასევე არ უმუშავია სამუშაო ნებართვის სისტემაზე, რომელიც მიგრანტებს მისცემდა დასაქმების შესაძლებლობას. დამატებით ძალისხმევას საჭიროებს სამართალდამცავთა გადამზადება და მიდგომები ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოსავლენად. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის დონეზე შექმნილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭო და შემუშავებულია 2021-2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს როგორც საზოგადოების, ისე შესაძლო ტრეფიკინგის მსხვერპლთა ცნობიერების დაბალი დონე ქვეყანაში არსებულ დაცვისა და დახმარების ღონისძიებებზე.[375]

7.7. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით, სახელმწიფომ პოლიტიკის შემუშავებისა და სამართალდამცავი პირების მიერ შემთხვევებზე რეაგირების კუთხით, მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. მიუხედავად ამისა, კვლავ პრობლემურია საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და ოჯახში და ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე მსხვერპლების მეორეული ვიქტიმიზაციისა და განმეორებითი ძალადობისგან ეფექტიანი დაცვა.

უარყოფითად უნდა შეფასდეს საქართველოს პარლამენტის მიერ დაჩქარებული წესით მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის კომპენსაციის გაცემის წესის[376] მიღება 1 წლით გადავადდა.[377] გარდა ამისა, კვლავ არ დამტკიცებულა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რეფერირების პროცედურების დოკუმენტი. გამოწვევად რჩება სრულწლოვანი ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სოციალური მუშაკების ჩართულობის კრიტიკულად დაბალი მაჩვენებელი და ფორმალური ხასიათი.[378]

---

[375] 2022 წელს იგეგმება ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე; იუსტიციის სამინისტროს წერილი №717; 20.01.2022.

[376] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 30-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად.

[377] კანონი მისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/36yxB0x > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[378] ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე, სოციალური მუშაკები, ძირითადად, მხოლოდ იმ შემთხვევაში ერთვებიან, როდესაც შესაძლო მსხვერპლი არასრულწლოვანია, ან შესაძლო ძალადობის

საქართველოს კანონმდებლობა კვლავ არ აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არ ითვალისწინებს მსხვერპლის თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობის არარსებობას, როგორც სექსუალური ძალადობის დანაშაულების დეფინიციის შემადგენელ ნაწილს. საქართველოს კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებს დაზარალებულის დაკითხვის დისტანცურად ჩატარების, ან ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანის შესაძლებლობას.



კვლავ პრობლემურია სამართალდამცავი უწყებების მიერ ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების სისტემატურობის გამოვლენა და მისი ერთიან დანაშაულად აღქმა. მსგავს შემთხვევებზე სამართალდამცავი პირების რეაგირება ფრაგმენტულია და შესაძლო მსხვერპლს განმეორებითი ძალადობისგან ვერ იცავს.[379] ამასთანავე, სამართალდამცავი პირების მხრიდან საჭიროა დამატებითი ძალისხმევა ქალის მიმართ და ოჯახში შესაძლო ძალადობის შემთხვევებზე რისკების სწორად შესაფასებლად, რადგან კონკრეტულ შემთხვევებზე[380] გამოძიების დაწყების მიუხედავად, განმეორებითი ძალადობის თავიდან აცილება მაინც ვერ მოხერხდა.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლო მოძალადეებისთვის ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემა დაინერგა, მინიმალურია ისეთი შემთხვევები, სადაც შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, სამართალდამცავი პირები შესაძლო მოძალადეების მიმართ ელექტრონულ სამაჯურებს იყენებენ.[381] 2021 წლის მონაცემებით, ასევე მცირეა იმ მოძალადეების რაოდენობა, რომლებიც ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსს გადიან, რაც კურსის ნებაყოფლობითი

ფაქტს არასრულწლოვანი პირი შეესწრო, ან თუ ძალადობის მსხვერპლი შშმ პირია. სრულწლოვანი ქალის მიმართ ჩადენილი ძალადობის შემთხვევაში, სოციალური მუშაკები ხშირ შემთხვევაში არ ერთვებიან.

[379] მაგ., იხ. საქმე №2916/21; 12722/21; 13807/21; 2868/21.

[380] მაგ., იხ. საქმე №13441/21; 9789/21.

[381] 2021 წელს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე 9376 შემაკავებელი ორდერი, ხოლო ქალის მიმართ ძალადობის ფაქტებზე 744 შემაკავებელი ორდერი გამოიცა. ხოლო ელექტრონული ზედამხედველობა ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მხოლოდ 14 პირის, ხოლო ქალის მიმართ ძალადობის ფაქტზე 1 პირის მიმართ დაწესდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 5 22 00444842; 20.02.2022.

ხასიათითაა გამოწვეული.[382] კვლავ არ შემუშავებულა პროგრამა იმ მოძალადეებისათვის, რომელთა მიმართაც დამცავი ორდერია გამოცემული.[383]

მისასალმებელია, რომ 2021 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სექსუალური ძალადობის საკითხებზე გამომძიებელთა სპეციალიზაცია დაიწყო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში პრობლემად გამოიკვეთა სექსუალური ძალადობის საქმეებზე სამართალდამცავი ორგანოების მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება.[384] გარდა ამისა, გამოწვევას წარმოადგენს ეკონომიკური ძალადობის გამოვლენა და ეფექტიანი რეაგირება, რაც საკანონმდებლო დონეზე ეკონომიკური ძალადობის, როგორც ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი ფორმის, ხარვეზიანი რეგულირებით აიხსნება.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2021 წელს ჩატარებული მონიტორინგის[385] შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსამართლეები ძალადობის მსხვერპლ ქალებს არ აწვდიან ან/და არასრულად აწვდიან ინფორმაციას მათი უფლება-მოვალეობების და მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ.[386] აღსანიშნავია, რომ სასამართლოში დაკითხვისას დაზარალებული ქალების მეორეული ვიქტიმიზაციის რისკი მაღალია და მათი ადეკვატური დაცვა უზრუნველყოფილი არ არის. გარდა ზემოაღნიშნულისა, სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული მონიტორინგი და შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ პრობლემურია ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობა და მისი ეფექტიანი მუშაობა.[387]

აქვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს არ გამოუკვლევია შშმ, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალების ძალადობის რისკები და საჭიროებები.[388] პრაქტიკა ცხადყოფს,

---

[382] 2021 წელს აღნიშნული პროგრამები გაიარა 97-მა პრობაციონერმა. ხოლო პენიტენციურ სისტემაში 2020-2021 წლებში კურსის ფარგლებში სწავლება შეჩერდა კოვიდ-19-ის შედეგად გამოწვეული პანდემიის პენიტენციურ სისტემაში გავრცელების თავიდან ასარიდებლად. ამ პერიოდში ქცევის კორექციის პროგრამის პენიტენციურ დაწესებულებებში დასანერგად და თანამშრომლების გადამზადდნენ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილები № 2/2148; №68747/01; 12.01.2022 11.03.2022..

[383] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ამ პროგრამებზე მუშაობა მიმდინარეობს. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი GOV 7 22 00004931; 16.02.2022.

[384] მაგ., იხ. საქმე №2916/21; №13414/20; 3875/21.

[385] ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების სასამართლოში დაკითხვის მონიტორინგი (სპეციალური ანგარიში); 2021 წელი.

[386] ინფორმაცია მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დამცავი და მხარდამჭერი მექანიზმების, ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების თაობაზე.

[387] ამის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მცირე რაოდენობაა. საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დასაქმებულია მოწმის და დაზარალებულის 18 კოორდინატორი, რომლებიც 2021 წელს ქალის მიმართ ძალადობის 119 და ოჯახში ძალადობის 1706 საქმეში იყვნენ ჩართულები. საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილები №13/8086; 13/3242; 24.01.2022 14.02.2022. ხოლო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებულია მოწმის და დაზარალებულის 14 კოორდინატორი, რომლებიც ოჯახური დანაშაულების 1682 სისხლის სამართლის საქმეში, და ქალის მიმართ ძალადობის 108 საქმეში ჩაერთნენ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილები MIA 6 22 00397990; MIA 6 22 00092772; 13.01.2022 14.02.2022 ასევე, მაგ., იხ. საქმე №10635/21.

[388] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2019 წელს შეიქმნა თემატური მოკვლევის ჯგუფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის საკითხებზე, რომლის მიზანი იყო სამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ

რომ შშმ ქალებისა და გოგოების მართლმსაჯულების სისტემაზე წვდომის მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ბარიერი არსებობს. მათ შორისაა როგორც ფიზიკურ გარემოზე წვდომა, ისე სამართალდამცავი პირების სტერეოტიპული დამოკიდებულება შშმ ქალებისა და გოგოების მიმართ ჩადენილი შესაძლო ძალადობის ფაქტებზე,[389] რაც, თავის მხრივ, სამართალდამცავი პირების ცოდნის ნაკლებობით აიხსნება.[390]

პანდემიის პერიოდში განსაკუთრებულ გამოწვევად გამოიკვეთა[391] ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციართა როგორც დასაქმება, ისე მათი ინფორმირებულობა არსებული სერვისების შესახებ.[392] ასევე გამოვლინდა ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ თავშესაფრით რამდენჯერმე სარგებლობის შემთხვევები, რაც ქვეყანაში ძალადობის მსხვერპლთა გასაძლიერებელი პროგრამების არარსებობითაა გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა თავშესაფარში მწვავე პრობლემად დასახელდა პირველადი საჭიროების ნივთების არარსებობა,[393] რაც, შესაძლოა, ბენეფიციართათვის ღირსების შემლახველი იყოს.

7.8. გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობები (ფემიციდი)

საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, 2021 წელს 22 ქალის მკვლელობის[394] ფაქტი გამოვლინდა, საიდანაც 11 შემთხვევა ოჯახის წევრის მიერ იყო ჩადენილი, ხოლო 11 შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის სხვა მოტივი გამოიკვეთა. ასევე, გამოვლინდა 31[395] ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტი, საიდანაც 16 ოჯახური დანაშაულის ნიშნით იყო ჩადენილი, ხოლო 15 შემთხვევა - სხვა მოტივით.

დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების ჩართულობისა და არსებული სამედიცინო მომსახურებების შესწავლა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2020 წლის 7 დეკემბრის წერილი (GOV 8 20 00050825).

[389] მაგ., საგამოძიებო უწყების თანამშრომლები, უმეტესად ეჭვქვეშ აყენებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე და/ან ინტელექტუალური ნიშნით შშმ ქალის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების სანდოობას. შშმ ქალებისათვის, ასეთი სტერეოტიპული დამოკიდებულება, ხშირად ხდება იმის საფუძველი, რომ უარი თქვან საკუთარი უფლებების დაცვაზე. საქათველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wTLLns > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[390] შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, რთულდება მტკიცებულებების შეგროვების ნაწილი, რადგან გამომძიებლებმა არ იციან, როგორ მოიპოვონ მტკიცებულებები, როგორ დაამყარონ კომუნიკაცია შშმ ქალთან. განსაკუთრებით რთულია მტკიცებულებების მოპოვება იმ შშმ ქალებისგან, რომელთაც აქვთ კომუნიკაციის სირთულეები და ამის პარალელურად, გამომძიებელი მოუმზადებელია ასეთი შემთხვევების ეფექტიანად მართვაში. კვლევის ლინკი.

[391] მონიტორინგი ჩატარდა 2021 წელს, საქართველოში არსებულ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში.

[392] ექიმთან ვიზიტი, გადამზადების კურსები, იურიდიული მომსახურება და სხვ.

[393] გამოკითხული ბენეფიციარების ნაწილს არ ჰქონდა პირადი საცვლები, ჩუსტი, სავარცხელი და ა.შ.

[394] მათ შორის, ოჯახის წევრის მიერ თვითმკვლელობამდე მიყვანის 2 ფაქტი და ჯანმრთელობის დაზიანების 2 ფაქტი, რომელმაც მსხვერპლის გარდაცვალება გამოიწვია.

[395] მათ შორის, ოჯახის წევრის მიერ თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის 10 ფაქტი და სხვა მოტივით ქალის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის 3 ფაქტი.



სტატისტიკის თანახმად, წინა წლების მსგავსად, ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის შემთხვევების კლების ტენდენცია არ შეინიშნება. წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია ქალთა თვითმკვლელობამდე და თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის შემთხვევების რაოდენობა.[396] ასევე, გაზრდილია ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტები.



მისასალმებელია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ, ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, იქმნება სასამართლო პრაქტიკა და სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებში ვითარდება მსჯელობა გენდერის ნიშნით ჩადენილ მკვლელობასთან ან მკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებით. თუმცა კვლავ დაბალია ისეთი საქმეების რაოდენობა, სადაც დანაშაულის ჩადენა გენდერის ნიშნით გამოიკვეთა და, შესაბამისად, სასჯელი დამძიმდა. ასევე პრობლემურია ფემიციდის მცდელობის შემთხვევაზე საქართველოს პროკურატურის მიერ გენდერული მოტივის დადგენა, ქმედების ოჯახის წევრის მიმართ და გენდერის ნიშნით ჩადენის გამოვლენა და სპეციალური ნორმით კვალიფიკაცია.[397]

---

[396] 2019 წელს, ქალთა მკვლელობის 19 შემთხვევიდან 2 შემთხვევა თვითმკვლელობამდე მიყვანას ეხებოდა. ხოლო მკვლელობის მცდელობის 22 შემთხვევიდან 6 - თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანას. 2020 წელს, ქალთა მკვლელობის 15 შემთხვევიდან არცერთი თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი არ ყოფილა. ხოლო 27 ქალის მკვლელობის მცდელობის შემთხვევიდან, 7 თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტი იყო. რაც შეეხება 2021 წელს, 22 ქალის მკვლელობიდან 2 თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი იყო, ხოლო 31 მკვლელობის მცდელობის შემთხვევიდან - 13 თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა.

[397] აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 20 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებებით, სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილს დაემატა „ე" ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ოჯახის წევრის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის.

შემაშფოთებელია 2020 წელს გამოვლენილი შემთხვევები, როდესაც მოძალადისთვის ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ზედმეტად ხანმოკლე და ლმობიერი სასჯელის გამოყენება ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი გახდა და შესაბამისად, ვერ მოხერხდა მისი თავიდან აცილება.[398]

საყურადღებოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოებში არ არსებობს გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის დეფინიციის განმარტების ერთიანი ხედვა და „გენდერული ნიშანი" ვიწროდ განიმარტება.[399] ასევე არაერთგვაროვანი პრაქტიკაა „არარეგისტრირებული ქორწინების" ცნების განმარტებასთან დაკავშირებით.

7.9. ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინება

ადრეულ ასაკში ქორწინების მანკიერი პრაქტიკა, გენდერული თანასწორობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. წინა წლების მსგავსად, პრობლემურია სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობა, რეფერირების პროცედურის გამართულად ფუნქციონირება[400] და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

ადრეულ ასაკში ქორწინების მავნე პრაქტიკასთან ერთად, კვლავ გამოწვევად რჩება არასრულწლოვანი გოგოების ნიშნობა. საქმეების შესწავლა აჩვენებს, რომ უწყებების მხრიდან უმეტესად ვერ ხერხდება სავარაუდო ქორწინების იძულების გამოკვეთა.[401] აღსანიშნავია, რომ კვლავ იკვეთება სკოლის მიტოვების რისკი არასრულწლოვანი გოგოს მოტაცების შიშის გამო.[402]

ქორწინების იძულების დანაშაულებზე დაგვიანებული და არაეფექტიანი რეაგირება ხშირად ეთნიკური უმცირესობის თემის მიმართ წინასწარი განწყობებითა და სტერეოტიპული დამოკიდებულებითაა გამოწვეული.[403] საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განხორციელებულმა კვლევის შედეგებმა[404] ცხადყო, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ არსებითად განსხვავებული შეხედულებები აქვთ სახელმწიფო უწყებებსა და თემის წევრებს. თემის წევრები ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების მთავარ გამომწვევ მიზეზად, სამომავლო პერსპექტივის არქონას, მძიმე სოციალურ ფონს და გენდერულ უთანასწორობას ასახელებენ.

---

[398] მონიტორინგისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ბრალდებულები ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენამდე ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის იხდიდნენ სასჯელს და სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებიდან ხანმოკლე პერიოდში უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინეს.

[399] მაგ., სასამართლოებში აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ქალის მიმართ ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაული.

[400]საქმე №5494/21, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან და სამართალდამცავი უწყებიდან ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია გვეცნობა.

[401] საქმე №11898/21; №12222/21.

[402] საქმე №1222/21 - სოციალური სააგენტოდან მიღებული ცნობით, მშობლებსა და სკოლას შორის შედგა შეთანხმება, რომ მშობლები უზრუნველყოფენ არასრულწლოვნის სკოლაში მათი თანხლებით მისვლის და იქიდან სახლში დაბრუნების საკითხს, არასრულწლოვნის მოტაცების თავიდან ასაცილებლად, რაც საკმაოდ გავრცელებულია აზერბაიჯანულ თემში. წერილი № 07/1692.

[403] სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები ადრეულ ასაკში ქორწინებას ეთნიკური უმცირესობების თემის ტრადიციად და ჩვეულებად მიიჩნევენ, რასთანაც გამკლავება აზრს მოკლებულია.

[404] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური ანგარიში „ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების არსებული პრაქტიკა ქვემო ქართლში: განწყობების კვლევა". 2021 წელი .

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ 2021 წელს ადრეულ ასაკში ქორწინების 129 შემთხვევა შეისწავლა.[405] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სავარაუდო დანაშაულის 101 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, რომლის მოტივი ბავშვთან ქორწინება იყო.[406] ხოლო განათლების სამინისტროში ქორწინების მიზეზით სკოლა 36-მა არასრულწლოვანმა მიატოვა.[407] 2020 წელს კი, სავარაუდო დანაშაულის 132 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, განათლების სამინისტროში, ქორწინების მიზეზით სკოლის მიტოვების 20 ფაქტია აღრიცხული, ხოლო სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ 2020 წელს ადრეულ ასაკში ქორწინების 115 შემთხვევა შეისწავლა.

7.10. ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში კვლავ კრიტიკულია და არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ლგბტ+ პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე დადებითად აისახება.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2021 წელს შეაფასა საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,[408] რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს პოლიტიკა ლგბტ+ პირების მიმართ არათანმიმდევრულია და პოლიტიკის დაგეგმვისას მათი რეალური საჭიროებები არ არის გათვალისწინებული. სახელმწიფო ხშირ შემთხვევაში იღებს ისეთ საკანონმდებლო ან პოლიტიკის ზომებს, რომლებიც ლგბტ+ პირთა რეალურ ცხოვრებაზე არ აისახება და მათი ცხოვრების ხარისხს ვერ აუმჯობესებს. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ ლგბტ+ პირები შეკრებისა და გამოხატვის, განათლების, დასაქმების, ჯანმრთელობისა და ადეკვატური საცხოვრისის უფლებებით სარგებლობისას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან.

ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა შეზღუდვებმა კიდევ ერთხელ გამოავლინა ის დაბრკოლებები, რაც ლგბტ+ პირებს აღნიშნული უფლებებით სარგებლობის დროს ხვდებათ. ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვები განსაკუთრებით უარყოფითად აისახა ლგბტ+ პირების მიერ შრომითი უფლებებით სარგებლობაზე.[409]

---

[405] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი (№07/1986) 15.03.2022.

[406] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 8 22 00390755; 15.02.2022.

[407] ქორწინების მიზნით სკოლა 34-მა გოგომ და 2-მა ბიჭმა მიატოვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 9 22 0000060734; 25.01.2022.

[408] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ლგბტ+ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მიმოხილვა".

[409] ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის კვლევაც, რომლის თანახმადაც, კარანტინის პერიოდში, ლგბტ+ რესპონდენტთა 12.8% საერთოდ შემოსავლების გარეშე დარჩა. აქვე, საგულისხმოა, რომ თუ პანდემიამდე ლგბტ+ ჯგუფის (კვლევის მონაწილეთა) ყოველთვიური შემოსავლების მედიანური მაჩვენებელი 900 ლარი იყო, კარანტინის დროს ეს მაჩვენებელი სამჯერ შემცირდა (300 ლარი). ამჟამად კი, რესპონდენტთა საშუალო ყოველთვიური შემოსავლების მედიანა პანდემიამდე არსებულ მაჩვენებელზე 45%-ით ნაკლებია და 500 ლარს შეადგენს. გამოუქვეყნებელი კვლევა: აღდგომელაშვილი და სხვები, ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასება ლგბტქი თემზე, WISG, 2021.

გარდა ამისა, საზოგადოებაში კვლავ შენარჩუნებულია ჰომოფობიური განწყობები, რასაც დამატებით ხელს უწყობს პოლიტიკოსთა მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენება და სახელმწიფოს მხრიდან ლგბტ+ პირთა მიმართ დისკრიმინაციული შემთხვევების ინგორირება, საყურადღებოა, რომ პრობლემის მოსაგვარებლად, სახელმწიფო არ აანალიზებს ლგბტ+ ჯგუფის მიმართ საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს და არ იკვლევს დისკრიმინაციის ძირითად გამომწვევ მიზეზებს.[410]

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ არ შექმნილა სამუშაო ჯგუფი, რომელიც სამოქალაქო აქტებში სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლის პროცედურას დაარეგულირებდა. აღნიშნული ტრანსი პირებისთვის, უფლებებით სარგებლობის კუთხით, მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შემუშავდეს საკანონმდებლო პაკეტი სექსუალური ძალადობის კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მისასადაგებლად;
- საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს/კრიმინალიზებული გახდეს ეკონომიკური ძალადობა, როგორც ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი ფორმა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის კანონით დადგენილ ვადაში შემუშავდეს და დამტკიცდეს დროული, ადეკვატური და ეფექტიანი კომპენსაციის გაცემის წესი;
- დამტკიცდეს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დოკუმენტი (ეროვნული რეფერალური მექანიზმი);
- შემუშავდეს ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამები იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც გამოცემულია დამცავი ორდერი, ხოლო სავალდებულო გახდეს მსჯავრდებულებისთვის;
- დაიგეგმოს ცნობიერების ამაღლების კამპანიები ტრეფიკინგის შემთხვევებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად და მათ პროაქტიულად გამოსავლენად;
- სამოქალაქო აქტებში სქესის შეცვლის პროცედურა დარეგულირდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ამ მიზნით განიხილოს სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხი;

---

[410] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში“.

- დაიგეგმოს ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ლგბტ+ ჯგუფის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებების, სტიგმისა და წინასწარგანწყობების აღმოფხვრას;
- ლგბტ+ პირების საჭიროებები გათვალისწინებული იყოს ადამიანის უფლებათა სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებში;
- ადრეულ ასაკში ქორწინებისა და თანმდევი დანაშაულების თავიდან ასარიდებლად, სისტემატურად მიმდინარეობდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- მშობიარობის შემდგომი ზრუნვისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები ინტეგრირდეს დედათა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში;
- ოჯახის დაგეგმვის სერვისები სრულყოფილად ინტეგრირდეს პირველადი ჯანდაცვის სისტემაში, მასზე გეოგრაფიული და ფინანსური წვდომის ბარიერების აღმოსაფხვრელად;
- შემუშავდეს ე.წ. გინეკოლოგიური ძალადობის დეფინიცია, გაიწეროს და დამტკიცდეს ღირსების შემლახველი კონკრეტული პრაქტიკების ნუსხა და ამაღლდეს სერვისის მიმწოდებელთა ცნობიერება ამგვარ საზიანო პრაქტიკებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- გაგრძელდეს თანამშრომლების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით, ამასთანავე, შემუშავდეს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რაც შესაძლებელს გახდის გადამზადებულ თანამშრომელთა მიერ მიღწეული პროგრესის გაზომვას;
- შემუშავდეს და საჯაროდ მისაწვდომი გახდეს ანგარიში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მუშაობის ეფექტიანობის თაობაზე;
- მიმდინარეობდეს შშმ ქალებისა და გოგოების მიმართ ჩადენილი ძალადობის და ყველა სხვა დანაშაულის შემთხვევების გამოძიებაში ჩართული პირების სისტემატურად გადამზადება შშმ ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ;
- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების/ნიშნობის გამოვლენისას, კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს, მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება და სანქციის დაკისრება;
- შსს თანამშრომლები გადამზადდნენ ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების/თავისუფლების უკანონო აღკვეთის/ ქორწინების იძულების შესახებ, ამასთანავე, შემუშავდეს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი.

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- შემუშავდეს და საჯაროდ მისაწვდომი გახდეს ანგარიში გენერალურ პროკურატურაში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მუშაობის ეფექტიანობის თაობაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება სრულყოფილად ინტეგრირდეს ფორმალური და არაფორმალური განათლების სისტემებში.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს:

- შეიქმნას სახელმძღვანელო დოკუმენტი და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეები გადამზადდნენ ოჯახური დანაშაულების მსხვერპლთა დაკითხვისას მეორეული ვიქტიმიზაციისგან მათ ეფექტიანად დასაცავად.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- გაძლიერდეს და დაიხვეწოს ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში ბენეფიციართა გაძლიერების პროგრამები;
- ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში გადაიხედოს და განახლდეს პირველადი ნივთების გაცემის წესი და ჩამონათვალი, არსებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- უზრუნველყონ მერიის წარმომადგენლების ცოდნის და კომპეტენციის გაფართოება გენდერული თანასწორობის საკითხებზე;
- დაინერგოს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის პრაქტიკა და გამოიყოს შესაბამისი ფინანსური რესურსი გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად.

8. რწმენისა და რელიგიის თავისუფლება

8.1. შესავალი

წინამდებარე თავი, 2021 წლის განმავლობაში რწმენისა და რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევების მიმოხილვას, მათ შორის, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ უკანონოდ მოპოვებული ფარული მასალების გავრცელებას, არადომინანტურ რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართებით საგადასახადო და სახელმწიფო ქონების შესახებ კანონმდებლობის დისკრიმინაციულ ნორმებს, არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მქონე მსჯავრდებულთა რელიგიურ საჭიროებებს, სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს და მათ ირგვლივ სახელმწიფოს მიერ წარმოებული გამოძიების არაეფექტიანობას, ეთმობა.

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, კვლავ შეუსრულებელია 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშის რწმენისა და რელიგიის თავისუფლების თავში სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების აბსოლუტური უმრავლესობა. შესაბამისად, წლიდან წლამდე გვიწევს რეკომენდაციების გამეორება ადრესატი სახელწმიფო უწყებებისთვის. ამ დრომდე არ შესულა ცვლილებები საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილებაში, „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის" შესახებ. ასევე, კვლავ უცვლელი ფორმით მოქმედებენ საქართველოს საგადასახადო, სახელმწიფო ქონების[411] შესახებ და შრომის კანონმდებლობაში[412] არსებული დისკრიმინაციული ნორმები. გარდა ამისა, უცვლელია რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების პრობლემური პრაქტიკა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობასა და მანდატთან დაკავშირებული ხარვეზები. გამოწვევად რჩება საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დაბრუნების საკითხიც.

კვლავ გადაუჭრელია ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემა. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხზე ბათუმის მერიის უარი დისკრიმინაციულად და უკანონოდ იქნა მიჩნეული, 2021 წელს ძალაში დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, რასაც ბათუმის მერიის მხრიდან გადაწყვეტილების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრება მოჰყვა. რელიგიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, მერიის ამგვარი ნებიჯი საკუთარი ვალდებულებების შესრულების გაჭიანურების სტრატეგიის ნაწილად შეფასდა, რაც ლახავს მუსლიმი თემის უფლებებს და აფერხებს მათ სრულყოფილ რეალიზებას.[413]

---

[411] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 212-215.
[412] იქვე, 220-221.
[413] იხ. მაგ.: < https://bit.ly/35EVfYL > [ბოლოს ნანახია 06.03.2022], < https://bit.ly/3CvMKLB > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

8.2. სავარაუდოდ, სუს-ის მიერ უკანონოდ მოპოვებული ფარული მასალების გავრცელება

საანგარიშო წელს მედიით გავრცელდა მონაცემთა ბაზა, რომელიც, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოებულ ე. წ. კრებსებს წარმოადგენს. ფარული მიყურადების ამსახველი მასალების დიდი ნაწილი, რომელიც, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ უკანონოდ არის მოპოვებული და მიმდინარე წლის 13 სექტემბერს საჯარო პლატფორმებზე აიტვირთა, მიუთითებს, თუ რამდენად ტოტალური, ყოვლისმომცველი და მასშტაბური ხასიათი აქვს რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის კონტროლს, თვალთვალს და უკანონო მიყურადებას, სავარაუდოდ, სასულიერო პირებისა და უფლებადამცველების შესახებ მადისკრედიტირებელი ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების მიზნით. ყოველივე ეს, უნდა შეფასდეს როგორც ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებაში, ისე რელიგიის თავისუფლებაში უხეშ ჩარევად.[414]

ამ ფაქტს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი და რელიგიათა საბჭოს წევრი რელიგიური გაერთიანებები გამოეხმაურნენ. განცხადების ხელმომწერმა ორგანიზაციებმა მოითხოვეს, დაისაჯოს უკანონო მოსმენებისა და თვალთვალის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ყველა პირი.[415]

2021 წლის 18 სექტემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილებით (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.[416] სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართა და დაწყებული გამოძიების მასალების საგამონაკლისო წესით გაცნობა მოითხოვა.[417] სამწუხაროდ, პროკურატურამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა. დამატებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია მიმდინარე გამოძიების შესახებ. გენერალურმა პროკურატურამ, მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც, გამოძიების ფარგლებში კონკრეტული პირი ბრალდებულად ან დაზარალებულად ცნობილი არ არის.[418] სახალხო დამცველი სახელმწიფოს შესაბამის უწყებებს მოუწოდებს, აწარმოონ ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიება, მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია მიმდინარე გამოძიების შესახებ და დროულად გამოავლინონ და პასუხისგებაში მისცენ დამნაშავე პირები.

---

[414] სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/364uc94 > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[415] სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრისა და რელიგიათა საბჭოს წევრი რელიგიური გაერთიანებების განცხადება გავრცელებული საიდუმლო მასალების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3HB2PQP > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[416] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IfEpNx >, [ბოლოს ნანახია 01.12.2021].

[417] 2021 წლის 27 სექტემბრის და 4 ნოემბრის საქართველოს სახალხო დამცველის №15-2/9225 და №15-2/10536 წერილები.

[418] 2021 წლის 28 დეკემბრის საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/78738 წერილი.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური გაერთიანებების შესაძლო კონტროლის შესახებ ფაქტებს წარსულშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი. ამ კუთხით, შეიძლება გამოიყოს სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ყოფილი შეიხის, ვაგიფ აქპეროვის საქმე, რომლის მიმართაც, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა შეიხის თანამდებობიდან გადადგომის იძულებას.[419] გარდა ამისა, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური გაერთიანებების შიდა საქმეებში ჩარევისა და კონტროლის მომეტებული საფრთხის წყაროდ, როგორც სახალხო დამცველის,[420] ისე საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების[421] მხრიდან მოაზრებულია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც 2014 წელს დაარსდა და სამთავრობო სისტემაში რელიგიის თავისუფლების საკითხებზე პასუხისმგებელ ძირითად უწყებად განიხილება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ რელიგიური გაერთიანების ავტონომიაში ჩარევის თაობაზე მუსლიმი თემის მხრიდან გამოთქმული უკმაყოფილების შესახებ საუბარია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის რელიგიის თავისუფლების ანგარიშში საქართველოს შესახებ.[422]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური გაერთიანებების საქმიანობაში შესაძლო ჩარევა და მათი კონტროლის ყოველი მცდელობა მნიშვნელოვნად აზიანებს საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიულ და სეკულარულ წყობას, რაც საქართველოს კონსტიტუციის უხეშ დარღვევად უნდა შეფასდეს.

8.3. საქართველოს კანონმდებლობა

სახალხო დამცველი და მასთან არსებული რელიგიათა საბჭო უკვე არაერთი წელია მიუთითებენ ქვეყნის საგადასახადო და სახელმწიფო ქონების შესახებ კანონმდებლობაში არსებულ დისკრიმინაციულ ჩანაწერებზე, რომლებიც არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების მიმართ უთანასწორო მიდგომებს აწესებენ. სამწუხაროდ, ეს საკითხი 2021 წელსაც გამოწვევად დარჩა.

8.3.1. საგადასახადო კანონმდებლობა

2020 წლის ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებულ დისკრიმინაციულ ნორმებში ცვლილებების შეტანის წინადადებით მიმართა,[423] თუმცა, დღეის მდგომარეობით, სადავო ნორმები არ შეცვლილა.

---

[419] ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ანგარიში „რელიგიის და რწმენის თავისუფლება საქართველოში პანდემიის პირობებში და მის მიღმა 2020-2021" (მაისი), 2021, 32-33. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/364Nsmy > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[420] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 219-220.

[421] იხ. მაგ., ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), რელიგია, პოლიტიკა და სოციალური კონტექსტები - კვლევების, ანგარიშებისა და სტატიების კრებული, თბილისი, 2020, 87. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tpOPo6 > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[422] US Department of State, 2020 Report on International Religious Freedom: Georgia, 2021. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ILZpMz > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[423] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 223-224.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 11 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო[424] ცხრა რელიგიური გაერთიანების კონსტიტუციური სარჩელი იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეები საქართველოს საგადასახადო კოდექსის 159-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტისა და 195-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვენ, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. გასაჩივრებული ნორმები, რელიგიური დანიშნულების საგნების უცხო ქვეყნებიდან იმპორტირებისას, ყველა რელიგიურ გაერთიანებას, გარდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, იმპორტის და დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადახდის ვალდებულებას აკისრებს. მოსარჩელეების აზრით, სადავო ნორმები წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის უფლებასთან.

8.3.2. სახელმწიფო ქონების შესახებ კანონმდებლობა

წინა წლების მსგავსად, კვლავ ხარვეზიანია სახელმწიფო ქონების შესახებ კანონმდებლობა, რაზეც სახალხო დამცველი ასევე არაერთი წელია მიუთითებს.[425] ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახელმწიფოსადმი გაცემული რეკომენდაციები/წინადადებები დღემდე შეუსრულებელია.[426]

სხვა საკითხებს შორის, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველი მიუთითებდა „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის დისკრიმინაციულ ნორმებზე,[427] რომელიც რელიგიურ გაერთიანებებს, გარდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, სახელმწიფო ქონების შეძენასა და გაცვლას უზღუდავს. ასევე, მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას მიეცა უფლება, საკუთრებაში მიიღოს ეკლესიების გარშემო არსებული ტყის მასივი 20 ჰექტარის ოდენობით.[428] ამასთან დაკავშირებით, პარლამენტის მიმართ გაიცა წინადადება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, სხვა რელიგიური გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონების შეძენის და გაცვლის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, ცვლილებები შესულიყო „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3

[424] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის №1/8/1593 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია", ა(ა)იპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი", სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია", ა(ა)იპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია", სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო", სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია", ა(ა)იპ „საქართველოს ებრაელთა კავშირი", სსიპ „მეგობართა რელიგიური საზოგადოება (კვაკერები)", სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".
[425] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 214-215.
[426] იქვე, 224.
[427] „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი, მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტები.
[428] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 214.

მუხლის პირველ, მე-2 და მე-5 პუნქტებში.[429] გარდა ამისა, 2021 წელს, სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის ზემოაღნიშნული ნორმა (მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი), რომელიც მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს უფლებას, საკუთრებაში მიიღოს ეკლესიების გარშემო არსებული ტყის მასივი 20 ჰექტარის ოდენობით.[430]

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 16 აპრილის წერილში[431] ვკითხულობთ, „... 2020 წელს „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემა ხორციელდება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებზე – დევნილებზე". თუმცა, კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დღეს მოქმედი რედაქცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ მიმღებ სუბიექტთა შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან ერთად, ჯერ კიდევ მოიხსენიებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასაც.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლობის ის პრობლემური ნორმები, რომლებზეც სახალხო დამცველი 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიუთითებდა, კვლავ სახელმწიფოს ყურადღების მიღმა რჩება, რაც ხელს უწყობს არადამონანტური რელიგიური გაერთიანებების უთანასწორო მდგომარეობას.

8.4. არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მქონე მსჯავრდებულთა რელიგიური საჭიროებები

წინა წლის მსგავსად,[432] რელიგიური საჭიროებების გათვალისწინებასთან დაკავშირებულ პრობლემებს არც 2021 წელს დაუკარგავს აქტუალობა. საანგარიშო პერიოდში ეს გამოწვევა სახალხო დამცველის აპარატის წინაშე არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მქონე მსჯავრდებულებთან მიმართებით დაისვა. კერძოდ, კითხვები წარმოიშვა პენიტენციურ დაწესებულებებში სალოცავი სივრცეების არარსებობისა და რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით ნებადართული საკვები პროდუქტების თაობაზე არასათანადო ინფორმირების საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ამ დრომდე არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია საკვების მომზადებისას სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა საჭიროებების გათვალისწინების შესახებ.[433]

---

[429] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 224.

[430] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 22 ივლისის კონსტიტუციური სარჩელი №1627. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3MGZPWO > [ბოლოს ნანახია 11.03.2022].

[431] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 16 აპრილს №04/2482 წერილი.

[432] დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიში, 26-27.

[433] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 86.

როგორც საერთაშორისო,[434] ისე ეროვნული[435] ნორმატიული სტანდარტები ადგენს გარანტიებს, რათა მსჯავრდებულებმა, შეძლებისდაგვარად, სრულად შეძლონ თავიანთი რელიგიისა თუ რწმენის გამოხატვის უფლების რეალიზება თავისუფლების აღკვეთის პირობებშიც, რაც მოიცავს, როგორც რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობას და მასთან განუყოფლად დაკავშირებულ პრაქტიკებს (მათ შორის, სალოცავ სივრცეებს), ისე - დღესასწაულების აღნიშვნას და შესაბამისი კვების რაციონის დაცვას.[436] თუმცა, სახალხო დამცველის აპარატის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მათი აღსრულება პრობლემურია. წლების განმავლობაში, არაერთ მსჯავრდებულს წარმოუდგენია განცხადებები როგორც რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტების მიღების პრობლემებზე, ისე - ლოცვის სათანადოდ აღსრულების შეუძლებლობის საკითხზე.

2021 წელს, ამ საკითხზე საქმისწარმოებას საფუძვლად დაედო ერთ-ერთი პატიმრის სატელეფონო მომართვა, რომელმაც თქვა, რომ მისი არაერთი თხოვნის მიუხედავად, პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე არ გამოკრულა ყურბან-ბაირამთან დაკავშირებით ნებადართული კვების პროდუქტების სია მაშინ, როდესაც ამგვარი პრაქტიკა დანერგილია ქრისტიანულ დღესასწაულებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ინფორმაციის გამოთხოვის საპასუხოდ, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა განმარტა, რომ პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსდება ინფორმაცია ნებადართული საკვები პროდუქტების შესახებ.[437] უწყების განცხადებით, საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის (sps.gov.ge) საშუალებითაც, როგორც მართლმადიდებლურ, ისე არადომინანტურ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით.[438] თუმცა, სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადებები მიუთითებს, რომ საზოგადოების ინფორმირება ამანათების მიღების თაობაზე მიმდინარეობს ისეთ დღესასწაულებთან დაკავშირებით, როგორებიცაა შობა, აღდგომა, მარიამობა, გიორგობა და ახალი წელი.[439] ანალოგიური განცხადებები ქვეყნდება სოციალური ქსელის მეშვეობითაც.[440] თუმცა, მსგავსი ტიპის ინფორმაცია არ იძებნება არადომინანტური რელიგიური კონფესიების დღესასწაულებთან დაკავშირებით.

---

[434] „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები", გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 70/175, წესი 6, 42; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, პუნ. 29.1-29.2, 22.1.

[435] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის №187 ბრძანება „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ", მუხ. 4; პატიმრობის კოდექსი, მუხ. 23, პუნ. 6.

[436] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №22: მუხლი 18 (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება), 1993, CCPR/C/21/Rev.1/Add.4, პარა. 4, 8.

[437] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 6 დეკემბრის №292813/01 წერილი.

[438] იქვე.

[439] ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/vr0uqx > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[440] იხ. მაგალითად: < https://rb.gy/l4qarg > ;< https://rb.gy/uzmiri > ;< https://rb.gy/30zru0 > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

შესაბამისი ბმულები არც სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან გამოთხოვილ ინფორმაციაშია მითითებული.

რაც შეეხება სალოცავ სივრცეებს, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ფუნქციონირებს მართლმადიდებლური სამლოცველო, სხვა რელიგიური აღმსარებლობის მსჯავრდებულებისთვის კი, სალოცავი სივრცეები გამოყოფილია მხოლოდ ორ (№3 და №5) პენიტენციურ დაწესებულებაში. დანარჩენ დაწესებულებებში, მსჯავრდებულები რელიგიურ რიტუალებს საცხოვრებელ საკნებში ასრულებენ.[441]

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სიღრმისეულად შეისწავლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურული რესურსი და მსჯავრდებულების რელიგიური საჭიროებების გათვალისწინებით, გადადგას ხელშესახები ნაბიჯები არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მქონე პატიმართათვის სალოცავი სივრცეების მოსაწყობად. გარდა ამისა, უფრო ეფექტიანი ღონისძიებების დანერგვაა საჭირო რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით ნებადართული საკვები პროდუქტების თაობაზე მსჯავრდებულთა ინფორმირებისა და საკვების მომზადებისას სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა საჭიროებების გასათვალისწინებლად.

8.5. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

საანგარიშო პერიოდში, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში განვითარებული მოვლენები.[442] სოფლის მუსლიმი მოსახლეობის მიერ სამლოცველო სახლის გახსნას ქრისტიანი მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვა, რაც, 2021 წლის იანვარში, სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. აღსანიშნავია, რომ განვითარებულ მოვლენებზე სახელმწიფოს რეაგირება მეტ-ნაკლებად დროული იყო, რაც დაპირისპირების ადგილზე პოლიციის მობილიზებასა და მხარეთა შორის მედიაციის პროცესის წარმართვაში გამოიხატა.[443] შემთხვევიდან მალევე, ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.[444] საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[445] ბუკნარში ჩადენილი ძალადობის სხვადასხვა ეპიზოდის გამო, დაზარალებულად ცნეს 5 პირი; ორ პირთან გაფორმდა განრიდების შეთავაზების ოქმი და სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა; ერთ პირს კი, ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის

[441] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 6 დეკემბრის №292813/01 წერილი; აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში მიღებულ მომართვაში, განმცხადებელი ითხოვდა მცირეოდენი სივრცის გამოყოფას, ვინაიდან, მისი მითითებით, საცხოვრებელ საკანში, საამისოდ არასაკმარისი სივრცის გამო, ვერ ხერხდება ლოცვის აღსრულება. ამასთანავე, საკანში განთავსებულია საპირფარეშო, ასეთ სივრცეში ლოცვა კი, შესაბამის რელიგიურ წესებს ეწინააღმდეგება.

[442] სახალხო დამცველის განცხადება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3w1OfgQ > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[443] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ბუკნარი - კიდევ ერთი რელიგიური კონტექსტის მქონე კონფლიქტის ადგილი, 2021, 7-8. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3MckCRR > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[444] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3szw6qR > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[445] 2022 წლის 11 მარტის საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/14062 წერილი.

კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) წარედგინა.

ბუკნარში განვითარებული მოვლენების ფონზე, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მსგავსი ტიპის შემთხვევებთან დაკავშირებით, ხელისუფლების პოლიტიკა ნაკლებად არის ორიენტირებული მათ სისტემურ პრევენციაზე და ძირითადად, ინდივიდუალური შემთხვევების მოგვარებისკენ მიმართული ერთჯერადი მიდგომებით შემოიფარგლება.[446]

ამასთანავე, ბუკნარში განვითარებული მოვლენები არ ყოფილა საქართველოში რელიგიის თავისუფლების შელახვის მცდელობის პირველი შემთხვევა. გასულ წლებში მუსლიმი თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტებს ადგილი ჰქონდა სამთაწყაროში,[447] ნიგვზიანში,[448] წინწყაროში,[449] ქობულეთსა[450] და ადიგენის სოფელ მოხეში.[451]

ზემოაღნიშნულ ინციდენტებთან დაკავშირებით დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიება, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, წინწყაროს და ნიგვზიანის შემთხვევებზე, 2020 წელს შეწყდა.[452] რაც შეეხება დანარჩენ საქმეებს, პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სიახლეა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე - სოფელ მოხეში განვითარებულ ინციდენტებთან დაკავშირებით. კერძოდ, დაზარალებულად ცნეს ერთი პირი, ხოლო ორ ადამიანს ბრალი რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ქმედებისათვის წარედგინა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. ამჟამად, საქმეს არსებითად იხილავს ახალციხის რაიონული სასამართლო.[453] ნიშანდობლივია, რომ დაზარალებულად ცნობილი პირის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა) არსებითი დარღვევა დაადგინა.[454] დანარჩენ ორ საქმეზე გამოძიება გრძელდება, თუმცა კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად, წინა წლების მსგავსად, არც 2021 წელს ყოფილა ცნობილი.[455]

---

[446] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ბუკნარი - კიდევ ერთი რელიგიური კონტექსტის მქონე კონფლიქტის ადგილი, 2021, 14-15. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3MckCRR > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].
[447] სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2014, 295.
[448] სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2013, 520.
[449] იქვე.
[450] სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2015, 432.
[451] სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, 487.
[452] სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 217.
[453] 2022 წლის 11 მარტის საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/14062 წერილი.
[454] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Mikeladze and others v. Georgia, (Application no. 54217/16).
[455] იქვე.

საანგარიშო პერიოდში, შედარებით იკლო იეჰოვას მოწმეთა მიმართ რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების რიცხვმა, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პანდემიის დაწყების შემდეგ იეჰოვას მოწმეებს შეჩერებული აქვთ მსახურება როგორც საზოგადოებრივ ადგილებში, ისე კარდაკარ. მიუხედავად ამისა, მიმდინარე წელს, კვლავ გამოიკვეთა იეჰოვას მოწმეთა საკუთრების დაზიანების ცალკეული ფაქტები.[456]

რაც შეეხება სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებას, კერძოდ, რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულებისა და მათი გამოძიების ხარვეზებზე საუბრისას, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბერს გამოქვეყნებული გადაწყვეტილება საქმეზე, „მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ",[457] რომელიც 2014 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში პოლიციის მხრიდან რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ადგილობრივი მუსლიმების მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობასა[458] და მასზე წარმოებული გამოძიების არაეფექტიანობას ეხება. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ სახელმწიფომ დაარღვია ევროპული კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლები, რაც, დისკრიმინაციის აკრძალვასთან ერთობლიობაში, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვას გულისხმობს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მომხდარი ფაქტის ირგვლივ მიმდინარე გამოძიების ხარვეზებზე და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა იმ პირთა მხრიდან, რომელნიც ვერ აკმაყოფილებდნენ დამოუკიდებლობის კრიტერიუმს,[459] ამასთანავე, გამოძიების პროცესის დროში გაჭიანურებასა[460] და პოლიციელთა ქმედებებში რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის კუთხით გამოძიების არაეფექტიანობაზე მიუთითა.[461]

სახალხო დამცველის შეფასებით, მართალია, შესამჩნევია სიძულვილის მოტივის გამოკვეთის გაუმჯობესებული ტენდენცია, თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება ამ ტიპის სავარაუდო დანაშაულების ირგვლივ შესაბამისი უწყებების მხრიდან ეფექტიანი გამოძიების წარმოების საკითხი.[462] კერძოდ, პრობლემად რჩება ჩადენილ დანაშაულთა

---

[456] დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში, 62-64.
[457] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Mikeladze and others v. Georgia, (Application no. 54217/16).
[458] საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, 434-438.
[459] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Mikeladze and others v. Georgia, §65.
[460] იქვე, §68.
[461] იქვე, §67.
[462] დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში, 62-64, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3MvxGSM > [ბოლოს ნანახია 07.03.2022].

დროული გამოძიება, ასევე, მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება.[463] მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი იმ სისტემური პრობლემების აღმოსაფხვრელად, რომელზეც ადამიანის უფლებათა სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში კიდევ ერთხელ გამახვილდა ყურადღება.

8.6. რელიგიური დღესასწაულები

2020 წლის მსგავსად, დიფერენცირებული მოპყრობა 2021 წელსაც შენარჩუნდა. ხელისუფლება კვლავ განაგრძობდა ექსკლუზიური პრივილეგიების მინიჭებას მართლმადიდებელი ეკლესიისთვის და ინარჩუნებდა დისკრიმინაციულ პოლიტიკას სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ. კერძოდ, გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვიდან გამონაკლისები მხოლოდ მართლმადიდებლურ რელიგიურ დღესასწაულებს შეეხო (6 იანვრის ღამეს - შობის, ხოლო 2 მაისის ღამეს - აღდგომის მართლმადიდებლურ დღესასწაულს[464]). რაც შეეხება არადომინანტური ქრისტიანული გაერთიანებების მიერ აღსანიშნი აღდგომის დღესასწაულის დღეს,[465] სახელმწიფოს მიერ საგამონაკლისო წესის შემოღებისგან თავის შეკავების პირობებში, 4 აპრილს, რელიგიურ გაერთიანებებს სააღდგომო მსახურების ჩატარება დღის საათებში მოუხდათ.[466] ყოველივე ეს სახელმწიფოს დისკრიმინაციული პოლიტიკის გამოვლინებად უნდა შეფასდეს.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების (რომლებიც მხოლოდ რელიგიური მიზნით გამოიყენება) მიწოდებისას, დღგ-ს გადახდისგან, საქართველოს საპატრიარქოს მსგავსად, სხვა რელიგიური გაერთიანებების გათავისუფლების მიზნით, ცვლილებები შევიდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ს“ ქვეპუნქტში;
- რელიგიური მიზნით გამოყენებული ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნისა და კალენდრის რეალიზაციით მიღებული მოგების ნაწილში მოგების გადასახადისგან, საქართველოს საპატრიარქოს მსგავსად, სხვა რელიგიური გაერთიანებების გათავისუფლების მიზნით, ცვლილებები შევიდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში;

---

[463] საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები, თბილისი, 2020, 22, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ux6lRr >[ბოლოს ნანახია 06.03.2022]. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში, 62-64, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3MvxGSM > [ბოლოს ნანახია 07.03.2022].

[464] ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ანგარიში „რელიგიის და რწმენის თავისუფლება საქართველოში პანდემიის პირობებში და მის მიღმა 2020-2021“ (მაისი), 2021, 14-15, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/364Nsmy > [ბოლოს ნანახია 06.03.2022

[465] კათოლიკე, სომეხთა სამოციქულო, ევანგელურ-ლუთერული და ზოგიერთი პროტესტანტული ეკლესია 2021 წელს აღდგომის დღესასწაულს 4 აპრილს აღნიშნავდა.

[466] ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ანგარიში „რელიგიის და რწმენის თავისუფლება საქართველოში პანდემიის პირობებში და მის მიღმა 2020-2021“ (მაისი), 2021, 14-15, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/364Nsmy > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, სხვა რელიგიური გაერთიანებების მიერ არაეკონომიკური მიზნით გამოყენებული ქონების (მიწის) გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით, ცვლილებები შევიდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსში;
- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, სხვა რელიგიური გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონების შეძენის და გაცვლის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, ცვლილებები შევიდეს „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველ, მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტებში;
- რელიგიური გაერთიანებების მიერ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რელიგიური და საკულტო ნაგებობების, მათი ნანგრევების, აგრეთვე, მიწის ნაკვეთების, რომლებზედაც ისინია განთავსებული, პრივატიზების გზით მიღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, ცვლილებები შევიდეს „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ" ქვეპუნქტში;
- საქართველოს შრომის კოდექსში გაიწეროს ალტერნატიული საკანონმდებლო დათქმა, რომელიც არამართლმადიდებელ მოსახლეობას მათი რელიგიური დღესასწაულის დროს, სურვილის შემთხვევაში, გარანტირებული დასვენების შესაძლებლობას მისცემს;
- სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შემუშავდეს რესტიტუციის შესახებ კანონი, რომელიც საბჭოთა პერიოდში რელიგიური გაერთიანებებისათვის ჩამორთმეული ქონების ისტორიული მესაკუთრისათვის დაბრუნების წესს, კრიტერიუმებს, პასუხისმგებელ უწყებებსა და ვადებს განსაზღვრავს.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- აღრიცხოს საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანისა და ჩამორთმეული ქონების ოდენობა;
- შევიდეს ცვლილება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილებაში, „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის" შესახებ და ოთხ რელიგიურ გაერთიანებასთან ერთად, სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც მიეცეთ ზიანის შესაბამისი კომპენსაცია;
- შეიცვალოს რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების პრაქტიკა. სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციით, შემუშავდეს რელიგიური გაერთიანებების

დაფინანსების საგადასახადო სისტემა, რომელიც თანასწორუფლებიანობისა და სახელმწიფოს ნეიტრალობის მოთხოვნებს უპასუხებს;

- სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების გზით, იმსჯელოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობისა და მანდატის ცვლილებების საჭიროებაზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- 2022 წლის განმავლობაში, სიღრმისეულად შეისწავლოს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურული რესურსი და მსჯავრდებულების რელიგიური საჭიროებების გათვალისწინებით, უზრუნველყოს არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მქონე პატიმართათვის სალოცავი სივრცეების გამოყოფა;

- რელიგიური უმცირესობების ძირითადი დღესასწაულების დროს, მართლმადიდებლური დღესასწაულების მსგავსად, პენიტენციურ დაწესებულებებში ამანათების მიღების პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით, საჯარო განცხადების სახით უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება;

- პენიტენციურ დაწესებულებებში საკვების მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა საჭიროებები.

9. გამოხატვის თავისუფლება

9.1. შესავალი

2021 წლის განმავლობაში, მედიის წარმომადგენლების მიმართ ქვეყანაში შექმნილმა საფრთხის შემცველმა და მტრულმა გარემომ, შემაშფოთებელი სახე შეიძინა. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა როგორც ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების სიმრავლე, ისე მათი საქმიანობისთვის სხვაგვარი ხელშეშლის შემთხვევები, რაც, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდანაც დაფიქსირდა. სამწუხაროდ, კვლავ გამოწვევად დარჩა ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულების თაობაზე ყოვლისმომცველი სტატისტიკის არარსებობა, რაც ხელს უშლის პრობლემის სრული მასშტაბის დანახვას და ართულებს მათზე რეაგირების ეფექტიანობის შეფასებას.

ჟურნალისტის წყაროს კონფიდენციალობის დაცვის კუთხით საშიში პრეცედენტის დამკვიდრების საფრთხე გააჩინა სასამართლოს განჩინებამ, რომელიც „TV პირველში" საგამოძიებო მოქმედების - ამოღების ჩატარების შესახებ გაიცა. ეს განჩინება საქართველოს სახალხო დამცველმა შეაფასა როგორც დაუსაბუთებელი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალს.[467] საბოლოოდ, მისი აღსრულება და, შესაბამისად, საფრთხის პრაქტიკული რეალიზება არ მომხდარა.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, გაგრძელდა მაუწყებლის პროგრამების შინაარსის გაუმართლებელი კონტროლისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართულ საკანონმდებლო ინიციატივებზე მსჯელობა.

9.2. მედიის წარმომადგენელთა დაცულობა და მათი მხრიდან გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა

2021 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მედიის წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებებისა თუ სამართალდარღვევების ათობით შემთხვევა აღრიცხა, რაც გულისხმობდა პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას და თავდასხმას,[468] განზრახ მკვლელობის მომზადებას,[469] მუქარას ან/და ნივთის დაზიანებას,[470] მათ მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით

---

[467] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3uLoiny > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

[468] პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ან/და თავდასხმის შესაძლო შემთხვევების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32WRexn>;<https://bit.ly/34xL8nF>; <https://bit.ly/34bjexZ>;<https://bit.ly/3LcezMA>;<https://bit.ly/3uq6gXy>;<https://bit.ly/34xxAbM>;<https://bit.ly/3roWcw6>;<https://bit.ly/3uqhWJW>;<https://bit.ly/3J2DsIN>;<https://bit.ly/3AYFBm1>;<https://bit.ly/3gkRcT9>;<https://bt.ly/3unsHNh> ; <https://bit.ly/3L9ItRD> ; < https://bit.ly/3AX85g0 > ; < https://bit.ly/3uq2QEh > ; <https://bit.ly/34c0gr0> [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

[469] განზრახ მკვლელობის შესაძლო მომზადების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uowaLr > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

[470] მუქარის ან/და ნივთის დაზიანების შესაძლო შემთხვევების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sg5euD>;<https://bit.ly/34Au7ZJ>;<https://bit.ly/34bjexZ>;<https://bit.ly/35Opb4i>;<https://bit.ly/3uvAWqJ> ;<https://bit.ly/3sfC5zV> ; <https://bit.ly/3sgFApF> ; <https://bit.ly/3AXO6xM > ;<https://bit.ly/3L5jXRX> ;< https://bit.ly/3ITGqPU > ;< https://bit.ly/3J8BneF > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

გადამეტებას[471] და სიტყვიერ შეურაცხყოფას.[472] ცალკეულ შემთხვევებში, ასეთ ფაქტებს სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით გამოეხმაურა და საგამოძიებო უწყებებს დროული და ეფექტიანი გამოძიების ჩატარებისკენ მოუწოდა.[473]

შედეგად, გამოძიება 19[474], ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა 7[475] საქმეზე დაიწყო. გარდა ამისა, მედიის წარმომადგენლების მიმართ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციული სახდელი შეეფარდა 1 პირს.[476] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის ცნობით,[477] დანაშაულის ნიშნების არარსებობის, შესაბამისი შეტყობინების მიუღებლობისა თუ დაზარალებული პირის მიერ გამოკითხვაზე უარის თქმის გამო, გამოძიება ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლენილი შესაძლო

---

[471] სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობის გადამეტების შესაძლო შემთხვევის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3gsnoni > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

[472] სიტყვიერი შეურაცხყოფის შესაძლო შემთხვევების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sd9jzW > ; < https://bit.ly/34xSaJ5 > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

[473] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3CDI58Z >, < https://bit.ly/3AAGtMN > ; < https://bit.ly/3lLqiWG > ; < https://bit.ly/3CAWtik > ; < https://bit.ly/2W3IlOX > ; < https://bit.ly/3sn3H6i >, < https://bit.ly/3GEsyaR >, < https://bit.ly/3AVug6a > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

[474] გამოძიება დაიწყო ვახო სანაიაზე თავდასხმის; ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, მედიაჰოლდინგ „კვირას" გადამღები ჯგუფისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის; ნოდარ მელაძის და მაკა ჩიხლაძის განზრახ მკვლელობის შესაძლო მომზადების; ნოდარ მელაძის ოჯახის წევრის მიმართ მუქარის; „TV პირველის" წარმომადგენლებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის 2 შემთხვევაზე; „TV პირველის" წარმომადგენლისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობისა და ქონების დაზიანების; „მთავარი არხის" ჟურნალისტის, ემა გოგოხიას მიმართ მუქარისა და მისი ავტომობილის დაზიანების; ტელეკომპანია „მთავარი არხის" გადამღები ჯგუფის მიმართ ჩადენილი ძალადობის; „მთავარი არხის" წარმომადგენლის ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით დაზიანების; „მთავარი არხის" ჟურნალისტის მიმართ მუქარის; ტელეკომპანია „ფორმულას" თანამშრომლის მიმართ ჩადენილი ძალადობის; ტელეკომპანია „ფორმულას" თანამშრომლის ავტომანქანის დაზიანების; ჟურნალისტ სერგო ჩივაძის მიმართ ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების; ჟურნალისტ სერგო ჩივაძის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარის; საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლების მიმართ ჩადენილი ძალადობის; ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის; მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის" თანადამფუძნებელზე ძალადობის და ჟურნალისტ ნ. მ.-ის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე.

[475] სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ვახო სანაიაზე თავდასხმის; მედიაჰოლდინგ „კვირას" გადამღები ჯგუფისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის; „TV პირველის" წარმომადგენლებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის; ჟურნალისტ სერგო ჩივაძის მიმართ მუქარის; მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის" თანადამფუძნებელზე ძალადობის; „TV პირველის" წარმომადგენლისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობისა და ქონების დაზიანების; და ჟურნალისტ ნ. მ.-ის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე.

[476] ჟურნალისტ ემა გოგოხიას და ტელეკომპანია „მთავარი არხის" სხვა თანამშრომლების მიმართ, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის, სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი 1 პირი, რომელსაც შეეფარდა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

[477] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 28 მაისის №1340223, 2021 წლის 14 ივნისის №1507876, 2021 წლის 9 ივნისის №1469679, 2021 წლის 3 ივნისის №1406379, 2021 წლის 4 აგვისტოს №2044985, 2021 წლის 29 სექტემბრის №2572428, 2021 წლის 19 ნოემბრის №3042252 და 2022 წლის 24 იანვრის №189415 წერილები; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 12 აგვისტოს №13/48945 წერილი.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებების 12 შემთხვევაზე.[478] მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის საფუძვლით,[479] საგამოძიებო უწყების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ ტელეკომპანია „მთავარი არხის" ჟურნალისტისთვის, პროფესიული საქმიანობის შესრულებისას, მიკროფონის წართმევის ფაქტს.[480] ხსენებული ინციდენტის ამსახველი საჯაროდ გავრცელებული კადრების გაცნობის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მინისტრის ქმედებაში იკვეთებოდა დანაშაულის ნიშნები[481] და საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართა წინადადებით, დაეწყო გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით.[482] თუმცა, გენერალურმა პროკურატურამ სახალხო დამცველის წინადადება არ გაიზიარა.[483]

დამატებით, მედიის წარმომადგენლებისთვის პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის, მათზე თავდასხმის, ნივთის დაზიანების, მუქარის[484] და სიტყვიერი შეურაცხყოფის[485] არაერთი შესაძლო შემთხვევა გამოიკვეთა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების პირველი და მეორე ტურების მიმდინარეობისას. ყოველივე ამის საფუძველზე, გამოძიება,

---

[478] გამოძიება ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა ტელეკომპანია „POSTV"-ის წარმომადგენლების მიმართ მუქარის, პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ან/და თავდასხმის 2 შემთხვევაზე; მედიასაშუალება „on.ge"-ს მთავარი რედაქტორისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის შესაძლო შემთხვევაზე; „მთავარი არხის" ჟურნალისტის მიმართ სასულიერო პირის მიერ ჩადენილ შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაზე; „Factcheck.ge"-ის ჟურნალისტის მიმართ შესაძლო მუქარის შემთხვევაზე; „მთავარი არხის" ჟურნალისტისთვის მიკროფონის წართმევის შემთხვევაზე; თბილისში მცხოვრები აზერბაიჯანელი ჟურნალისტის მიმართ შესაძლო მუქარის შემთხვევაზე; „TV პირველის" რეპორტიორისთვის გადაღებაში ხელშეშლის და ფიზიკური შეურაცხყოფის შესაძლო შემთხვევაზე; „ქართული ოცნების" მიერ გამართული შეკრების მონაწილეების მხრიდან ჟურნალისტებისთვის შესაძლო ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევებზე; „TV პირველის" მიკროფონის შესაძლო დაზიანების შემთხვევაზე; სოფელ ურთაში, „მთავარი არხის" ჟურნალისტის მიმართ შესაძლო მუქარის შემთხვევაზე; და „მთავარი არხის" ჟურნალისტის მიმართ შესაძლო მუქარის 1 შემთხვევაზე.

[479] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 12 აგვისტოს №13/48945 წერილი.

[480] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3sFE0ht > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

[481] საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, მინისტრის ქმედებაში იკვეთებოდა, სულ მცირე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. დამატებით, შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე ან 360-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

[482] „საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 15 ნოემბრის №15-4/10817 წინადადება; დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.საკუთრების უფლების თავი

[483] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 9 დეკემბრის №13/74495 წერილი.

[484] არჩევნების მიმდინარეობისას, პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ნივთის დაზიანების, თავდასხმის ან/და მუქარის შესაძლო შემთხვევების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AUDyzu>;<https://bit.ly/35QPlU3>;<https://bit.ly/3gkg5ON>;<https://bit.ly/35EEzA0>;<https://bit.ly/330F9Hw>; <https://bit.ly/3sjM2Mr>; <https://bit.ly/3Gu1LOd>; <https://bit.ly/3oow5DR>; <https://bit.ly/3HvjO7V>; <https://bit.ly/3sdKWCc>;<https://bit.ly/3rqPohC>;<https://bit.ly/3gki9Gx>;<https://bit.ly/3urinUr>;<https://bit.ly/3L8vks8>;<https://bit.ly/3AVGAn0>;<https://bit.ly/3rpZNdi>;<https://bit.ly/3LbSpKm>;<https://bit.ly/3uuNT3R>;<https://bit.ly/3HuSnLE > (იხ. ჩანაწერი 58:27 წთ.-დან);<https://bit.ly/3J0H5PB>;< https://bit.ly/3rnqpf8 > < https://bit.ly/3GsMuNq>; <https://bit.ly/3rtpDxj> [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

[485] არჩევნების მიმდინარეობისას, სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია, მათ შორის, შემდეგ ვებგვერდებზე: <https://bit.ly/3glqF82>;<https://bit.ly/3AVWPQW>;<https://bit.ly/3rsTlCg>;<https://bit.ly/3HtDp8C>;<https://bit.ly/3AVGSKC >;< https://bit.ly/3HA3V0g >;< https://bit.ly/3onXpBY > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

სულ მცირე, 7 სისხლის სამართლის საქმეზე,[486] სისხლისსამართლებრივი დევნა 1 სისხლის სამართლის საქმეზე,[487] ხოლო ადმინისტრაციული წარმოება 5 შემთხვევაზე დაიწყო.[488]

ასევე საყურადღებოა 2021 წლის 5 ივლისს, რუსთაველის გამზირზე განვითარებული ძალადობრივი მოვლენები, რომლის მიმდინარეობისას, მედიის 40-ზე მეტი წარმომადგენელი დაშავდა და რომელმაც მკაფიოდ წარმოაჩინა განსახილველი პრობლემის სიმწვავე.[489] საგულისხმოა, რომ დაზარალებულ მედიის წარმომადგენლებს შორის იყო „TV პირველის" ოპერატორი, ალექსანდრე ლაშქარავა, რომელიც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.[490] მოგვიანებით, „იუნესკომ" იგი მოკლულ ჟურნალისტთა სიაში შეიყვანა.[491] მიუხედავად ამისა, საგულისხმოა, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად, ლაშქარავას გარდაცვალების მიზეზად ნარკოტიკული საშუალებით ინტოქსიკაციის შედეგად განვითარებული გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მწვავე უკმარისობა დასახელდა.[492]

ზემოხსენებული ფაქტები არსებით საფრთხეს უქმნის ქვეყანაში მედიის თავისუფლების ხარისხს, შეიცავს საშიშ გზავნილს, რომ მედიის წარმომადგენლები, მათი საქმიანობის გამო, შესაძლოა, ანგარიშსწორებას დაექვემდებარონ და ამდენად, მსუსხავი ეფექტის მატარებელია მათ მიერ გამოხატვის თავისუფლების რეალიზებაზე.

ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა გაზრდილი მაჩვენებელი, პირდაპირ არის დაკავშირებული საგამოძიებო უწყებების არასათანადო რეაგირებასთან რიგ შემთხვევებში, რაც ქვეყანაში დაუსჯელობის გარემოს ქმნის. კერძოდ, სახალხო დამცველმა, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში, 2015-2020 წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე, აღნიშნა, რომ ჟურნალისტების მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით, არაერთი გამოძიება მიმდინარეობდა, რომლებშიც საგამოძიებო უწყებებს არ ჰქონდათ გამოკვეთილი და

---

[486] გამოძიება დაიწყო ჟურნალისტ ს. ჩ.-ს მიმართ მუქარის; „TV პირველის" ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების; ჟურნალისტის ფიზიკური შეურაცხყოფისა და მუქარის; ჟურნალისტ ს. ნ.-სთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლის; „ფორმულას" ოპერატორის ავტომობილის დაზიანების; ჟურნალისტ ე. გ.-ს მიმართ ჩადენილი ძალადობის; და ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლისა და კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ძალადობის ფაქტებზე.

[487] სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლისა და კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ძალადობის ან ძალადობის მუქარის ფაქტზე.

[488] ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო თბილისში, ზემო ფონიჭალაში მდებარე №29 საარჩევნო უბანზე გამოვლენილ ფაქტთან; მარტვილის №31 და №2 საარჩევნო უბნებზე ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტ ნ. ჩ.-ს მიმართ მომხდარ ინციდენტებთან; ქუთაისში, გოგებაშვილის №17-ში განთავსებულ №14 საარჩევნო უბანზე ტელეკომპანია „ტვ პირველის" ჟურნალისტის მიმართ მომხდარ ინციდენტთან; ქუთაისში, გორის ქუჩის №9 საარჩევნო უბანთან, ტელეკომპანია „ფორმულას" გადამღები ჯგუფის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტთან; და ჟურნალისტ თ. ფ.-ს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტთან დაკავშირებით.

[489] იხილეთ წინამდებარე ანგარიშის შეკრების თავისუფლების თავი.

[490] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ოპერატორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3uHZoFs > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

[491] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3suWmRX > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

[492] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/36anjCS > [ბოლოს ნანახია 11.03.2022].

დაყენებული დანაშაულის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.[493] ნიშანდობლივია, რომ სტატისტიკა მხოლოდ ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლას[494] მოიცავდა და არ ასახავდა ინფორმაციას მედიის წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილ სხვა ისეთი დანაშაულების შესახებ, როგორიცაა ძალადობა,[495] მუქარა,[496] დევნა[497] და სხვ. ამდენად, მონაცემები არ იძლეოდა ჟურნალისტთა წინააღმდეგ თავდასხმების მასშტაბისა და საგამოძიებო უწყებების საპასუხო რეაგირების ეფექტიანობის სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა 2020 წლის განმავლობაში, მედიასაშუალებების, ჟურნალისტებისა თუ მათთან დაახლოებული პირების წინააღმდეგ ჩადენილ ცალკეულ დანაშაულებთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებათა მიმდინარეობით.[498] კერძოდ, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახულ 6 სისხლის სამართლის საქმის[499] თაობაზე გამოთხოვილი ინფორმაციის შესაბამისად, მოცემული ეტაპისთვის, კვლავ არცერთ მათგანში არ დამდგარა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი.[500] ცალკე ყურადღებას იმსახურებს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის გაუჩინარების საქმეზე ჯერ კიდევ 2017 წელს დაწყებული გამოძიება.[501] მართალია, ამ დროისთვის, დანაშაულის კვალიფიკაცია დამძიმდა[502] და ჟურნალისტს დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა, თუმცა გამოძიება კვლავ არ მისულა კონკრეტულ შედეგამდე.[503] ხსენებული საქმეები კიდევ ერთხელ მიუთითებს მედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი და დროული გამოძიების კუთხით არსებულ პრობლემაზე.

გარდა ამისა, საანგარიშო წელს, არაერთხელ გამოიკვეთა სამინისტროების მიერ გამართულ ბრიფინგებზე კრიტიკული მედიის წარმომადგენლების არდაშვების ან/და არმიწვევის სამწუხარო ტენდენცია.[504] მსგავსი პრაქტიკის შესაძლო დაწესების შესახებ მიანიშნა ქალაქ

---

[493] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 233-238.
[494] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი.
[495] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი.
[496] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლი.
[497] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი.
[498] აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა იმ გამოძიებათა მიმდინარეობის შესახებ, რომელიც დაიწყო „მთავარი არხისა" და საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებისა და ოპერატორებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის; მედიასაშუალება „სამხრეთის კარიბჭეს" ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის; აჭარის ტელევიზიის კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის; „მთავარი არხის" გადამღები ჯგუფისთვის აპარატურის მოპარვისა და „იმედის" ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, აგრეთვე, „ტვ პირველის" დამფუძნებლის მამის, ავთანდილ წერეთლის მიმართ უცხო პირების მიერ დამუქრების ფაქტზე.
[499] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 236-237.
[500] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 23 თებერვლის №13/10329 წერილი.
[501] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, 165-167.
[502] გამოძიება, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობდა (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) გაგრძელდა.
[503] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 23 თებერვლის №13/10329 წერილი.
[504] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/33g0SLI > ; < https://bit.ly/3dCjTJU > ;< https://bit.ly/3pGDspR > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

თბილისის მუნიციპალიტეტის მერმაც, რაც მედიასაშუალებების მხრიდან უწყების საქმიანობის შესახებ გარკვეული ინფორმაციის გაუშუქებლობის მოტივით ახსნა.[505]

საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებს მედიის განსაკუთრებულ ფუნქციაზე, გაავრცელოს საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ინფორმაცია და ხელი შეუწყოს ინფორმირებულ საჯარო დებატებს ასეთ საკითხებთან დაკავშირებით, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის სათანადო ჩართულობის აუცილებელი წინაპირობაა. თავის მხრივ, ინფორმაციაზე წვდომის უფლებისთვის საფრთხის შექმნა, მნიშვნელოვნად აზიანებს ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს და სამართლის უზენაესობას.

ამდენად, მნიშვნელოვანია, ხელისუფლების წარმომადგენლებმა უზრუნველყონ ჟურნალისტების საქმიანობისთვის უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემოს შექმნა. ამ მიზნით, აუცილებელია, ერთი მხრივ, დროულად და ეფექტიანად იქნეს გამოძიებული მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულები, ხოლო, მეორე მხრივ, გარანტირებული იყოს მათი დაუბრკოლებელი წვდომა ხელისუფლების ხელთ არსებულ ყველა სახის საჯარო ინფორმაციაზე, მათ შორის, გამართულ საინფორმაციო ბრიფინგებზე დაშვებისა და მათთვის სასურველი კითხვების დასმის შესაძლებლობის მინიჭების გზით.

9.3. მაუწყებლის პროგრამების შინაარსობრივი კონტროლი

2021 წლის დასაწყისში, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მაუწყებლის პროგრამების შინაარსის მონიტორინგისთვის, უხამსობის შემცველი პროგრამების განთავსების ამკრძალავი ნორმის ამოქმედება დაიწყო და „მთავარი არხის" სამართალდამრღვევად ცნობით, პრაქტიკაში ამ მიმართულებით საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების პრეცედენტი დაამკვიდრა. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ეს კანონმდებლობის არასათანადო განმარტების შედეგი იყო, რასაც მსუსხავი ეფექტი ჰქონდა მაუწყებლების მიერ გამოხატვის თავისუფლების რეალიზებაზე.[506]

მაუწყებლების პროგრამების შინაარსობრივი კონტროლის თვალსაზრისით, საყურადღებოა აგრეთვე წინასაარჩევნო პერიოდში, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „მთავარი არხის" მიმართ, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამების[507] კანონდარღვევით გავრცელებისთვის შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი[508] და ამ საქმეზე მიღებული

---

[505] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3GskwSt > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

[506] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 229-233.

[507] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ჯ" ქვეპუნქტის შესაბამისად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა განიმარტება, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას/ხელის შეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ/საპლებისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

[508] ოქმის თანახმად, 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, „მთავარმა არხმა" საქართველოს საარჩევნო კოდექსის 186-ე მუხლის მე-19 და მე-20 პუნქტები დაარღვია. კერძოდ, მაუწყებლის ეთერში, მაუწყებლის ინიციატივით, განთავსდა ისეთი პოლიტიკური ვიდეორგოლები, რომლებიც არ აკმაყოფილებდა ამ კოდექსის 186-ე მუხლის მე-19 პუნქტით დადგენილ

პირველი და მეორე ინსტანციის განსხვავებული განმარტებები.[509] თავდაპირველად სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სადავო შინაარსი არ მიეკუთვნებოდა წინასაარჩევნო რეკლამის კატეგორიას,[510] თუმცა მოგვიანებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება და საქმე ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნა,[511] რასაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ თავდაპირველად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა და „მთავარი არხისთვის" ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება მოჰყვა.[512] საგულისხმოა, რომ წინა შემთხვევისგან განსხვავებით, ამჯერად სასამართლომ სხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცა პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის საკანონმდებლო განმარტებას და მათ შორის, მიიჩნია, რომ ასეთად დაკვალიფიცირებისთვის, აუცილებელი პირობა არ იყო რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის მონაცემების ასახვა. „მთავარმა არხმა" ეს გადაწყვეტილებაც გაასაჩივრა.

ხსენებული შემთხვევა კარგად წარმოაჩენს წინასაარჩევნო რეკლამის განმარტებასთან დაკავშირებულ არაერთგვაროვან მიდგომას, რაც მისი დეფინიციის არასაკმარისი სიცხადით ფორმულირების პრობლემაზე მეტყველებს. ამდენად, აუცილებელია, ყველა დაინტერესებული პირის, მათ შორის, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, მედიასაშუალებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სხვა უფლებადამცველების მონაწილეობით, დროულად დაიწყოს კონსულტაციები ამ თვალსაზრისით მოქმედი ნორმის გასაუმჯობესებლად.

გარდა ამისა, გასული წლების მსგავსად, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან კვლავ გამოვლინდა მაუწყებლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევა არაწინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკური რეკლამის განთავსების გამო, მათ შორის, „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის მოქმედებაც პოლიტიკური შინაარსის რეკლამაზე არ ვრცელდება.[513] სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს არასაარჩევნო რეკლამის მარეგულირებელ წესებს და, შესაბამისად, პირდაპირ არ კრძალავს არასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსებას. ამდენად, კომისიის მიერ გამოყენებული აკრძალვა და მისი დასაბუთება ვერ აკმაყოფილებს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერების, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.[514]

ფორმალურ კრიტერიუმებს და რომელიც აღემატებოდა იმ ფასიან თუ უფასო საეთერო დროის ხანგრძლივობას, რომელიც საარჩევნო სუბიექტს ჰქონდა შეძენილი/კანონის შესაბამისად ეკუთვნოდა.

[509] ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეხებოდა „მთავარი არხის" მიერ მომზადებულ 2 პროდუქტს ჰეშთეგებით - „#თავისუფლებამიშას", „#თავისუფლებისათვის". ვიდეორგოლი შეიცავდა მიხეილ სააკაშვილის, ვარდების რევოლუციისა და მისი პრეზიდენტობის ამსახველ კადრებს. ერთ-ერთი ვიდეოს ბოლოს კი, ტელეკომპანია მაყურებლებს მოუწოდებდა, შეერთებოდნენ 14 ოქტომბერს დაგეგმილ აქციას.

[510] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ოქტომბრის №4/6707-21 დადგენილება.

[511] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 6 დეკემბრის №4ა/755-21 დადგენილება.

[512] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 დეკემბრის №4/8024-21 დადგენილება.

[513] გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3ISDWki > [12.02.2022].

[514] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 232-233 და საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 232.

ზემოხსენებული მაგალითები მიუთითებს, რომ ქვეყანაში პრობლემურია გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი, მათ შორის, ფართოდ ფორმულირებული საკანონმდებლო ნორმების განმარტება, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, უფლების გაუმართლებელი შეზღუდვით სრულდება. ამავე პრობლემას კარგად წარმოაჩენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2021 წლის 22 ივლისს მიღებული გადაწყვეტილებაც საქმეზე, „გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ", რომელშიც არაეთიკური რეკლამის განთავსების გამო მომჩივანის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა[515], ეროვნული სასამართლოების მიერ რელევანტური დასაბუთების წარმოუდგენლობის პირობებში, გაუმართლებლად იქნა მიჩნეული.

საყურადღებოა, რომ უშუალოდ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის ცალკეული ნორმები, რომლებსაც კომუნიკაციების ეროვნული კომისია მაუწყებლების პროგრამების შინაარსობრივი კონტროლისა და მაუწყებლების სანქცირებისთვის იყენებს, ამჟამად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოშია გასაჩივრებული.[516] მოსარჩელეები, მათ შორის, მიუთითებენ, რომ სადავო ნორმები ბუნდოვანი და განუჭვრეტელია. ხსენებული კანონის საფუძველზე, ცალკეული შინაარსობრივი მოთხოვნის დარღვევის გამო პასუხისმგებლობის დაკისრების პრობლემურობას აღიარებს თავად კომუნიკაციების ეროვნული კომისიაც და მას საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასთან, ასევე, მაუწყებლობის სფეროს საუკეთესო ინტერესებთან შეუსაბამოდ მიიჩნევს.[517] ამავე დროს, კომისია მიუთითებს, რომ ხარვეზის აღსამოფხვრელად, მზადდება საკანონმდებლო წინადადება.[518]

ამის გათვალისწინებით, ხარვეზიანი კანონმდებლობიდან მომდინარე ცენზურის თუ თვითცენზურის თავიდან არიდების მიზნით, მნიშვნელოვანია, საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე დავების დასრულებამდე ან/და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გატარებამდე, კომუნიკაციების ეროვნული კომისია განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდოს მაუწყებლების მიმართ ამდაგვარი საქმეების განხილვას. ამასთანავე, სახალხო დამცველი მოუწოდებს კომისიას, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით წინადადებების მომზადების პროცესში, უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის (მათ შორის, მაუწყებლების, არასამთავრობო სექტორისა და სახალხო დამცველის აპარატის) ეფექტიანი ჩართულობა.

---

[515] დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 157-158.

[516] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის №1/2/1537 საოქმო ჩანაწერი და „შპს მთავარი არხის" 2021 წლის 13 აპრილის №1589 კონსტიტუციური სარჩელი.

[517] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2022 წლის 31 იანვრის №გ-22-03/187 წერილი, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3gECHJR > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

[518] იქვე.

9.4. გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო ინიციატივები

საანგარიშო წელს კვლავ[519] გაგრძელდა ეროვნულ დონეზე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვის სამწუხარო ტენდენცია.

კერძოდ, 2021 წლის 13 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებულ იქნა ცვლილებების შეტანა საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში.[520] შემოთავაზებული ცვლილებებით, ასევე იგეგმება იმგვარი სააგიტაციო მასალის საჯარო სივრცეში გავრცელების აკრძალვა, რომელიც გამიზნულია საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შესაქმნელად, აგრეთვე, მსგავსი მიზნის მქონე წინასაარჩევნო რეკლამის ეთერში განთავსება.

აკრძალვით გათვალისწინებული გამოხატვის შინაარსის მსგავსი ფართო ფორმულირების პირობებში, მნიშვნელოვნად იზღუდება პოლიტიკოსებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების კრიტიკა. თავის მხრივ, მსგავსი მიდგომა შეუსაბამოა გამოხატვის თავისუფლების სტანდარტებთან, რომლის თანახმადაც, მაღალი დაცულობით სარგებლობს გამოხატვა, რომელიც პოლიტიკური შინაარსისაა[521] ან/და პოლიტიკოსებისკენ[522] არის მიმართული, რადგან მათი დასაშვები კრიტიკის საზღვრები ფართოა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი წინასაარჩევნო აგიტაციას უკავშირებს არა მხოლოდ იმგვარ ქმედებას და მოწოდებას, რომელსაც საარჩევნო სუბიექტისა თუ საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდამჭერი ხასიათი აქვს და მის არჩევას უწყობს ხელს, არამედ ისეთსაც, რომელიც მათ წინააღმდეგ არის მიმართული ან/და მიზნად ისახავს მათი არჩევის ხელშეშლას.[523] ამდენად, კოდექსი საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის კრიტიკას და მისი საწინააღმდეგო ნარატივის გავრცელებას საარჩევნო პროცესის ბუნებრივ თანმდევ ნაწილად მიიჩნევს, რის ფონზეც, კიდევ უფრო ნათლად იკვეთება შემოთავაზებული ცვლილებების გაუმართლებელი ხასიათი.

---

[519] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 225.

[520] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3uLlrKe > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

[521] იხ. მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ*, პარ. 51; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Baka v. Hungary*, პარ. 159; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Ceylan v. Turkey*, პარ. 34.

[522] იხ. მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, *Dickinson v. Turkey*, პარ.55; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, Mladina D.D. Ljubljana v. Slovenia, პარ. 40; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, *Tuşalp v. Turkey*, პარ. 45; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Oberschlick v. Austria*, პარ. 29.

[523] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 2, ქვეპუნქტი "ჰ[1]".

ცალკე ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეფასებით, მედიასაშუალებებს არ შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა მათ მიერ განთავსებული პოლიტიკური რეკლამის შინაარსის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი უკანონოდ არის ცნობილი სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად ან შეიცავს ძალადობრივი ქმედებისკენ პირდაპირ მოწოდებას.[524] შესაბამისად, შემოთავაზებული ცვლილებები დამატებით ზედმეტ და გაუმართლებელ ტვირთს დააკისრებს მაუწყებლებს.

წინადადება

საქართველოს პარლამენტს:

- მხარი არ დაუჭიროს 2021 წლის 13 ოქტომბერს ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში.

რეკომენდაცია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- აწარმოოს სპეციალური სტატისტიკა, რომელიც ასახავს არა მხოლოდ ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის დანაშაულს, არამედ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ ყველა იმ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება.

[524] ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო მოხსენება საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ (2018 წლის 28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი), 18, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3BeOwA5 > [ბოლოს ნანახია 12.02.2022].

10. შეკრების თავისუფლება

10.1. შესავალი

გასული წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდში, ქვეყანაში, ძირითადად, პოლიტიკური შინაარსის, სხვადასხვა მასშტაბის მრავალი შეკრება გაიმართა. მათი ნაწილის მიმდინარეობამ წარმოაჩინა, ერთი მხრივ, შეკრების თავისუფლების სრულფასოვნად რეალიზების უზრუნველსაყოფად, სამართალდამცავებისთვის დაკისრებული ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების პრობლემა, ხოლო, მეორე მხრივ, უფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს დროული დახვეწის აუცილებლობა.

გარდა ამისა, 2021 წლის 5 ივლისს განვითარებულმა მოვლენებმა ცხადად დაადასტურა, რომ ქვეყანაში მკვეთრად გაუარესდა ლგბტქი+ თემისა და მათი მხარდამჭერების მხრიდან შეკრების თავისუფლებით სარგებლობის კუთხით არსებული ვითარება. ამ ძალადობრივმა ინციდენტებმა, კიდევ ერთხელ წარმოაჩინა შეკრების გასაშუქებლად ადგილზე მყოფი მედიის წარმომადგენლების დაცულობის მნიშვნელობა.

საანგარიშო წლის პირველ ნახევარში, შეკრების უფლების რეალიზებაზე გავლენას ახდენდა პანდემიის საპასუხოდ დაწესებული შეზღუდვები.[525] კერძოდ, ღამის საათებში, გადაადგილების აკრძალვამ და მისი დარღვევის გამო, აქციის მონაწილეთა დაჯარიმებამ არაერთხელ გამოიწვია შეკრების უფლებაში ჩარევა.[526] მართალია, 2021 წლის ივნისში, გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვა მოიხსნა,[527] ხოლო სექტემბერში, პირებს, რომლებსაც პანდემიის გამო დაწესებული რეგულაციებისთვის ადმინისტრაციული ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრათ, ამნისტია შეეხოთ,[528] თუმცა, ხსენებულმა ღონისძიებებმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა მანამდე მოქმედი ბლანკეტური აკრძალვის საფუძველზე, მოქალაქეთა შეკრების თავისუფლებაში ჩარევის დაუსაბუთებელი ხასიათი.

შეკრების თავისუფლებით სარგებლობის კუთხით 2021 წელს არსებულმა მდგომარეობამ დაადასტურა, რომ კვლავ აქტუალურია შეკრების თავისუფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები, რომლებიც 2020 წლის სპეციალურ ანგარიშში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება" (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი) შეფასდა.[529] ანგარიშში ასახული რეკომენდაციები მიმართულია კანონმდებლობასა და პრაქტიკაში წლების განმავლობაში გამოვლენილი ხარვეზების

---

[525] დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 241-244.

[526] მაგ., აპარატის ინფორმაციით, გადაადგილების აკრძალვის დარღვევის გამო პირთა სანქცირება მოხდა თბილისში 2021 წლის 24 იანვარს და 6 თებერვალს, ბათუმში - 2021 წლის 6 თებერვალს და სოფელ გუმათში 2021 წლის 3 აპრილს.

[527] საქართველოს მთავრობის 2021 წლის 22 ივნისის №294 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხ. 1, პუნ. 1 და მუხ. 2.

[528] 2021 წლის 9 სექტემბრის კანონი (924-VIმს-Xმპ) „ამნისტიის შესახებ" და 2021 წლის 7 სექტემბრის კანონი (923-VIმს-Xმპ) „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ".

[529] ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3HT75v3 > [ბოლოს ნანახია 07.03.2022].

აღმოფხვრისკენ, რაც სახელმწიფოსგან დროული საპასუხო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

10.2. 5 ივლისს განვითარებული მოვლენები

გასული წლების მსგავსად, კვლავ კრიტიკულია მდგომარეობა ლგბტქი+ თემის შეკრების თავისუფლების რეალიზაციის კუთხით.[530] ამ მხრივ, 2021 წლის 5 ივლისს, თბილისში განვითარებულმა ძალადობრივმა მოვლენებმა ცხადად დაადასტურა, რომ ვითარება არათუ გაუმჯობესდა, არამედ მკვეთრად გაუარესდა.

სახალხო დამცველი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და პრემიერ-მინისტრს ჯერ კიდევ 2019 წელს მოუწოდებდა ბოლო წლებში ლგბტქი+ თემის წარმომადგენლების გამოხატვის და შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ინდივიდუალური ფაქტების სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე გააზრებისა და ამ მიმართულებით ერთიანი პრევენციული და რეაქტიული ღონისძიებების დაგეგმვისკენ.[531] ამასთანავე, მიუთითებდა, რომ საგანგაშო იყო ულტრამემარჯვენე ჯგუფების გაძლიერების მაჩვენებელი და მნიშვნელოვანი იყო ამ ჯგუფების ლიდერების განცხადებებს სათანადო და სწრაფი სამართლებრივი რეაგირება მოჰყოლოდა.[532] არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, 2021 წელს, „ღირსების მარშის" გამართვამდე, სახალხო დამცველმა დამატებით მოუწოდა კომპეტენტურ ორგანოებს და თანამდებობის პირებს, წინა წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაეტარებინათ სათანადო ღონისძიებები, რომელიც შეკრების მონაწილეების უსაფრთხოებას და მათ უფლებებს რეალურად დაიცავდა.[533]

თუმცა, 2021 წლის 5 ივლისს, ხელისუფლების მხრიდან უსაფრთხოების გარანტიების არარსებობისა და მიმდინარე ძალადობრივ ქმედებებზე არასათანადო რეაგირების გამო, „თბილისი პრაიდმა" „ღირსების მარშის" ჩატარებაზე უარი თქვა.[534] პარალელურად, ძალადობრივმა ჯგუფებმა შეძლეს, თავად დაეკავებინათ საპროტესტო სივრცე, მათი თავდასხმების შედეგად კი, მათ შორის,[535] ადგილზე მოვლენების გასაშუქებლად მყოფი მედიის 40-ზე მეტი წარმომადგენელი დაშავდა[536] და დაზიანდა უფლებადამცველთა

---

[530] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 246-247.

[531] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 4 ნოემბრის ზოგადი წინადადება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://cutt.ly/UTG7Dma > [ბოლოს ნანახია 28.02.2022].

[532] დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი, 23 < https://cutt.ly/DTP57nT > [ბოლოს ნანახია 28.02.2022].

[533] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IJJdM1> [ბოლოს ნანახია 28.02.2022].

[534] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3pteueh > [ბოლოს ნანახია 28.02.2022].

[535] განვითარებული მოვლენების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 40-44, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/35koGyX > [ბოლოს ნანახია 28.02.2022].

[536] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://cutt.ly/7Yj6oXO >; < https://cutt.ly/YYj6lAy > [ბოლოს ნანახია 28.02.2022].

ოფისები.[537] მართალია, ხსენებულ მოვლენებს წინ უსწრებდა და 5 ივლისსაც გაისმოდა „ღირსების მარშის" მოწინააღმდეგე ჯგუფების ლიდერებისა თუ სხვა წევრების საჯარო მოწოდებები ძალადობისკენ, და ამ მიზნით საზოგადოების მობილიზებისკენ, ამ ქმედებების აღსაკვეთად სამართალდამცავებს ქმედითი პრევენციული და რეაქციული ზომები არ მიუღიათ. მათ შორის, რუსთაველის გამზირზე არ ყოფილა მობილიზებული სამართალდამცავთა შესაბამისი დანაყოფების სათანადოდ მაღალი რაოდენობა.[538]

საქართველოს სახალხო დამცველი, კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას მშვიდობიანი შეკრების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოსთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე, მონაწილეთა დასაცავად, არა მხოლოდ საჭირო საპოლიციო რესურსის მობილიზება უზრუნველყოს, არამედ ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ჰომოფობიური განწყობების შემცირებას.[539] ამავეს მოწმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებაც საქმეზე, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ". ხსენებული გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2013 წლის 17 მაისის შეკრებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ სრული ინფორმირებულობის პირობებში, ხელისუფლებამ მაინც ვერ შეძლო ლგბტქი+ თემისა და მისი მხარდამჭერების დაცვა სათანადო ზომების მიღების გზით. ამ თვალსაზრისით, მოსალოდნელი ფართომასშტაბიანი არეულობისა და ძალადობის დროს, არასაკმარის რეაგირებად შეფასდა მანიფესტანტთა დასაცავად სათანადო სპეციალური საშუალებებით შეუიარაღებელი და დაუცველი საპატრულო პოლიციის თანამშრომლების ადგილზე განთავსება. ამავე დროს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ვერ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ ძალადობის უპრეცედენტო მასშტაბი, სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც გამოწვეული იყო დროული და ობიექტური გამოძიების ჩაუტარებლობით 2012 წლის 17 მაისის ინციდენტებზე, რასთან დაკავშირებითაც მან საქართველოს მიმართ დარღვევა დაადგინა 2015 წლის გადაწყვეტილებაში, „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ".

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის შეფასებით, 2021 წლის 5 ივლისს განვითარებული მოვლენების ამსახველი და საჯაროდ ხელმისაწვდომი მტკიცებულებები აღწევდა ბრალის წარდგენის სტანდარტს და საქართველოს გენერალურ პროკურატურას 2 პირის მიმართ ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ასევე, ძალადობრივი ქმედებებისკენ საჯარო მოწოდების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ წინადადებით

[537] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3huNo2e > ; < https://bit.ly/3hsCFFy >; <https://bit.ly/3MmNJC6 > [ბოლოს ნანახია 28.02.2022].
[538] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე, „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", პარ. 99.
[539] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ".

მიმართა.[540] სამწუხაროდ, ადრესატმა უწყებამ წინადადება არ გაიზიარა.[541] ამასთანავე, აპარატს ეცნობა, რომ ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისთვის, ბრალდება მხოლოდ სამ პირს წარედგინა „თბილისი პრაიდის" ოფისში შეჭრისა და დაზიანების ფაქტის გამო.[542]

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური მოძალადეების მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევებს,[543] ისინი ლგბტქი+ თემის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის კუთხით შექმნილი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, არ შეიძლება საკმარისი რეაგირების ფორმად ჩაითვალოს. ამის საწინააღმდეგოდ, მნიშვნელოვანია როგორც ამგვარი ძალადობის ორგანიზატორების მიმართ მკაცრი მიდგომის გამოვლენა სახელმწიფოს მხრიდან, ასევე, სხვა ეფექტიანი და დროული პრევენციული ღონისძიებების გატარება ძალადობის თავიდან ასარიდებლად.

საყურადღებოა, რომ მედიის წარმომადგენელთა დაშავების ფაქტები შეკრების მონაწილეთა წინააღმდეგ სამართალდამცავთა მიერ ძალის გამოყენების დროსაც გამოვლინდა 2019 წლის 20-21 ივნისს და 2020 წლის 8 ნოემბერს,[544] თუმცა დანაშაულის ჩამდენი პირების პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.[545] მსგავსი გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს სახალხო დამცველმა წარსულში არაერთხელ მიუთითა მედიის წარმომადგენელთა დაცულობის თვალსაზრისით, საქართველოს კანონმდებლობის ნაკლოვანებებზე და მისი დახვეწის საჭიროებაზე.[546]

10.3. შეკრების გამართვის ადგილზე დაწესებული შეზღუდვები

საანგარიშო წლის განმავლობაში, ხელისუფლების მხრიდან არაერთხელ გამოიკვეთა სასურველ ადგილას მშვიდობიანი შეკრების გამართვის ხელშეწყობის ვალდებულების შეუსრულებლობა.

---

[540] საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3K4Gb51> [ბოლოს ნანახია 28.02.2022].

[541] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 9 დეკემბრის წერილი №13/74440.

[542] იქვე.

[543] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 42-43.

[544] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 245-246.

[545] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 23 თებერვლის №13/10290 წერილის შესაბამისად, 2019 წლის 20-21 ივნისს, სამართალდამცავთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობითა და იარაღით გადამეტების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, დაზარალებულად ცნობილია სულ 11 ჟურნალისტი, ხოლო 2020 წლის 9 ნოემბერს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ შენობასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან შეკრების მონაწილეების მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, კონკრეტული პირი დაზარალებულად ცნობილი არ არის.

[546] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), 32-34, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3Iy5IJ7 > [ბოლოს ნანახია 28.02.2022]; იხ. აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 239, 249.

ამ კუთხით, საყურადღებოა ნამახვანჰესის საპროტესტო აქციის მიმდინარეობა 2021 წლის 3 აპრილს, როდესაც პოლიციამ საპროტესტო ადგილამდე მისასვლელი გზები გადაკეტა,[547] რის გამოც, შეუძლებელი გახდა აქციას სხვა მხარდამჭერები შეერთებოდნენ.[548] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამას პერმანენტული აქციების ცალკეულ მონაწილეთა მხრიდან ჰესის მშენებლობის წინა მოსამზადებელ სამუშაოებში ჩართული პირებისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებით და კომპანიის ქონების დაზიანების შემთხვევით ხსნიდა.[549] სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ შეკრების თავისუფლების რეალიზებას ყველა ადამიანი ინდივიდუალურად ახდენს, ხოლო ცალკეულ პირთა ან პირთა მცირე ჯგუფების სიტყვიერი ან ფიზიკური აგრესიის თუ ძალადობის აქტები, მით უფრო, ამის ცალკეული შემთხვევა, არ უნდა აბათილებდეს იმ ადამიანთა უფლებას, რომლებიც მშვიდობიან ქცევას განაგრძობენ.[550] მსგავს შემთხვევებში, ნებისმიერი სახის ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონკრეტული ინდივიდების ძალადობრივ თუ სხვაგვარ ქმედებებზე თანაზომიერ პასუხს და არა მთელი შეკრების მიმართ შეზღუდვების დაწესებას.[551]

მოგვიანებით, 2021 წლის 11 აპრილს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეკრებილ პირთა უფლება სოფელ ნამახვანში განთავსებული კარვების ადგილიდან გატანის გზით შეზღუდა,[552] რაც გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ჰიდროლოგიური მონაცემებით ახსნა.[553] საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ამ შემთხვევაში, სამინისტროს აქციის გასაგრძელებლად უნდა გამოეყო ალტერნატიული ადგილი სასურველთან ახლომდებარე ლოკაციაზე, რომლის ადგილმდებარეობაც არსს არ დაუკარგავდა მოქალაქეთა თავშეყრის მიზანს.[554] მიუხედავად ამისა, მსურველებს საპროტესტო აქციების გაგრძელების შესაძლებლობა მხოლოდ სოფელ გუმათში მიეცათ. მნიშვნელოვანია მითითება სახელმწიფოს ვალდებულებაზე, ხელი შეუწყოს ნებისმიერი სახის მშვიდობიანი შეკრების ჩატარებას და უზრუნველყოს მისი გამართვა იმგვარად, რომ

---

[547] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3HNyiQV > [ბოლოს ნანახია 13.02.2022].

[548] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3GGuJKZ > [ბოლოს ნანახია 13.02.2022].

[549] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 21 მაისის წერილი №1279949.

[550] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, 18, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3uNAvrN > [ბოლოს ნანახია 13.02.2022].

[551] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარა. 164, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uNAHY3 > [ბოლოს ნანახია 13.02.2022].
ამ საკითხთან დაკავშირებით, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება" (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), 14-20, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3GO1V3d > [ბოლოს ნანახია 13.02.2022].

[552] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/34WQKYN > [ბოლოს ნანახია 13.02.2022].

[553] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 21 მაისის წერილი №1279949.

[554] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Bk9aPl> [ბოლოს ნანახია 13.02.2022].

სამიზნე აუდიტორიისთვის შესაძლებელი იყოს შეტყობინების მიწოდება, თუ სახეზე არ არის კონკრეტული შეზღუდვის დაწესების დაუძლეველი მიზეზი.[555] უფლებაში ჩარევის პროპორციულობასთან დაკავშირებული პრობლემა კიდევ უფრო კარგად წარმოაჩინა პროტესტის მონაწილეებისთვის ნამახვანამდე გადაადგილების აკრძალვის ხანგრძლივობამ.

შეკრების ადგილის არჩევის უფლების შეზღუდვა, რამდენიმე შემთხვევაში, აგრეთვე გამოიკვეთა პოლიტიკური შინაარსის აქციების მიმდინარეობისას, როდესაც მათი მონაწილეები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მდებარე ადმინისტრაციული შენობების შესასვლელების ბლოკირებას ან ტრანსპორტის სავალ ნაწილზე გადასვლას ცდილობდნენ.[556] მსგავს შემთხვევებს თან სდევდა ადმინისტრაციული წესით პირთა მასობრივი დაკავება. მართალია, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს ადმინისტრაციულ შენობათა ბლოკირებასთან[557] და ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვასთან[558] დაკავშირებით, თუმცა კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი შეკრებას არ ართმევს მშვიდობიან ხასიათს,[559] რაც სახელმწიფოს გარკვეული ხარისხის შემწყნარებლობის გამოჩენას აკისრებს.[560] ამ საკითხზე საქართველოს სახალხო დამცველმა ვრცლად ისაუბრა სპეციალურ ანგარიშში, „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება" (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი),[561] რომელშიც აგრეთვე გასცა რეკომენდაცია შეკრების გამართვის ადგილთან დაკავშირებული ბლანკეტური აკრძალვების გაუქმებისა და ამის საპირწონედ, შეზღუდვის დაწესების კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, უფლებამოსილი უწყებისთვის საკითხის ინდივიდუალური გადაწყვეტის შესაძლებლობის მინიჭების შესახებ.[562]

---

[555] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარა. 3.5 და პარა. 2.2; იხ. აგრეთვე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, №37 ზოგადი კომენტარი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების თაობაზე (მუხლი 21), 17 სექტემბერი 2020, პარა. 22, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/34Io7hY > [ბოლოს ნანახია 13.02.2022].

[556] მსგავსი შემთხვევები გამოვლინდა, მათ შორის, 2021 წლის 10 ნოემბერს, 12 ნოემბერს და 29 ნოემბერს, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/364YQil>;<https://bit.ly/3Jmkltu>; <https://bit.ly/34Bmt1L > [ბოლოს ნანახია 14.02.2022].

[557] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 9.

[558] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 11^1.

[559] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, №37 ზოგადი კომენტარი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების თაობაზე (მუხ. 21), 17 სექტემბერი 2020, პარა. 16; ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, 14-15.

[560] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *Oya Ataman v. Turkey*, პარ. 39-42.

[561] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიში - მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება" (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), 23-27, 29-30.

[562] იქვე, 63-64.

10.4. კარვის განთავსების შეზღუდვა შეკრების მიმდინარეობისას

წინა წლების მსგავსად,[563] საანგარიშო პერიოდში, კვლავ სისტემურ პრობლემად გამოიკვეთა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან შეკრების მონაწილეებისთვის კარვის განთავსების შესაძლებლობის შეზღუდვა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიებზე.[564] გარკვეულ შემთხვევებში, მსგავს ფაქტებს ადგილზე სიტუაციის ესკალაცია და შეკრებილ პირთა დაკავება მოჰყვა.

საქართველოს სახალხო დამცველი წარსულში არაერთხელ გამოეხმაურა შეკრების მონაწილეებისთვის კარვის განთავსების შეზღუდვის ფაქტებს და განმარტა, რომ მსგავსი დროებითი კონსტრუქციების გამოყენება შეკრების თავისუფლებით არის დაცული, ხოლო ხსენებული შესაძლებლობის ჩამორთმევა გაუმართლებელია, როდესაც კარვის განთავსების შედეგად, ადგილი არ აქვს შენობის შესასვლელის ბლოკირებას ან სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხებას.[565] მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეკრების მონაწილეთათვის კარვების ფლობის შეზღუდვისთვის უსაფრთხოებისა და პირთა შეუფერხებელი გადაადგილების ხელშეშლის თავიდან აცილების მიზნებზე მიუთითა, არცერთ შემთხვევაში არ წარმოუდგენია სათანადო არგუმენტაცია, რაც ამგვარი ინტერესების დაცვის აუცილებლობას თუ საჭიროებას დაადასტურებდა.[566] თავის მხრივ, აბსტრაქტულ საფრთხეებზე მითითება უფლებაში ჩარევის მართლზომიერ საფუძველს არ წარმოშობს.

10.5. შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული დაკავების პრაქტიკა

როგორც წინამდებარე თავში განხილული და 2021 წლის განმავლობაში გამოვლენილი სხვა მაგალითებით დადასტურდა, გასული პერიოდის მსგავსად, შეკრების მართვისას, სამართალდამცავები კვლავ აქტიურად მიმართავდნენ მონაწილეების ადმინისტრაციული წესით დაკავებას წვრილმანი ხულიგნობისა[567] და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის[568] გამო. მსგავსი ფაქტები სახალხო დამცველმა წარსულში შეაფასა მავნე პრაქტიკად, რომელიც უმეტესად ვერ პასუხობს აუცილებლობის მოთხოვნას და შეკრების თავისუფლებაში დაუსაბუთებელი ჩარევის სახეს იღებს.[569]

---

[563] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 159-160; საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, 171-172.

[564] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3gM6110 > ; <https://bit.ly/34FN3Xp> ; <https://bit.ly/3gJWFD3 > ; < https://bit.ly/3sXN2qf > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[565] იხ. სახალხო დამცველის განცხადებები, ხელმისაწვდომია ვებგვერდებზე: <https://bit.ly/3qEvQ6s>; <https://bit.ly/3ptyoml > ; < https://bit.ly/3qA8orf > ; < https://bit.ly/3qzv5fa > [ბოლოს ნანახია 13.02.2022]; იხ. აგრეთვე სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 159-160.

[566] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 15 ივლისის №1850997 და 28 ივლისის №1979244 წერილები.

[567] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი.

[568] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი.

[569] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 240.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მითითებით, შეკრების მონაწილეთა დაკავება ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი ქმედებების ჩადენის გამო, მკაცრ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების გათვალისწინებით და რადგან შეკრების თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევა დროის მიმართ მგრძნობიარე მოვლენაა.[570] ამდენად, დაკავება მხოლოდ ყველაზე გადაუდებელ შემთხვევებში უნდა განხორციელდეს, როდესაც ნათელია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული სისხლისსამართლებრივი დანაშაულების ჩადენა მოხდება.[571] ამავე დროს, პირთა განურჩეველი მასობრივი დაკავება შეკრებამდე, მისი მიმდინარეობისას ან მის შემდეგ, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ თვითნებურ, და ამდენად, უკანონო პრაქტიკად ფასდება.[572]

სწორედ ზემოხსენებული მიზეზების გამო, უმნიშვნელოვანესია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშაოს შესაბამისი პროტოკოლი, რომელშიც ასახული იქნება შეკრების მონაწილეთა კანონიერი შეჩერებისა და ჩხრეკის თუ დაკავების სპეციფიკური და ნათელი წესები.[573] მსგავსი პროტოკოლები უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს და შეიცავდეს სახელმძღვანელო მითითებებს იმის თაობაზე, თუ როდის არის ზემოხსენებული ღონისძიებებისთვის მიმართვა მიზანშეწონილი, როგორ უნდა გამოიყენებოდეს ისინი პრაქტიკაში და როგორ უნდა მოეპყრას სამართალდამცავი სტრუქტურა ინდივიდებს დაკავების შემდეგ.[574]

საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ სამართღალდარღვევათა კოდექსში არ არის გათვალისწინებული კონკრეტული მტკიცებულებითი სტანდარტი და მტკიცების ტვირთის განაწილება, რის გამოც კოდექსი პირის სამართალდამრღვევად ცნობას უშვებს მხოლოდ ოქმისა და მისი შემდგენი პირის განმარტების საფუძველზე. შედეგად, სასამართლო გადაწყვეტილებების უმრავლესობა დაუსაბუთებელია და შაბლონური ხასიათი აქვს. რაკი კოდექსი ადმინისტრაციულ ორგანოს მტკიცების ტვირთს არ აკისრებს, ხშირია უდანაშაულობის პრეზუმფციის პირის საწინააღმდეგოდ გამოყენება და მოსამართლეების მხრიდან პირისთვის მოთხოვნა, ამტკიცოს საკუთარი არაბრალეულობა. კოდექსის სხვადასხვა მუხლები ერთმანეთის დისპოზიციებს კვეთს, რის გამოც, ერთი ქმედების გამო პასუხისმგებლობა ხელოვნურად მძიმდება. დაუსაბუთებელია სასამართლოს დადგენილებები სახდელის გამოყენების თვალსაზრისითაც - კოდექსში

[570] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, 109-110; ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარა. 108.

[571] *იქვე.*

[572] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, №37 ზოგადი კომენტარი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების თაობაზე (მუხ. 21), 17 სექტემბერი 2020, პარა. 82.

[573] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარა. 161.

[574] იქვე.

დასაბუთებულობის სტანდარტის არარსებობის პირობებში, გადაწყვეტილებებში არ მიეთითება სახდელის გამოყენების მიზეზი და საფუძველი.[575]

წინადადება
საქართველოს პარლამენტს:

- უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება" (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი) ასახული რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:
    - განიმარტოს სხვადასხვა სახის შეკრების (მათ შორის, სპონტანური და ერთდროული შეკრებები) ცნება და მოწესრიგდეს მათი გამართვის წესთან დაკავშირებული საკითხები;
    - გაუქმდეს შეკრების გამართვის ადგილთან დაკავშირებული ბლანკეტური აკრძალვები და უფლებამოსილ უწყებას მიენიჭოს საკითხის ინდივიდუალურად გადაწყვეტის შესაძლებლობა, შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საერთაშორისო და კონსტიტუციური სტანდარტის შესაბამისად;
    - დადგინდეს სამართალდამცავთა მოქმედების სტანდარტი შეკრების დროს ძალადობის გამოვლენის შემთხვევებში. მათ შორის, დეტალურად დარეგულირდეს მოსალოდნელი ძალის გამოყენების შესახებ შეკრების მონაწილეთა წინასწარი გაფრთხილების წესი;
    - ვითარების ესკალაციისა და უფლებაში ძალისმიერი ჩარევის მაქსიმალურად თავიდან ასარიდებლად, საკანონმდებლო დონეზე დაინერგოს შეკრების მონაწილეებთან დიალოგისა და მოლაპარაკების წარმოების მექანიზმი;
    - გაიმიჯნოს და დეტალურად განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისა და სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციები შეკრების მართვის პროცესში.

რეკომენდაცია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- ადამიანის უფლებათა ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, შეიმუშაოს შესაბამისი პროტოკოლი, რომელშიც ასახული იქნება შეკრების მონაწილეთა შეჩერებისა და ჩხრეკის, ასევე დაკავების წესები.

[575] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, 145-146; 2019 წლის ანგარიში, 157-159; დაწვრილებით იხ: სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში, 463-468.

11. ინფორმაციის თავისუფლება

საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ღიაობის და მათზე სათანადო საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების წინაპირობას. ამ უფლების რეალიზაცია ხელს უწყობს როგორც უწყებათა ანგარიშვალდებულების ამაღლებას, ასევე, მათი საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას.[576] საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად ადევნებდა თვალს საანგარიშო პერიოდში ამ უფლების რეალიზების კუთხით არსებულ გამოწვევებს.

სახალხო დამცველის შეფასებით, ქვეყანაში მოქმედი ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა ხარვეზიანია და ძირეულ რეფორმას საჭიროებს საერთაშორისო სტანდარტებთან მისასადაგებლად.[577] მათ შორის, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სახალხო დამცველმა ვრცლად განიხილა ის პრობლემები, რომლებიც საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლების განხორციელებას უკავშირდება.[578]

საანგარიშო პერიოდში, კვლავ გამოწვევად დარჩა საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი კერძო სამართლის სუბიექტის მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა იმ მიზეზით, რომ ის თითქოს არ არის ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულება.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებო იყო საერთო სასამართლოებში მიმდინარე დავა, რომელიც შეეხებოდა ა(ა)იპ „მედიააკადემიის" მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას სწორედ იმ საფუძვლით, რომ იგი არ არის ადმინისტრაციული ორგანო. საგულისხმოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით,[579] დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და ა(ა)იპ „მედიააკადემიას" დაევალა სადავო ინფორმაციის გაცემა. სასამართლომ მიუთითა, რომ ხსენებული იურიდიული პირი სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე,[580] ჩამოყალიბებული იყო საჯარო უფლებამოსილების განსახორციელებლად - საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განსავითარებლად, და ამის გათვალისწინებით, ფუნქციურად მოქმედებდა, როგორც ადმინისტრაციული ორგანო. სააპელაციო სასამართლოში დავის გაგრძელების შემდეგ, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, შეესრულებინა სასამართლოს მეგობრის ფუნქცია და სასამართლოს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა ადმინისტრაციული ორგანოს ცნებისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზების მიზნით, ამ ცნების

---

[576] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე, *საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ*, II,პ.5.

[577] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, 174; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 250.

[578] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 250-252.

[579] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №3/2660-20.

[580] იხ. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 14[1], პუნქტი 3.

განმარტების მნიშვნელობასთან დაკავშირებით.[581] მათ შორის, დოკუმენტში, სახალხო დამცველმა მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტზე, რომლის თანახმადაც, მიუხედავად დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ის შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოდ, დაკისრებული საჯარო სამართლებრივი ფუნქციების განხორციელებისას.[582] აპარატის ინფორმაციით, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ა(ა)იპ „მედიააკადემიის" მოთხოვნა და ხსენებული გადაწყვეტილება, ამჟამად, საქართველოს უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული.

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განხილული ერთ-ერთი საქმის ფარგლებში, გამოიკვეთა შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციის[583] ცნების ზედმეტად ფართოდ განმარტების პრობლემაც. საუბარია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განმცხადებლისთვის ექსპერტიზის დასკვნისას გამოყენებული ერთ-ერთი დოკუმენტის - „ხარისხის და პროცედურების სახელმძღვანელო ხელმოწერაში" გადაცემაზე უარის თქმაზე. უწყება თავის გადაწყვეტილებას, მათ შორის, იმ გარემოებითაც ხსნიდა, რომ სადავო ინფორმაცია შიდა უწყებრივი ხასიათის სამუშაო დოკუმენტი იყო, რომლის გაცემის ვალდებულებასაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. სახალხო დამცველმა ამგვარი დასაბუთება არარელევანტურად მიიჩნია და რეკომენდაციით მიმართა უწყებას.[584]

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ წლიდან წლამდე გამოვლენილი ზემოხსენებული ხარვეზები ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო რეფორმის დროული გატარებისა და შესაბამისი საზედამხედველო ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობაზე მეტყველებს.[585] პრობლემას განსაკუთრებით ამწვავებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებასა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მექანიზმებს შორის არსებული დისბალანსი. იმ ფონზე, როდესაც, ერთი მხრივ, სპეციალური კანონი[586] პერსონალური მონაცემების დაცვაზე საზედამხედველო ეფექტიან ბერკეტს ქმნის, ხოლო, მეორე მხრივ, მსგავსი ქმედითი სისტემა არ არსებობს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საჯარო დაწესებულებები ხშირად სარგებლობენ ამ საკანონმდებლო გარემოთი და თავს არიდებენ ინფორმაციის გაცემას.

[581] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 6 აგვისტოს №04-5/7722 სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.
[582] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის №ბს-674-670(2კ-17) გადაწყვეტილება.
[583] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 99, ნაწილი 1.
[584] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 11 ნოემბრის რეკომენდაცია №04-5/10729.
[585] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 252.
[586] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- დასრულდეს ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ კანონპროექტსა და თანმდევ საკანონმდებლო ცვლილების პროექტებზე მუშაობა და მოახდინოს მათი ინიცირება საქართველოს პარლამენტში;
- რატიფიცირების მიზნით, ქვეყნის პარლამენტს წარუდგინოს ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის კონვენცია „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ."

12. უფლებადამცველები

დემოკრატიული საზოგადოებისთვის უფლებადამცველთა განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი განაგრძობს მათ წინაშე არსებული გამოწვევების შესწავლას.

2021 წელს, კვლავ აქტუალური იყო მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა მხრიდან დემოკრატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების დისკრედიტაციისკენ მიმართული განცხადებები,[587] რომლებიც, ძირითადად, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიასთან მათ დაკავშირებას ისახავდა მიზნად. ასევე გამოითქვა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის დამატებითი რეგულირების ინიციატივა[588] და გამოვლინდა აქტივისტებისთვის გამოხატვის შეურაცხმყოფელი ფორმით მიმართვა.[589] წარსულში, სახალხო დამცველი არაერთხელ გამოეხმაურა მსგავს ფაქტებს და შეაფასა მიუღებელ პრაქტიკად, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო დონეზე უფლებადამცველთა დაცვის უზრუნველსაყოფად შექმნილ გარანტიებს.[590]

საანგარიშო პერიოდში, საფრთხის შემცველი და მტრული გარემო შეიქმნა მედიის წარმომადგენლების, როგორც უფლებადამცველთა ერთ-ერთი ჯგუფის მიმართ, რაც მკაფიოდ წარმოაჩინა 2021 წლის 5 ივლისს განვითარებულმა ძალადობრივმა მოვლენებმა.[591] ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია არა მხოლოდ მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობის ზრდა, არამედ პოლიტიკოსთა მხრიდან ჟურნალისტების, განსაკუთრებით კი, კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენლების მიმართ ცინიკური დამოკიდებულება და მათი მადისკრედიტირებელი თუ შეურაცხმყოფელი განცხადებები,[592] ისევე როგორც სამინისტროების მიერ გამართულ ბრიფინგებზე კრიტიკული მაუწყებლების წარმომადგენლების არდაშვების ან/და არმიწვევის სამწუხარო ტენდენცია.[593]

სახალხო დამცველი საგანგებოდ მიუთითებს, რომ მედიას აკისრია განსაკუთრებული ფუნქცია, მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ და ამ გზით, ხელი შეუწყოს როგორც დარღვევების თავიდან აცილებას, ისე, მათი გამოვლენის შემთხვევაში - შესაბამისი

---

[587] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3lU83hI > ; < https://bit.ly/3EL8Ud9 > ; < https://bit.ly/3lPBemi > ; <https://bit.ly/3lK0dbh > ; < https://bit.ly/3dqJNzU > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

[588] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3lC41vh > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

[589] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/34XhJn5 > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

[590] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 167-168, საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 250-251; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 257; იხ. აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებები, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3LtqtBY > ; < https://bit.ly/3sEx9EJ > ; < https://bit.ly/3LDy8h2 > ; <https://bit.ly/3uRAlQm > ; <https://bit.ly/3Bu9JGb > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

[591] დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. წინამდებარე ანგარიშის შეკრების თავისუფლების თავი.

[592] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3yajvM8 > ; <https://bit.ly/3EwXSHX > ; <https://bit.ly/3lCyQzZ> ; < https://netgazeti.ge/news/555767/ >; < https://bit.ly/3oy0qQw > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

[593] დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. წინამდებარე ანგარიშის გამოხატვის თავისუფლებისა და შეკრების უფლების თავები.

პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. მისი როლი კიდევ უფრო თვალსაჩინოა საარჩევნო პერიოდში, არჩევნების კანონის შესაბამისად, თავისუფლად და სამართლიანად წარსამართავად. მსგავსი საქმიანობის შესრულებისას, ჟურნალისტები უფლებადამცველების სტატუსითა და ყველა სათანადო დაცვის გარანტიით სარგებლობენ.

გარდა ამისა, 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენები იყო პირდაპირი დადასტურება, რომ ქვეყანაში ლგბტქი+ თემის წარმომადგენლებისა და მათი მხარდამჭერების მხრიდან შეკრებისა თავისუფლების რეალიზების კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.[594] საყურადღებოა ისიც, რომ ქალთა და ლგბტქი+ თემის წარმომადგენელთა უფლებადამცველებისკენ 2017-2019 წლებში მიმართული მუქარის, აგრეთვე, 2020 წელს, „თბილისი პრაიდის" ოფისიდან დროშის ქურდობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში,[595] დღეის მდგომარეობით, ჯერ კიდევ არცერთ შემთხვევაში დამდგარა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი.[596] ეს მოწმობს, რომ გარკვეულ შემთხვევებში გამოვლენილი პოზიტიური რეაგირების მიუხედავად, ეროვნულ დონეზე უფლებადამცველთა დაცვის უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებები არასაკმარისი რჩება.[597]

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, 2021 წელს, უფლებადამცველების (გარდა მედიის წარმომადგენლებისა) მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა 4 პირის მიმართ დაიწყო.[598] გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში კვლავ არ აღირიცხება სტატისტიკური მონაცემები უშუალოდ უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად დაწყებული გამოძიების თაობაზე, რაც ხელს უშლის სისტემური გამოწვევების გადასაჭრელი სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა-გატარებას. წლების განმავლობაში, სამინისტრო, ამ პრობლემას უფლებადამცველების საკანონმდებლო ცნების არარსებობას უკავშირებდა,[599] თუმცა, მოცემული ეტაპისთვის, უწყებაში, საქართველოს სახალხო დამცველის სახელმძღვანელოს[600] საფუძველზე, უფლებადამცველთა ცნების განმარტებაზე მიმდინარეობს მუშაობა.[601]

საგულისხმოა, რომ 2021 წელს, გამოქვეყნდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ანგარიში ცალკეულ ქვეყნებში უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ.[602] ანგარიშში, მათ შორის, საქართველოში არსებული ვითარების შეფასების შედეგად, გამოკვეთილია ის რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც წევრ

---

[594] დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. წინამდებარე ანგარიშის შეკრების თავისუფლების თავი.
[595] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 257-258.
[596] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 28 თებერვლის №13/11449 წერილი.
[597] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 258.
[598] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 28 თებერვლის №13/11449 წერილი.
[599] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 258-259.
[600] საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2020 წელს წარდგენილი „ადამიანის უფლებადამცველთა საკითხებზე მუშაობის სახელმძღვანელო", ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/371WIby > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].
[601] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 15 მარტის №667697 წერილი.
[602] ანგარიში ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3CjvLMc >[ბოლოს ნანახია 07.03.2022].

სახელმწიფოებში უფლებადამცველთა დაცვას გააძლიერებს. მათ შორის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტები და ადამიანის უფლებათა ოფისი სახელმწიფოებს მოუწოდებენ, სწრაფად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და ეფექტიანად გამოიძიონ უფლებადამცველთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები; საჯაროდ დაგმონ უფლებადამცველთა თავდასხმების თუ დაშინების ფაქტები და ყურადღება გაამახვილონ საზოგადოებაში მათ პოზიტიურ როლზე; უზრუნველყონ მედიაზე, მათ შორის, საჯარო მაუწყებლებზე პოლიტიკური გავლენის ან სხვაგვარი ზეწოლის თავიდან არიდება; შეკრების მონაწილეებისთვის ადმინისტრაციული და სხვა სახის სანქციების შეფარდება კანონმდებლობის მკაცრი მოთხოვნების დაცვით განახორციელონ და შეძლებისდაგვარად გააუქმონ პატიმრობა თუ გადაჭარბებული ჯარიმები, როგორც მშვიდობიანი შეკრების კონტექსტში მოსალოდნელი დასჯის ღონისძიებები; ასევე, შეიმუშაონ მამხილებელთა დაცვის ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩო. სახალხო დამცველი ხელს შეუწყობს და თვალს მიადევნებს საქართველოს მხრიდან ამ და სხვა რეკომენდაციების შესრულებას.

რეკომენდაცია

თანამდებობის პირებს:

- კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების განხორციელების დროს, დაიცვან უფლებადამცველთა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები. მათ შორის, თავი შეიკავონ უფლებადამცველთა დისკრედიტაციის კამპანიაში ჩართვისგან და ხელი შეუწყონ მათ საქმიანობას.

13. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება

13.1. შესავალი

2021 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წელი იყო გარემოს დაცვის საკითხებთან მიმართებით, რადგან გასულ წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ აღიარა, რომ სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემო ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა.[603] რაც კაცობრიობის განვითარებასთან ერთად გარემოს დაცვის საკითხებისადმი მიდგომების დინამიკური ცვლილებების ლოგიკური გაგრძელებაა.

გარემოს დაცვის უფლებაზე ზედამხედველობის ფარგლებში, სახალხო დამცველმა გასულ წელსაც არაერთი გამოწვევა დაადგინა, მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის ნაკლოვანებები და მისი აღსრულების პრობლემები, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში ადამიანის უფლებების მიდგომების, სივრცითი მოწყობისას გარემოს დაცვის ინტერესების უგულებელყოფა, ჰაერის დაბინძურების პრობლემები.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საქართველოში საზოგადოებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე თემად მსხვილმასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იქცა.[604] საზოგადოების მთავარი კითხვები, საკითხის მასშტაბისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, უმეტესწილად ენერგეტიკულ პროექტებს უკავშირდება, რაზეც საანგარიშო წელს სახალხო დამცველმა სპეციალური ანგარიში[605] გამოაქვეყნა. გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სფეროებში პოლიტიკის, საკანონმდებლო რეგულაციებისა და აღსრულების თვალსაზრისით არსებული სისტემური პრობლემების ნათელი მაგალითია ნამახვანჰესის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, რომლებიც წინა საანგარიშო წლის მსგავსად, ამჯერადაც აქტუალური იყო.

წინა საპარლამენტო ანგარიშში[606] სახალხო დამცველმა ვრცლად ისაუბრა სამეწარმეო საქმიანობით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემების შესახებ, მათ შორის: ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ქალაქ კასპში, ქალაქ ფოთში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით,[607] სახალხო დამცველი რეკომენდაციის შესაბამისად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2021 წელს არაერთი საწარმოს ინსპექტირება მოახდინა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ხელყოფის სხვადასხვა ფაქტიც გამოავლინა. სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია სახელმწიფოს მხრიდან ერთის მხრივ, გაგრძელდეს და გაძლიერდეს აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში პრობლემური საწარმოების ინსპექტირება, ასევე, გაძლიერდეს თავად ზედამხედველობის ბერკეტები, ვინაიდან, როგორც ირკვევა, დარღვევებს წლებია განგრძობითი და სისტემური

[603] იხ. ბმული: < https://bit.ly/3iMrEiQ > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[604] როგორიცაა მაგალითად, ჰიდროელექტროსადგური, ელექტროგადამცემი ხაზი, სხვადასხვა მულტიფუნქციური კომპლექსი, ტვირთების ტერმინალი, ნაგავსაყრელი თუ საავტომობილო გზა.

[605] სპეციალური ანგარიში „გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა - პოლიტიკის, კანონმდებლობისა და აღსრულების გამოწვევები", იხ. ბმული: https://bit.ly/3hI9ldY [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[606] სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2020, 272.

[607] გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 1/03/2022; DES 3 22 00012196 წერილი.

ხასიათი აქვს და სახელმწიფოს მხრიდან ეფექტურ და შედეგზე ორიენტირებულ შემხვედრ ნაბიჯებს მოითხოვს. ასევე, მნიშვნელოვანია, დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებების შესახებ ადგილობრივი მაცხოვრებლების ინფორმირებულება, რაც მათი კონსტიტუციური უფლებაა.

13.2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა - პოლიტიკის, კანონმდებლობისა და აღსრულების გამოწვევები

სახალხო დამცველის შეფასებით, ეკონომიკურ ზრდასთან, ენერგოდამოუკიდებლობის მიზნის მიღწევასთან ერთად, თანაბარი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ ეფექტიან გარემოსდაცვით მმართველობას. ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის წარმოებასა და საკანონმდებლო მოწესრიგებაში უნდა აისახებოდეს.

ანალიზმა ცხადყო, რომ ენერგეტიკის ცალკეულ მიმართულებასთან დაკავშირებით პოლიტიკის დოკუმენტების არსებობის მიუხედავად, ქვეყანას „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, საპასუხოდ არ შეუმუშავებია კომპლექსური, გრძელვადიანი, ერთიანი ხედვის ამსახველი ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარების სტრატეგიული საფუძველი იქნება. შედეგად, ისეთი დოკუმენტის არარსებობა, რომელიც ასახავდა ქვეყანაში ენერგეტიკის დარგში არსებულ გამოწვევებს, გრძელვადიან ხედვებსა და პრიორიტეტებს, მთლიანობაში, მრავალი წლის განმავლობაში, არაერთ მწვავე პრობლემას განაპირობებდა. მათ შორის, მოქალაქეთა წინააღმდეგობას ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართ, კონტროლის შეუძლებლობას, გამჭვირვალობისა და ანგარიშგების პრობლემებს, სტრატეგიული ხედვების, ქვეყნის ენერგეტიკული მდგომარეობის, რისკებისა და შესაძლებლობების გააზრების ნაკლებობას.

სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილია, რომ 2021 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის კონცეფცია, ასევე მიმდინარეობს მუშაობა ენერგეტიკულ პოლიტიკაზე.[608] ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტი სამუშაო ვერსიის მომზადებისთანავე წარედგინება შესაბამის უწყებებს,[609] სკოპინგის დასკვნის საფუძველზე კი მომზადდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში, ასევე, როგორც გვეცნობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტრო, ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან თანამშრომლობით, გასულ საანგარიშო წელს უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მართავდა შეხვედრებს. სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტები დროულად და ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით შემუშავდება და დამტკიცდება, და შემდგომში შეუფერხებლად აისახება კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

---

[608] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 04/1047 23/02/2022 წერილი.

[609] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

რაც შეეხება თავად გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემას, კვლევამ ცხადყო, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევებია როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე არსებული რეგულაციების აღსრულების თვალსაზრისით. ასეთი პრობლემები თავს იჩენს ინდივიდუალურ შემთხვევებშიც, და თანაც, სისტემურ ხასიათსაც ატარებენ, მათ შორისაა, საზოგადოების ინფორმირებულობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების კუთხით არსებული გამოწვევები; გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში ჩატარებული კვლევების ხარისხი და მათ მიმართ უნდობლობა; გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალის გადახედვის საჭიროება.

13.2.1. საზოგადოების ინფორმირებულობა და ჩართულობა

მიუხედავად მაღალი სამართლებრივი გარანტიებისა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ რეგულაციების ეფექტიანად აღსასრულებლად, უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა ჩატარებული წარმოება არა მხოლოდ პროცედურულად აკმაყოფილებდეს მოთხოვნილ სტანდარტებს, არამედ აღსრულდეს კანონმდებლის უმთავრესი ნება - ფართო საზოგადოება გადაწყვეტილებების მიღების ადრეულ ეტაპზევე ფლობდეს ინფორმაციას დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით, მოქალაქეთა პროცესებში მონაწილეობა კი იყოს რეალური და შედეგზე ორიენტირებული.

საჯარო განხილვისთვის ადგილის შერჩევისას, მნიშვნელოვანია დისტანციის და ტრანსპორტირების საკითხების გათვალისწინება. ასევე, მეორე და უმთავრეს საკითხს წარმოადგეს თავად საჯარო განხილვების წარმართვის პროცესი. მოქმედი რეგულაციით[610], საჯარო განხილვა ჩატარებულად ჩაითვლება იმის მიუხედავად, დაესწრება თუ არა მას საზოგადოების წარმომადგენელი. მსგავსი ჩანაწერი აზრს უკარგავს საჯარო განხილვის პროცედურის უმთავრეს მიზნებს - საზოგადოებისთვის ინფორმაციის ზეპირ მიწოდებას და მოსაზრებებისა და შენიშვნების მიღებას. ამდენად, ისეთი განხილვა, რომელსაც არცერთი წარმომადგენელი არ დაესწრება, არ უნდა ჩაითვალოს ჩატარებულ საჯარო განხილვად.

სახალხო დამცველს ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნია, საჯარო განხილვების ფარგლებში მოქალაქეთა შორის გაჩენილი კითხვებისთვის მაქსიმალურად ამომწურავი და სიღრმისეული პასუხების გაცემა. საჯარო განხილვების მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მიღებულმა მოსაზრებებმა და შენიშვნებმა რეალური გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, როგორც ამას ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს; მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული ადგილობრივი მცხოვრებლების სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები და კანონიერი ინტერესები.

[610] საჯარო განხილვის წესი, მუხლი 9, პუნქტი 13.

13.2.2. სკრინინგის პროცედურა

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით, სკრინინგის პროცედურა განსაზღვრავს გზშ-ის ჩატარების საჭიროებას. ამჟამად, კოდექსში მითითებულია ზოგადი კრიტერიუმები, მაგრამ არ არის დადგენილი სამინისტროს მიერ სკრინინგის განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული კრიტერიუმები და წესი, მათ შორის, არ არის განსაზღვრული წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმების ვალდებულება.

2011/92/EU დირექტივის თანახმად, სკრინინგის თაობაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს ინდივიდუალური (case-by-case) გამოკვლევის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით.[611] სახელმწიფოს შეუძლია, ორივე პროცედურა გამოიყენოს. მაგრამ იმის მიუხედავად, თუ რა არჩევანს გააკეთებს, სახელმწიფომ მხედველობაში უნდა მიიღოს დირექტივით განსაზღვრული კრიტერიუმების ჩამონათვალი,[612] რომლებიც დადგენილ მახასიათებლებთან ერთად სახელმწიფოს სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრება. ამდენად, მიზანშეწონილი იქნება სკრინინგის კრიტერიუმების დაზუსტება საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით. მით უფრო, რომ დირექტივის თანახმად, სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ პროექტის შემოწმება დადგენილი კრიტერიუმების მიღმა.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სკრინინგის პროცედურა გზშ-ს სისტემის უმნიშვნელოვანესი ეტაპია და შემდგომი სამართლებრივი ღონისძიებების საფუძველს წარმოადგენს, აუცილებელია სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. ცხადია, რომ სკრინინგი არ გულისხმობს კვლევებისა და შეფასების იმ ხარისხს, რომელიც გათვალისწინებულია გზშ-სთვის, თუმცა სასიცოცხლოდ აუცილებელია სკრინინგის პროცედურა სრულად იყოს ორიენტირებული საკვლევი საკითხის სიღრმისეულ და დასაბუთებულ შესწავლაზე, მათ შორის, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმების გზით. ამდენად, განსახორციელებელი პროექტის გარემოზე ზემოქმედების კვლევის საჭიროების მაღალი სტანდარტებით გადასაწყვეტად, საჭირო შეიქმნას და დაინერგოს დამატებითი სამართლებრივი გარანტიები.

13.2.3. გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობები

სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ აღნიშნა, რომ დადებითად აფასებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღებით გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებას. თუმცა პრაქტიკამ ცხადყო, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალი გადახედვას საჭიროებს. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წინა საპარლამენტო ანგარიშში გაცემული

[611] მუხლი 4, ნაწილი 2. იხ. ბმული: < https://bit.ly/3IWzbpQ > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[612] მაგ., საქმიანობის მახასიათებლები, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა; საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი. საგულისხმოა, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილს და მისი თავსებადობის კრიტერიუმს, დირექტივა სენსიტიურ გეოგრაფიულ არეალებს უკავშირებს.

წინადადების მიუხედავად, საანგარიშო წელს რაიმე სახის ცვლილებები ამ მიმართულებით კოდექსში არ შესულა.[613] კოდექსის დანართებით განსაზღვრული საქმიანობების კრიტერიუმები, ზოგიერთ შემთხვევაში, საქართველოს თავისებურებებისა და რეალობის გათვალისწინებით, შეცვლას მოითხოვს.[614] მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული ისეთი საქმიანობების რეგულირების მიღმა დარჩენა, რასაც, პოტენციურად, შესაძლოა, მოჰყვეს ეკოლოგიური უფლებების ხელყოფა.

ამდენად, გამჭვირვალე პროცესის წარმართვის გზითა და სათანადო კომპეტენციის, გამოცდილების მქონე ჯგუფების მონაწილეობით უნდა გამოვლინდეს ყველა ის საქმიანობა, რომელიც დამატებით საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს.

13.3. ნამახვანჰესის პროექტი

გასული წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც, ნამახვანჰესის პროექტის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი იყო. სახალხო დამცველმა არაერთხელ განმარტა, რომ ეს პროექტი იმ სისტემური გამოწვევების ერთ-ერთი მაგალითია, რომლის წინაშეც სახელმწიფო დგას ენერგეტიკული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების თვალსაზრისით, მათ შორის, საზოგადოების სათანადო ინფორმირებულობისა და რეალური ჩართულობის კუთხით.[615]

საანგარიშო წელს კვლავ გრძელდებოდა მოქალაქეთა პროტესტი პროექტის მიმართ. სახალხო დამცველი თავად იმყოფებოდა გუმათის დასახლებაში, სადაც პროექტის მოწინააღმდეგეებს შეხვდა. პროტესტის მონაწილეების ლეგიტიმური კითხვების საფუძველზე, სახალხო დამცველმა კვლავ მოუწოდა ხელისუფლებას მოქალაქეებთან გამჭირვალე, შედეგზე ორიენტირებული დიალოგისა და მათთვის დისკუსიის ფორმატის დაუყოვნებლივი შეთავაზებისკენ და განმარტა, რომ საპოლიციო ძალისმიერი გზა მხოლოდ პრობლემის გამწვავებას უწყობდა ხელს.[616]

როგორც ცნობილია, ნამახვანჰესის პროექტი[617] საქართველოს მთავრობამ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტად მიიჩნია.[618] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ[619] გვაცნობა, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებით,[620] მოწონებულ იქნა დასადები ხელშეკრულება, ამასთანავე, ნამახვანჰესის პროექტი განისაზღვრა მომზადების ეტაპზე მყოფ პროექტად.

---

[613] სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2020, 275.

[614] მაგ., გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის თანახმად, 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი ექვემდებარება სკრინინგის გადაწყვეტილებას. ხსენებული ზღვრული მაჩვენებლის დაწესება პრაქტიკაში მძიმე შედეგებს იწვევს.

[615] ვრცლად იხ. სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში, 2020, გვ. 266-დან.

[616] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/38j0tdH > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[617] საქართველოს მთავრობასა და ინვესტორთან დადებული კორექტირებული ხელშეკრულების პრეამბულის მე-5 აბზაცი.

[618] „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე.

[619] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის GOV 3 21 00023559 06/07/2021 წერილი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს №23/4430, 13.07/2021 წერილი.

[620] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 აპრილის №905 განკარგულება.

სამინისტროს განმარტების გათვალისწინებით, სხვა პროცედურებთან ერთად, მომზადების ეტაპზე, საჭირო იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შეემუშავებინა შესაბამისი დასკვნა, პროექტის ფისკალური რისკების შესახებ. საგულისხმოა, რომ ამ პროექტთან დაკავშირებით დასმული კითხვების დიდი ნაწილი სწორედ ამ საკითხს მიემართება.[621]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არ მიუღია პასუხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან იმის შესახებ, არსებობდა თუ არა ნამახვანჰესის პროექტთან დაკავშირებით „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ" კანონით გათვალისწინებული დასკვნა.[622] თუმცა, მას შემდეგ, რაც საჯაროდ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინვესტორი წყვეტს მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებას, მედიამ[623] უწყებისგან მიიღო წერილობითი განმარტება ასეთი დასკვნის არარსებობის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოება და მედია არაერთი თვის განმავლობაში ცდილობდა ამ დასკვნის მოპოვებას ან იმ ინფორმაციის დადასტურებას, რომ ასეთი დასკვნა არ ყოფილა შემუშავებული. გარდა იმისა, რომ პრობლემურია კანონით განსაზღვრული ზემოთ მითითებული დასკვნის არარსებობა, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს განსახილველ პროექტთან დაკავშირებით ინფორმაციის საჯაროობისა და საზოგადოების ინფორმირებულობის უგულებელყოფას, რაც ეწინააღმდეგება ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ეროვნულ და საერთაშორისო ვალდებულებებს.

გასულ წელს ამ პროექტის ირგვლივ შექმნილმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა კრიზისმა განაპირობა ენერგეტიკული გაერთიანების ჩართულობით მედიაციის პროცესის დაწყება, რომელსაც მთავრობასა და საზოგადოებას შორის მოლაპარაკებების წარმართვა, ასევე, პროექტის შესახებ დამოუკიდებელი შეფასებების მომზადება უნდა მოჰყოლოდა.[624]

თუმცა, მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია[625] ნამახვანჰესის მშენებელი კომპანიის, „ენკას" მიერ საქართველოს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების[626] შეწყვეტის ინიციატივის თაობაზე, ენერგეტიკული გაერთიანების შემაჯამებელი ანგარიშით ცნობილი გახდა, რომ დამოუკიდებელი შეფასებების მომზადება შეჩერდა. საყურადღებოა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს[627] ინფორმაციით, 2021 წლის ოქტომბრიდან კომპანიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, მხარეები ელოდებიან მოლაპარაკებების პროცესის დასრულებას, რის შემდეგაც გადაწყდება პროექტის განხორციელების სამომავლო ჩარჩო.

---

[621] „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონი, მე-10, 13, მუხლები.
[622] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის №04-11/5319, 4/06/2021 წერილი.
[623] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hKVXpE [ბოლოს ნანახია 30.03.2022].
[624] მედიაციის დასაწყისში, დამკვირვებლის სტატუსით შეხვედრას ესწრებოდა სახალხო დამცველის წარმომადგენელიც.
[625] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3DrO0zv > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].
[626] ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ 2019 წლის 25 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება.
[627] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს №23/1040, 23/02/2022 წერილი.

13.4. საავტომობილო გზების პროექტები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, წინა წლების მსგავსად, საანგარიშო წელსაც მომართავდნენ[628] მოქალაქეები საავტომობილო გზების პროექტების ფარგლებში მათი საკუთრების უფლების, ჯანმრთელობისათვის უვნებელ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვა, თითქმის მთლიანად, საავტომობილო გზებზე ხორციელდება. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანად იქნა მიჩნეული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის სრულყოფა და განვითარება, მათ შორის, საავტომობილო გზის ზედაპირის რეაბილიტაცია და ახალი ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა.[629]

ამდენად, ბოლო წლებში აქტიურად მიმდინარეობს რამდენიმე საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც თავისი მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, მიმდებარედ დასახლებული პუნქტის მცხოვრებლების უფლებებთან იკვეთება.[630]

განმცხადებლები თითოეულ შემთხვევაში მოგვმართავდნენ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. მათი მთავარი წუხილი შეეხება მშენებლობის-ექსპლუატაციის შედეგად მათი საცხოვრებელი სახლების დაზიანების რისკებს, გეოლოგიურ საფრთხეებს, მათ ხეხილსა და სხვა სამეურნეო საქმიანობაზე მოსალოდნელ უარყოფით ზეგავლენას, მოსალოდნელ ხმაურს, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას და ამდენად, საცხოვრებელი გარემოს გაუარესებას და უვნებელ გარემოში ცხოვრებისა და საკუთრების უფლებებს. აქაც ასევე პრობლემურია მოქალაქეთა სათანადო ინფორმირებულობა-ჩართულობის ვალდებულების შესრულება, რიგ შემთხვევებში აქტუალური ხდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება. მოქალაქეების პრეტენზიები ხშირად ეხება იმას, რომ მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის მიუხედავად, მათი საკუთრება არ ექვემდებარება კომპენსირებას, ან შეთავაზებულ კომპენსაციებს არ ეთანხმებიან, ან მიაჩნიათ, რომ მათი ოჯახები უსამართლოდ არ დაექვემდებარნენ განსახლებას; ენერგეტიკული პროექტების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც მაღალია უნდობლობა გზშ-ს დოკუმენტებში ასახული სხვადასხვა კვლევის შედეგებისა და გათვალისწინებული ღონისძიებების მიმართ.

როგორც წესი, სახელმწიფო უწყებები, კომპენსაცია/განსახლების საკითხებთან მიმართებით, ასეთ დროს ეყრდნობიან ინდივიდუალურად, პროექტის დამფინანსებელი

---

[628] ა. ბ., მ, პ, №12385/21, მ. პ. №10369/21, ჯ. მ., მ. გ. №5649/21, ნ. მ. 5778/21, ნ. ჭ. №6704/21.

[629] საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021, გვ:88-დან, https://bit.ly/3vOC4Gn [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[630] საერთაშორისო მნიშვნელობის ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას ავტომაგისტრალის პროექტის(E-60); საერთაშორისო მნიშვნელობის გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის პროექტის (E70); ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის პროექტის შესახებ.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიდგომებსა და პოლიტიკას; რაც შეეხება სხვა სახის ზემოქმედებებს, სახელმწიფო ეყრდნობა გზშ-ს დოკუმენტებში გათვალისწინებულ სხვადასხვა ღონისძიებას, მათ შორის, ჰაერის დაბინძურების, გადაჭარბებული ხმაურის ასარიდებლად/შესარბილებლად.

მართალია, სახალხო დამცველის აპარატი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების გათვალისწინებით, თავად ინდივიდუალურად ვერ აფასებს საკუთრებაზე თუ მთლიანად გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის ხარისხს იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს ალტერნატიული შეფასება-დასკვნა და კონკრეტული უფლების ხელყოფის ფაქტების დადგენა რთულდება. თუმცა მოქალაქეთა პრეტენზიები ცხადყოფს, როგორც სპეციალურ ანგარიშში ასახული სხვადასხვა სისტემური პრობლემის დროულად აღმოფხვრის საჭიროებას, ისე თითოეული ასეთი პროექტის ფარგლებში სახელმწიფოს მხრიდან მეტი ძალისხმევის გაწევის აუცილებლობას. რათა, ერთი მხრივ, მოქალაქეებს ადრეულ ეტაპზევე ჰქონდეთ ინფორმაცია დაგეგმილი პროექტების, მოსალოდნელი რისკების და ზეგავლენის მასშტაბების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მათი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები, მათ შორის, სამართლიანი განსახლების პოლიტიკის დაგეგმვით.

13.5. სივრცითი მოწყობა და გარემოს დაცვა

სახალხო დამცველი არაერთი წელია საუბრობს მშენებლობის მიმართულებით არსებული მძიმე გამოწვევების თაობაზე. სამშენებლო სფერო ის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ მიდგომებს საჭიროებს. სახალხო დამცველის შეფასებით, ნებისმიერი ინიციატივისა თუ დაგეგმილი ცვლილების მიზანი სწორედ ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების დაძლევა და ვითარების გამოსწორება უნდა იყოს და არა პირიქით, დამძიმება. ასევე, მაღალი საჯარო ინტერესისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ყველა პრინციპულად ძირეული ცვლილება მუშავდებოდეს და მიიღებოდეს შესაბამისი პროფესიული წრეების ჩართულობითა და მათთან შინაარსობრივი კონსულტაციების გზით.

საანგარიშო წლის მიწურულს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა,[631] რომ „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში" მნიშვნელოვანი ცვლილებები მომზადდა და მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა. საქართველოს პარლამენტის ბიურომ კი, ამ ცვლილებების განხილვის პროცედურის დაჩქარებული წესით დაწყებას დაუჭირა მხარი.

სხვა არაერთ ცვლილებასთან ერთად, შემოთავაზებული პაკეტის მიხედვით, კანონში განიმარტა საინვესტიციო პროექტის ცნება. ასეთად ჩაითვლება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიის არასაცხოვრებელი ფუნქციით განვითარებას და ქმნის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობას ან ხასიათდება

[631] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/38feDwg > ; < https://bit.ly/3LqjPf0 > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

განსაკუთრებული მიზნობრიობით. დაიგეგმა, რომ კანონით დადგინდეს ასეთი პროექტის მინიმალური ღირებულებაც და მათი განხორციელებისას დაინტერესებულ პირს მიეცეს შესაძლებლობა, ტერიტორია განავითაროს უშენ ტერიტორიაზეც კი.[632] ცვლილებების თანახმად, ასეთ პროექტებზე აღარ გავრცელდება კოდექსის 67-ე და 68-ე მუხლებით გათვალისწინებული რეგულაციები, რომლებიც ადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემისას განაშენიანების არსებულ გარემოსა და სამეზობლო ინტერესების შესაბამისობის გათვალისწინებას, შესაბამისი ტერიტორიის ფუნქციით განპირობებული შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მოქმედი სივრცის დაგეგმარების, ქალაქთმშენებლობითი გეგმის (არსებობის შემთხვევაში) და ძირითადი დებულებების მოთხოვნათა საფუძველზე, თუ ეს საზოგადოებრივ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება.

შემოთავაზებული მოწესრიგება უკვე ნიშნავს, რომ ნებისმიერი მსგავსი პროექტი, შესაძლოა, ამ ინტერესების საწინააღმდეგოდ განხორციელდეს. სახალხო დამცველის შეფასებით, საჯარო ინტერესებისა და სხვა დასახელებული გარემოებების უგულებელყოფა დაუშვებელია. იმ პირობებში, როდესაც ისედაც მწვავედ დგას ქაოსური და პრობლემური მშენებლობების საკითხი, კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად მოხსნა მსხვილი პროექტების მიმართ, რომელთაც თავიანთი არსით დიდი გავლენა ექნებათ გარემოსა და სხვა დაკავშირებულ ასპექტებზე, მიზანშეუწონელია. ამის საპირწონედ ვერ მიიჩნევა მხოლოდ საინვესტიციო პროექტების განხორციელებისა და ასეთი ტერიტორიების პოტენციალის ათვისების ინტერესი. უპირველესად, სწორედ ასეთი მსხვილი პროექტების მიმართ დგება დღის წესრიგში გარემოს, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პირობების, საკუთრებისა და ადამიანის უფლებების პერსპექტივასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას შორის სწორი ბალანსის პოვნის საჭიროება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მსხვილი საინვესტიციო პროექტის ცნების კრიტერიუმებიც უფრო კონკრეტული და წინასწარ განჭვრეტადი იყოს, რათა ინდივიდუალურ შემთხვევებში მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებაზე არ გახდეს დამოკიდებული გარემოს დაცვის ინტერესების უგულებელყოფა და შეუქცევადი ზიანის დადგომა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის შეფასებით, წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან დამატებით შესწავლას, დასახელებული საკითხების სიღრმისეულ ანალიზსა და პროფესიული წრეების ჩართულობას მოითხოვს.

13.6. უფლება სუფთა ჰაერზე

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით ბოლო პერიოდში გატარებული და დაგეგმილი არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მიუხედავად, ჰაერის დაბინძურება ქვეყანაში ჯერ კიდევ ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად რჩება.

[632] განმარტებითი ბარათის მიხედვით, ეს წაახალისებს ბიზნესს, აუთვისებელ ტერიტორიებზე განახორციელოს ღირებული და გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტები, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ასეთი ტერიტორიის პოტენციალის ეფექტიანად ათვისებას და წვლილს შეიტანს რეგიონის ეკონომიკურ/სოციალურ კეთილდღეობაში.

კვლავ ხარვეზიანია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემა,[633] რომელიც ქვეყნის მასშტაბით დაბინძურების სრულფასოვან სურათს არ იძლევა.[634] მიუხედავად ამისა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ უკვე განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში, მოსალოდნელია სადამკვირვებლო ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება.[635]

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და მართვის ევროპულ სტანდარტზე ეტაპობრივად გადასვლის კუთხით,[636] წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს ტერიტორიის 5 ზონად[637] და 1 აგლომერაციად[638] დაყოფა საანგარიშო წელს.[639] ეს შესაძლებელს გახდის ჰაერის ხარისხის შეფასებას და ეფექტიანად მართვას თითოეულ დანაყოფში არსებული გამოწვევების შესაბამისად.[640]

იმის გათვალისწინებით, რომ სამრეწველო სექტორი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა, მნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა შეფასდეს სამრეწველო ობიექტების მიერ ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში მოქმედი ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაწესებული ჯარიმების ზრდა[641] და მსხვილი საწარმოებისთვის გაფრქვევის უწყვეტი ავტომატური თვითმონიტორინგის სისტემის დანერგვის, აგრეთვე, შესაბამისი ანგარიშგების ვალდებულების დაწესება.[642] მიუხედავად

---

[633] წინა საანგარიშო წლის მსგავსად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი კვლავ 8 ავტომატური და 1 არაავტომატური სადგურის საშუალებით ხორციელდება.

[634] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 262-263.

[635] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 23 თებერვლის №1748/01 წერილის შესაბამისად, უწყებამ 2021 წელს, ახალი მობილური ავტომატური სადგური შეიძინა (მოწოდების ვადაა 2022 წლის აპრილი), ხოლო სამინისტროსა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) შორის საგრანტო შეთანხმების ფარგლებში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გასაუმჯობესებლად, 8 ახალ ავტომატურ და ერთ მობილურ სადგურს შეიძენს.

[636] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 262.

[637] შავი ზღვის ზონა, დასავლეთის ზონა, ცენტრალური ზონა, აღმოსავლეთის ზონა, და მაღალმთიანი ზონა.

[638] თბილისის აგლომერაცია.

[639] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 აგვისტოს №2-1293 ბრძანებით დამტკიცებული „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და მართვის ზონები და აგლომერაციები".

[640] „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 67[1]; საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 დეკემბრის №563 დადგენილება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების დონეზე დაკვირვების პუნქტების/სადგურების მინიმალური სტანდარტული რაოდენობის, განლაგებისა და ფუნქციონირების წესების, აგრეთვე, დაბინძურების დონის გაზომვის სტანდარტული მეთოდების ჩამონათვალის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 23 თებერვლის №1748/01 წერილის შესაბამისად, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, 2022 წელს, დაგეგმილია ჰაერის ხარისხის მართვის გეგმების შემუშავება თბილისის აგლომერაციისთვის და შავი ზღვის ზონისთვის. ჰაერის ხარისხის მართვის გეგმების შემუშავება სხვა ზონებისთვის კი, დონორების მიერ დაფინანსებული სხვა პროექტების ფარგლებში იგეგმება.

[641] საქართველოს 2021 წლის 2 მარტის №249-IVმს-Xმპ კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.

[642] საქართველოს 2021 წლის 2 მარტის №246-IVმს-Xმპ კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ამისა, ამ სიახლეებით სამრეწველო სექტორიდან მომდინარე დაბინძურების რეგულირების სრულყოფილი საკანონმდებლო ჩარჩო არ იქმნება. წლებია, საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ამგვარი გაფრქვევების შესამცირებლად და მათი კონტროლის ევროპულ სტანდარტებზე გადასასვლელად, აუცილებელია „სამრეწველო ემისიების შესახებ" კანონის პროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში, რაც თავდაპირველად 2019 წელს იყო დაგეგმილი, თუმცა დღემდე არ განხორციელებულა.[643]

დაბინძურების კიდევ ერთი უმსხვილესი წყარო ეროვნულ დონეზე, ავტოტრანსპორტია. ეს კარგად გამოვლინდა პანდემიის საპასუხოდ გადაადგილების აკრძალვის მოქმედების პერიოდში, როდესაც ატმოსფერულ ჰაერში იკლო მავნე ნივთიერებების კონცენტრაციამ და განსაკუთრებით შემცირდა აზოტის დიოქსიდის შემცველობა.[644] სამწუხაროდ, ამ ეტაპზე კვლავ არ დასრულებულა სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა ნორმაზე მეტი კონცენტრაციის შემთხვევების გამოვლენისა და ამ სახის სამართალდარღვევაზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა-ამოქმედებისთვის მიმდინარე სამუშაოები.[645] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან შექმნილი „ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვისა და ეკოტრანსპორტის დანერგვის ხელშეწყობის საკითხების შემსწავლელი" სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.[646]

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებით ინფორმაციისა და მონაცემების გამჭვირვალობის განუხრელი დაცვა საქმიანობის დაგეგმვის ყველა ეტაპზე.

---

[643] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 256 და საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 264. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 23 თებერვლის №1748/01 წერილის თანახმად, „სამრეწველო ემისიების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის და მისგან მომდინარე კანონპროექტების ინიცირება საქართველოს პარლამენტში დაგეგმილია საგაზაფხულო სესიის ფარგლებში.

[644] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 23 თებერვლის №1748/01 წერილის თანახმად, „მაგალითად, თუ 2019 წლის აპრილის თვის მონაცემებით, აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიური კონცენტრაცია ქ. თბილისში წერეთლის გამზირზე იყო 60 მკგ/მ^3, რაც შესაბამის ზღვრულად დასაშვებ ნორმას (40 მკგ/მ^3) აჭარბებდა 1,5-ჯერ, 2020 წლის აპრილში ეს მონაცემი შეადგენდა მხოლოდ 26 მკგ/მ^3 და ნორმის ფარგლებში იყო. ასევე ქ. თბილისში ყაზბეგის გამზირზე 2019 წელს ფიქსირდებოდა 35 მკგ/მ^3, ხოლო 2020 წლის აპრილში საშუალო წლიური კონცენტრაცია 19 მკგ/მ^3 დაფიქსირდა და მისი მნიშვნელობაც არ აღემატებოდა ნორმას. ქ. ბათუმში 2019 წლის აპრილის თვის მონაცემებით აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიური კონცენტრაცია იყო 62 მკგ/მ^3, რაც ზღვრულად დასაშვებ ნორმას აღემატებოდა 1,6-ჯერ, ხოლო 2020 წლის აპრილში საშუალო წლიური კონცენტრაცია ნორმის ფარგლებში - 37 მკგ/მ^3 დაფიქსირდა".

[645] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 264-265.

[646] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 23 თებერვლის №1748/01 წერილი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს:

- შეიმუშაოს დამატებითი ბერკეტები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებისას საკვლევი საკითხის სიღრმისეულად შესწავლისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად;
- დაგეგმოს და უზრუნველყოს თემატური სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება, მაგალითად, ჰიდროელექტრო პროექტებთან, ელექტროგადამცემ ხაზებთან, მაგისტრალებთან დაკავშირებით და გაატაროს საჭირო ღონისძიებები ამ დოკუმენტებით ხელმძღვანელობისათვის სავალდებულო ძალის მისანიჭებლად;
- საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, ისეთი საჯარო განხილვა, რომელსაც არ დაესწრება არცერთი წარმომადგენელი, არ ჩაითვალოს ჩატარებულად;
- საჯარო განხილვისათვის ადგილის შერჩევისას, მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გაითვალისწინოს ყველა რელევანტური კრიტერიუმი, მათ შორის, ტერიტორიულობისა და ტრანსპორტირების საკითხები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს:

- დროულად შეიმუშაოს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისი სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა, სულ მცირე 10 წლიანი პერიოდისთვის და უზრუნველყოს მის დასამტკიცებლად საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ყველა პროცედურის ჯეროვნად და დროულად წარმართვა.

14. შრომის უფლება

14.1. შესავალი

გასული საანგარიშო წელი, შრომის უფლების დაცვის თვალსაზრისით, გამოწვევებით გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ შრომის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით[647] და საერთაშორისო აქტებით,[648] არჩევნების წინა პერიოდში გამოიკვეთა შრომითი უფლებების დარღვევის ტენდენცია პოლიტიკური შეხედულებების საფუძვლით. სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა 69 პირის, სავარაუდოდ, დისკრიმინაციულად, სამსახურიდან პოლიტიკური შეხედულებების გამო გათავისუფლების ან სამსახურებრივი შევიწროების შემთხვევების შესახებ. სახალხო დამცველმა სამართალდამცავ ორგანოებს 44 ასეთი შემთხვევის შესახებ აცნობა. შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტრომაც და გენერალურმა პროკურატურამაც, სხვადასხვა საჯარო დაწესებულების, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიმართ შრომის კანონმდებლობის მოთხოვნის დარღვევის სხვადასხვა ფაქტზე დაიწყეს გამოძიება. ამასთან ერთად, სახალხო დამცველის აპარატმა მოცემული ეტაპისთვის, 9 პირის მიმართ შრომითი უფლებების ან პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა და პასუხისმგებელ უწყებებს შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა. ასევე, საერთო სასამართლოებში მიმდინარე შრომითი დავის ფარგლებში 2 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა.[649]

პანდემიის პირობებში მნიშვნელოვნად გაუარესდა ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული ქალების უფლებრივი მდგომარეობა. მძიმე სამუშაო პირობები და დაბალი ხელფასი კიდევ უფრო ამძიმებს საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში არსებულ სიტუაციას. ქვეყანაში საგანგაშოდ დაბალია ექთნების რაოდენობა. შესაბამისად, ზრუნვის ტვირთის არათანაბარი გენდერული გადანაწილების და გაზრდილი სამუშაო გრაფიკის პირობებში, ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული ქალების დატვირთვა გაორმაგდა, როგორც სახლში, ისე დასაქმების ადგილას.[650]

კვლავ პრობლემურია სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ნორმების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სამუშაო ადგილებზე იკლო გარდაცვალების შემთხვევებმა, სამუშაო ადგილებზე დაღუპულთა და დაშავებულთა რიცხვი კვლავ მაღალია.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, 2021 წლის 1 იანვრიდან სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურს მიეცა უფლებამოსილება საქართველოს შრომის კოდექსითა და ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებების დარღვევის გამოვლენის მიზნით, დამსაქმებლის თანხმობის გარეშე ჩაატაროს სამუშაო

[647] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 26.
[648] ევროპის სოციალური ქარტია, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და სხვ.
[649] იხილეთ წინამდებარე ანგარიშის საარჩევნო უფლების თავი.
[650] იხილეთ წინამდებარე ანგარიშის გენდერული თანასწორობისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლების თავები.

ადგილების ინსპექტირება და უფლებადარღვევის გამოვლენის შემთხვევაში გამოიყენოს შესაბამისი სანქციები.[651] როგორც ზემოხსენებული უფლებამოსილების ფარგლებში, ისე ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე ჩატარებული ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების მაღალი მაჩვენებელი ქვეყანაში ამ კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობაზე და როგორც დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მუშაობის, ისე სისტემური ინსპექტირებების საჭიროებაზე მიუთითებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით, საანგარიშო წლის განმავლობაში გაიზარდა შემოწმებული ობიექტების რაოდენობა, მნიშვნელოვანია, მომავალში ეს პროცესი კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით წარიმართოს.

14.2. სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობა

შრომის ინსპექციის საქმიანობა, 2021 წლის განმავლობაში, გულისხმობდა როგორც შრომის უსაფრთხოების ნორმების შესრულების ინსპექტირებას, ისე საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის", მოთხოვნების დაცვის მდგომარეობის შემოწმებას. 2020 წლის მსგავსად, 2021 წელს შრომის ინსპექციის სამსახურის შესაბამისი კადრებით დაკომპლექტება (ინსპექტორის 109 საშტატო ერთეულიდან 31 საშტატო ერთეული კვლავ ვაკანტურია)[652] არ მომხდარა, რაც პრობლემაა სამსახურისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციებისა და უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების თვალსაზრისით.

14.2.1. შრომის ინსპექციის საქმიანობა შრომითი უსაფრთხოების ნორმების შესრულებასთან დაკავშირებით

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ინფორმაციით,[653] 2021 წელს ამავე უწყებამ ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე 446 ობიექტზე 1074 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება ჩაატარა. მონაცემი მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული წინა წელთან შედარებით,[654] თუმცა, ნაკლებია 2019 წელს მონაცემებთან შედარებით.[655] მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შემოწმების პროცესში გამოვლინდა 4538 დარღვევა, და ყველა ობიექტის მიმართ გაიცა გაფრთხილება გამოვლენილი დარღვევის აღმოსაფხვრელად, რაც, დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, დამსაქმებლისთვის გონივრული ვადის მიცემას გულისხმობს. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს საერთო სასამართლოებში ,,შრომის უსაფრთხოების

[651] საქართველოს კანონი ,,შრომის ინსპექციის შესახებ''; საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს ორგანულ კანონში ,,საქართველოს შრომის კოდექსი'' ცვლილებების შეტანის თაობაზე'', ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3fs8JJJ > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[652] სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის 2022 წლის 12 თებერვლის №09/499 წერილი.

[653] სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის 2022 წლის 12 თებერვლის №09/499 წერილი.

[654] ინსპექტირება ჩატარდა 169 ობიექტზე. იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, 280.

[655] 2019 წელს ინსპექტირება ჩატარდა 558 ობიექტზე. იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში, 275.

შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა დარღვევის საფუძველზე შედგენილი 12 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი გასაჩივრდა. ინფორმაციის მოწოდების დროისთვის მათზე საქმისწარმოება არ იყო დასრულებული.

როგორც ირკვევა დამსაქმებლები, უმეტეს შემთხვევებში არ ცდილობენ სამუშაო სივრცეებში არსებული საფრთხის გამოვლენას, არ ატარებენ შესაბამის სწავლებასა და ტრენინგებს, ამ ობიექტებზე დასაქმებულები არ სარგებლობენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. ასევე, ხშირია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული ,,სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების ტექნიკური რეგლამენტის'' მოთხოვნების დარღვევის ფაქტები.

2021 წლის საანგარიშო პერიოდში სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 34 (მამაკაცი) და დაშავდა 253 პირი (37 ქალი და 216 მამაკაცი). საწარმოო უბედური შემთხვევებიდან 1 მასობრივი ხასიათისაა, 58 - მძიმე და 195 - საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა. ამათგან, დაღუპულთა და დაშავებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერის დამუშავების და საცხოვრებელი/არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობის სფეროზე მოდის, მსგავსად 2020 წლისა,[656] თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს სამუშაო ადგილზე გარდაცვლილთა რაოდენობა კვლავ მაღალია, 2020 წელთან შედარებით 13%-ით, 2019 წელთან შედარებით - 24%-ით, ხოლო 2018 წელთან შედარებით - 42%-ითა შემცირებული.[657]

გამოვლენილი დარღვევების თაობაზე ზემოაღნიშნული მონაცემების თანახმად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პრობლემად რჩება შრომის უსაფრთხოების სათანადოდ დაცვის მიზნით შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გამოყენება დამსაქმებლების მიერ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით ინტენსიურად ჩატარდეს ინსპექტირებები.

14.2.2. სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობა შრომითი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით

შრომის უფლებების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, 2021 წელს, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ საქართველოს ორგანული კანონის, ,,საქართველოს შრომის კოდექსის'' შესაბამისად გაწეული ზედამხედველობის შედეგად, გამოვლინდა, რომ ყველაზე ხშირი დარღვევა შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის ხელფასის გაუცემლობა იყო. გამოიკვეთა შრომის ანაზღაურების გაცემის ფორმის, დროისა და ოდენობის დარღვევის შემთხვევებიც.

2021 წლის 1 იანვრიდან მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა, საანგარიშო წელს საქართველოს მასშტაბით, 249 ობიექტზე 327 ინსპექტირება/რეინსპექტირება ჩაატარა. მათგან, გეგმური ინსპექტირება იყო 73, საჩივრის

[656] იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, 281.
[657] სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის 2022 წლის 12 თებერვლის №09/499 წერილი.

საფუძველზე ჩატარდა 36, ხოლო საკუთარი ინიციატივით - 140 ინსპექტირება. ინსპექტირების შედეგად გამოიცა 195 ოქმი. 192 შემოწმებული ობიექტის მიმართ სანქციის სახედ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო 3 ობიექტი დაჯარიმდა. ასევე, საქართველოს ორგანული კანონის, ,,საქართველოს შრომის კოდექსის'' შესაბამისად გაწეული ზედამხედველობის შედეგად, ჯამში გაიცა 1766 მითითება, რომელთაგან დიდი ნაწილი სამუშაო დროის ხანგრძლივობისა და შრომითი ხელშეკრულების ვადასა და არსებით პირობებთან დაკავშირებულ დარღვევებს ეხება. ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს როგორც დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მუშაობის აუცილებლობაზე, ასევე ინსპექტირებების აქტიურად და ინტენსიურად ჩატარების მნიშვნელობაზე.

აღმოჩენილი დარღვევების სიმრავლის მიუხედავად, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის განმარტებით,[658] ამავე უწყებაში 2021 წელს შრომით უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებული მხოლოდ 36 საჩივარია შესული, რაც მნიშვნელოვნად არ განსხვავდება 2020 წლის მონაცემისგან (32 საჩივარი).[659] გასულ წლებში საჩივართა სიმცირე ძირითადად შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატის სისუსტეს და გაცემული რეკომენდაციების არასავალდებულო ხასიათს უკავშირდებოდა. თუმცა 2020 წლის 29 სექტემბერს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით,[660] სამსახურის მანდატის გაფართოებისა და სანქციების გამოყენების უფლებამოსილების მინიჭების შემდეგ, საჩივრების სიმცირე ინსპექციის უფლებამოსილების შესახებ დასაქმებულთა ცნობიერების დაბალ დონეს უნდა დავუკავშიროთ, ამიტომაც, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია აქტიური მუშაობა.

რეკომენდაციები

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურს:

- დროულად დაასრულოს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის, მათ შორის, მისი ტერიტორიული ორგანოების ვაკანტური თანამდებობების დაკომპლექტება;
- 2021 წლის 1 იანვრიდან მინიჭებული მანდატის შესახებ დასაქმებულთა ცნობიერების ასამაღლებლად, აწარმოოს ეფექტიანი საინფორმაციო კამპანია შრომითი უფლებების დაცვის მიმართულებით.

[658] სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის 2022 წლის 12 თებერვლის №09/499 წერილი.
[659] იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, 283.
[660] საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს ორგანულ კანონში ,,საქართველოს შრომის კოდექსი'' ცვლილებების შეტანის თაობაზე'', ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3fs8JJJ < [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

15. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

15.1. შესავალი

მეორე წელია, მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (SARS-CoV-2) გავრცელებით გამოწვეული პანდემია გრძელდება. საქართველოში პანდემიის დროს ჯანდაცვის სისტემის მართვის 2-წლიანმა გამოცდილებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რამდენად მნიშვნელოვანია ძლიერი, მდგრადი პირველადი ჯანდაცვის სისტემა და მთავრობის მიერ ამ მიმართულებით მიღებული გადაწყვეტილებების სათანადოდ მეცნიერული არგუმენტებით დასაბუთება და არა პოლიტიკური დღის წესრიგით მართვა. ამავე პერიოდში დიდ გამოწვევად იქცა მოსახლეობასთან სწორი და ეფექტიანი კომუნიკაციის წარმართვა, რამაც ქვეყანაში ვაქცინაციის პროცესზე ნეგატიური გავლენა იქონია და სამიზნე ჯგუფების დაგეგმილი ოდენობით ვაქცინაცია შეუძლებელი გახადა.

ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ადმინისტრაციული და ფინანსური უზრუნველყოფა და კონტროლის შესაბამისი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა და ჯანდაცვის უფლების რეალიზაციის და ეფექტიანად დაცვის წინაპირობა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოწვევად რჩებოდა პაციენტის დარღვეული უფლებების დაცვის სწრაფად და ეფექტიანად აღდგენა, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოწყვლადი პაციენტებისათვის ხარისხიანი სამედიცინო სერვისების სრულად მიწოდება, ასევე, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა.

15.2. პანდემიის მართვა

2021 წელს პანდემიამ აჩვენა, თუ როგორ შეიძლება ჯანდაცვის სისტემების სისუსტემ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯანმრთელობაზე, ეკონომიკურ პროგრესზე, ნდობასა და სოციალურ ურთიერთობებზე.[661] ახალი კორონავირუსის სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტის არარსებობის პირობებში, სხვადასხვა ქვეყნებში პანდემიის მართვის მოდელების საერთო მიზანი ინფექციის გადაცემის შეჩერებაა. მართვის ცალკეული მოდელი მოიაზრებს საზოგადოებრივი მობილობის მნიშვნელოვნად შეზღუდვას, ხოლო სხვა მოდელები ინფექციის შეჩერებას მასობრივი ტესტირებით, ინფიცირებულთა გამოვლენით და იზოლირებით. ამ დროს მობილობის და კონტაქტების შეზღუდვა მხოლოდ დამხმარე საშუალებად განიხილება. საქართველოში 2020 წლის გაზაფხულზე მკაცრმა შეზღუდვებმა შედეგი გამოიღო. როგორც დაინფიცირებულთა, ასევე გარდაცვალებულთა რიცხვის მიხედვით, საქართველო „მწვანე ზონად" რჩებოდა, თუმცა 2021 წლის შემოდგომიდან შეზღუდვების მოხსნის და დარჩენილი პრევენციული ღონისძიებების აღსრულებაზე კონტროლის მოშლის შედეგად, შემთხვევების რაოდენობა რეკორდულად

[661] This policy tracker summarizes the key economic responses governments are taking to limit the human and economic impact of the COVID-19 pandemic. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3s4fOEZ > [ბოლოს ნანახია 22.03.2022].

სწრაფად გაიზარდა.[662] გაეროს განვითარების პროგრამის მიერ მომზადებულ ანგარიშში[663] აღნიშნულია, რომ *„ლოქდაუნი" ხშირად ერთადერთი გამოსავალია იმ ქვეყნებისთვის, სადაც ჯანდაცვის საზოგადოებრივი სისტემები ვერ ახერხებენ ინფექციის სხვა გზით შეჩერებას და მართვას: არ არის საკმარისი სიმძლავრეები საჭირო რაოდენობით ტესტების ჩასატარებლად, არ არის საკმარისი რაოდენობის ინტენსიური თერაპიის საწოლები, აპარატურა და სპეციალისტები დროის მოკლე პერიოდში დიდი რაოდენობის პაციენტის იზოლირებისთვის და სამკურნალოდ.*

15.3. ახალი კორონავირუსის ვაქცინაციის ეროვნული გეგმა

COVID-19 პანდემიით მიყენებული შესაძლო ზიანის შემცირებისათვის ვაქცინაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში ვაქცინაციის პროცესი მიმდინარეობს COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის შესაბამისად. გეგმის ერთ-ერთ მიზნად დასახელდა 2021 წლის ბოლომდე 18 წელს ზემოთ მოსახლეობის 60%-ის აცრა.[664] თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გატარებული არაეფექტიანი საინფორმაციო კამპანიის, დაგვიანებული ფინანსური, წამახალისებელი თუ სხვა ტიპის ღონისძიებების შედეგად, 2022 წლის იანვრის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი 47%-ს არ აღემატებოდა.[665] საქართველო საგრძნობლად ჩამორჩება როგორც ეროვნული გეგმით განსაზღვრულ დონეს, ისე, იმავე ეკონომიკურ ჯგუფში შემავალი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს.[666]

აღსანიშნავია, რომ ვაქცინაციის ეროვნულ გეგმაში არ არის მსჯელობა სავალდებულო ვაქცინაციაზე,[667] როგორც პანდემიის შეკავების ერთ-ერთ ეფექტიან ხერხზე. სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ გასულ წელს განმარტა, რომ საერთაშორისო პრაქტიკით, ვაქცინაციის ჩატარების დავალდებულება, მართალია, გამოიწვევს ინდივიდების უფლებებში ჩარევას, თუმცა ასეთი ჩარევა გამართლებულია, როდესაც ის ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს - საზოგადოებრივი ჯანდაცვის, და ამით - ადამიანების სიცოცხლის დაცვას. შექმნილი ვითარების ფონზე, ვაქცინაცია უნდა განიმარტოს არა მხოლოდ როგორც ინდივიდუალური უფლება, არამედ როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობის სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელი კოლექტიური პასუხისმგებლობა.[668]

---

[662] დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. სტატისტიკური მონაცემები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/342LNgR> [ბოლოს ნანახია 22.03.2022]

[663] Sachs, J., Schmidt-Traub, G., Kroll, C., Lafortune, G., Fuller, G., Woelm, F. 2020. The Sustainable Development Goals and COVID-19. Sustainable Development Report 2020. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rdyx1y> [ბოლოს ნანახია 22.03.2022].

[664] საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის განკარგულება №67 „საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ".

[665] დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. სტატისტიკური მონაცემები, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Lo5Cze > [ბოლოს ნანახია 22.03.2022]

[666] Coronavirus (COVID-19) vaccinations ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3LsS7y6 > [ბოლოს ნანახია 22.03.2022].

[667]მანდატორული (სავალდებულო) ვაქცინაცია განსაზღვრულია როგორც ნორმატიული აქტით დადგენილი/განსაზღვრული სავალდებულო ვაქცინაცია პროფესიულ საქმიანობაში, რომლის გარეშეც საქმიანობის დაწყება ან გაგრძელება არის შეზღუდული და/ან სანქცირებული.

[668] სახალხო დამცველის განცხადება, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ufNiD3>[ბოლოს ნანახია 22.03.2022].

2021 წლის ბოლოს ასევე ამოქმედდა „მწვანე პასპორტის“ კონცეფცია, რაც გულისხმობს განსაზღვრულ სივრცეებსა და ღონისძიებებზე შესვლისას პირის კოვიდ-სტატუსის შემოწმებას, საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით.[669] ჩატარებული ეროვნული კვლევის[670] შედეგად დადგინდა, რომ სერტიფიკატის შემოღებას აქვს როგორც დადებითი (ვაქცინაციის მოცვის გაფართოება, ამკრძალავი რეგულაციების შემსუბუქება) ასევე, უარყოფითი (სერტიფიკატის გაყალბება, საპროტესტო აქციები) მხარეც. ევროპული გამოცდილებისგან განსხვავებით,[671] საქართველოში კოვიდგადატანილ პირებთან მიმართებით განსხვავებული რეგულაცია დაწესდა და კოვიდ-სერტიფიკატი გაიცა იმ ადამიანებზეც, ვინც კორონავირუსი 6 თვეზე მეტი პერიოდის წინ გადაიტანა. „ომიკრონის" შტამის გავრცელების სწრაფი ტემპისა და ინფიცირებულთა რაოდენობის მკვეთრად ზრდის ფონზე, კიდევ უფრო უარყოფითად უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, „მწვანე პასპორტის" მოთხოვნის ვალდებულების გაუქმების შესახებ.[672]

სახალხო დამცველის მოსაზრებით, მწვანე სტატუსის მოთხოვნის ვალდებულების გაუქმება, ასევე, ამ სტატუსის ერთ-ერთი პირობა - გადატანილი კორონავირუსული ინფექცია ვადის გარეშე - არ შეესაბამება სადღეისოდ არსებულ მეცნიერულ მტკიცებულებებს ბუნებრივი იმუნიტეტის ხანგრძლივობის შესახებ და ეწინააღმდეგება „მწვანე პასპორტის“ დანერგვის მთავარ მიზნებს - ხელი შეუწყოს ბიზნესის და კულტურული აქტივობის გაზრდას ინფექციის გადაცემის რისკის გარეშე და ვაქცინაციის პროცესს.

15.4. პირველადი ჯანდაცვის გამოწვევები პანდემიის პირობებში

პირველადი ჯანდაცვა სრულიად საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისკენ მიმართული მიდგომაა, რომლის მიზანია უზრუნველყოს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესაძლო საუკეთესო მდგომარეობა და ჯანდაცვის რესურსის სამართლიანად გადანაწილება. ამის შედეგად, ყველა ადამიანმა უნდა მიიღოს მისი საჭიროების შესაბამისი დახმარება, მისთვის სასურველ გარემოში.[673] პანდემიის პირობებში საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის გამოწვევად მიჩნეულია ექიმების და ექთნების დეფიციტი სოფლად, ძველი ინფრასტრუქტურა, სუსტი კავშირები სოფლის ექიმებსა და სხვა სპეციალისტებს

---

[669] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 20 ნოემბრის №01-93/ნ ბრძანება „ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან, ტესტირებასთან ან/და გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებული დოკუმენტის გაცემის წესის, ფორმისა და რეკვიზიტების განსაზღვრის შესახებ.

[670] ფონდი კურაციო. მანდატორული ვაქცინაცია და მწვანე საშვები – საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა. 2021 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IWBxp0 > [ბოლოს ნანახია 22.03.2022].

[671] EU Digital COVID Certificate ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ufywfz >[ბოლოს ნანახია22.03.2022].

[672] ინფორმაცია ხელმისაწვდომია:< https://bit.ly/3uiz6t8> [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[673] World Health Organization & United Nations Children's Fund (UNICEF). (2018). A vision for primary health care in the 21st century: towards universal health coverage and the Sustainable Development Goals. World Health Organization. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3uh9iNW >[ბოლოს ნანახია 22.03.2022].

შორის, ასევე, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების დაფინასების გართულებული და ფრაგმენტული სისტემა.[674]

2021 წლის ზაფხულიდან ხელისუფლებამ წამოიწყო პირველადი ჯანდაცვის რეფორმა, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა სახის აქტივობებს სისტემის ფუნდამენტური და კომპლექსური გაუმჯობესების მიმართულებით.[675] სახალხო დამცველის მოსაზრებით, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკებისგან დასაცავად, აუცილებელია პირველადი ჯანდაცვის ქსელის გაფართოება, მომსახურების პაკეტის სრულყოფა და იქ დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მოტივაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერება. პირველადი ჯანდაცვის სისტემის მიერ მოწოდებული სერვისები უნდა იყოს ხარისხიანი, ეფექტიანი (როგორც კლინიკურად, ისე ხარჯების კუთხით) დროული და თანაბრად ხელმისაწვდომი. მნიშვნელოვანი რეფორმის ფარგლებში ამ საკითხების გათვალისწინება მოხდეს.

15.5. მაღალკვალიფიციური დამხმარე სამედიცინო კადრები

დამხმარე ჯანდაცვის მუშაკები COVID-19-ზე გლობალური რეაგირების განუყოფელი ნაწილია. საავადმყოფოებში, კლინიკებში, ჯანდაცვის პროფესიონალები, მნიშვნელოვანი პერსონალური რისკის ქვეშ, ხშირად მუშაობენ სათანადო პირობების გარეშე, რათა უზრუნველყონ ყველასთვის საჭირო ზრუნვა. მიმდინარე კრიზისი ცხადყოფს ჯანდაცვის მუშაკების არსებით, ინოვაციურ და ძალიან ხშირად შეუფასებელ როლს ძლიერი და მდგრადი ჯანდაცვის სისტემების უზრუნველსაყოფად. ახალი კორონავირუსით დაავადებულთა შორის ჯანდაცვის მუშაკები 3.8% შეადგენენ, ხოლო ამ მაჩვენებლის 32.3% ექთნებზე/დამხმარე სამედიცინო პერსონალზე მოდის.[676]

2021 წელს ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ მძიმე სამუშაო პირობები და დაბალი ხელფასი კიდევ უფრო ამძიმებს საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში არსებულ სიტუაციას. ქვეყანაში საგანგაშოდ დაბალია ექთნების რაოდენობა. კიდევ ერთი პრობლემაა, რომ ქვეყანაში არ არსებობს დადგენილი ხელშესახები და ეფექტიანი სტანდარტი, რომელიც დააწესებდა ზღვარს ღირსეული სახელფასო სისტემის შესაქმნელად, როგორც ჯანდაცვის, ისე სხვა სფეროში დასაქმებულთათვის.[677]

საექთნო ადამიანური რესურსის განვითარებისა და განათლების სრულყოფის მიზნით, ჯანდაცვის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა „საექთნო საქმიანობის განვითარების

---

[674] WHO Regional office for Europe. Rethinking primary health care financing in Georgia (2021) ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34EtXAy> [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[675] სამინისტროს 3-წლიანი საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში 2021, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rcAmMb > [ბოლოს ნანახია 22.03.2022].

[676] COVID-19 საქართველოში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2020-2021 წლის ანგარიში, მე-8 გადახედვა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3HpSW9B> [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[677] „სოლიდარობის ქსელის" კვლევა „კორონავირუსის პანდემია და ექთნების შრომის ღირებულება" 2021 წ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/34vfSW3 > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

ეროვნული საბჭო", ასევე დამტკიცდა საექთნო საქმის განვითარების სტრატეგია,[678] თუმცა არც 2020, და არც 2021 წელს, საბჭოს რაიმე მნიშვნელოვანი აქტივობა არ განუხორციელებელია.

სახალხო დამცველის მოსაზრებით, ჯანდაცვის სისტემის მდგრადობის გასაძლიერებლად, მნიშვნელოვანია დამხმარე სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის გამართვა, საექთნო საქმიანობის განვითარების ეროვნული საბჭოს გააქტიურება, ასევე, აუცილებელია ექთნების/ფერშლის ფუნქციური და შრომითი საქმიანობის სტანდარტების დროულად შემუშავება, მათი უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და პროფესიული რეგულირების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება.[679]

15.6. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა

ჯანმრთელობის უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ჯანმრთელობის შენარჩუნება ან ავადობის დაძლევა. სახალხო დამცველი წინა წლების ანგარიშებში მიუთითებდა, რომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაზარდოს მედიკამენტებზე წვდომა და რეგულარული ზედამხედველობა გაუწიოს წამლების ფიზიკურ ხელმისაწვდომობას.[680] ამ რეკომენდაციის საფუძველზე, სსიპ კონკურენციის სააგენტოს ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის გამოვლენის და მონიტორინგის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება დაევალა.[681] სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, საქართველოში ფარმაცევტული ბაზარი მაღალკონცენტრირებულია და გენერიკული[682] მედიკამენტების რეალიზაცია ბრენდირებულ მედიკამენტებთან შედარებით, გაცილებით მაღალი პროცენტული ფასნამატით ხორციელდება. კერძოდ, ფასნამატი გენერიკულ მედიკამენტებზე რიგ შემთხვევებში აღწევს 200%-ს, ხოლო მედიკამენტებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია სავაჭრო დასახელებებით - 20-30%-ის ფარგლებშია. სარეცეპტო პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს ბაზარზე კონკურენტულ გარემოს და არ შეესაბამება პაციენტის საუკეთესო ინტერესებს. ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენტული გარემოს გასაუმჯობესებლად, ახალი თამაშის წესების განსასაზღვრად, კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები შეიმუშავა.[683] აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, საზღვარგარეთიდან (თურქეთის რესპუბლიკა) საქართველოში ხარისხიანი და იაფი მედიკამენტების შემოსატანად რიგი ცვლილებები

---

[678]საქართველოს მთავრობის დადგენილება №334 „საექთნო საქმის განვითარების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე."

[679] სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 282.

[680] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 217.

[681] საქართველოს პარლამენტის დადგენილება №3148-რს „2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე"

[682] ქიმიური ნივთიერების შემცველი პრეპარატი - აქტიური ფარმაცევტული ნივთიერება, იდენტურია კომპანიის მიერ დაპატენტებული, მედიკამენტის ორიგინალური შემქმნელის მიერ. ის იწარმოება და იყიდება პატენტის ამოწურვის შემდეგ და, შესაბამისად, ფასიც უფრო დაბალია.

[683] ფარმაცევტული ბაზრის ანგარიში, თბილისი 2021, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uaB7HP> [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

შეიტანა მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში,[684] მაგრამ ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია შეიქმნას დამატებითი მექანიზმი შემოტანილი მედიკამენტების ხარისხის შესამოწმებლად.

სახალხო დამცველის მოსაზრებით, სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს ფარმაცევტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, სამკურნალო საშუალებების შექმნის, სტანდარტიზაციის, ხარისხის, უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის ღონისძიებების გააქტიურება, აუცილებელ მედიკამენტებზე წვდომის გაფართოება. მნიშვნელოვანია ხარისხის კონტროლის მოქმედი მექანიზმების დახვეწა და მედიკამენტების ფასის რეგულირების მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარება.

15.7. პაციენტის უფლებები

პაციენტის განცხადების/საჩივრების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის დაცვისათვის. 2008 წლის ნოემბერში ინგლისის პარლამენტისა და ჯანდაცვის ომბუდსმენმა გამოაქვეყნა „საჩივრის კარგი განხილვის პრინციპები".[685] მოხსენებაში ნათქვამია:

> „..საჩივრებზე კარგი მუშაობა უნდა იმართებოდეს ზემოდან... უნდა იყოს ორიენტირებული შედეგებზე. იყოს სამართლიანი, პროპორციული და მგრძნობიარე მომჩივანთა საჭიროებების მიმართ. პროცესი უნდა მიმდინარეობდეს მკაფიოდ და ნათლად, იყოს ადვილად აღსაქმელი, მარტივად ხელმისაწვდომი მომჩივანისათვის და კარგად იმართებოდეს გადაწყვეტილებების სწრაფად განსახილველად და სამომავლოდ მომსახურების გასაუმჯობესებლად".[686]

საქართველოში საკანონმდებლო რეგულირების არსებობის მიუხედავად, პრობლემად რჩება პაციენტების ინფორმირება მათი უფლებების, ხოლო სამედიცინო პერსონალის - მათი მოვალეობების შესახებ. ყველა სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო საქმიანობის ხარისხს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკონტროლებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მასთან შექმნილია პროფესიული განვითარების საბჭო,[687] რომელიც განიხილავს სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებულ განცხადება-საჩივრებს და შესწავლილი მასალების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2017-2021 წლებში შესწავლილ საქმეები

---

[684] საქართველოს მთავრობის დადგენილება №13 „სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სიის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის №188 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

[685] Patients Association Good practice standards for NHS Complaints Handling 2013, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AC1hUY > [ბოლოს ნანახია 22.03.2022]

[686] Good practice standards for NHS Complaints Handling, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3407tu3 > [ბოლოს ნანახია 22.03.2022]

[687] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 16 მაისის ბრძანება №122/ნ.

ადასტურებს, რომ ზემოაღნიშნულ საბჭოში მოქალაქეთა განცხადებების შესწავლა, წლებია, ჭიანურდება. ასევე არ არიან მოქალაქეები სრულყოფილად ჩართულები განცხადების განხილვა/შესწავლის პროცესში, არ მიმდინარეობს მათი სრულყოფილად ინფორმირება განხილვის მიმდინარე ეტაპების შესახებ, მათ მხოლოდ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას აქვთ სხდომაზე დასწრების უფლება.[688]

2020 წლის მსგავსად, 2021 წელსაც, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან" სარეცენზიო მომსახურება შეისყიდა. ხელშეკრულების შესრულებას კონტროლს ინსპექტირების ჯგუფი უწევდა.[689] 2021 წლის ხელშეკრულების ფარგლებში, გამოიკვეთა სარეცენზიო დასკვნის წარმოდგენის გაჭიანურების ფაქტები. უნივერსიტეტის განმარტებით, ეს ქვეყანაში შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური სიტუაციით იყო გამოწვეული. სამედიცინო დოკუმენტაციის რეცენზირება, ობიექტური მიზეზების გამო ფერხდებოდა, ვინაიდან პრაქტიკულად ყველა მათგანი მოქმედი ექიმია და მათ უწევ როგორც მიმდინარე პაციენტების მიღება, ისე კოვიდინფიცირებული პაციენტების მომსახურება.[690]

აღსანიშნავია, რომ საჩივრის სამართლიანად განხილვის უფლებით სარგებლობის პროცესში, ვადები უმნიშვნელოვანესია. ასევე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება ეფექტიანი, ობიექტური და სამართლიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა. ამ უფლების სრულყოფილად რეალიზაციისათვის აუცილებელია საბჭომ გონივრულ ვადაში განიხილოს საჩივრები, რეგულირების სააგენტომ კი, განმცხადებელს მიაწოდოს ინფორმაცია საქმისწარმოების პროცესის მიმდინარეობის ყოველი ეტაპის შესახებ. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო მხარეთა უფლებების დაცვას ადმინისტრაციული წარმოებისას, არამედ უფრო კვალიფიციური და სწორი გადაწყვეტილებების გამოტანასაც, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო უფრო უკეთ იქნება ინფორმირებული განმცხადებლის მოსაზრებებზე საქმის ყველა გარემოებასთან დაკავშირებით. აუცილებელია, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ შეიმუშაოს როგორც პაციენტთა უფლებების დაცვის სფეროს კანონმდებლობის პრაქტიკაში აღსრულების ერთიანი სამართლებრივი რეგულაციები, ისე განმცხადებლებთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი სტანდარტები.

15.8. ონკოლოგიურ პაციენტთა უფლებები

ონკოლოგიური დაავადებები გლობალური მნიშვნელობის გამოწვევაა ჯანმრთელობისათვის. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინტერვენციებისა და სამედიცინო მომსახურებაზე ცალსახად გაუმჯობესებული წვდომის მიუხედავად, კიბოთი მაღალი ავადობა და სიკვდილიანობა კვლავაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

---

[688] საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ" მუხ. 87.
[689] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №2021-32/ბ, 22 თებერვალი 2021 წ.
[690] სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოs წერილი № 02/1134 27.01.2022 წ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ბოლო სამი წლის განმავლობაში ქვეყანაში კიბოთი ახალი შემთხვევების და გარდაცვალების მაჩვენებელი გაზრდილია. მაგალითად, 2015 წლამდე, ყოველწლიურად კიბოს 7000-მდე ახალი შემთხვევა აღინუსხებოდა, 2021 წელს კი ეს რიცხვი უკვე 10 ათასს მიუახლოვდა.[691] საერთაშორისო ექსპერტთა პროგნოზით, 2018-2030 წლების პერიოდში საქართველოში კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა 6%-ით მოიმატებს. იმავე პერიოდში ევროპისათვის პროგნოზირებულია ახალი შემთხვევების 14%-ით მატება.[692]

დადებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფოს მხრიდან ონკოლოგიური პაციენტებისათვის სამედიცინო სერვისების და მედიკამენტებით ფინანსური უზრუნველყოფისკენ მიმართული ძალისხმევა.[693] მაგრამ ამ ცვლილებების მიუხედავად, სამწუხაროა, რომ ამ ცალკეული პროგრამების მიღმა რჩება გვერდითი მოვლენების მართვის და ფსიქოლოგიური სერვისების დაფინანსების საკითხი,[694] ასევე, პრევენციის მიმართულებით მუშაობის შესაძლებლობა.[695] საქართველოს სახალხო დამცველი გასულ წლებშიც მიმართავდა მთავრობას რეკომენდაციით, ონკოლოგიურ დაავადებათა ერთიანი სახელმწიფო პროგრამის შემუშავების თაობაზე, რაც, სამწუხაროდ, არ გაუზიარებიათ. ერთიანი პროგრამა არსებითად გააუმჯობესებდა ონკოლოგიური პაციენტების (სპეციალური სტატუსის მიუხედავად) მკურნალობას და წამლებზე მათ წვდომას.

15.9. ნარკოპოლიტიკა

სახალხო დამცველი არაერთი წელია მიუთითებს[696] მკაცრი და სადამსჯელო ნარკოპოლიტიკის ზრუნვასა და მკურნალობაზე ორიენტირებული მიდგომით ჩანაცვლების საჭიროებაზე, მაგრამ ეს საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება. სამწუხაროდ, პარლამენტს ამ დრომდე არ შეუსრულებია სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში

[691] საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სააგენტო -ჯანდაცვა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3HbMJhh>[ბოლოს ნანახია 22.03.2022]

[692] ავთვისებიანი კიბო საქართველოში, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ucrrMO > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[693] საქართველოს მთავრობის 2020. წლის 21 აგვისტოს დადგენილება №520 „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". ცვლილების თანახმად ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის (ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია) წლიურად ასანაზღაურებელი თანხა 8000 ლარით გაიზარდა. ასევე, საბაზო, მიზნობრივი პაკეტის მოსარგებლეებისთვის ნაცვლად 15 000 ლარისა, პროგრამით განსაზღვრული თანხა 23 000 ლარს გაუტოლდა.

[694] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 196.

[695] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 283.

[696] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 199-201; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 285-286; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 295-299.

წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც პრობლემური პრაქტიკის გამოსწორებას ისახავს მიზნად.[697]

მისასალმებელია, რომ 2021 წლის 11 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ამნისტიის შესახებ კანონი,[698] რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII (ნარკოტიკული დანაშაული) თავით გათვალისწინებულ ცალკეულ ნორმებზეც გავრცელდა.[699] გარდა ამისა, 2021 წლის მიწურულს, ინიცირებულ იქნა ამნისტიის კიდევ ერთი კანონპროექტი,[700] რომელიც, მათ შორის, ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენ პირთა გარკვეულ კატეგორიასაც ეხება.[701] 2022 წლის 16 მარტს, პარლამენტმა კანონპროექტს პირველი მოსმენით დაუჭირა მხარი. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება ამ ინიციატივას და იმედოვნებს, რომ პარლამენტი მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში განიხილავს და დაამტკიცებს ამნისტიის კანონს, რომელიც კოვიდ-პანდემიის პერიოდში პენიტენციურ სისტემაში მყოფ მაქსიმალურად ბევრ პატიმარს მოიცავს და თანხვედრაში იქნება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებსა და დაზარალებულთა მიმართ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებთან.[702]

საყურადღებოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა აღკვეთის სინდრომის[703] მართვის მიმართულებით არსებული გამოწვევები. აღსანიშნავია, რომ შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის[704] მე-16 მუხლით უზრუნველყოფილია ჩანაცვლებით თერაპიაზე ხელმისაწვდომობა. 2021 წელს, იზოლატორში ყოფნის პერიოდში, დაკავებული პირები, რომლებიც მეტადონით ჩანაცვლების პროგრამაში იყვნენ ჩართულები, უზრუნველყოფილები იყვნენ ამ

---

[697] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში,298.

[698] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3lyb8NH > [ბოლოს ნანახია: 21.03.2022].

[699] კერძოდ, ამნისტიის კანონის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლდება პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული: 260(1-2), 261(1-2 (გარდა ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო გასაღებისა)), 265(1), 271(1), 273, 2731(1-7);
სასჯელი გაუნახევრდება ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული: 260(3), 261(3 - (გარდა ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო გასაღებისა));
ერთი მეოთხედით შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი: 260 (6-ა), 261(4-ა) - გარდა ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო გასაღებისა), ასევე, 265(2-3).

[700] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tukMww > [ბოლოს ნანახია: 21.03.2022].

[701] კერძოდ, კანონპროექტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ „გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან (გარდა უვადო თავისუფლების აღკვეთისა) პირი, რომელმაც 2004 წლის 1 იანვრამდე ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული".

[702] იხ. სახალხო დამცველის 2021 წლის 31 დეკემბრის განცხადება. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3wpN799 > [ბოლოს ნანახია: 21.03.2022].

[703] სხვადასხვა შეხამებისა და სიმძიმის სიმპტომთა ჯგუფი, რომელიც აღმოცენდება იმ ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარების შეწყვეტის ან შემცირებისას, რომელსაც, ჩვეულებრივ, მოიხმარდნენ დიდი ხნის განმავლობაში და/ან დიდი დოზებით. სინდრომს შესაძლებელია თან სდევდეს ფიზიოლოგიური დარღვევები. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aGshWM> [ბოლოს ნანახია: 21.03.2022].

[704] დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის №691 ბრძანებით.

მომსახურებით. აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წელს, დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებისას წინასწარ აღებული ულუფის დღეების გასვლამდე, მეტადონის გამცემ კაბინეტში არ გაჰყავდათ მეტადონის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი ის პირები, რომელთაც წინასწარ ჰქონდათ აღებული 5 დღის ულუფა.[705] დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს ეს მიდგომა შეიცვალა და მეტადონით ჩანაცვლებითი პროგრამით სარგებლობის საშუალება მიეცათ იმ პირებსაც, რომელთაც მეტადონის კუთვნილი, რამდენიმე დღის ულუფა წინასწარ ჰქონდათ გატანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[706] სამედიცინო პერსონალი უზრუნველყოფს იზოლატორში პირისთვის აღკვეთის სინდრომის სიმპტომურ მკურნალობას და პაციენტის სუბიექტური/ობიექტური მონაცემების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში გადამისამართებას, ექიმ-სპეციალისტთან კონსულტაციისა და შემდგომი მკურნალობის მისაღებად. მისასალმებელია, რომ ადგილზევე არის სიმპტომური მედიკამენტების მიწოდების საშუალება. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მედიკამენტებს ეფექტი მცირე დროით აქვს და ექიმს დღის განმავლობაში რამდენჯერმე უწევს ტკივილგამაყუჩებლისა და დამამშვიდებელი მედიკამენტის გაკეთება,[707] რაც პაციენტს ტანჯვას აყენებს, თუმცა სტაციონარში არ გადაჰყავთ. აღკვეთის სინდრომის დროულად მოსახსნელად, აუცილებელია პაციენტის შესაბამის დაწესებულებაში შემჭიდროებულ ვადებში გადაყვანა. ამიტომ, მნიშვნელოვანია, დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის სამართავად ერთიანი სახელმძღვანელოს შექმნა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დროებითი მოთავსების იზოლატორში დახმარების მოცულობა და მკაფიოდ გაიწერება, თუ რა შემთხვევაში უნდა გადაიყვანონ დაკავებული სტაციონარში. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა 2020 წელს გასცა რეკომენდაცია,[708] რომელიც ამ დრომდე არ შესრულებულა.

---

[705] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, 145. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ufFlfv > [ბოლოს ნანახია: 21.03.2022].

[706] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 29 დეკემბრის MIA4210349972 პასუხი.

[707] მაგალითად, ერთ-ერთ შემთხვევაში, პაციენტს, მიუხედავად იმისა, რომ სარგებლობდა მეტადონის ჩანაცვლების პროგრამით, აღენიშნებოდა აღკვეთის სინდრომი, ჰქონდა საერთო სისუსტე, კუნთების ტკივილი, კანკალი და შფოთვა, პაციენტს ყოველდღიურად ეძლეოდა მედიკამენტები ამ ჩივილების მოსახსნელად. დაკავებული დროებითი მოთავსების იზოლატორში 7 დღის განმავლობაში იმყოფებოდა, სამედიცინო ჩანაწერების თანახმად, პაციენტმა სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის მოთხოვნით იშიმშილა 1 დღე, ამავე ჩანაწერების თანახმად, დღის განმავლობაში 3-4 ჯერ ესაჭიროებოდა მედიკამენტების მიღება, თუმცა კლინიკაში არ გადაუყვანიათ.

[708] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, 145. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/36zOwzc > [ბოლოს ნანახია: 21.03.2022].

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილება და ნარკოტიკული საშუალებების მცირე ოდენობები ჩამოყალიბდეს არა ეპიზოდური მომხმარებლის ერთჯერადი დოზის, არამედ რეგულარული მომხმარებლის დღიური დოზის გათვალისწინებით;
- დაინიცირდეს ნარკოპოლიტიკის ფუნდამენტური ცვლილებების რეფორმის კანონპროექტი, რომელიც დაეფუძნება მომხმარებლებზე ზრუნვას და ორიენტირებული იქნება სამედიცინო სერვისების განვითარებაზე.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს ვაქცინაციის ეროვნული გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგი და ამ საკითხთან დაკავშირებით, ანგარიში 6 თვეში ერთხელ მიაწოდოს საზოგადოებას;
- შეიმუშაოს ერთიანი სახელმწიფო პროგრამა/დაამატოს არსებულ პროგრამებს შესაბამისი ელემენტები, რათა უზრუნველყოს ონკოლოგიურ დაავადებათა ახალი შემთხვევების დროულად გამოვლენა, კიბოს გავრცელების შესუსტება და ონკოლოგიური პაციენტებისათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- პირველადი ჯანდაცვის სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცნობიერების ასამაღლებლად, შეიმუშაოს ეფექტიანი საკომუნიკაციო სტრატეგია ოჯახის ექიმის ბენეფიციარებთან კომუნიკაციის გაძლიერების მიმართულებით, განისაზღვროს მიზნები, მათი მიღწევის მექანიზმები და შეფასების კონკრეტული ინდიკატორები, ასევე, გადამოწმდეს მიღებული შედეგები;
- შეიმუშაოს მკაფიო და დროში გაწერილი გეგმა პანდემიის პირობებში პაციენტის საჭიროებებზე ორიენტირებული, მაღალხარისხიანი პირველადი ჯანდაცვის სერვისების (პრევენცია, სკრინინგი, მკურნალობა, მართვა) ეფექტიანად და ხარისხიანად მისაწოდებლად;
- შეიმუშაოს სწრაფი და ეფექტიანი ღონისძიებების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს საექიმო/საექთნო ადამიანური რესურსის განვითარებას, დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მოტივაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერება;

- შეიმუშაოს მკაფიო და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სამედიცინო პერსონალის ფუნქციური და შრომითი საქმიანობის სტანდარტებს;
- ონკოლოგიური პაციენტებისათვის გათვალისწინებულ სერვისებზე მიმართვიანობის გასაზრდელად და დაავადებების ეფექტიანად სამართავად, შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტების მიერ სერვისების სრულად მიღებას, მკურნალობაზე დამყოლობის და სერვისების მიღებაზე მონიტორინგს.

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს:

- შეიმუშაოს საქმისწარმოების პროცედურის განმსაზღვრელი ახალი ნორმები/სტანდარტი, რომლითაც განისაზღვრება სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესაფასებლად მომზადებული სარეცენზიო დოკუმენტაციის პროფესიული საბჭოსათვის განსახილველად მიწოდების დროული და სრულყოფილი წარდგენის ვალდებულება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- შეიმუშაოს სამედიცინო პერსონალისთვის ერთიანი სახელმძღვანელო დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის სამართავად, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დროებითი მოთავსების იზოლატორში დახმარების მოცულობა და მკაფიოდ გაიწერება, თუ რა შემთხვევაში უნდა გადაიყვანონ დაკავებული სტაციონარში ;
- უზრუნველყოს ნივთიერებებზე დამოკიდებული დაკავებული პირების დროული რეფერირება სამედიცინო დაწესებულებაში.

16. სოციალური უზრუნველყოფის უფლება

16.1. შესავალი

სოციალური დაცვა არის ადამიანის უფლება და განისაზღვრება, როგორც პოლიტიკისა და პროგრამების ერთობლიობა, რომელიც შექმნილია სიღარიბისა და დაუცველობის შესამცირებლად და პრევენციისთვის მთელი ცხოვრების განმავლობაში. სოციალური დაცვა მოიცავს შეღავათებს ბავშვებისა და ოჯახებისთვის, მშობიარობის, უმუშევრობის, დასაქმებისას დაზიანების, ავადმყოფობის, სიბერის, შეზღუდული შესაძლებლობის გამო, ასევე ჯანმრთელობის დაცვისას. [709]

საქართველოში სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს სოციალური დაცვის სისტემის წინაშე არსებულ სხვადასხვა გამოწვევაზე[710] და მიუთითებს, რომ მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შინამეურნეობების კვლევაზე დაყრდნობით „მიზნობრივი სოციალური პროგრამის" ეფექტიანობის პერიოდული შეფასება და შედეგების მიხედვით შესაბამისი ზომების მიღება. უნდა აღინიშნოს, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარების ის ძირითადი პრობლემები[711], რაზეც სახალხო დამცველი წლებია საუბრობს, მათ შორის, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ადმინისტრირების არაეფექტიანი პროცედურები,[712] საანგარიშო პერიოდში მწვავედ არ გამოკვეთილა, ვინაიდან ამ პერიოდში მთავრობის დადგენილების შესაბამისად, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახებს[713] უწყვეტად უგრძელდებოდათ საარსებო შემწეობის გაცემა.[714]

ასევე პრობლემად რჩება ქვეყანაში სოციალურად დაუცველი ოჯახების სათანადო კვების უფლებაზე ხელმისაწვდომობა.

16.2. მიზნობრივი სოციალური დახმარება

სოციალური პაკეტი სოციალური დახმარების ერთ-ერთი სახეა, რომელიც მიზნად ისახავს, სოციალური დაცვის შესაბამისი სისტემის შექმნას, მოსახლეობის მიზნობრივი და

---

[709] უკიდურესი სიღარიბისა და ადამიანის უფლებების საკითხებში სპეციალური მომხსენებლის ანგარიში „სოციალური დაცვა", ხელმისაწვდომია:< https://bit.ly/3iMv4lw > [ბოლოს ნანახია 21.02.2022].

[710] სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020, 300; სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019, 288.

[711] წლებია, არ შეფასებულა პროგრამის ეფექტიანობა, არ შესწავლილა სამომხმარებლო ინდექსის გამომთვლელი ფორმულის ეფექტიანობა და შინამეურნეობების საჭიროებები; ინტელექტუალური თამაშისგან, შეჯიბრისგან ან მსგავსი ინტელექტუალური შრომის შედეგად ბავშვის მიერ მიღებული ჯილდო/თანხა „ოჯახის დეკლარაციის" შესაბამის გრაფაში ოჯახის კონკრეტული წევრის მიერ მიღებულ პირად ფულად შემოსავლად აისახება, რაც უარყოფითად მოქმედებს სოციალურად დაუცველი ბავშვების მოტივაციაზე, მიიღონ და გამოავლინონ ცოდნა, რადგან მათი ოჯახი დახმარების დაკარგვის რისკის ქვეშ დადგება; თბილისში მცხოვრები ოჯახების ძირითადი საცხოვრებელი ადგილის მდგომარეობის ინდექსის გამოთვლის საკითხი; ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში სამომხმარებლო კალათის ღირებულების უცვლელობა.

[712] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, 230, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2019. 290, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2020, 302.

[713] 100 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებთან მიმართებით.

[714] COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 45.

ეფექტიანი დახმარების უზრუნველსაყოფად.[715] 2022 წლამდე არსებულ სოციალურ პროგრამათა უმრავლესობა გათვლილი იყო მხოლოდ მინიმალური საჭიროებების მყისიერ დაკმაყოფილებაზე და არა არსებული პრობლემების გრძელვადიან გადაჭრაზე. 2022 წელს პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა[716] რასაც სახალხო დამცველი შემდეგ საანგარიშო პერიოდში შეაფასებს.

2021 წლის დეკემბრის მონაცემებით, მიზნობრივი სოციალური დახმარების მონაცემთა ბაზაში 1.7 მილიონამდე პირია დარეგისტრირებული (მოსახლეობის დაახლოებით 27.4%), მათგან 532 242 პირი (52%) იღებს საარსებო შემწეობას. მიზნობრივი სოციალური დახმარების დაფარვა მოსახლეობის დაახლოებით 14.3%-ზე ვრცელდება.[717] ბოლო სამი წელია, ეს მონაცემები მზარდია, თუმცა სისტემაში მოხვედრის მსურველ პირთა რაოდენობის მიუხედავად, პროგრამა სრულად ვერ ფარავს მოთხოვნას და მოსახლეობის უზრუნველყოფა დამოკიდებულია ბიუჯეტიდან პროგრამისთვის გამოყოფილ რესურსებზე.

ცხრილზე მოცემულია საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისა და მოსახლეობის რაოდენობა 2019, 2020 და 2021 წლებში.



16.3. სათანადო კვების უფლება/უფასო სასადილოებზე ხელმისაწვდომობა

როგორც წესი, უფასო სასადილოთი სარგებლობის შესაძლებლობა ეძლევათ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირებს, რომლებიც სოციალური

[715] სოციალური დაცვა და შეზღუდული შესაძლებლობა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2014.

[716] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის №80 დადგენილება: იმ შემთხვევაში, თუ [...] სარეიტინგო ქულის ზღვრული ოდენობის მქონე, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის წევრი მონაწილეობას მიიღებს „საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამაში", ამ ქვეპროგრამის ფარგლებში გაუფორმდება სოციალური ხელშეკრულება და დაენიშნება სოციალური გასაცემელი, დასაქმდება შრომის ბაზარზე არსებულ ვაკანსიაზე ან მოახდენს დასაქმების ფორმალიზებას, ოჯახს 4 წლის განმავლობაში უწყვეტად უნარჩუნდება საარსებო შემწეობა ამ მუხლით გათვალისწინებული პირობებით.

[717] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3qKwoKo > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

პროგრამით განსაზღვრულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ. ქვეყნის მასშტაბით მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების მხრიდან უფასო სასადილოებით მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია, თუმცა, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ეს მომსახურება მოსახლეობას განსხვავებულად მიეწოდება, ხოლო იმავე მუნიციპალიტეტებში, ყველას თანაბრად არ მიუწვდება ხელი ამ სერვისზე.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ქვეყნის რიგ მუნიციპალიტეტებში უფასო სასადილოებში არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად, ირკვევა, რომ, როგორც წესი, უფასო სასადილოები განთავსებულია ადმინისტრაციულ ცენტრებში და ზოგიერთ შემთხვევაში ამ მომსახურების მისაღებად შორს მდებარე სოფელში მცხოვრებ ბენეფიციარებს დიდი მანძილზე უწევთ გადაადგილება. მაგალითად, ბაღდათის მუნიციპალიტეტში ყველაზე შორს მდებარე სოფელში მცხოვრებ ბენეფიციარს დაახლოებით 30 კმ გავლა უწევს ყოველდღიურად, რათა ისარგებლოს უფასო სასადილოს მომსახურებით.[718] ხოლო ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში - 15 კმ. მანძილის გადაადგილება.[719]

წლებია პრობლემაა ისიც რომ უფასო სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციარების ძირითად სიებთან ერთად, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არ აქვთ დამატებითი სიები.[720] შესაბამისად, მომლოდინე პირს მუნიციპალიტეტი განუმარტავს, რომ სერვისით სარგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება, თუ ძირითადი სიიდან გარდაიცვლება პირი, ან სხვა მიზეზით ამოირიცხება. დამატებითი სიების არსებობა, სწორედ სიის მსგავს უძრაობას შეუწყობდა ხელს და სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, ძირითადი სიების ბენეფიციარებისათვის გათვალისწინებული გაცემის საათების შემდეგ, ისინიც ისარგებლებდნენ კვების სერვისით.

მუნიციპალიტეტების ნაწილი, რომელსაც აქვს უფასო სასადილოს სერვისი,[721] საკვებით ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ბენეფიციარს. იქ, სადაც მაღალია საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის და/ან ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობა, უფასო კვების მიწოდებაზეც მაღალია მოთხოვნა, თუმცა მწირი საბიუჯეტო დაფინანსების გამო[722] ასეთი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილია უზრუნველყოფილი. სერვისის მიმღებ პირთა ფორმირებული სიებიც[723] დამოკიდებულია გამოყოფილი თანხის ოდენობაზე.

გარდა ამისა, გარკვეულ მუნიციპალიტეტში, სადაც განთავსებულია უფასო სასადილო, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადაადგილების შესაძლებლობის არმქონე მარტოხელა ხანდაზმული პირებისთვის, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, არ არის გათვალისწინებული საკვების ადგილზე მიტანის შესაძლებლობა და

[718] ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი №7708, 26/01/2022.
[719] ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის წერილი №5322, 21/01/2022.
[720] მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.
[721] მაგალითად უფასო სასადილო არ ფუნქციონირებს ადიგენში, გარდაბანში, ონში, მარტვილში, ლენტეხში, მესტიაში, მარნეულში.
[722] მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.
[723] ძირითადი და დამატებითი სიები. აქედან, დამატებით სიაში აღრიცხული პირების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ძირთადი სიის რაოდენობის 10%-ს.

ამ პირებს რეალურად არ მიუწვდებათ ხელი უფასო სასადილოს მომსახურებაზე.[724] მუნიციპალიტეტების მხოლოდ ნაწილი ახორციელებს საჭიროების მქონე ბენეფიციარებისათვის ულუფის შინ მიწოდების სერვისს.[725]

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში საარსებო შემწეობის დანიშვნის ვადების შესამცირებლად, განახორციელოს ცვლილებები.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს:

- შეისწავლონ საკვების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით თავიანთი მუნიციპალიტეტის საჭიროებები, მათ შორის, ტერიტორიული ხელმისაწვდომობის/დაფარვის კუთხით და შეაგროვონ სტატისტიკური მონაცემები.
- საჭიროების შესაბამისად საკვების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გაზარდონ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, მოიძიონ დამატებითი სახსრები, ასევე, უზრუნველყონ საჭიროების მქონე ბენეფიციართათვის საკვების შინ მიტანა.
- საკვების მიმღებ ბენეფიციართა სიების შედგენისას, ბენეფიციართა რეგისტრაციის თარიღის ნაცვლად, მათი ოჯახების საჭიროებებით იხელმძღვანელონ და ამის უზრუნველსაყოფად შეიტანონ ცვლილებები შესაბამის სამართლებრივ აქტებში.

[724] მაგალითად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი (წერილი №5602, 27/01/2022), ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი (წერილი №5602, 27/01/2022).
[725] მაგალითად, ქუთაისში მდებარე უფასო სასადილო 34 ოჯახს აწვდის ულუფას. ასევე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდებარე უფასო სასადილო.

17. სათანადო საცხოვრებლის უფლება

17.1. შესავალი

სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის კუთხით, ქვეყანაში კვლავ მძიმე მდგომარეობაა, შესაბამისად, ეს იწვევს უსახლკარო პირთა საჭიროებების უგულებელყოფას და ღირსეულ საცხოვრებელ პირობებზე ხელმისაწვდომობის არქონას. წინა წლების მსგავსად, არ არსებობს უსახლკარო პირის სრულფასოვანი საკანონმდებლო განმარტება და სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი ჩარჩო კანონმდებლობა, სახელმწიფოს არ აქვს უსახლკარო პირთა სამთავრობო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. 2020 წელს „სათანადო საცხოვრისის უფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნის[726] საფუძველზე, საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან უსახლკარო პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ღონისძიებები არ გატარებულა. ვერც ქვეყანაში უსახლკარობის პრობლემის დასაძლევად საჭირო პოლიტიკის დოკუმენტის და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით 2019 წელს შექმნილმა უწყებათაშორისმა სამთავრობო კომისიამ[727] შეძლო მისთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელება და შეუსრულებელი დარჩა ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით[728] აღებული ვალდებულებები.

სახელმწიფო არ ამუშავებს ინფორმაციას ქვეყანაში უსახლკარობის გამომწვევი ფაქტორების და უსახლკარობის მასშტაბების შესასწავლად, შედეგად, ხელისუფლებას არ გააჩნია კვლევის შედეგებზე დაფუძნებული უსახლკარობის პრევენციისთვის საჭირო პოლიტიკა. ქვეყანაში დღემდე არ არსებობს უსახლკარო პირთა ერთიანი, ხოლო რიგ მუნიციპალიტეტებში - ადგილობრივ მონაცემთა ბაზები, შეზღუდულია უსახლკარო პირთათვის გამოყოფილი საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურული რესურსები, თავშესაფრებსა და სოციალურ საცხოვრისებში მოთავსებული პირებისთვის არ არსებობს მხარდამჭერი პროგრამები, ხოლო ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებული პროგრამები არაეფექტიანია და ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ვერ უზრუნველყოფს.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ძალაში რჩება საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები, რომლებიც წინა წლის საპარლამენტო ანგარიშში ხემოხსენებული გამოწვევების გადასაჭრელად გაიცა.[729]

---

[726] ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3557Bcb > [ბოლოს ნანახია: 24.02.2022].

[727] „საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის №190 დადგენილება.

[728] „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ნოემბრის №537 დადგენილება, ვალდებულება №14.

[729] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თავი: „სათანადო საცხოვრებლის უფლება".

17.2. უსახლკარო პირთა უფლებრივი მდგომარეობა რეგიონებში

17.2.1. ზოგადი მდგომარეობა და პრობლემები

უკანასკნელ წლებში საცხოვრისით დაკმაყოფილების კუთხით რეგიონებში წარმოქმნილი გამოწვევების საპასუხოდ, მუნიციპალიტეტმა უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და საცხოვრისის სერვისით დაკმაყოფილების წესები შეიმუშავა. მაგალითად, თბილისში ამგვარი რეგულაციები 2015 წელს დამტკიცდა, ქუთაისში – 2017 წელს, ხოლო რუსთავში – 2018 წელს. ამავე პერიოდში, ექსპლუატაციაში შევიდა სოციალური საცხოვრისებიც.

2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველი უსახლკარო პირად მიჩნევის მუნიციპალური კრიტერიუმების სისტემურ ხარვეზებზე მიუთითებდა.[730] საყურადღებოა, რომ უსახლკარობის ცნება, რომელსაც ადგენენ მუნიციპალიტეტები, არ ასახავს რეალობაში არსებულ უსახლკარობის ყველა ფორმას, მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული უსახლკარო პირთა რეგისტრაციის წესი კი, საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ფენის - უსახლკარო პირების დიდ ნაწილს, სათანადო საცხოვრისზე მისაწვდომობის უფლების გარეშე ტოვებს. შექმნილ ვითარებაში საქართველოს სახალხო დამცველმა უსახლკარო პირად მიჩნევის 12 მუნიციპალური კრიტერიუმის კონსტიტუციურობის საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც მიმართა.[731] აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემა ძირეულად გამოწვეულია უსახლკარო პირის სრულფასოვანი და ერთიანი საკანონმდებლო განმარტების უქონლობით, რაზეც სახალხო დამცველი, წლებია, საპარლამენტო ანგარიშებში ამახვილებს ყურადღებას.

სხვა პრობლემებთან ერთად, საცხოვრისებში ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური-საგანმანათლებლო მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამების/სერვისების (პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება/გადამზადება, დასაქმებაში ხელშეწყობა და სხვ.) არარსებობა, ასევე სერიოზულ გამოწვევად გვესახება. შედეგად ვერ ხდება მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია და სოციალური საცხოვრისის მობინადრეებს განუსაზღვრელი ვადით ამყოფებს სახელმწიფო მხარდაჭერაზე დამოკიდებულ მდგომარეობაში.

17.2.2. საცხოვრისებში არსებული მდგომარეობა

სოციალურ საცხოვრისებში უსახლკარო პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელებმა თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ოზურგეთში, ბათუმსა და ზუგდიდში არსებული მუნიციპალური საცხოვრისები მოინახულეს.

საპარლამენტო ანგარიშის მომზადების მომენტისათვის (2022 წლის მარტი) თბილისის მუნიციპალიტეტში, ორხევის საცხოვრისში 260-მდე მცხოვრები იმყოფებოდა; ოზურგეთის

[730] იქვე.

[731] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 29 ივლისის №1639 კონსტიტუციური სარჩელი, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Lx7Kot > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

სოციალურ საცხოვრისში - 52 ოჯახი, ბათუმში - 21 ოჯახი (2 ორსართულიანი თითოეულში 7 ოჯახი); ქუთაისში - 70 ოჯახი და 11 მიუსაფარი პირი, ხოლო რუსთავის საცხოვრისში 52 ოჯახი იყო განთავსებული.

სოციალურ საცხოვრისებში უმთავრესი პრობლემაა საცხოვრებელი ფართის ზომა, რომელიც გამორიცხავს რამდენიმე წევრისგან შემდგარი შინამეურნეობისათვის საკმარისი საცხოვრებელი გარემოს არსებობას. მაგ., რუსთავის საცხოვრისში, საცხოვრებელი ფართების მცირე ზომიდან გამომდინარე (26 კვ.მ), მრავალშვილიანი ოჯახები იძულებულები არიან, არასრულწლოვანი შვილები ნათესავებთან ან მინდობით აღზრდაში ამყოფონ. რეალურად, ყველა სოციალურ საცხოვრისში არიან მრავალშვილიანი ან ორი და მეტი თაობისგან შემდგარი ოჯახები, რომელთა სარგებლობაში არსებული ფართიც ვერ უზრუნველყოფს ღირსეულ საცხოვრებელ პირობებს, თუმცა იმის გამო, რომ მათ არსად აქვთ წასასვლელი და ალტერნატიულ სერვისებს მუნიციპალიტეტები ვერ სთავაზობენ, იძულებულნი არიან დარჩნენ ამ პირობებში. ამ პრობლემასთან დაკავშირებით საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2021 წელს მიღებული პრეცედენტული გადაწყვეტილება.[732] საქმე ეხებოდა უსახლკაროდ რეგისტრირებულ 6 წევრისგან შემდგარი ოჯახისთვის 38.32 კვ.მ საცხოვრებელი ფართის სათანადობის საკითხს. სათანადო საცხოვრებლის უფლების განმარტებისას, უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ საცხოვრისით უზრუნველყოფის დროს მოქალაქისთვის გადაცემული ფიზიკური ფართი უნდა აკმაყოფილებდეს მინიმალურ სტანდარტებს, რათა ოჯახს მიეცეს მასში ღირსეულად ცხოვრების საშუალება, ხოლო ერთ ადამიანზე 6.4 კვ.მ ფართობის გამოყოფა ამგვარ შესაძლებლობას ვერ უზრუნველყოფს.

ქუთაისში ნიკეას დასახლებაში მდებარე სოციალური საცხოვრისის შენობა ყოფილი კავშირგაბმულობის დაწესებულებაა, რომელიც აუდიტის შესაბამისობის ანგარიშის თანახმად, სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიუხედავად, ვერ აკმაყოფილებს საცხოვრებლის ფუნქციებს და მოსახლეობისთვის არ არის შექმნილი შესაბამისი საცხოვრებელი პირობები.[733] გარდა იმისა, რომ შენობა ავარიულია, ობიექტს არ გააჩნია საცხოვრებლისთვის აუცილებელი პირობები, მაგ., ფანჯრები არ არის საცხოვრებელი სივრცის შესაფერისი, ისინი განთავსებულია დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლეზე; საცხოვრისს არ აქვს აივნები, რის გამოც სარეცხს და ქვეშაგებელს სადარბაზოებში ფენენ, ოთხებში სამზარეულო საძინებლისგან არ არის გამიჯნული, შენობაში ოთახები გატიხრულია თაბაშირ-მუყაოთი, რის გამოც შეუძლებელია ხმის იზოლაცია და არ არის დაცული პირადი სივრცე. შენობის საძირკველში დაგუბებული წყალი საცხოვრებელ სახლებში ნესტს და ობს იწვევს.

[732] ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/3KPvt2X (ბოლოს ნანახია: 10.03.2022 წ.).
[733] საქართველოს აუდიტის სამსახურის „შესაბამისობის აუდიტის ანგარიში", თბილისი, 2019.

თბილისში, ორხევის დასახლებაში მდებარე შენობაში, უმთავრესი პრობლემაა იზოლაციის საკითხი, კერძოდ, შიდა კედლებისა და დერეფნის სისტემის ისეთი მოწყობა, რაც მცხოვრებთა უწყვეტი საყოფაცხოვრებო ხმაურისგან დაცვას უზრუნველყოფდა.[734] ქუთაისის სოციალური საცხოვრისის მსგავსად, შენობაში ოთახები ერთმანეთისგან გამოყოფილია თაბაშირ-მუყაოს მასალით, რაც ასევე შეუძლებელს ხდის ხმის იზოლაციას და ოჯახებს არ აქვთ პრივატული გარემო. ამას ემატება ისიც, რომ საცხოვრისში 87 ბავშვი ცხოვრობს, შესაბამისი რეკრეაციული სივრცის არარსებობის გამო, ისინი უმეტეს დროს შენობის დერეფანში ატარებენ, რაც იწვევს ხმაურს და ამ ნიადაგზე - მეზობლებს შორის სისტემატურ კონფლიქტებს. ხმაური ბავშვებს - მეცადინეობაში, ოჯახებს - პირადი ცხოვრების ქონაში უშლის ხელს, მოხუცებსა და სხვადასხვა ფიზიკური თუ ფსიქიკური საჭიროების მქონე ადამიანებს კი - დასვენებაში, რაც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. ორხევის სოციალური საცხოვრისის შემთხვევაში მნიშვნელოვანი პრობლემაა გეოგრაფიული ადგილმდებარეობა - ობიექტი არ მდებარეობს ურბანულად განვითარებულ გარემოში, შენობის მიმდებარედ არ არის განთავსებული ყოველდღიური საჭიროების ინფრასტრუქტურული ობიექტები, მაგალითად, მუნიციპალური უფასო სასადილო, საავადმყოფოები, დღის ცენტრები და სხვ.

ოზურგეთის სოციალური საცხოვრისი ყოფილი სამშობიაროს შენობაშია განთავსებული და მობინადრეები 3 სართულზე არიან განაწილებულნი. სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა უმწვავესი პრობლემაა შენობაში არსებული ნესტი, დაობებული კედლები და ჭერი, რაც გამოწვეულია შენობის სარდაფში წლის სისტემატური დაგუბებით. ამ მხრივ უკიდურესად მძიმე საცხოვრებელ პირობებში იმყოფებიან შენობის პირველ სართულზე მცხოვრები ოჯახები, რომელთა შორისაც არიან ჩვილი და მცირეწლოვანი ბავშვები, აგრეთვე ხანდაზმული პირები. 7 წელია ოჯახები ამ პირობებში ცხოვრობენ. შედეგად, მობინადრეთა განმარტებით, ბავშვებს სუნთქვის უკმარისობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ქრონიკული დაავადებები განუვითარდათ. დამატებით, საგულისხმოა, რომ შენობა მდებარეობს ქალაქის გარეუბანში, ურბანულად განუვითარებელ გარემოში, შენობის ირგვლივ მხოლოდ დანგრეული შენობებია, არ არის მანქანით მისასვლელი ასფალტირებული გზა, რეკრეაციული ზონა ბავშვებისთვის, ხანდაზმული და შშმ პირებისთვის.

რაც შეეხება ბათუმის სოციალურ საცხოვრისებს, ისინი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან ერთობლივი პროექტის – „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში" – ფარგლებში 2008 წელს აშენდა, ოჯახები კი, 2009 წელს შეასახლეს. აქ საგანგაშოა ერთ-ერთი შენობის მდგომარეობა, სავარაუდოდ, მიწის დაწევის შედეგად, შენობის კედლებზე გაჩენილია ნაპრალები, საიდანაც შენობის სარდაფში ნალექის დროს წყალი ჩაედინება. სარდაფში სრულ პერიმეტრზე იყო წყალი დაგუბებული.

[734] საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი 2020 წ., ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3I3hYuq [ბოლოს ნანახია: 10.03.2022].

მობინადრეთა განცხადებით, ამის გამო ოთახებში ნესტის სუნი დგას, ზაფხულში სარდაფი კოღოებით და ქვეწარმავლებით ივსება, სუფევს ანტისანიტარია. ამგვარ პირობებში ცხოვრება კი საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მცხოვრებლებისგან მოპოვებული ინფორმაციით დამატებით ირკვევა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია პერიოდულად ეხმარებათ სარდაფიდან წყლის ამოტუმბვაში, თუმცა სარდაფში წლის დაგუბების თავიდან ასაცილებლად, შენობას დღემდე არ ჩატარებია სარეაბილიტაციო სამუშაოები.

წარმოდგენილი მაგალითები ადასტურებს, რომ სოციალური საცხოვრისის მოწყობის მინიმალური სტანდარტების არარსებობა სერვისში ჩართული ბენეფიციარებისათვის სათანადო საცხოვრისის უფლებების დარღვევის რისკებს აჩენს და სერვისის მიწოდებისას მუნიციპალიტეტებს გაუმართლებლად ფართო დისკრეციას ანიჭებს. კერძოდ, საცხოვრისის სათანადოობის ერთიანი სტანდარტის არარსებობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობა ეძლევათ, საცხოვრისად გამოუსადეგარი შენობა უსახლკარო ადამიანებისა და ოჯახების შესასახლებლად გამოიყენონ, რაც არა მარტო ბენეფიციარების ცხოვრების ხარისხზე ახდენს ზეგავლენას, არამედ, საფრთხის შემცველიც შეიძლება გახდეს მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- ზედამხედველობა გაუწიოს „სათანადო საცხოვრისის უფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულებას;
- საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, კანონმდებლობით განისაზღვროს უსახლკარო პირის ცნება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შემუშავდეს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი სოციალური საცხოვრისის მოწყობის მინიმალური სტანდარტები.

ქ. თბილისის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის და ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას:

- 2022 წლის განმავლობაში შეფასდეს სოციალური საცხოვრისების სათანადოობა და საცხოვრებლად ვარგისიანობა, უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში კი, იქ მცხოვრები ადამიანები დაუყოვნებლივ უზრუნველყონ სათანადო და უსაფრთხო ალტერნატიული საცხოვრისით.

18. საკუთრების უფლება

18.1. შესავალი

საკუთრების უფლება აღიარებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციით[735] და ეროვნული კანონმდებლობით და მისი დაცვა ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.[736] 2021 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებების განხილვის შედეგად გამოიკვეთა საკუთრების უფლების დაცვის პრობლემები, კერძოდ, მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაჭიანურების ფაქტები, რაც სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ რეესტრის მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის დადგენილ ვადებში წარუდგენლობით იყო გამოწვეული.

გასულ წელს, სხვისი მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის საქმეებზე მოვალეებისა და მათი თანმხლები პირების სააღსრულებო ფურცელში მითითებული უძრავი ქონებიდან იძულებითი წესით გამოყვანის შეჩერებამ, ასევე მნიშვნელოვნად გაართულა საკუთრებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობა.[737] უძრავი ნივთის მესაკუთრეები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოკლებულნი იყვნენ საკუთრებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდვის შემოღება პანდემიით იყო განპირობებული და გარკვეულწილად იცავდა უკანონო მფლობელების ინტერესებს, არ ითვალისწინებდა მესაკუთრის ინტერესს, მათ შორის, გაწერილი არ ყოფილა გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც დაშვებული იქნებოდა ასეთი გადაწყვეტილების აღსრულება (მაგ., როცა შეჭრილ პირს აქვს სხვა საკუთრებაც, მესაკუთრისთვის კი, ეს ერთადერთი საცხოვრებელი ფართი ან/და საკუთრებაა და სხვ.). მისასალმებელია, რომ ამჟამად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 1 მარტის №812 ბრძანების საფუძველზე, გაუქმებულია ეს შეზღუდვა.

18.2. საკუთრების უფლებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთასთან დაკავშირებული პრობლემები

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა უძრავი ქონების მესაკუთრეთათვის მათი საკუთრებით სარგებლობაში ხელშეშლის ფაქტების აღკვეთასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემური საკითხი. ამ კუთხით, აღსანიშნავია უძრავი ქონებიდან იძულებითი გამოსახლების პროცედურების სირთულე და დროში გაჭიანურება, ასევე, მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი.

18.2.1. საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთასთან დაკავშირებული პრობლემები

საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 11 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო პაკეტით გაუქმდა ე. წ. საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტი. შესაბამისი ცვლილებები

[735] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 19.
[736] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის №1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „მეტალინვესტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, პარ. 1.
[737] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის №582 ბრძანება, მუხ. 4, პუნ. 2.

შევიდა პოლიციისა და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონებში, ასევე, სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში. კერძოდ, 2015 წლის 11 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, გამოსახლებასთან დაკავშირებულ დავებზე სასამართლოში საქმის განხილვის ვადები ერთ თვემდე შემცირდა, ხოლო საკასაციო საჩივრის მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის საერთო ვადად ორი თვე განისაზღვრა.[738] ასევე, შესაძლებელი გახდა უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაც. ამ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა კი საქმის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებად აღარ განიხილება.

ამ ცვლილების მიუხედავად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეებითა და საქართველოს საერთო სასამართლოების სტატისტიკური ინფორმაციით დასტურდება,[739] რომ სასამართლოები უმეტესად ვერ ახერხებენ გამოსახლების თაობაზე საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი მცირე ვადების დაცვას. შესაბამისად, მოქალაქეებს, საკუთარი საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნისთვის, საკმაოდ ხანგრძლივი დავა უწევთ საერთო სასამართლოებში.

სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობის გარდა, მოქმედებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 1 მარტის №75 ბრძანებით დამტკიცებული „საცხოვრებელი სახლიდან/ბინიდან ან/და სხვა მფლობელობიდან უკანონო მფლობელისა და მასთან მყოფი პირის/პირების გამოსახლების/გამოყვანის წესი'', რომელიც, მართლზომიერი მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში, უკანონო მფლობელის გამოყვანის წესს და პროცედურებს ადგენს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლით[740] გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას. ამ წესის საფუძველზე საკუთრებაში შეჭრილი პირების იძულებითი გამოყვანა ძალიან იშვიათ შემთხვევებში ხდება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით,[741] საანგარიშო პერიოდში საცხოვრებელი სახლიდან/ბინიდან ან/და სხვა მფლობელობიდან უკანონო მფლობელისა და მასთან მყოფი პირის/პირების გამოსახლების მოთხოვნით წარედგინათ 26 განცხადება, რომელთაგან *მხოლოდ 3-ს მოჰყვა გამოსახლება.*

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით[742] დადგინდა, რომ სხვისი საკუთრებიდან სააღსრულებო პოლიციის მიერ გამოსახლებულმა პირმა კვლავ დაიკავა სხვისი საკუთრება და განაგრძო იქ ცხოვრება. მესაკუთრემ შეჭრილი პირის გამოსახლება მოითხოვა. ამ პირის მიმართ სსკ-ის 160-ე

[738] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 391, ნაწილი 6.
[739] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 11 თებერვლის №211/გ წერილი.
ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 18 თებერვლის №1867-1 წერილი.
ფოთის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 18 თებერვლის №92 წერილი.
[740] ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა.
[741] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 ნოემბრის №MIA62103044692 წერილი.
[742] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 15 თებერვლის №MIA52200394668 წერილი.

მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე გამოძიება 2020 წლის 4 მარტს დაიწყო. გამოძიება დასრულდა და საქმე არსებითი განხილვის მიზნით, 2021 წლის 11 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაიგზავნა. თუმცა, 2022 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით, ბინაში შეჭრილი პირი ჯერ კიდევ არ იყო გამოსახლებული.

ამ ინფორმაციით დასტურდება, რომ ზემოხსენებული ბრძანებით გათვალისწინებული მექანიზმი, ასევე ვერ ჩაითვლება საკუთრების უფლებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის ეფექტიან მექანიზმად და ამ მიმართულებით, მესაკუთრეთა ინტერესების დაცვის მიზნით, სულ მცირე, აუცილებელია პრაქტიკის კანონმდებლობის მოთხოვნებთან მისადაგება.

18.3. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების შეფერხების საკითხი

საანგარიშო პერიოდში მოქალაქეთა განცხადებების შესწავლით დადგინდა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარე სარეგისტრაციო წარმოებების ფარგლებში, ამავე უწყებიდან გაგზავნილ წერილებზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო დადგენილ ვადაში არ რეაგირებდა. წერილებში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ითხოვდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პოზიციას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კორექტირების თაობაზე, ვინაიდან დგინდებოდა ზედდება განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ აზომვით ნახაზებზე დატანილი მიწის ნაკვეთებისა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებთან. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე ატვირთული შესაბამისი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო საკუთარ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე პოზიციას მხოლოდ მას შემდეგ გამოთქვამდა, რაც ამის თაობაზე მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ინტერესდებოდა.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით,[743] სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საანგარიშო პერიოდში კერძო საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაფიქსირებული ზედდებების გაუქმების მოთხოვნით, სააგენტოს 2449 მიმართვა წარედგინა. მათგან სააგენტოს დადებითი პოზიცია გაიცა მხოლოდ 1006 მიმართვაზე. წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზით ირკვევა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართვებზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, უმრავლეს შემთხვევაში, რამდენიმე თვის, ზოგჯერ კი, წლის შემდეგ

[743] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 25 თებერვლის №17/10614 წერილი.

რეაგირებდა. ამასვე ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მოქალაქეთა მომართვიანობა.[744]

სარეგისტრაციო წარმოების დროს აღნიშნული უწყების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების ხანგრძლივი დროით გაჭიანურება თავისთავად უარყოფითად აისახება მოქალაქეთა საკუთრების უფლების სრულყოფილად რეალიზაციაზე, ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევებში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პოზიციის გარეშე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მოკლებულია სარეგისტრაციო წარმოების დასრულების და საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

18.4. საკუთრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებში

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ფარგლებში კვლავ გამოიკვეთა სისხლის სამართლის საქმეებში საკუთრების უფლების შეზღუდვის პრაქტიკა. ამ საკითხთან დაკავშირებულ ცალკეულ პრობლემებზე, სახალხო დამცველს ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში წარსულშიც არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება.[745] წინამდებარე თავი 2021 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის მიერ გაცემული ცალკეული წინადადებებისა და შესწავლილი საქმეების ანალიზს ეთმობა.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა გამოძიების ფარგლებში საკუთრების უფლების არაგონივრული შეზღუდვის პრობლემური პრაქტიკა. აპარატის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში,[746] ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, ავტომობილი საჯარიმო სადგომზე 3 წელიწადზე მეტი ხნით იყო გადაყვანილი, რაც მოქალაქისთვის არაგონივრულ ხარჯებსა და საკუთრების განკარგვის უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას იწვევდა. ერთ-ერთი სხვა საქმე[747] შეეხებოდა გამოძიების ფარგლებში კომპანიიდან კომპიუტერული ტექნიკისა და მობილური ტელეფონების ამოღების საკითხს, რომლებიც ამოღებიდან თითქმის ორი წლის გასვლის შემდეგაც კი, საექსპერტო კვლევის დაუსრულებლობის მიზეზით, კვლავ გამოძიების ხელთ არის, რის გამოც კომპანიის საქმიანობა შეჩერებულია. გამოსაკვლევი ობიექტების რაოდენობისა და მოცულობის მიუხედავად, შეუძლებელია, რომ საკუთრების უფლების ასეთი ხანგრძლივი შეზღუდვა გამართლებულად ჩაითვალოს. ამგვარი პრაქტიკა ნივთის მესაკუთრის საკუთრების განკარგვის უფლების არაპროპორციულ შეზღუდვად უნდა შეფასდეს.

2021 წლის 22 ივლისს საჯაროდ გავრცელდა კადრები, რომლებიც ასახავდა, თუ როგორ წაართვა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა ტელეკომპანია „მთავარი არხის" ჟურნალისტს მიკროფონი, როდესაც იგი ახორციელებდა ჟურნალისტურ საქმიანობას და მინისტრს შეკითხვას უსვამდა. მინისტრმა ნივთი

[744] ნ.კ.-ს 2021 წლის 16 აპრილის №4077/21 განცხადება; ი.ა.-ს 2021 წლის 17 ივნისის №6444/21 განცხადება; ს.მ.-ს 2021 წლის 22 სექტემბრის №10191/21 განცხადება; ა.ა.-ს 2021 წლის 27 ოქტომბრის №11476/21 განცხადება.
[745] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში,397-403; 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, 513-519; 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 214-216.
[746] ა. მ.-ს საქმე.
[747] ა. ბ-სა და შ. ბ.-ს საქმე.

ტელეკომპანიას მომხდარიდან მხოლოდ 3 თვის შემდეგ დაუბრუნა.[748] ამასთან დაკავშირებით, 2021 წლის 15 ნოემბერს სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურატურას გამოძიების დაწყების შესახებ წინადადებით მიმართა.[749] სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ მინისტრის ქმედებაში იკვეთებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლითა (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა)[750] და 360-ე (თვითნებობა) ან 178-ე (ძარცვა)[751] მუხლებით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულის ჩადენის ნიშნები.

წინადადებაში სახალხო დამცველი მიუთითებდა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ პოზიტიურ ვალდებულებაზე, დაეწყო და ეწარმოებინა ეფექტიანი გამოძიება გამოხატვის თავისუფლებასა და საკუთრების ძირითადი უფლების შელახვის ფაქტზე. გენერალური პროკურატურის წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ მათი შეფასებით, მინისტრის ქმედებაში არ იკვეთებოდა დანაშაულის ნიშნები, რის გამოც გამოძიება არ დაწყებულა.[752] პროკურატურის წერილში აღნიშნულია, რომ ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის დანაშაულებრივი ნიშნები ვერ დადგინდა, რადგან ჟურნალისტმა მიკროფონის წართმევის მომენტში და შემდეგ შეუფერხებლად შეძლო საკუთარი საქმიანობის გაგრძელება (კითხვების დასმა), ხოლო ძარცვის დანაშაული გამოირიცხა, რადგან მინისტრმა მოგვიანებით არაერთხელ გამოხატა ნივთის დაბრუნებისადმი მზაობა. სამწუხაროდ, ამგვარი პოზიციის გაზიარება შეუძლებელია, რადგან (1) ფაქტის მიუხედავად, ჟურნალისტის მიერ საქმიანობის გაგრძელება არ ნიშნავს, რომ მის საქმიანობას მიკროფონის წართმევით ხელი არ შეეშალა (რაზეც მიუთითებს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა) და (2) ნივთის უკანონოდ დაუფლებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მისი დაბრუნებისადმი მზაობა არ აქარწყლებს დანაშაულებრივ ფაქტს.

აპარატის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში[753] გამოვლინდა ადმინისტრაციული წესით პირის დაკავების დროს პოლიციელების მხრიდან დაკავებულის მობილური ტელეფონის „ამოღების" ფაქტი. აღსანიშნავია, რომ ამოღება საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც დანაშაულის ფაქტზე დაწყებული გამოძიების პროცესში ტარდება სასამართლოს განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობისას.[754] ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფარგლებში ამოღებას კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს. პირადი გასინჯვის დროს შეიძლება მხოლოდ იმ ნივთების ჩამორთმევა, რომლებიც

[748] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2XUJTvB > [ბოლოს ნანახია 22.03.2022].
[749] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 15 ნოემბრის №15-4/10817 წინადადება.
[750] ვინაიდან შემთხვევის დროს ჟურნალისტი ასრულებდა პროფესიულ საქმიანობას, ხოლო მიკროფონის წართმევით მინისტრმა მას ხელი შეუშალა საქმიანობაში.
[751] სახალხო დამცველმა წინადადებაში მიმოიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელსაც, ფაქტობრივად, იდენტური ფაქტობრივი გარემოებების შემცველი საქმეები დაკვალიფიცირებული აქვს თვითნებობის ან ძარცვის მუხლებით.
[752] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 9 დეკემბრის №13/74495 წერილი.
[753] ბ. შ.-ს საქმე.
[754] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი.

სამართალდარღვევის იარაღია.[755] არაკანონსაწინააღმდეგო საგნები, მათ შორის, მობილური ტელეფონი, ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირს დროებითი მოთავსების იზოლატორში შემოწმებისას ჩამოერთმევა.[756] ამრიგად, ადმინისტრაციული წესით დამკავებელმა პოლიციელებმა დაარღვიეს კანონი, რომელთა მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების წინადადებით სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა.[757]

რეკომენდაციები

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს:

- უზრუნველყოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში მიღებულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება.

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის კატეგორიის საქმეები, პრიორიტეტულად განიხილებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადებში.

[755] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 249-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[756] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 02.08.2016 წ. №423 ბრძანების №2 დანართის მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის დანართი №1.
[757] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ივლისის №15-5/7355 წინადადება.

19. საარჩევნო უფლება

19.1. შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველი, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აქტიურად ადევნებდა თვალს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ პროცესებს.

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისი უძღოდა წინ.[758] წინასაარჩევნო პერიოდმა და კენჭისყრის დღეებმა (I და II ტურმა) დაძაბულ გარემოში, ნეგატიური რიტორიკის ფონზე ჩაიარა. სახალხო დამცველის აპარატისთვის, ამ პერიოდში, სხვადასხვა წყაროს საშუალებით, ადამიანის უფლებების შესაძლო ხელყოფის არაერთი ფაქტის შესახებ გახდა ცნობილი. 2022 წლის 01 მარტის მდგომარეობით აპარატისთვის ცნობილი ინფორმაციით, პარტია „საქართველოსთვის" კანდიდატების მიმართ, კანდიდატურის მოხსნის მიზნით ჩადენილ შესაძლო იძულების, ასევე, მოქალაქეთა სავარაუდო მოსყიდვის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებებში, დაზარალებულად ან ბრალდებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის.

არჩევნებს წინ უძღოდა საარჩევნო რეფორმა, რომელიც ჯერ კიდევ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ შექმნილი კრიზისის ფონზე წარიმართა. პარლამენტში დაიწყო საქმიანობა საარჩევნო რეფორმის სამუშაო ჯგუფმა, თუმცა ბოიკოტის გამო მასში არ მონაწილეობდნენ ოპოზიციური პარტიები., საერთაშორისო მედიაციისა და მიღწეული კონსესუსის შედეგად, რეფორმის პროცესში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებიც ჩაერთნენ. რეფორმის ფარგლებში ცალკეული პოზიტიური ცვლილების მიუხედავად,[759] ვენეციის კომისიის და ეუთოს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისების (OSCE/ODIHR) შეფასებით,[760] მნიშვნელოვანი იყო საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების ნდობას უკავშირდება. ამდენად, მნიშვნელოვანია დაიგეგმოს არა ფრაგმენტული, არამედ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული, საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას სრულად მისადაგებული საარჩევნო რეფორმა.

---

[758] 2021 წლის 19 აპრილს, გახანგრძლივებული მოლაპარაკებების შედეგად, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების ფასილიტაციით ჩატარდა, შეთანხმდა საარჩევნო და სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები. შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა 2022 წელს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას, თუკი შეთანხმების შესაბამისად, მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებში მმართველი პარტია ვერ მიაღწევდა პროპორციული ხმების 43 პროცენტს.

[759] მაგალითად, საარჩევნო რეფორმით დაინერგა საჩივრების ელექტრონული პლატფორმა და გამარტივდა საჩივრების წარდგენის პროცესი, გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევის წესი, დაინერგა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოვლენილი საარჩევნო უბნების გადათვლის ვალდებულება.

[760] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (ODIHR), 30 April 2021, ELE-GEO/408/2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NvFZyi > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

19.2. წინასაარჩევნო პერიოდი

გასულ წლებში საპარლამენტო, საპრეზიდენტო თუ ადგილობრივი არჩევნების უკიდურესად პოლარიზებული და ძალადობრივი საარჩევნო პერიოდის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებას საჯარო განცხადებით[761] გამოეხმაურა და შესაბამის ინსტიტუტებს ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის შემთხვევების თავიდან აცილებისკენ მოუწოდა.

სამწუხაროდ, საარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს გამოვლენილმა ადამიანის უფლებების ხელყოფის ათეულობით შემთხვევამ კვლავ დააზარალა ქვეყანაში დემოკრატიული საარჩევნო პროცესი. სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა პოლიტიკური მოტივით უკანონოდ, დისკრიმინაციულად სამსახურებიდან გათავისუფლების ფაქტებს, ასევე, გამოიკვეთა ოპოზიციური პარტიების კანდიდატების მიმართ სავარაუდო ზეწოლის, საბავშვო ბაღებში/საჯარო სკოლებში დასაქმებულ პირთა მიმართ პოლიტიკური ზეწოლისა და პერსონალური მონაცემების, სავარაუდოდ, უკანონო დამუშავების ფაქტები. გამოიკვეთა მედიისა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის მტრული გარემოს შექმნის ტენდენციაც.[762]

წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლების საჭიროებებისა და მათი პრობლემების მოგვარების საშუალებებზე მსჯელობის ნაცვლად, კამპანიის ცენტრალურ ადგილს პოლიტიკური დაპირისპირებები იკავებდა ეროვნულ საკითხებზე მნიშვნელოვანი ფოკუსირებით, რამაც ადგილობრივი საკითხები დაჩრდილა. გარდა ამისა, ეროვნული სადამკვირვებლო ორგანიზაციები[763] მიუთითებდნენ საარჩევნოდ მოტივირებული სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური პროგრამისა და პროექტის ინიცირებასა და საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა მმართველი პარტიის აგიტაციაში აქტიურ მონაწილეობაზეც. ამან, თავის მხრივ, ხელი შეუშალა ჯანსაღი კონკურენციისა და თანასწორი საარჩევნო გარემოს ფორმირებას.

წინასაარჩევნო პერიოდში შემაშფოთებელი იყო მედიით გავრცელებული ინფორმაცია, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან საბავშვო ბაღებსა და საჯარო სკოლებში დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების უკანონოდ დამუშავების თაობაზე.[764] დაუშვებელია პირთა პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვება, რაც, მაღალი ალბათობით, მათი პოლიტიკური ნიშნით შევიწროების მიზნით გამოიყენება. ამგვარ ვარაუდს ამყარებს მანამდე არსებული პრაქტიკაც. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატის მიერ წარსულში შესწავლილი საქმეებიდან იკვეთება საარჩევნო პერიოდში

---

[761] სახალხო დამცველის მიმართვა წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IR9Yhw > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[762] სახალხო დამცველის საჯარო განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pIVTLt [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[763] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების განცხადება/ანგარიში,იხ. ბმულები: <https://bit.ly/34iUOCy>; <https://bit.ly/3tHHcts> 6; „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" შუალედური ანგარიში, იხ. ბმული: < https://bit.ly/3sLop10 >[ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[764]ტელეკომპანია პირველის სიუჟეტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ChQ2lk [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

ბაღის და სკოლის დირექტორების სამსახურიდან პოლიტიკური მოტივით გათავისუფლების პრობლემა.[765] ერთ-ერთი საქმის შესწავლისას სახალხო დამცველმა დაადგინა დისკრიმინაცია, რადგან გაირკვა, რომ განმცხადებლისთვის საჯარო სკოლის დირექტორის პოზიციაზე ხელმეორედ დანიშვნაზე უარი მისი ოჯახის წევრების პოლიტიკური საქმიანობით იყო განპირობებული. [766]

19.3. კენჭისყრის დღეები (I და II ტური)

რაც შეეხება კენჭისყრის დღეებს, სადამკვირვებლო მისიების შეფასებით, ორივე ტური ძირითადად, ტექნიკურად კარგად ადმინისტრირებული იყო, კენჭისყრა, ცალკეული პროცედურული ხარვეზების მიუხედავად, კანონის მოთხოვნების დაცვით წარიმართა.

თუმცა, ამავე მისიების შეფასებით,[767] ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საჯარო წყაროებით გავრცელებულ ინფორმაციაზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ კენჭისყრის დღეს ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა საარჩევნო უბნებთან საეჭვო შეკრებები, ამომრჩევლის სატრანსპორტო საშუალებებით უბნებამდე მიყვანა, ამომრჩევლის აღრიცხვის ფაქტები იყო. ამომრჩევლის სახელობითი აღნუსხვა, განსაკუთრებით, მეორე ტურის კენჭისყრის დღეს, მიმდინარეობდა როგორც საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე, ისე უბნების შიგნითაც.

საერთო ჯამში უბნებთან შექმნილი ვითარება არ ქმნიდა ჯანსაღ საარჩევნო გარემოს. სახალხო დამცველი იზიარებს სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასებას, რომ ასეთი ფაქტები და შექმნილი დამაშინებელი გარემო აბრკოლებს ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოვლინებას. რაც კიდევ უფრო შემაშფოთებელია იმ დასკვნის გათვალისწინებით, რომ ამას, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, მცირე სხვაობის გათვალისწინებით, შესაძლოა, შედეგებზეც მოეხდინა გავლენა.[768]

ნების თავისუფლება საარჩევნო უფლების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. ამდენად, სამწუხაროა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების[769] მიუხედავად, რომლის თანახმადაც, საარჩევნო უბნის გარეთ 100 მეტრის პერიმეტრში შეკრებები აიკრძალა, პრაქტიკაში ეს საკითხი კვლავ პრობლემურია. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ[770] განმარტა, რომ მათ მიერ მონახულებული საარჩევნო უბნების 29 პროცენტში,

---

[765] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2018, 230-231.

[766] სახალხო დამცველმა სკოლის დირექტორის თანამდებობაზე ხელმეორედ დანიშვნაზე უარი პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციად შეაფასა, იხ. ბმული: https://bit.ly/3tDOL44 [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[767] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34izlto [ბოლოს ნანახია 30.03.2022]; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3I1ehFT [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[768] 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში, „სამართლიანო არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, 4, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tUvoW1 > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[769] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-12 ნაწილი.

[770] საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, მეორე ტური, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, 20, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3NBta5o > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

დროდადრო შეიმჩნეოდა ცალკეულ პირთა ჯგუფების დამაშინებელი ყოფნა უშუალოდ საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე. ამომრჩეველთა აღრიცხვა მონახულებული საარჩევნო უბნების დაახლოებით 9 პროცენტში იკვეთება. ხოლო ეროვნული სადამკვირვებლო ორგანიზაციის მითითებით, 14 ასეთ შემთხვევაში, დამკვირვებლებმა საჭიროდ მიიჩნიეს საპატრულო პოლიციის გამოძახება. ორ შემთხვევაში, გამოძახებული პატრული არ მოსულა, ზოგ შემთხვევაში კი, მიუხედავად უბნის პერიმეტრზე მოქალაქეების მრავლად მობილიზებისა, პოლიციას რეაგირება არ მოუხდენია.[771]

საინტერესოა, რომ თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით,[772] მხოლოდ 3[773] შემთხვევაში დაიწყო საარჩევნო უბნებთან 100 მეტრამდე მანძილზე მოქალაქეთა შეკრებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საქმისწარმოება. სახალხო დამცველის შეფასებით, ერთი მხრივ, სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ გამოვლენილი შემთხვევები, და მეორე მხრივ, სამინისტროს მონაცემები, ცხადყოფს, რომ სამართალდამცავი უწყების მიერ გატარებული ღონისძიებები არაეფექტიანიაა.

სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციების ინფორმაციით,[774] საგანგაშო და მასშტაბური სახე ჰქონდა არასამთავრობო ორგანიზაციის ეგიდით მოქმედ პარტიულ სადამკვირვებლო საქმიანობას, კერძოდ, მმართველი პარტიის სასარგებლოდ მოქმედი დამკვირვებლები ხშირად აზიანებდნენ საარჩევნო პროცესს, ერეოდნენ კომისიის საქმიანობაში, ხელს უშლიდნენ მიუკერძოებელ დამკვირვებლებს და ეწეოდნენ ამომრჩეველთა აღრიცხვასა და მათი ნების გაკონტროლებას.

კენჭისყრის დღეს მედიასაშუალებებით აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია უბნებთან არსებული დაძაბულობების შესახებ, რომლებიც, ძირითადად, ან პარტიების მხარდამჭერებს შორის დაპირისპირებაში, ან მედიის წარმომადგენელისკენ მიმართულ აგრესიაში/თავდასხმაში გამოიხატებოდა.[775]

ცხადია, ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა, ერთიანობაში, მთლიანად დააზარალა საარჩევნო პროცესები, მათ შორის, საზოგადოების მხრიდან ნდობაც. სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ ცალკეულ საქმეებში კანონის უზენაესობის აღსრულებას

---

[771] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3JTLViz > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[772] საქათველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს MIA 5 22 00144520 წერილი.

[773] ქ. ქუთაისში №59 ოლქის №90 საარჩევნო უბანთან; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის №83 საარჩევნო ოლქის №30 საარჩევნო უბანთან; ასევე, გვეცნობა, რომ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტებში შესული შეტყობინების საფუძველზე, თვითმმართველობის არჩევნების კენჭისყრის დღეს პერიმეტრზე მომხდარ სავარაუდო გადაცდომებთან დაკავშირებით, სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონულ სამმართველოში გამოიცა ერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

[774] 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში, ISFED, > 7, 62, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tUvoW1 > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[775] იხილეთ წინამდებარე ანგარიშის გამოხატვის თავისუფლების თავი.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უკანონო ქმედების სამომავლოდ თავიდან ასაცილებლად, რაც, წლებია, საარჩევნო პროცესების ერთ-ერთ უცვლელ და მთავარ გამოწვევად რჩება.

19.4. დასაქმებულთა შრომითი უფლებების დარღვევა პოლიტიკური მოტივით

როგორც აღინიშნა, საარჩევნო პერიოდში გამოიკვეთა შესაძლო პოლიტიკური ნიშნით პირთა შრომის თავისუფლებაში ჩარევის სამწუხარო ტენდენცია. კერძოდ, სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა 69 პირის შესაძლო დისკრიმინაციულად, პოლიტიკური შეხედულებების გამო, სამსახურიდან გათავისუფლების ან სამსახურებრივი შევიწროების შემთხვევების შესახებ. ამ პირთა უმეტესობამ, სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრისას, მიზეზად ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას პოლიტიკურ პარტიასთან თუ მის წევრებთან ნათესაური, მეგობრული ან კეთილგანწყობილი ურთიერთობა დაასახელა. მათ შორის, ნაწილი ამას სოციალურ ქსელებში პარტიის ლიდერის მხარდამჭერი ან სიმპათიის გამომხატველი პოსტების ან კომენტარების განთავსებას უკავშირებდა.

გარდა ამისა, მოქალაქეები აღნიშნავდნენ, რომ ზემდგომი პირები უშუალოდ ან სხვა პირების დახმარებით სთხოვდნენ გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერას, რასაც ნაწილი დაეთანხმა, ნაწილი კი - არა. მათი გარკვეული რაოდენობა, ვინც უარი განაცხადა მსგავსი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, სხვა საფუძვლით გაათავისუფლეს.

სახალხო დამცველმა, პოლიტიკური ნიშნით შესაძლო უკანონო გათავისუფლების და სამსახურებრივი ზეწოლის 44 შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია, შესწავლისა და რეაგირების მიზნით, სამართალდამცავ ორგანოებს მიაწოდა.[776] შედეგად, სხვადასხვა საჯარო დაწესებულების, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიმართ შრომის კანონმდებლობის დარღვევის[777] სავარაუდო ფაქტებზე, გამოძიება დაიწყო როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში,[778] აგრეთვე, გენერალურ პროკურატურაში.[779] მოცემულ ეტაპზე, ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეებში დაზარალებულად ან ბრალდებულად არცერთი პირია ცნობილი.[780]

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა მოცემული ეტაპისთვის, 9 პირის მიმართ შრომითი უფლებების ან პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა და პასუხისმგებელ უწყებებს შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა.[781] დამატებით, 2 შემთხვევაში, სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა

---

[776] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 31 აგვისტოს №04-2/8451, 20 სექტემბრის №04-2/8982 და 21 სექტემბრის №04-2/9063 წერილები.
[777] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლი.
[778] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 29 სექტემბრის №2572356 წერილი.
[779] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 5 ოქტომბრის №13/60486 წერილი.
[780] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 21 თებერვლის №13/9757 წერილი.
[781] მათგან ორ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rTeiXr> [ბოლოს ნანახია 16.02.2022].

საერთო სასამართლოებში განმცხადებლების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით მიმდინარე შრომითი დავების ფარგლებში.[782]

სახალხო დამცველი შემაშფოთებლად მიიჩნევს დასაქმებულთა შრომითი უფლებების უკანონო და დაუსაბუთებელი საფუძვლებით დარღვევის ტენდენციას, რაც, რეალურად, პოლიტიკური შეხედულების გამო, მათ მიმართ ანგარიშსწორებას ისახავს მიზნად. მსგავსი ფაქტები ნეგატიურად აისახება როგორც ცალკეულ ინდივიდთა უფლებრივ მდგომარეობაზე, აგრეთვე, ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობაზე.

19.5. ზეწოლა-მუქარის/მოსყიდვის სავარაუდო ფაქტები და ძალადობრივი და სხვა ინციდენტები

წინასაარჩევნო გარემოს ერთ-ერთი გამოკვეთილი ტენდენცია იყო ზეწოლის ფაქტების სიმრავლე. საგულისხმოა, რომ წინასაარჩევნოდ შრომით ურთიერთობებში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების მსგავსად, ასეთი ფაქტების უმრავლესობა ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას პოლიტიკური ძალის მხარდამჭერთა წინააღმდეგ იყო მიმართული. საქართველოს სახალხო დამცველმა ჯამში დაახლოებით 60-მდე სავარაუდო ზეწოლა-მუქარის ფაქტზე მიმართა[783] სამართალდამცავ უწყებებს.

კანდიდატების წარმდგენი პარტიების ცნობით, სავარაუდო მუქარები უმეტესად მომდინარეობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებისგან, მმართველი გუნდის საარჩევნო შტაბებიდან, კრიმინალური ავტორიტეტის მქონე პირებისგან. პარტიების ცნობით, კანდიდატებს ემუქრებოდნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით, საკუთრების დაზიანებით და სამეწარმეო საქმიანობაში ხელშეშლით (ცალკეულ შემთხვევებში, კანდიდატების კომპანიებში სახელმწიფო უწყებებმა ინსპექტირება დაიწყეს), ოჯახის წევრებისა და ახლობლების უსაფრთხოების ხელყოფით, მათი სამსახურიდან გაშვებით, სოციალური დახმარების მოხსნით, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის არასასურველად დასრულებით. ზოგს კი, კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში, სამომავლოდ დასაქმებას ან ოჯახის წევრის ჯანმრთელობაზე ზრუნვას პირდებოდნენ.

ის ფაქტი, რომ თითქმის არცერთმა კანდიდატმა არ მოისურვა მომხდარზე საუბარი არც საჯაროდ და არც სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან, იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ზეწოლის/მუქარის განხორციელების შემთხვევაში, ყოფილ კანდიდატებს მუქარის აღსრულების მოლოდინი აქვთ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ[784] მითითებული ფაქტების ნაწილში კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ვერ გამოკვეთა, ნაწილის შემთხვევაში კი, მიმდინარეობს გამოძიება. მათ შორის, გამოძიება მიმდინარეობს პარტია „საქართველოსთვის“

[782] მათგან ერთ-ერთი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rTeiXr> [ბოლოს ნანახია 16.02.2022].
[783] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 04-11/8857, 04-11/9729 წერილი.
[784] MIA 2 21 02530699 წერილი.

კანდიდატების მიმართ კანდიდატურის მოხსნის მიზნით ჩადენილი შესაძლო იძულების ფაქტზე.[785] ამ ეტაპზე დაზარალებულად ან ბრალდებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის.[786]

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეების განმავლობაში, ვრცელდებოდა არაერთი ინფორმაცია ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის თაობაზე. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს გენერალურ პროკურატურას საარჩევნო პერიოდში ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის 32 ფაქტზე მიმართა,[787] თუმცა უწყებამ[788] ჯამში 7 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება. მათგან 2 შემთხვევაში გამოძიება შეწყდა და ამჟამად 5 საქმეზე მიმდინარეობს.[789] დაზარალებულად ან ბრალდებულად კონკრეტული პირი არცერთ შემთხვევაში ცნობილი არ არის.[790]

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველმა, საჯარო წყაროებისა და ეროვნული სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშების დამუშავების შედეგად, დაახლოებით 40 შემთხვევაზე, რომელთა ფარგლებშიც, შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ხასიათის ქმედებას, ასევე მიმართა[791] სამართალდამცავ უწყებებს. ამ საქმეებიდან 13 შემთხვევაზე მიმდინარეობს გამოძიება,[792] რომელთაგან 3 სისხლის სამართლის საქმეში[793] დაზარალებულად არის ცნობილი სამი პირი, ხოლო 1 შემთხვევაში[794] დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა. სხვა საქმეებში კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ არის. დანარჩენ ფაქტებთან დაკავშირებით გვეცნობა, რომ არ გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები/კანონდარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ან ზოგიერთ შემთხვევაში, დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოება.

---

[785] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. №090220921001 საქმე.
[786] საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/10411 23/02/2022 წერილი.
[787] საქართველოს სახალხო დამცველის №04-11/8858, №04-11/10215 და №04-11/10538 წერილები.
[788] საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/57997, №13/68455 და №13/72731 წერილები.
[789] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, კონკრეტული პირები დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ იყვნენ.
[790] საქართველოს გენერალური პროკურატურის 13/12003, 1/03/2022 წერილი.
[791] საქართველოს სახალხო დამცველის №04-11/8854, №04-11/10216, №04-11/10539 წერილები.
[792] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს MIA 5 21 02532690, MIA 1 22 00099293, MIA 3 22 00150332 წერილები. 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა): №038300721003, №056010920002, №004021021014, №038270921002, №014220921001, №012210921001; №038300721003; №056140921005.
162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების გამოხატვაში ხელის შეშლა): №031031021001; №068021021001.
№173270821005 177-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქურდობა), №031021021003 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), , №171291021006 151-ე მუხლით (მუქარა).
[793] ეს საქმეებია: №014220921001 ა.ს.;, №012210921001 ი.გ.;, №031021021003 ე.მ., საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/12004, 1/03/2022 წერილი.
[794] №031021021003, ბრალი წარედგინა გ.რ.-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით.

რეკომენდაციები

ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და სხვა საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელ პირებს:

- მომავალში არ დაუშვან პოლიტიკური შეხედულებების გამო თანამშრომელთა, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემასა და საბავშვო ბაღებში დასაქმებულ პირთა შევიწროება, დისკრიმინაცია და სამსახურიდან გათავისუფლება.

საქართველოს გენერალურ პროკურორს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- დროულად გამოიკვლიონ 2021 წელს საარჩევნო პერიოდის თაობაზე სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილ წერილებსა და საჯარო წყაროებში მითითებული ზეწოლის, მუქარის, შრომის კანონმდებლობის დარღვევის, ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო ფაქტები, ძალადობრივი ინციდენტები და სხვა შესაძლო კანონსაწინააღმდეგო შემთხვევები, უზრუნველყონ ფართო საზოგადოებისა და სახალხო დამცველის აპარატის ინფორმირება ყველა შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის თაობაზე.

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- წარმოადგინოს მსჯელობა/არგუმენტაცია ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში „პროკურატურის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლისა და პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა ძალადობრივი ქმედებისა და ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტებთან დაკავშირებული გამოძიების მიმდინარეობისა და გაწეული საქმიანობის თაობაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- გაატაროს ყველა ეფექტიანი ღონისძიება თითოეულ შემთხვევაში საარჩევნო უბნის გარეთ 100 მეტრის პერიმეტრში შეკრებების აკრძალვის თაობაზე საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-12 ნაწილით დადგენილი შეზღუდვის პრაქტიკაში აღსასრულებლად.

20. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება

20.1. შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველი, სხვა უფლებების მსგავსად, ზედამხედველობას უწევს კონსტიტუციით აღიარებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებასაც.

მართალია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატისათვის მომართვიანობა არ არის მაღალი, თუმცა არაერთი წელია, ცალკეული საქმეების შესწავლისა და აპარატის პროაქტიული საქმიანობის შედეგად გამოვლენილი სისტემური პრობლემები ყოველწლიურად ხვდება სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში. გამოწვევების ძირითადი ნაწილი საპასუხოდ სახელმწიფოსგან აქტიური, შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას მოითხოვს.

ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხება საკანონმდებლო რეგულაციებს, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის სათანადო და ეფექტიან დაცვაზე ორიენტირებულ ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს. როგორც ცნობილია, წლებია, გრძელდება „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსის" პროექტზე მუშაობა,[795] რომლის ინიცირება პარლამენტში ამ დრომდე არ მომხდარა. სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვანია, ახალმა რეგულაციებმა შესაძლებელი გახადოს კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ ჩადენილი უკანონო ქმედებების თავიდან აცილება და აღკვეთა, ძეგლების რეაბილიტაციისას მათი დაცვის ინტერესებისათვის საჭირო სრულყოფილი ბერკეტების შექმნა, კერძო საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად საჭირო გარანტიების შემუშავება.[796]

წინა წლის მსგავსად, საანგარიშო წელს აქტუალური იყო მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის, გელათის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პროცესები; წელს განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ასევე, შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის შენობასა და მასში დაცულ კოლექციებთან დაკავშირებული საკითხები. სახალხო დამცველის შეფასებით, ორივე ამ შემთხვევას, მათი ინდივიდუალური პრობლემების პარალელურად, აერთიანებს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება - პროცესები არ მიმდინარეობს გამჭვირვალედ და საზოგადოების მონაწილეობით.

არც გასულ წელს მიუღიათ ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტი, რომლითაც უნდა დამუშავდეს კულტურული მემკვიდრეობის საკითხებს დაქვემდებარებული რიგი საკითხები. სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ 2022 წელს მაინც მოხერხდება დოკუმენტის დამტკიცება,[797] რასაც, ბათუმის განაშენიანებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით

[795] საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს № 00005136, 23/02/2022 წერილი.
[796] ვრცლად იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2020, 330.
[797] ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის №14-1422053696, 22/02/2022 წერილი.

არსებული უმძიმესი გამოწვევების გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სამწუხაროდ, კვლავ უშედეგოდ მიმდინარეობს გამოძიება რუისი-რიკოთის საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში არქეოლოგიური ობიექტებისა და საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს დაზიანების ფაქტებზე არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, არსებითად ახალი გარემოებები არც საანგარიშო წელს გამოვლენილა.[798]

20.2. კონსერვაცია-რეაბილიტაცია და პროცესების საჯაროობა

უკანასკნელი ორი საანგარიშო წლის განმავლობაში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით ორი უმნიშვნელოვანესი საქმის, გელათისა და შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესწავლამ ცხადყო, რომ პრობლემურია, ერთი მხრივ, ძეგლების დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა-წარმართვა, მეორე მხრივ კი, ამ პროცესების საჯაროობა.

კონსტიტუციურ ვალდებულებებთან ერთად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებულ ვალდებულებას ადგენს საქართველოს მიერ რატიფიცირებული არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება.[799] მათ შორის, აღსანიშნავია, „ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ქარტია"[800] („ვენეციის ქარტია"), რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კონსერვაციის პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს. ქარტიის მიხედვით, კონსერვაციისა და რესტავრაციის ყველა სამუშაოს წინ უნდა უძღოდეს ზუსტი დოკუმენტაცია ანალიტიკური და კრიტიკული დასკვნების სახით, ნახატების, ნახაზების და ფოტოების თანხლებით. აღწერილი უნდა იყოს სამუშაოების ყველა ფაზა: განშრევება, გამაგრება, აღდგენა და ინტეგრირება, ისევე როგორც ამ სამუშაოების დროს წარმოჩენილი ტექნიკური ან ფორმალური ელემენტები. ეს დოკუმენტაცია შესაბამისი საჯარო ორგანიზაციის არქივში უნდა ინახებოდეს და მეცნიერებისთვის მისაწვდომი უნდა იყოს, ასევე რეკომენდებულია მასალების გამოქვეყნება.[801] მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთან (გელათი) მიმართებით, ასევე რელევანტურია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კონვენცია.[802]

---

[798] საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/11742, 1/03/2022 წერილი.

[799] ევროპის კულტურული კონვენცია, პარიზი, 1954, კონვენცია „ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ", 1982, კონვენცია „ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ", 1992, ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", 1982, კონვენცია „კულტურული ექსპრესიების მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ", 2005, ჩარჩო კონვენცია „საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ" (ფარო) 2005 და სხვ.

[800] საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2000 წელს, იხ. <https://bit.ly/3JVQOaz > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[801] იხ. ბმული: < https://bit.ly/3wX25nk > [ბოლოს ნანახია 30.03.2022], პარა. 16.

[802] საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1992 წელს. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები, Bernard M. Feilden, Jukka Jokilehto, ICCROM, 2007, იხ. ბმული: <https://bit.ly/3IMnbr7 > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

გარდა ამისა, სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კულტურული მემკვიდრეობის მართვაში საზოგადოების ინფორმირებულობისა და ჩართულობის მნიშვნელობაზე, რაც „საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ" ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის (ე.წ. ფაროს კონვენცია)[803] მთავარი ფუნდამენტია. ფაროს კონვენცია წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, აღიარონ როგორც დაინტერესებული ინდივიდების, ისე საზოგადოების უფლება, იყვნენ ჩართულნი მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებაში. შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემის ღიაობა და ინფორმაციაზე/დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობა, აუცილებელია საზოგადოების მონაწილეობა/ჩართულობის მიზნის მისაღწევად. საზოგადოების მონაწილეობაზე დაფუძნებულ მიდგომებზე, როგორც კულტურული მემკვიდრეობის მართვის თანამედროვე ხედვაზე, საუბარია არაერთ საერთაშორისო პუბლიკაციაშიც.[804]

20.2.1. შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საქმე

როგორც უკვე აღინიშნა, საანგარიშო წელს საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ირგვლივ განვითარებული პროცესები, რომელიც, ერთი მხრივ, უშუალოდ უკავშირდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჯარო ინტერესს, მეორე მხრივ კი, მუზეუმში დასაქმებულ პირთა უფლებებს ეხება.

როგორც ცნობილია, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი, წლებია, შენობის მდგრადობასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე იდგა. შენობა მე-19 საუკუნის ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლია, რომელიც აერთიანებს ქვეყნის მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს განძთსაცავს, ამდენად, დღის წესრიგში დგას როგორც შენობის, ისე მასში დაცული უნიკალური ნიმუშების სათანადო დაცვა და მათი კულტურული ღირებულების შენარჩუნება.

მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით,[805] შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის შენობასთან დაკავშირებით გაცემულია საექსპერტო დასკვნა, რომლის მიხედვითაც, შენობის გარკვეული ნაწილის გამაგრება და გაძლიერება შესაძლებელია, თუმცა დაკავშირებულია დიდ ტექნიკურ სიძნელეებთან და დანახარჯებთან და ამ სამუშაოების ჩატარება შესაძლოა არ იყოს რენტაბელური. ამ ინფორმაციის გავრცელებამ საზოგადოებაში შენობის დემონტაჟის შიში გააჩინა. მოგვიანებით, გაკეთდა ზეპირი განმარტება, რომ შენობა მუზეუმის ფუნქციას

[803] კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2011 წელს.
[804] მაგალითად, იხ. „People-Centred Approaches to the Conservation of Cultural Heritage: Living Heritage", International Centre for the Study of the Preservation and Restoration of Cultural Property (ICCROM), 2015, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3qMaGp2 > [ბოლოს ნანახია 30.03.2022], Community Involvement in Heritage Management", 2017, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3qOkjnm > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].
[805] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3uD3XPz > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

შეინარჩუნებს და აღდგება, კოლექციებს კი დროებით შესანახად ახლომდებარე სივრცეებში გადაიტანენ.[806] პროფესიული ჯგუფები წერილობით დადასტურებას მოითხოვენ, რომ ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობა შეინარჩუნებს სამუზეუმო ფუნქციას და დაცული იქნება მისი კულტურული მნიშვნელოვნება, ავთენტურობა და მთლიანობა. ისინი ასევე მიუთითებენ კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომელიც უნდა დაიგეგმოს ამ მიმართულებით.[807]

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2021 წლის მარტში გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხედვისა და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული მუზეუმის რეაბილიტაციის გეგმა.[808] თუმცა საზოგადოებისთვის უცნობი იყო შესაბამისი უწყებების ოფიციალური პოზიცია, იგეგმებოდა თუ არა უკვე შემუშავებული რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით სამუშაოების განხორციელება. ასევე გავრცელებული ინფორმაციით, მიღებული იყო ფონდის ევაკუაციის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა შენობიდან ექსპონატების დროებით სხვა სივრცეში განთავსებას და ამ და სხვა სამუშაოებისათვის განსაზღვრულია 2021 წლის 5 აგვისტოდან 2022 წლის 5 თებერვლამდე პერიოდი, რაც ამ სფეროში მოღვაწე ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა უკვე შეაფასეს როგორც არარეალურად მცირე დრო მსგავსი მოცულობის სამუშაოების შესასრულებლად.[809]

სამწუხაროდ, ამ საკითხზე საზოგადოებაში ინფორმაცია მწირია, რაც, ცხადია, აჩენს ლეგიტიმურ კითხვებს.[810] ამასთანავე, სამწუხაროდ, ვერც სახალხო დამცველის აპარატის მცდელობის მიუხედავად მოხერხდა სხვადასხვა კითხვაზე პასუხის მიღება.[811]

ამდენად, სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია, სახელმწიფომ მაქსიმალური ძალისხმევა გასწიოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულების შესასრულებლად, ასევე, პროფესიული წრეებისა და დაინტერესებული საზოგადოების

---

[806] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tRruNz > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[807] რამდენიმე საზოგადოებრივმა ჯგუფმა მუზეუმთან საპროტესტო აქციებიც გამართა, ასევე იხ. საქართველოს ერთობლივი მიმართვა შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებს: ICOMOS, ICOM, საერთაშორისო ლურჯ ფარს, ევროპა ნოსტრას და მსოფლიო მონუმენტთა ფონდს: 10.09.2021, კულტურული მემკვიდრეობის დამცველების პროცესებში სრულად ჩართვის აუცილებლობაზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36KXEBo > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[808] საერთაშორისო დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან/სპეციალისტებთან თანამშრომლობით, მრავალ დარგობრივ კვლევაზე დაყრდნობითა და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების სრულად დაცვით მომზადდა ხელოვნების მუზეუმის კოლექციების დროებით გადაადგილების დეტალური გეგმა; ხელოვნების მუზეუმის ისტორიული შენობის რეაბილიტაციის არქიტექტურული პროექტის კონცეფცია; მუზეუმის 1980-იან წლებში აგებულ შენობაში რესტავრაცია-კონსერვაციის ეროვნული ცენტრის ჩამოყალიბების დეტალური პროექტი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/36WGtN5 > [ბოლოს ნანახია 09.08.2021].

[809] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/371Wiby > ბოლოს ნანახია 09.08.2021]

[810] ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის 20.01.2022, №01-03/22 წერილი სახალხო დამცველს.

[811] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის №04-9/7786,09/08/2021 წერილი სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, აპარატს პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

ჩართულობა, ინფორმაციის საჯაროობა და პროცესების გამჭვირვალედ წარმართვა, რაც სახელმწიფოს მხრიდან უპირობოდ შესასრულებელი ვალდებულებაა.

20.2.2. გელათის საქმე

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გელათის საქმის შესწავლის ფარგლებში გამოვლენილი სისტემური საკანონმდებლო ხარვეზებისა და კონსერვაცია-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ, სახალხო დამცველმა ვრცლად ისაუბრა წინა საპარლამენტო ანგარიშში.[812] ასევე, სახალხო დამცველის შეფასებით, აუცილებელი იყო ტაძრის დაზიანების ზუსტი მიზეზების დადგენა და მომავალში ყველა საჭირო ღონისძიების გატარება მსგავსი ფაქტის თავიდან ასარიდებლად და დამდგარი შედეგების გამოსასწორებლად.

გელათის ირგვლივ განვითარებული მოვლენები საანგარიშო წელსაც აქტუალური იყო, კერძოდ, ძეგლის რესტავრაციასთან დაკავშირებით, საჯარო წყაროებიდან ცნობილია რამდენიმე დასკვნა - იტალიელი ექსპერტების დასკვნა,[813] ბრიტანელი ექსპერტების დასკვნა[814] და UNESCO-ს მრჩეველი ორგანოს, ICOMOS-ის დასკვნა[815] იტალიელი ექსპერტების დასკვნის შეფასებასთან დაკავშირებით. სახელმწიფომ გაიზიარა იტალიელი ექსპერტების დასკვნა და მის საფუძველზე გელათში გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები წამოიწყო. სხვადასხვა პროფესიული ჯგუფები საქართველოში წუხილს გამოთქვამენ ამ პროცესის დახურულად წარმართვასა და გადაწყვეტილებების სათანადოდ დასაბუთების მიღების თაობაზე.

ამდენად, სახალხო დამცველის შეფასებით, გელათის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ განვითარებული პროცესები და სამინისტროს რეაგირება საჯაროობის მაღალი სტანდარტის დაცვით არ წარმართულა.

რეკომენდაციები

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- უზრუნველყოს „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსის“ პროექტზე მუშაობის პროცესის გამჭვირვალობა და მასში პროფესიული წრეების ჩართულობა, დროულად დაასრულოს მიმდინარე სამუშაოები და მოახდინოს კანონპროექტის ინიცირება;
- უზრუნველყოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისათვის, ამასთანავე,

[812] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში, 2020, გვ. 331-დან.
[813] REPORT ON THE STATE OF CONSERVATION OF THE GELATI MONASTERY WORLD HERITAGE PROPERTY, GEORGIA Mission of 22 – 28 June 2021 Conservation specialists of wall paintings: Mario Pulieri (Italy) – Vincenzo Centanni (Italy).
[814] Comments on the Gelaty Monastery Wall Painting Report, RICKERBY & SHEKEDE wall painting conservation.
[815] ICOMOS Technical Review Property, Mission report on the state of conservation of the mural paintings of Gelati Monastery, February 2022.

კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართოს დარგის კვალიფიციური ექსპერტები და დაინტერესებული საზოგადოება;

- უზრუნველყოს გელათის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული პროცესების, ასევე, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისათვის

21. ადამიანის უფლებათა სწავლება

21.1. შესავალი

განათლების უფლების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი გენერალური ასამბლეისთვის წარდგენილ წლიურ ანგარიშებში რეგულარულად განიხილავს მსოფლიო მასშტაბით ჩატარებულ არაერთ ემპირიულ კვლევას, რომელიც ცხადყოფს ადამიანის უფლებათა განათლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას უფლებათა დარღვევის, ძალადობისა და ჩაგვრის თავიდან აცილების საქმეში.[816] ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების როლი, როგორც ძალადობის, რასიზმის, ექსტრემიზმის, ქსენოფობიის, დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობისგან დაცვის ეფექტიანი მექანიზმისა, განუხრელად იზრდება საქართველოში. გაზრდილი ძალადობრივი ქმედებების ფონზე, არაერთი კვლევით დასტურდება ადამიანის უფლებების სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა საქართველოში.[817] უფლებების შესახებ განათლებისა და ცნობიერების ამაღლების აუცილებლობაზე, ასევე მიუთითებს ქვეყნის მასშტაბით 2021 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიც, რომელთა მიხედვითაც, სამწუხაროდ, ახალგაზრდული სეგმენტის მხოლოდ 10-12% მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების დაცვა უნდა იყოს ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულება.[818]

სახალხო დამცველის საგანმანათლებლო მანდატის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, აპარატი რეგულარულად ატარებს არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებს, რომელთა მიზანია უფლებათა უნივერსალური პრინციპების შესახებ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის ცოდნის გადაცემა, იმგვარი დამოკიდებულებებისა და ქცევის წესის ფორმირება, რომელიც საშუალებას მისცემს მათ საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა დანერგვისა და დაცვის საქმეში. ამ მიზნით, COVID-19 პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში აპარატის სტრუქტურულმა ერთეულებმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით შეძლეს ჩაეტარებინათ 1509 საინფორმაციო შეხვედრა, 31 ტრენინგი და 280 ლექცია/სემინარი ადამიანის უფლებათა მთელ რიგ თემატურ საკითხებზე.

სახალხო დამცველი ასევე უწყობს ხელს უფლებათა საკითხების ინტეგრირებას ფორმალური განათლების სფეროში. ამ მიმართულების სტრუქტურიზებისთვის ძირითად ორიენტირად რჩება გაეროს მდგრადი განვითარების 4.7. მიზნის განხორციელების მონიტორინგის ჩარჩო დოკუმენტი.[819] ამასთანავე, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა განათლების (EDC/HR) ხელშეწყობის კუთხით სახელმწიფოს მიერ

---

[816] განათლების უფლების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის წლიური ანგარიში გაეროს გენერალური ასამბლეის 27-ე სესიაზე, 2019 წ. 29 ივლისი, 10, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3HTU8Bj > [ბოლოს ნანახია 02.03.2022].

[817] Inter alia, „კვლევა ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში", სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2018 წ., ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3vv6UUe > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[818] 18-34 წლის ახალგაზრდების ასაკობრივი კატეგორია; „საზოგადოების განწყობა საქართველოში", 2021 წელი, NDI, CRRC, 51-54. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nkj4JY > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[819] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3bQTgAR > [ბოლოს ნანახია 02.03.2022].

განხორციელებული აქტივობების მონიტორინგი დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ევროპის საბჭოს ქარტიის პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს.[820]

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვან მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ადამიანის უფლებათა სწავლების უწყვეტობისკენ გადადგმული ნაბიჯი. მისასალმებელია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეასრულა სახალხო დამცველის 2019-2020 წლების საპარლამენტო ანგარიშებში მითითებული რეკომენდაცია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე უფლებათა ეფექტიანი სწავლების უზრუნველყოფის შესახებ. ეროვნულ სასწავლო გეგმაში 2021 წლის 17 დეკემბერს შესული ცვლილების მიხედვით, მომდევნო წლის სექტემბრიდან სავალდებულო საგანი „მოქალაქეობა" XI და XII კლასებსაც მოიცავს.[821]

21.2. ადამიანის უფლებათა ფორმალური განათლების სახელმწიფო პოლიტიკა

ადამიანის უფლებათა კულტურის დამკვიდრებისთვის სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები და მის მიერ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები უნდა პასუხობდეს არსებულ გამოწვევებს. ამ ჭრილში მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის (2022-2032) შემოთავაზებული პირველადი ვერსია. სტრატეგიის დოკუმენტში პრაქტიკულად არაფერია ნათქვამი დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების (EDC/HR) ხელშეწყობის მნიშვნელობაზე. რაც შეეხება სამოქმედო გეგმებს - არც სკოლამდელი განათლებისა და არც ზოგადი განათლების სამოქმედო გეგმების არცერთი აქტივობა (შესაბამისად, არც ინდიკატორი) არ მოიცავს ჩანაწერს EDC/HR-ის შესახებ. პროფესიული განათლების სამოქმედო გეგმის მხოლოდ ერთი აქტივობა (1.3.3.4) გულისხმობს სამოქალაქო განათლების განვითარების ხელშეწყობას.[822] უმაღლესი განათლების სამოქმედო გეგმაში კი, ნახსენებია მხოლოდ დაკავშირებული საკითხი, კერძოდ - აქტიური მოქალაქეობისთვის სტუდენტის მომზადება[823], ხოლო შედეგის ინდიკატორებს შორის არცერთი არ არის დაკავშირებული აქტიურ მოქალაქეობასთან და ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნასთან, ღირებულებებსა და უნარებთან.

სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი წერილობითი კომენტარებისა და რეკომენდაციების მიუხედავად, სამინისტროს მიერ 2022 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით განახლებულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, ასახული არ აღმოჩნდა

---

[820] ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ მიღებულია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის _ CM/Rec (2010)7, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3HtYDm0 > [ბოლოს ნანახია 2.03.2022].

[821] „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 დეკემბრის №100/ნ ბრძანების პირველი მუხლის 'ე' ქვეპუნქტი.

[822] აქტივობის ინდიკატორია: ახალი მოდული დანერგილია 5 პროგრამის ფარგლებში; სამოქალაქო განათლების ყველა მასწავლებლის შესაძლებლობები გაძლიერებულია.

[823] უმაღლესი განათლების სამოქმედო გეგმის ამოცანა 1.4.1.

EDC/HR-ის ინტეგრირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.[824] ეს საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ სახალხო დამცველის 2020 წლის რეკომენდაცია ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ, შესაბამის უწყებას არ შეუსრულებია.[825]

არც ადამიანის უფლებათა შესახებ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის პოლიტიკასა და ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები შესრულებულა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილის თანახმად, ჯერ კიდევ მიმდინარეობს მუშაობა ხსენებული დოკუმენტის შემუშავებაზე.[826]

უფლებათა სწავლების ხელშეწყობის ეფექტიანი მექანიზმია ფორმალური განათლების სფეროში დასაქმებულ სპეციალისტთა კვალიფიკაციის მარეგულირებელ ნორმატიულ ჩარჩოში ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნის მოთხოვნაზე მითითება. საანგარიშო პერიოდში, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების ერთი (ლანჩხუთის) მუნიციპალიტეტის მიერ მიღების შემდეგ, რჩება ექვსი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო,[827] რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებიათ ხსენებული ნორმატიული აქტები.

21.3. ადამიანის უფლებათა სწავლების ხელშეწყობა ფორმალური განათლების სფეროში

21.3.1. ზოგადი განათლების სახელმძღვანელოთა რეცენზირება

სახალხო დამცველის აპარატსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში 2018 წლიდან ჩამოყალიბებული თანამშრომლობა 2021 წელსაც გაგრძელდა.[828] გრიფირებისათვის წარდგენილი მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირებისთვის შექმნილ საგნობრივ ჯგუფებში სახალხო დამცველის მიერ ნომინირებულმა „სხვა სპეციალისტებმა" უმნიშვნელოვანესი სამუშაო გასწიეს მასალებში დისკრიმინაციული, სტერეოტიპული ტექსტების თავიდან აცილების, თანასწორობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის, ასევე, ადამიანის უფლებათა პრინციპების სახელმძღვანელოებში შეტანის კუთხით.

მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების შედეგად, რეცენზირების ორგანიზაციული ასპექტები დიდწილად მოწესრიგდა, თუმცა პროცესის არსისკენ მიმართული გამოწვევები კვლავ პრობლემური რჩება. კერძოდ, მნიშვნელოვანი

---

[824] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 1 თებერვლის №17-1/1204 წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, 2022 წლის 15 თებერვლის MES 4 22 0000147229 წერილის დანართი.

[825] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2021 წლის 7 მაისის GOV 1 21 00015745 წერილი.

[826] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2021 წლის 17 ნოემბრის GOV 4 21 00039940 წერილი.

[827] ნორმატიული აქტები არ შეუმუშავებიათ დედოფლისწყაროს, ზესტაფონის, სიღნაღის, ტყიბულის, ჭიათურისა და ხონის მუნიციპალიტეტების მერიებსა და საკრებულოებს.

[828] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2020 წლის 21 დეკემბრის MES 7 20 0001217063 წერილი.

გამოწვევაა ადამიანის უფლებათა შესახებ ტრენინგებზე რეცენზენტების ნაკლები ხელმისაწვდომობა. საანგარიშო პერიოდში რეცენზენტებს ადამიანის უფლებათა საკითხებზე მხოლოდ ერთი, არასავალდებულო ტრენინგი ჩაუტარდათ.[829] ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა სამინისტროს სავალდებულო პროგრამების შემუშავებისა და რეცენზენტთათვის ტრენინგების ჩატარების რეკომენდაციით მიმართა.[830] უწყებამ, პასუხად, არა ამგვარი ტრენინგ-პროგრამების სავალდებულოდ დანერგვის, არამედ სხვა ორგანიზაციების მიერ რეცენზენტთათვის მათი ჩატარების ხელშეწყობის მზაობაზე მიუთითა.[831] ამდენად, ნათელია, რომ 2020 წლის მსგავსად, არც საანგარიშო პერიოდში ჰქონია სამინისტროს სისტემური მიდგომა უფლებრივ საკითხებზე რეცენზენტთა ცოდნის ამაღლების კუთხით. ეს განსაკუთრებით პრობლემურია, რადგან „[...]რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის ყველა წევრი, [...] არსებით მონაწილეობას იღებს მოსწავლეთათვის განკუთვნილი სავალდებულო სასწავლო შინაარსის ფორმირებისა და მისთვის ადამიანის ძირითადი უფლებების გამავრცელებელი/წამახალისებელი ღირებულებების გადაცემის პროცესში“.[832]

2021 წლიდან, შინაარსობრივი რეცენზირებისათვის წარმოდგენილი მაკეტების საჯარო განხილვის სისტემა დაინერგა,[833] რომლის მიხედვითაც, განსაზღვრულ პერიოდში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მასალის ანონიმური ეგზემპლარის, მათ შორის, სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ საკუთარი მოსაზრების გამოთქმა.[834] რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი ვალდებულია გაეცნოს ამ მოსაზრებებს.[835] ეს მოდელი საქართველოში გენდერული, თუ სხვა სახის სტერეოტიპების გავრცელების სიღრმისა და რეცენზენტებს შორის ამ საკითხებზე დაბალი მგრძნობელობის გათვალისწინებით, პოტენციურად ხელს შეუშლის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ხორცშესხმას ზოგადი განათლების სისტემაში.[836] ამდენად, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიზანშეწონილია, საგნობრივ ჯგუფებში

---

[829] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 27 სექტემბრის MES 8 21 0000987637 წერილი.
[830] იქვე.
[831] იქვე.
[832]საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ოქტომბრის 17-1/10213 წინადადება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე“, 7-8.
[833]‘„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის 9^3 მუხლი.
[834]„ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 5 მარტის №247 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის MES 6 20 0001239194 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-10 მუხლის მესამე პუნქტის ‘გ’ ქვეპუნქტი.
[835] იქვე, მე-10 მუხლის მეხუთე პუნქტი.
[836]საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ოქტომბრის 17-1/10213 წინადადება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე“ , 8.

მშობელთა ჩართვის მოდელის დანერგვა.[837] სამინისტროს განმარტებით, საქართველოში ეს მოდელი უკვე იყო დანერგილი, თუმცა მშობლებს პროცესის მიმართ დიდი ინტერესი არ გამოუმჟღავნებიათ.[838] სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მშობელთა ინტერესის ნაკლებობა ზემოხსენებული ცვლილების არგუმენტად ვერ მიიჩნევა, რადგან არსებული მექანიზმი წარმოშობს უფლებრივ რისკებს.

საანგარიშო პერიოდში შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში კვლავ პრობლემური იყო სააპელაციო კომისიის დაკომპლექტების პრაქტიკა, რომელიც, მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე,[839] განმცხადებელთა საჩივრების განსახილველად იქმნება. საჩივრის განხილვის ფარგლებში, იგი უფლებამოსილია გასაჩივრებული კრიტერიუმის ჭრილში გასცეს ახალი რეკომენდაცია, შეცვალოს რეცენზენტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციათა შინაარსი, ან უცვლელად დატოვოს ისინი.[840] მართალია, სააპელაციო კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი ჩარჩო მისი დასკვნების დასაბუთების ვალდებულებას ითვალისწინებს, თუმცა მისი წევრები მხოლოდ სამინისტროს სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირები და სკოლის დირექტორები იყვნენ.[841] საგულისხმოა, რომ სახელმძღვანელოთა გრიფირების შეფასებულ კონკურსში, სავალდებულო სასწავლო მასალა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ სასკოლო საგნებში უნდა შერჩეულიყო.[842] შესაბამისად, ნათელია, რომ სააპელაციო კომისიის დაკომპლექტების ლოგიკა წევრთა კვალიფიკაციის მრავალგვარობას უნდა ემყარებოდეს. საანგარიშო პერიოდში, უფლებრივ ჭრილში გასაჩივრებული მასალების შეფასებისას, კომისიას არ მოუწვევია დამოუკიდებელი სპეციალისტი, ან შემფასებელი რეცენზენტი. საგულისხმოა, რომ, საპირისპირო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც კი, არცერთ ხსენებულ პირს არ აქვს გადაწყვეტილების მიღებისას ხმის უფლება და მათი

[837] იქვე, 8-9.

[838] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 22 ნოემბრის MES 8 21 0001251632 წერილი.

[839] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის 'ქ' ქვეპუნქტი და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

[840] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას განმცხადებელთა საჩივრის წარდგენის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესის და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 მაისის №582 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 აპრილის MES 7 21 0000320130 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-7 მუხლის მეორე პუნქტის 'ბ.ა'-'ბ.გ' ქვეპუნქტები.

[841] იქვე, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის 'ბ' ქვეპუნქტი.

[842] „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო საფეხურის VII და VIII კლასების ზოგიერთი საგნისა და IX კლასის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 20 ოქტომბრის MES 1 20 0001013153 ბრძანების პირველი მუხლის 'ა' ქვეპუნქტით დამტკიცებული შესარჩევი ერთეულები.

მოსაზრებები კომისიისთვის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი არ არის.[843] შესაბამისად, სააპელაციო კომისიის მიერ, განხილული საგნისა თუ თემატიკის შესაბამისად ადამიანის უფლებათა ექსპერტის სავალდებულო მოწვევა, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით, ეფექტიანი მექანიზმი იქნებოდა მაკეტის შინაარსის ძირითად უფლებებთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად.

21.3.2. კონფლიქტ-სენსიტიური სწავლება

ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი კრიტერიუმების, ასევე, მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის შესწავლის შედეგად, საანგარიშო პერიოდში მომზადდა სახალხო დამცველის წინადადება.[844] ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ნორმატიული აქტები სათანადოდ არ ასახავს კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციისა და მშვიდობის კულტურის ხელშემწყობ დებულებებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც ხანგრძლივი ტერიტორიული კონფლიქტების მქონე ქვეყნისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში აფხაზები და ოსები ძირითადად სეპარატისტებად არიან წარმოჩენილნი, რაც აზიანებს კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესს.[845] ამასთანავე, ისტორიის საგანში უმეტესად მილიტარისტული მიდგომებია დეკლარირებული.[846] შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოთა შეფასების კრიტერიუმებს დაემატოს კონფლიქტების გადაჭრის სამშვიდობო პოლიტიკის ელემენტი, რომელიც მოიცავს შუღლის გაღვივების თავიდან არიდებისა და პოზიტიური მშვიდობის მშენებლობის კონცეფციას, ასევე, კონფლიქტის რეგიონებთან დაკავშირებით მშვიდობის იდეების კულტივირებასა და სახელმძღვანელოებში ამ რეგიონების და ხალხების პოზიტიურ რეპრეზენტაციას.

21.3.3. პროზელიტიზმისა და ინდოქტრინაციის შემთხვევები სასკოლო სივრცეში

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო საჯარო სკოლებში რელიგიური ინდოქტრინაციის შემთხვევები. კერძოდ, საქართველოს საპატრიარქომ და „ჩოხოსანთა საზოგადოებამ" შემოიღეს საგაკვეთილო ციკლი „სამშობლოსმცოდნეობა".[847] საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ამ გაკვეთილებს, მათ შორის, ონლაინ პლატფორმების გამოყენებით, არაერთი საჯარო სკოლის მოსწავლეებს უტარებდნენ.[848] გაკვეთილები

---

[843] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-10 მუხლის მესამე პუნქტი.

[844] სახალხო დამცველის წინადადება „ზოგადი განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებში კონფლიქტ-სენსიტიური სწავლებისა და მშვიდობის შესახებ განათლების სათანადო ასახვის თაობაზე", 2021 წლის 29 ივნისი, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3KezVYn >.

[845] ჯიშკარიანი დ., რა ვიცით და როგორ ვსწავლობთ კონფლიქტებს, თბილისი 2017, 10, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3jycMpQ > [ბოლოს ნანახია 06.03.2022].

[846] „კონფლიქტის ტრანსფორმაცია და კონფლიქტ-სენსიტიური სწავლება: ქართული განათლების სისტემის გამოწვევები", მშვიდობისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი, 2021 წ., 6.

[847] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 12 აპრილის წინადადება „სამშობლოსმცოდნეობის" გაკვეთილების ორგანიზებაში საჯარო სკოლების დირექტორების ჩართულობის თაობაზე",1-2., ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3vIGdvG >. [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[848] იქვე.

ლექტორთა მხრიდან მკვეთრად კონფესიური შინაარსით, ქალთა მიმართ სქესის ნიშნით დისკრიმინაციული პოზიციებითა და საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნების უარყოფით ხასიათდებოდა.[849] მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ამ საგაკვეთილო ციკლის ორგანიზებაში, მოსწავლეთა მობილიზებაში, ზოგიერთ შემთხვევაში, საჯარო სკოლის დირექტორებიც მონაწილეობდნენ.[850]

სახალხო დამცველმა საკითხის კომპლექსურად შეფასების შედეგად, საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, საჯარო სკოლის რელიგიური ნეიტრალიტეტის საკანონმდებლო პრინციპის დარღვევა დაადგინა.[851] ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა, მათ შორის, სკოლის ადმინისტრაციის მიერ გაკვეთილებზე დასასწრებად მოსწავლეთა მობილიზებასა და მოსწავლეთათვის ამ პროცესში დირექტორის ფიგურის ავტორიტეტულობაზე.[852] სამწუხაროდ, ამ საკითხის შესწავლის შედეგად გაცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები სამინისტროს აპარატისთვის არ უცნობებია.

საგულისხმოა, რომ საკითხის შესწავლის ფარგლებში, ქვემო ქართლის ერთ-ერთმა საგანმანათლებლო რესურსცენტრმა დაადასტურა, რომ მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ორ საჯარო სკოლაში, მათივე ფინანსური რესურსის გამოყენებით, უფასო ფაკულტატიური წრის სახით, ისწავლებოდა „სამშობლოთმცოდნეობა".[853] სამართლებრივ საფუძვლად, უწყებამ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის" 22-ე მუხლზე მიუთითა.[854] ამ ნორმის მიხედვით, სკოლას აქვს უფლება მოსწავლეს შესთავაზოს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურება, თუმცა იგი „[...]ხელს უნდა უწყობდეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების [...] მიღწევას".[855] ამასთანავე, ფაკულტატიურ წრეს მოსწავლეები „[...]სურვილის მიხედვით ირჩევენ/ესწრებიან".[856] ამავე ჭრილში საყურადღებოა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გარანტირებულია საჯარო სკოლის მოსწავლეთა უფლება „[...]სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია[...]".[857] შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციებმა უგულებელყვეს ამ ნორმის უმთავრესი მოთხოვნა

[849] იქვე, 3.
[850] იქვე, 2.
[851] იქვე, 11.
[852] იქვე, 12.
[853] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 12 აპრილი, წინადადება „სამშობლოსმცოდნეობის" გაკვეთილების ორგანიზებაში საჯარო სკოლების დირექტორების ჩართულობის თაობაზე", 5.
[854] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის" 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები.
[855] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის" 22-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.
[856] იქვე, 22-ე მუხლის მე-5 პუნქტი.
[857] „ზოგადი განათლების შესახებ შესახებ'' საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.

-ნებაყოფლობითობა.

საგულისხმოა, „სამშობლოსმცოდნეობასთან" მიმართებით, სამინისტროს შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტმაც ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძველზე მიუთითა და არ შეაფასა, ერთი მხრივ, საკუთრივ მომსახურების შინაარსის თავსებადობა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, ხოლო, მეორე მხრივ, სკოლის ადმინისტრაციათა მიერ მოსწავლეების ნებაზე ზემოქმედების ხარისხი.[858]

21.3.4. ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების ინტეგრირების ხარისხი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში

Covid 19-ის მიმდინარე პანდემიის ფონზე ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების არასრულფასოვანი ინტეგრირების თაობაზე, სახალხო დამცველი ვრცლად მიუთითებდა 2020 წელს.[859] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ საკითხთან დაკავშირებით გვაცნობა, რომ მზადდებოდა ახალი საგანი „კომპიუტერული ტექნოლოგიები", რომელიც II-დან VI კლასის მოსწავლეთათვის იქნებოდა განკუთვნილი.[860] სწორედ ამ საგნით უნდა ჩანაცვლებულიყო ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფში შემავალი ერთადერთი სავალდებულო დისციპლინა „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები".

საანგარიშო პერიოდში მიიღეს ხსენებული საგნის სტანდარტი, თუმცა მისი შინაარსი მიუთითებს, რომ იგი უშუალოდ განკუთვნილია V-VI კლასების მოსწავლეთათვის.[861] ვინაიდან, 2021 წელს არაერთი სკოლა იყენებდა დისტანციური სწავლების მეთოდს, სახალხო დამცველის მიერ ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების ჭრილში გამოვლენილი გამოწვევები კვლავ აქტუალურია.[862]

---

[858] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2021 წლის 30 მარტის MES 5 21 0000304262 წერილი.

[859] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 343; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 3 ივნისის 17-1/5429 რეკომენდაცია „ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირებისა და საგანგებო მდგომარეობის პირობებში მისი სწავლების შესახებ."

[860] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 343-344; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 21 ივნისის MES 7 20 0000494661 წერილი.

[861] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 15 თებერვლის MES 2 22 0000100589 წერილის დანართით წარმოდგენილი სტანდარტი; „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის 40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის 75-ე და 76-ე მუხლები.

[862] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 24 იანვრის MES 3 22 0000057264 წერილის დანართი №7; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 3 ივნისის 17-1/5429 რეკომენდაცია „ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირებისა და საგანგებო მდგომარეობის პირობებში მისი სწავლების შესახებ".

21.4. ადამიანის უფლებათა სწავლება უმაღლესი განათლების სფეროში

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კვლევა უმაღლესი სასწავლებლების სამართლის საბაკალავრო პროგრამებზე ადამიანის უფლებათა სწავლების ხარისხის შესაფასებლად.[863] კვლევის ფარგლებში, აპარატმა შეისწავლა 9 უნივერსიტეტის (5 სახელმწიფო და 4 კერძო) სამართლის საბაკალავრო პროგრამები და შეაფასა, როგორც ადამიანის უფლებების სფეროში ცოდნის, ისე შესაბამისი უნარების განვითარებისკენ მიმართული სავალდებულო საგანმანათლებლო კომპონენტები და დამატებითი საგანმანათლებლო აქტივობები. კვლევა განხორციელდა USAID/PROLoG-ის ფინანსური და ინსტიტუციური მხარდაჭერით, ხოლო მეთოდოლოგიის შემუშავებაში ჩართული იყო კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC).

კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობაში ადამიანის უფლებები მხოლოდ ერთი სასწავლო კურსის მეშვეობით ისწავლება, შედარებითი პერსპექტივის გარეშე.[864] ასევე, პრობლემურია ქართულენოვანი განახლებული სახელმძღვანელოების ნაკლებობა და საკადრო რესურსის სიმწირეც, განსაკუთრებით, რეგიონებში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში.[865] ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კვლევამ გამოავლინა კომპლექსური პრობლემები სტუდენტთა პროფესიული უნარებისა და სამართლის პრაქტიკული სწავლების თვალსაზრისით.[866]

რეკომენდაციები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- შემუშავდეს ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, შესაბამისი საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიისა (2022-2032) და სამოქმედო გეგმებში, ფორმალური განათლების ყოველი საფეხურისთვის განისაზღვროს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ხელშეწყობაზე მიმართული ამოცანები/აქტივობები და შესაბამისი გაზომვადი ინდიკატორები;
- სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირებისას, რეცენზირების ფარგლებში საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილმა სააპელაციო კომისიამ გასაჩივრებული საგნის, ასევე თემატიკის მიხედვით, კომისიის ვალდებულებად განისაზღვროს ადამიანის უფლებათა ექსპერტის მოწვევა, გადაწყვეტილების მიღების უფლებით;
- შეიცვალოს მაკეტის საჯარო განხილვის არსებული მოდელი, საზოგადოებრივი საწყისის უზრუნველსაყოფად პროცესში მოსწავლეთა მშობლების ჩართვის გზით;

[863] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა სამართლის სწავლება უმაღლესი განათლების საფეხურზე" 2021 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3laxe9D> [ბოლოს ნანახია 30.03.2022].
[864] იქვე, 20.
[865] იქვე, 23.
[866] იქვე, 37-43.

- შიდა აუდიტის დეპარტამენტმა საჯარო სკოლებში ჩაატაროს პროაქტიული მონიტორინგი „სამშობლოსმცოდნეობის" გაკვეთილების ორგანიზებაში სკოლების მონაწილეობის, ასევე, რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის სხვა შემთხვევების გამოსავლენად;
- ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივ კრიტერიუმებს დაემატოს კრიტერიუმი კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ;
- დაინერგოს კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლება ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე, სავალდებულო საგნის მეშვეობით, იმგვარად, რომ სრულფასოვნად ინტეგრირდეს ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლება ევროპის საბჭოსა და ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- დედოფლისწყაროს, ზესტაფონის, სიღნაღის, ტყიბულის, ჭიათურისა და ხონის მუნიციპალიტეტების მერიებმა და საკრებულოებმა შეიმუშაონ და დაამტკიცონ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,დ" და ,,ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტები.

22. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

22.1. შესავალი

2021 წელს, კორონავირუსის პანდემია კვლავაც მწვავედ აისახა ბავშვის უფლებების რეალიზებაზე. არსებულმა პროგრამებმა ვერ უზრუნველყო სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების გრძელვადიანი მხარდაჭერა და მათი სოციალური ფუნქციის ამაღლება. ამასთანავე, არასრულწლოვანთა საგანმანათლებლო დანაკარგი სკოლამდელი და ზოგადი განათლების სფეროში, უარყოფითად აისახა ბავშვთა, როგორც უშუალოდ განათლების უფლებაზე, ისე მათ ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე.

პანდემიის პირობებში არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის გაზრდილი რისკის ფონზე, მიღებული შეზღუდვები, განსაკუთრებით, სოციალური იზოლაცია და დისტანციური სწავლება, უარყოფითად აისახა ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენის მაჩვენებელზეც. ბავშვთა დაცვის სისტემის გამოწვევებს შორის, კვლავ საგანგაშოა ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილება, სათანადო სარეაბილიტაციო სერვისებისა და ბავშვთან მომუშავე მხარდამჭერი პროფესიების სპეციალისტების სიმცირე. აღსანიშნავია, რომ მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოში, 2021 წელს 11-ით იკლო სოციალურ მუშაკთა ისედაც არასაკმარისმა რაოდენობამ და ამჟამად, მთელი ქვეყნის მასშტაბით დასაქმებულია ჯამში 257 სოციალური მუშაკი და 17 ფსიქოლოგი.[867]

2021 წელს, ყველაზე მძაფრად წარმოჩინდა დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ხარვეზები, რაც, თავის მხრივ, ბავშვის უფლებების მწვავე დარღვევებს უკავშირდება.[868] თუმცა, სახელმწიფოს დეინსტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია და გეგმა კვლავ არ დაუმტკიცებია.

22.2. განათლების უფლების უზრუნველყოფა

მსოფლიო პანდემიის პირობებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულმა მძიმე ინფრასტრუქტურულმა პრობლემებმა და არასრულწლოვანთათვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის არათანაბარმა პირობებმა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო დანაკარგი გამოიწვია, საფრთხე შეუქმნა ბავშვების ფსიქოემოციურ კეთილდღეობასა და სხვა უფლებების რეალიზებას. არსებული გამოწვევები განსაკუთრებით აისახა ისეთ მოწყვლად ჯგუფებზე, როგორიცაა მრავალშვილიანი, სიღარიბეში მცხოვრები, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები.

---

[867] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/721, 31/01/22.

[868] „ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ" სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ხელმისაწვდომია:<ttps://bit.ly/3nVKlOx> [ბოლოს ნანახია 24.01.2022].

22.2.1. ზოგადი განათლება

2021-2022 სასწავლო წელს საქართველოში 2086 საჯარო სკოლა ფუნქიონირებდა, მათგან 14 პანსიონურ მომსახურებას ეწეოდა.[869] საანგარიშო პერიოდში მოსწავლეების რაოდენობამ ჯამში 563370 შეადგინა. ხოლო, 2020 წელს გამოვლენილი 10,404 არასრულწოვნიდან, რომელსაც მოსწავლის სტატუსი მანამდე არასდროს ჰქონია, 2021 წელს, სკოლაში მხოლოდ 1681 ჩაირიცხა.[870]

საანგარიშო პერიოდში ისევ აქტუალური იყო სწავლის მიტოვებისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების მაჩვენებელი, რაც კვლავაც ყველაზე მაღალია თბილისში (2947/35%), ქვემო ქართლსა (1970/23.4%) და კახეთში (714/8.5%). ამასთანავე, გენდერულ ჭრილში, ბიჭების მხრიდან, შედარებით უფრო ხშირია სწავლის მიტოვება.[871]



კვლავ დახვეწასა და დაზუსტებას საჭიროებს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის საფუძვლების სტატისტიკა. კერძოდ, მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევების აღრიცხვისას ბუნდოვანი შინაარსის საფუძვლები, როგორიცაა „მშობლის განცხადება“ ან „გაცდენების ზღვრული

[869] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენცია MES 3 22 0000057264, 24/01/22; სკოლა-პანსიონში 2021 წლის სექტემბრის მონაცემების მდგომარეობით ირიცხებოდა 2785 მოსწავლე; 8 სკოლა პანსიონი შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ახორციელებს სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს.

[870] იქვე; 2021 წელს მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის უფლებათა სამსახურების მიერ დამუშავდა 5,973 ბავშვის ინფორმაცია, ამ ეტაპზე მიმდინარეობს დანარჩენი 4,431 ბავშვის მონაცემების დამუშავება.

[871] იქვე.

რაოდენობა“, ბავშვის საგანმანათლებლო პროცესიდან ჩამოშორების რეალური მიზეზის შესახებ ზუსტ ინფორმაციას არ იძლევა.



კოვიდ პანდემიის პირობებში, სკოლების დიდ ნაწილში სწავლება კვლავ დისტანციური ფორმატით მიმდინარეობდა. 2020-2021 სასწავლო წელს საჯარო სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 94%, ხოლო 2021-2022 წელს 93% იყო ჩართული დისტანციურ სწავლებაში. თუმცა სწავლების ეს ფორმატი კვლავ დაკავშირებული იყო ისეთ პრობლემებთან, როგორიცაა ბავშვების ინტერნეტსა თუ კომპიუტერულ ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა და ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა.

მისასალმებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და მათი სტატუსის შეჩერების წესში 2021 წელს შესული ცვლილებები. კერძოდ, გაცდენების მაქსიმალური რაოდენობის 45 დღემდე შემცირება და ბავშვის მიერ სწავლის მიტოვების თავიდან ასაცილებლად, სკოლისთვის მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესზე დაუსწრებლობის მიზეზების დროული მოკვლევისა და არასრულწლოვანთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი ღონისძიებების გატარების, მათ შორის, საქმეში სოციალური მუშაკის ჩართვის ვალდებულების დადგენა.

სკოლებში კოვიდ-19-ის ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების კუთხით, კიდევ უფრო მწვავედ გამოიკვეთა საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები, სანიტარიული კვანძებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, თბილი წყლით უზრუნველყოფის საჭიროება. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ კოვიდ-19-ის ვაქცინაციის დანერგვის პროცესში, პრიორიტეტული არ ყოფილა პედაგოგების ვაქცინაცია, კერძოდ, ისინი არ უღიარებიათ „წინა ხაზის

მშრომელებად", ამ ეტაპისთვის, ჯამში, მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მხოლოდ 73,6%-ია აცრილი.[872]

22.2.2. სკოლამდელი აღზრდა და განათლება

2021 წლის მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებს 1,647 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება, რომელშიც 158062 აღსაზრდელი ირიცხება. 2021 წელს საბავშვო ბაღების რაოდენობა 26-ით გაიზარდა,[873] მაგრამ მიუხედავად ამისა, ბავშვების სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაზე სრულფასოვანი ხელმისაწვდომობა კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩა.

კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, კიდევ უფრო მწვავედ წარმოჩინდა საბავშვო ბაღებში წლების განმავლობაში არსებული პრობლემები, კერძოდ, გეოგრაფიული და ფიზიკური ხელმისაწვდომობა,[874] გადატვირთულობა, არასათანადო გათბობა, ინვენტარიზაცია, სათამაშოებით უზრუნველყოფა, კადრების სიმცირე და გადამზადების ნაკლებობა.[875] დაწესებულებებში სრულყოფილად ვერ ხდება კოვიდ-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების[876] შესრულება და უსაფრთხო სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს უზრუნველყოფა. მათ შორის, გამოწვევას წარმოადგენს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და დისტანციის დაცვა, პირბადის ტარება და საიზოლაციო ოთახის მოწყობა.[877]

საბავშვო ბაღების ფუნქციონირების შეჩერების პარალელურად, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დისტანციური სწავლების მექანიზმების სრულყოფილად დანერგვა. კერძოდ, 2021 წელს დისტანციური სწავლების შესახებ შემუშავებული ტრენინგ მოდულის ფარგლებში, საბავშვო ბაღების მხოლოდ 207 თანამშრომელი გადამზადდა. ხოლო, დისტანციურ სააღმზრდელო პროცესში ჩაერთო საქართველოს მხოლოდ სამი რეგიონის 50-

---

[872] იქვე.

[873] სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობა წლების მიხედვით - 2019/2020 წლები - 1,621; 2020/2021 წლები - 1,647; 2021/2022 წლები - 1,648; წყარო: https://tinyurl.com/2p863rbz [ბოლოს ნანახია: 24/01/2022].

[874] სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფიზიკური ხელმისაწვდომობა, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, გულისხმობს დაწესებულების შენობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შესაბამისად მოწყობასა და ამ მხრივ მისაწვდომობას.

[875] იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, წყარო: https://tinyurl.com/29wuvm3j [ბოლოს ნანახია: 24/01/2022].

[876] იხ. ბრძანება №01-227/ო - „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე, დანართი №39, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის, 2021 წელი, წყარო: https://tinyurl.com/5cpez988 [ბოლოს ნანახია: 24/01/2022].

[877] საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა ჩაატარა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა მონიტორინგი, გამართა შეხვედრები ბაღების გაერთიანებების წარმომადგენლებთან, რის საფუძველზეც გამოიკვეთა არაერთი გამოწვევა, როგორც დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და ფიზიკური მოწყობის, ისე კოვიდ რეგულაციების დაცვის კუთხით.

მდე საბავშვო ბაღი და 2581 ბავშვი, რაც აღსაზრდელთა საერთო რაოდენობის 2%-საც არ შეადგენს.[878]

გარდა ამისა, საკითხზე საკანონმდებლო მსჯელობის მიმდინარეობის მიუხედავად, ჯერაც არ მომხდარა საბავშვო ბაღების ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობა და დაწყება. ამასთან, მთავრობას 2021 წელსაც არ დაუმტკიცებია ტექნიკური რეგლამენტი დაწესებულებების შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

22.3. ბავშვთა დაცვა ძალადობისგან

ქვეყანაში უცვლელად რჩება ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დროული გამოვლენის, შემთხვევაზე კოორდინირებული და ეფექტიანი რეაგირების გამოწვევები, განსაკუთრებით, პანდემიის პირობებში პერიოდულად მიღებული შეზღუდვებისას, იზოლაციისა და დისტანციური სწავლების პროცესში. ამ კუთხით, სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეებს შორის კვლავ ჭარბობდა ბავშვთა მიმართ ძალადობის საქმეები, რომელმაც საერთო საქმისწარმოების 34,5% შეადგინა.

დისტანციური სწავლებისა და სააღმზრდელო დაწესებულებების პერიოდული დახურვის პირობებში, ზიანი მიადგა ბავშვთა ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ამაზე მიუთითებს გაორმაგებული მიმართვიანობაც მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში, რომელიც 2020 წელს სულ 928 იყო, ხოლო, 2021 წელს, ჯამში, 1860-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს მიმართვიანობის ძირითადი საფუძვლები იყო ბავშვის ფსიქოემოციურ მდგომარეობასთან (1,479 შემთხვევა), ქცევით სირთულეებთან (1,101 შემთხვევა) და აკადემიურ გამოწვევებთან (524 შემთხვევა) დაკავშირებული გარემოებები, ასევე, ბავშვის მიმართ ძალადობა (315 შემთხვევა).[879]

გართულდა ბავშვთა მდგომარეობის შეფასებაც, მათ მიმართ უგულებელყოფის, შრომითი ექსპლოატაციის, ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან ძალადობის სხვა ფორმების დროული გამოვლენა. ამას ემატება უწყებებს შორის კოორდინირებული მოქმედების პრობლემა, რაც ასევე მიუთითებს ბავშვთა დაცვის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტიანობაზე.

2021 წელს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევაზე, წინა წელთან შედარებით, 84-ით მეტი, ჯამში, 1904 მიმართვა შევიდა. თუმცა, ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების მომსახურებით, წინა წელთან შედარებით, 11-ით ნაკლებმა, 406-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, საიდანაც, 53 იყო არასრულწლოვანი.[880]

---

[878] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია MES 3 22 0000057264, 24/01/2022.

[879] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია MES 3 22 0000057264, 24/01/2022.

[880] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/721, 31/01/22.

ქვეყანაში კვლავ გამოწვევად რჩება ბავშვთა რეაბილიტაციასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სერვისების, შესაბამისი სპეციალისტების სიმცირე და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა. თუმცა, მისასალმებელია, რომ საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ქალაქ თბილისში ფსიქოსოციალური ცენტრის გახსნაზე მუშაობა, რომელიც 2022 წელს დაინერგა.

22.3.1. ოჯახში ძალადობა

კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში განსაკუთრებით გაიზარდა ოჯახში არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის რისკები. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში არსებული შეზღუდვები კიდევ უფრო უარყოფითად აისახა შემთხვევათა დროული გამოვლენისა და უფლების დაცვის მექანიზმებზე ბავშვების ხელმისაწვდომობის გამოწვევებზე.2021 წლის დეკემბრამდე, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ, დამცავი ორდერის მოთხოვნით, სასამართლოს 12 შემთხვევასთან დაკავშირებით მიმართა, აქედან 7 ოჯახში ძალადობის და 5 საოჯახო დავის საფუძველზე.[881] ასევე, 17%-ით შემცირდა ოჯახში ძალადობის საფუძველზე არასრულწლოვანთა დაზარალებულად ცნობის მაჩვენებელი და ჯამში შეადგინა 734.[882] აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის სულ 187 საქმე იქნა საერთო სასამართლოების მიერ განხილული და აქედან 145 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.[883]



არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისა და ბავშვზე მორგებული მიდგომის დანერგვის თვალსაზრისით, მისასალმებელია საქართველოს

[881] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია, 2022 წლის 31 იანვრის №07/721 კორესპონდენცია.
[882] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენციები №13/12360, 05/03/21 №13/2295, 18/01/22. ასევე, იხ, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2020 წელი, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3iwaAOp > [ბოლოს ნანახია 24.01.2022].
[883] საქართველოს უზენაესი სასამართლოს კორესპონდენცია №3-02-22, 18/02/2022.

გენერალური პროკურატურის მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე პროკურატურის თანამშრომელთა სპეციალიზაცია, რომლის ფარგლებშიც, ფართოდ განიხილება საერთაშორისო სტანდარტები, ფსიქოლოგიური და საკითხის ირგვლივ სხვა ასპექტები.[884]

სახალხო დამცველის შესწავლის შედეგად ასევე იკვეთება, რომ შვილთან მშობლების ურთიერთობის წესის შესახებ სასამართლო დავის ან/და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისას, მშობლის/მშობლების, ოჯახის სხვა წევრთა თუ სხვა პირთა მხრიდან ხშირია არასრულწლოვნების მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობისა და მანიპულირების შემთხვევები. თუმცა, მათ საპასუხოდ, მყისიერად და ეფექტიანად არ ხორციელდება ბავშვის დამცავი თუ მხარდამჭერი ღონისძიებები. ამ პროცესში, ასევე არ არის სათანადოდ გათვალისწინებული ბავშვის აზრი და მისი საუკეთესო ინტერესი.[885]

22.3.2. ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების გამოვლენის, მათზე დროული და ეფექტიანი, ბავშვზე მორგებული მიდგომით რეაგირების კუთხით არსებულ გამოწვევებს, სხვა მიზეზებს შორის, განაპირობებს სექსუალური ხასიათის დანაშაულის ნიშნებისა და მისგან დამცავი მექანიზმების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა.

ამ მიმართულებითაც პრობლემურია ძალადობაგანცდილი ბავშვის მხარდამჭერი სერვისებისა და სპეციალისტების სიმცირე. ასევე, მწვავედ დგას სამედიცინო-საექსპერტო მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, რაც წინააღმდეგობაში მოდის ბავშვზე მორგებული გარემოს და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპებთან.

მისასალმებელია, რომ დანაშაულების სრულფასოვანი სტატისტიკის შესახებ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაიზიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ამჟამად, ბავშვის მიმართ სავარაუდო სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინებების სრულყოფილ აღრიცხვას ახორციელებს,[886] რაც ხელს შეუწყობს ბავშვთა დაცვის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებას.

საგულისხმოა, რომ 2021 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 137-141-ე, 253-254-ე და 255-255[2] მუხლებით დაკვალიფიცირებულ არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულის 252 საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი, 53 საქმეზე შეწყდა გამოძიება, ხოლო სულ 187 არასრულწლოვანი

[884] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/2295, 18/01/21.

[885] 2021 წელს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 74 განცხადება ბავშვის მშობელთან ან/და მისი ოჯახის სხვა წევრთან ურთიერთობის უფლების უზრუნველყოფის კუთხით არსებული დაბრკოლებების, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემების შესახებ. აქედან, 33 განცხადება ეხებოდა არასრულწლოვნების დედასთან, 34 - მამასთან, ხოლო 5 - ოჯახის სხვა წევრებთან ურთიერთობის საკითხებს.

[886] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 3 21 02245075, 5/08/2021.

იქნა დაზარალებულად ცნობილი.[887] საანგარიშო პერიოდში საერთო სასამართლოების მიერ არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სექსუალური ძალადობის დანაშაულის 121 საქმე იქნა განხილული, აქედან 111 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, 8 საქმეზე შეწყვეტის, ერთ საქმეზე გამამართლებელი განაჩენი იქნა მიღებული, ხოლო ერთი საქმე გადაკვალიფიცირდა.[888]



გამოწვევად რჩება ამ მიმართულებით მომუშავე პროფესიონალების სათანადო კვალიფიკაცია სექსუალური ძალადობის თემატიკაზე. კერძოდ, სახალხო დამცველის შესწავლის შედეგად, კვლავ გამოიკვეთა გამოძიების პროცესში ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციის რისკის შემქმნელი და გამოძიების ეფექტიანი წარმართვის დამაბრკოლებელი არაერთი გარემოება.[889] თუმცა, მისასალმებელია, რომ შესაბამისმა უწყებებმა გაიზიარეს ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციები.[890] კერძოდ, ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის თემებზე, გადამზადდნენ როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომლები, ასევე, მოსამართლეები და სასამართლოს მოხელეები.[891]

---

[887] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/13811, 10/03/2022.

[888] საქართველოს უზენაესი სასამართლოს კორესპონდენცია №3-02-22, 18/02/2022.

[889] „ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ" სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nVKlOx > [ბოლოს ნანახია 24.01.2022].

[890] „ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექპლოატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება", სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, < https://bit.ly/3fYND4w> [ბოლოს ნანახია 24.01.2022].

[891] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 3 21 02245075 - 5/08/2021; საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/2295, 18/01/2022; სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენცია: №5005041221, 26/07/2021. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის კორესპონდენცია: №02/2937, 26/01/2022; ამასთანავე, 2021 წლიდან ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობას, მხოლოდ სპეციალიზებული პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები ეწევიან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია გამოძიების პროცესში მსხვერპლ ბავშვთან მხარდამჭერი პროფესიის სპეციალისტების, მათ შორის, ფსიქოლოგების პროაქტიული ჩართულობის შესახებ. თუმცა, კადრების სიმცირისა და კვალიფიკაციის საკითხი, აფერხებს სპეციალისტის დროულად ჩართვას და პროცესში მის ეფექტიან მონაწილეობას.

22.4. სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონე

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა, მათი საჭიროებების დასაკმაყოფლებლად, არასაკმარისი მიზნობრივი სახელმწიფო სერვისები და ამ სერვისების არაეფექტიანობა.

კვლავ მზარდია ბავშვთა სიღარიბის რაოდენობრივი მაჩვენებელი. წინა წელთან შედარებით, 28%-ით გაიზარდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ჩარიცხული იმ ოჯახების რაოდენობა, სადაც ერთი არასრულწლოვანი მაინც ცხოვრობს. პროგარამაში ჩართული არასრულწლოვნების რაოდენობამ კი 235252 შეადგინა.[892] ხოლო, 2021 წლის ივნისის მდგომარეობით, პანდემიით გამოწვეული ზიანის შემსუბუქების მიზნით, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე 31 809 ბავშვიან ოჯახს ჩაერიცხა კომპენსაცია, რომელთაგან 28 016 მრავალშვილიანი იყო.[893]



[894]

წლიდან-წლამდე ბავშვთა სიღარიბის მზარდი ტენდენციის მიუხედავად, სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია მისი შემცირების ეფექტიანი მექანიზმი. ამ მიმართებულით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების ვალდებულება, ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის მიზნობრივი პროგრამების შესამუშავებლად და აღსასრულებლად, განსაზღვრონ შესაბამისი სამსახური.[895] თუმცა, ამჟამინდელი მდგომარეობით, ეს

[892] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენცია № 04/12639, 31/12/21.

[893] იქვე.

[894] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, ხელმისაწვდომია:<https://bit.ly/34Nq11a>[ბოლოს ნანახია 18.02.2022].

[895] ბავშვის უფლებათა კოდექსის 96-ე მუხლის საფუძველზე, მუნიციპალიტეტებს 2020 წლის 1 სექტემბრიდან დაეკისრათ ვალდებულება კომპეტენციის ფარგლებში ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, მათ შორის, ბავშვთა სიღარიბის დაძლევისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით, განსაზღვრონ შესაბამისი სამსახური, რომელიც შეიმუშავებს ბავშვის

სამსახურები ყველა მუნიციპალიტეტში სრულად არ არის დაკომპლექტებული მინიმალური რაოდენობის კვალიფიციური კადრით, არ არის გამოკვეთილი პრიორიტეტული მიმართულებები და სპეციალისტების ფუნქცია-მოვალეობები ნათლად არ არის გამიჯნული სხვა უწყებების ვალდებულებისგან.

22.5. სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა

სახელმწიფო ალტერნატიულ ზრუნვას რამდენიმე ფორმით, კერძოდ, მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამის, მცირე საოჯახო ტიპის სახლებისა და დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების ფარგლებში ახორციელებს.

ამჟამად, საქართველოს მასშტაბით ფუნქციონიერებს 42 მცირე საოჯახო ტიპის სახლი, საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული სამი ლიცენზირებული (აქედან ორი დიდი ზომის სკოლა-პანსიონი) დაწესებულება და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული ერთი ჩვილ ბავშვთა სახლი. ხოლო, 2021 წლის მონაცემებით, მინდობით აღზრდის 739 ოჯახში სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანილი 1497 არასრულწლოვანი იზრდება. 2021 წელს სახელმწიფო ზრუნვაში ჯამში 309 არასრულწლოვანი განთავსდა, ხოლო ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა 98 არასრულწლოვანი.[896]



2021 წელს, 309 არასრულწლოვნის ბიოლოგიური ოჯახისგან განცალკევებისა და სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების ძირითადი საფუძველი, წინა წლის მსგავსად, იყო ძალადობა და უგულებელყოფა. ამასთანავე, მეურვეობა-მზრუნველობის ორგანო განმარტავს, რომ სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონე არცერთ შემთხვევაში არ

უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ მართვას და მათი აღსრულების კონტროლს საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

[896] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენციები №07/11171, 30/12/2021, №07/1734, 07/03/2022.

არის ბავშვის ოჯახისგან განცალკევების მიზეზი და ის სხვა მიზეზებთან ერთობლიობაში განიხილება.[897]



სახალხო დამცველის შეფასებით, ამ მიმართულებითაც გამოწვევად რჩება ბავშვების დაცვა ძალადობისგან, მათი ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფა, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება და ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერება არასრულწლოვნის რეინტეგრაციის მიზნით, როდესაც ეს მის საუკეთესო ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ასევე, პრობლემურია სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ბავშვების მხარდაჭერა.

22.5.1. დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა

დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების მიერ ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის განხორციელება არსებითად ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებათა დაცვის ფუნდამენტურ პრინციპებს, მათ შორის, მის უფლებას, იზრდებოდეს საკუთარ ოჯახში ან ოჯახთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში. ამ კუთხით, მისასალმებელია, რომ 2021 წლის დეკემბერში დაიხურა კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლი და 14 აღსაზრდელი ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსდა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში კვლავ ფუნქციონირებს სამი დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულება,[898] აქედან ორი ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს" დაქვემდებარებაში არსებული ლიცენზირებული სკოლა-პანსიონია, სადაც 2021 წლის დასასრულს ჯამში 140 არასრულწლოვანი ირიცხებოდა.

[897] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/1734, 07/03/2022.

[898] თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი, „ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი" და ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონი", რომლებიც ფუნქციონირებს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/11171, 30/12/2021.

2021 წელს განვითარებულმა მოვლენებმა და საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ორივე დიდი ზომის ლიცენზირებული სკოლა-პანსიონის დეტალური მონიტორინგის შედეგებმა[899] კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მსგავსი ინსტიტუციების მანკიერი ბუნება, იქ არსებული ჩაკეტილი გარემო, რასაც დამანგრეველი გავლენა აქვს როგორც ბავშვების ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, ისე ფიზიკურ ჯანმრთელობასა და განვითარებაზე, ხელს უშლის ბავშვების სოციალიზაციას და სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლისთვის მზაობას. ამასთან, განსაკუთრებით პრობლემურია ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, თავად არასრულწლოვნებს უჭირთ ძალადობის ფორმებისა და აღზრდის ფორმების განსხვავება. საკითხს კიდევ უფრო ამწვავებდა ის გარემოება, რომ ორივე რეზიდენტული დაწესებულების შემთხვევაში, სოციალური მუშაკები დროულად არ ახორციელებდნენ დაწესებულების მონიტორინგს, ბავშვებთან ინდივიდუალურ გასაუბრებას და მათი მდგომარეობის შეფასებას. შედეგად, ბავშვებს არ ჰქონდათ სოციალური მუშაკების მიმართ ნდობა და არც უფლების დაცვითი მექანიზმების შესახებ ფლობდნენ ინფორმაციას.

ნინოწმინდის პანსიონის მონიტორინგმა ცხადყო, რომ დაწესებულებაში არათუ უგულებელყოფილი იყო ბავშვების საბაზო საჭიროებები და ინტერესები, არამედ, დაწესებულების მოქმედებები უშუალო ზიანს აყენებდა მათ ჯანმრთელობას და განვითარებას, იყო მატრავმირებელი, ხშირად, დანაშაულებრივი ხასიათის და ეწინააღმდეგებოდა ბავშვზე ზრუნვის ყველა სტანდარტს. თუმცა, წმ. მატათას სახელობის პანსიონის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაწესებულებაში მოწესრიგებულია საცხოვრებელი გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვების საბაზო საჭიროებები, მისი ინსტიტუციური ხასიათი და ჩაკეტილი გარემო ბავშვებს დაწესებულებისადმი არაჯანსაღ მიჯაჭვულობას უყალიბებს, ხელს უშლის მათ სოციალიზაციას, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების განვითარებას და სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლისთვის მზაობას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფოს ჯერაც არ დაუმტკიცებია დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების მინდობით აღზრდისა და ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვის სერვისებით ჩანაცვლების კონკრეტული გეგმა და ვერც სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანილი ბავშვის მსგავს ინსტიტუციებში მოხვედრის პრევენციას უზრუნველყოფს, რაც სახელმწიფოს მხრიდან ბავშვზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფის კუთხით არაეფექტიანი პოლიტიკის შედეგია.

[899] „ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ხელმისაწვდომია <:https://bit.ly/3nVKlOx > [ბოლოს ნანახია 24.01.2022].

22.5.2. მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა

2021 წლის მონაცემებით, 46 მცირე საოჯახო ტიპის სახლში,[900] 297 არასრულწლოვანი ირიცხება. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მწვავე პრობლემას წარმოადგენს ბავშვების გართულებული ფსიქოემოციური მდგომარეობა, რასაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კოვიდ-19-ის პანდემიის თავიდან აცილების მიზნით მიღებულმა ზომებმა. ამასთანავე, მიუხედავად გამოკვეთილი საჭიროებებისა, აღმზრდელებს არ აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება, რომელიც ითვალისწინებს ქცევითი და ემოციური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკას.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში იკვეთება, როგორც აღსაზრდელთა შორის განმეორებითი ძალადობის ფაქტები, ასევე, ბავშვებსა და აღმზრდელებს შორის დისკრიმინაციული და სტერეოტიპული დამოკიდებულებებისგან თავისუფალი, კეთილგანწყობილი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ნაკლებობა. აღსანიშნავია ასევე, რომ აღმზრდელები პრაქტიკაში ეფექტიანად ვერ იყენებენ ქცევის მართვის პოზიტიურ ფორმებს. დაწესებულებებში არც შემთხვევაზე დროული რეაგირების წინასწარ განსაზღვრული ეფექტიანი მექანიზმია, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა არა მხოლოდ გამწვავებული შემთხვევის მართვაზე, არამედ მისი საფუძვლების ძირეულ მოკვლევასა და თავიდან აცილებაზე.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში არ არის აღსაზრდელების ემოციური, კოგნიტური და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული, სათანადოდ შემუშავებული, სპეციალური ღონისძიებები. დაწესებულებებში ასევე იკვეთება, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე ბავშვების სოციალიზაციის ხელშეწყობის გამოწვევები.

22.5.3. დედა და ბავშვთა სახელმწიფო თავშესაფრების ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობა

დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ბავშვიანი ოჯახის მხარდაჭერას, ბავშვის მიტოვებისა და ოჯახისგან განცალკევების თავიდან აცილებას. საქართველოში ფუნქციონირებს 6 დედათა და ბავშვთა თავშესაფარი.[901] მათი მომსახურებით 2021 წელს 480 ბენეფიციარმა ისარგებლა, მათგან 190 დედამ, რომელთაგან 25 იყო არასრულწლოვანი დედა და 190 ბავშვმა.[902]

---

[900] აქედან, ოთხი მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის სახლი.

[901] თბილისი (ოთხი თავშესაფარი), ქუთაისი (ერთი თავშესაფარი) და ხაშური (ერთი თავშესაფარი).

[902] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/11172, 30/12/2021.

ქვეპროგრამის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების სიმწირე წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ კვების, მედიკამენტებით უზრუნველყოფის, პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და ბენეფიციართა პირველადი საჭიროებებისთვის არის საკმარისი.

თავშესაფარში ჩარიცხული ბენეფიციარები უმეტესად ტრავმული გამოცდილების, ძალადობა გამოვლილი, თავშესაფრის არმქონე ან დისფუნქციური ოჯახებიდან არიან, თუმცა სახელმწიფოს არ აქვს მათი ეფექტიანი მხარდაჭერის სისტემა, მწირია სოციალური უნარების ამაღლების, კონსულტირებისა და რეაბილიტაციის, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების სერვისები. კადრების სიმცირის გამო, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, თავშესაფრები სათანადოდ ასევე ვერ უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო და დასაქმების სფეროში ჩართული დედების მხარდაჭერას ბავშვებზე ზრუნვის კუთხით.

თავშესაფრების დატოვების შემდგომ, დედებს სტაბილური საცხოვრისი სჭირდებათ, თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან მსგავსი სპეციალური პროგრამები ნაკლებადაა მხარდაჭერილი. შესაბამისად, თავშესაფარში ჩარიცხული დედების პრობლემები ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევისა და ცხოვრების შემდგომი ეტაპისთვის მომზადების გზაზე, კიდევ უფრო რთულდება.

22.6. ბავშვთა შრომა

სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების, სეზონური შრომის და შრომითი მიგრაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.

შინა მეურნეობებში, სეზონურ სამუშაოებში არასრულწლოვნების ჩართვა ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკაა. სიღარიბეს რომ თავი დააღწიონ, ბავშვებს ისეთი მძიმე სამუშაოს შესრულება უწევთ, როგორიცაა ჯართის შეგროვება, სატვირთო მანქანებზე მუშაობა, მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სამუშაოები. კვლავ პრობლემურია, შრომით საქმიანობაში ჩართვის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროცესიდან დროებითი გამოთიშვის შემთხვევები, რაც ყოველთვის არ აღირიცხება და რეაგირების მიღმა რჩება. ამასთანავე, ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან ჩართული მობილური ჯგუფების რაოდენობა არ შეესაბამება ქვეყანაში ამ მხრივ არსებულ საჭიროებას.[903] ეს სერვისი თბილისის, რუსთავის, ბათუმისა და ქუთაისის გარდა, არ ფუნქციონირებს ისეთ სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც ასევე, განსაკუთრებით აქტუალურია მსგავსი გამოწვევები.

[903] „ბავშვთა შრომა ახალი კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში და მის მიღმა" სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ხელმისაწვდომია:<https://bit.ly/3xR7x9r> [ბოლოს ნანახია 09.03.2022].

საანგარიშო პერიოდში, 2021 წელს, დეკემბრამდე სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში 18 მიმართვა გაკეთდა ბავშვთა შესაძლო შრომის/შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევაზე.[904] ხოლო, შრომის ინსპექციის სამსახურმა 139 ობიექტს ჩაუტარა ინსპექტირება, რის შედეგადაც, ერთგან არასრულწლოვნის საქართველოს „შრომის უსაფრთხოების შესახებ" ორგანულ კანონთან შეუსაბამო შრომა გამოვლინდა.[905]

22.7. ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები

ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვებთან, მათ ოჯახებთან სოციალური მუშაობის კუთხით გაწეული მომსახურება და მხარდამჭერი, მათ შორის, ბაზისურ საჭიროებებზე ორიენტირებული, სერვისების განხორციელება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევებს უკავშირდება, განსაკუთრებით, კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში.

2021 წლის მონაცემებით,[906] მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის[907] ფარგლებში მოქმედ 7 დღის ცენტრსა და 6 სადღეღამისო თავშესაფარში ჩაირიცხა - 104 ბენეფიციარი, ხოლო ამოირიცხა - 90. თუმცა, შემთხვევათა გამოვლენის სირთულისა და სერვისების სიმწირის გათვალისწინებით, ეს რიცხვი არ ფარავს მსგავსი საჭიროების მქონე ბავშვთა სრულ კონტიგენტს.



[904] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/721, 31/01/2022.

[905] სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის კორესპონდენცია №09/24, 06/01/22. აქ იგულისხმება „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №112 დადგენილების ფარგლებში ჩატარებული ინსპექტირება. გამოკვეთილი დარღვევის საფუძველზე, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა კომპანიის წარმომადგენლებს არასრულწლოვნის ობიექტიდან გაყვანა მოსთხოვა, ვინაიდან სამშენებლო საქმიანობა განსაკუთრებით მაღალი რისკის შემცველი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სფეროა, ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომპანიის მიმართ სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ.

[906] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია № 07/1987 , 15/03/2022.

[907] ქვეპროგრამა სრულად ხორციელდება თბილისში (ოთხი დღის ცენტრი და ოთხი თავშესაფარი), რუსთავში (ერთი დღის ცენტრი და ერთი თავშესაფარი), ქუთაისში (ერთი დღის ცენტრი და ერთი თავშესაფარი), ხოლო ბათუმში 2021 წელს ფუნქციონირება დაიწყო ერთმა დღის ცენტრმა.

2021 წელს, ქვეპროგრამის სერვისებიდან, სახელმწიფო ზრუნვაში, კერძოდ, მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადავიდა - 5 ბენეფიციარი, ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა ერთი ბენეფიციარი, დოკუმენტაცია მოუწესრიგდა 15-ს და დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი დაუმზადდა 7 ბავშვს, ხოლო, სკოლაში 12 მიუსაფარი ბავშვი ჩაირიცხა.

2021 წელს, სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიუსაფარ ბავშვთა ყველა დღის ცენტრისა და სადღეღამისო თავშესაფრის მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ კვლავ მწვავედ დგას ბავშვების და მათი ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერება, ამ მხრივ, სათემო რესურსის მოძიება და მათ მიმართ საზოგადოებაში, თანატოლებისა თუ უფროსების მხრიდან, სკოლასა თუ ქუჩაში დამკვიდრებული სტერეოტიპული დამოკიდებულება. თავშესაფრებში თავს იჩენს ინფრასტრუქტურული პრობლემებიც, განსაკუთრებით, რუსთავში მდებარე თავშესაფარში. ამ მხრივ, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლიდან, ბათუმში ფუნქციონირებს ბავშვთა დღის ცენტრი. თუმცა, რეგიონში არსებული მწვავე საჭიროების გათვალისწინებით, კვლავ გამოწვევად რჩება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიუსაფარ ბავშვთა 24-საათიანი მომსახურების, თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხი.

დამატებით, მიუსაფარ და თავშესაფრის არმქონე ბავშვებთან მიმართებით, ისევ პრობლემურია, როგორც სახელმწიფო უწყებებს შორის, ისე სამართალდამცავი უწყების ტერიტორიულ ერთეულებს შორის ბავშვების შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინირებული მუშაობის საკითხი.

22.8. თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვისა და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა

საერთაშორისო დაცვის მქონე ბავშვების უფლებების უზრუნველყოფის კუთხით, იკვეთება არაერთი გამოწვევა, მათ შორის, მათი განათლებაზე ხელმისაწვდომობის, ჯანმრთელობის დაცვის, ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებისა და უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნულის შესახებ იხილეთ საპარლამენტო ანგარიშის შემდგომ ქვეთავში: ,,უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში."

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებებთან მიმართებით, დამტკიცდეს ტექნიკური რეგლამენტი „დაწესებულებების შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობების მოწყობის შესახებ";
- პასუხისმგებელი უწყებების ჩართულობით, ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის'' ფარგლებში, გადაიხედოს დედათა და ბავშვთა თავშესაფრების დაფინანსების მოცულობა და გამოკვეთილი

საჭიროებების შესაბამისად, ასევე, მომსახურების მიზნებიდან გამომდინარე, შემუშავდეს თავშესაფრების ქვეპროგრამის ეტაპობრივად გაძლიერების გეგმა;

- უწყებათაშორისი თანამშრომლობის საფუძველზე, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად და სტერეოტიპული დამოკიდებულებების დასაძლევად, დაიგეგმოს და ჩატარდეს საინფორმაციო კამპანიები;
- უწყებათაშორისი, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, თანამშრომლობის საფუძველზე, დაისახოს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრების ინფრასტრუქტურული გამოწვევების გადაჭრის გზები, შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადების საფუძველზე;
- განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან და ადგილობრივ ხელისუფლებებთან თანამშრომლობით, გაიმიჯნოს მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სოციალური მუშაკების, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკებისა და საგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკების ფუნქცია-მოვალეობები და გაიწეროს, მათ შორის, კოორდინაციის სახელმძღვანელო დოკუმენტი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ყოველწლიურად შეფასდეს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ბაზაზე დასაქმებული სოციალური მუშაკების კადრების რაოდენობის შესაბამისობა არსებულ საჭიროებასთან და გატარდეს სათანადო ღონისძიებები სოციალური მუშაკების რაოდენობის გასაზრდელად;
- ყოველწლიურად შეფასდეს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დახმარების სააგენტოს ბაზაზე დასაქმებული ფსიქოლოგების რაოდენობის შესაბამისობა არსებულ საჭიროებასთან და გატარდეს სათანადო ღონისძიებები ფსიქოლოგთა რაოდენობის გასაზრდელად;
- სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დახმარების სააგენტოს საჭიროებების მოკვლევის საფუძველზე, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები გადამზადდნენ ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის, მეორეული ვიქტიმიზაციისა და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების შესახებ;
- პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობით, სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების სოციალური ფუნქციის ასამაღლებლად, ინიცირებულ იქნას ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- ხელი შეეწყოს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებში, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებში დასაქმებულ პირთა გადამზადებას აღსაზრდელთა რთული ქცევის, ემოციური გამწვავების პრევენციისა და მართვის, ასევე, თითოეულ სახლში, არასრულწლოვნებთან მუშაობის კუთხით გამოვლენილ სხვა სპეციფიკურ თემატიკაზე;
- უწყებათაშორისი, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, თანამშრომლობის საფუძველზე, მოხდეს ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება, „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" ფარგლებში, აჭარის რეგიონში 24-საათიანი მომსახურების გახსნის მიზნით;
- შეფასდეს საჭიროება და შემუშავდეს სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ადამიანური და მატერიალური რესურსით გაძლიერების, მათ შორის, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის გაზრდის კონკრეტული გეგმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულების თითოეული დამრიგებელი გადამზადდეს მოსწავლეთა სწავლის მიტოვების პრევენციული ღონისძიებებისა და დაკისრებული ახალი ვალდებულებების შესახებ;
- მოსწავლის სწავლის მიტოვებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, რეგიონულ დონეზე აღირიცხოს/შეფასდეს სკოლის მიტოვების მაღალი მაჩვენებლის გამომწვევი მიზეზები და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, საჯარო სკოლებთან და მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოსთან თანამშრომლობით, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, შემუშავდეს სამომავლო სტრატეგია ბავშვების მიერ სკოლის მიტოვების რისკების შესამცირებლად;
- გადამზადდნენ საჯარო სკოლების მასწავლებლები, მოსწავლეებისთვის კი, ჩატარდეს საგანმანათლებლო ღონისძიებები ბავშვთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის აკრძალვის და ბულინგის თემაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- სამართალდამცავ უწყებასთან თანამშრომლობით, დეტალური ინსტრუქციის გაწერის მიზნით, დაიწყოს ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება, და ამ საკითხზე გადამზადდნენ სამართალდამცავი უწყების ტერიტორიული ერთეულების თანამშრომლები.

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ბავშვთა საკითხებზე მომუშავე შესაბამისი პასუხისმგებელი სამსახური სრულად არ დაკომპლექტებულა სათანადო კვალიფიკაციის მქონე მინიმალური კადრით, შესრულდეს ბავშვის უფლებათა კოდექსით დადგენილი ვალდებულება;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პერსონალი გადამზადდეს დისტანციური სწავლების საკითხზე;
- საჭიროების შემთხვევაში, შეფასდეს დისტანციური სააღმზრდელო პროცესის ხელმისაწვდომობის გამოწვევები და ამის საფუძველზე, შემუშავდეს კონკრეტული გეგმა და გატარდეს პროცესის ხელშემწყობი სათანადო ღონისძიებები.

23. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

23.1. შესავალი

2021 წელს კვლავ გამოწვევად რჩებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ეფექტიანი დაცვა. კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში გაუარესდა ამ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, დასაქმების პერსპექტივა. მათი ნაწილი კვლავ დარჩა პანდემიის საპასუხოდ შემუშავებული სახელმწიფოს ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის მიღმა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა მოახდინა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის[908] რატიფიცირება, რაც მნიშვნელოვანია ამ პირთა უფლებების საერთაშორისო დაცვის მექანიზმებით უზრუნველყოფისთვის. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა[909], რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში შშმ პირთა უფლებების სათანადოდ დაცვას.

ამასთან, ჯერ კიდევ არ მომხდარა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების სამართლიან სისტემაზე გადასვლა, რომელიც გარდა სამედიცინო ჩვენებისა ყურადღებას გაამახვილებს პირის ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე. მოქმედი მოდელის მიხედვით განსაზღვრული სოციალური პაკეტის ოდენობა, გარდა იმისა, რომ არ არის მორგებული შშმ პირების ინდივიდუალურ საჭიროებებზე, მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს მათ დაკმაყოფილებას.

არსებითად არ შეცვლილა სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები. პრობლემურია სერვისების გეოგრაფიული დაფარვა, მეტწილად ვერ ხერხდება ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა შშმ ბავშვის/პირის მოცვა, რადგან ქვეპროგრამები კვლავ არ ეფუძნება სტატისტიკურ და კვლევით მონაცემებს.

გამოწვევად რჩება ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების უფლებების დაცვა. ამ დრომდე არ შექმნილა სფეროს დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია. მნიშვნელოვანი

---

[908] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3vj859x > [ბოლოს ნანახია 20.02.2022]

[909] საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ნოემბრის N551 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ". დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3BCNCO4 > [ბოლოს ნანახია 20.02.2022]

ხარვეზები გამოიკვეთა პანდემიის პირობებში ფსიქიატრიულ სერვისებში პაციენტების უსაფრთხო მართვის მიმართულებით.[910]

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ორგანოების/დაწესებულებების უმეტესი ნაწილის მიერ შემუშავდა შშმ პირთა უფლებების წლიური სამოქმედო გეგმები.[911] თუმცა ამ პროცესში სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი შშმ პირების/შშმ პირთა ორგანიზაციების მონაწილეობა. გარდა ამისა, უწყებების ცნობით, მათ მიერ ცალკეული ღონისძიებების განხორციელებას ხელი შეუშალა სხვადასხვა ფაქტორმა.[912]

23.2. ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლების სათანადოდ მიწოდებამ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა პანდემიის პირობებში. საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა საფეხურზე გამოწვევას წარმოადგენდა შშმ მოსწავლეთა/სტუდენტთა საჭიროებების შესწავლა, ინფრასტრუქტურის/მასალების მისაწვდომობა და სათანადო ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.

23.2.1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას სკოლამდელ აღზრდაში ჩართული შშმ ბავშვების შესახებ. ხელმისაწვდომია მონაცემები მხოლოდ სკოლამდელ განათლებაში ამ ეტაპზე ჩართული სასკოლო ასაკის (6 წელზე უფროსი) შშმ ბავშვების შესახებ (167 ბავშვი).[913] ნეგატიურად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტებში არ ჩატარებულა შშმ აღსაზრდელთა საჭიროებების სიღრმისეული კვლევა.[914] ასევე, ვერ ხდება სკოლამდელი აღზრდის მიღმა დარჩენილი ბავშვების იდენტიფიცირება.[915] აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული საკონსულტაციო საბჭო[916] არ ფუნქციონირებს 6 მუნიციპალიტეტში.[917]

პრობლემას წარმოადგენს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მისაწვდომობა, რომელიც უმეტესწილად მხოლოდ პანდუსის მონტაჟით შემოიფარგლება.

---

[910] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების უსაფრთხო მიწოდება COVID-19-ის პანდემიის პირობებში". 2021 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tIqHNp >[ბოლოს ნანახია 08.03.2022]

[911] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის ''ა'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში. დასახელებული კანონი ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3r0RHba > [ბოლოს ნანახია 09.03.2022].

[912] პანდემიით გამოწვეული ვითარება, დროის სიმცირე, დონორის მიერ ბიუჯეტის შემცირება, სხვა პრობლემები.

[913] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია MES 7 22 0000002600- 10.01.2022.

[914] ინფორმაცია მიღებულია 51 მუნიციპალიტეტიდან.

[915] მხოლოდ 4 შემთხვევაში მოხდა ამგვარი ფაქტების გამოვლენა. კერძოდ, ასპინძის მუნიციპალიტეტში 3 შშმ ბავშვი, ბათუმში 14, ჩოხატაურში 1, ცაგერში 4.

[916] საკონსულტაციო საბჭო, რომელიც გათვალისწინებულია ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით.

[917] ახალქალაქის, ქედის, ნინოწმინდის, ხონის, შუახევის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები..

რაც შეეხება პერსონალს, დაწესებულებათა დიდ ნაწილს[918] ინკლუზიური განათლების სპეციალისტებიდან ემსახურება ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი (სპეც. აღმზრდელი) და ლოგოპედი. თუმცა, მათი რეგიონული განაწილება არასაკმარისია და უმეტესობა თავმოყრილია თბილისში.



საანგარიშო პერიოდში, ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენინგები ჩატარდა თვითმმართველ ერთეულთა დაახლოებით 7 %-ში.[919] აღსანიშნავია, რომ 51 მუნიციპალიტეტიდან, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მონიტორინგი არ მიმდინარეობს 6 თვითმმართველ ერთეულში.[920]

23.2.2. ზოგადი განათლების პოლიტიკა და პრაქტიკა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს 624.5 ათასი მოსწავლე,[921] მათ შორის, 10447 სსსმ მოსწავლეა. მათგან, ამავდროულად შშმ სტატუსი აქვს 1148 ბავშვს.[922] სულ სსსმ/შშმ მოსწავლეები ირიცხებიან 1455 საჯარო სკოლაში.

აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე სრულყოფილად არ მომხდარა ,,სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში მონაცემთა დამუშავება.[923] 2022 წლის 10 იანვრის მდგომარეობით, სკოლის მიღმა დარჩენილია 445 შშმ ბავშვი. ამასთან, გამოვლინდა 21 ბავშვი, რომელთაც არ ჰქონდათ შშმ სტატუსი. მათგან,

[918] 42 მუნიციპალიტეტი.

[919] ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ბათუმის, ხარაგაულის, თბილისის, მესტიის, მცხეთის, ოზურგეთის, ხაშურის, საჩხერის, სენაკის, ქობულეთის, ჩოხატაურის და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

[920]ახალქალაქის, ბორჯომის, ქედის, ქუთაისის (ხორციელდება მხოლოდ შიდა კონტროლი თავად პერსონალის მხრიდან), ყვარლის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები.

[921] 2020-2021 სასწავლო წელს. მონაცემები აღებულია საქსტატის ოფიციალური გვერდიდან.

[922]2021 წლის დეკემბრის მონაცემებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია MES 7 22 0000002600-10.01.2022.

[923] საწყის ეტაპზე, პროგრამაში ჩართულ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა 1,098 სკოლის მიღმა მყოფი 6-16 წლის შშმ პირი. მათგან, 431 - უმძიმესი და მრავლობითი დარღვევების გამო ვერ ერთვება ზოგად განათლებაში. ან წარდგენილია მიმართვა სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდთან და პროცესი მიმდინარეობს. 302 ბავშვთან დაკავშირებით სამინისტროს ჯერ არ მიუღია უკუკავშირი შესაბამისი მუნიციპალიტეტებიდან.

ჯერ მხოლოდ 2 გახდა სკოლის მოსწავლე.[924] საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 9 კლასის დასრულებამდე შშმ მოსწავლეების მიერ სწავლის შეწყვეტის 117 შემთხვევა.[925]

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს ინკლუზიური განათლების მიმართულებით შემუშავდა მნიშვნელოვანი დოკუმენტები,[926] პრობლემას წარმოადგენდა ინტერნეტსა და საჭირო ტექნიკაზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი და სოფლად მცხოვრები ბავშვების წვდომა, დისტანციური სწავლების ინსტრუმენტების ნაკლებობა,[927] ადამიანური რესურსის სათანადოდ მობილიზება, მშობლებთან არასათანადო კომუნიკაცია, აუდიოვიზუალური და ადაპტირებული მასალების შექმნა. გამოწვევად რჩება სკოლების ინფრასტრუქტურის მისაწვდომობა[928] და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების არასაკმარისი რაოდენობა რეგიონებში.

23.2.3. პროფესიული განათლება

პროფესიულ განათლებაში ჩართულია 350 სსსმ/შშმ პირი. 2021 წელს სსსმ სტუდენტები ჯამში 46 პროფესიულ დაწესებულებაში ირიცხებოდნენ, თუმცა, არადამაკმაყოფილებელია ამ დაწესებულებათა რეგიონული მოცვა.[929]

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებიდან (ჯამში 90),[930] მხოლოდ 31 დაწესებულებაში არიან გამოყოფილნი სსსმ/შშმ სტუნდენტთა მხარდამჭერი სპეციალისტები.[931] გამოწვევად რჩება დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის მისაწვდომობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფუნქციონირებს 66 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი, მათგან მხოლოდ ოთხია მოწყობილი უნივერსალური დიზაინის პრინციპების შესაბამისად.

---

[924] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია MES 7 22 0000002600-10.01.2022.

[925] სსსმ-88, შშმ-2. სსსმ/შშმ-27. მათ შორის 43 გოგო, 74 ბიჭი.

[926] სენსორული სასწავლო გეგმა განვითარების შეფერხების მქონე მოსწავლეთათვის და გაფართოებული სასწავლო გეგმა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის. ასევე, მომზადდა გზამკვლევები სსსმ მოსწავლეების სწავლებასთან დაკავშირებით. დოკუმენტები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <bit.ly/379s7co> ბოლოს ნანახია [07.03.2022].

[927] განსაკუთრებით, სენსორული შეზღუდვისა და ქცევის სირთულის მქონე მოსწავლეებისთვის.

[928] თბილისში, სრულად ადაპტირებულია 36 საჯარო სკოლის შენობა, ნაწილობრივ - 117, 20 სკოლაში მიმდინარეობს მშენებლობა/რეაბილიტაციისთვის საჭირო პროცედურები. რეგიონებთან დაკავშირებით მიმდინარეობს 2021 წლის მდგომარეობის ამსახველი ბაზების დამუშავება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია MES 7 22 0000002600-10.01.2022.

[929] თბილისში - 21 (კერძო და საჯარო). აჭარა 7, გურია 1, იმერეთი 3, კახეთი 2, მცხეთა-მთიანეთი 1, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 1, სამეგრელო-ზემო სვანეთი 4, სამცხე-ჯავახეთი 1, ქვემო ქართლი 1, შიდა ქართლი 4.

[930] მათგან, 66 არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი.

[931] მათ შორის: 39 ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, 7 სასწავლო პროცესის ასისტენტი, 17 ჟესტური ენის თარჯიმანი, 1 პერსონალური ასისტენტი, 1 მობილობის და ორიენტაციის სპეციალისტი, 1 უსინათლო პირის გამცილებელი და 1 ხმოვანი პროგრამის ტრენერი.

23.2.4. უმაღლესი განათლება

2021 წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ 483 სსსმ/შშმ პირთაგან, მხოლოდ 54 პირი ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.[932] მიუხედავად ამისა, დღემდე არ განხორციელებულა იმ დამაბრკოლებელი ფაქტორების კვლევა, რაც შშმ პირებს ხელს უშლით ზოგადი საფეხურის დასრულების შემდგომ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, 16 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სხვადასხვა საფეხურზე აქტიური სტატუსით სარგებლობს 99 შშმ სტუდენტი. 2021 წელს დაფიქსირდა სტატუსის შეჩერების 3 შემთხვევა.[933] რაც შეეხება მხარდამჭერ მომსახურებებს უმაღლესი განათლების საფეხურზე, უნივერსიტეტების დონეზე დამკვიდრებულია არაერთგვაროვანი პრაქტიკა. ხაზგასასმელია, რომ შშმ სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილების პროცესში, უმეტეს შემთხვევებში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები არ არიან ჩართულნი.[934]

23.3. მისაწვდომობა

2021 წელს დღის წესრიგში კვლავ იდგა კომპლექსური მისაწვდომობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის პირველი მარტიდან ძალაში შევიდა ტექნიკური რეგლამენტი ,,მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები",[935] ეფექტურად არ განხორციელებულა მის აღსრულებაზე მონიტორინგი. ასევე, არ ჩატარებულა აქტიური საინფორმაციო კამპანია ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ რეგულაციებსა და ვალდებულებებზე. არ შემუშავებულა მისაწვდომობის ეროვნული გეგმა.

ქვეყანაში ამ დრომდე არ არის მიღებული ევროკავშირის მიდგომასთან ჰარმონიზებული შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი კომპონენტები, ყველა სახელმწიფო უწყებისთვის არ არის დანერგილი ,,ონლაინ გამოყენებადობა და ვებ მისაწვდომობის სტანდარტი" (მათ შორის WCAG სტანდარტი, AA დონე)[936], ასევე, არ ხორციელდება მონიტორინგი.[937]

---

[932] 10.01.2022-ის მდგომარეობით ყველა მათგანს აქვს აქტიური სტუდენტის სტატუსი.

[933] ძირითად საფუძველს წარმოადგენდა აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

[934]გამონაკლისია სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელშიც დასაქმებულია 1 სპეციალისტი; ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, რომელშიც გამყოფილია ინკლუზიის კოორდინატორის პოზიცია; შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, რომელშიც დასაქმებულია 4 სპეციალისტი. ასევე, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გამოყოფილია საკონტაქტო პირები.

[935] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3rlkrTM > [ბოლოს ნანახია 04.03.2022].

[936] W3C WCAG არის სტანდარტი ვებ მისაწვდომობისთვის. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ პუბლიკაცია: ,,ვებ მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საქართველოში: არსებული მდგომარეობა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა." მორტენ მეიერჰოფ ნილსენი UNU-EGOV. 2021 წელი. ნაწილი 3.1.,18-19. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://bit.ly/3pJT64v > [ბოლოს ნანახია 08.03.2022]

[937] იქვე, 6.

23.4. შშმ პირთა დასაქმება

ეფექტური ხელშემწყობი მექანიზმებისა და შესაბამისი პირობების არარსებობის გამო, 2021 წელს შშმ პირები კვლავ აწყდებოდნენ დაბრკოლებებს დასაქმების კუთხით, აღნიშნული კიდევ უფრო გაამწვავა კოვიდპანდემიიდან გამომდინარე დაწესებულმა შეზღუდვებმა. არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ მიუხედავად ქვეყანაში მოქმედი დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებისა, სამუშაოს მაძიებელ პირთა რაოდენობა ბევრად აღემატება რეალურად დასაქმებულთა მაჩვენებელს. 2021 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებისა და სერვისების ფარგლებში სულ დასაქმებულია 38 შშმ პირი.[938]



რაც შეეხება საჯარო სექტორს, ჯამში დასაქმებულია 128 შშმ პირი. მათგან, პროფესიული საჯარო მოხელეა 65, მენეჯერულ თანამდებობაზე დასაქმებულია 15, ხოლო, ხელშეკრულებით 48.[939]

23.5. ფსიქიკური ჯანმრთელობა

2021 წელს, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს განვითარება კონკრეტული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გარეშე წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სტრატეგია,[940] რომელიც 2022 წელს დამტკიცდა, ფარავს სფეროს განვითარების ძირითად მიმართულებებს, დოკუმენტის ლოგიკურ ჩარჩოში მოცემული ინდიკატორები არც ერთი ამოცანის შემთხვევაში არ არის სრულყოფილი. ამასთან, სტრატეგიული დოკუმენტით სრულყოფილად არ იქნა დაფარული რიგი საკითხები.[941] ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების ზოგიერთი მიმართულება კი დეკლარაციული ხასიათის მატარებელია და მათი განხორციელების მკაფიო გზები დასახული არ არის.[942] აღსანიშნავია, რომ

[938] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენცია N 01/21487-27.12.2021.
[939] სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს კორესპონდენცია N გ2231-25.02.2022.
[940] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 იანვრის N 23 დადგენილება „საქართველოს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ." დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rR67tq >[ბოლოს ნანახია: 26.01.2022].
[941] ცნობიერების ამაღლება, სუიციდის პრევენცია
[942] სფეროს დეინსტიტუციონალიზაცია, თემზე დაფუძნებული სერვისების შექმნა.

სტრატეგიის დოკუმენტში კვლავ ვხვდებით შშმ პირთა მიმართ სტიგმის შემცველ ტერმინოლოგიას.[943]

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ გასული წლების პრაქტიკისგან განსხვავებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის ახალი გეგმა მოიცავს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრევენციის კომპონენტებს. ასევე, აქტივობების უმეტესი ნაწილისთვის მოცემულია კონკრეტული ბიუჯეტი და აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება. თუმცა რიგ შემთხვევებში გამოყოფილი ბიუჯეტი ვერ პასუხობს აქტივობის მასშტაბებს.[944] ხშირად მოცემული არ არის რაოდენობრივი ან თვისობრივი ინდიკატორი, რაც კონკრეტული აქტივობის სრულფასოვნად განხორციელების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.[945] სამოქმედო გეგმით არ არის მკაფიოდ განსაზღვრული როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის, ისე საცხოვრისი სერვისების დეინსტიტუციონალიზაცის პროცესი, სათემო სამკურნალო სერვისების განვითარების კონკრეტული ნაბიჯები, მულტიპროფილური საავადმყოფოების გაძლიერების გზები.

ნეგატიურად უნდა შეფასდეს 2021 წელს მულტიპროფილურ საავადმყოფოებში მოქმედი სტაციონარული და ამბულატორიული ფსიქიატრიული განყოფილებების დახურვის ფაქტი.[946] აღნიშნული აბრკოლებს და უკან ხევს ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე, თემზე დაფუძნებულ სერვისებზე გადასვლის პროცესს.

მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოიკვეთა პანდემიის პირობებში ფსიქიატრიულ სერვისებში პაციენტების უსაფრთხო მართვის კუთხით,[947] მათ შორის ფსიქიატრიული დაწესებულებების უმრავლესობის გაუმართავი ინფრასტრუქტურა და გადატვირთულობა დიდწილად არ იძლევა პანდემიის პერიოდში COVID19-ის პრევენციულ ღონისძიებათა გატარების, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ფსიქიატრიული პაციენტის უსაფრთხო მართვის შესაძლებლობას. უკიდურესად დაბალია ფსიქიატრიული

[943] ტერმინი „დაინვალიდება".
[944] აქტივობების: 1.12; 1.13, 1.1.5, 1.1.6; 1.3.2 შემთხვევაში.
[945] ცნობიერების ამაღლების ნაწილში - N1.2.7.1 აქტივობის ინდიკატორად არ არის მოცემული საბაზისო მონაცემი და სამიზნე გაუმჯობესების მაჩვენებელი. N 1..2.4.1 აქტივობის ნაწილში რაოდენობრივ ინდიკატორთან ერთად მნიშვნელოვანია თვისობრივი ინდიკატორის დამატებაც. N 1.3.1 აქტივობის შემთხვევაში არაა მოცემული ინდიკატორად პირველადი ჯანდაცვის ექიმების ის მინიმალური რაოდენობა, რომლებიც უნდა გადამზადდნენ ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე.
[946] დაიხურა მულტი-პროფილურ საავადმყოფოებში მოქმედი ერთი სტაციონარული (სს „ევექსის ჰოსპიტლები" - ივ. ბოკერიას ცენტრი (სტაციონარი) ქ. თბილისი) და ერთი ამბულატორიული (სს „ევექსის ჰოსპიტლები" (ახალციხის ამბულატორია) ფსიქიატრიული განყოფილება.
[947] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების უსაფრთხო მიწოდება COVID-19-ის პანდემიის პირობებში". 2021 წელი. ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://bit.ly/3HPCmzc > [ბოლოს ნანახია 07.03.2022].

სერვისების პერსონალის უმრავლესობის ცნობიერება გაიდლაინის „ფსიქიკური ჯანმრთელობა და COVID-19“[948] მოთხოვნების შესახებ.

23.6. შშმ პირები სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში

საქართველოს მიერ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო პროგრამებში აღნიშნული პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო მექანიზმების ასახვა. მიუხედავად ამისა წლების განმავლობაში ამ კუთხით ხელშესახები ცვლილებები არ განხორციელებულა. ამასთან, არსებული მომსახურებები და პროგრამები გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება.

23.6.1. დეინსტიტუციონალიზაცია

შშმ პირთა დეინსტიტუციონალიზაციისკენ მიმართული აქტივობები 2021 წელსაც ფრაგმენტულად, შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გარეშე წარიმართა. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ დროულად დაასრულოს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესი, სადაც გათვალისწინებული იქნება შშმ პირთა/ბავშვთათვის დიდი ზომის დაწესებულებებისა და მოქმედი სათემო სერვისების ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებებით ჩანაცვლების, ასევე ინსტიტუციონალიზაციის პრევენციის მექანიზმები.[949]

აღნიშნულის პარალელურად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს დიდი ზომის დაწესებულებებში[950] მყოფი შშმ პირების/ბავშვების უფლებების სათანადო დაცვა, არსებული ხარვეზების[951] აღმოფხვრაზე ეფექტიანი ქმედებების განხორციელების გზით.

23.6.2. მინდობით აღზრდა

მიუხედავად იმისა, რომ მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება, შშმ ბავშვებისთვის მომსახურების მიღების პროცესი რიგი გამოწვევებით ხასიათდება. მათ შორის: სპეციალური მინდობით აღმზრდელთა სიმცირე, შშმ ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისების ნაკლებობა, ბენეფიციარების

---

[948] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 27 მაისის ბრძანება N01-222/ო, დანართი N1,N2,N3; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LwxG3B > ; < https://bit.ly/3gLM8rk > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[949] 2021 წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსებულია 40 შშმ ბავშვი. მძიმე და ღრმა შშმ ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზირებული საოჯახო ტიპის მომსახურებებში განთავსებულია 27 შშმ ბავშვი; თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში ირიცხება 39 შშმ ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვი. საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ 3 საალმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების მქონე დაწესებულებაში განთავსებულია 3 შშმ ბავშვი.

[950] დუშეთის, ძევრის, მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატები, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი, კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი.

[951] საქართველოს სახალხო დამცველის შშმ ბავშვთა/პირთა სპეციალიზებული დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში, 2021. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uhKu8H> [ბოლოს ნანახია 26.01.2022].

განათლების ხარისხი, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისთვის აუცილებელი ღონისძიებების სიმწირე, მისაწვდომი გარემოს შექმნა/ უზრუნველყოფა და სხვა.

2021 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართული იყო 1405 არასრულწლოვანი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 322 ბავშვი[952], 2021 წლის ნოემბრის თვის მონაცემებით, ნათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებული იყო 19 შშმ ბავშვი, ხოლო გადაუდებელ მინდობით აღზრდაში - 2 შშმ ბავშვი.[953]

23.6.3. რეინტეგრაცია

რეინტეგრაციის ქვეპროგრამის გამოწვევად კვლავ რჩება ოჯახის სოციალური ფუნქციონირების ამაღლება, მისი გაძლიერება და ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში დაბრუნების რისკის მინიმუმამდე შემცირება, ასევე რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობა (სიმცირე).[954]

2021 წელს განხორციელდა 98 ბავშვის რეინტეგრაცია[955], საიდანაც 18 იყო შშმ პირი.[956] ერთ შემთხვევაში ბავშვი ისევ დაბრუნდა მინდობით აღმზრდელთან.[957]

პროგრამის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია მასში ჩართული ბენეფიციარების მდგომარეობის უწყვეტი მონიტორინგი.[958]

23.7. შშმ პირების მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა

შშმ პირთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის კუთხით არსებული ვითარება რიგი გამოწვევებით ხასიათდება. მათ შორისაა: საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის არქონა/სიმცირე, თავად მსხვერპლთა მხრიდან ძალადობის ფაქტის აღქმა. შედეგად შესაბამისი უწყებებისადმი მსხვერპლთა დაბალი მიმართვიანობა, სამართალდამცავი სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაცია შშმ პირთა საკითხებზე, ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების პრობლემა, ასევე დაუსჯელობის სინდრომის

---

[952] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2022 წლის 9 მარტის N07/1786 წერილი

[953] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2021 წლის 28 დეკემბრის 07/11043 წერილი.

[954] რეინტეგრაციის შემწეობა ბავშვისთვის შეადგენს თვეში 100 ლარს, ხოლო განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვისათვის შეადგენს თვეში 160 ლარს.

[955] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2022 წლის 9 მარტის N07/1786 წერილი

[956] 2021 წლის ნოემბრის თვის მონაცემები, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 17.01.2022 წლის N07/298 წერილი.

[957] აღნიშნულის მიზეზად სახელდება დედის მიერ არასათანადო მზრუნველობა, რაც გამოწვეულია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით (დედა მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირია), საკუთარი საცხოვრებლისა და შემოსავლის არქონა.

[958]2019 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ რეინტეგრირებულ ოჯახებში პრობლემურია სოციალური მუშაკების მიერ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და პრევენცია, რაც გამოწვეულია სოციალური მუშაკების სიმცირითა და გართულებული ტრანსპორტირებით. ამასთან, რადგანაც ბავშვი ბიოლოგიურ მშობელთან ცხოვრობს, სოციალური მუშაკები ნაკლებად ხედავენ ოჯახის მუდმივი მონიტორინგის საჭიროებას. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ''ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი - ალტერნატიული ზრუნვის ეფექტიანობა'' ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IOzEuT > [ბოლოს ნანახია 20.01.2022].

არსებობა, რომლის დროსაც ხშირად მინიმუმამდეა დაყვანილი დამნაშავე პირთა გამოვლენა და პასუხისმგებლობის დაკისრება; სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ნაკლები ჩართულობა. გარდა ამისა მართლმსაჯულების პროცესში, სისხლის სამართლის საქმეებში შშმ პირთა იდენტიფიცირების პრობლემა; შეზღუდვის ტიპისა და შესაბამისი საჭიროების დროული და ზუსტი გამოვლენა; გონივრული მისადაგების პრინციპის პრაქტიკაში განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს სტატისტიკის წარმოება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე.[959]ამასთან მისასალმებელია უწყებათა თანამშრომლობა შშმ პირთა მიმართ დანაშაულის სტატისტიკის წარმოების დახვეწის მიზნით.[960]



მოცემული სტატისტიკის[961] ფონზე, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ 2021 წელს, შშმ პირთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით აწარმოა მხოლოდ 10 საქმე. ამავე პერიოდში, ძალადობის

[959] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს სტატისტიკას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით, რომელიც არ ითვალისწინებს მაკვალიფიცირებელ გარემოებად მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ჩადენილ დანაშაულს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 11.01.2022 წლის NMIA 5 22 00075626 კორესპონდენცია.

[960] ,,თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ'', ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3o0As7T >[ბოლოს ნანახია 17.01.2022].

[961] სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს გენერალური პროკურატურის 11.01.2022 წლის №13/764 წერილით მიეწოდა შშმ პირების მიმართ ჩადენილი ძალადობისა და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის 2021 წლის 9 თვის სტატისტიკური მონაცემები, რაც შეეხება წლის დანარჩენ პერიოდს, მიღებული ინფორმაციით, პროკურატურაში მიმდინარეობს მისი დამუშავება, ზემოაღნიშნული მემორანდუმის გათვალისწინებით.

მსხვერპლთა თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების მომსახურებით ისარგებლა შშმ პირის სტატუსის მქონე 16 ბენეფიციარმა.[962]

23.8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში

საანგარიშო პერიოდში კვლავ რჩება პრობლემები შშმ პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის მიმართულებით. მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოიკვეთა ადგილობრივ თვითმმართველობებში მოქმედი საბჭოების ფუნქციონირების კუთხით[963].

რაც შეეხება არჩევნებში შშმ პირთა მონაწილეობის საკითხს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გატარებული ღონისძიებების[964] მიუხედავად, გარკვეული ხარვეზები ვლინდება შშმ პირთა არჩევნებში მონაწილეობის პროცესშიც.

გასული წლების ანალოგიურად, კვლავ გამოწვევად რჩება საარჩევნო უბნების მისაწვდომობის საკითხი.[965] ასევე შშმ პირთა უფლებების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე.[966]

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შშმ პირებისა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობით, დროულად შემუშავდეს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა;

---

[962] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2021 წლის 30 დეკემბრის N07/11161 წერილი.

[963] ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა 64 მუნიციპალიტეტიდან. შედეგად გაირკვა, რომ რამდენიმე მუნიციპალიტეტში (დუშეთი, თიანეთი, კასპი, ყაზბეგი, წალკა, ჭიათურა), კვლავ არ შექმნილა საბჭოები. საანგარიშო პერიოდში სათათბირო ორგანოს სხდომები გაიმართა მხოლოდ 25 მუნიციპალიტეტში აღნიშნულის მიზეზად, თვითმმართველობების მიერ სახელდება ქვეყანაში არსებული პანდემიის გამოწვეული ვითარება.

[964] როგორც არჩევნებში შშმ პირთა მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებების, ისე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სწავლების კუთხით.

[965] საქართველოს მასშტაბით 3 664 საარჩევნო უბნიდან, გადაადგილების შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი იყო 1123 საარჩევნო უბანი. არჩევნების II ტურში გახსნილი 1 867 საარჩევნო უბნიდან ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი იყო 648 საარჩევნო უბანი. რაც შეეხება უსინათლო და სმენადაქვეითებული პირების მისაწვდომობის საკითხს, გვეცნობა, რომ ცესკო არ ფლობს შესაბამის ინფორმაციას.

[966] ქალაქ ბათუმის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე, უბნის წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა შშმ პირთა მიმართ გამოთქმული სტიგმის, დისკრიმინაციული ხასიათისა და მათი ღირსების შემლახავი ტერმინების გამოყენების ფაქტს (შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმე N11716/21). მოცემულ საკითხზე ცსკოდან მიღებული წერილის(N01-02/1903 – 02.12.2021) თანახმად, N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში აღნიშნული ფაქტის შესახებ საჩივარი არ დაფიქსირებულა და ზემდგომი საარჩევნო კომისია ინფორმირებული არ იყო. კანონის შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაცია მოკლებული იყო შესაძლებლობას, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ ქცევის ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის გამო, ეწარმოებინა საკითხის შესწავლა.

- შშმ პირთა ინფორმაციაზე, კომუნიკაციის საშუალებებსა და სხვა მომსახურებებზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდეს შესაბამისი წესები. სახელმწიფო უწყებებმა დანერგონ ვებ მისაწვდომობის სტანდარტები. მონიტორინგი გაეწიოს აღნიშნული მოთხოვნების პრაქტიკაში აღსრულებას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოს დასაქმების სფეროში მოქმედი სახელმწიფო პროგრამების მოდიფიცირება, გაფართოება და ახალი კომპონენტების შემუშავება შშმ პირთა საჭიროებების კვლევებსა და არსებული პროგრამების განხორციელების ანალიზზე დაყრდნობით;
- შემუშავდეს გაიდლაინები/რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება დამსაქმებლებს შშმ პირთა უფლებებზე ცნობიერების ამაღლებაში, ინკლუზიური კოლექტივის შექმნაში, უნივერსალურ დიზაინის პრინციპების გააზრებასა და სამუშაო ადგილზე გონივრული მისადაგების უზრუნველყოფაში;
- უზრუნველყოს კოვიდ 19-ის პირობებში ფსიქიატრიული პაციენტის უსაფრთხო მართვის პროცესის ხელშეწყობა, შესაბამისი ზედამხედველობის განხორციელების გზით;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს დეინსტიტუციონალიზაციის ორგანიზებული წარმართვის მიზნით შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგია. განავითაროს სათემო მომსახურებები და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების საცხოვრისით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- მიიღოს ქმედითი ზომები მულტიპროფილურ საავადმყოფოებში ფსიქიატრიული განყოფილებების გაუქმების პრევენციისა და სპეციალიზებული დაწესებულებების მულტიპროფილურ კლინიკებში შესაბამისი განყოფილებებით ჩანაცვლების წახალისების მიზნით, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში დაფინანსების სისტემის ცვლილების გზით;
- უზრუნველყოს შშმ პირთა და მათი წარმომადგენლობით ორგანიზაციების ჩართულობით დეინსტიტუციონალიზაცის სტრატეგიის დროული შემუშავება და დამტკიცება, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს:
    - არსებული 24 ადამიანზე გათვლილი სათემო სერვისების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დაწყებას;
    - არსებული თანამედროვე სახელმწიფო ზრუნვის ალტერნატიული სერვისების გაძლიერებას და მომზადებას შშმ პირთა/ბავშვთა საჭიროებების შესაბამისად;
    - სოციალური რეაბილიტაციისა და მხარდამჭერის სერვისების მისაწვდომობის უზრუნველყოფას სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი პირებისთვის;
    - ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა/ბავშვთა მოცვას.

- შეაფასოს მხარდაჭერის სისტემის ყველა ეტაპი, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შეიმუშავოს შესაბამისი ცვლილებების სტრატეგია სფეროში სისტემური და კოორდინირებული პოლიტიკის განხორციელების მიზნით;
- შეიმუშაოს სპეციალიზებულ მინდობით აღმზრდელთა მოძიების/დაინტერესების ეფექტიანი მექანიზმები;
- არსებითად გაიზარდოს ბავშვის რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობა, შეიქმნას ოჯახების მხარდამჭერი ღონისძიებები, მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს:

- მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით განხორციელდეს სკოლამდელ აღზრდაში ჩართული შშმ აღსაზრდელების საჭიროებებისა და ზოგადი ტენდენციების კვლევა. გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად მოხდეს აქტივობების დაგეგმვა;
- მუნიციპალიტეტებთან აქტიური თანამშრომლობითა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჩართულობით შემჭიდროვებულ ვადებში მოხდეს ,,სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში მონაცემთა სიღრმისეულად დამუშავება, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების საჭიროებების გამოკვეთა და შესაბამის სერვისებში ჩართვა. ასევე, საჭიროებისამებრ, არსებული მექანიზმების გაძლიერება;
- განხორციელდეს იმ დამაბრკოლებელი ფაქტორების კვლევა, რაც შშმ პირებს ხელს უშლით ზოგადი საფეხურის დასრულების შემდგომ სწავლა განაგრძონ უმაღლეს საფეხურზე. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დაიგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები;
- მუნიციპალიტეტებთან და შესაბამის დაწესებულებებთან თანამშრომლობით, მიღებულ იქნას სათანადო ზომები შშმ მოსწავლეების/სტუდენტების საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურასა და სასწავლო მასალებზე წვდომის გასაუმჯობესებლად. გატარებული ღონისძიებები კი დამუშავდეს სტატისტიკურად;
- განხორციელდეს დისტანციური ინკლუზიური სწავლების ხარისხის კვლევა/შეფასება ზოგად და უმაღლეს საფეხურებზე;
- განხორციელდეს უმაღლეს განათლებაში ჩართულ შშმ სტუდენტთა საჭიროებების შეფასება და გამოვლენილი ტენდენციების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შემუშავდეს რეკომენდაციები;
- სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით შემუშავდეს/გაძლიერდეს სსსმ (შშმ) სტუდენტთა მხარდამჭერი

მომსახურებები. მათ შორის, მოხდეს საგანმანათლებლო პროცესში ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ჩართვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების დაწყების შესახებ სტატისტიკის წარმოება;
- სისხლის სამართლის საქმეებში შშმ პირთა და მათი საჭიროებების დროული იდენტიფიცირებისთვის თანამშრომელთა (მათ შორის 112-ის პერსონალის) კვალიფიკაციის ამაღლება

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- უზრუნველყოს სპეციალურ მინდობით აღმზრდელთა გადამზადება. შშმ ბავშვის მინდობით აღზრდაში განთავსებამდე, მიიღოს ინფორმაცია მიმღებ ოჯახში მისაწვდომი გარემოსა და დამხმარე მოწყობილობების შესახებ. ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, მოახდინოს აღნიშნულის უზრუნველყოფა;
- გააძლიეროს რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩართული შშმ ბავშვის ოჯახები მათი საჭიროებების შესაბამისად, რათა თავიდან იქნეს აცილებული შშმ ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში დაბრუნება;
- გაიზარდოს სოციალურ მუშაკთა რაოდენობა, რათა მოხდეს მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამებში ჩართული შშმ ბავშვების მდგომარეობის ეფექტური მონიტორინგი;
- გააძლიეროს მონიტორინგი, შეიმუშავოს და პრაქტიკაში აამოქმედოს ეფექტური მეთოდოლოგია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ძალადობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა/პირთა სპეციალიზებული დაწესებულებებში;
- გააძლიერონ თანამშრომლობა სამართალდამცავ უწყებებთან შშმ პირთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის ფაქტების შესწავლისა და მათზე რეაგირების პროცესში.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

- უზრუნველყოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა განგრძობადი სწავლება შშმ ამომრჩეველთა უფლებებისა და საჭიროებების შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- მოხდეს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების აღსრულებაზე ეფექტური ზედამხედველობა შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ;
- შემუშავდეს და დაინერგოს პროგრამები/სერვისები, რომლებიც ორიენტირებული იქნება შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობაზე;

- ბაგა-ბაღებს, აღსაზრდელთა საჭიროებებიდან გამომდინარე დაემატოს ინკლუზიური განათლების სპეციალისტები. მათ შორის, ფსიქოლოგები, ლოგოპედები, ოკუპაციური თერაპევტები, ასისტენტები, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტები, სხვა სპეციალისტები;
- განხორციელდეს ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული საკონსულტაციო საბჭოების ფორმირება და ხელი შეეწყოს მათ ეფექტურ ფუნქციონირებას. განხორციელდეს აღნიშნულ საბჭოებში შშმ აღსაზრდელთა მშობლების ჩართვა;
- განხორციელდეს მონიტორინგი ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების გაუმჯობესების მიზნით და მომზადდეს შესაბამისი ანგარიშები;
- უზრუნველყონ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი საბჭოების ეფექტიანად მუშაობა. მათ შორის პანდემიის პირობებში, ონლაინსხდომების ჩატარების გზით.

24. ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

24.1. შესავალი

სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს მსოფლიოში მიმდინარე დაბერების ტემპებზე, მათ შორის, საქართველოში ხანდაზმულ პირთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.[967] საერთაშორისო ასპარეზზე ყოველწლიურად სულ უფრო აქტუალური ხდება ხანდაზმულ პირთა მიერ ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზების საკითხები. მაგრამ სამწუხაროდ, ამის მიუხედავად, ქვეყანაში ხანდაზმულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. სახალხო დამცველი, ბოლო რამდენიმე წელია, საუბრობს იმაზე, რომ არ არსებობს ხანდაზმულ პირთა მიმართ ძირითადი პოლიტიკის დოკუმენტის - „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის" შესრულების მექანიზმი, ვინაიდან 2018 წლის შემდეგ არ გაწერილა კონცეფციის შესრულების სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, ქვეყანაში არ მუშაობს ხანდაზმულ პირთა მიერ ადამიანის ყველა უფლებით სარგებლობის შეფასების მექანიზმი და არსებული კონცეფცია აღუსრულებელი დოკუმენტია.

უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში, პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა ხანდაზმულ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის მონაცემების დამუშავების მიმართულებით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობის სტატისტიკის წარმოება,[968] რაც, უკეთესად ასახავს უშუალოდ ხანდაზმულ პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ზუსტ მონაცემებს. სტატისტიკის შეგროვება მნიშვნელოვანია შემდგომში ძალადობის მაპროვოცირებელი გარემოებების გამოსავლენად და სათანადო პრევენციული მექანიზმების შესამუშავებლად.

ასევე, საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა სოციალური (ე.წ. „საპენსიო") სესხების[969] საპროცენტო განაკვეთის ოდენობის შემცირება მოითხოვა.[970] კერძოდ, სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა შესაბამის უწყებებს[971], სს „ლიბერთი ბანკთან" აქტიური თანამშრომლობით, სიღრმისეულად შეისწავლონ სოციალური სესხების საპროცენტო განაკვეთის ოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები, მისი შემცირების ხელის შემშლელი მიზეზები და გამოვლენილი საფუძვლების აღმოსაფხვრელად, შეიტანონ სპეციალური დებულებები ზოგიერთი სახელმწიფო გასაცემლის დარიგების/გაცემის მიზნით საბანკო მომსახურების პირობებში.

---

[967] იხ. სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 398, ასევე სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 370.

[968] აქამდე, სამინისტრო 45 წელს გადაცილებულ პირთა ძალადობის ერთიან სტატისტიკას აწარმოებდა.

[969] სოციალური სესხი სს „ლიბერთი ბანკის" მომსახურებაა, რომელიც გაიცემა სოციალური გასაცემლის გათვალისწინებით და რომლის დაფარვის წყაროსაც მომხმარებლის ანგარიშზე ყოველთვიურად ჩარიცხული გასაცემელი წარმოადგენს.

[970] იხ. ზოგადი წინადადების ელექტრონული ვერსია: < https://bit.ly/36JTPwl > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[971] საბანკო მომსახურების პირობების განსაზღვრის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" დირექტორს და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.

24.2. სოციალური დაცვა

სოციალური დაცვის არსებული სისტემა ხანდაზმულთათვის ძირითადად საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მოქალაქეებისთვის კუთვნილი სახელმწიფო პენსიის დანიშვნას გულისხმობს. პენსიის ოდენობა ხანდაზმულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, მედიკამენტების შეძენის, კვებით ძირითად მოთხოვნილებებთან დაკავშირებული პრობლემების, მინიმალური და საბაზო საჭიროებების მოგვარებას ემსახურება. ხანდაზმულთა ღირსეული დაბერებისათვის მხოლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილება საკმარისი არ არის.

აღსანიშნავია, რომ „მიზნობრივი სოციალური დახმარების" სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრირებულია ხანდაზმულ პირთა დიდი რაოდენობა, კერძოდ, რეგისტრირებული მოსახლეობის[972] 20% 65 და უფროსი ასაკის პირები არიან. ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება ხანდაზმული პირების პროცენტული წილიც.



[973]

სამწუხაროდ, ვერც ადგილობრივი თვითმმართველობები სთავაზობენ ხანდაზმულ პირებს შესაბამის პროგრამებს მათი ღირსეული სიბერისათვის. სახალხო დამცველი მუდმივად საუბრობს, რომ მუნიციპალიტეტები არ ეწევიან თავიანთ ტერიტორიაზე სოციალურ მუშაობას, რაც გულისხმობს, მათ შორის, ხანდაზმული პირების აქტიურ გამოვლენას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემების წარმოჩენას, შესაბამისი პროგრამების დანერგვას და შემდგომ განხორციელებას. მათ მიერ ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამათა უმრავლესობა გათვლილია ხანდაზმულთა ერთჯერად დახმარებაზე და არ აქვთ გრძელვადიანი ხედვა ხანდაზმულთა წინაშე არსებული გამოწვევების გადასაჭრელად.

24.3. ხანგრძლივი მოვლა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან (ექსპერტებთან) ერთად, სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში განთავსებულ ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის და პირობების შესაფასებლად, საანგარიშო პერიოდში, მონიტორინგის

[972] 2021 წლის დეკემბრის მონაცემებით 1,020,375 ადამიანია რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ბაზაში, აქედან 194 536 ხანდაზმული პირია.
[973] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3qNgYFg > [ბოლოს ნანახია 30.03.2022], 16.

მიზნით მოინახულეს დასავლეთ საქართველოში მდებარე ხანდაზმულთა დაწესებულებები: შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრის“ გერიატრიული განყოფილება, ა(ა)იპ „წმ. მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანე (ბათუმი), ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ ხანდაზმულთა სახლი“ (სოფ. ანასეული), ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“. მონიტორინგის შედეგებზე მომზადდა ანგარიში.

ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ცალკეულ დაწესებულებაში მონიტორინგი არ ტარდება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, *„სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალურ სტანდარტებსა“*[974] და *„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით“* დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მონიტორინგს პერიოდულად ატარებს მხოლოდ ქუთაისის და თბილისის ხანდაზმულთა დაწესებულებებში და ე.წ. სათემო ორგანიზაციებში. შემოწმებული დაწესებულებებიდან[975] სამი[976] არ არის სათემო ორგანიზაცია, ისინი რეგისტრირებული ხანდაზმულთა სადღეღამისო დაწესებულებებია და იქ მცხოვრებ ხანდაზმულ პირებს სახელმწიფო ზრუნვის სერვისი მიეწოდებათ, თუმცა იქ არსებული მდგომარეობის და მათ მიერ მინიმალური სტანდარტების შესრულების მონიტორინგი არ მიმდინარეობს.

გარდა ამისა, მონიტორინგის შედეგებიდან მნიშვნელოვან გამოწვევად იკვეთება დაწესებულებებში ადმინისტრაციის მხრიდან ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების შესახებ ინფორმაციის არცოდნა. შესაბამისად, დაწესებულებები ზრუნვის პროცესს არ წარმართავენ სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

ასევე, მნიშვნელოვანი პრობლემებია ხანდაზმულ პირთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. ძირითადად დარღვეულია სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი, გამოტანილი დიაგნოზები ერთფეროვანი და ფორმალურია. ცალკეულ შემთხვევაში კი, სამედიცინო დოკუმენტაცია საერთოდ არ იწარმოება. ამგვარი პრაქტიკა კი ვერ პასუხობს ხანდაზმულთა რეალურ საჭიროებებს, რაც საბოლოოდ მათი ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანია. ამასთანავე, ბენეფიციარის ფსიქოსოციალური საჭიროებების გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი არ არის მხარდამჭერის დასანიშნად შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების ინიცირების პრაქტიკა.

თანამშრომლები არ არიან გადამზადებულები და ინფორმირებულები ძალადობასა და იძულებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ხანდაზმული

---

[974] „სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 23/07/2014 №01-54/ნ ბრძანება.

[975] გარდა ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ხანდაზმულთა სახლისა.

[976] შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრის“ გერიატრიული განყოფილება, ა(ა)იპ „წმ. მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანე (ბათუმი), ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“. ხოლობათუმის ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ ხანდაზმულთა სახლი“ სათემო ორგანიზაციაა და შესაბამისად, სააგენტო „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ატარებს მონიტორინგს.

ბენეფიციარები დაცულები არ არიან ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან ამ სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო კოვიდის იზოლაციის დროს ბენეფიციარების მუდმივად ჩაკეტილ რეჟიმში ყოფნა და რეგულაციების შემსუბუქების პრობლემა. კერძოდ, ბენეფიციარები საგანგებოდ მიუთითებენ, რომ დაწესებული შეზღუდვების გამო, ვერ ახერხებენ ტერიტორიიდან გასვლას, რაც მათ მდგომარეობაზე განსაკუთრებით მძიმედ აისახება. ბენეფიციართა დიდი ნაწილი დღის უმეტეს დროს საწოლზე, ან საწოლის მიმდებარე დერეფანში ატარებდა, მათზე ზრუნვა ჰიგიენური და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით ამოიწურება და არ მიმდინარეობს მათ ფსიქო-ფიზიკურ-სოციალურ რეაბილიტაციაზე ინდივიდუალური ზრუნვა.

პრობლემას წარმოადგენს ბენეფიციართა გადატვირთულობის საკითხიც.[977] ცალკეული შენობის ფართობი და აღჭურვილობა არ შეესაბამება ბენეფიციართა რაოდენობას. შედეგად, დაწესებულებებში სივიწროვეა და ბენეფიციარებს არ აქვთ ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინებით პირადი სივრცის მოწყობის შესაძლებლობა.

მნიშვნელოვან დარღვევად გამოიკვეთა ბენეფიციართა კვების მენიუს შედგენა. დაწესებულებების უმეტესობაში მენიუ არ ყოფილა კომპეტენტური სპეციალისტის მიერ შედგენილი, შესაბამისი კალორაჟის გათვალისწინებით.

გარდა ამისა, დარღვეულია მზრუნველებზე ბენეფიციართა განაწილების სტანდარტებიც, ასევე, მზრუნველებს არ აქვთ პროფესიული განვითარების შესაძლებლობა.

24.4. ძალადობა

ოჯახში, ხანდაზმულ პირებზე ძალადობა ძირითადად ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ხასიათისაა. ასევე, ხანდაზმულ პირებზე არ ზრუნავენ და არ იჩენენ ყურადღებას მათ მიმართ.

როგორც შესავალში აღინიშნა, 2021 წლიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო ხანდაზმულ პირთა მიმართ ჩადენილი ოჯახში ძალადობის ფაქტების სტატისტიკის წარმოება. სახალხო დამცველი წლების განმავლობაში აღნიშნავდა, რომ გასულ წლებში წარმოებული 45 წელს გადაცილებულ პირთა ძალადობის ერთიანი სტატისტიკა, ვერ ასახავდა ხანდაზმულ პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ზუსტ მონაცემებს. ამჟამად, ცალკე იწარმოება 61+ ასაკის ხანდაზმულების მიმართ ოჯახში ჩადენილი ძალადობის სტატისტიკა. არსებული მონაცემებით, 2021 წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების მიხედვით, გამოვლინდა ძალადობის მსხვერპლი 361 ხანდაზმული კაცი და 873 ხანდაზმული ქალი. ამ მიმართულებით, გასაძლიერებელია მსხვერპლებთან მუშაობა, ძალადობის შემთხვევების შესწავლა, მათი დროული გამოვლენა და რეაგირება. ასევე, მნიშვნელოვანია

[977] პრობლემა გამოიკვეთა „ბათუმის სამედიცინო ცენტრის" გერიატრიულ განყოფილებასა და „წმ. მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანეში."

ხანდაზმულთა დეტალური ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევაში.[978]

ამის პარალელურად, პრობლემურია ძალადობის მსხვერპლ ხანდაზმულ პირებზე მორგებული დაცვისა და დახმარების ფსიქოსოციალური სერვისებისა და ცალკე პროგრამების არარსებობა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე. მნიშვნელოვანია ხანდაზმულ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა, სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის" შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შედეგების გათვალისწინებით, დამტკიცდეს ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს 2022-2023 წლის აქტივობებს.

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- შეაგროვონ სტატისტიკური მონაცემები მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ხანდაზმული პირების წინაშე არსებული საჭიროებების შესაფასებლად (ხანდაზმულთა საჭიროებების შეფასების დოკუმენტი). ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიმუშაონ ხანდაზმულთა მიმართ მიზნობრივი პროგრამები, ასახონ ბიუჯეტში, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ ბიუჯეტის გაზრდა და დამატებითი სახსრების მოძიება.

[978] ხანდაზმულ პირთა მიერ ადამიანის ყველა უფლებებით სარგებლობის თაობაზე გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის მოხსენება „კორონავირუსის დაავადების გავლენა (COVID-19) ხანდაზმული პირების მიერ ადამიანის ყველა უფლებით სარგებლობის თაობაზე". 21 ივლისი 2020. პარა. 56.

25. ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია

25.1. შესავალი

წინამდებარე თავში განხილულია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არსებული რიგი გამოწვევები, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკური ინტეგრაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული პრობლემები, საკონსულტაციო მექანიზმის არაეფექტიანობა და სხვ.

სამწუხაროდ, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი შეუსრულებელია. კერძოდ, არ გადადგმულა არსებითი ნაბიჯები სახელმწიფო უწყებებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების პროპორციული და თანასწორი მონაწილეობის ხელშესაწყობად; არ შექმნილა ეფექტიანი ინსტიტუციონალიზებული საკონსულტაციო მექანიზმები, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო უწყებებში დასაქმების პროგრამები. კვლავ პრობლემურია სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების სიმწირე. ასევე გამოწვევას წარმოადგენს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობის ხელშეწყობა და აღდგენა.

25.2. „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის" შეფასება

საქართველოს მთავრობის №356 დადგენილებით, 2021 წლის 13 ივლისს, დამტკიცდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 - 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. მისასალმებელია, რომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა საანგარიშო პერიოდში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან სტრატეგიის დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით, არაერთი შეხვედრა გამართა.[979] აღნიშნულ პროცესში სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო აქტიურად იყო ჩართული. თუმცა, სამწუხაროა, რომ ეროვნული უმცირესობები, სურვილის მიუხედავად, მხოლოდ სტრატეგიის შემუშავებაში იყვნენ ჩართულნი და მათ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა არ მიეცათ.

სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებამდე, სახალხო დამცველმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს რეკომენდაციები და მოსაზრებები წარუდგინა. უნდა აღინიშნოს, რომ წარდგენილი რეკომენდაციების ნაწილი სტრატეგიაში აისახა. სახალხო დამცველის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოსაზრება, რომელიც სტრატეგიაში არ ყოფილა გაზიარებული, შემდეგ საკითხებს მოიცავდა: ქართული ენის უფასო სასწავლო კურსების შეთავაზება ე.წ. შერეული ოჯახების იმ

[979] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2021 წლის 29 დეკემბრის წერილი №2085.

წევრების ან საქართველოში მცხოვრები მუდმივი ბინადრობის მქონე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სხვა პირებისთვის, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და არ ფლობენ ქართულ ენას; ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების თვითმმართველობების ორგანოების ვებგვერდებისა და სოციალური ქსელების გვერდების თარგმნა ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე, და სხვ.[980]

მისასალმებელია, რომ სტრატეგიის დოკუმენტი ამოცანის სახით ითვალისწინებს სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდას, ხოლო დასახელებული ამოცანის შესასრულებლად 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამ ღონისძიებებს და იმედს გამოთქვამს, რომ საინფორმაციო შეხვედრებს ფრაგმენტული ხასიათი არ ექნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსგავსი აქტივობები 2017-2018 წლებშიც ხორციელდებოდა, თუმცა მათ რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

სტრატეგიაში, ისევე როგორც სამოქმედო გეგმაში, არ გვხვდება ჩანაწერები ცენტრალური და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გასაზრდელად განსახორციელებელი აქტივობების შესახებ.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიაში დასახული მიზნების მიღწევა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებით, ხშირ შემთხვევებში, შეუძლებელი ან ბუნდოვანია და ფორმალურ სახეს ატარებს.

25.3. ინტეგრაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა საკონსულტაციო მექანიზმები

2020 წლის მსგავსად, უცვლელია მდგომარეობა ქვეყანაში არსებულ საკონსულტაციო მექანიზმებთან მიმართებით.[981] შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე არ შექმნილა უმცირესობებისთვის ეფექტიანი ინსტიტუციონალიზებული საკონსულტაციო მექანიზმები და არც არსებული საკონსულტაციო მექანიზმების გასაძლიერებლად გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები.

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის მარტში საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ბაზაზე ეროვნული უმცირესობების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა,[982] ეს ფაქტი სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულებად ვერ განიხილება. მეტიც, საკონსულტაციო საბჭოს შექმნამ პარლამენტის

[980] რეკომენდაციების პრეზენტაცია გაიმართა 2021 წლის 14 აპრილს, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/hiegxp > [ბოლოს ნანახია 10.03.2022].
[981] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 407 – 409.
[982] „ღია საზოგადოების ფონდი", საზოგადოებრივი ორგანიზაციები გმობენ პარლამენტის მიერ ეთნიკური უმცირესობების დიასპორად განხილვის გადაწყვეტილებას, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3AHFmdy > [ბოლოს ნანახია 09.03.2022].

დიასპორის და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ბაზაზე სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკა დაიმსახურა. სახალხო დამცველი იზიარებს ამ კრიტიკას და მიიჩნევს, რომ პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ბაზაზე ეროვნული უმცირესობების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნა საკუთარი მოქალაქეების, ჩვენს სახელმწიფოში ისტორიულად მცხოვრები ჯგუფების დიასპორად განხილვას გულისხმობს, რაც აძლიერებს ეთნიკური უმცირესობების სხვა სახელმწიფოებთან დაკავშირების წარმოდგენას და აზიანებს ინტეგრაციის პროცესს.[983] უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წელს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობა არ დაუწყია და, შესაბამისად, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან შეხვედრები არ გაუმართავს.[984] სამწუხაროდ, დღემდე ბუნდოვანია საკონსულტაციო საბჭოს მანდატი, მიზნები და ამოცანები.

ეროვნული უმცირესობების დასაქმების პოლიტიკა

საქართველოს მთავრობა არ აწარმოებს სტატისტიკას საჯარო სამსახურში დასაქმებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ. ამგვარი სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობაზე არაერთხელ მიუთითა სახალხო დამცველმა. მისასალმებელია ამ კუთხით 2021 წელს გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან გვეცნობა, რომ 2021 წლის სექტემბრიდან, საჯარო სამსახურის ბიუროსათვის, PMC კვლევითი ცენტრი UNDP-ის დაკვეთით, საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ახორციელებს კვლევას, რომლის მიზანია შეაფასოს რამდენად უზრუნველყოფს საჯარო სამსახური ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობას. კვლევის ფარგლებში ასევე შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის გასაზრდელად, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მიმართულებით.[985]

ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის გარდა) ეროვნული უმცირესობები კვლავ ძალიან იშვიათად, ან/და ძირითადად არ არიან წარმოდგენილნი. რაც შეეხება ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ თვითმმართველობებში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობას, ისინი პროპორციულად არც ადგილობრივ დონეზე არიან წარმოდგენილნი. მაგალითისთვის, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ პირთა მხოლოდ 36%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, მაშინ, როცა მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 91.4% ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია. ამ მხრივ, სამწუხარო ვითარებაა სხვა არაერთ მუნიციპალიტეტში, მათ შორის, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, რომლის მოსახლეობის 69.1% ეროვნული

[983] იქვე.
[984] საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 17 იანვრის წერილი №393/2-7/22.
[985] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 17 თებერვლის წერილი №GOV 5 22 00005019.

უმცირესობის წარმომადგენელია, თუმცა, მერიაში დასაქმებულ პირთა მხოლოდ 14%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი.[986]

ეთნიკური უმცირესობების დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკის კუთხით, ქვეყანაში მოქმედებს სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები, ასევე გათვალისწინებულია სტაჟირება საჯარო სამსახურებში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (1+4 პროგრამის) ბენეფიციარებისთვის, თუმცა ეს უკანასკნელი დასაქმების პირდაპირ საშუალებად არ მოიაზრება. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული პროგრამები სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკის ნაწილი არ არის და პრობლემის გამოსწორებისთვის ფრაგმენტულ ჩარევას უფრო წარმოადგენს. ამასთანავე, სახელმწიფოს ასევე არ აქვს ზუსტი მონაცემები, თუ რამდენად სარგებლობენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები შეთავაზებული პროგრამებით.[987] ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წელს სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ნინოწმინდისა და მარნეულის რეგიონულ სასწავლო ცენტრში სტაჟირება გაიარა ეროვნული უმცირესობის 3-მა წარმომადგენელმა; ასევე, 3 პირი დაინიშნა სტაჟიორად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ხოლო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში სტაჟირების პროგრამაში ჩაერთო „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით" („1+4 პროგრამა") მოსარგებლე 67 პირი.[988]

25.4. წვდომა საჯარო სერვისებზე

აღსანიშნავია, რომ საჯარო მომსახურებაზე საყოველთაო წვდომის გარანტირება ინკლუზიის არსებითი ნაწილია,[989] ვინაიდან შესაბამისი პროგრამებითა და სერვისებით სარგებლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანასწორი სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნაში.[990] სამწუხაროდ, საქართველოში საჯარო სერვისებზე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა წვდომა დაკავშირებულია ისეთ დაბრკოლებებთან, როგორებიცაა: ენობრივი ბარიერი, მომსახურების გამწევ დაწესებულებებში მათი მშობლიური ენის მცოდნე პირების არასაკმარისი რაოდენობა და ფინანსური ბარიერი. მათგან უმთავრეს პრობლემას კვლავ ენობრივი ბარიერი

[986] „სოციალური სამართლიანობის ცენტრი", „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის კრიტიკული შეფასება", 2021, 6, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tMZRUm > [ბოლოს ნანახია 09.03.2022].
[987] იქვე, 5.
[988] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 17 თებერვლის წერილი №GOV 5 22 00005019.
[989] ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრება „ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მრავალფეროვნების მართვის" შესახებ, პარა. 3.5, ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/30o5i8 > [ბოლოს ნანახია 07.03.2022].
[990] „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2021- 2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №356 დადგენილება, დანართი 1, 32-33.

წარმოადგენს. ეთნიკური ჯგუფებისთვის გასაგებ ენაზე სახელმწიფო პროგრამებისა და საჯარო სერვისების შესახებ სათანადო ინფორმირება უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა.[991]

ეროვნული უმცირესობებით ყველაზე მჭიდროდ დასახლებული 6 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი ითარგმნება ეროვნული უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე.[992]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების თვითმმართველობის ორგანოების ვებგვერდებისა და სოციალური ქსელების გვერდების თარგმნა ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობას მისცემს, დროულად გაეცნონ და სისტემატურად მიუწვდებოდეთ ხელი შესაბამისი სერვისებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციაზე.

25.5. განათლების უფლება

25.5.1. ადრეული და სკოლამდელი განათლება

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ, წინა წლების მსგავსად, 2021 წელსაც გამოწვევა იყო ერთიანი კონცეპტუალური მიდგომისა და ხედვის არარსებობა, ორენოვანი პედაგოგების მომზადება, დაწესებულებების უზრუნველყოფა შესაბამისი სასწავლო-მეთოდოლოგიური პროგრამებით, დამხმარე სახელმძღვანელოებითა და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

სახალხო დამცველი, წლებია, აღნიშნავს, რომ ეროვნულ უმცირესობათა სრულფასოვანი სამოქალაქო ინტეგრაციის აუცილებელი საფუძველია ბილინგვური განათლება. მისასალმებელია, რომ 2022 წლის იანვრისთვის პროგრამაში, „სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში", ჩართულია 25 არაქართულენოვანი სკოლა (12 სომხური და 13 აზერბაიჯანული).[993] ასევე მისასალმებელია, რომ 2021 წელს, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ითარგმნა მე-8 კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები.[994]

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში, 2020 წლის მსგავსად, კვლავ არ გატარებულა ქმედითი ღონისძიებები საქართველოს სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შესადგენად, გამოსაცემად და ამ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული

---

[991] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალურ ანგარიშში, „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ", 27-34, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3MvxGSM > [ბოლოს ნანახია 07.03.2022].
[992] იხ. <http://akhalkalaki.ge/>; <https://rb.gy/spwi6b>; <https://www.tsalka.gov.ge/ >; <https://www.dmanisi.gov.ge/ >; <https://bolnisi.gov.ge/ > ; <https://www.marneuli.gov.ge/ >[ბოლოს ნანახია 30.03.2022].
[993] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2021 წლის 5 თებერვლის წერილი №5 21 00000068607.
[994] იქვე.

სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად.[995] მართალია, საანგარიშო პერიოდში სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებთან სამუშაო ჯგუფის შეხვედრები გაიმართა, თუმცა, შეხვედრების ფარგლებში სახელმძღვანელოების შედგენასა და გამოცემასთან დაკავშირებული დეტალური ხედვა არ განუხილავთ.[996]

კოვიდ-19-ის პანდემიიდან გამომდინარე, განსაკუთრებული გამოწვევა იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარება დისტანციური სასწავლო რეჟიმის ეფექტიანად წარმართვის მიზნით. 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში, ტრენინგში, "Microsoft Teams", აპლიკაციის საბაზო ფუნქციების გამოყენებასთან დაკავშირებით, ჩაერთო სომხური და აზერბაიჯანული სკოლების 150-მდე მასწავლებელი და სკოლის დირექტორი, გადამზადდა 60-მდე დამხმარე ორენოვანი მასწავლებელი.[997] 2021 წლის მონაცემებით,[998] აზერბაიჯანულ და სომხურ სკოლებში ჯამურად 5820 მასწავლებელია დასაქმებული.[999] ამის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მცირეა დასახელებული ტრენინგის ფარგლებში გადამზადებული მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

25.5.2. მცირერიცხოვანი ეთნოსებისთვის მშობლიური ენის სწავლება

მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენა 2015 წლიდან ისწავლება. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოების შექმნა და შესაბამისი ენების პედაგოგების მომზადება კვლავ სისტემური პრობლემაა. აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პედაგოგთა გადამზადებასთან დაკავშირებით, მზადაა ინიციატივის პროექტი და დაგეგმილია მისი განხილვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ერთად.[1000]

25.5.3. უმაღლესი განათლება

2021 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების თანახმად, სწავლის გაგრძელების უფლება სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი, რუსულენოვანი და ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე, ჯამში 1340-მა სტუდენტმა მოიპოვა. მათგან უმაღლეს

---

[995] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2021 წელს წიგნებს მიენიჭა ჰუმანიტარული ტვირთის სტატუსი და სომხეთის მხარემ საქართველოს სომხურენოვანი საჯარო სკოლებისთვის სომხური ენისა და ლიტერატურის წიგნები და მასწავლებლების გზამკვლევები გადმოსცა (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2021 წლის 5 თებერვლის წერილი №5 21 00000068607).

[996] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2021 წლის 5 თებერვლის წერილი №5 21 00000068607.

[997] იქვე.

[998] იქვე.

[999] აზერბაიჯანულ სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები - 3121, ხოლო სომხურ საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები - 2699.

[1000] იქვე.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში სომხურენოვანი ტესტით ჩაირიცხა 261 აბიტურიენტი, აზერბაიჯანულენოვანი ტესტით - 1072, ხოლო ოსურენოვანი ტესტით - 7 აბიტურიენტი.[1001] 1340 აბიტურიენტიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტი მხოლოდ 14.8%-მა მოიპოვა. მართალია, 2020 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაზრდილია, თუმცა, აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები კვლავ ადასტურებს, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების დიდი ნაწილი დაფინანსების გარეშე რჩება. სახალხო დამცველი, წლებია, აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გაზარდოს სტუდენტების დაფინანსების თანხები.[1002]

ზემოაღნიშნულ პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ნორმატიული შეზღუდვა, რომლის თანახმადაც, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ბენეფიციარებზე არ ვრცელდება იმ პროგრამული მიმართულებების დაფინანსება, რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სახელმწიფო სრულად აფინანსებს.[1003] გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში ასევე გამოვლინდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აზერბაიჯანული/სომხური ენისა და ლიტერატურის საგნების არარსებობა, რაც სტუდენტებს არ აძლევს ამ მიმართულებით სპეციალიზაციის შესაძლებლობას.[1004]

25.6. მედიის ხელმისაწვდომობა

აღსანიშნავია, რომ, 2020 წლის მსგავსად, 2021 წელსაც, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დღეში გადის ოთხი საინფორმაციო გამოშვება აზერბაიჯანულ[1005] და სომხურ ენაზე.[1006] საინფორმაციო გამოშვებები გადაიცემა შესაბამისი ონლაინ პლატფორმით, ასევე, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ტელევიზიების მეშვეობით.[1007] ასევე, აღსანიშნავია, რომ მაუწყებელი უზრუნველყოფს მთავარი საინფორმაციო გამოშვების სინქრონულ თარგმანს[1008] აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე,[1009] რომელიც ტრანსლირდება რეგიონული ტელევიზიების მეშვეობით.

[1001] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 18 იანვრის წერილი №1220000036977.

[1002] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 412; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 382.

[1003] „2021 - 2022 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 21 ივლისის №50/ნ ბრძანება, მუხ. 6, პუნ. 5.

[1004] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ", 25.

[1005] „მოამბე" აზერბაიჯანულ ენაზე 12:00 საათზე; „მოამბე" აზერბაიჯანულ ენაზე 15:00 საათზე; „მოამბე" აზერბაიჯანულ ენაზე 18:00 საათზე; „მოამბე" აზერბაიჯანულ ენაზე 20:00 საათზე.

[1006] „მოამბე" სომხურ ენაზე 12:00 საათზე; „მოამბე" სომხურ ენაზე 15:00 საათზე; „მოამბე" სომხურ ენაზე 18:00 საათზე; „მოამბე" სომხურ ენაზე 20:00 საათზე.

[1007] საზოგადოებრივი მაუწყებლის 2022 წლის 1-ლი თებერვლის წერილი №67/07.

[1008] სინქრონული თარგმანი, სეტ-ბოქსების მეშვეობით გავრცელების პარალელურად, ხორციელდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდის შესაბამის ენობრივ განყოფილებაში, პირდაპირი ეთერის, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით.

[1009] პირველი არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვების, „მოამბე 21:00 საათზე", სინქრონული თარგმანი სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელების მიუხედავად, კვლავ პრობლემურია ეროვნული უმცირესობების ენებზე ინფორმაციის ძირითადად ონლაინ პლატფორმის მეშვეობით გავრცელების პრაქტიკა, ვინაიდან. ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობას შეზღუდული წვდომა აქვს ინტერნეტზე.[1010] ამის ნათელი მაგალითია თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოწოდებული ონლაინ პლატფორმების სტატისტიკა, რომლის თანახმადაც, 2021 წელს სინქრონულად თარგმნილი მოამბის ყოველდღიური მაჩვენებელი შეადგენდა მხოლოდ 500-1500 ნახვას.[1011] ასევე საგულისხმოა, რომ 2021 წელს WhatsApp-ის სომხურენოვანი ნომერი 280 ადამიანს ჰქონდა გამოწერილი, ხოლო აზერბაიჯანულენოვანი ნომერი - 300 ადამიანს.[1012]

მნიშვნელოვანია, გამოშვებების სატელევიზიო ტრანსლირების შესაძლებლობა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ყველა რეგიონში იყოს უზრუნველყოფილი.

25.7. დმანისის კონფლიქტი

საანგარიშო პერიოდში საგულისხმო იყო 2021 წლის 16-17 მაისს დმანისში მომხდარი კონფლიქტი, რომელიც ყოფით ნიადაგზე დაიწყო და ეთნიკურად ქართველ და ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეებს შორის ორდღიან უმართავ ჯგუფურ ძალადობრივ დაპირისპირებაში გადაიზარდა.[1013] სამართალდამცავი უწყებებისგან მიღებული კორესპონდენციით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1] ნაწილის „ბ" და ,,გ" ქვეპუნქტებით (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის მიმართ) ბრალდება წარედგინა შვიდ პირს, ხოლო დაზარალებულად 6 პირი იქნა ცნობილი. ბრალდებულთა მიმართ გამოძიების პროცესში ეთნიკური ნიშნით სიძულვილის მოტივი არ გამოკვეთილა.[1014]

აღსანიშნავია, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს, შესაძლოა, ერთზე მეტი მოტივი ჰქონდეს.[1015] დმანისის კონფლიქტში მონაწილე მხარეების ეთნიკური შემადგენლობისა და იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა წყარო დაპირისპირების პროცესში ეთნიკური ნიშნით შეურაცხმყოფელი ფრაზების გაჟღერებაზე მიუთითებს,[1016] ძალადობის გამომწვევი ინციდენტის ყოფით ნიადაგზე დაწყების ფაქტი არ გამორიცხავს სავარაუდო ეთნიკური მოტივის არსებობას, რასაც, შესაძლოა,

---

[1010] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 414.

[1011] საზოგადოებრივი მაუწყებლის 2022 წლის 1-ლი თებერვლის წერილი №67/07.

[1012] იქვე.

[1013] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 18 მაისის საჯარო განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/cctjo3 > [ბოლოს ნანახია 10.02.2022].

[1014] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 28 მაისის №MIA 1 21 01340546 წერილი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 12 ნოემბრის №MIA 8 21 02982973 წერილი.

[1015] სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება, პრაქტიკული სახელმძღვანელო, ეუთო, 63, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/qx9hwh > [ბოლოს ნანახია 10.02.2022].

[1016] იხ. მაგალითად: <https://rb.gy/hykauu >[ბოლოს ნანახია 10.02.2022]; დმანისის კონფლიქტი - ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირების ეთნიკური შტრიხები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, 8, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/4pv4jb >[ბოლოს ნანახია 10.02.2022].

კონფლიქტის ესკალაცია და გამოვლენილი მასშტაბით განვითარება გამოეწვია. შესაბამისად, კვლავ დღის წესრიგში დგას მომხდარის სამართლებრივი შეფასების, დაპირისპირებაზე ზეგავლენის მომხდენი ყველა ფაქტორის სიღრმისეული გააზრებისა და სამომავლოდ, მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გაძლიერების საჭიროება.[1017]

25.8. მესხების თემის წინაშე არსებული გამოწვევები

1944 წელს გადასახლებულ პირთა (20 000-მდე ოჯახი) და იმ მესხების რაოდენობრივი თანაფარდობა, რომლებმაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ საქართველოს მოქალაქეობა მიიღეს (494 პირი), ადასტურებს, რომ მესხების თემის რეპატრიაციის პროცესი დასრულებულად ვერ ჩაითვლება. ამ მოსაზრებას იზიარებს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტიც.[1018]

მესხთა ნაწილი ვერ ახერხებს საქართველოს მოქალაქეობის მიღებას, რადგან მათ უკვე გაუშვეს მოქალაქეობის მინიჭების გამარტივებული პროცედურით სარგებლობის ვადა, მოქალაქეობის მინიჭების სხვა არსებული პროცედურა კი მათთვის გადაულახავ ბარიერებს ქმნის, მათ შორის, ენის არცოდნის, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის, საქართველოში მუდმივად და უწყვეტად ცხოვრების გამოცდილების არქონის პირობების გამო.

მოქალაქეობის არქონის გამო, მესხებს წარმოეშობათ უფლებრივი და სოციალური პრობლემები. საჯარო სერვისებზე წვდომა და ინტეგრაცია პრობლემურია მესხების თემისთვის, მათ შორის, ვერ სარგებლობენ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით.[1019] აღსანიშნავია, რომ, გარკვეულ შემთხვევებში, პრობლემურია მათთვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაც. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ არ დაივიწყოს მესხების ისტორიული კავშირი სამშობლოსთან (საქართველოსთან) და კვლავ დანერგოს პროცედურები მათთვის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მისანიჭებლად.

25.9. ისტორიული გვარების დაბრუნება

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, საქართველოს აზერბაიჯანულმა თემმა წამოიწყო კამპანია „გვარი დამიბრუნე", რომელიც ისტორიული გვარების დაბრუნებას უკავშირდებოდა. 2021 წლის 26 ივლისს, პლატფორმა „სალამის" ინიციატივით საქართველოს პარლამენტის ბიუროს წარედგინა „სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ" კანონის პროექტი, რომელიც არატრადიციული/არაავთენტური გვარების ცვლილების ახალ წესს ადგენდა გვარის

[1017] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ", 36, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3MvxGSM > [ბოლოს ნანახია 08.03.2022].

[1018] ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება საქართველოს შესახებ, 2019, პარ. 43, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3HtSYwn > [ბოლოს ნანახია 10.02.2022].

[1019] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალურ ანგარიშში, „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ", 34-36, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3MvxGSM > [ბოლოს ნანახია 08.03.2022].

სუფიქსის ჩამოშორებით ან ამავე სუფიქსის შეცვლის გზით.[1020] კანონპროექტის ინიციატორებს შეგროვილი ჰქონდათ 25000-ზე მეტი ხელმოწერა. ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის თემისა და საზოგადოების თვითორგანიზების მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო.[1021]

პარლამენტში ბათილად მიიჩნიეს რამდენიმე ათასი ხელმოწერა, რაც კანონპროექტზე უარყოფითი დასკვნის გაცემის საფუძველი გახდა. შემდგომში ამავე თემაზე საქართველოს პარლამენტის წევრებმა თავად წარადგინეს კანონპროექტი, რომლის მიმართ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შენიშვნები აქვთ.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- 2022-2023 სასწავლო წლისთვის გაიზარდოს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, ასევე, მხოლოდ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა;
- 2022-2023 სასწავლო წლისთვის, გამოიყოს თანხა მხოლოდ ზოგადი უნარების რუსულენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად;
- 2022-2023 სასწავლო წლისთვის გაიზარდოს ოსურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო უწყებებში დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად, შემუშავდეს ახალი დასაქმების პროგრამები;
- აღმასრულებელი ხელისუფლებების დონეზე, შეიქმნას ეფექტიანი ინსტიტუციონალიზებული საკონსულტაციო მექანიზმები უმცირესობებისთვის;
- ხელი შეეწყოს ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის სწავლების პოპულარიზებას, მათ შორის, მიზნობრივი პროგრამების შემუშავების გზით;
- შემუშავდეს გრძელვადიანი გეგმა კონფლიქტის გამოცდილების მქონე მუნიციპალიტეტებში ინტერეთნიკური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და თემთა შორის დიალოგის გასაძლიერებლად.

[1020] „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, „გვარი დამიბრუნე“ კამპანიის ორგანიზატორების სახელით სასამართლო დავა დაიწყო“, 07.12.2021, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tfWrtb > [ბოლოს ნანახია 11.03.2022].
[1021] იქვე.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს:

- 2022 წლის განმავლობაში, შეიმუშაოს მესხების თემის წარმომადგენლებისთვის, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის მიღების მიზნით, სახელმწიფო ენის გამოცდაზე ორიენტირებული, ქართული ენის უფასო სასწავლო კურსების შეთავაზების გეგმა და კოორდინაცია გაუწიოს მის დაწყებას;
- 2022 წლის განმავლობაში, შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას წარუდგინოს ინიციატივა საქართველოში დაბრუნებული მესხებისათვის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების განახლებული მექანიზმების თაობაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- ეროვნული უმცირესობების ენოვან სკოლებში დაინერგოს მულტილინგვური სწავლების მოდელი, შემუშავდეს მულტილინგვური სწავლებისთვის საჭირო სასკოლო სახელმძღვანელოები; მომზადდნენ/გადამზადდნენ ორენოვანი პედაგოგები;
- უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოების ეროვნული უმცირესობების ენებზე თარგმნა, გამოცემა და ამ სახელმძღვანელოებით სკოლების მომარაგება;
- საქართველოს სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენის, გამოცემისა და ამ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად, დაიწყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება;
- უზრუნველყოს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა, აგრეთვე, პედაგოგთა გადამზადება;
- როგორც მულტიკულტურული პროგრამების, ისე სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, ხელი შეუწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას, ამასთანავე, გააძლიეროს სტუდენტური და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები ქვეყნის ფარგლებს შიგნით;
- ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში ხელი შეუწყოს კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას, აღდგენასა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა-ინვენტარიზაცია და შეუდგეს ამ ძეგლების კონსერვაციას ან/და რესტავრაციას.

საზოგადოებრივ მაუწყებელს:

- უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობების ენებზე მთავარი საინფორმაციო და ანალიტიკური გამოშვებების სატელევიზიო ტრანსლირება და ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებული მედიაპროდუქტის ტელეეთერით ხელმისაწვდომობასა და პოპულარიზებას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწავლების ხარისხისა და საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, უზრუნველყონ პედაგოგთა, მათ შორის, არაქართულენოვან პედაგოგთა გადამზადება, სასწავლო რესურსების შექმნა და მიწოდება;
- უზრუნველყონ მუნიციპალიტეტების ვებგვერდებსა და სოციალური ქსელების გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის თარგმნა მათ ტერიტორიაზე მცხოვრები არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების მშობლიურ ენებზე;
- შემჭიდროებულ ვადებში, უზრუნველყონ მათ მიერ მიღებული საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ნორმატიული აქტების (მათ შორის, სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების) თარგმნა მათ ტერიტორიაზე მცხოვრები არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების მშობლიურ ენებზე.

26. ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში

26.1. შესავალი

თავდაცვის სფეროში საქართველოს სახალხო დამცველის მიზანი, პრევენციული ვიზიტების გზით, წვევამდელთა და ნებისმიერი რანგის სამხედრო მოსამსახურეთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმებაა. წინამდებარე თავი შემდეგი საკითხების მიმოხილვას ეთმობა: სამხედრო მოსამსახურეთა არასათანადო მოპყრობისგან დაცვა; მათი საცხოვრებელი და სამუშაო პირობები; სამხედრო ნაწილებში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა; ასევე, სამხედრო მოსამსახურეთა ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.

2021 წელს, მონიტორინგის ფარგლებში, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოინახულეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 8 სამხედრო ნაწილი,[1022] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 3 გასამხედროებული ქვედანაყოფი,[1023] ასევე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის 5 განყოფილება.[1024] მონიტორინგის დროს შემოწმდა სამხედრო ნაწილებში არსებული მატერიალური პირობები, დოკუმენტაცია და ჩატარდა ინდივიდუალური გასაუბრებები სამხედრო მოსამსახურეებთან.[1025]

სახალხო დამცველმა 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშის შესაბამის თავში 16 რეკომენდაცია გასცა. გაცემული რეკომენდაციებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი შესრულდა. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო წელს შესრულდა სახალხო დამცველის მიერ არაერთგზის გაცემული რეკომენდაცია[1026] საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში თარჯიმნის შტატის დაშვების შესახებ. საქართველოს თავდაცვის ძალებში ქართული ენის არმცოდნე სამხედრო მოსამსახურეთა თარჯიმნით მომსახურების უზრუნველსაყოფად, საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში, 2021 წლის

[1022] საქართველოს თავდაცვის ძალების: სპეციალური ოპერაციების ძალების სპეციალური ოპერაციების ბატალიონი „დასავლეთი"; ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადა; დასავლეთის სარდლობის მე-2 და მე-3 ქვეითი ბრიგადები; დასავლეთის სარდლობის მე-6 საარტილერიო ბრიგადა; ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის ცენტრალური საკომანდო პუნქტი; საჰაერო თავდაცვის ბრიგადის საზენიტო-სარაკეტო ბატალიონი; ეროვნული გვარდიის მე-20 კადრირებული ბრიგადის საველე ბანაკი პალდო.

[1023] შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის: მე-3 სამმართველოს მე-2 განყოფილების მე-2 ქვეგანყოფილება; მე-3 სამმართველოს პირველი განყოფილების პირველი ქვეგანყოფილება; მე-2 სამმართველოს პირველი განყოფილების მე-3 ქვეგანყოფილება.

[1024] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის მე-2; მე-3; მე-8; მე-14 და მე-17 განყოფილებები.

[1025] ჯამში, საქართველოს თავდაცვის ძალებში გამოიკითხა 85 სამხედრო მოსამსახურე, ამათგან - 22 ვადიანი სამხედრო მოსამსახურე და 11 ქალი სამხედრო მოსამსახურე; შსს-ს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის გასამხედროებულ ქვედანაყოფებში გამოიკითხა 9 ვადიანი სამხედრო მოსამსახურე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის განყოფილებებში - 11 ვადიანი სამხედრო მოსამსახურე.

[1026] იხ. მაგ., საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 429; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 394.

ნოემბრიდან დაემატა 6 თარჯიმნის შტატგარეშე შრომითი ხელშეკრულების რაოდენობრივი კვოტა.[1027] ასევე, მისასალმებელია პენიტენციურ სისტემაში ჩარიცხული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების გაზრდისა და შსს-ს ობიექტების დაცვის დეპარტამენტში სადღეღამისო განწესში ყოფნის დღეს, თითოეული სამხედრო მოსამსახურის სრულფასოვანი, სამჯერადი კვებით უზრუნველყოფის შესახებ გაცემული რეკომენდაციების შესრულება. სამწუხაროდ, ამ დრომდე არ შესრულებულა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ გაცემული რეკომენდაცია, გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის განყოფილებებში (გარდა მე-17 განყოფილებისა) ჩარიცხულ სამხედრო მოსამსახურეთათვის დამატებით კვებისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო თანხის ანაზღაურების შესახებ.

კვლავ შეუსრულებელია საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა ვეტერანებისთვის საშემოსავლო შეღავათის გაზრდას. 2020 წელს პარლამენტმა გაიზიარა ეს რეკომენდაცია და მთავრობას შესაბამისი დავალება მისცა, მაგრამ რადგან დავალება არ შესრულებულა, ანალოგიური რეკომენდაცია გავეცით 2021 წელსაც. მოგვიანებით, საქართველოს პარლამენტმა ჩვენი რეკომენდაცია განსხვავებული ფორმულირებით ასახა საპარლამენტო დადგენილებაში და მთავრობას ვეტერანების მხარდამჭერი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის შესამუშავებლად მუშაობის დაწყება დაავალა. სამწუხაროდ, ამ ეტაპისთვის არც ეს დავალებაა შესრულებული. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის განცხადებით, მიმდინარეობს სპეციალური უწყებათაშორისი საბჭოს მუშაობა, რომელიც ვეტერანებისთვის შეღავათების, ერთიანი სოციალური პროგრამების, დასაქმების უზრუნველყოფისა და საგადასახადო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს.[1028]

26.2. არასათანადო მოპყრობისგან დაცვა

საანგარიშო პერიოდში, გასული წლების მსგავსად, კვლავ სისტემური პრობლემა იყო სამხედრო მოსამსახურეების არაფორმალური და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა.[1029] სამხედრო ნაწილების მონახულების შედეგად, სახალხო დამცველის წარმომადგენლებს 2021 წელს არ მიუღიათ ინფორმაცია სამხედრო მოსამსახურის მიმართ ზემდგომი ან სხვა სამხედრო მოსამსახურის მხრიდან ჩადენილი ძალადობის შესახებ, თუმცა გაირკვა, რომ გასული წლების მსგავსად, კვლავ სისტემურ პრობლემად რჩება სამხედრო მოსამსახურეების არაფორმალური და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა. გარდა ამისა, ანალოგიური პრაქტიკა გამოიკვეთა შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარ სამმართველოში ჩარიცხულ ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ.[1030]

[1027] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2021 წლის 18 ნოემბრის № MOD 22101211965 წერილი.
[1028] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 12 მარტის GOV 3 22 00007349 წერილი, 34-35.
[1029] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 421.
[1030] დეტალური ინფორმაცია იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიშში.

მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს თავდაცვის ძალების ცალკეულ ბატალიონებში[1031] დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, დასჯის მიზნით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე,[1032] ვადიან სამხედრო მოსამსახურეებს დამატებითი ფიზიკური აქტივობების შესრულებას ავალდებულებენ (სირბილი, აზიდვა, ბუქნები) და სამუშაო საათების დასრულების შემდეგ სამხედრო ნაწილში დარჩენას აიძულებენ. ამასთან, გაირკვა, რომ არაფორმალური დასჯის მეთოდად სამუშაო საათების დასრულების შემდეგ სამხედრო ნაწილში დარჩენის იძულება გამოიყენება საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების მიმართაც.[1033]

აღსანიშნავია, რომ გასული წლების მსგავსად, კვლავ პრობლემად რჩება ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ უკანონო დასჯის პრინციპის - „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის" გამოყენება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ ერთი სამხედრო მოსამსახურის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, არაფორმალურად, მასთან ერთად, მთელი ოცეული ისჯება. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი გაცემულ რეკომენდაციაში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დაუშვებელია სამხედრო მოსამსახურეების კოლექტიური და არაფორმალური დასჯის პრაქტიკა, მათ შორის, არასამუშაო საათებში სამხედრო ნაწილის დატოვების უფლების არაგონივრული შეზღუდვა და იძულებითი შრომა.[1034]

სახალხო დამცველის შეფასებით, ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ ადგილი აქვს უკანონო პრაქტიკას, რომელიც ქმნის არასათანადო მოპყრობის რისკებს, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევებში სამხედრო მოსამსახურის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური შესაძლებლობების, მისი სუბიექტური აღქმის, ფიზიკური აქტივობის სირთულის და ფორმის გათვალისწინებით, ასეთი სასჯელის გამოყენებამ, შეიძლება იმაზე მეტი სტრესი და ტანჯვა გამოიწვიოს, ვიდრე ეს დაკავშირებულია სამხედრო სამსახურთან და მიაღწიოს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მინიმალურ ზღვარს.[1035]

[1031] საქართველოს თავდაცვის სპეციალური ოპერაციების ძალების სპეციალური ოპერაციების ბატალიონში „დასავლეთი", საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებულ ბრიგადაში, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის ცენტრალურ საკომანდო პუნქტში და საჰაერო თავდაცვის ბრიგადის საზენიტო-სარაკეტო ბატალიონში.

[1032] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 მარტის №124 დადგენილება განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დისციპლინური გადაცდომა და რა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა უნდა გამოიყენებოდეს. წესდება არ ითვალისწინებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად დამატებითი ფიზიკური აქტივობის შესრულებას ან სამხედრო ნაწილში მათი ნების საწინააღმდეგოდ დატოვებას.

[1033] საქართველოს თავდაცვის ძალების მე-6 საარტილერიო, მე-2 და მე-3 ქვეით ბრიგადებში.

[1034] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)4 წევრ სახელმწიფოებს, შეიარაღებული ძალების წევრთა ადამიანის უფლებების შესახებ, 2010 წლის 24 თებერვალი, მე-16 და მე-18 პუნქტები. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ImETRw > [ბოლოს ნანახია: 18.03.22].

[1035] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, CHEMBER v. RUSSIA (7188/03), პარა. 49.

ვიზიტების დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას არაერთმა სამხედრო მოსამსახურემ აღნიშნა, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა დისციპლინური სახდელის დაკისრებას ანდა ზემოაღნიშნული მეთოდებით მათ არაფორმალურ დასჯას, თუმცა გასაჩივრების მექანიზმი არ გამოუყენებიათ, რის მიზეზადაც, ძირითადად, საჩივრების მექანიზმის შესახებ ინფორმაციის არქონას და ამ მექანიზმის მიმართ უნდობლობას ასახელებდნენ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, მის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრება უნდა განიხილებოდეს მხოლოდ დისციპლინური წარმოების ფარგლებში და გადაცდომის დადასტურების შემთხვევაში, პირს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული დისციპლინური სახდელი. ამასთანავე, დისციპლინური წარმოების დაწყებისთანავე, სამხედრო მოსამსახურეს უნდა მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია და მიეცეს დისციპლინურ საქმისწარმოებაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.[1036]

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ თავდაცვის ძალების, შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ცალკეულ განყოფილებებში არსებული მავნე პრაქტიკის გამოსასწორებლად, უწყებებმა უნდა უზრუნველყონ სამხედრო მოსამსახურეთა ინფორმირება დისციპლინური სახდელის კანონით გათვალისწინებული სახეებისა და დაკისრებული სახდელის გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე.[1037] ამასთანავე, საჭიროა, თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროების გენერალურმა ინსპექციებმა სისტემური კონტროლი გაუწიონ და აღმოფხვრან სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა.

თავდაცვის სფეროში არასათანადო მოპყრობაზე საუბრისას, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 2020 წელს „იაღლუჯას" სამხედრო ბაზაზე შსს-ს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ზემდგომების მხრიდან სამხედრო მოსამსახურეების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტები. სახალხო დამცველის რწმუნებულების დაზარალებულთან გასაუბრებისა და საქმის მასალების შესწავლის დროს გაირკვა, რომ ზემოაღნიშნულ დანაშაულებრივ ფაქტებზე ინფორმაციას გარკვეული პერიოდით ადრე

[1036] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)4 წევრ სახელმწიფოებს, შეიარაღებული ძალების წევრთა ადამიანის უფლებების შესახებ, 2010 წლის 24 თებერვალი, მე-19 და 21-ე პუნქტი. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3i11it7 > [ბოლოს ნანახია: 18.03.22].

[1037] „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებში, აგრეთვე მეთაურისა და უფროსის სახელზე შეიტანოს წინადადებები, განცხადებები და საჩივრები. ამასთან, მას შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს სამხედრო უწყებების თანამდებობის პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები. წარდგენილი საჩივრის განხილვის შეჩერება, აგრეთვე საჩივრის წარდგენისთვის სამხედრო მოსამსახურის დასჯა ან დევნა დაუშვებელია.

უკვე ფლობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია, თუმცა, სახალხო დამცველის აპარატის მიერ ოფიციალურ წერილობით მიმართვამდე,[1038] გენერალურ ინსპექციას საქმე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის არ გადაუგზავნია.[1039]

სახალხო დამცველის აპარატი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გაეცნო მიმდინარე გამოძიების სრულ მასალებს, საიდანაც ირკვევა, რომ სხვადასხვა დროს იაღლუჯას ბაზაზე მომსახურე რამდენიმე ვადიან სამხედრო მოსამსახურეს ზემდგომმა პირებმა, ჯარისკაცებს შორის მომხდარი შელაპარაკების ან სხვა სახის შესაძლო დარღვევის საფუძველზე, დასჯის მიზნით, აიძულეს, რომ კბილის ან ფეხსაცმლის ჯაგრისით, მუხლებზე დაჩოქილ მდგომარეობაში მოეხეხათ ყაზარმის ტერიტორია პირსაბანებისა და საპირფარეშოების იატაკების ჩათვლით.[1040] გარდა ამისა, გამოიკვეთა დაზარალებულების მსგავსი ფორმით სხვადასხვა დროს დასჯის შემთხვევებიც და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტიც. საქმის სიმძიმის ფონზე, მისასალმებელია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებული გამოძიება, რომელიც სრულფასოვნად, დროულად და ეფექტიანად წარიმართა. შედეგად, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ, რომლებიც თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში. საქმეზე გამოძიება დღემდე გრძელდება, რაც არ გამორიცხავს მსგავსი მანკიერი პრაქტიკისა და სხვა პასუხისმგებელი პირების სამომავლოდ გამოვლენის შესაძლებლობას, რასაც სახალხო დამცველის აპარატი კვლავ მიადევნებს თვალს.

26.3. საცხოვრებელი და სამუშაო პირობები

26.3.1. ინფრასტრუქტურული პრობლემები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ვიზიტების შემდეგ, მონიტორინგის საბოლოო ანგარიშის მომზადებამდე, სახალხო დამცველმა რამდენჯერმე მიმართა წერილობით საქართველოს თავდაცვის მინისტრს, მიაწოდა ინფორმაცია ვიზიტების დროს, სამხედრო ნაწილებში გამოვლენილი ინფრასტრუქტურული გამოწვევების შესახებ, რომელთა აღმოსაფხვრელად საჭირო იყო მყისიერი რეაგირება და სთხოვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება.[1041] გარკვეულ შემთხვევებზე გვეუწყა, რომ დაიწყო მუშაობა პრობლემების გამოსასწორებლად.[1042]

საანგარიშო პერიოდში, თავდაცვის ძალების სამხედრო ნაწილებისა და შსს ობიექტების

[1038] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 27 ივლისის №14/7360 წერილი.

[1039] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 30 ივლისის MIA 9 20 01750649 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქმე 29 ივლისს გადააგზავნეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში.

[1040] ერთ-ერთ ეპიზოდში, დასჯის მიზნით, დაზარალებულს აიძულეს, რომ აღჭურვილიყო ჩაფხუტითა და ჯავშან-ჟილეტით (რომლებიც საერთო ჯამში, დაახლოებით, 11 კგ-ს იწონის) და მოეხეხა ყაზარმის ტერიტორია კბილის ჯაგრისით, მუხლებზე დაჩოქილ მდგომარეობაში, დაახლოებით, 10-12 საათის განმავლობაში, ყაზარმის სრული შემადგენლობის თვალწინ.

[1041] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ოქტომბრის №14-1/10223 წერილი; 2021 წლის 11 ნოემბრის №14-1/10739 წერილი და 2022 წლის 10 იანვრის №03-7/247 წერილი.

[1042] დეტალური ინფორმაცია მონიტორინგის შედეგების შესახებ ხელმისაწვდომია პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიურ ანგარიშში.

დაცვის დეპარტამენტის ცალკეული ქვედანაყოფების მონახულების შედეგად გაირკვა, რომ კვლავ პრობლემად რჩება სამხედრო მოსამსახურეებისთვის სათანადო საცხოვრებელი და სამუშაო პირობების უზრუნველყოფა. ამასთანავე, ვიზიტების დროს, ფაქტობრივად ყველა სამხედრო ნაწილში იდგა სველი წერტილების პრობლემა, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის კუთხით.

სახალხო დამცველის აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა სპეციალური ოპერაციების ძალების სპეციალური ოპერაციების ბატალიონში, „დასავლეთი", მყოფი ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების ცუდი საცხოვრებელი პირობები, რომელიც აშკარად განსხვავდება იმავე ბატალიონში მომსახურე საკონტრაქტო მოსამსახურეებისთვის შექმნილი საცხოვრებელი პირობებისაგან და განსაკუთრებული სიმძიმით გამოირჩევა. გარდა ამისა, იკვეთება სპორტულ დარბაზებსა და განტვირთვის სივრცეებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემა, რაც ეწინააღმდეგება სამხედრო მოსამსახურეებისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის ვალდებულებას.[1043]

მონიტორინგის შედეგად, ასევე გამოვლინდა, რომ არ მიმდინარეობდა სამხედრო მოსამსახურე ქალთა საჭიროებების შეფასება/გამოკითხვა და შესაბამისი ზომების გატარება. სამხედრო ნაწილების უმეტესობაში არ იყო გათვალისწინებული ქალთა საპირფარეშოები და საშხაპეები განცალკევებით, გარდა ახლად გარემონტებული საცხოვრებელი კორპუსებისა,[1044] სადაც სამხედროები ჯერ კიდევ არ იყვნენ შესახლებულები. ქალებს არც სპეციალური ჰიგიენური საშუალებები მიეწოდებოდათ.

გარკვეული ხარვეზები აღმოჩნდა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხითაც. ქვედანაყოფებში საგანგებო სიტუაციებზე პირველადი რეაგირებისა და მათი აღმოფხვრის მიზნით სახანძრო-სამაშველო ჯგუფის არსებობის მიუხედავად, ვიზიტების დროს სამხედრო მოსამსახურეებთან გასაუბრებით გამოვლინდა, რომ უმეტეს მათგანს არ ჰქონდა ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ.[1045] ასევე, ცალკეულ შემთხვევაში[1046], გაირკვა, რომ საცხოვრებელი კორპუსებში არ იყო დაცული სახანძრო უსაფრთხოების ნორმები.[1047]

26.3.2. კვება და სასმელი წყალი

საქართველოს თავდაცვის ძალებში სამხედრო მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი არიან სამჯერადი კვებით. მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხულ სამხედრო მოსამსახურეთა უმეტესი ნაწილი კმაყოფილი იყო საკვების მრავალფეროვნებით,

[1043] „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.
[1044] ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადა; დასავლეთის სარდლობის მე-2 ქვეითი ბრიგადა; დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეითი ბრიგადა; დასავლეთის სარდლობის მე-6 საარტილერიო ბრიგადა.
[1045] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 აგვისტოს №519 დადგენილება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების შინაგანი სამსახურის წესდების დამტკიცების შესახებ", მუხლი 113.
[1046] მაგ., დასავლეთის სარდლობის მე-2 და მე-3 ქვეითი ბრიგადების შემთხვევაში.
[1047] საქართველოს თავდაცვის ძალების მე-2 ქვეითი ბრიგადა.

ხარისხით, ულუფის ოდენობით და დამატების შესაძლებლობით. თუმცა, სამწუხაროდ, კვლავ პრობლემად რჩება სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარ სამმართველოში ჩარიცხული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების საკვებით უზრუნველყოფის საკითხი, რაზეც სახალხო დამცველი უკვე მრავალი წელია მიუთითებს. სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც სამ დღეში ერთხელ მსახურობენ, არ არიან უზრუნველყოფილნი საკვებით, მათ ყოველი მორიგეობისას სახლიდან უწევთ საკვების მოტანა.

მისასალმებელია, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ მონახულებულ ყველა სამხედრო ნაწილში უზრუნველყოფილია სასმელი წყლის უწყვეტ რეჟიმში მიწოდება. თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში,[1048] გამოვლინდა არასაკმარისი რაოდენობის წყლის დისპენსერების პრობლემა, რის გამოც სამხედრო მოსამსახურეებს სასმელი წყლის მომარაგება ეზოში განთავსებული ონკანიდან ან სველი წერტილებიდან უწევდათ. ამასთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროდან გვეცნობა,[1049] რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლების ვიზიტის შემდეგ, საცხოვრებელ ყაზარმაში, ასევე, შტაბისა და საყარაულო შენობებში, პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, დამატებით განთავსდა შესაბამისი რაოდენობის წყლის დისპენსერები.

აღსანიშნავია, რომ წყლის დისპენსერებთან დაკავშირებული პრობლემა გამოიკვეთა შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ცალკეულ განყოფილებებშიც,[1050] სადაც წყლის დისპენსერების არარსებობის გამო, სამხედრო მოსამსახურეებს სასმელი წყლის აღება და ერთჯერადი ბოთლებით მომარაგება სამმართველოს ეზოში არსებული ონკანიდან უწევდათ.

26.4. ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა

ვიზიტების დროს დადგინდა, რომ სამხედრო ნაწილებში მნიშვნელოვანი გამოწვევებია კორონა ვირუსის კონტროლის კუთხით. კერძოდ, არ მიმდინარეობს სამხედრო მოსამსახურეების პერიოდული ტესტირება და იგი მხოლოდ სიმპტომების არსებობის შემთხვევაში ტარდება, არ ხდება სამხედრო მოსამსახურეების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მომარაგება და ისინი უმეტესად უპირბადეოდ გადაადგილდებიან, ასევე, ხარვეზები შეინიშნება სავარაუდოდ ინფიცირებულ ანდა ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა მართვისა და აღრიცხვის პროცესში. ვიზიტებისას ასევე გამოიკვეთა, რომ ხარვეზებია საიზოლაციო ოთახების გამოყენების და ამ ფაქტის დოკუმენტირების კუთხითაც.[1051]

[1048] ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადა.

[1049] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 06.12.21 წლის №-MOD22101279231 წერილი.

[1050] შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის: მე-3 სამმართველოს მე-2 განყოფილების მე-2 ქვეგანყოფილება და მე-2 სამმართველოს პირველი განყოფილების მე-3 ქვეგანყოფილება.

[1051] კერძოდ, ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებულ ბრიგადაში პერსონალის განმარტებით, COVID-19-ით ინფიცირებული პირების იზოლირება ხდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს, ასევე ვერ მიუთითეს, თუ რომელი ოთახი გამოიყენებოდა საიზოლაციოდ.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, ყველა სამხედრო მოსამსახურე უზრუნველყოფილი იყოს პირბადით და ამასთანავე, მუდმივად კონტროლდებოდეს პირბადის ტარების წესის დაცვა. გარდა ამისა, უსაფრთხოების მიზნით, მნიშვნელოვანია, სამხედრო მოსამსახურეების პერიოდული ტესტირება COVID-19-ზე.[1052] ასევე, საჭიროა სამხედრო მოსამსახურეების სათანადო ინფორმირება კორონავირუსის შესახებ, როგორც საინფორმაციო შეხვედრების, ისე საინფორმაციო მასალის დარიგება-გამოკვრის გზით. მისასალმებელია თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, სახალხო დამცველის წარმომადგენლების ვიზიტების შემდეგ, სამხედრო ნაწილებში გამოკრული, მოძველებული საინფორმაციო პოსტერები განახლდა.[1053]

26.5. ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

მონიტორინგის ფარგლებში სამხედრო მოსამსახურეებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მათი უმეტესი ნაწილი (საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები) არ არის უზრუნველყოფილი სამსახურებრივი დანიშნულების საცხოვრებელი ბინით, რის გამოც, პირადი შემადგენლობის გარკვეული ნაწილი იძულებულია საცხოვრებლად ბაზაზე დარჩეს, იმ პირობებში, როცა არცერთ ზემოაღნიშნულ სამხედრო ნაწილში არ არის უზრუნველყოფილი გართობის და რეკრეაციის შესაძლებლობა. გარდა ამისა, სამხედრო მოსამსახურეებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი ვერ სარგებლობენ შეღავათით ბინის ქირის და კომუნალური ხარჯების გადახდისას, ასევე, არცერთ შემთხვევაში არ უნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯები, მიუხედავად იმისა, რომ ამას ითვალისწინებს კანონმდებლობა.[1054]

სამწუხაროდ, არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია თავდაცვის ძალებში ჩარიცხული სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების ყოველთვიური ანაზღაურების გაზრდის შესახებ და სახელფასო ანაზღაურება კვლავ 50 ლარს შეადგენს, რაც თვის განმავლობაში მათი საცხოვრებელი სახლიდან სამხედრო ნაწილამდე ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარადაც კი არ არის საკმარისი. ამასთანავე, სახალხო დამცველი მიესალმება პენიტენციური სისტემის გარე დაცვაში ჩარიცხული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების გაზრდას.[1055] თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დრომდე არ შესრულებულა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ გაცემული რეკომენდაცია, გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის განყოფილებებში (გარდა მე-17 განყოფილებისა) ჩარიცხულ

[1052] სულ მცირე, იმგვარად, როგორც ეს პენიტენციურ სისტემაშია დანერგილი. პენიტენციური დაწესებულებების პერსონალს კვირაში ერთხელ უტარდება PCR ტესტი და 72 საათში ერთხელ სწრაფი ტესტი ანტიგენზე.

[1053] საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიღებული 2021 წლის 6 დეკემბრის MOD 2 21 01279231 პასუხი.

[1054] „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

[1055] 2021 წლამდე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სისტემაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად ყაზარმულ რეჟიმზე ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეების ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 5 ლარს, ხოლო 3 დღეში ერთხელ სამუშაო რეჟიმზე მყოფი სამხედრო მოსამსახურეების ყოველთვიური ანაზღაურება 52 ლარი იყო. 2021 წლიდან მათი ანაზღაურება გაიზარდა და 70 ლარს გაუტოლდა.

სამხედრო მოსამსახურეთათვის დამატებით კვებისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო თანხის ანაზღაურების შესახებ.[1056]

აღსანიშნავია ისიც, რომ 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა თავდაცვის სამინისტროს,[1057] ცვლილება შესულიყო თავდაცვის მინისტრის შესაბამის ბრძანებაში,[1058] რათა ნებისმიერი რანგის სამხედრო და სამოქალაქო პირისთვის დაშვებული ყოფილიყო მობილური ტელეფონის გამოყენება სამუშაო დღის განმავლობაში, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა. მართალია, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში ცვლილება არ შესულა, თუმცა, სახალხო დამცველის რეკომენდაციის შედეგად, თავდაცვის ძალებში მობილური ტელეფონების გამოყენების პრაქტიკა შეიცვალა, სამხედრო მოსამსახურეების განმარტებით, არასამუშაო საათებში და სწავლებების/წვრთნების პერიოდში განსაზღვრულ დასვენების დროს მობილური ტელეფონით სარგებლობა შეუძლიათ.

შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ცალკეულ ქვედანაყოფებში[1059] პირადი შემადგენლობისათვის არ არის უზრუნველყოფილი წვდომა არც სატელევიზიო და არც სხვა საინფორმაციო საშუალებებზე (რადიო, ინტერნეტი). გარდა ამისა, სამხედრო მოსამსახურეების გადმოცემით, მართალია, ისინი უზრუნველყოფილნი არიან სამხედრო უნიფორმითა და სამხედრო ფეხსაცმლით, თუმცა ფეხსაცმელი არ გაიცემა სეზონის შესაბამისად, არის უხარისხო და მალე ზიანდება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- მოახდინოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების ინიცირება და 2022 წლიდან ვეტერანების მიმართ არსებული საშემოსავლო გადასახადის შეღავათი გაიზარდოს - 6 000 ლარამდე, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანთა მიმართ - 9 000 ლარამდე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრს:

- თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა სისტემური კონტროლი გაუწიოს და აღმოფხვრას სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა და ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ მიაწოდოს სახალხო დამცველის აპარატს;

[1056] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 430.
[1057] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 394.
[1058] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 3 თებერვლის №MOD 32000000115 ბრძანება.
[1059] შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის მე-3 სამმართველოს პირველი განყოფილების პირველი ქვეგანყოფილება, მე-2 სამმართველოს პირველი განყოფილების მე-3 ქვეგანყოფილება, მე-3 სამმართველოს მე-2 განყოფილების მე-2 ქვეგანყოფილება.

- უზრუნველყოს თავდაცვის ძალებში ჩარიცხული პირადი შემადგენლობის ინფორმირება შეიარაღებული ძალების წევრების ადამიანის უფლებების, მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე; ამ მიზნით, იურისტს დაევალოს სათანადო პერიოდულობით ჩაატაროს ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები სამხედროებთან; ასევე, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია მარტივად გასაგებ ენაზე (რთული სამართლებრივი ტერმინებისა და ფორმულირების გარეშე) შექმნილი ბროშურის სახით მიეწოდოს სამხედროებს და გამოეკრას სამხედროებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში;
- თავდაცვის ძალების საცხოვრებელ კორპუსებში დროულად ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები და ინვენტარიზაცია, აღმოიფხვრას ინფრასტრუქტურული პრობლემები და გაუმჯობესდეს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, საცხოვრებელი კორპუსები სრულად აღიჭურვოს მწერებისგან დამცავი ბადით; ყველა სამხედრო ნაწილში უზრუნველყოს განცალკევებული სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძები ქალი სამხედრო მოსამსახურეებისთვის;
- ყველა სამხედრო ნაწილში, სადაც სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიან ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები, მიეცეთ მათ შესაძლებლობა, საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების თანასწორად, ისარგებლონ ბაზაზე არსებული სპორტული დარბაზით და გასართობი სივრცით;
- თავდაცვის ძალების თითოეული ქვედანაყოფის მეთაურს დაევალოს, უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში მყოფი პირადი შემადგენლობის მიერ სახანძრო უსაფრთხოებისა და ხანძრის ჩასაქრობად აუცილებელი წესების შესწავლა, არსებული სტანდარტის[1060] მოთხოვნათა შესაბამისად;
- ყველა სამხედრო მოსამსახურე უზრუნველყოფილი იქნას პირბადით, სამხედრო ნაწილების ტერიტორიაზე გამოიკრას პირბადის ტარების წესის ამსახველი საინფორმაციო მასალა და ზედამხედველობა გაეწიოს პირბადის ტარების წესის დაცვას;
- შემუშავდეს სამხედრო მოსამსახურეების პერიოდული ტესტირების წესი და უზრუნველყოს სამხედრო მოსამსახურეების COVID-19-ზე პერიოდული ტესტირება;
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის გადამზადება ინფექციის კონტროლის საკითხებში, რათა გაიზარდოს სამედიცინო პერსონალის როლი და ძალისხმევა ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, რაც უნდა მოიცავდეს კორონავირუსზე საეჭვო შემთხვევების დროულ გამოვლენას, ასევე, დადასტურებული შემთხვევის კონტაქტების დროულ მოძიებას და იზოლირებას, ამასთანავე, სამედიცინო პერსონალმა უზრუნველყოს მიღებული ზომების სათანადო დოკუმენტირება;

[1060] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 აგვისტოს №519 დადგენილება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების შინაგანი სამსახურის წესდების დამტკიცების შესახებ", მუხ. 113.

- ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ყველა სამხედრო ნაწილში მოეწყოს საიზოლაციო ოთახები, სადაც მოთავსდებიან საეჭვო სიმპტომების მქონე პირები ტესტის პასუხის მიღებამდე;
- თავდაცვის ძალებში ჩარიცხული თითოეული სამხედრო მოსამსახურე, სამსახურის გავლის პერიოდში უზრუნველყოს სამსახურებრივი დანიშნულების საცხოვრებელი ბინით - მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა[1061] დაცვით, ან განიხილოს სამხედრო მოსამსახურეთა ბინის ქირის გადასახადით უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- თავდაცვის ძალების შემადგენლობაში ჩარიცხულ პირად შემადგენლობაზე გავრცელდეს კანონმდებლობით[1062] დადგენილი შეღავათები ტრანსპორტირების და კომუნალური ხარჯების გადახდისას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სისტემური კონტროლი გაუწიოს და აღმოფხვრას ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა; ამასთანავე, ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ, მიაწოდოს სახალხო დამცველის აპარატს;
- ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ზემოაღნიშნულ ქვედანაყოფებში[1063] დროულად ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები და ინვენტარიზაცია; აღმოიფხვრას ინფრასტრუქტურული პრობლემები და გაუმჯობესდეს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები; საცხოვრებელი და სამუშაო ოთახები სრულად აღიჭურვოს მწერებისგან დამცავი ბადით;
- უზრუნველყოს გარკვეულ ქვედანაყოფებში საკმარისი რაოდენობის წყლის დისპენსერების განთავსება;
- სამხედრო ფორმის ფეხსაცმელი ჩანაცვლდეს ახალი, მაღალი ხარისხის ფეხსაცმლით და გაიცეს წელიწადში ორჯერ - ზამთრის და ზაფხულის სეზონის შესაბამისად;
- ობიექტების დაცვის დეპარტამენტში ჩარიცხული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეებისთვის უზრუნველყოს საინფორმაციო საშუალებებზე სათანადო ხელმისაწვდომობა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სისტემური კონტროლი გაუწიოს და აღმოფხვრას ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, პასუხისმგებლობის

[1061] „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 14.
[1062] „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 19.
[1063] შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის: მე-3 სამმართველოს მე-2 განყოფილების მე-2 ქვეგანყოფილება; მე-3 სამმართველოს პირველი განყოფილების პირველი ქვეგანყოფილება; მე-2 სამმართველოს პირველი განყოფილების მე-3 ქვეგანყოფილება.

ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა; ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ მიაწოდოს სახალხო დამცველის აპარატს;

- სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის განყოფილებებში (გარდა მე-17 განყოფილებისა) ჩარიცხულ სამხედრო მოსამსახურეებს დამატებით აუნაზღაურდეთ კვებისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო თანხა.

27. კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

27.1. შესავალი

გასული წლების მსგავსად, 2021 წელი კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობისათვის კვლავ სირთულეებით აღსავსე აღმოჩნდა. დღემდე დაუსჯელები არიან 2014 წელს - დავით ბაშარულის, 2016 წელს - გიგა ოთხოზორიას, 2018 წელს - არჩილ ტატუნაშვილის და 2019 წელს ოკუპირებული აფხაზეთის, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის რუსულ სამხედრო ბაზაზე, საქართველოს მოქალაქის, ირაკლი კვარაცხელიას მკვლელობებში უშუალო მონაწილე საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები. უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება ოკუპირებულ რეგიონებში მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი, რის გამოც, ორივე რეგიონში ყოველწლიურად იკლებს მოსწავლეთა რაოდენობა. ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, მშობლებს უწევთ მუდმივი საცხოვრებლის დატოვება და შვილების საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში გადმოყვანა. კვლავ საგანგაშოა მდგომარეობა თავისუფალი გადაადგილების კუთხით. გარდა ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვისა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა გამყოფ ხაზზე გადაადგილებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის არსებობა. განსაკუთრებით ყურადსაღებია, 2019 წლის 4 სექტემბრიდან, გამშვები პუნქტის თვითნებური ჩაკეტვის შედეგად, ოკუპირებული ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე შექმნილი მძიმე მდგომარეობა და ჰუმანიტარული კრიზისი.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯარიაშენში, მეჯვრისხევში, ხურვალეთში, ასევე, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცში, ტახტისძირსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრემისხევში საოკუპაციო ძალების მიერ უკანონო „ბორდერიზაციის" პროცესის განახლება,[1064] რაც მნიშვნელოვნად აზიანებს ადგილზე არსებულ უსაფრთხოების გარემოს და ართულებს მკვიდრი მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფას.

27.2. პანდემიით გამოწვეული მდგომარეობა და ჯანმრთელობის უფლების დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობისა და ხელოვნური იზოლაციის პირობებში, პანდემიის დროს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა განსაკუთრებული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საქართველოს ხელისუფლებამ, კორონავირუსის გავრცელების პირველივე დღეებიდან, სრული მზადყოფნა გამოხატა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების დასახმარებლად. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კოვიდ ინფექციის საწინააღმდეგო აცრის შესაძლებლობა სპეციალურ პორტალზე დაურეგისტრირებლად, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებსაც მიეცათ.

[1064] საოკუპაციო თხრილები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3LzzCsS > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

თუმცა, საქართველოს ხელისუფლების ამ წინადადებაზე უარი განაცხადა როგორც დე ფაქტო აფხაზეთის[1065], ისე ცხინვალის ხელისუფლებამ.[1066] დე ფაქტო ხელისუფლებები მოსახლეობის ვაქცინაციის საკითხს, მხოლოდ მათი მოკავშირისა და სტრატეგიული პარტნიორის, რუსეთის ფედერაციის დახმარებით განიხილავდნენ.[1067] უფრო მეტიც, ოკუპირებული ცხინვალის ხელისუფლება, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით დაემუქრა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, თუკი ისინი საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე სამკურნალოდ ან ვაქცინაციისთვის გადმოსვლას დააპირებდნენ.[1068]

2022 წლის იანვრის მონაცემებით, ოკუპირებულ აფხაზეთში კოვიდ-19-ის 40, 875 დადასტურებული შემთხვევაა, გამოჯანმრთელდა 35, 413 ადამიანი, გარდაიცვალა 588.[1069] რაც შეეხება ოკუპირებულ ცხინვალს, ინფიცირების 11,276 შემთხვევაა აღნუსხული, 10, 362 გამოჯანმრთელდა, გარდაიცვალა 199 ადამიანი.[1070]

ოკუპირებული ცხინვალის რეჟიმის კატეგორიული უარყოფითი პოზიცია, დახმარება მიეღო საქართველოს ხელისუფლებისაგან, და გამშვები პუნქტის სრულად ჩაკეტვა, კიდევ უფრო ართულებს ადგილზე სამედიცინო მომსახურების მიღებას. შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, არაერთი ადამიანი გარდაიცვალა. მიუხედავად რთული ვითარებისა, კვლავ გამოწვევად რჩება ახალგორიდან მძიმე პაციენტების საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანა. დე ფაქტო ხელისუფლება განაგრძობს გადაადგილების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით უკანონო და დისკრიმინაციული შეზღუდვების დაწესებას.

სახალხო დამცველის შეფასებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაუმართავი სამედიცინო სერვისები და ინფრასტრუქტურა, მედპერსონალის კვალიფიკაციის არასახარბიელო დონე და მომსახურების მაღალი ფასები, ასევე, პაციენტთა გართულებული გადაადგილება გამყოფ ხაზზე, ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის უფლებაზე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა, ცდილობს, სამედიცინო დახმარება ოკუპირებული ტერიტორიების მიღმა მიიღოს.

[1065] აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ვაქცინაციას მხოლოდ რუსეთის დახმარებით განიხილავს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/34Nu8tz > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[1066]თბილისის წინადადება მოსახლეობის COVID-19-ისგან ვაქცინაციის შესახებ ცხინვალმაც უარყო. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3BfS19r > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[1067] აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ვაქცინაციას მხოლოდ რუსეთის დახმარებით განიხილავს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3JlTwWg > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[1068] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3HsRwdp > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[1069] COVID Cases Spike in Occupied Abkhazia, 2022, 26 იანვარი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36B6CBt > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[1070] ოკუპირებულ ცხინვალში კორონავირუსის შემთხვევები, 2022, 25 იანვარი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3uNDgcC > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

მიუხედავად დადგენილი შეზღუდვებისა, 2021 წლის განმავლობაში, ორივე ოკუპირებული რეგიონიდან, 1026 პაციენტის გადმოყვანა მოხერხდა, მათგან 571 კოვიდ ინფიცირებულის - აფხაზეთიდან და 29-ის - ცხინვალის რეგიონიდან.[1071]

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისთვის ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფო პროგრამები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისათვის.

2021 წლის განმავლობაში, „რეფერალური მომსახურების" ფარგლებში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან 1289 პაციენტი დაფინანსდა. მათგან, 1069 პირი - ოკუპირებული აფხაზეთიდან და 220 - ოკუპირებული ცხინვალიდან.[1072]

27.3. უსაფრთხოების საკითხები

27.3.1. უკანონო დაკავებები

საოკუპაციო ხაზზე, როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, კვლავ გრძელდება საქართველოს კონტროლირებად და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა დაკავებების მანკიერი პრაქტიკა. ოფიციალური მონაცემებით, 2021 წელს, საოკუპაციო ხაზზე, ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 70 პირი (აქედან, 1 არასრულწლოვანი, 59 კაცი და 10 ქალი), ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 11 პირი დააკავეს (აქედან, 9 კაცი და 2 ქალი).[1073]

კვლავ უკანონო პატიმრობაში რჩება საოკუპაციო რეჟიმის მიერ, ოკუპირებული გალის რაიონში უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქე ირაკლი ბებუა, რომელსაც დე ფაქტო სასამართლომ 9 წლით თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა მიუსაჯა.[1074] სახალხო დამცველის შეფასებით, საოკუპაციო რეჟიმმა კიდევ უფრო დაამძიმა ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთისთვის პირთა დაკავებების უკანონო პრაქტიკა. წინა წლებისგან განსხვავებით, როდესაც უკანონოდ დაკავებულების გათავისუფლება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგენით და შესაბამისი ჯარიმის დაკისრებით შემოიფარგლებოდა, ბოლო პერიოდში გახშირდა გრძელვადიანი უკანონო პატიმრობის შემთხვევები. 2022 წლის თებერვლის მდგომარეობით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო პატიმრობაში რჩება 7 მოქალაქე. ოკუპირებულ აფხაზეთში - ირაკლი ბებუა, ხოლო ოკუპირებულ ცხინვალში - ვლადიმერ კანიაშვილი, კახაბერ ნათაძე, მამუკა ჩხიკვაძე, ზაზა მეგრელიშვილი, თამაზ გოგიჩაშვილი და ლაშა ხეთერელი.[1075]

[1071] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2022 წლის 14 იანვრის №51 წერილი.

[1072] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის 21 თებერვლის №01/5079 წერილი.

[1073] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2022 წლის 24 იანვრის №SSG72200010807 წერილი.

[1074] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის 1 ოქტომბრის განცხადება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/39qTMnx > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[1075] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2022 წლის 22 თებერვლის №SSG12200027713 წერილი.

27.3.2. არასათანადო მოპყრობა

მოქალაქეთა უკანონო დაკავებებთან ერთად, სახალხო დამცველი, წლებია, თავის ყოველწლიურ ანგარიშებში ასევე საუბრობს[1076] ოკუპირებული ტერიტორიების დროებით იზოლატორებსა თუ საპყრობილეებში პატიმართა ცემის, მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის[1077] და წამების შესახებ.

2022 წლის თებერვალში, გარდაიცვალა საოკუპაციო რეჟიმის მიერ ე.წ. საზღვრის გადაკვეთისა და „ნარკოტიკული საშუალებების კონტრაბანდის" ბრალდებით უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქე გენადი ბესტაევი, რომელსაც ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო სასამართლომ 3 წლით უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გენადი ბესტაევს დე ფაქტო ცხინვალის ციხეში ინსულტი განუვითარდა.[1078]

საანგარიშო პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია 24 წლის ანრი ატეიბას შესახებ, რომელიც გაგრის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში ცემის შედეგად მიღებული ტრავმებით გარდაიცვალა.[1079]

საოკუპაციო რეჟიმის უკანონო ქმედებები უხეშად არღვევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებებსა და თავისუფლებებს. მართალია, საქართველოს სახალხო დამცველი ყველა საერთაშორისო ფორმატს იყენებს, რათა საერთაშორისო საზოგადოებას მაქსიმალურად მიეწოდოს ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა უმძიმესი მდგომარეობის შესახებ,[1080] თუმცა სახალხო დამცველის შეფასებით, უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაშვება და ვითარების ადგილზე შეფასება.

საერთაშორისო დისკუსიების ფორმატში, კვლავ მუდმივად განიხილება, 2008 წლის ომის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგული ხუთი ეთნიკურად ოსი პირის ადგილსამყოფელი, მათ შორის, ერთი არასრულწლოვნის საქმე, რომლებიც 2008 წლის აგვისტო-ოქტომბრის მონაკვეთში, სავარაუდოდ, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გაუჩინარდნენ.[1081] მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო ორგანოებმა 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ პერიოდში, სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საქმეების გამოძიება წარმართონ ეფექტიანად, შემჭიდროებულ ვადებში.

[1076] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

[1077] სახალხო დამცველის 2019 წლის 25 ოქტომბრის განცხადება ცხინვალის დმი-ში პატიმრების ცემისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/37P3SNj > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[1078] გენადი ბესტაევი სამთვიანი მკურნალობის შემდეგ კლინიკაში გარდაიცვალა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tRBvZF > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[1079] ოკუპირებულ აფხაზეთში აღშფოთება მოჰყვა პოლიციაში 24 წლის ანრი ატეიბას თვითმკვლელობამდე მიყვანას. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/36hj9JG > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[1080] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 25 ოქტომბრის განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2W7hYEl > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[1081] ვრცლად იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, 848.

27.4. გადაადგილების თავისუფლების საკითხი და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები

ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა თავისუფალი გადაადგილების უფლება. დე ფაქტო ორგანოებისა და რუსეთის სასაზღვრო ძალების მიერ დადგენილი ფორმალური რეჟიმი, ხელოვნური მიზეზების დასახელებით ზღუდავს ადგილობრივ მკვიდრთა გადაადგილებას, პერიოდულად კი, ე.წ. გამშვები პუნქტები სრულად იკეტება. საგანგაშოა მდგომარეობა ოკუპირებულ ახალგორში. 2019 წლის 4 სექტემბრიდან, ოკუპირებული ახალგორის მიმართულებით დე ფაქტო ხელისუფლებამ სრულად ჩაკეტა[1082] ე.წ. გამშვები პუნქტი, რომლითაც ყოველდღიურად 400-მდე ადამიანი სარგებლობდა.[1083] შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობა სრულ იზოლაციაში მოექცა და იქ მცხოვრებთა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.

ამ დროისთვის ენგურის ხიდზე არსებული ე.წ. გამშვები პუნქტი ორმხრივად გახსნილია, თუმცა კვლავ გარკვეული შეზღუდვებით. დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2022 წლიდან ოკუპირებულ გალში მცხოვრებ ადამიანებს, გადაადგილება ე.წ. ფორმა №9-ით აეკრძალათ.[1084]

დე ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლების მიერ ფორმა №9-ით სარგებლობის აკრძალვა ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი ბარიერის შექმნას ემსახურება. გალში მცხოვრებთა დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება ბინადრობის მოწმობის აღებას, რომელიც მათ უცხოელის სტატუსს ანიჭებს. ბინადრობის მოწმობას მკაცრი კრიტერიუმები და 5-წლიანი ვადა აქვს, რაც გალელთა მიმართ, შესაძლოა, დამატებით ზეწოლის მექანიზმადაც გამოიყენონ. ის ასევე არ ანიჭებს ამ დოკუმენტის მქონე პირს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

2017 წლამდე, ფორმა №9-ით დაახლოებით 12 000 პირი სარგებლობდა. 2017 წლის შემდეგ, დე ფაქტო ადმინისტრაციამ კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა, როდესაც ძველი აფხაზური პასპორტები ხმარებიდან ამოიღო, ხოლო ფორმა №9-ის ბინადრობის მოწმობით ჩანაცვლების გადაწყვეტილება მიიღო.[1085]

ამ ეტაპზე, ენგურის ხიდზე არსებულ ე.წ. გამშვებ პუნქტზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი დოკუმენტებით: 1) დე ფაქტო (ახალი) პასპორტი;[1086] 2) ე.წ. ბინადრობის მოწმობა; 3) 14 წლამდე პირებისთვის - დაბადების მოწმობა; 4) გადაადგილება ასევე

[1082] ვითარება 2019 წლის აგვისტოს ბოლოდან დაიძაბა მას შემდეგ, რაც საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს ხელისუფლებისგან ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანასთან გახსნილი პოლიციის საგუშაგოს აღება მოითხოვა.

[1083] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის წერილი №SSG 6 20 00131318.

[1084]გალში მცხოვრებ 5 ათასამდე ადამიანს ახალი საბუთის აღება მოუწევს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/350Gqit > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[1085] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

[1086] ძველი დე ფაქტო პასპორტები 2014 წელს ჩამოერთვათ.

დასაშვებია ქართული პასპორტით იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის ნებართვა (ე.წ. ვიზა).

რაც შეეხება დე ფაქტო პასპორტს, რადგანაც გალის რაიონის მცხოვრებლები საქართველოს მოქალაქეები არიან, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება მათზე ე.წ. აფხაზურ პასპორტს არ გასცემს, თუ ისინი საქართველოს მოქალაქეობაზე უარს არ იტყვიან. საქართველო და საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებენ აფხაზურ მოქალაქეობას, შესაბამისად, მხოლოდ აფხაზური პასპორტის მქონე პირი, მოქალაქეობის არმქონე პირად ჩაითვლება, ხოლო საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის სანაცვლოდ აფხაზური პასპორტის აღების შეთავაზება, ფაქტობრივად, ამ პირთა აპატრიდებად ქცევას ნიშნავს.

2021 წლის მონაცემებით, ოკუპირებული გალის რაიონში 20 224 ადამიანი ფლობს ე.წ. ბინადრობის მოწმობას, ხოლო 1 065 ადამიანი - დე ფაქტო პასპორტს. რაც შეეხება ოკუპირებულ ახალგორს, 2020 წლის ბოლოს, დე ფაქტო საპასპორტო სამსახურის წარმომადგენლების ინფორმაციით, რაიონის მოსახლეობის დაახლოებით 80% ფლობს ე.წ. პასპორტს. 2021 წელს 43 დე ფაქტო პასპორტი გაიცა.[1087]

ახალგორის რაიონში, 2020 წლის მსგავსად, ე.წ. „გამშვებ პუნქტზე" გადასაადგილებლად, აუცილებელია „საშვი", რომელსაც დე ფაქტო ცხინვალის უშიშროების სამსახური გასცემს. პროცედურის თანახმად, დაინტერესებული პირი აკეთებს მიმართვას, სადაც ასაბუთებს ამ „დოკუმენტის" საჭიროებას. რეალურად ეს ე.წ. „საშვები" გაიცემა გარკვეული ოდენობის თანხის ქრთამის სახით გადახდის შედეგად, რომელსაც ე.წ. უშიშროების სამსახურის თანამშრომლები ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ითხოვენ.[1088]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თვითნებური შეზღუდვები, რომლებსაც დე ფაქტო ხელისუფლებები გადაადგილების თავისუფლებაზე აწესებენ, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სხვადასხვა უფლებით სარგებლობაზეც უარყოფითად აისახება. მათ შორის, ჯანდაცვის, განათლების უფლებით სარგებლობაზე, უსაფრთხოების, ცხოვრების სათანადო დონის, ოჯახური ცხოვრების უფლებასა და რელიგიის თავისუფლებაზე.

27.5. განათლების უფლება

საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო დამძიმდა მშობლიურ ენაზე განათლებაზე წვდომის საკითხი ოკუპირებულ გალში. დე ფაქტო განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სრულად აიკრძალა ქართულ ენაზე სწავლება,[1089] მათ შორის, მე-11 კლასშიც და მშობლიური ენა, უცხო ენისა და ლიტერატურის მსგავს საგნად გადაკეთდა.[1090] განათლების

[1087] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2022 წლის 1 მარტის №333 წერილი.

[1088] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2020 წლის 27 ოქტომბრის №1310 წერილი.

[1089] 2021 წლამდე, ქართულ ენაზე სწავლება დაშვებული იყო მე-11 კლასში. ამ ეტაპზე სრულად არის აკრძალული.

[1090] გალის სკოლებში ქართული ენის სრულად აკრძალვა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33jAPmH > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

უფლების რეალიზების კუთხით არსებულ გამოწვევებზე სახალხო დამცველი, წლებია, თავის ყოველწლიურ ანგარიშებში დეტალურად საუბრობს.[1091]

2021-2022 სასწავლო წლის მონაცემებით, ოკუპირებული გალის რაიონში 30 სრული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 9 სკოლამდელი დაწესებულება, 5 სახელოვნებო სკოლა ფუნქციონირებს. სკოლებში, 2022 წლის იანვრის მდგომარეობით, მოსამზადებლიდან მე-11 კლასის ჩათვლით, 3797 მოსწავლე ირიცხება.[1092] მათი რიცხვი 2020-2021 სასწავლო წლის მონაცემებით, 3803 იყო.[1093] 30-ვე სკოლაში დასაქმებულია 961 მასწავლებელი და ტექნიკური პერსონალი. საბავშვო ბაღებში ირიცხება 509 აღსაზრდელი.[1094] 2020-2021 წლებში ეს რიცხვი 557-ს შეადგენდა.[1095] როგორც ვხედავთ, წლიდან წლამდე იკლებს მოსწავლეების რაოდენობა.



ოკუპირებული გალის რეგიონში, პანდემიის პირობებში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ონლაინ სწავლება. 2019 წელს ჩარიცხული 110 სტუდენტიდან, სავალდებულო კრედიტების უქონლობის გამო, 2020-2021 წლებში 47 სტუდენტს შეუჩერდა დაფინანსება. მიზეზად უმრავლესობა ინტერნეტთან და კომპიუტერთან გართულებულ წვდომას ასახელებს.[1096]

[1091] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3oFHLCf > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

[1092] აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2022 წლის 25 იანვრის №MES3220000062943 წერილი.

[1093] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

[1094] აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2022 წლის 25 იანვრის №MES3220000062943 წერილი.

[1095] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

[1096] აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2022 წლის 25 იანვრის №MES3220000062943 წერილი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების საკითხიც.[1097] აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების აღიარების კომისიამ, წარდგენილი სასკოლო დოკუმენტების განხილვის შედეგად, 2021 წელს 294 მოსწავლის მიერ მიღებული სრული განათლება აღიარა.[1098]

პრობლემურ საკითხად რჩება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომუშავე მასწავლებლების პროფესიული გადამზადებისა და განვითარების საკითხი, რომელიც პანდემიის პირობებში კიდევ უფრო დამძიმდა. 2021 წლის განმავლობაში, სამწუხაროდ, მსგავსი ტიპის ტრენინგები/აქტივობები არ განხორციელებულა.[1099]

რაც შეეხება ოკუპირებულ ახალგორს, 2021 წელს, მოსწავლეების არარსებობის გამო, 1 ქართული სკოლა დაიხურა (ახმაჯის სკოლა). 2020 წლის ჩათვლით ფუნქციონირებდა 7 ქართული სკოლა. ამ ეტაპზე, ფუნქციონირებს მხოლოდ 6 ქართული სკოლა. 2021 წლის სასწავლო წლის მონაცემებით, ახალგორის ქართულ სკოლებში, ჯამურად 58 მოსწავლე ირიცხება და 115 პედაგოგია დასაქმებული. 2020 წელს 63 მოსწავლე იყო.[1100] 6 სკოლიდან, 5 სკოლაში ისწავლება ქართულ ენაზე და ისიც მხოლოდ მე-9-დან მე-11 კლასამდე,[1101] მაშინ როცა 2020 წელს, ქართულ ენაზე სწავლება დაშვებული იყო მე-7 კლასიდან.[1102] დანარჩენ შემთხვევებში, ქართულ ენას კვირაში მხოლოდ ხუთი საათი ეთმობა. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, ყველა სკოლაში განათლების მიღება მხოლოდ რუსულ ენაზე დაიშვება.[1103] ყოველივე ეს მიუთითებს, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებულია.

[1097] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №147 ბრძანება.

[1098] აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2022 წლის 25 იანვრის №MES3220000062943 წერილი.

[1099] სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 17 იანვრის №MES3220000029733 წერილი.

[1100] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

[1101] სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის განათლების სამსახურის მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მოწოდებული ინფორმაცია, იანვარი, 2022 წელი.

[1102] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

[1103] სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის განათლების სამსახურის მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მოწოდებული ინფორმაცია, თებერვალი, 2021 წელი.

ყოველწლიურად მცირდება ახალგორის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა. 2021 სასწავლო წელს, ახალგორის 6 სკოლიდან, 2-ს საერთოდ არ ჰყავდა პირველკლასელი.

სკოლის დასახელება/მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	სულ
ახალგორის ქართული	4	0	2	4	2	2	6	2	5	3	5	34
ახალგორის რუსული	8	7	11	5	8	7	6	6	6	3	6	73
იკოთი	1	1	1	1	3	1	1	2	1	1	1	14
ბალაანი	0	0	0	0	0	0	1	0	2	0	0	3
კორინთა	1	0	0	0	0	0	1	0	0	1	0	3
ზემო ბოლო (საბაზო)	0	1	0	0	0	1	0	1	1	0	0	4
სულ	14	9	14	10	12	11	15	11	15	8	12	131

წინა წლების მსგავსად, დე ფაქტო ცხინვალის უშიშროების კომიტეტი კვლავ მიმართავს მასწავლებლებისა და მოსწავლეების დაშინების პრაქტიკას. ახალგორის ქართული სკოლის დირექტორი, თანამდებობიდან გათავისუფლეს, რადგან წეროვანის დევნილთა დასახლებიდან ახალგორში სასწავლებლად გადასული მოსწავლეების სკოლიდან გარიცხვაზე უარი თქვა.[1104]

[1104] ახალგორის ქართული სკოლის ყოფილი დირექტორი საკუთარი უფლებების დასაცავად იბრძვის. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3uNnXR4 > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

ზემოაღნიშნული ფაქტები ადასტურებს, რომ ოკუპირებულ რეგიონებში, წლების განმავლობაში, მიზანმიმართულად მიმდინარეობს ეთნიკურად ქართულ მოსახლეობაზე ზეწოლის პოლიტიკა და მათი ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია. ეს გამოიხატება, პირველ რიგში, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობის შეზღუდვაში. ოკუპირებულ რეგიონებში განათლების კუთხით არსებულ გამოწვევებზე, სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს თავის ყოველწლიურ ანგარიშებში.[1105]

რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებზე უმაღლეს განათლებას, საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანების საფუძველზე,[1106] ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაუბარებლად, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2021 წელს, ოკუპირებული რეგიონებიდან 1829 პირი ჩაირიცხა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კი - 3 პირი.[1107]

ოკუპირებული აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ აბიტურიენტთაგან 2021 წელს სახელმწიფო სასწავლო გრანტი, გამოცდების ქულების შესაბამისად, 402-მა სტუდენტმა მოიპოვა. ონლაინ რეჟიმში ტრეინინგები ჩაუტარდა ოკუპირებული გალის რაიონის 46 მასწავლებელს, რომელთაც ეროვნული გამოცდებისათვის მოამზადეს 420 აბიტურიენტი.[1108]

რაც შეეხება ოკუპირებულ ახალგორში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების საკითხს, წარდგენილი სასკოლო დოკუმენტების განხილვის შედეგად, 2021 წელს 17 მოსწავლის მიერ მიღებული სრული განათლება აღიარეს.[1109]

კვლავ გამოწვევად რჩება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომების აღიარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. დე ფაქტო ხელისუფლებები მათ არ აღიარებენ. შესაბამისად, ახალგაზრდებს უჭირთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დასაქმება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ისინი დამკვიდრებას თბილისში ან სხვა ქალაქში ცდილობენ, რაც ოჯახების ხელოვნურად გაყოფას იწვევს.

[1105] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

[1106] 2020 წლის 7 ივლისს №77 ბრძანებით დამტკიცდა ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები აბიტურიენტების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გაუვლელად ჩარიცხვისა და დაფინანსების წესი. ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის უფლება აქვთ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ.

[1107] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 28 თებერვლის №Mes 2220000207077 წერილი.

[1108] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 28 თებერვლის №Mes2220000207077 წერილი.

[1109] სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის განათლების სამსახურის მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მოწოდებული ინფორმაცია, იანვარი 2022 წელი.

27.6. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისა და გოგოების უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად აკვირდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების, განსაკუთრებით, ქალებისა და გოგოების უფლებრივ მდგომარეობას.

გასული წლები, საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისთვის. COVID-19 პანდემიის სოციალური და ეკონომიკური გავლენები მათზე განსაკუთრებულად ნეგატიურად აისახა. პანდემიის თავიდან ასარიდებლად შემოღებულმა რეგულაციებმა დამატებითი ბარიერები შეუქმნა მათ, რაც გადაადგილების უფლების, საკუთარ საცხოვრებელსა და ბაზისურ სერვისებზე შეზღუდულ წვდომაში გამოიხატებოდა.

დადებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ახალი ინსტიტუციონალიზებული მექანიზმის[1110] შექმნა, რომლის მიზანია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებებზე ეფექტიანი რეაგირების მოხდენა. ამასთანავე, სამშვიდობო მოლაპარაკებების შეხვედრების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალების გამოწვევებსა და საჭიროებებს.[1111] ვიმედოვნებთ, რომ შეხვედრებზე დასახელებული გამოწვევების საპასუხოდ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში კვლავ გრძელდება სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში მცირე გრანტებით დაფინანსების შესაძლებლობა, რომელიც მიმართულია კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, მწირია ამ პროგრამებით მოსარგებლე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალების რაოდენობა.[1112] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, მსგავსი პროექტები[1113] ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში, ე.წ. გამშვები პუნქტების გრძელვადიანი დაკეტვისა და რეგიონის სრული იზოლაციის გამო, 2019 წლიდან ვერ ხორციელდება,

კვლავ უცვლელია მდგომარეობა და გამოწვევას წარმოადგენს ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების კუთხით არსებული მდგომარეობა, რაც გამოიხატება კონტრაცეპტივებზე, სამშობიარო სახლებზე გართულებულ წვდომაში, მათ შორის, აფხაზეთის რეგიონში აბორტის სერვისის მიღების სრულ აკრძალვაში.

[1110] „საკონსულტაციო პლატფორმა მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალთა ეფექტიანი მონაწილეობის გაძლიერების საკითხებზე".

[1111] ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე ჰუმანიტარული და უფლებრივი მდგომარეობა, პანდემიის შედეგად გართულებული სოციალურ-ეკონომიკური პირობები, სამედიცინო დახმარებასა და საარსებო წყაროებზე შეუფერხებელი წვდომის საჭიროება და სხვ.

[1112] პროექტების ბენეფიციარები აფხაზეთის რეგიონის გალის, ოჩამჩირისა და გაგრის რაიონების მცხოვრებლები არიან (32 ქალი და 59 კაცი).

[1113] „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის."

კვლავ პრობლემურია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და ძალადობის მსხვერპლთათვის, დროული და ადეკვატური სერვისების შეთავაზება, რაც გამოწვეულია ადგილზე დე ფაქტო სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მხრიდან ამ პრობლემისადმი მგრძნობელობისა და სერვისების ნაკლებობით.[1114]

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს:

- აწარმოოს მოლაპარაკებები, ყველა შესაძლო ფორმატის გამოყენებით, რათა საოკუპაციო რეჟიმებმა, საოკუპაციო ხაზის მთელ პერიმეტრზე უკანონო შეზღუდვების მოხსნის გზით და ე.წ. გადასასვლელების შეუფერხებელი მუშაობით, დაიცვან მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება;
- აწარმოოს მოლაპარაკებები, ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, რათა რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დაუშვას საერთაშორისო მონიტორების სრული და შეუზღუდავი წვდომა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს:

- გაგრძელდეს ქართული ენის სწავლება ცენტრალური ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ ან დაფინანსებულ საზაფხულო ბანაკებსა და საზაფხულო სკოლებში ოკუპირებული ტერიტორიიდან მონაწილე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის; სტუდენტებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის პარალელურად, შეეთავაზოთ ქართული ენის სასწავლო პროგრამები
- შემუშავდეს სტიპენდიის ან/და საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა სტუდენტებისათვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რათა გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მათ შეძლონ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- განახლდეს ამბულატორიული დიაგნოსტირების ხარჯის დაფინანსება ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, რომელიც 2017 წლამდე ფინანსდებოდა;
- პაციენტებისათვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეფექტიანად მისაწოდებლად, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

[1114] კვლევა „COVID-19 პანდემიის გავლენა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგოებზე“, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IQyQ8b > [ბოლოს ნანახია 30.03.2022].

გადაიხედოს რეფერალური კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების დრო და შემთხვევები განიხილოს უმოკლეს ვადაში;

- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომუშავე ექიმები ჩართოს გადამზადების იმ პროგრამებში, რომლებსაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მომუშავე ექიმები გადიან, ასევე, გაზარდოს მხარდაჭერა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო პერსონალისათვის.

28. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა

28.1. შესავალი

2021 წლის ბოლოს მონაცემებით, საქართველოში 289 925 დევნილი პირი და 91 627 დევნილი ოჯახია რეგისტრირებული. სახელმწიფოს 45 724 ოჯახი ჰყავს განსახლებული, ხოლო 45 903 ოჯახს დადგენილი წესით შევსებული აქვს განაცხადი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მოთხოვნით და ელის განსახლებას. საანგარიშო პერიოდში საცხოვრებლით უზრუნველყოფილი დევნილი ოჯახების რაოდენობა 3 130-ს უტოლდება, ხოლო მათგან 656 ოჯახზე გაცემულია ადმინისტრაციული დაპირება გრძელვადიანი საცხოვრებლით პირველივე შესაძლებლობისთანავე უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.[1115] 2021 წელს, გასულ წლებთან შედარებით, მაღალი იყო გრძელვადიან განსახლებულთა რიცხვი. კერძოდ, 2020 წელს 1977,[1116] ხოლო 2019 წელს 2097[1117] ოჯახი განსახლდა. 2021 წლის განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დევნილთა მომართვიანობა უმეტესად სწორედ საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხებს უკავშირდებოდა.

საანგარიშო წელს მთავარი გამოწვევა კვლავ ე.წ. ნგრევად ობიექტებში მცხოვრები ოჯახების მდგომარეობაა. ამ კუთხით ვითარება არ გაუმჯობესებულა, პირიქით, 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან ბევრად ნაკლები დევნილი ოჯახი განსახლდა. ამასთანავე, ამ დრომდე არ შემუშავებულა ე.წ. ნგრევად შენობებში მცხოვრებ დევნილთა განსახლების სპეციალური წესები, არც მძიმე მდგომარეობაში მყოფი შენობების მდგრადობის პროაქტიული გადამოწმება ტარდება. საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა მძიმე საცხოვრებელ პირობებში მცხოვრები ოჯახების უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების ტენდენცია. ერთი მხრივ, ასეთ გარემოში ცხოვრება აღარ არის დროებით განსახლების - ქირით უზრუნველყოფის საფუძველი, ხოლო, მეორე მხრივ, პრაქტიკაში, გრძელვადიანი განსახლების საკითხის განხილვისას, ამავე კრიტერიუმში წინასწარ მინიჭებული ქულების დაუსაბუთებლად გაუქმების შემთხვევებიც გამოიკვეთა.

28.2. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები

საანგარიშო პერიოდში შეიცვალა დევნილთა განსახლების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტი.[1118] ახალი რეგულაციით იმ დევნილებს, რომლებსაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე უშუალოდ შეეხოთ დევნა, განსახლების პროცესში დამატებითი ქულა ენიჭებათ.[1119] გარდა ამისა, გაიზარდა ე.წ. სოფლად სახლის შესაძენად სულადობის

[1115] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2022 წლის 16 თებერვლის №03/3515 წერილი.

[1116] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 1 მარტის №03/3334 წერილი.

[1117] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 31 იანვრის №03/2060 წერილი.

[1118] 2021 წლის 8 აპრილიდან დევნილთა განსახლების საკითხებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-30/ნ ბრძანება არეგულირებს.

[1119] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანება, დანართი №8.

მიხედვით გათვალისწინებული თანხის ლიმიტი.[1120] ამ ცვლილებებს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის ცვლილებებიც, რომლებიც აუარესებს დევნილთა უფლებრივ მდგომარეობას.

გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილ დევნილებს ქონების გადაცემიდან 3 წლის განმავლობაში ეკრძალებათ მათთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების გასხვისება.[1121] ამგვარი შეზღუდვა შესაძლოა იყოს საკუთრების უფლებაში არაპროპორციული ჩარევა და არ ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს - დაიცვას დევნილი ოჯახი უსახლკაროდ დარჩენისაგან.

ამასთანავე, ცვლილებების მიხედვით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში ცხოვრება აღარ არის დროებით საცხოვრებლით - ქირით უზრუნველყოფის საფუძველი.[1122] მძიმე საცხოვრებლად მიიჩნევა გარემო, როდესაც „დევნილი ოჯახი ცხოვრობს ავტოფარეხში, შენობის კიბის უჯრედში, საყარაულო ჯიხურში, თვითნაკეთებ ხის/ფიცრულ შენობაში, მიწურში, სარდაფში ან იმ ტიპის შენობაში, რომლის რეაბილიტაცია და სათანადო საცხოვრებელ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა შეუძლებელია.[1123] იმ პირობებში, როდესაც ქირით უზრუნველყოფის მიზანი ყველაზე მოწყვლადი დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების დროებით გაუმჯობესებაა, ხოლო მძიმე საცხოვრებელ პირობებში მცხოვრები ოჯახების შემთხვევაში, განსაკუთრებით დგას ეს საჭიროება და არ არსებობს რესურსი (ბინა), სადაც დევნილის გრძელვადიანი განსახლება იქნებოდა შესაძლებელი, ქირის საკომპენსაციო თანხის მიმღებ პირთა წრიდან მათი ამორიცხვა კიდევ უფრო გააუარესებს ასეთ გარემოში მცხოვრები ოჯახების უფლებრივ მდგომარეობას

28.3. დევნილთა გრძელვადიანი განსახლება

დევნილთა გრძელვადიანი განსახლება სხვადასხვა პროგრამის[1124] მეშვეობით ხორციელდება. 2021 წლის ბოლომდე არსებული პრაქტიკით, სათანადო რესურსის არარსებობის გამო, ოჯახების ნაწილი, ახალაშენებულ ან რეაბილიტირებულ შენობებში

[1120] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანება, დანართი №1, მე-4 მუხლი, მე-2 პუნქტის მიხედვით, 22 000 ლარი – ოჯახზე, რომელიც შედგება 1 წევრისაგან; 25 000 ლარი – ოჯახზე, რომელიც შედგება 2 წევრისაგან; 28 000 ლარი – ოჯახზე, რომელიც შედგება 3 წევრისაგან; 31 000 ლარი – ოჯახზე, რომელიც შედგება 4 წევრისაგან; 34 000 ლარი – ოჯახზე, რომელიც შედგება 5 წევრისაგან; 37 000 ლარი – ოჯახზე, რომელიც შედგება 6 წევრისაგან;
40 000 ლარი – ოჯახზე, რომელიც შედგება 7 წევრისაგან; ყოველ შემდგომ წევრზე – 3000 ლარი.

[1121] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანება, №1 დანართი, მე-3 მუხლი, მე-17 პუნქტი.

[1122] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანება, №1 დანართი, მე-7 მუხლი, მე-6 პუნქტი.

[1123] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანება, №7 დანართი, „ბ" ქვეპუნქტი.

[1124] ახალაშენებულ ან რეაბილიტირებულ შენობებში განსახლების, კერძო საცხოვრებლის შესყიდვის - ე. წ. „სოფლად სახლის", ვეტერანი დევნილების განსახლების, დევნილთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებლების მშენებლობითა და მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართების დაკანონების პროექტების მეშვეობით.

განსახლებაზე დადებით გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული დაპირების[1125] სახით იღებდა, რაც, მისი დროული აღსრულების თვალსაზრისით, პრობლემებს წარმოშობდა. ამიტომ, საანგარიშო წლის ბოლოს, იმ დევნილებს, რომლებიც ასეთ დოკუმენტს ფლობდნენ, შესაძლებლობა მიეცათ თავად მოეძებნათ საცხოვრებელი ფართი, სახელმწიფო კი, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში განახორციელებდა შესყიდვას.[1126]

2021 წლის განმავლობაში ახალაშენებულ ან რეაბილიტირებულ შენობებში დევნილთა გრძელვადიანი განსახლება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა და ჯამში 1383 ოჯახი განსახლდა.[1127] განსახლების პროცესზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ახალაშენებულ ან რეაბილიტირებულ შენობებში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების დაგეგმვისას, მხედველობაში არ მიიღება კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში განსახლების მოთხოვნა. შესაბამისად, განსახლების პროგრამებს არათანმიმდევრული ხასიათი აქვს და დევნილთა მოთხოვნებს არ შეესაბამება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აპარატში ამ დრომდე მაღალია ე.წ. სოფლად სახლის განსახლების პროგრამაში მონაწილე დევნილთა მომართვიანობა, თუმცა, დროის გაჭიანურების მიუხედავად, ისინი ჯერ კიდევ არ ფლობენ საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას.

სამწუხაროდ, შენარჩუნებულია განსახლების თაობაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობის ტენდენცია, რასაც „მძიმე საცხოვრებელ" პირობებში ცხოვრების გამო წინასწარ მინიჭებული ქულის გაუქმების კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკაც ემატება. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ გარემოში მცხოვრებ ოჯახებს მოქმედი კანონმდებლობა პრიორიტეტს ანიჭებს,[1128] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ ზოგიერთ საქმეში გამოვლინდა ოჯახებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ქულის დაუსაბუთებლად გაუქმების შემთხვევები,[1129] რაც უშუალოდ უარყოფითად აისახა ასეთ გარემოში მცხოვრებ ოჯახებზე, ვინაიდან, ზოგიერთ შემთხვევაში, სწორედ ამ ქულაზე იყო დამოკიდებული დადებითი გადაწყვეტილების მიღება.

28.4. სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა განსახლება

2021 წლის ბოლოს მონაცემებით, 46 მომეტებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი ობიექტია, სადაც 1410 დევნილი ოჯახი ცხოვრობს.[1130] საანგარიშო პერიოდში შემცირდა ე.წ. ნგრევადი ობიექტებიდან განსახლებული ოჯახების რაოდენობა.

[1125] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება.

[1126] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანება, №1 დანართი, მე-3 მუხლი, 21-ე პუნქტი.

[1127] სიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2022 წლის 16 თებერვლის №03/3515 წერილი.

[1128] საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე განაცხადის შეფასების შედეგად დამატებით 2 ქულის მინიჭება.

[1129] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 15 ოქტომბრის №04-9/9836 რეკომენდაცია.

[1130] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2022 წლის 8 თებერვლის №03/2238 წერილი.

კერძოდ, 2021 წელს 20 ე.წ. ნგრევადი ობიექტი დაიხურა, საიდანაც 531 ოჯახი განსახლდა.[1131] რაც 76 ობიექტითა და 180 ოჯახით ნაკლებია 2020 წლის მონაცემებთან შედარებით.[1132] განსახლებული ოჯახების შემცირების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი პრიორიტეტულად მიიჩნევს მსგავსი ობიექტებიდან დევნილთა დროულ უსაფრთხო ადგილას განსახლებას და ამ მიმართულებით ყველა შესაძლო რესურსის მობილიზებას.

გარდა იმისა, რომ შემცირებულია განსახლებული ოჯახების რაოდენობა, მდგომარეობას აუარესებს ისიც, რომ სააგენტო საკუთარი ინიციატივით ამ დრომდე არ ამოწმებს შენობების მდგრადობას, რაც ხელს უშლის სახელმწიფოს, ერთი მხრივ, ჰქონდეს სრულყოფილი მონაცემები ე.წ. ნგრევადი ობიექტების რაოდენობის შესახებ და ეფექტიანად გეგმავდეს ამგვარი ობიექტებიდან დევნილთა განსახლებას, მეორე მხრივ კი, გადაუმოწმებელ ობიექტებში მცხოვრებ ოჯახებს უხანგრძლივდებათ სიცოცხლისათვის საშიშ გარემოში ცხოვრება.

რეკომენდაციები

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს:

- აღირიცხოს დევნილთა განსახლების ყველა ის ობიექტი, რომელთან დაკავშირებითაც არ არსებობს საექსპერტო შეფასება, მაგრამ მათი მდგრადობა, შესაძლოა, საფრთხის შემცველი იყოს მობინადრეთათვის და პროაქტიულად შემოწმდეს ისინი საექსპერტო შეფასების გზით;
- 2022 წელს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ყოფილი კოლექტიური განსახლების ობიექტებიდან, გრძელვადიანად განსახლდეს არანაკლებ 550 დევნილი ოჯახი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შევიდეს ცვლილებები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანებაში და გაუქმდეს საცხოვრებლით უზრუნველყოფილი დევნილებისათვის ქონების გასხვისების 3 წლიანი აკრძალვა.

[1131] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2022 წლის 1 მარტის №03/4535 წერილი.
[1132] 2020 წელს 96 ე.წ. ნგრევადი ობიექტი დაიხურა, საიდანაც 711 დევნილი ოჯახი განსახლდა. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 451.

29. ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა

29.1. შესავალი

საანგარიშო პერიოდში ეკომიგრანტთა შესასყიდი საცხოვრებელი სახლისათვის გათვალისწინებული თანხის ლიმიტის გაზრდა და ოჯახების ქირით უზრუნველყოფის შესაძლებლობის ამოქმედება პოზიტიური სიახლეები იყო, თუმცა ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა. 2021 წლის ბოლოს მონაცემებით, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა გაიზარდა და 7866 ოჯახი შეადგინა. მათგან, სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 2882 ოჯახი.[1133] ძირითად გამოწვევად განსახლებისთვის გამოყოფილი თანხების სიმცირე და ეკომიგრაციის გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარების ნაკლებობა რჩება.

29.2. ეკომიგრანტთა განსახლება

საანგარიშო პერიოდში განსახლების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილება 386 ოჯახთან დაკავშირებით მიიღეს, თუმცა მხოლოდ 327 საცხოვრებლის შესყიდვა მოხერხდა.[1134] სამწუხაროა, 2021 წელს მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების რიცხვის შემცირება.[1135] ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობის ზრდასთან ერთად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია გაიზარდოს განსახლებული ოჯახების რაოდენობაც.

2021 წელს კვლავ არ დასრულებულა 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებული 1062 ოჯახიდან[1136] მხოლოდ 812[1137] ოჯახს აქვს უძრავი ქონება საკუთრებაში გადაცემული.

[1133] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2022 წლის 11 თებერვლის №03/3114 წერილი.

[1134] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2022 წლის 11 თებერვლის №03/3114 წერილის მიხედვით, შეძენილია 277 საცხოვრებელი სახლი. ხოლო აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის 27 იანვრის №05/359 წერილის მიხედვით, შეძენილია 50 საცხოვრებელი სახლი.

[1135] 2020 წელს 482 დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს.

[1136] საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, 620.

[1137] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 456 და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2022 წლის 11 თებერვლის №03/3114 წერილი.

რაც შეეხება მაღალი რისკის ქვეშ მცხოვრებ ოჯახებს, 2021 წელს შესაბამისი უწყებების მიერ, მომეტებული საფრთხის ქვეშ ცხოვრების შესახებ[1138] დასკვნა 715 ოჯახზე გაიცა.[1139] იმ პირობებში როდესაც, მხოლოდ 2021 წელს უსაფრთხო ადგილას განსახლების აუცილებლობის თაობაზე 715 ოჯახზე გაიცა დასკვნა, აღნიშნულს ემატება გასულ წლებში გამოვლენილი გადაუდებელი განსახლების საჭიროების მქონე სხვა ოჯახებიც და ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, ეკომიგრანტთა განსახლების კუთხით გამოყოფილი რესურსი არასაკმარისია და სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ეს თანხა აუცილებლად უნდა გაიზარდოს.

29.3. ეკომიგრაციის პრევენცია

ასევე არ გაუმჯობესებულა ეკომიგრაციის პრევენციასთან დაკავშირებული მდგომარეობა. ადგილობრივი თვითმმართველობები არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას ეკომიგრაციისა და პრევენციული ღონისძიებების თაობაზე. მუნიციპალიტეტების უმრავლესობა არ ზრუნავს ეკომიგრაციის თავიდან არიდებაზე და მხოლოდ ზიანის დადგომის შემდეგ რეაგირებს. ზიანის შემდგომ გატარებული ღონისძიებები კი სალიკვიდაციო ხასიათისაა და არ ატარებს პრევენციულ ხასიათს.

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, გაცემულ დასკვნებში გაწერილი აქვთ ის ღონისძიებები, რაც საჭიროა გეოლოგიური პროცესების თავიდან ასარიდებლად. ამის მიუხედავად, ზოგიერთი მუნიციპალიტეტი[1140] არ ფლობს ინფორმაციას, რა განსხვავებაა პრევენციულ ღონისძიებებსა და განსახლებას დაქვემდებარებულ ოჯახებს შორის, მუნიციპალიტეტების უმრავლესობას[1141] არ აქვს ინფორმაცია პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად საჭირო საორიენტაციო ფინანსების შესახებ, ასევე, მუნიციპალიტეტების ნაწილის ბიუჯეტი საერთოდ არ ითვალისწინებს პრევენციის მიზნით თანხებს.[1142] ის მუნიციპალიტეტები კი,[1143] რომლებიც არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში, ატარებენ ამა თუ იმ პრევენციულ ღონისძიებას, რეკომენდაციის გამცემ ორგანოს, ინფორმაციას ჩატარებული სამუშაოების თაობაზე, არ აწვდიან. უფრო მეტიც, რიგი მუნიციპალიტეტები[1144] პრევენციული ღონისძიებების ჩაუტარებლობასთან ერთად, აღნიშნავენ, რომ სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში, რეკომენდაციის გამცემ ორგანოს ინფორმაციას არ მიაწვდიან.

[1138] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანების №1 დანართის მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, მომეტებული საფრთხის ქვეშ ცხოვრება ქულათა სისტემის გაუთვალისწინებლად განსახლების საფუძველია.

[1139]სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 2 თებერვლის №21/259 წერილის მიხედვით დასკვნა გაცემულია 382 ოჯახზე, ხოლო აჭარის ა/რ-ის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2022 წლის 31 იანვრის №08/44 წერილის თანახმად, დასკვნა გაცემულია 333 ოჯახზე.

[1140] თერჯოლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები.

[1141] ხულოს, ბაღდათის, ზესტაფონის, ხობის, ბორჯომის, ხარაგაულისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები.

[1142] სამტრედიის, ლაგოდეხის, წალენჯიხის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ლენტეხის, ასპინძის, ბორჯომის, ზესტაფონის, სენაკის, რუსთავისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტები.

[1143] ვანის, ხულოს, ბაღდათის, ქობულეთის, ზესტაფონის, ხარაგაულისა და ონის მუნიციპალიტეტები.

[1144] ბორჯომის მუნიციპალიტეტი.

უაღრესად მნიშვნელოვანია, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ ეკომიგრაციის თავიდან არიდებაზე, მათ შორის, განსაზღვრონ ამ მიმართულებით ფინანსური საჭიროების ოდენობა და არ იყვნენ მხოლოდ შედეგების ლიკვიდაციაზე ორიენტირებულები. პრევენციული ღონისძიებების აქტიურად გატარებით, შესაძლებელია, ერთი მხრივ, ეკომიგრაციით გამოწვეული ზიანის თავიდან აცილება, მეორე მხრივ კი, ფინანსური რესურსების დაზოგვაც.

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ეკომიგრანტთა განსახლების კუთხით გამოყოფილი თანხის გასაზრდელად, შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ეკომიგრანტთა განსახლების კუთხით გამოყოფილი თანხის გასაზრდელად, შუამდგომლობით მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს:

- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული გეოლოგიური დასკვნების გაანალიზების შედეგად გამოვლინდეს მაღალი რისკის ქვეშ მცხოვრები ოჯახები და განსახლებისათვის გამოყოფილი თანხის მინიმუმ 30% მოხმარდეს ასეთი ოჯახების განსახლებას;

- 2022 წელს დასრულდეს 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესი.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერებს:

- სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიაწოდონ ინფორმაცია გატარებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

სამტრედიის, ლაგოდეხის, წალენჯიხის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ლენტეხის, ასპინძის, ბორჯომის, ზესტაფონის, სენაკის, რუსთავისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებს:

- ბიუჯეტის ფორმირებისას, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოვლენილ გეოლოგიურად აქტიურ ტერიტორიებზე პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად, მოითხოვონ შესაბამისი ფინანსების გამოყოფა.

30. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში

30.1. შესავალი

სახალხო დამცველის აპარატი 2021 წელს აქტიურად განაგრძობდა მუშაობას მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად. ამ პერიოდში გამოიკვეთა, როგორც არსებული რეგულაციების ხარვეზი, ისე ნორმების პრაქტიკაში ამოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, სახალხო დამცველმა 2021 წელს შეაფასა საზღვრის უკანონო კვეთის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების, ასევე, თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრირებული პირებისათვის საქართველოს ტერიტორიის დატოვების აკრძალვის საკითხები. აგრეთვე, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის პროექტების ეფექტიანობა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის საკითხები.

30.2. თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

30.2.1. სტატუსის მინიჭება

2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე 1227 პირი ცხოვრობს. აქედან 493 ლტოლვილის სტატუსით, ხოლო 734 ჰუმანიტარული სტატუსით[1145] სარგებლობს.[1146] რაც შეეხება საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა წარმოშობის ქვეყნებს, უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ერაყის და სირიის მოქალაქეები არიან.



2021 წელს, თავშესაფარი 743 პირმა მოითხოვა. მათი წარმოშობის ქვეყნები შემდეგნაირად ნაწილდება:

[1145] ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის დადგენილ პირობებს, მაგრამ არსებობს რეალური რისკი, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას იგი სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე დადგება („საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლი).

[1146] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი №MIA 3 22 00343734, 09.02.2022.



მიღებული გადაწყვეტილებები 2015 -2021 წლებში:



2021 წელს, უარის საფუძველი, უმეტესად, მიზეზების არქონა იყო. გამოვლინდა საკუთარი განცხადების საფუძველზე და პროცედურაზე გამოუცხადებლობის გამო საქმეების შეწყვეტის შემთხვევებიც.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უშიშროების საფრთხის საფუძველზე უარის შემთხვევებში კვლავ საყურადღებო იყო ისეთი ქვეყნის მოქალაქეები[1147], სადაც საომარი მოქმედებებია, და ადამიანის უფლებები ირღვევა. ასეთ გადაწყვეტილებებში დასაბუთებულობის საკითხი კვლავ პრობლემურია, რადგან სამინისტროს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უარის მიზეზად მითითებულია საკმარისი საფუძვლის არსებობა ვარაუდისთვის, რომ იგი საფრთხეს

[1147] უსაფრთხოების საფუძვლით უარი ეთქვათ სირიის 10, იემენის 7, ერითრეას 2 და თურქეთის 1 მოქალაქეს.

შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას ან საზოგადოებრივ წესრიგს, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოების მიერ მიწოდებულ რეკომენდაციას ეფუძნება. ამგვარი გადაწყვეტილებების შემთხვევაში, საქმის ინდივიდუალური გარემოებების უგულებელყოფით, შინაგან საქმეთა სამინიტრო უპირობოდ ითვალისწინებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეკომენდაციებს.

30.2.2. საზღვარზე თავშესაფრის პროცედურაზე წვდომა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება საზღვრის უკანონო კვეთის დროს

„საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, თუ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლისას დაუყოვნებლივ გამოცხადდება ხელისუფლების ორგანოში, წარადგენს სათანადო განმარტებას ქვეყანაში უკანონოდ შემოსვლის მიზეზთან დაკავშირებით და მოითხოვს საერთაშორისო დაცვას, მას ენიჭება თავშესაფრის მაძიებელი პირის სტატუსი და ცნობა, რომლითაც დადასტურდება პირის მიერ საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართვისა და საქართველოში მისი კანონიერად ყოფნის ფაქტი.[1148] თუმცა, განცხადების განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თუ პირს არ მიენიჭება სტატუსი,[1149] მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება[1150] საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლისთვის.

საქართველოს სახალხო დამცველი თავშესაფრის მაძიებელთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო რეგულირებას არაკონსტიტუციურად აფასებს და ამასთან დაკავშირებით, გასულ წელს კონსტიტუციური სარჩელი[1151] იქნა წარდგენილი. სახალხო დამცველის შეფასებით, კანონის სადავო ნორმა ეწინააღმდეგება თავშესაფრის უფლებების დამდგენ კონსტიტუციურ ნორმას,[1152] ასევე, „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" კონვენციის იმ ნორმას, რომელიც საზღვრის უკანონო კვეთისათვის ლტოლვილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ადგენს.[1153] ამის პარალელურად, საყურადღებოა, რომ დასახელებული ნორმის კონსტიტუციურობის საკითხზე სასამართლოსთვის მიმართვამდე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს პრაქტიკაში გამოვლენილი ჰქონდა თავად ამ ნორმის დარღვევის შემთხვევები.[1154]

[1148] „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ" პუნქტი.

[1149] ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებაზე.

[1150] „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი.

[1151] „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", კონსტიტუციური სარჩელი №628.

[1152] საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც, „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით საქართველო თავშესაფარს აძლევს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს".

[1153] „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" 1951 წლის კონვენციის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[1154] საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ თურქეთის ორ მოქალაქეს ბრალდებულთა გამოკითხვის ოქმების საფუძველზე უდასტურდებოდათ, რომ მათ მოითხოვეს თავშესაფარი საზღვარზე დაკავების დროს. სასაზღვრო პოლიცია ვალდებული იყო საერთაშორისო დაცვაზე მოთხოვნის გამოკვეთისთანავე

სახალხო დამცველის აპარატი 2022 წელსაც განაგრძობს რამდენიმე ასეთი საქმის შესწავლას, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე თავშესაფრის პროცედურაზე ხელმისაწვდომობისა და უკანონო საზღვრის კვეთის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხს შეეხება. ამ პირებს შორის არიან ავღანეთის, ირანის და მაროკოს სახელმწიფოს მოქალაქეები, რომელთა განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფარი მოითხოვეს, მათ მიმართ, კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, მაინც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა.

30.2.3. თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრირებული პირებისათვის საქართველოს ტერიტორიის დატოვების აკრძალვა

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პრობლემურია ის ნორმები,[1155] რომელთა თანახმად, საერთაშორისო დაცვის შესახებ, უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადების განხილვის ერთ-ერთი წინაპირობაა განმცხადებლის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა, განცხადების წარდგენიდან საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე პერიოდში. ეს პროცესი, შესაძლოა, ორ წლამდე გაგრძელდეს, ამ დროის განმავლობაში კი, განმცხადებლის მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა, თუნდაც მცირე ვადით, საერთაშორისო დაცვის შესახებ საქმის შეწყვეტას და მისი მოთხოვნის განხილვაზე უარს გამოიწვევს.[1156] საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ამ პრობლემიდან გამომდინარე, ამ საკითხზე, 2021 წლის 22 ივლისს, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი წარადგინა.[1157]

ნიშანდობლივია, რომ სამგზავრო დოკუმენტი ერთმევა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის აკრძალვა ვრცელდება ყველა თავშესაფრის მაძიებელზე, მათი მდგომარეობის ინდივიდუალურად შეუფასებლად.[1158] მართალია, კანონი ითვალისწინებს განმცხადებლების მხრიდან საქართველოს დატოვების შესაძლებლობას, თუმცა ეს მხოლოდ „სასიცოცხლო ინტერესებთან"[1159] არის დაკავშირებული, რაც, ძირითადად, მხოლოდ პირის ჯანმრთელობის ინტერესებს მოიცავს.[1160] ამ რეგულირების გამო, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მიღების თაობაზე განცხადების განხილვის პერიოდში,

---

თურქეთის მოქალაქეები გაეთავისუფლებინა და მათი მოთხოვნის თაობაზე მიგრაციის დეპარტამენტისთვის ეცნობებინა, თუმცა შსს-ს ინფორმაციით, თურქეთის მოქალაქეებს თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაცია არ დაუდასტურდათ, რაც საფუძვლად დაედო მათ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

[1155] „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 57-ე მუხლის „ბ" პუნქტი; „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 57-ე მუხლის „ზ" პუნქტი.

[1156] გარდა იმ შემთხვევისა, თუ საზღვრის გადაკვეთა უკავშირდება პირის „სასიცოცხლო ინტერესს", როგორც ეს გათვალისწინებულია „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 57-ე მუხლის „ბ" პუნქტით.

[1157] „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", კონსტიტუციური სარჩელი №1629.

[1158] იქვე.

[1159] „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 57-ე მუხლის „ბ" პუნქტი.

[1160] „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", კონსტიტუციური სარჩელი №1629.

განმცხადებლები ვერ სარგებლობენ რიგი სერვისებით. მაგალითად, ხელი არ მიუწვდებათ იმ საბანკო მომსახურებაზე, რომლის მიღებაც საქართველოში შეუძლებელია და რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, საჭიროებდეს მეზობელ ქვეყანაში გამგზავრებას. გარდა ამისა, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მიღების თაობაზე განცხადების განხილვის პერიოდში, განმცხადებლებს არც მოკლევადიანი სამუშაოს მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიის დროებით დატოვება შეუძლიათ, მაშინ როდესაც მათ უმრავლესობას არ აქვს საარსებო წყარო საქართველოში.

თავშესაფრის მაძიებლებისთვის საერთაშორისო განცხადების განხილვის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ზემოთ განხილული შეზღუდვა შეიძლება ჩაითვალოს იმგვარ საშუალებად, რომელიც, მართალია, მიმართულია ლეგიტიმური მიზნის მიღწევისაკენ, მაგრამ ეს უკანასკნელი არ არის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელი[1161], ყველაზე ნაკლებად მზღუდავი[1162] საშუალება.[1163] განცხადების განხილვის პერიოდში, შესაძლებელია როგორც ალტერნატიული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება, ისე წინასწარ შეთანხმება სამინისტროსთან, საქართველოს დატოვების თარიღთან დაკავშირებით, განცხადების განხილვის პროცედურის დაუზიანებლად.[1164]

30.2.4. თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაცია

2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგია[1165] მეტნაკლებად აყალიბებს ინტეგრაციასთან დაკავშირებულ სახელმწიფოს ხედვას. თუმცა, ამ დრომდე არ არის შემუშავებული იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ „ერთიანი მიდგომის დოკუმენტი", რომლის შემუშავებაც 2021 წელს იყო გათვალისწინებული.[1166] დღესდღეობით ინტეგრაციის[1167] მიმართულებით შემდეგი სერვისებია ხელმისაწვდომი: ქართული ენის კურსები,

---

[1161] რაც შეეხება სხვა ქვეყნების პრაქტიკას, ბელგიაში თავშესაფრის მაძიებლებს არ აქვთ სამგზავრო დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება, თუკი დოკუმენტის ჩაბარება თავშესაფრის მაძიებლის იდენტიფიცირებისთვის არ არის საჭირო, ან თუ არ არსებობს დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ ეჭვი. ასეთ შემთხვევაშიც კი, დოკუმენტები პირებს მხოლოდ გარკვეული პერიოდით ჩამოერთმევათ, მათი ვინაობის დადგენამდე/დოკუმენტის ნამდვილობის დადგენამდე. მსგავსი რეგულირებაა ხორვატიაში, მალტასა და სლოვენიაშიც (EMN Ad-hoc Query on Handing over of personal documents in the framework of the asylum and return procedure, European Migration Network (EMN), 2016).

[1162] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოსადეგობასთან ერთად შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შეზღუდვის აუცილებელ ყველაზე ნაკლებად მზღუდველ საშუალებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება, II-26.

[1163] „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", კონსტიტუციური სარჩელი №1629.

[1164] იქვე.

[1165] „საქართველოს 2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №810 დადგენილება.

[1166] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 24 დეკემბრის №01/21385 წერილი.

[1167] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახური უზრუნველყოფს საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთათვის საინტეგრაციო პროგრამის განხორციელებასა და ინტეგრაციის ცენტრის ფუნქციონირებას.

სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო განათლების კუთხით ინფორმირება და საკონსულტაციო სერვისი.[1168] კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვების გამო, სასწავლო პროგრამები დისტანციურად განხორციელდა. 2021 წელს ქართული ენის კურსი 102-მა პირმა გაიარა. ბენეფიციარები უთითებდნენ ელექტრონული პლატფორმით სარგებლობისა და ენის სწავლების მეთოდებთან დაკავშირებულ პრობლემებზე.[1169] მათივე თქმით, ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ ჰქონდათ ინფორმაცია ენის სწავლის შესაძლებლობის შესახებ. ამდენად, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, სწავლების მეთოდების ხარვეზების შესწავლა, ხოლო, მეორე მხრივ, სააგენტომ აქტიურად უნდა აწარმოოს საინფორმაციო კამპანია ენის სწავლის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ჯანდაცვის საკითხებს, მოქმედი კანონმდებლობით,[1170] თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, სარგებლობენ საბაზო ჯანდაცვის სერვისების დაფინანსებით. თუმცა, სერვისების მიმწოდებლები (კლინიკები), ზოგიერთ შემთხვევაში, არ ფლობენ ინფორმაციას ამის შესახებ, შესაბამისად, საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები დაბრკოლებებსს აწყდებიან სერვისით სარგებლობაში. მნიშვნელოვანია, რომ სააგენტომ 2021 წელს საპილოტე რეჟიმში დაიწყო გამოკვეთილი სამედიცინო საჭიროების მქონე საერთაშორისო დაცვის მქონე პირების და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის სამედიცინო დახმარების ან/და მედიკამენტების დაფინანსება.[1171] აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი)[1172] არ ითვალისწინებენ სოციალურ გასაცემლებს საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირებისთვის. გამონაკლისია ახმეტის მუნიციპალიტეტი, რომლის ბიუჯეტშიც გათვალისწინებულია დაფინანსება მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისთვის, მკურნალობის მწვავე გადაუდებელ შემთხვევაში.[1173] აპარატის მიერ შესწავლილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთათვის გათვალისწინებული ფინანსური დახმარებები ძირითადად ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისათვის გაიცემა. სხვა სახის

[1168] საინტეგრაციო პროგრამების განხორციელება სააგენტომ 2020 წლის 18 ივლისიდან დაიწყო, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 17 ივნისის №03/10234 წერილი.

[1169] უცხოელები აღნიშნავდნენ, რომ სირთულეებს უკავშირდებოდა ყოველდღიურად 4-საათიან ლექციებზე დასწრება.

[1170] „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება.

[1171] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 17 ივნისის №03/10234 წერილი.

[1172] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 14 დეკემბრის №15-01213482927, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის 2021 წლის №04-1421344596, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 21 დეკემბრის №44-4421355159 წერილები.

[1173] ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 15 დეკემბრის №86-862134972 წერილი.

საჭიროებების დაფინანსება კი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

30.2.5. მოწყვლადი კატეგორიის თავშესაფრის მაძიებლები და საერთაშორისო დაცვის მქონე პირები

შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო შეუძლებელი ხდება თავშესაფრის მაძიებელ შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის სათანადოდ შესწავლა. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ შშმ პირთა საჭიროებები, სისტემისთვის უხილავია საერთაშორისო დაცვის პროცედურის ყველა ეტაპზე. მოქმედი რეგულაციებით შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თავშესაფრის მაძიებელთა გამოვლენა და შესაბამისი მონაცემების აღრიცხვა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს არ ხდება. გარდა ამისა, საერთაშორისო დაცვის ძიების ეტაპზე, შესაძლებლობის შეზღუდვის გამოვლენის პროცესი არ არის სტრუქტურიზებული შესაძლებლობის შეზღუდვის ტიპების მიხედვით. შესაბამისად, იგი არ ემსახურება თითოეული პირისთვის გონივრული მისადაგების მიზნით საჭირო ზომების თავიდანვე განსაზღვრას. ასევე, აღსანიშნავია, რომ გამოიკვეთა თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის მქონე შშმ პირებთან მომუშავე, როგორც სახელმწიფო, ისე სხვა სერვისების და დაწესებულებების ცნობიერების ამაღლების საჭიროება.

უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციას არც სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო და სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ამუშავებენ. ასევე პრობლემურია თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე შშმ მოსწავლეთა აღრიცხვა განათლების სამინისტროს მხრიდან, რაც ხელს უშლის ქვეყანაში ამ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასებას.

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს სახალხო დამცველი ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად საუბრობს თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე, რაც გამოწვეულია მათი განსაკუთრებული საჭიროებებით.[1174] თავშესაფრის მაძიებელი ქალების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათი მთავარი გამოწვევებია საზოგადოებაში ინტეგრაცია, ენობრივი ბარიერი და წვდომა ჯანდაცვის თუ სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამების სერვისებზე.[1175]

თავშესაფრის მაძიებელი და საერთაშორისო დაცვის მქონე ქალები, ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, შესაძლოა, მეტად მოწყვლად მდგომარეობაში აღმოჩნდნენ

[1174] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/0avf7q > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

[1175] შეხვედრა თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ბენეფიციარებთან, 2021 წლის 22 ოქტომბერი. შეხვედრა თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვისა და მოქალაქეობის არმქონე (ირანელ) ქალებთან, 2021 წლის 17 დეკემბერი.

მასპინძელი სახელმწიფოს ენის არცოდნის, განათლებაზე მიუწვდომლობის, საჯარო სამსახურში დასაქმების შეზღუდვის და სხვა საჭიროებების გამო.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინტეგრაციის პროგრამების მიუხედავად,[1176] თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ბენეფიციარი ქალების ინფორმაციით, მათ არც ქართული ენის შემსწავლელ, და არც სხვა პროფესიულ კურსებზე მიუწვდებათ ხელი პროგრამების მოკლევადიანობის ან სათანადო ცოდნის მიღების კუთხით, რაც შეუძლებელს ხდის მათ დასაქმებას.

მონიტორინგის ფარგლებში არაერთი შეხვედრა გაიმართა თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე ქალებთან. თუმცა, მიუხედავად სახალხო დამცველის აპარატის მიმართ ნდობისა,[1177] კულტურულ-ტრადიციული ფაქტორის და თემში არსებული სტერეოტიპული შეხედულებების, აგრეთვე, ძალადობის ფორმების, გამოვლინებებისა და რისკების შესახებ ცნობიერების დაბალი დონის, მათ შორის, სამართალდამცავი უწყების უნდობლობითა და ძალადობის მსხვერპლთათვის დაცვისა და დახმარების არსებულ პროგრამებზე ინფორმაციის ნაკლებობის გამო, მათთვის რთული იყო ძალადობის, განსაკუთრებით კი, ოჯახში ძალადობის თემაზე საუბარი..

მათივე თქმით,, მათ იცოდნენ, თუ ვისთვის უნდა მიემართათ ძალადობის შემთხვევაში,[1178] თუმცა ცალსახად აღინიშნა, რომ ვერ ჩაერეოდნენ „ოჯახის საქმეში" და მათი ტრადიციებიდან გამომდინარე, ვერ გაბედავდნენ ხმამაღლა ესაუბრათ მათ მიმართ ჩადენილ ძალადობაზე. შეხვედრამ თვალსაჩინო გახადა ინფორმაციის ნაკლებობა თავშესაფრების შესახებ, ასევე, ძალადობის მსხვერპლთათვის არსებულ ისეთ სერვისებზე, როგორიც არის უფასო იურისტის, ფსიქოლოგის სერვისი. ინფორმაციის ნაკლებობა კი მათ უზღუდავს ძალადობრივი გარემოდან თავის დაღწევის და მათთვის შესაძლო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობას.

არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა

საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი არასრულწლოვნები, მათი საჭიროებების, სპეციფიკისა და დაუცველობის გათვალისწინებით, დაცვისა და მხარდაჭერის ეფექტიან, სათანადო რესურსებით უზრუნველყოფილ მექანიზმებს საჭიროებენ, რომლებიც დროულად, ბავშვზე მორგებული მიდგომითა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოახდენს შემთხვევაზე რეაგირებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით,[1179] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2015 წლიდან ახორციელებს ,,თავშესაფრის მაძიებელი, საერთაშორისო დაცვის მქონე და შინაგან

[1176] ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე დარეგისტრირებული 75 ბენეფიციარიდან 34 ქალია.

[1177] რაც გამოიხატებოდა საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე გულწრფელ საუბრებში.
[1178] დასახელდა მხოლოდ პოლიცია.
[1179] კორესპონდენცია: MES 6 21 0001061686 - 08/10/2021.

საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში მოთავსებული არასრულწლოვნებისათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის" ქვეპროგრამას, რომელიც საქართველოში თავშესაფრის მაძიებლისა და საერთაშორისო დაცვის მქონე 6 წლიდან 18 წლამდე ასაკის პირებისა და შსს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოხვედრილი არასრულწლოვნების ზოგადი განათლების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ სკოლის მასწავლებლებთან და საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელ პირებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სახელწმიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი არასრულწლოვნები, განათლების მიღების პროცესში არაერთ წინააღმდეგობას აწყდებიან. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივი ბარიერი განსაკუთრებით ართულებს ბავშვების საგაკვეთილო პროცესში აქტიურ მონაწილეობას და აბრკოლებს მათ, სრულყოფილად აითვისონ საგანმანათლებლო პროგრამა. მშობლების განცხადებით, არასრულწლოვნებს, ენის კურსში ჩართვის მიუხედავად, უჭირთ საგაკვეთილო პროგრამის გაგება, განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო საგნებში.

ენობრივ ბარიერთან დაკავშირებული არაერთი გამოწვევა გამოიკვეთა სკოლის თანამშრომლებსა და არასრულწლოვნების მშობლებს შორის კომუნიკაციის კუთხითაც.

რაც შეეხება ბავშვთა ჯანდაცვის საკითხებს, თავშესაფრის მაძიებელ პირებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მიუხედავად საყოველთაო ჯანდაცვისა, არასრულწლოვნების სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა არაერთ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. მშობლების განცხადებით, ბავშვებს ჩატარებული აქვთ ასაკის შესაბამისი ყველა საჭირო აცრა, თუმცა, სამედიცინო მომსახურების მიღებისას, ენობრივი ბარიერის გამო უჭირთ კომუნიკაცია ექიმებთან, დანიშნულების გაცნობა და მედიკამენტის შეძენა.

30.3. სახელმწიფო უსაფრთხოების არგუმენტით ბინადრობის ნებართვით სარგებლობის შეზღუდვა

წინა წლების მსგავსად, 2021 წელს, სახალხო დამცველის აპარატმა, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ლეგიტიმური საფუძვლის გამოყენებით ბინადრობის ნებართვის გაცემის შეზღუდვასთან დაკავშირებული არაერთი საქმე შეისწავლა. ასევე საგულისხმოა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომლის თანახმადაც, ბინადრობის ნებართვაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიზეზს, როგორც წესი, ზემოხსენებული საფუძველი წარმოადგენს. 2021 წლის განმავლობაში ბინადრობის ნებართვების მიღების თაობაზე წარდგენილი 20716 განაცხადიდან დადებითად - 16853 და უარყოფითად - 1126 საქმე დასრულდა.[1180] უარყოფითად დასრულებული 1126 საქმიდან, 1070 საქმეზე უარის თქმის საფუძველს ,,უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ"

[1180] საქართველოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 11.02.2022 წლის №01/31652 წერილი.

საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა ქმნიდა.[1181] კერძოდ, პირს შეიძლება უარი ეთქვას ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, თუ სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების გამო მისი საქართველოში ცხოვრება არ არის მიზანშეწონილი ან ის საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი წესრიგს. აქვე, განსაკუთრებით საყურადღებოა 2021 წელს ბინადრობის ნებართვების თაობაზე საერთო სასამართლოებში განხილულ საქმეთა სტატისტიკა. გასულ წელს დასრულდა და კანონიერ ძალაში შევიდა ასეთ 207 საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება.[1182] აქედან, ხელახალი განხილვის მიზნით, სააგენტოს 164 გადაწყვეტილება დაუბრუნდა, რომელთაგან 163 საქმეზე, დაინტერესებულ პირებს განმეორებით ეთქვათ უარი, ხოლო 1 საქმეზე განმეორებითი განხილვა დადებითად დასრულდა. განხილული საქმეებიდან 43 საქმეზე, სააგენტოს უცხოელი პირის სასარგებლოდ ბინადრობის ნებართვის გაცემა სასამართლოს მიერ პირდაპირ დაევალა.[1183]

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შემუშავდეს იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ ერთიანი მიდგომების შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტი;
- პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდოთ საერთაშორის დაცვის ქვეშ მყოფ პირთა უფლებების თაობაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უზრუნველყოს საზღვრის უკანონო კვეთის დროს თავშესაფრის მაძიებელი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პრინციპის დაცვაზე ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების გატარება შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებისთვის;
- „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანებაში შესაბამისი ცვლილების შეტანით, უზრუნველყოს ბრძანებით შშმ პირებთან კომუნიკაციის სტანდარტების და ასპექტების მოცვა, მათ შორის, სურდო თარჯიმნის მომსახურება და მისი ორგანიზება;
- აწარმოოს შშმ თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა სტატისტიკა შესაძლებლობის შეზღუდვის ნიშნით;
- უზრუნველყოს სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის თანამშრომელთა გადამზადება შშმ პირთა

[1181] იქვე.
[1182] იქვე.
[1183] იქვე.

საკითხებზე, მათ შორის, დეტალური ინფორმაციის მიწოდება შესაძლებლობის შეზღუდვის სხვადასხვა ტიპის მიხედვით, შშმ პირებთან სათანადო კომუნიკაციისა და მათი საჭიროებების გამოვლენის მიმართულებით;

- გაიმართოს თავშესაფრების მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებთან საინფორმაციო შეხვედრები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე;
- მოხდეს დროულად შეთანხმება და ქართული ენის შემსწავლელი კურსების ფორმულირება სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- უზრუნველყოს განათლების ყველა ეტაპზე ჩართულ თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე შშმ და სსსმ მოსწავლეთა სტატისტიკის წარმოება.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- უზრუნველყოს სახელმწიფო სოციალური პროგრამებით მოსარგებლე ან სარგებლობის მაძიებელ იმ შშმ პირთა სტატისტიკის წარმოება, რომლებიც არიან თავშესაფრის მაძიებლები, ან აქვთ საერთაშორისო დაცვის სტატუსი, მათ შორის, ძალადობის შემთხვევების აღრიცხვის დროს.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს:

- გაანალიზდეს ქართული ენის სწავლების მეთოდების ხარვეზები და სწავლება მოერგოს ბენეფიციართა საჭიროებებს;
- ინტეგრაციის პროგრამების თაობაზე ინფორმაცია გავრცელდეს სოციალური ქსელის/ვებგვერდის საშუალებით;
- შეიქმნას ბენეფიციართა მონაცემთა ერთიანი ბაზა, სადაც პირადი მონაცემების გარდა, ჩაიწერება მათი შესაძლებლობები და საჭიროებები;
- კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე შშმ პირთა სტატისტიკის წარმოება.

31. მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა

წინა წლების მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველი წლიურ ანგარიშებში ცალკე თავს უთმობს მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასებას, რაც ამ პირთა განსაკუთრებული საჭიროებებით არის გამოწვეული. სამწუხაროდ, ძირითადად უცვლელია იმ პრობლემათა თემატიკა და მათ გადასაჭრელად გაცემული რეკომენდაციების შინაარსი, რაც საქართველოს სახალხო დამცველის გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებშია მოცემული.[1184] კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინტეგრაციის ცენტრში, მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის კომპლექსური და მიზნობრივი საინტეგრაციო პროგრამების არარსებობა, რაზეც 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც გამახვილდა ყურადღება.[1185] საქართველოში ამჟამად მოქალაქეობის არმქონე 529 პირია რეგისტრირებული.[1186]

2019 წლის ოქტომბერში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირებისა და მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ ნებაყოფლობითი ვალდებულების ექვსპუნქტიანი დოკუმენტი წარადგინა. დოკუმენტის თანახმად, 2020 წლის ბოლოსთვის მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის საფასური უნდა განახევრებულიყო, რაც 2021 წლის მაისში შესრულდა.[1187] აქვე საყურადღებოა, რომ 2021 წლის ბოლომდე ხელისუფლებას ოთხი ვალდებულება უნდა შეესრულებინა, საიდანაც შესრულდა ერთი, კერძოდ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გადაუდებელ სტაციონალურ და ამბულატორიულ მომსახურებებში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებელი პირებიც ჩაერთნენ.[1188] დანარჩენი 3 ვალდებულება

[1184] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2020, თავი „მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2019, თავი „მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა.

[1185] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, თავი „მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა.

[1186] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 11.02.2022 წლის №01/31652 წერილი.

[1187] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 508 დადგენილების მე-2 მუხლის მე-40 პუნქტში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მაისის №210 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებით მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის მომსახურების საფასურის ოდენობა ნაცვლად 50 ლარისა, განისაზღვრა 25 ლარით.

[1188] „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების დანართი №1 მე-2 მუხლის მე-3[8] პუნქტში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 ოქტომბრის №521 დადგენილებით შეტანილი ცვლილებით გადაუდებელი ამბულატორიული და გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების მოსარგებლეებად დამატებით განისაზღვრნენ საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებელი პირები.

აერთიანებს შემდეგ მიმართულებებს: მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვების ხელშეწყობა და ამ მიზნით კანონით დადგენილი 10-წლიანი ვადის განახევრება, სტატუსის დადგენის პროცესში ადმინისტრაციულ ორგანოსა და საერთო სასამართლოებში უფასო იურიდიული მომსახურებით უზრუნველყოფა, ე.წ. „კარდაკარ" კამპანიის განხორციელება მოქალაქეობის არმქონე პირთა გამოვლენისა და დოკუმენტირების მიზნით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, თითოეულ საკითხზე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა, თუმცა 2021 წლის ბოლომდე მათი დასრულება ვერ მოხერხდა. სახალხო დამცველი, შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს, მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდებს.

რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შესამცირებლად და მათი უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წინაშე აღებულ ვალდებულებათა შესრულება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში არსებული ინტეგრაციის ცენტრის დამატებითი დაფინანსება და მოქალაქეობის არმქონე პირების ინტეგრაციისთვის საინტეგრაციო პროგრამების დანერგვა.

32. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

32.1. შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველი, ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიშით, სახელმწიფო უწყებებს რეკომენდაციებითა და წინადადებებით მიმართავს. წინამდებარე თავში განხილულია უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების მიერ, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის რეკომენდაციების/წინადადადებების შესრულების მდგომარეობა.

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში კვლავ მრავლად არის გაცემული ისეთი რეკომენდაციები, რომელთა შესრულების აუცილებლობაზე სახალხო დამცველი გასულ წლებშიც არაერთგზის მიუთითებდა. ეს კი რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულების დაბალ ხარისხზე მეტყველებს.

გასული საანგარიშო პერიოდის მსგავსად, 2021 წლის განმავლობაში, პანდემიის გავრცელების პირობებში, უმაღლეს სახელმწიფო უწყებებსა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს გარკვეულწილად არაორდინალურ მდგომარეობაში უწევდათ მუშაობა, რაც აფერხებდა ცალკეული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულებას. ამის მიუხედავად, ჩვენს ანგარიშებში წარმოდგენილი პრობლემები ადამიანის უფლებების დაცვას ისახავს მიზნად და მათი მუდმივად დღის წესრიგში ყოფნა მნიშვნელოვანია.

საქართველოს სახალხო დამცველმა, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სახელმწიფო უწყებებს და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს 360 რეკომენდაციით, ხოლო საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს 51 წინადადებით მიმართა.[1189] 360 რეკომენდაციიდან 335 უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს მიემართებოდა, ხოლო ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიმართ 25 რეკომენდაცია გაიცა.

სახელმწიფო ორგანოთა მიმართ გაცემული რეკომენდაციებიდან სრულყოფილად შესრულდა 14%, ნაწილობრივ შესრულდა რეკომენდაციების 17%, ხოლო არ შესრულდა 63%. უნდა აღინიშნოს, რომ გაცემული რეკომენდაციების მცირე ნაწილი (3%), ობიექტური მიზეზით ვერ შესრულდებოდა. დამატებით აღნიშვნას საჭიროებს სახელმწიფო უწყებების მიერ სახალხო დამცველთან თანამშრომლობის ხარისხი. რეკომენდაციების 3% სწორედ უწყებების მიერ სახალხო დამცველისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო ვერ შეფასდა. პროცენტული მაჩვენებლები რიცხობრივად შემდეგნაირად გამოიყურება:

- შესრულებულია: 46 რეკომენდაცია
- ნაწილობრივ არის შესრულებული: 57 რეკომენდაცია
- არ არის შესრულებული: 213 რეკომენდაცია

[1189] საქართველოს პარლამენტს მიემართებოდა 50 წინადადება, ხოლო პრეზიდენტს -1.

- უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო ვერ შეფასდა 9 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა

- უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, შეუძლებელია შეფასდეს 10 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა.[1190]



გასულ წელთან შედარებით, სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი მცირედით არის გაუმჯობესებული, რასაც სახალხო დამცველი მიესალმება, თუმცა აღნიშნავს, რომ ამგვარი მცირე მასშტაბის ზრდა არ მიუთითებს სახელმწიფო უწყებებში სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებაზე.

[1190] ასეთი კატეგორიის რეკომენდაციები ობიექტური გარემოებების გამო ვერ შეფასდა, ეს ცალკეულ შემთხვევებში გამოწვეული იყო პანდემიის, რეკომენდაციის რელევანტურობის დაკარგვის ან სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის უქონლობის გამო.



როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სახალხო დამცველმა, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს 51 წინადადებით მიმართა. მათგან საკანონმდებლო ორგანომ მხოლოდ 1 წინადადება შეასრულა.[1191]

ზემოაღნიშნული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს,[1192] რომ სახელმწიფო უწყებებს, არც საანგარიშო პერიოდში შეუსრულებიათ სახალხო დამცველის რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი. შესაბამისად, რეკომენდაციების შესრულების ხარისხი, გასული წლების მსგავსად, 2021 წელსაც არადამაკმაყოფილებელია.

ქვემოთ მოკლედ წარმოგიდგენთ სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული არსებითი ხასიათის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო ინსტიტუტების, უფლებებისა და უფლებრივი ჯგუფების მიხედვით. ამ საკითხების გარშემო დამატებით ინფორმაციას შესაბამის თემატურ თავებში იხილავთ. ასევე ცალკე ქვეთავშია განხილული ადგილობრივი

[1191] 2022 წლის მარტში, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია „2020 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში საქართველოს პარლამენტისადმი მიმართული წინადადებების გათვალისწინების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა. სამუშაო ჯგუფი სახალხო დამცველის აპარატის მონაწილეობით ამჯერად მუშაობს ამ საკითხზე.

[1192] რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა შეფასებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, 2022 წლის 25 მარტის მდგომარეობით.

თვითმმართველობების ორგანოების მიერ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებული ძირითადი ტენდენციები.

32.2. სახელმწიფო უწყებების მიერ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

32.2.1. სასამართლო სისტემა

2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, სასამართლოს სისტემის ინსტიტუციური განვითარების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს 12 წინადადებით, ხოლო საქართველოს მთავრობას, იუსტიციის მინისტრსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 6 რეკომენდაციით მიმართა.[1193] სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტს არცერთ შემთხვევაში არ შეუსრულებია სახალხო დამცველის წინადადება. სახელმწიფო უწყებების მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად კი, მხოლოდ 3 რეკომენდაცია ფასდება ნაწილობრივ შესრულებულად.

პოზიტიურად ვაფასებთ საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაწეულ საქმიანობას, რომლის შედეგადაც სახალხო დამცველი ნაწილობრივ შესრულებულად აფასებს რეკომენდაციებს, რომლებიც მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ელექტრონული პროგრამის დანერგვასა და დისტანციური სასამართლო პროცესების დროს კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფას შეეხებოდა.[1194]

სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, კვლავ შეუსრულებელია სახალხო დამცველის წინადადება,[1195] რომელიც საქმეთა განაწილების ელექტრონულ სისტემაზე სასამართლოს თავმჯდომარეების ზეგავლენის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად. ასევე, არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ფსიქოლოგების გადამზადებასა და ხარისხის კონტროლის სისტემის დანერგვის საჭიროებასთან დაკავშირებით.

32.2.2. პროკურატურის სისტემა

2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა, პროკურატურის მიმართ 14 რეკომენდაცია გასცა. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი შეუსრულებელია. კერძოდ, არ შესრულდა 6 რეკომენდაცია, ნაწილობრივ შესრულდა 2, სრულყოფილად შესრულებულად კი მხოლოდ 3 რეკომენდაცია ფასდება. ორი რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის შეფასება ობიექტური გარემოებების გამო ვერ ხერხდება. დამატებით ერთი რეკომენდაციის

[1193] საქართველოს მთავრობას მიემართებოდა 1 რეკომენდაცია, იუსტიციის მინისტრს - 1, ხოლო იუსტიციის უმაღლეს საბჭოს - 4.
[1194] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 7 მარტის №2809/22 წერილი.
[1195] წინადადება პარლამენტს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგინდეს, რომ სასამართლოში საქმეთა კოლეგიური განხილვისას, კოლეგიის შემადგენლობა სასამართლოს თავმჯდომარის ნაცვლად, საქმეთა განაწილების ელექტრონულმა პროგრამამ განსაზღვროს.

შესრულების სტატუსი უწყების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო ვერ შეფასდა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ შეუსრულებელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით. 2019 და 2020 წლების მსგავსად, პროკურატურას არც 2021 წელს მიუღია შემაჯამებელი გადაწყვეტილება სამართალდამცავთა ქმედებებზე და გენერალურ ინსპექციაში კვლავ გრძელდება ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანთა მკვლელობის გამოძიებაში დადგენილი ხარვეზების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმება.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის თემაზე, არასრულწლოვნებთან მომუშავე პროკურორების და მოწმე/დაზარალებულის კოორდინატორების გადამზადების მოდულის შექმნასა და გადამზადების პროცესს.

32.2.3. პენიტენციური სისტემა

პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა სახელმწიფო უწყებების მიმართ 71 რეკომენდაცია გასცა, ხოლო პარლამენტს 8 წინადადებით მიმართა.

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტის მიმართ გაცემული არცერთი წინადადება არ შესრულებულა. ამ დროისთვის კვლავ პრობლემად რჩება ისეთი საკითხები, როგორიცაა ბრალდებულთა მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, აგრეთვე, გარე სამყაროსთან კონტაქტის საკმარისი საკანონმდებლო მექანიზმების არარსებობა.

სახელმწიფო უწყებების მიმართ გაცემული რეკომენდაციებიდან, სახალხო დამცველმა, საქართველოს იუსტიციის მინისტრს 70 რეკომენდაცია მისცა, საქართველოს მთავრობას - 1. მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაცია არ შესრულებულა, ხოლო იუსტიციის მინისტრის მიმართ გაცემული რეკომენდაციებიდან არ შესრულდა 50, სრულყოფილად შესრულდა 12 და ნაწილობრივ შესრულდა - 8 რეკომენდაცია.

სახალხო დამცველი მიესალმება იუსტიციის სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში პატიმართა პერიოდულ ტესტირებას COVID 19-ზე, ასევე, პატიმართა და პერსონალის ვაქცინაციას. სახალხო დამცველი ასევე პოზიტიურად აფასებს პენიტენციურ დაწესებულებებში ექიმი სპეციალისტების ვიზიტების, ასევე, გეგმური სამედიცინო რეფერალის განახლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლების მსგავსად, 2021 წელსაც, პატიმრების ძალადობისაგან დაცვის თვალსაზრისით, კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება პენიტენციური დაწესებულებების არაფორმალური მეთოდებით მმართველობა, თუმცა სამწუხაროდ უწყება არ იზიარებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებით და ეს რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებელია. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობას არ გადაუდგამს ხელშესახები ნაბიჯები გეგმის შესამუშავებლად, რომლის მიზანიც სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს, სტამბოლის პროტოკოლით

დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპების პრაქტიკაში შესრულება და მისი დროული ჩატარების უზრუნველყოფაა.

ასევე, სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, პატიმართა დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად კვლავ არ განუსაზღვრავს 24 საათი. განსაკუთრებული რისკის და დახურული ტიპის დაწესებულებების მართვა ეფუძნება სტატიკური უსაფრთხოების პრინციპებს, რაც გულისხმობს მაქსიმალურად მკაცრი შეზღუდვების, აკრძალვების რეჟიმის დაწესებას და არ არის ორიენტირებული მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიური ცვლილებისკენ. სამწუხაროდ, №17 დაწესებულებაში კვლავ არ გაუქმებულა „ბარაკის" ტიპის საცხოვრებლები.

32.2.4. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში 43 რეკომენდაცია გაიცა. სამინისტრომ სრულყოფილად შეასრულა სახალხო დამცველის მიერ გაცემული 5 რეკომენდაცია, ხოლო ნაწილობრივ - 10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 26 შემთხვევაში არ შეასრულა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია. სახალხო დამცველის აპარატმა, 2 შემთხვევაში ობიექტური გარემოების გამო ვერ შეძლო რეკომენდაციის შეფასება.

კვლავ შეუსრულებელია გასულ წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ გაცემული სისტემური რეკომენდაციები, როგორიცაა პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება; პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულების განსაზღვრა და სხვ.

სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კვლავ არ დაუწყია სპეციალური სტატისტიკის წარმოება, რომელიც ასახავს, არა მხოლოდ ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის დანაშაულს, არამედ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ იმ დანაშაულებებს, რომლებიც მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება.

ამავე დროს, სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2021 წლიდან სტატისტიკის წარმოების კუთხით ასაკობრივი გრადაციის განახლებულ განაწილებას, რომლის საფუძველზეც წარმოებს სტატისტიკა 45-60 პირების და 61 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე.

32.2.5. ფსიქიატრიული დაწესებულებები

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა პარლამენტის მიმართ 4 წინადადება გასცა და 27 რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფოს საქმიანობა

არადამაკმაყოფილებელია, რადგან მხოლოდ ერთი რეკომენდაცია ფასდება ნაწილობრივ შესრულებულად, დანარჩენი კი შეუსრულებელია.

32.2.6. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს სახალხო დამცველმა, ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში 27 რეკომენდაცია გასცა, მათ შორის 5 რეკომენდაცია ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიემართებოდა. დარჩენილი 22 რეკომენდაციიდან, სახელმწიფო უწყებებს სახალხო დამცველის 14 რეკომენდაცია არ შეუსრულებიათ. სრულყოფილად შესრულებულად მხოლოდ 2 რეკომენდაცია შეიძლება შეფასდეს. 5 რეკომენდაცია სახელმწიფო უწყებებმა ნაწილობრივ შეასრულეს, ხოლო 1 შემთხვევაში, უწყებების მხრიდან შესაბამისი ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო, შესრულების მდგომარეობის განსაზღვრა შეუძლებელია.

დასანანია, რომ საანგარიშო წელს არ შესრულებულა ბავშვთა დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის საჭიროებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის რეკომენდაცია. კერძოდ, სახალხო დამცველი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს მოუწოდებდა, დაინტერესებული პირების ჩართულობითა და მონაწილეობით შეემუშავებინა სამოქმედო გეგმა რელიგიურ სკოლა-პანსიონატებთან მიმართებით. გეგმაში ასევე უნდა ყოფილიყო გაწერილი სახელმწიფოს მიერ დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში გადასადგმელი ნაბიჯები და ამგვარი დაწესებულებების სახელმწიფოს კონტროლს მიღმა საქმიანობის შემთხვევაში არსებული რისკების აღსაკვეთად გასატარებელი ღონისძიებები.

32.2.7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში 21 რეკომენდაცია გაიცა, მათ შორის 2 რეკომენდაცია ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიემართებოდა. დარჩენილი 19 რეკომენდაციიდან სახელმწიფო უწყებების საქმიანობის შედეგად, სრულყოფილად შესრულდა სახალხო დამცველის 2 რეკომენდაცია, ხოლო ნაწილობრივ შესრულდა 7 რეკომენდაცია. 9 შემთხვევაში, სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ შესრულებულა, 1 რეკომენდაციის შესრულების ხარისხის განსაზღვრის მიზნით მოთხოვნილი ინფორმაცია კი, სახალხო დამცველის აპარატისთვის არ მოუწოდებიათ.

გასული წლების მსგავსად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულების დეინსტიტუციონალიზაციის გეგმის შესამუშავებლად და მის შესასრულებლად, ხელშესახები საქმიანობა არ გაუწევია. ასევე შეუსრულებლად ფასდება სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომელიც სახელმწიფოს ზრდასრულ შშმ პირთა რეაბილიტაციის პროგრამის შემუშავებისა და ამოქმედებისკენ მოუწოდებდა. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ამ რეკომენდაციის შესრულების აუცილებლობის შესახებ სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს სახელმწიფო უწყებას.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საქართველოს მთავრობის საქმიანობას, რომლის შედეგადაც, საანგარიშო პერიოდში შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის განხორციელების ეროვნული მექანიზმი. ასევე მივესალმებით ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც სფეროს ექსპერტთა ფართო ჩართულობით მიმდინარეობდა.

32.2.8. გამოხატვის/შეკრების/ინფორმაციის თავისუფლება

წინამდებარე ქვეთავის მიზნებისთვის, შეფასდება საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშის რამდენიმე[1196] თავით გაცემული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი. გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, სახალხო დამცველმა 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშით სახელმწიფო უწყებებს 11 რეკომენდაციით, ხოლო საქართველოს პარლამენტს 1 წინადადებით მიმართა. რეკომენდაციებიდან სრულყოფილად მხოლოდ 2 შესრულდა. 7 რეკომენდაცია შეუსრულებელი დარჩა, ხოლო ორი მათგანის შეფასება, ობიექტური გარემოებების გამო ვერ მოხერხდა.

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება, რომელიც უზრუნველყოფდა სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი) ასახული რეკომენდაციების შესრულებას. ასევე, კვლავ შეუსრულებელია რეკომენდაცია, რომლითაც სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობას ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ კანონპროექტსა და თანმდევ საკანონმდებლო ცვლილების პროექტებზე მუშაობის დასრულებისა და ამ დოკუმენტების საქართველოს პარლამენტში ინიცირებისკენ მოუწოდებდა.

პოზიტიურად ფასდება სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობა, რომელმაც შეასრულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე მიაწოდა საზოგადოებას ინფორმაცია 2020 წლის 8-9 ნოემბერს გამართული შეკრების შეწყვეტისას სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესახებ.

32.2.9. გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს სახალხო დამცველმა, გასული წლის საპარლამენტო ანგარიშში, სახელმწიფო ორგანოებს 29 რეკომენდაციით, ხოლო საქართველოს პარლამენტს 1 წინადადებით მიმართა. საქართველოს პარლამენტმა, სამწუხაროდ, არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებებით სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე კანონმდებლობის დახვეწას ისახავდა მიზნად. სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციებიდან 2 ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიემართებოდა. რაც შეეხება უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მიმართ გაცემულ რეკომენდაციებს, მათგან

[1196] „გამოხატვის თავისუფლება“, „შეკრების თავისუფლება“, „ინფორმაციის თავისუფლებაა“.

შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს 4, ხოლო ნაწილობრივ შესრულებულად 6 რეკომენდაცია. დანარჩენი 17 რეკომენდაცია შეუსრულებელია.

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობამ არც ამჯერად გაითვალისწინა სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში არაერთხელ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 30-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, დროული, ადეკვატური და ეფექტიანი კომპენსაციის გაცემის წესის შემუშავებას შეეხებოდა. მისი შესრულების ვალდებულება სახელმწიფოს 2022 წლის პირველ იანვრამდე ჰქონდა აღებული, თუმცა კანონში შეტანილი ცვლილებებით, კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ერთი წლით გადავადდა.

სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პროკურატურის საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც უკვე დეტალურად ანალიზდება ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული დანაშაულები და წარმოებს მათთან დაკავშირებით სქესისა და ასაკის ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკა.

32.2.10. კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში, კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სახალხო დამცველმა 11 რეკომენდაცია გასცა. სახელმწიფო უწყებებმა სრულყოფილად შეასრულეს სახალხო დამცველის 4 რეკომენდაცია, ხოლო ამდენივე რეკომენდაცია შეუსრულებლად ფასდება. სახელმწიფო უწყებებმა ნაწილობრივ შეასრულეს 2 რეკომენდაცია. ერთი რეკომენდაციის შესრულება, შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, ობიექტურად შეუძლებელი იყო.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საქართველოს მთავრობისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობას, რომელიც მოლაპარაკებების ყველა შესაძლო ფორმატის გამოყენებაში გამოიხატება საოკუპაციო ხაზის მთელს პერიმეტრზე მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფისა და შეზღუდვების მოხსნის საკითხების განსახილველად.

სამწუხაროდ, გასული წლის მსგავსად, არ გაუთვალისწინებიათ სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომელიც უზრუნველყოფდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ამბულატორიული დიაგნოსტირების ხარჯის იმგვარად დაფინანსებას, როგორც ეს 2017 წლამდე ხდებოდა.

32.2.11. რწმენის და რელიგიის თავისუფლება

საქართველოს სახალხო დამცველმა რწმენისა და რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს პარლამენტის მიმართ 7, ხოლო მთავრობის მიმართ 4 რეკომენდაცია გასცა. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო უწყებებს და საქართველოს პარლამენტს, არცერთ შემთხვევაში არ გაუთვალისწინებიათ სახალხო დამცველის წინადადება/რეკომენდაციები.

სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს საქართველოს პარლამენტს საგადასახადო კოდექსსა და სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონში არსებული დისკრიმინაციული ნორმების შეცვლის აუცილებლობაზე, თუმცა ამ მიმართლებით ხელშესახები საქმიანობა საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა. საქართველოს სახალხო დამცველი პარლამენტს ასევე მოუწოდებდა, სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით მომზადებულიყო რესტიტუციის შესახებ კანონი, თუმცა, სხვების მსგავსად, არც ეს წინადადება გაუთვალისწინებიათ.

32.2.12. ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია

ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მიმართ 13, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ - 1 რეკომენდაცია გასცა. სახელმწიფო უწყებებს არ შეუსრულებიათ სახალხო დამცველის 8 რეკომენდაცია, ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდა 4, ხოლო სრულყოფილად შესრულდა 1 რეკომენდაცია. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ გაცემული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად ფასდება.

სამწუხაროდ, აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე ამ დრომდე არ არის შექმნილი ეფექტიანი, ინსტიტუციონალიზებული საკონსულტაციო მექანიზმი უმცირესობებისთვის, ასევე ეროვნული უმცირესობების ენოვან სკოლებში სათანადო მასშტაბით არ დანერგილა მულტილინგვური სწავლების მოდელი.

32.2.13. სოციალური და ეკონომიკური უფლებები

წინამდებარე ქვეთავის მიზნებისთვის, შეფასდება საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშის რამდენიმე[1197] თავში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი. სოციალური და ეკონომიკური უფლების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა, სახელმწიფო უწყებების მიმართ 24 რეკომენდაცია,[1198] ხოლო საქართველოს პარლამენტის მიმართ - 4 წინადადება გასცა.[1199]

სახელმწიფო უწყებებმა სახალხო დამცველის მხოლოდ 5 რეკომენდაცია შეასრულეს სრულყოფილად. გაცემული რეკომენდაციებიდან 4 ფასდება ნაწილობრივ შესრულებულად, ხოლო დანარჩენი 13 არ შესრულებულა.

[1197] „სოციალური უზრუნველყოფის უფლება“, „სათანადო საცხოვრებლის უფლება“, „ჯანმრთელობის დაცვის უფლება“, „შრომის უფლება“.

[1198] 24 რეკომენდაციიდან 2 ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიემართებოდა, შესაბამისად, მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ტენდენციის სახით წარმოდგენილი იქნება შემდომ ქვეთავებში.

[1199] სოციალური უზრუნველყოფის უფლება - 3 რეკომენდაცია; სათანადო საცხოვრებლის უფლება - 9 რეკომენდაცია და 2 წინადადება; ჯანმრთელობის დაცვის უფლება - 9 რეკომენდაცია და 2 წინადადება; შრომის უფლება - 2 რეკომენდაცია.

სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, არ შემუშავებულა საქმისწარმოების პროცედურის განმსაზღვრელი ახალი ნორმები/სტანდარტი, რაც ხელს შეუწყობდა სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესახებ გასაჩივრების მექანიზმის ეფექტიანობას.

სამწუხაროდ, ამ დრომდე არ არის შემუშავებული მიზნობრივი სოციალური პროგრამის განახლებისა და მისი ეფექტიანობის შესწავლისთვის საჭირო სამართლებრივი აქტი.

ამ დრომდე არ არის უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიით (2014-2020 წლებისთვის) სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის მიზნით აღებული ვალდებულებების შესრულება, შესაბამისად, არ არის შემუშავებული საცხოვრისის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა. ამ მხრივ, გამონაკლისის სახით, დადებით შეფასებას იმსახურებს ქალაქ თბილისის მერიის ინიციატივები და განხორციელებული აქტივობა, რომლის ფარგლებშიც შესრულებულად ფასდება სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია.

დადებით შეფასებას იმსახურებს ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საქმიანობა, რომელთა ფარგლებშიც გატარდა საჭირო ღონისძიებები დროებითი თავშესაფრის მოწყობის ფუნქციონირების მინიმალურ სტანდარტთან მისასადაგებლად, ასევე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია შესაბამისი ასიგნებები, დროებითი თავშესაფრის ინფრასტრუქტურისა და შენობების სარეაბილიტაციოდ.

32.2.14. იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშით სახალხო დამცველმა 6 რეკომენდაცია გასცა, რომელთაგან 2 შესრულებულად, ხოლო 3 შეუსრულებლად მიიჩნევა. სახალხო დამცველის აპარატმა ერთი რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის შეფასება რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო ვერ შეძლო.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ უზრუნველყო ვეტერან დევნილთა განსახლების პროგრამის განხორციელება.

სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ არ შესულა ცვლილებები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №320 ბრძანებაში, სადაც გაიწერებოდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა განსახლების შესაბამისი წესი, მონიტორინგის ჩატარებისა და ფაქტობრივად ცხოვრების გამოსაკვლევად საჭირო ყველა პროცედურა. სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ არ აღირიცხება და მოწმდება დევნილთა განსახლების ისეთი ობიექტები, რომლებთან დაკავშირებითაც არ არსებობს საექსპერტო შეფასება, მაგრამ მათი მდგრადობა, შესაძლოა, საფრთხის შემცველი იყოს მობინადრეთათვის.

32.2.15. თანასწორობის უფლება

2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა თანასწორობის უფლების რეალიზების მიზნით, 13 რეკომენდაცია და 1 საპარლამენტო წინადადება გასცა,

რომელიც არ შესრულდა. სამწუხაროდ, ასევე შეუსრულებელია რეკომენდაციების დიდი ნაწილი. სახელმწიფო უწყებების საქმიანობის შედეგად, მხოლოდ 2 რეკომენდაცია შესრულდა სრულყოფილად. ნაწილობრივ შესრულებულად 1 რეკომენდაცია ფასდება, ხოლო 9 რეკომენდაცია არ შესრულებულა.[1200]

სამწუხაროდ, სახელმწიფო უარს ამბობს სახალხო დამცველის იმ რეკომენდაციის შესრულებაზე, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მისცემს შესაძლებლობას, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ თანადროულად მიიღონ შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტი და ასაკობრივი პენსია. სოციალური პაკეტები თვისებრივად განსხვავებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად არის შექმნილი, შესაბამისად, სახელმწიფოს მიდგომა, რომლის მიხედვითაც გამორიცხულია შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტის და ასაკობრივი პენსიის თანადროულად მიღება, დისკრიმინაციულია.

სამწუხაროდ, არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლითაც ის ხელისუფლებას მოუწოდებდა არსებული სოციალური, ეკონომიკური თუ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები ხელმისაწვდომი გაეხადა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისათვის საქართველოს მოქალაქეთა თანასწორად.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში არ მოუმზადებია საქართველოს ორგანულ კანონში, „შრომის კოდექსში", შესატანი ცვლილებები, რომლითაც ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების პერიოდზე გასაცემი დახმარების/ანაზღაურების ოდენობა არსებითად დაუახლოვდება „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით დადგენილ სტანდარტს და, ამავე დროს, განისაზღვრება შეზღუდვები, რომელთა ფარგლებშიც, დამსაქმებლები უფლებამოსილნი იქნებიან დაადგინონ ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო საშვებულებო ანაზღაურების მიღების წინაპირობები.

32.3. ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში 25 რეკომენდაცია გასცა. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესაფასებლად, სახალხო დამცველის აპარატმა, შესაბამისი ინფორმაციის გაზიარების მოთხოვნით, 64 თვითმმართველ ერთეულს მიმართა. სამწუხაროდ, 12 მუნიციპალიტეტს,[1201] სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხი არ გაუცია.

[1200] ერთი რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის შეფასება ობიექტური გარემოებების გამო ვერ მოხერხდა.

[1201] ახალქალაქი, ბოლნისი, დმანისი, მარნეული, საგარეჯო, ქარელი, ქედა, წალენჯიხა, წალკა, ჭიათურა, ხარაგაული და ხონის მუნიციპალიტეტები (29 მარტის მდგომარეობით).

ქვემოთ წარმოგიდგენთ ადგილობრივი თვითმმართველობებისადმი სახალხო დამცველის მიერ 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული იმ არსებითი ხასიათის რეკომენდაციების შესრულების ზოგად მდგომარეობას, რომელიც ყველა თვითმმართველ ერთეულს მიემართებოდა.

მუნიციპალიტეტებიდან მიღებული პასუხებით გამოიკვეთა, რომ სოციალური და ეკონომიკური მიმათულებებით მუნიციპალიტეტების საქმიანობა გასაძლიერებელია. საკვების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, მუნიციპალური ერთეულების დიდი ნაწილი მიუთითებს იმის შესახებ, რომ აქვთ საკვებით უზრუნველყოფის პროგრამა, თუმცა მონაცემების დამუშავების და სისტემატიზაციის, ასევე, საჭიროების სიღრმისეული კვლევის კომპონენტი სისტემურად არ განხორციელებულა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მოქმედებს „უფასო სასადილო", ძირითად შემთხვევებში უზრუნველყოფილი იყო საკვების გატანის შესაძლებლობა, თუმცა თვითმმართველი ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციით ვერ დგინდება, რამდენად ხდებოდა ეს წინასწარ გაწერილი წესების შესაბამისად.

სამწუხაროდ, თვითმმართველ ერთეულებში არ მიმდინარეობს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროების კვლევა, რათა შემდგომ შესაძლებელი გახდეს მიზნობრივი სერვისების მიწოდება. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტების დიდი ნაწილი უარყოფს თავიანთ სამოქმედო არეალში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების არსებობას, რის შედეგადაც, თვითმმართველ ერთეულებში, ფაქტობრივად ხელმიუწვდომელია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახებისთვის დამატებითი მხარდამჭერი სოციალური პროგრამები.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ცალკეული წინგადადგმული ნაბიჯები შეინიშნება, თვითმმართველ ერთეულებში მიმდინარეობს მუშაობა ბავშვთა ტრანსპორტით, საბავშვო ბაღისა და სკოლის ინფრასტრუქტურული მოწესრიგებით უზრუნველყოფის მიმართულებით.

საგანმანათლებლო აქტივობების კუთხით თვითმმართველი ერთეულების საქმიანობა, 2021 წლის განმავლობაში, ცალსახად არადამაკმაყოფილებელია. სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს თვითმმართველ ერთეულებს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მიღების აუცილებლობის შესახებ.[1202] სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა შეასრულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია.

საანგარიშო პერიოდში, სამწუხაროდ, არ გადამზადებულან სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა აღმზრდელები, ბავშვთა მიმართ ძალადობისა და რთული ქცევის მართვის, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საჭიროებების

[1202] 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშით, ეს რეკომენდაცია მიემართებოდა ლანჩხუთის, დედოფლისწყაროს, ზესტაფონის, სიღნაღის, ტყიბულის, ჭიათურის და ხონის მუნიციპალიტეტებს.

შესახებ. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწავლების ხარისხისა და საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, პედაგოგთა, მათ შორის, არაქართულენოვანი პედაგოგების გადამზადების მიმართულებით საანგარიშო პერიოდში რეკომენდაციის ადრესატ მუნიციპალიტეტებში[1203] ხელშესახები საქმიანობა არ განხორციელებულა. ამ მიმართულებით დადებითად შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების საქმიანობა. ამისგან განსხვავებით, მასწავლებელთა შედარებით დიდი ნაწილი გადამზადდა დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიაში.

თვითმმართველ ერთეულებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭოების ეფექტიანი მუშაობის მიმართულებით, სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად არ განხორციელებულა ხელშესახები აქტივობა. საბჭოები ძირითადად არ ატარებდნენ სხდომებს და არ განიხილავდნენ შესაბამის საკითხებს, ხოლო იმ თვითმმართველ ერთეულებში, სადაც საბჭოს ამ დრომდე არ უმუშავია,[1204] კვლავაც არ ყოფილა უზრუნველყოფილი მისი ამოქმედება.

მისასალმებელია, რომ მუნიციპალურ ერთეულებში ხანდაზმული პირებისთვის არსებობს შესაბამისი პროგრამები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არ ეფუძნებიან საჭიროებების კვლევას და სტატისტიკურ მონაცემებს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალურმა ერთეულებმა მსგავსი ტიპის პროგრამები, სწორედ საჭიროებათა კვლევას დააფუძნონ, შემდგომში მათი ეფექტიანობისა და მიზნობრიობის ასამაღლებლად.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შეფასება მუნიციპალური ერთეულებიდან მიღებული პასუხებით შეუძლებელია, რადგან ხშირ შემთხვევებში, პასუხები ბუნდოვანია, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, კონკრეტული კითხვები პასუხგაუცემელია.[1205]

ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ამ საკითხებისკენ მეტი ძალისხმევა მიმართონ, ხოლო სახალხო დამცველი, თავის მხრივ, გამოთქვამს სრულ მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში, გაუზიაროს თვითმმართველ ერთეულებს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

[1203] რეკომენდაცია მიემართებოდა: საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს.

[1204] დუშეთის, თიანეთის, კასპის, ყაზბეგის, წალკის, ჭიათურის მუნიციპალიტეტები.

[1205] მსგავს კატეგორიას განეკუთვნებიან ძირითადად შემდეგი რეკომენდაციები: 1.სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიეწოდოს ინფორმაცია ეკომიგრაციის პრევენციის კუთხით გატარებული ღონისძიებების შესახებ; 2.გამოითვალოს გასატარებელი ეკომიგრაციის პრევენციული ღონისძიებების სავარაუდო ღირებულება. 3.იმ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში, სადაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია უსახლკარო პირთა სათანადო საცხოვრებლის უზრუნველყოფის პროგრამები, მათში მოწყვლადი მიგრანტი ჯგუფების ინკლუზიის მიზნით, გატარდეს შესაბამისი საკანონდებლო ცვლილებები. 4. ბიუჯეტის ფორმირებისას, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოვლენილ გეოლოგიურად აქტიურ ტერიტორიებზე პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად, გაითვალისწინონ შესაბამისი ფინანსების მობილიზება.

დანართი #1 - სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული ვიზიტები

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციის ფარგლებში, რაც გულისხმობს დაკავების ადგილების რეგულარული და არაგეგმიური მონიტორინგის მეშვეობით ზედამხედველობას, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა განახორციელა 13 ვიზიტი თავდაცვის ძალების 11 ბაზაზე, 1 ვიზიტი - შსს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში, 15 ვიზიტი - 7 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, 19 დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელდა 26 ვიზიტი, 35 პოლიციის სამმართველოში განხორციელდა 36 ვიზიტი, 7 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელდა 29 ვიზიტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ნაწილებში განხორციელდა 3 ვიზიტი 3 ნაწილში, ხოლო სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის 5 განყოფილებაში - 6 ვიზიტი.

საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა განახორციელეს 364 ვიზიტი პენიტენციურ დაწესებულებებში, მოინახულეს 1 395 დაკავებული/დაპატიმრებული პირი. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განახორციელეს 17 ვიზიტი და მოინახულეს 31 პაციენტი. დამატებით 15 ვიზიტი განხორციელდა დროებითი მოთავსების იზოლატორებში, სადაც 35 დაკავებული მოინახულეს.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაეროს კონვენციის აღსრულებისა და მონიტორინგის ფარგლებში ჩატარდა 29 საინფორმაციო შეხვედრა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რეგიონების წარმომადგენლებისთვის, 12 სატრენინგო სესია ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს არქიტექტურული და საზედამხედველო სამსახურის 200-მდე თანამშრომლისთვის, შშმ პირთა საკითხებზე გადამზადდა 265 ნოტარიუსი, 4 ტრენინგი ჩატარდა განათლების სამინისტროს მასწავლებელთა სახლის ტრენერებისთვის, პროგრამების მენეჯერებისა და პროგრამის, „ასწავლე საქართველოსთვის", კონსულტანტი მასწავლებლებისთვის.

18 გეგმური ვიზიტი განხორციელდა სტაციონარულ და ამბულატორიულ ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისებში. 1 არაგეგმიური მონიტორინგი სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტის №18 პენიტენციურ დაწესებულებაში, 3 ვიზიტი - მცირე საოჯახო ტიპის სახლებში (ხაშური, ბედიანი, მარტყოფი), 1 თბილისში, ორხევის დასახლებაში მდებარე სოციალურ საცხოვრისში, 2 არაგეგმიური მონიტორინგი შშმ პირთა სათემო ორგანიზაციაში ,,ბარბარე 21''. სკოლების/სკოლა პანსიონების და ბავშვთა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებების მონიტორინგის ფარგლებში ჩატარდა 34 ვიზიტი, ბათუმის სამედიცინო ცენტრის ფსიქიატრიულ განყოფილებაში - 1 ვიზიტი; საჯარო სკოლებში - 2 ვიზიტი.

მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ჩატარდა საერთაშორისო დაცვის სტატუსის დადგენის პროცედურის მონიტორინგი შინაგან

საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში - 10 მონიტორინგი; საზღვრის მონიტორინგის მიზნით, თბილისის შ. რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში 10 რეისის მონიტორინგი; ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში 1 რეისის მონიტორინგი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის 9 განყოფილების მონიტორინგი; სასაზღვრო პოლიციის 4 სამმართველოს/სექტორის მონიტორინგი; თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის 3 მონიტორინგი.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვა საჯარო უწყებების 691 წარმომადგენელთან, რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების 282 წარმომადგენელთან, 114 მასწავლებელთან, 350 ახალგაზრდასა და კერძო კომპანიების 212 თანამშრომელთან. შეხვედრები გაიმართა 6 რეგიონის (აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი) 28 მუნიციპალიტეტსა და 16 სოფელში.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასების მიზნით, მთელი საქართველოს მასშტაბით, განხორციელდა 3 მონიტორინგი ადრეული და სკოლამდელ დაწესებულებაში, 26 სკოლაში, განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ 11 სკოლა-პანსიონში, აქედან 7 შშმ არასრულწლოვანთათვის პროგრამების განმახორციელებელ სკოლა-პანსიონში და ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლა-პანსიონში, 20 მცირე საოჯახო ტიპის სახლში, კოჯრის შშმ ბავშვთა სახლში, მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ გოგონათა ერთ პანსიონში, მართლმადიდებელ ეკლესიას დაქვემდებარებულ ორ დიდ რეზიდენტულ დაწესებულებაში და ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში, 6 მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრში და ოცდაოთხსაათიან თავშესაფარში, ძალადობის მსხვერპლთა 5 თავშესაფარში, დედათა და ბავშვთა 5 თავშესაფარში, მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში.

გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად გაიმართა 271 საინფორმაციო შეხვედრა/სემინარი რეგიონებში მცხოვრებ ქალებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, სოციალურ მუშაკებთან, რესურსცენტრისა და რეგიონული სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და გენდერის საბჭოს წევრებთან, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან. ჩატარდა 3 ტრენინგი მასწავლებელთა სახლებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, გენდერულ თანასწორობასა და ძალადობის თემაზე. განხორციელდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა 5 თავშესაფრის, 5 კრიზისული ცენტრისა და 4 სკოლის მონიტორინგი. განხორციელდა პენიტენციურ დაწესებულებაში 5 ვიზიტი, თავშესაფრებში 2 ვიზიტი. ჩატარდა დედათა და ბავშვთა თავშესაფრების 7 მონიტორინგი, ასევე, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა დღის ცენტრის მონიტორინგი.

დანართი #2 - სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სამართალწარმოება

საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი უფლებამოსილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს იმ შემთხვევაში, როდესაც ნორმატიული აქტი საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცულ უფლებებს ეწინააღმდეგება.[1206]

2000 წლიდან დღემდე, საქართველოს სახალხო დამცველმა, საკონსტიტუციო სასამართლოში სულ 86 კონსტიტუციური სარჩელი შეიტანა, მათგან 37 - 2018 წლიდან დღემდე პერიოდში.[1207] ამ 37 სარჩელიდან ნაწილი უკვე მიღებულია არსებითად განსახილველად (11 საოქმო ჩანაწერი) ან გადაწყვეტილია (2 გადაწყვეტილება სამ სარჩელზე). არსებითად განსახილველად არ მიუღიათ მხოლოდ 3 კონსტიტუციური სარჩელი.

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 18 დეკემბრის №459 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სტრატეგიული სამართალწარმოების სამმართველოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, სტრატეგიული სამართალწარმოების გეგმის შედგენა და მისი პერიოდული განახლება. ამ ტიპის დოკუმენტის არსებობა იძლევა იმის საშუალებას, რომ სახალხო დამცველის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა დაექვემდებაროს წინასწარ დაგეგმილ მეთოდოლოგიას. სტრატეგიული სამართალწარმოების გეგმის წყაროა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებები, აპარატის მიერ მომზადებული კვლევები, ანალიტიკური დოკუმენტები და ანგარიშები. 2020-2021 წწ-ში გამოვლენილი სისტემური პრობლემების გადასაჭრელად, 2020 წლიდან დღემდე, საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილია 30 კონსტიტუციური სარჩელი.[1208]

ქვემოთ წარმოგიდგენთ სახალხო დამცველის მიერ 2021 წელს გაგზავნილ კონსტიტუციურ სარჩელებს, რომლებიც ეხება საპროცესო უფლებებს, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმართა უფლებებს, შეკრების თავისუფლებას, თანასწორობას, პირადი ცხოვრების, უსახლკარო პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებებს.

[1206] გარდა აღნიშნულისა, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როდესაც ირღვევა მისი კომპეტენცია ან როდესაც კონსტიტუციური დავის საგანია რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობა.

[1207] სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური სტრუქტურული ერთეული, რომელიც უშუალოდ სახალხო დამცველის წარმომადგენლობას უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოში, მათ შორის, სარჩელების მომზადებას, დაკომპლექტდა 2019 წელს და სრულფასოვან საქმიანობას შეუდგა 2020 წლიდან.

[1208] 2020 წელს შევიდა 5 კონსტიტუციური სარჩელი, 2021 წელს - 17, ხოლო, 2022 წლის იანვარ-თებერვალში გაიგზავნა 8 კონსტიტუციური სარჩელი.

I. საპროცესო უფლებების დარღვევა (კონსტიტუციის 31-ე მუხლი)

1. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გარდა საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებისა, არ ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას. ამ წესით აკრძალულია, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე პრეზიდენტის გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრება.

მოქალაქეობის მინიჭების შესახებ ის გადაწყვეტილება, რომელიც კანონმდებლობით ამომწურავად განსაზღვრული ობიექტური, გადამოწმებადი კრიტერიუმების საფუძველზე მიიღება, თვითნებური, მიკერძოებული და დისკრიმინაციული გადაწყვეტილებების მიღების რისკის გამოსარიცხად, აუცილებელია სასამართლო კონტროლს ექვემდებარებოდეს.

შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე (გარდა მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებისა) პრეზიდენტის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების აკრძალვა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან, რომლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს".[1209]

2. „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა საკონტროლო შესყიდვა და კონტროლირებადი მიწოდება, მაგრამ კანონი არ ითვალისწინებს შესაბამის გარანტიებს, ამ ოპერატიული ღონისძიებების განხორციელებისას დანაშაულის პროვოკაციის გამოსარიცხად.

სახალხო დამცველის შეფასებით, კანონმდებლობა, ამგვარი ღონისძიებების განხორციელებისას, არ აწესებს სასამართლო კონტროლის ეფექტიან მექანიზმს (როგორიც დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით), რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან.[1210]

II. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა უფლებების სავარაუდო დარღვევა

1. მოცემულ კონსტიტუციურ სარჩელში დავის საგანია საქართველოს პატიმრობის კოდექსის 17^1 მუხლის პირველი ნაწილის ის დებულება, რომელიც განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს ბლანკეტურად უკრძალავს ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლებას. მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული შეზღუდვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს (თანასწორობის უფლება) და მე-15 მუხლის პირველ პუნქტს (ოჯახური

[1209] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3JUPrsY > [ბოლოს ნანახია 31.03.2022].
[1210] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3NzfLuJ > [ბოლოს ნანახია 31.03.2022].

ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება).[1211] სარჩელი მიღებულია არსებითად განსახილველად.[1212]

2. კონსტიტუციურ სარჩელში, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან (თანასწორობის უფლება) და მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან (ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება) მიმართებით, სადავოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ პატიმრობა შეფარდებულ ბრალდებულს შეზღუდული აქვს ხანგრძლივი და ვიდეოპაემნებით სარგებლობის უფლება. კერძოდ, სადავოდ მიგვაჩნია საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისი ნორმატიული შინაარსი, 17^1 მუხლის პირველი-მე-7 ნაწილების შესაბამისი ნორმატიული შინაარსი, ასევე, 17^2 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების, მე-2 ნაწილის, მე-5 ნაწილის მე-2 წინადადების, მე-6 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების და მე-8 ნაწილის შესაბამისი ნორმატიული შინაარსი.[1213] კონსტიტუციური სარჩელი მიღებულია არსებითად განსახილველად.[1214]

3. საქართველოს პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, ბრალდებული სარგებლობს 1 თვის განმავლობაში არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით. მიუხედავად ამისა, იმავე ნორმის მე-2 წინადადების თანახმად, ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე. სადავო ნორმა პროკურორს/გამომძიებელს ანიჭებს ფართო დისკრეციას, პატიმარს შეუზღუდოს ხანმოკლე პაემნის უფლება. განსაკუთრებით პრობლემურია ის გარემოება, რომ კანონმდებლობით არ არის დადგენილი წესები, რომლებიც შემოსაზღვრავდა პროკურორის/გამომძიებლის ამ დისკრეციას, რაც პროკურორის/გამომძიებლის მხრიდან თვითნებობის რისკებს წარმოშობს. კომუნიკაციის ამგვარი აკრძალვა, მნიშვნელოვნად ზღუდავს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით (ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება) დაცული უფლების განხორციელებას.[1215]

4. კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ მიგვაჩნია საქართველოს პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ", „ი" და „მ" ქვეპუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან (ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება) მიმართებით.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინური სახდელის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებულია სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით, ხოლო, „ი"

[1211] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია:< https://bit.ly/3IUNJq9 > [ბოლოს ნანახია 31.03.2022].
[1212] საოქმო ჩანაწერი ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IYv50q > [ბოლოს ნანახია 31.03.2022
[1213] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3JVxASt > [ბოლოს ნანახია 31.03.2022].
[1214] საოქმო ჩანაწერი ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3iOCG7I > [ბოლოს ნანახია 31.03.2022]
[1215] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3iRNEc4 > [ბოლოს ნანახია 31.03.2022].

ქვეპუნქტით - პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვისა. „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელს კი წარმოადგენს კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა არა უმეტეს წელიწადში 6-ჯერ. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობას, რომელთა შეზღუდვაც დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.[1216]

5. კონსტიტუციურ სარჩელში დავის საგანია შესაბამისი პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით გათვალისწინებული, პატიმრის ე.წ. „დეესკალაციის ოთახში“ მოთავსების წესებისა და პირობების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან („დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება“) მიმართებით. სადავო წესების მიხედვით, პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსება შესაძლებელია მხოლოდ დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკის საფუძველზე გამოცემული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, ასევე, პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსება შესაძლებელია 72 საათის განმავლობაში და წესი, რომლითაც პატიმარი დეესკალაციის ოთახში შესაძლებელია მოთავსდეს შეუზღუდავი რაოდენობით.[1217]

III. შეკრების თავისუფლების სავარაუდო დარღვევა (კონსტიტუციის 21-ე მუხლი)

1. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი აწესებს შეზღუდვას და შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას კრძალავს ყველა იმ პირისთვის, რომლებიც თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში არიან. ამ პირების ჩამონათვალი ამავე კანონის მე-3 მუხლის „ი“ პუნქტით არის განსაზღვრული და დაყოფილია სახელმწიფო უწყებების მიხედვით. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდა, ამავე შინაარსის ამკრძალვი ნორმები მეორდება ამ უწყებების საქმიანობის მომწესრიგებელ სპეციალურ საკანონმდებლო აქტებში.

დასახელებული საკანონმდებლო აქტებით დადგენილია მშვიდობიანი შეკრების უფლების აბსოლუტური აკრძალვა პირთა ფართო წრისათვის, მათ შორის, იმ პირებისთვის, რომლებიც არ არიან პასუხისმგებელნი უშუალოდ სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე. მნიშვნელოვანია, ამ უწყებებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე უშუალოდ პასუხისმგებელი პირები,

[1216] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Nzhnoh > [ბოლოს ნანახია 31.03.2022].
[1217] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3wgi1kB > [ბოლოს ნანახია 31.03.2022].

გაიმიჯნოს ამავე უწყებებში დასაქმებული სამოქალაქო პერსონალისგან და ამის შესაბამისად დაწესდეს შეკრების უფლების შეზღუდვა.

შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შეკრებებში მონაწილეობის უფლების მქონე სუბიექტთა წრის მზღუდავი ნორმებით, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება პირთა იმაზე ფართო წრეს ეზღუდება, ვიდრე ეს კონსტიტუციით არის დადგენილი.[1218] კერძოდ, კანონმდებლობით განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულებისთვის და იმ პირებისთვის, რომლებიც არ ახორციელებენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას, შეკრებებში მონაწილეობის გზით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არაკონსტიტუციურია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტს და 21-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომელთა თანახმადაც, „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო"; „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება".[1219]

2. აქტუალური მოვლენების შესახებ შეხედულებების და მოსაზრებების გამოხატვისას, ხშირად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დროულობას, რაზეც არის დამოკიდებული პროტესტის ეფექტიანობა, ხოლო დაყოვნებამ, შესაძლოა, სრულად დაუკარგოს აზრი რეაქციას.[1220] სწორედ მსგავსი შესაძლებლობაა სპონტანური შეკრება, რომელიც გარკვეული შემთხვევის/ინციდენტის მყისიერი პასუხია, არ ატარებს წინასწარ დაგეგმილ ხასიათს და ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, არ ჰყავდეს გამოკვეთილი ორგანიზატორი.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს 5 დღით ადრე წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებას შეკრების ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ, როდესაც ის ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს.[1221] თუმცა, იმ პირობებში, როცა კანონი სპონტანური შეკრების ცნებას არ განმარტავს და არც წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებიდან ადგენს რაიმე გამონაკლისს, დროის სიმცირიდან ან სხვა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, სპონტანური აქციის

[1218] საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება".

[1219] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10748 ;

[1220] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე, „ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-32.

[1221] შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-8 მუხლი, 1-ლი და მე-2 პუნქტები.

ორგანიზებისას, მსგავსი პროცედურის დაცვა შეუძლებელია.[1222] პრაქტიკული თვალსაზრისით, ამგვარი მოცემულობა გამორიცხავს სპონტანური შეკრების გამართვის ლეგალურ შესაძლებლობას ტრანსპორტის სავალ ადგილას, ან როდესაც ის ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს.[1223]

IV. თანასწორობის სავარაუდო დარღვევა (კონსტიტუციის მე-11 მუხლი)

1. „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესისა და პირობების" მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სოციალური პაკეტის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება ზომიერად გამოხატული და მნიშვნელოვნად გამოხატული (გარდა მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული) შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირების მიერ საჯარო საქმიანობის შესრულების პერიოდში.

ზომიერად გამოხატული და მნიშვნელოვნად გამოხატული (გარდა მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მხოლოდ საჯარო საქმიანობის შესრულების შემთხვევაში უწყდებათ სოციალური პაკეტის მიღების უფლება, განსხვავებით კერძო კომპანიებში დასაქმებული იმავე სტატუსის მქონე პირებისგან. ამასთანავე, საჯარო საქმიანობის შესრულების შემთხვევაში, მხოლოდ მკვეთრად გამოხატული და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნარჩუნდებათ სოციალური პაკეტის მიღების უფლება, განსხვავებით ამავე საქმიანობის შემსრულებელი ზომიერად და მნიშვნელოვნად გამოხატული (გარდა მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დასახელებული ნორმებით, არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი წესდება. ამასთანავე, სახელმწიფო ვალდებულია, მაშინაც უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სოციალური გარანტიებით, როდესაც ის დასაქმებულია. რაც, მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ კერძო სექტორში დასაქმებულ პირებთან მიმართებით სრულდება. შესაბამისად, შეზღუდვა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გარანტირებულ თანასწორობის უფლებასთან.[1224] კონსტიტუციური სარჩელი მიღებულია არსებითად განსახილველად.[1225]

2. წარმოდგენილი კონსტიტუციური სარჩელის დავის საგანია „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ" კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული

[1222] შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის მე-5 და მე-8 მუხლები.
[1223] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=12017 ;
[1224] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11335 ;
[1225] საოქმო ჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=12941 ;

შეზღუდვა, რომლის მიხედვით, „მოსამსახურეს, რომელსაც უმცროსი სპეციალური წოდება აქვს, შეუძლია სამსახურში 60 წლის ჩათვლით იმსახუროს". მიგვაჩნია, რომ ეს შეზღუდვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს (თანასწორობის უფლება).[1226] მხედველობაშია მისაღები, რომ ამ კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვა უკვე გაიმართა, რომლის დროსაც, მოპასუხემ - საქართველოს პარლამენტმა, ცნო კონსტიტუციური სარჩელი.

3. კონსტიტუციურ სარჩელში გასაჩივრებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის №445 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ დებულების" მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მხოლოდ ის ნაწილი, რომლის თანახმად, „ამ დადგენილებით განსაზღვრული ფართობი (შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად), საკუთრებაში არ გადაეცემა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს...". მიგვაჩნია, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული იმპერატიული აკრძალვა, კერძოდ კი, სიტყვები - *„...საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს..."* - ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს.[1227]

4. კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ არის გამხდარი, სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონში 2020 წლის 22 მაისს შეტანილი ცვლილება, რომლის შედეგად, კანონის მე-3 მუხლს დაემატა მე-6 პუნქტი, რომელიც სახელმწიფო ქონების შემძენს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შესაძლებლობას აძლევს საკუთრებაში გადაეცეს ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტყეთა ფართობები – თითოეულ შემთხვევაში არაუმეტეს 20 ჰექტრისა, აგრეთვე, ტყის კოდექსით განსაზღვრული მიჩენილი ტერიტორიები. მიგვაჩნია, რომ ეს ნორმა არღვევს სხვა რელიგიური ორგანიზაციების თანასწორობის უფლებას, ვინაიდან მათ გამორიცხავს მსგავსი შესაძლებლობისგან.[1228]

V. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სავარაუდო დარღვევა (კონსტიტუციის მე-15 მუხლი)

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ითვალისწინებს ისეთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, როგორებიცაა *ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი.*

ვინაიდან, ამ ოპერატიული ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, რასაც სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი შესაბამისი საქმე ადასტურებს, იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-15

[1226] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11334 ;
[1227] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11331 ;
[1228] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11963 ;

მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმად, ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია.[1229]

VI. უსახლკარო პირთა ღირსების ხელშეუხებლობის სავარაუდო დარღვევა (კონსტიტუციის მე-9 მუხლი)

„სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ჟ" პუნქტით განსაზღვრული უსახლკარო პირის ცნება[1230] ბუნდოვანია და არ ასახავს რეალობაში არსებულ უსახლკარობის ყველა ფორმას. კანონით დადგენილი დეფინიცია ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აძლევს მუნიციპალიტეტებს, და ტოვებს მათი მხრიდან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული უსახლკარო პირთა რეგისტრაციის წესი უსახლკარო პირების დიდ ნაწილს, სათანადო საცხოვრისზე მისაწვდომობის უფლების გარეშე ტოვებს.

სათანადო საცხოვრებლის უფლებიდან სრულად გამოირიცხებიან არასათანადო პირობებში მცხოვრები პირები, რომლებიც ცხოვრობენ საცხოვრისის ფუნქციის არმქონე სხვადასხვა ადგილებში ან თავს აფარებენ არამყარ ნაგებობებსა და საცხოვრისად გამოუსადეგარ კონსტრუქციებს. ასევე, პირები, რომლებიც საცხოვრისში ცხოვრობენ სამართლებრივი გარანტიების გარეშე და გასახლების საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ამავე წესის მიღმა რჩებიან დროებით, ახლობლებთან შეფარებული პირები. ინსტიტუციიდან გამოსვლის მოლოდინში მყოფი პირები, მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და ბავშვთა სახლებში მყოფი პირები.

ამ პირებს, რომლებიც უკიდურესად მძიმე სოციალურ პირობებში იმყოფებიან, არ გააჩნიათ საკუთარი საცხოვრებელი და რეალურად საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან საცხოვრისით უზრუნველყოფას, სადავო ნორმების მოქმედების პირობებში, არ ენიჭებათ უსახლკარო პირის სტატუსი, რის შედეგადაც კარგავენ თავშესაფრის მიღების შესაძლებლობას.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, რაც სოციალური სახელმწიფოს პრინციპის გამოვლინებაა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები ლახავენ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ ღირსების უფლებას.[1231]

VII. თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების სავარაუდო დარღვევა (კონსტიტუციის 33-ე მუხლი)

1. „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 57-ე მუხლის „ბ" და „ზ" პუნქტებით საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადების განხილვისთვის დადგენილია წინაპირობა, რომლის თანახმად, თავშესაფრის მაძიებელი საქართველოს ტერიტორიაზე

[1229] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11970 ;
[1230] მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო.
[1231] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=12277 ;

უნდა იმყოფებოდეს განცხადების წარდგენიდან საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

პროცესი შესაძლებელია გაგრძელდეს ორ წლამდე და მოცემულ პერიოდში განმცხადებლის მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა, თუნდაც მცირე ვადით, გამოიწვევს საერთაშორისო დაცვის შესახებ საქმის შეწყვეტას და მისი მოთხოვნის განხილვაზე უარს. ამ პერიოდში განმცხადებლები საქართველოში ვერ სარგებლობენ რიგი სერვისებით, მათთვის ხელმისაწვდომი არ არის გარკვეული საბანკო მომსახურება, დადგენილი აკრძალვის გამო კი ვერ მიდიან იმ ქვეყანაში, სადაც შეძლებენ საჭირო მომსახურების მიღებას, ასევე ვერ ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას მოკლევადიანი სამუშაოს მიღების მიზნით.

სახალხო დამცველის მოსაზრებით, კანონით დადგენილი წესი ხისტია, გარდა „სასიცოცხლო ინტერესისა", რაც ძირითადად უკავშირდება პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას, არ ითვალისწინებს სტატუსის მაძიებელი პირის სხვა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ბლანკეტურად ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებულ თავშესაფრის მიღების უფლებას.[1232]

2. საერთაშორისო სამართლის მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობა და კონსტიტუცია აღიარებს, რომ საქართველო არ დასჯის ლტოლვილებს მის ტერიტორიაზე უკანონო შემოსვლისთვის ან ყოფნისთვის. „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლის ან ყოფნის შემთხვევაში, უცხოელმა ან მოქალაქეობის არმქონე პირმა, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს სახელმწიფო უწყებას. ასეთ შემთხვევაში, იგი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. თუმცა, „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი საგამონაკლისო წესით თავშესაფრის მაძიებელ პირზე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ავრცელებს, იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო გადაწყვეტილებით დადგინდება, რომ პირი საერთაშორისო დაცვას არ საჭიროებს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უკანონოდ შემოსვლისა და ყოფნისთვის თავშესაფრის მაძიებლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 33–ე მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებულ თავშესაფრის მიღების უფლებას და ასევე არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კანონიერების პრინციპს.[1233]

[1232] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11958 ;
[1233] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11959 .